თამარ გოთუა, ალექსანდრე გოთუა

თავგადასავალი ლევან გოთუასი

გამომცემლობა „თარხანი“
თბილისი 1996

„...ვიყავი პატიმარი საკონცენტრაციო ბანაკის, კატორღელი, დანიმრილი, გეარწაშლილი, ვიჯექი სხვადასხვა სახის. „იზოლატორში“, რამდენჯერმე „სასიკვდილო საკანში“ ჩაბორკილი. დახურულ ციხეებს ხომ ნუ ჩამოთვლით — თბილისის, მოსკოვის, სოლოვკების, ნარიმის, ბიისკის. ეტაპებით სად არ მათრიეს, სად არ გადამაგდეს, სად არ მაწვალეს...

...ეფიქრობ ერთი ადამიანისთვის ეს ბევრზე ბევრია გადასატანად და დაუჯერებელიც. მაგრამ მწარე ფაქტია და სინამდვილე. განა მე მარტო ვარ ამისთანა? მილიონობით ხალხია გაწყვეტილ-განადგურებული, ცოცხლად დამარხული, უუფლებოდ დარჩენილი, დაკნინებულ-დაჩაჩანაკებული“.

ლევან გოთუა

წერილები ბანაკიდან.

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი სოლომონ ხუციშვილი

გამომცემლობის რედაქტორი ნანა ჭიკლაური

© თამარ და ალექსანდრე გოთუები, 1995

წინათქმა

„ვერ ამიხსნია, ვერ გამიგია:
სამშობლო იმიტომ მიყვარს ასე ძალიან, რომ მისგან ასე შორსა ვარ, თუ ასე შორსა ვარ იმიტომ, რომ სამშობლო ასე ძალიან მიყვარს?!!“

ლ. გოთუას შორეული წერილებიდან.

არიან ადამიანები, რომელთა ცხოვრება ნათელი, წარუშლელი კვალია სამშობლოს სადიდებლად დატოვებული. ასეთი გახლდათ მწერალი ლევან გოთუა. მან თავისი ცხოვრების ერთი მესამედი — 66 წლიდან 22 წელი სამშობლოს მიღმა, ცხოვრების ფსკერზე, პატიმრობაში, საკონცენტრაციო ბანაკებში, კატორღასა და ეგრეთ წოდებულ გაწვალებულ თავისუფალ გადასახლებაში გაატარა.

მიუხედავად მისი უსამართლოდ და უსასამართლოდ დევნისა, დასჯისა, წამებისა, რითაც ცდილობდნენ მის დაუძლურებას, დაბეჩავებას, სულიერად თუ ფიზიკურად განადგურებას, სიკვდილს თუ თვითმკვლელობამდე მიყვანას, ლევანმა სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე შეინარჩუნა ადამიანობა, არ დაკარგა სულის სიფაქიზე და სიკეთის რწმენა, ფიზიკური და მორალური სიძლიერე, შრომისუნარიანობა, სამშობლოს უზადო სიყვარული და ერისკაცობის ჭეშმარიტი, მამულიშვილური გრძნობა.

ლევანის ბედი ბევრჯერ ბეწვზე ეკიდა და სრულიად შემთხვევით გადაურჩა სასტიკ სასჯელს, დახვრეტას, სიკვდილს. როგორი დასანანია ის ურიცხვი მსხვერპლი, რომელიც ასე უბედურად შეეწირა უსამართლო განაჩენს.

ლევანის ცხოვრებაც ადვილად შეიძლებოდა უდროოდ დასრულებულიყო. ამის პირობა ყოველმხრივ შექმნილი იყო ხელოვნურად, მაგრამ მან პატიმრულ დუხჭირს გაუძლო, აიტანა და, როგორც თვითონ აღნიშნავდა, არასდროს შომავლის რწმენა არ დაუკარგავს, ყოველთვის სიმართლის გამარჯვების იმედი ასულდგმულებდა. ბოროტებასთან ბრძოლით, სიმართლის გამარჯვებისა და სიკეთის რწმენით, საქართველოს მომავლის იმედით განვლო ლევანმა პატიმრის გამწარებული ყოფა და გადასახლების ხანგრძლივი წლები, რასაც ადასტურებს მისი სიტყვები: „მე და სამშობლოს მოღალატე? ეს კითხვა ვერ ამიხსნია. ჩემს მძიმე ყოფაში რამდენჯერ კალამი და აზრი გადამიტყდა, ნაფიქრი და ნაწერი გადაიგლიჯა, გრძნობათა მწვერვალები დასამარდა, არსებობის შუქი ჩამიქრა და ცხოვრება ამოუვსებელ ღრმა შავ ორმოდ ამომესახა. ვაგლახ, ჩვენ სამშობლოსთვის არც მკვდრებში და არც ცოცხლებში ვწერივართ. ყოფილა რაღაც მესამე, დაუძლეველი ძალა, მესამე მდგომარეობა, მაგრამ, მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, არ დაგვიკარგავს და ჩვენც გაგვაჩნია გვარიშვილური თავმოყვარეობა, შესაძლებელია — ცოცხლებსა და თავისუფლებზე მეტიც, ჩვენ ხომ უდანაშაულო პატიმრები ვართ, მაშასადამე წამებულები, არც ზედმეტ ბარგად ვგრძნობთ თავს მომავალი ჩვენი სამშობლოსთვის. ჩვენ აქ ვშრომობთ უფრო მეტად, ვიდრე მანდ — სათავისუფლოში... სამადლო პურს კი არ ვჭამთ და არც სამადლო ჩიბუხი გვინდა...

ამოვარდნილი ქარიშხალი ბოლოს და ბოლოს დაწყვეტს მავთულხლართებს, შუქს მოჰფენს ყოველივეს;

ჩემს კისერზე იმდენი ორომტრიალი ამოგორდა და გადაიყარა, მჯერა სადმე ცისარტყელა დამხვდავს.

თუ ისევ მომიხდა მესამედ ცხოვრების თავიდან დაწყება, კიდევ მოვახერხებ ჩემს ერს მთელი გულით სიყვარული გადავუშალო და საქმით ერთგულება დავუმტკიცო, ვიდრე მე ცოცხალი ვარ, მელოდეთ, უსათუოდ გამიმართლებს იმედი...“

ჩვენს ოჯახში შემონახულია მრავალრიცხოვანი წერილი, გამოგზავნილი „სალოვეცკის მონასტრიდან“ (სოლოვეცები), ნარიმიდან და ბორკუტიდან, სადაც ლევანი გადასახლებაში იმყოფებოდა. მათში ასახულია ბანაკში ცხოვრების უკიდურესი გაჭირვება, პატიმართა არაადამიანური ყოფა, მათი დამცირება

და განცდები. ჩვენ გადავწყვიტეთ ამ მასალის გამოყენებით, შეძლებისდაგვარად, საზოგადოებას და განსაკუთრებით ახალგაზრდობას გავაცნოთ მწერალ ლევან გოთუას ცხოვრების ეს მძიმე და მრავალთათვის უცნობი მონაკვეთი.

აქვე დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ ლევანისა და ჩვენი ოჯახის მეგობარს ბატონ სოლომონ ხუციშვილს დიდი გარჯისათვის — წიგნის რედაქტორობისათვის; მადლობას ვუხდით აგრეთვე ლევანის ჩრდილოეთის ბანაკის ყველა მეგობარს და ახლობელს ჩვენთვის უანგარო დახმარების გაწევისა და თანადგომისათვის.

ლევანის და-ძმა — თ ა მ ა რ და ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე გ ო თ უ ე ბ ი.

მასალა აღებულია საოჯახო არქივიდან. გამოყენებულია, აგრეთვე, აწ განსვენებული დების თინა და მზია გოთუების ჩანაწერები და ნაამბობი.

პირველი ნაწილი

ლევან გოთუა დაიბადა 1905 წლის 10 მარტს ქალაქ თბილისში, საზოგადო მოღვაწისა და პუბლიცისტის ოჯახში. სანამ ლევანის ბავშვობაზე მოგითხრობდეთ, გვინდა რამდენიმე ცნობა მოგაწოდოთ ჩვენს ოჯახზე:

მამა, პატრონ ალექსანდრეს ძე გოთუა, დაიბადა საქართველოს ერთ-ერთი უმშვენიერესი კუთხის — გურიის სოფელ ძიმითში 1873 წელს, წარჩინებულ ოჯახში. მამამისი, ალექსანდრე გოთუა, საშუალო განათლების მქონე, ახოვანი, წარმოსადეგი კაცი იყო, გამოირჩეოდა ენამახვილობით, სტუმარმასპინძლობით, ვაჟკაცობითა და გამბედაობით. ოსმალებთან ბრძოლაში მონაწილეობისა და სიმამაცისათვის მიღებული ჰქონდა გიორგის ჯვარი და მედლები.

ალექსანდრეს ძიმითში საკმაოდ დიდი მამული ჰქონდა, დაწყებული მთის კორტოხიდან, გათავებული მდინარე სუფსის ნაპირებით. ახლა იქ კოლმეურნეობის ჭალებია, მაგრამ გოთუების მერიას სახელწოდება მაინც შენორჩა.

ტყიანი მთის წვერზე კოხტად შემოსკუპული წაბლის ხის ორსართულიანი ოდა ჰქონდა, გარშემორტყმული ხეხილით, დაბურული ბალჩა-ბაღებით, ხეხილზე ასული „ადესით“, რომელიც დიდ მარანს ავსებდა და მაღლიანი ღვინოც იწურებოდა. გარშემო ყველაფერი მოვლილი და კარგად გაშენებული იყო, თუმცა დიდი ოჯახი მატერიალურ ხელმოკლეობას მაინც განიცდიდა.

ალექსანდრეს მეუღლე გახლდათ დიდგვაროვანი ქალი — მარინე ერისთავი რაჭა-ლეჩხუმიდან. მათ ჰყავდათ 5 შვილი: 3 ვაჟი და 2 ქალი. შვილების სულიერ და პიროვნულ ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული ღვაწლი დედას მიუძღოდა. მან შვილებს ბავშვობიდანვე ჩაუნერგა შრომის, წიგნის და პოე-

ზიის სიყვარული. სამწუხაროდ, ის გურიაში მაშინ მეტად გავრცელებულმა ჭინჭა —მალარიამ იმსხვერპლა.

ბაბუამ მეორე ცოლი შეირთო, განათლებული, კეთილი და გულჩახმიერი ქალი — გოგოლა ჟორდანია (ნოე ჟორდანიას ბიძაშვილი). მან ღირსეული დედობა გაუწია გერებს.

მამაჩვენი ადრე წამოვიდა სოფლიდან და სწავლა-განათლების გზას გაჰყვა. მან საშუალო განათლება მიიღო ჯერ ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებელში, შემდეგ ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში. მას, როგორც ნიჭიერ მოწაფეს, უმაღლესი განათლების მისაღებად გამოუყვეს კავკასიის სტიპენდია, გაგზავნეს რუსეთში და ჩარიცხეს ოდესის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

მწერლობასა და ჟურნალისტიკაში პართენ გოთუამ ჯერ კიდევ გიმნაზიის პერიოდში მოსინჯა ბედი. თანამშრომლობდა გაზეთ „ივერიასა“ და „მწყემსში“, სადაც ბეჭდავდა პატარ-პატარა ლექსებს, მერე კი აქტიურ ლიტერატურულ მოღვაწეობაში ჩაება: გამოაქვეყნა მოთხრობები და თარგმანები ჟურნალ „კვალსა“ და „ჯეჯილში“.

1897 წელს პ. გოთუამ უნივერსიტეტი წარჩინებით დაამთავრა. მისი სადიპლომო ნაშრომი „Дворянские наказы во Франции“ დაჯილდოვდა პირველი ხარისხის დიპლომითა და ოქროს მედლით. უნივერსიტეტის დირექციამ შესთავაზა კათედრაზე დარჩენა და ცოდნის გაღრმავება, მაგრამ კავკასიის სტიპენდიანტი რუსეთში აღარ დატოვეს და სამუშაოდ ქ. ვლადიკავკაზში გაანაწილეს. იქ ასწავლიდა ისტორიას, გეოგრაფიას, პედაგოგიკასა და მეთოდიკას. პედაგოგიური მოღვაწეობის პარალელურად ვლადიკავკაზში მან გამოაქვეყნა სხვადასხვა ხასიათის პუბლიცისტური წერილები.

ცოდნის გასაღრმავებლად მამამ იმოგზაურა ავსტრია-უნგრეთში, შვეიცარიასა და საფრანგეთში (პარიზში), სადაც ოთხი თვე იმუშავა ლუვრის სპარლამენტო არქივში.

ქ. ვლადიკავკაზში მუშაობის დროს ის აქტიურად იღვწოდა ქართული განათლებისა და კულტურული ცხოვრების განვითარებისათვის. მისი თაოსნობით გაფართოვდა ქართული სკოლის შენობა, აშენდა სათეატრო დარბაზი, ბაღი, შეიქმნა ქართველ მსახიობთა დასი და მომღერალთა გუნდი და სხვ.

1902—1903 წლებში მამა გადმოვიდა საცხოვრებლად თბი-

ლისში და დაოჯახდა. ნაყოფიერად მოღვაწეობდა ბეჭდვითი სიტყვის დარგში. შემდეგ თვითონ დააარსა გაზეთი „ვოზროჟდენიე“ და საკმარისად დიდ ხანს რედაქტორობდა. ეს იყო რუსულად გამოცემული ქართული ორიენტაციის პროგრესული გაზეთი, რომელსაც იმ დროისათვის დიდი პოლიტიკური და საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა. გაზეთი საქართველოში მცხოვრებ სხვა ეროვნების ხალხს აცნობდა ქართველი ერის მსოფლმხედველობასა და მისწრაფებას თავისუფლებისაკენ. აქტიურად ეწინააღმდეგებოდა მეფის მთავრობის პოლიტიკას საქართველოში. ამიტომაც გაზეთის რედაქცია მრავალჯერ დაიხურა და მამა რამდენჯერმე იყო დაპატიმრებული, იჯდა ქუთაისის და მეტეხის ციხეებში, ორჯერ დახვრეტასაც რაღაც სასწაულით გადაურჩა.

გაზეთს სასტიკად სდევნიდა ალიხანოვის რაზმი, რისთვისაც „ვოზროჟდენიეს“ ბევრჯერ გამოიცვალა სახელწოდება: „ზაკავკაზიე“, „ექსტენიკ ვოზროჟდენია“, „პროგრეს“, „ტიფლის“, „ნოვაია რეჩ“, „ნოვოსტი ზაკავკაზია“, „ზნანიე“, „ობნოვლენიე“ და სხვ. რედაქტორსაც ხშირად უხდებოდა სხვადასხვა ფსევდონიმის მოგონება: „აკორდი“, „ტონი“, „ფრიდონი“, „პროშეთეოსი“, „იუნიუსი“ და სხვ, ზოგჯერ ციხიდანაც კი რედაქტორობდა გაზეთს.

1907 წელს მამა ქალაქის საბჭოს ე. წ. ხმოსნად აირჩიეს, სადაც 14 წლის განმავლობაში ბევრი სასიკეთო საქმე წამოიწყო და განახორციელა კიდეც. აქტიურად ჩაება თბილისის პოლიტექნიკური სასწავლებლის შექმნისა და აშენების საქმეში, 1913 წელს წიგნიც გამოსცა ამ თემაზე. მამა ნაყოფიერ ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდა. დაწერილი ჰქონდა რამდენიმე დრამა და გამოსცა მოთხრობების კრებული გურიის ცხოვრებიდან.

შემდგომში პ. გოთუამ საფუძვლიანად შეისწავლა ფინანსურ-ეკონომიური დარგი და დიდი მონაწილეობა მიიღო თბილისში ცენტრალური და საქალაქო ბანკის ჩამოყალიბებაში. მოგვიანებით თვითონვე ჩაუდგა სათავეში. მის კალამს ეკუთვნის მრავალი ნაშრომი საქართველოს ეკონომიკის განვითარების დარგში.

მამა არჩეული იყო საურთიერთო ბანკის გაშგეობის თავმჯდომარედ. იყო აქტიური წევრი საქართველოში წერა-კითხ-

ვის გამავრცელებელი საზოგადოების და მრავალი სხვა, საქართველოსთვის საკეთილდღეო საქმისა.

ცხოვრების უკანასკნელ დღემდე მუშაობდა „სმუსში" ეკონომისტ-ფინანსისტად, მამულიშვილურ ზრუნვას იჩენდა საქართველოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, აქტიურად ებრძოდა საქართველოს საწარმოთა მასობრივად დაფანტვას, რისთვისაც ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა.

მამას პოლიტიკური მრწამსი ყოველთვის ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულება იყო და, როგორც ამ პარტიის ერთ-ერთი აქტიური წევრი, ძალ-ღონეს არ იშურებდა დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს საკეთილდღეოდ. სამწუხაროდ, მისი სიცოცხლე ტრაგიკულად დასრულდა 63 წლის ასაკში, 1936 წელს.

გოთუების ოჯახში შემონახული არქივი მოწმობს პართენ გოთუას პედაგოგიური, პუბლიცისტური, ლიტერატურული, ეკონომიკური, ფინანსური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ფართო ასპარეზს. მასთან თანამშრომლობდნენ და მეგობრობდნენ ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი ადამიანები: ლ. ბოცვაძე, გ. ნათაძე, ი. გოგებაშვილი, ა. წერეთელი, ი. იმედაშვილი, ე. თაყაიშვილი, ა. მდივანი, ა. ყანჩელი, ნ. გაბუნია-ცაგარელი, ს. მგელაძე, ივ. გომართელი, გ. ლასხიშვილი, დ. მიქელაძე, შ. ამირეჯიბი, კ. გეგელია, შ. ჩიტაძე, ს. კანდელაკი, ს. იაშვილი, ა. ქუთათელაძე, ვ. ლოლუა, ა. თავდგირიძე, თ. სახოკია და ბევრი სხვა.

ნიკო და იაკობ ნიკოლაძეები მისი უახლოესი მეგობრები იყვნენ. გარდა სულიერი კავშირისა, ისინი ახლო ნათესავებიც იყვნენ.

მამას შესახებ ბატონი იოსებ იმედაშვილი აღნიშნავდა, რომ პართენ გოთუა, როგორც პიროვნება, ადამიანი და მოქალაქე საუკეთესოა. ის ყოველი ჩაგრულის გულშემატკივარია, უსამართლოდ დევნილის მოსარჩლე, სამშობლო ქვეყნის ფხიზელი და ერთგული დარაჯი. იგი არ ეკუთვნის იმ ინტელიგენტთა ჯგუფს, რომელთა სიტყვა და საქმე ერთიმეორეს ეწინააღმდეგება. ამ მხრივ ის საყოველთაოდ ცნობილია: რასაც წერს, საქმითაც მას ემსახურება და ამიტომაც, ქართული საზოგადოება მას ყოველთვის ანგარიშს უწევს და პატივს სცემს.

დედა, სოფიო გრიგოლის ასულ კემულარია, საშუალო ტანის მოხდენილი ქალი იყო, ფუფუნებაში გაზრდილი. უყვარდა კარგი ჩაცმა-დახურვა და სტუმარმასპინძლობა. ამას ხელს უწყობდა მათი შეძლებული ოჯახი ქუთაისში.

ბაბუა — გრიგოლ კემულარია დაიბადა სენაკში, წარჩინებულ ოჯახში. ბავშვობაში სწავლა-განათლების ნიჭი გამოუჩენია და 15 წლისა სენაკიდან ქუთაისში გაქცეულა და იქ განთქმულ ვაჭართან დაუწყია მუშაობა. შემდგომში მას ისე წარმატებით წარუმართავს სწავლა-განათლების საქმე, რომ თვითონ დაუწყია დამოუკიდებელი საქმიანობა. საბოლოოდ კი საქართველოში განთქმული გილდიის ვაჭარი გამხდარა და ქარგასლაც გაუხსნია. ყველაფერ ამას ემატებოდა მისი წარმოსადეგი გარეგნობაც: ძალიან მიმზიდველი და კეთილი სახის კაცი იყო, კარგი მომღერალი და გიტარაზე დამკვრელი. დიდი ნიჭი გამოიჩინა უცხო ენების შესწავლაში.

საკაჭრო კარიერის დასაწყისში ჯერ რუსეთის განთქმულ ვაჭრებს დაუახლოვდა, შემდეგ კი საზღვარგარეთთან გააბა კავშირი. ქუთაისში ვარშავიდან, ვეხიდან, ბერლინიდან და პარიზიდან შემოჰქონდა საქონელი. თავისი რუსულ-ფრანგულ-გერმანული ენის ცოდნით გაითქვა სახელი.

საფრანგეთში ბევრი მეგობარი გაიჩინა, ბევრი საინტერესო თავგადასავალიც გადახდა. მაგალითად, 1871 წელს, საფრანგეთში ყოფნის დროს, ნიკო ნიკოლაძესთან ერთად, პარიზის კომუნის ბარიკადებზეც მოუხდა ყოფნა. ნიკო ნიკოლაძის სარეკომენდაციო წერილით გრიგოლ კემულარიამ საფრანგეთის ეროვნული ფმირი — გამბეტა გაიცნო და მათ შორის კეთილმოსურნე ურთიერთობაც დამყარდა.

ბაბუა გრიგოლი მეტად კეთილი, ქველმოქმედი კაცი იყო. სწავლამოწყურებულ ხელმოკლე ახალგაზრდებს უნიშნავდა სტიპენდიებს საზღვარგარეთ განათლების მისაღებად.

ჩვენი ბებია ნინო მდიდარი, განათლებული, მრავალშვილიანი ივანე ნიკოლაძის ოჯახიდან გახლდათ. იმჟერად ნიკოლაძეების გვარიდან ქუთაისის საზოგადოებაში განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ბებიაჩემის ძმა იაკობ ნიკოლაძე, განთქმული სკულპტორი, როდენის ღირსეული მოწაფე და ბიძაშვილი ნიკო ნიკოლაძე, პუბლიცისტი, დიდად საქმიანი და განათლებული კაცი. ნიკოლაძეების ოჯახს აგრეთვე ესახელებოდა ბებიას

დისშვილი — კაკი წერეთელი, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის წევრი იყო.

ნინო ბებია თავმდაბალი, კეთილი, განათლებული და საუკეთესო მეოჯახე ქალი გახლდათ. გოთუების ოჯახს შემორჩა მის მიერ შედგენილი საოჯახო წიგნი, სადაც მოცემულია სხვადასხვა ბალახიდან წამლების დამზადების, ქართული კერძების მომზადების წესები და ცნობები სურნელოვანი სანელებლების და ხელსაქმის შესახებ.

ქუთაისის საზოგადოება გრიგოლ კემულარიასა და ნინო ნიკოლაძის ოჯახს დიდ პატივს სცემდა. მათთან ხშირად იკრიბებოდნენ იმდროინდელი ინტელიგენციის წარმომადგენლები, საზოგადო მოღვაწეები, მწერლები, ჩასახიობები, რუსეთიდან და საზღვარგარეთიდან ჩამოსული სტუმრები.

გრიგოლს და ნინოს სამი შვილი ჰყავდათ: ანეტა, სოფიო და იოსები. ისინი დიდი გულისყურით ეპყრობოდნენ ბავშვების სწავლა-განათლების საქმეს. კემულარიების ოჯახი ხშირად მოგზაურობდა საზღვარგარეთ. პარიზში ყოფნის დროს ეიფელის კოშკის გახსნაში მიიღეს მონაწილეობა.

იოსებ ბიძიამ ლამაზი, განათლებული ფრანგი ქალი — მარგარიტა ერენლეი შეირთო. 1920 წელს ისინი ქუთაისიდან საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდნენ და დასახლდნენ, დიდი გემოვნებით, ლამაზად და მდიდრულად კეთილმოაწყვეს თავისი ბინა.

1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიასთან დაკავშირებით ეს ოჯახი სხვა ქართველ საზოგადოებასთან ერთად იძულებული გახდა ემიგრაციაში საფრანგეთში წასულიყო. მათ ბინასა და ქონებას — ჩეკისტები დაეუფლნენ. იოსებ ბიძია საფრანგეთს კარგად იცნობდა. მან პარიზში მიიღო უმაღლესი განათლება, დამთავრებული ჰქონდა უმაღლესი ეკონომიკურ-პოლიტიკური სკოლა, ამიტომაც ეგონა, რომ იქ ცხოვრება არ გაუჭირდებოდა, სამსახურსაც ადვილად იშოვიდა, მაგრამ დასაწყისში, ეროვნების გამო დიდი წინააღმდეგობები შეხვდა. მიუხედავად გაჭირვებისა, მას თავისი რწმენისათვის არ უღალატია. სულ იმას ამბობდა: „ადამიანი რა ეროვნებითაც იბადება, იმად უნდა მოკვდეს“. თავისი ალალი შრომითა და ნიჭით საფრანგეთში კარგი სახელი მოიხვეჭა და გარკვეულ მდგომარეობასაც მიაღწია.

იოსებ კემულარია, ისევე როგორც სხვა ქართველი ემიგრანტები, სამშობლოსთან განშორებას მძიმედ განიცდიდა. პირველ ხანებში არ კარგავდა საქართველოში დაბრუნების იმედს, მაგრამ შემდგომში ეს ნატვრა უიმედო ოცნებაში გადავიდა. საქართველოში ბოლშევიკებისა და „ჩეკას" დიქტატურის დამკვიდრებამ მძიმე ცხოვრებისეული ტრაგედია დაატრიალა — დაიწყო საშინელი რეპრესიები, მასიური დახვრეტა, შორეთში გადასახლება, ოჯახების აწიოკება. სწორედ ამან მოაფიქრებინა იოსებ კემულარიას, ბატონ ზურაბიშვილთან და ბატონ დადეშქელიანთან ერთად, პარიზში ქართველი ემიგრანტებისათვის წმინდა ნინოს ეკლესიის დაარსება.

ნოსტალგია თანდათან ღრმავდებოდა, სადღაც, გულის სიღრმეში, საქართველოში დაბრუნების იმედის ნაპერწკალი არ ქრებოდა. სწორედ ამიტომ იოსებ კემულარია დიდი გემის აშენებას ფიქრობდა, რომელზედაც პარიზში განსვენებული ქართველი ემიგრანტების ნეშტს მოათავსებდა, რათა ოდესმე თავისუფალ საქართველოში სამშობლოს მიწმა გარდაცვლილი ბედუკულმართი პატრიოტები ერთად ჩამოესვენებინა და მათი ოცნება აესრულებინა — გადაკარგული შვილების ძვლები ქართული მიწისათვის მიებარებინა.

სამწუხაროდ, იოსებ ბიძიას ოცნება ოცნებად დარჩა და ასე, სამშობლოს მიწმა ჩაიფერფლა საქართველოსათვის მჩქეფარე ქართული გული. ის დასაფლავებულია სოფელ ლევილის სასაფლაოზე, ნუგეშად მის საფლავს მშობლიური საქართველოდან ჩატანილი მიწა აქვს დაყრილი. სადღეისოდ ცოცხალი რომ ყოფილიყო, როგორ გაახარებდა საქართველოში ეროვნული მოძრაობის არნახული აღმავლობა.

ბიძია იოსების ერთადერთი ვაჟი, დიდად განსწავლული და ნიჭიერი, მსოფლიოში ცნობილი დიპლომატი და ფინანსისტი კლოდ დე კემულარია საფრანგეთში სახელმწიფო აპარატში სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობდა, დიპლომატიურ ასპარეზზე დიდ წარმატებებს მიაღწია, სხვადასხვა ქვეყანაში საფრანგეთის ელჩობის შემდეგ, წლების შანძილზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უსაფრთხოების საბჭოს მუდმივი წევრი გახდა, საფრანგეთის რესპუბლიკიდან. ამჟამად კლოდ დე კემულარია ბანკირობას უფარდებს საფრანგე-

თის პრეზიდენტის ბატონ მიტერანის დიპლომატიური მრჩეველის საქმიანობას.

დედაჩვენმა, სოფიო კემულარიამ ,ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მოსკოვის ბესტუჟევის ორწლიანი რუსული ენისა და ლიტერატურის პედაგოგიური კურსები, დაამთავრა. საკმაოდ განათლებული ქალი გახლდათ. კარგად უკრავდა ფორტეპიანოზე და მღეროდა გიტარაზე, გარდა ქართულისა — ფრანგული და რუსული ენები იცოდა კარგად.

ხასიათებით დედა და მამა ერთმანეთს ავსებდნენ. მამა — წარმოსადეგი 'ტანის, ქერათმიანი, ცისფერთვალება, წვერულვაშით შემკული, ურთიერთობაში დინჯი, ჩუმი, უწყინარი, მეტისმეტად კეთილი და ქველმოქმედი იყო. თავისი ხელფასიდან ყოველთვის გადადებული ჰქონდა ფული ღარიბი სტუდენტებისათვის, წლების მანძილზე ინახავდა მათ და სტიპენდიის სახით უგზავნიდა.

ყველაფერში უყვარდა წესიერება. ახალგაზრდასთან თუ მოხუცთან იყო თანაბრად თავაზიანი და მათი ჭირ-ვარამის გამზიარებელი, საქციელით ყველასათვის სამაგალითო. ხშირად იტყოდა: ყველას თავისი სახე, აზრი და გონივრული ქცევა უნდა ჰქონდესო და ამ ქარგაზე ზრდიდა შვილებს. არც ერთ შვილს არ ახსოვს მამის წონასწორობიდან გამოსვლა ან ზედმეტად დაყვავება, მაგრამ ბავშვები მეტად მორიდებული ვიყავით მასთან. ის ჩვენი ოჯახის უმაღლესი ხელისუფალი იყო და მის სიტყვას ჩვენთვის კანონის ძალა ჰქონდა.

როგორც თვითონ ხშირად იტყოდა, მოწაფეობა და სტუდენტობა მეტად გაჭირვებული და მძიმე მქონდათ, მინდა ამ მხრივ ჩემს შვილებს უკეთესი პირობები შევუქმნაო. საოცრად საამო ხმა ჰქონდა, ტკბილი მოსაუბრე იყო, ხალისიანი სიცილი იცოდა. ამ მხრივ მას შვილებიდან ლევანი ჰგავდა.

მამა ფუფუნებას არ ეტანებოდა და არც შვილებს ანებივრებდა ზედმეტად. თავიდანვე ბავშვებს უნერგავდა ცოდნისა და შრომის სიყვარულს, პატიოსნებას და სიკეთის რწმენას. არ გვანებივრებდა ზედმეტი ჩაცმულობით, უცხო საკვებით თუ ფუფუნებით. იცოდა თქმა: მოწაფეს — მოწაფური, სტუდენტს — სტუდენტური, შემდეგ კი თავისი შრომით და გარჯით შექმნილი, როგორც უნდათ, ისე გამოიყენონო.

დედას უფრო სხვა ხასიათი ჰქონდა და გარეგნულადაც

განსხვავდებოდა. საშუალო ტანის, კოხტა, ლამაზი ქალი იყო. მისი შავი თვალწარბი თეთრ პირისახეს ამშვენებდა, სწრაფი და სხარტი პასუხი იცოდა. უყვარდა კარგი საზოგადოება და მათი პატივისცემა. ყოველ შაბათს თითო საათით კლუბში ეტლით წასვლა დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა. ძალზე ყოჩაღი ქალი იყო, ყველაფერს ასწრებდა.

9 შვილი გააჩინა, ყველას ძუძუ თვითონ აწოვა, არც ერთი ბავშვი აკვანში არ ჩაუწვენია, ბავშვს ვერ გავთოკავო; არასდროს უმუშავია, ბავშვების აღზრდას ხელს ვერ დავაკლებო.

მარტო მამაჩემი იდგა სახელმწიფო სამსახურში, მარტო ის იყო ფულის შემომტანი, ამიტომ ზოგჯერ მრავალრიცხოვან ოჯახში ხელმოკლეობაც იგრძნობოდა, თუმცა არ გვახსოვს, რომ რაიმე აუცილებელი დაგვკლებოდა. ხშირად გულდაწყვეტილი დედა ეტყოდა მამას: როგორ გართულდა ცხოვრება, მე კი ოჯახის რჩენაში ვერ გეხმარები, არ ვმუშაობ, გადავეყევი ბავშვებსო. მამა ანუგეშებდა: ბავშვების სწორი აღზრდა სამშობლოს წინაშე ყველაზე უფრო დიდი და კეთილშობილური მოვალეობაა.

ოჯახს 9 შვილი ჰყავდა, ჯერ 4 ვაჟი და ერთი ქალი მიეცათ: არჩილი, ლევანი, სანდრო, შალიკო, თინა. შალიკო ადრე გარდაიცვალა. მერე ოჯახს ორი ქალიშვილი შეემატა, ისინიც სულ პატარები დაიღუპნენ და ბოლოს, 10 წლის შემდეგ, კიდევ 2 ქალიშვილი — თამარი და მზია გაუჩნდათ.

გოთუების დიდი ოჯახი მარტო თავისი შვილების აღზრდით არ კმაყოფილდებოდა. ჩვენთან ცხოვრობდნენ დედაჩვენის მამიდაშვილი ლუბა კემულარია, შემდგომში კემულარია-ნათაძე, დიდად განსწავლული და განათლებული ქალი, ბოტანიკის პროფესორი; მამაჩვენის ქვრივი დის — ნადია ჭყონიას მრავალშვილიანი ოჯახიდან — გრიშა, დავითი და მარო. დანარჩენმა მამიდაშვილებმა ნიკოლოზმა, ფაციამ, გოგუცამ, თამარმა და საშურამ თვითონ გაიკაფეს ცხოვრების გზა, საუკეთესო სპეციალისტები გახდნენ და ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთეს სამშობლოსათვის (ფაცია 1937 წლის უსამართლო რეპრესიებს შეეწირა).

პართენ გოთუას მადლი, სითბო და დახმარება ყოველთვის სწვდებოდა სხვა ნათესავებსაც. გრიშა და დათიკო ჩვენს ბიჭებზე უფროსები იყვნენ, მაგრამ ჯაინც ძალიან მეგობრობდნენ. მარო კი მათი თანატოლი იყო და ხშირად მესაიდუმლედაც ჰყავ-

დათ. ოჯახში „მარო უფროსი“ დის მოვალეობასაც ასრულებდა — უმცროსებს თავს გვეკლებოდა და გვანებივრებდა. მარო გამჭრიახი, გონიერი და ლამაზი გოგონა იყო, მეტად ნიჭიერი და მშრომელი. ჩვენს მშობლებს ის განსაკუთრებით უყვარდათ, სულ სამაგალითოდ ჰყავდათ. ხშირად იმასაც იტყოდნენ, ჩვენი გოგონები მაროს რომ დაემსგავსონ, ბედნიერება იქნებაო.

ჩვენს ოჯახში ყოველ ხუთშაბათს იმართებოდა მეგობრული თავყრილობა. სტუმრად მოდიოდნენ ოჯახის შეგობრები, ნათესავები, მამაჩვენის თანამშრომლები, ახალგაზრდა მწერლები და სხვა საინტერესო ადამიანები. ისინი ერთ ჭიქა ჩაის მიუსხდებოდნენ მრგვალ მაგიდასთან და მსჯელობდნენ იმდროინდელი საქართველოს საჭირბოროტო საკითხებზე, პოლიტიკაზე, მწერლები კითხულობდნენ თავის პირველ ნაწარმოებებს და სხვ.

ჩვენი მშობლები ყოველნაირად ცდილობდნენ საუკეთესო აღზრდა-განათლება მიეცათ შვილებისათვის. სკოლის გარეშე გვასწავლიდნენ უცხო ენებს, მუსიკას, ცეკვას. დედა საათობით იჯდა ფორტეპიანოსთან და დაკვრაში გვავარჯიშებდა. ლევანსა და სანდროს ვიოლინოზე დაკვრას შამას მეგობარი, კომპოზიტორი ა. ყარაშვილი ასწავლიდა. აკომპანემენტს კი დედა ასრულებდა, რასაც დიდი გულისყურითა და მოხდომებით ეკიდებოდა. ხშირად იტყოდა, ჩემს შვილებს მინდა მუსიკის და ხელოვნების სიყვარული ჩავუნერგო, ეს მათ ხასიათს უფრო გააკეთილშობილებსო.

მამა სულ იმას ეუბნებოდა, ბავშვებს ნურაფერს დაუშლი ყვირილით, შენიშვნა ტკბილად მიეცი, არც ერთი ბავშვი სიყვარულში არ გამოარჩიო, გულის სითბო ყველას თანაბრად გაუნაწილეო. მაინც შეიმჩნეოდა დედაჩვენის უალრესად დიდი სიყვარული პირველი შვილის — არჩილის მიმართ. თვითონ არჩილი იმსახურებდა ამას, ყველაზეგან გამოირჩეოდა თავისი განსაკუთრებული ნიჭით, ნათელი გონებით, სწავლით თუ გარეგნობით.

ყველა ბავშვი, გარდა სწავლისა, სახლშიც დასაქმებული ვიყავით საოჯახო საქმეებით. უფროსებს — არჩილს და ლევანს რიგრიგობით უხდებოდათ პურის ყიდვა, სუფრის გაშლა და თავისი სათამაშოების მოვლა-პატრონობა. ვალდებული ვიყავით თვითონ ჩაგვეცვა და ლოგინი აგვეკეცებინა. გარდა ამისა უფ-

როსები პატარებს უნდა დაგვხმარებოდნენ ჩაცმა-დახურვაში. უფროსი ბიჭების სწავლის შემოწმება მამას ეკისრებოდა. ბიჭები, განსაკუთრებით კი არჩილი, ძალიან კეთილსინდისიერად მეცადინეობდნენ. არჩილი ყველას ეხმარებოდა, მარტო ჩვენებს კი არა, თავის თანატოლებს და სკოლის ამხანაგებსაც. განსაკუთრებით ეხერხებოდა ენების სწავლა. შეეძლო ქართული ტექსტი პირდაპირ რუსულად ეთარგმნა ან რუსული ტექსტი გერმანულად წაეკითხა. ეს კი ყველას აოცებდა. ბიჭებმა კარგად იცოდნენ ფრანგულიც.

წლოვანების მიხედვით არჩილსა და ლევანს შორის სულ 2 წლით იყო განსხვავება, აღნაგობით კი ორივენი მოსული, ბრგე, თითქმის ერთნაირები იყვნენ. სილამაზით არჩილი საერთოდ გამოირჩეოდა ჩვენი ოჯახის ყველა ბავშვისგან: სწორი ნაკვთები ჰქონდა, დიდი, ლამაზი, შავი, გონიერი თვალები და რომაული ცხვირი. სახეს ულამაზებდა სიფერმკრთალე. ხასიათით დინჯი იყო, მოაზროვნე.

ლევანს ხუჭუჭა, შავი თმა, მრგვალი პირისახე და მუხვილი ნაკვთები ჰქონდა. ჭრელი, ლამაზი, ყოველთვის გაბრწყინებული თვალები ამშვენებდა.ღონე ერჩოდა, სიცქვიტით, ხუმრობით და ენამახვილობით გამოირჩეოდა. ყოველთვის თამაშის მომგონი და მოთავე იყო, ჭიდაობაში ყველას ერეოდა. ამბის საუცხოოდ მოყოლა იცოდა. ბავშვებს ძალიან უყვარდათ მისი ფანტასტიკური ამბების თუ ზღაპრების მოსმენა. რასაც ყვებოდა ,რასაც იგონებდა, ყველაფერი ძალიან საინტერესო და სასიამოვნო იყო და ბავშვები პირდაღებული ეუსმენდით. ნანახს, გაგონილს ისე შეთხზავდა, გადააკეთებდა და გვიამბობდა, ხან გვატირებდა და ხან გვაცინებდა.

ხასიათით კი უფროსი ბიჭები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ. არჩილი მეტად დინჯი, წყნარი, ნიჭიერი და გონიერი იყო. ადრე შეისწავლა წერა-კითხვა — გატაცებული იყო წიგნების კითხვით. ის სასწავლებლად ადრე მიიყვანეს ვაჟთა პირველ გიმნაზიაში. იქ ყველა ბავშვისაგან გამოირჩეოდა და მალე სკოლის პირველ მოწაფედ აღიარეს. არჩილი ყველას სიყვარულს იმსახურებდა. გატაცებული იყო გეოგრაფიით და მსოფლიო ლიტერატურით.

ლევანი ცელქი, ჩქარი და დაუდგრომელი ბიჭი იყო. ადრე მომწიფდა, ნიჭიერი და გონებაგახსნილი, ყველაფერში მოთავე

გახლდათ. მშობლები და მის გარშემო მყოფნი მისი მეხსიერებით ამაყობდნენ. საკმარისი იყო რამე წაეკითხა ან გაეგონა, ალარ ავიწყდებოდა. ყველას უკვირდა — ამდენი ძველი თუ ახალი ამბავი ამ პატარა თავში როგორ ეტევა და თანაც სამუდამოდ რჩებაო.

ლევანი კომერციულ სასწავლებელში მიაბარეს, მაგრამ მეცადინეობით თავს მაინცდამაინც არ იწუხებდა. დავალება კი ყოველთვის კარგად იცოდა და უმაღლეს შეფასებასაც იმსახურებდა. ესეც ალბათ მისი ხალასი ნიჭისა და საოცარი მეხსიერების წყალობით იყო.

ლევანს ძალიან უყვარდა ძველი ქართული ლიტერატურა, გატაცებული იყო საქართველოს და მსოფლიო ისტორიით.

მამა განსაკუთრებით მოითხოვდა სწავლაში პატიოსნებას, ყოველთვის უმოწმებდა შვილებს დავალებების შესრულებას, მაგრამ არასდროს არ ეხმარებოდა — თვითონ უნდა დამოუკიდებლად გაიგოთო ყველაფერი. უფროსი ბიჭები მეტად ნაჭიერები იყვნენ, კარგად სწავლობდნენ, არც მამას და არც დედას ამ მხრივ სკოლიდან არ აწუხებდნენ.

როგორც დედა, ისე მამა ბავშვებისაგან მოითხოვდნენ სიმართლეს და სიწმინდეს.

ერთხელ, ლევანს დაავალეს კვერცხის ყიდვა. მან 10 კვერცხის ნაცვლად 9 მოიტანა. ბავშვებმა დავცინეთ, თელა არ იცი. მეორე დღეს 10 კვერცხის მაგივრად ლევანმა 11 მოიტანა. ამაზე კი დედა გაუჯავრდა, თანაც ოჯახის წევრების თანდასწრებით, მან ყველას აუხსნა, თუ რა იგულისხმებოდა ამ საქციელში. ზედმეტი კვერცხი ლევანმა დედაჩვენის თანდასწრებით უკან წაიღო.

არც ნაკლები და არც ზედმეტი ხურდის მოტანა არ შეგვეძლო, ყველაფერს წინასწარ გაანგარიშება სჭირდებაო, გვეტყოდა დედა. — თუ მოლარეს შეეშალა, თქვენ ხომ იცით ანგარიშიო.

სანამ მამა მოვიდოდა, ყველა დედას ეუჯერებდით, შემდეგ კი მამას შევცქეროდით თვალებში. მამა რომ სახლში იყო, ჩუმად ვიყავით, ჩურჩულით ელაპარაკობდით და მუშაობაში ხელს არ ვუშლიდით. როდესაც მამა ისვენებდა (3-დან 4 საათამდე), ყველანი ვკითხულობდით ან ვისვენებდით. არსაიდან ჩამიჩუმი

არ ისმოდა. შემდეგ კი, თუ მამა გაგვეხუმრებოდა, ისეთ აურზაურს ავტეხდით, რომ ომიანობა გეგონებოდათ.

ჯერ მთაწმინდაზე, ნიაღვრის ქუჩაზე, პირველ სართულზე ვცხოვრობდით, 5-ოთახიანი ბინა გვქონდა. სახლის წინ დახურული ეზო იყო, სადაც ბიჭები დარბოდნენ და ჩილიკა ჯოხს, დაჭერობანას, ლახტს, დამალობანას და ფირალობას თამაშობდნენ.

1920 წელს კი მამამ იყიდა ბებუთოვის (ახლანდელი ლ. ასათიანის) ქუჩაზე მთლიანად მეორე სართული. უკვე 7-ოთახიანი დიდი და ნათელი ბინა გვქონდა, სათავსებით და დიდი აივნით. ბიჭებს გამოუყვეს თავთავისი ოთახები, გოგონებს — თავისი, დიდი სასტუმრო, დედას და მამას —საძინებელი, მამას — სამუშაო ოთახი. მოვთავსდით ძალიან კარგად. სახლის წინ ახლაც მშვენიერი, სუფთა, დიდი ეზო გვაქვს, რომელიც სოლოლაკის მთის კლდოვანი ძირით მთავრდება. მთის იქით, გადაღმა კი ბოტანიკური ბაღია.

მამა ხშირად ამბობდა, რომ ჩვენს აივანზე მიკროკლიმატია, სუფთა ჰაერი არ გვაკლია, სიო ყოველთვის მოქრის კოჯრიდანო.

ბიჭები რომ წამოიზარდნენ, სპორტით დაინტერესდნენ. ჯერ ფეხბურთს თამაშობდნენ, მერე მამამ „შევარდენში" მიიყვანა. იქ ჩვენი ახლო ნათესავი გიორგი ნიკოლაძე, ნიკო ნიკოლაძის ვაჟი მოღვაწეობდა, მაგრამ ბიჭების სპორტული გატაცება ტანვარჯიშით ადრე დამთავრდა. არჩილს არ მოეწონა, ლევანი კი ტანვარჯიშისათვის საკმაოდ მოუქნელი და მძიმე აღმოჩნდა. მამამ მათ ველოსიპედი უყიდა. არჩილი უკეთესად დადიოდა, ლევანი კი ხშირად ამბობდა: საკვირველია, სწორედ მაშინ, როდესაც მინდა სწორად გავიარო ან ვინმეს თავი მოვაწონო, ჩემი ველოსიპედი გვერდზე გაუხვევს და ჩამომაგდებს. შემდეგში მამამ მანქანა „მერსედესი", შეიძინა და მთელი ოჯახი დავდიოდით ფალაქში თუ აგარაკზე.

მამასთან ხშირად დადიოდა მისი ყოფილი სტუდენტი ალიოშა კალანდაძე, ყოველმხრივ სასიამოვნო კაცი, გარეგნობით თუ სწავლა-განათლებით. მართალია, ის ჩვენს ძმებზე უფროსი იყო, მაგრამ მათთან მეგობრობდა. ხშირად ესაუბრებოდა სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხზე და პოლიტიკაზე. ბიჭები ამაყობდნენ მასთან მეგობრობით. ალიოშა კალანდაძე ჭეშმარიტი

პატრიოტი იყო, აწუხებდა იმდროინდელი საქართველოს მდგომარეობა. ის ზოგჯერ სოციალ-დემოკრატიული პარტიის მსოფლმხედველობას იზიარებდა. კარგად იცოდა მარქსის მოძღვრება და ყველა, როგორც ახალგაზრდა მარქსისტს, ისე იცნობდა. ზოგჯერ მთავრობისაგან ბევრი უსიამოვნება ხვდებოდა, დევნიდნენ და აპატიმრებდნენ კიდეც. პერიოდულად უხდებოდა არალეგალურ ცხოვრებაზე გადასვლაც.

ალიოშა და მარიო მეგობრობდნენ, მერე მათი მეგობრობა სიყვარულში გადაიზარდა. ახალგაზრდებმა გადაწყვიტეს შეუღლება. მამა ამის წინააღმდეგი იყო. მიაჩნდა, რომ მარიოსთვის გათხოვება ადრე იყო, უნდოდა ჯერ უმაღლესი სასწავლებელი დაემთავრებინა და, რაც მთავარია, აწუხებდა ალიოშას არასახარბიელო მდგომარეობა. ახალგაზრდებმა მაინც თავიანთი გაიტანეს.

ერთ მშვენიერ დღეს ბიჭები ერთმანეთში აღელვებული ჩურჩულებდნენ, მარო ალიოშამ წაიყვანა.

საღამოს კი დიდი მოწიწებითა და ბოდიშით მამას გამოეცხადა სიძე — ალიოშა და მთელი ოჯახი მიგვიწვია ქორწილზე. ბიჭებს ქორწილისთვის ახალი ბლუზები შეუკერეს, გოგონებს — მშვენიერი ახალი ჭრელი კაბები. ქორწილი ალიოშას ძეგობრის ოჯახში,გოგოლის ქუჩაზე იყო. მთელი ჩვენი ოჯახი, დიდიან-პატარიანად, ჩვენი მანქანით დანიშნულ დროს იქ ვიყავით. დიდი სუფრა იყო გაშლილი, ჩიტის რძეც არ აკლდა. ხალხმრავლობა და მხიარულება დაგვხვდა. თამადამ მაშინვე დალია გულმხურვალედ და დიდი მოწიწებით ჩვენი ოჯახის სადღეგრძელო. მამაზე რა ქება და დიდება არ ითქვა, ვინ მოთვლის! ყველანი ვხარობდით, განსაკუთრებით ამაყობდნენ არჩილი, ლევანი და სანდრო. მარო სუფრის თავში მარტო იჯდა, ახალ, თეთრ კაბაში გამოწყობილი, დიდი სიყვარულით გარს უვლიდნენ მას არჩილი და განსაკუთრებით ლევანი, რომელიც ამ ქორწილით მიტად აღფრთოვანებული და აღელვებული ჩანდა.

— სიძე სად არის, სიძე, ქორწილი უსიძოდ? ისმოდა აქეთ-იქიდან შეშფოთებული ჩურჩული, რაც ჩვენ ყველას გვაღელვებდა.

სიძე გვიან გამოჩნდა ახალ კოსტიუმში გამოწყობილი, შავი სათვალე ეკეთა. სტუმრები გადაკოცნა, მიიღო მილოცვები, აღუთქვა ყველას სამაგალითო სიძეობა და კარგი ოჯახის შექმნა.

შუაღამეს მამამ და დედამ ჩვენი სახლში წაყვანა დააპირეს. ლევანი გაგზავნეს მანქანის დასახედად. ლევანი ქუჩიდან აღელვებული ამობრუნდა და მამას უთხრა, ვიღაცა კაცები ჩვენს მანქანასთან დგანანო. მამა მაშინვე მიხვდა რაშიც იყო საქმე და ანიშნა თამადას და ალიოშას, მაგრამ უკვე გვიან იყო. 7 კაცი ოთახში უცებ შემოვარდა, ალიოშა და ორი სტუმარი დაეატიმრეს. სუფრა აირია, ხალხი შეწუხდა, ქალები აწიოკდნენ, ატყდა ერთი ალიაქოთი.

უცებ თამადამ მშვიდარე ხმით ღაიქუხა: მე თამადა ვარ, ამ სუფრის ბატონ-პატრონი, აბა, ყველანი შესდექით!

ეს ისე მოულოდნელი იყო, რომ ყველა დაიძაბა, მოყვარე თუ მტერი, გაშეშდა, ჩაჩუმდა.

— მოდით მეფე-პატარძალს გაუმარჯოს! ისევ შევსვათ მათი სადღეგრძელო, ვინ იცის, იქნებ სიძეს შორი გზა ელის. აბა, მერიქიფეებო, ყველას დაუსხით ღვინო, მოყვარესა თუ მტერს! მეფე-პატარძალს დღეგრძელობა და გამრავლება!

ელვის სისწრაფით გაჩნდა ჩეკისტების ხელში ღვინით სავსე ჭიქები. მეფე-პატარძალი ყველამ ადღეგრძელა. ღვინო დაილია.

— ახლა შემოსწრებულების იყოს! — შემოსძახა როლში შესულმა თამადამ.

— მართალია, თქვენ მტრადა ხართ აქ მოსული, — მიმართა მან ჩეკისტებს, — არაადამიანურად, სხვისი ჭკუით მოქმედებთ, პატრიოტებს აპატიმრებთ, მაგრამ მაინც ვიმედოვნებ, სადღაც ადამიანები ხართ. მართალია, გული და სიკეთე არა გაქვთ, ღმერთმა არ მოგცათ და თქვენი რა ბრალია...

ჩეკისტებმა ნათქვამი „გადაყლაპეს“ და ღვინოც დააყოლეს.

— ამას რას ხედავს ჩემი თვალები, ამას რას ისმენს ჩემი ყურები! — შეძრწუნებული გაჰკიოდა ვიღაც ხანში შესული სტუმარი, — მტერი და მოყვარე ერთად ადღეგრძელებენ დასაჭერ მეფეს და უბედო პატარძალს. ისინი ხომ სწორედ ამ ახალი ოჯახის დასანგრევად მოვიდნენ. სად არის სამართალი? ეს არის ჩვენი ცხოვრება? ეს რა დროში ვცხოვრობთ?

პატიმრები წაიყვანეს. სტუმრები და ბინა გაჩხრიკეს, რის შემდეგაც ხალხი სახლში გაუშვეს.

მერე ჩვენი მანქანით დედა და ჩვენ, ბავშვები, სახლში მიგ-

ვიყვანეს. მამა, არჩილი და ლევანი კი ჩეკაში, ძერჟინსკის ქუ-ჩაზე წაიყვანეს. მამა აწყნარებდა ლედას: ნუ გეშინია, ყველა-ფერს გაარკვევენ და გამოგვიშვებენო. მათ ალბათ პოლიტი-კური თავშეყრა ეგონათ და არ ელოდნენ ნამდვილი ქორწილი თუ დახვდებოდათო. მეორე დღეს, საღამოს, მამა, არჩილი და ლევანი სახლში გამოუშვეს. მართალია, ლევანი სრულიად ბავ-შვი იყო, მაგრამ მისი ეს ერთდღიანი პირველი დაპატიმრება, ჩეკაში სადღაც ჩაიწერა და სადღაც აღინიშნა კიდეც.

მეორე დღეს მაროც სახლში დაგვიბრუნდა ტირილით თვა-ლებდასიებული.

თბილისში კი სასტიკი ხმები დაირხა: ახლანდელ დაჭერას ციმბირის აჩრდილი თან სდევსო, გამორიცხული არ არის სრუ-ლიად უდანაშაულო მსხვერპლიცო.

საბედნიეროდ, ალიოშა რამდენიმე თვეში გამოუშვეს და დიდი სიხარულით მოაკითხა მაროს. მათ შექმნეს მშვენიერი ქართული ოჯახი, გოგონაც შეეძინათ, ლეილა.

1937 წელს მათი ოჯახის ბედი ისევ უკუღმა დატრიალდა: ალიოშა კალანდაძე, ეს პრინციპული, საუკეთესო ნიჭიერი სპე-ციალისტი ნამდვილი პატრიოტი და მამულიშვილი, დააპატიმ-რეს და გააქრეს. ოჯახი დაარბიეს, ყველაფერი წაართვეს, მა-რო და პატარა ლეილა სარდაფში ჩაყარეს და დიდხანს დაპა-ტიმრებითაც ემუქრებოდნენ.

ჩვენს ოჯახში ბავშვების აღზრდა მაინც ერთგვარ ჩარჩოში იყო მოქცეული. მართალია, ეზოში გვიშვებდნენ, მაგრამ, უმე-ტეს დროს, სახლში ვიყავით და ვმეცადინეობდით. საზაფხულო არდადეგებზე კი ნამდვილი სრული თავისუფლება გვქონდა და ბუნების წიაღში ვლაღობდით.

ბავშვები ზაფხულს ხშირად სოფელ ძიმითში ვატარებდით. იქ თაეს დაგვტრიალებდნენ ბებია გოგოლა, ბიცოლა — ნატაშა ჟღენტი და ბიძაშვილები — ქეთო, ვენერა და კიკა გოთუები, მომავალში სამივენი შესანიშნავი მოქალაქეები, სწავლულები და სპეციალისტები დადგნენ, მერე კიკა სამამულო ომში დაი-ღუპა.

ჩვენი კარ-მიდამო ყველას მოგვწონდა, ანკარა წყარო იქვე, ბაღის ბოლოს მოჩუხჩუხებდა, წყალი ისეთი ცივი იყო, რომ ღამე იქ დატოვებული ბოსტნეული დილას გაყინული გვხვდე-

ბოდა. სახლის წინ, ბაღის შუაგულში, მამაჩვენის დარგული ულამაზესი მაგნოლიის ხე მუდმივად ყვაოდა, და ჩვენ, ბავშვები, ამით ვამაყობდით. სახლის უკან, სულ ახლოს, საკმაოდ დაბურული ტყე იწყებოდა. სოფლის და ჩვენი ბიჭები იქ დარბოდნენ კურდღლებზე და ტურებზე სანადიროდ. ბიჭებში ლევანი ყველაზე კარგი მონადირე გამოდგა. ტყეში ულამაზესი ღელეც ჩამოდიოდა. ბიჭები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ჩანჩქერქვეშ დიდხანს დგომაში. აქაც ლევანი ყველას სჯობნიდა.

მდინარე სუფსას გადაჰყურებდა ჩვენი სახლი. ბიჭები ყოველდღე დადიოდნენ სათევზაოდ და საბანაოდ. ლევანის გამძლეობა და ცურვა ისევ ყველას აკვირვებდა.

ჩვენი სამოსახლოს ბოლო ემიჯნებოდა გარე მამიდების — კატოსა და მარიამ გოთუების შესანიშნავ სახლ-კარს. ჩვენს და მათ კარ-მიდამოს ჰყოფდა პატარა ღელე, სადაც ხიდი იყო გადებული. ჩვენს ოჯახებს შორის ძვიდრო ნათესაური კავშირი ოდითგანვე მოდიოდა. თვითონ მამიდები ახოვანი ქალები იყვნენ, გურიაში განთქმული განათლებით, ჭკუით, დიდგვაროვნობითა და კარგი ნათესაობით. კატო, მარიამი და მათი ძმა გიორგი განსაკუთრებით ამაყობდნენ დედულეთით. მათი დედა, ლისა სიმონის ასული თაყაიშვილი—გოთუა, იყო ნიკო, ვარლამ და ექვთიმე (დიდი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე) თაყაიშვილების და.

სოფელში ყველა ლაპარაკობდა მამიდების განსაკუთრებულ გულკეთილობაზე, შრომისმოყვარეობაზე, სტუმარმასპინძლობაზე.

იმ პერიოდში მათთან ცხოვრობდა გიორგის ცოლ-შვილი. გიორგი გოთუა გენერალი იყო, რუსეთში მოღვაწეობდა. მისი უფროსი ვაჟი კი, ისიც გიორგი (გიგულა) „კადეტური კორპუსში" სწავლობდა. ბოლშევიკების შემოსვლის დროს მენშევიკებმა ეს კორპუსი სასწრაფოდ საზღვარგარეთ გაიყვანეს. გიორგი გოთუამ მარტო ის შეძლო, ოჯახი გურიაში, ძიმითში, დებთან გამოეგზავნა. თვითონ კი გაჰყვა უფროს შვილს იმ პირობით, რომ ახლო მომავალში ორივენი საქართველოში დაბრუნდებოდნენ. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ქალბატონი ელენე და მისი 4 შვილი — ელენე (ენულია), ნინო, თამარი და კოტე გოთუები დიდი წვალების შემდეგ სამშობლოში ძლივს ჩამოვიდნენ. მამა-შვილი კი საზღვარგარეთ დარჩა და ასე დაიკარგა.

ბავშვები წამოიზარდნენ, გადმოვიდნენ თბილისში, მიიღეს უმაღლესი განათლება და საუკეთესო სპეციალისტები გახდნენ. ქალიშვილები გათხოვდნენ, კოტემ ცოლი შეირთო. ასე, რომ ოჯახს შემოემატა საუკეთესო ნათესავები. ოჯახები გამრავლდა და გაძლიერდა. გენერალ გიორგი გოთუას შვილები, შვილიშვილები და შემდგომი თაობა მთელი ცხოვრების მანძილზე სამშობლოს სასიკეთოდ ემსახურნენ და დღესაც ემსახურებიან.

გენერალი გიორგი გოთუა წესიერი, ნასწავლი და მებრძოლი კაცი იყო, მარშალ მალინოვსკის თავის წიგნში ქებით ჰყავს იგი მოხსენიებული. გიორგი იუგოსლავიაში გარდაიცვალა, ისე რომ სამშობლოს სიყვარული და საქართველოში დაბრუნების ოცნება საფლავში ჩაჰყვა. გიგულამ კი 40 წლის შემდეგ თავისი ცოლ-შვილით პირველად შეძლო თბილისში ჩამოსულიყო და შეხვედროდა თავის დებს, ძმას და, ჩვენ — ნათესავებს.

კატო და მარიამ მამიდებს განსაკუთრებით უყვარდათ ლევანის სტუმრობა, ყველა ბავშვისაგან განსხვავებით მას თვლიდნენ მეტად გონიერ და ნიჭიერ ყმაწვილად და ყოველთვის, როგორც თანატოლს, ისე უცქეროდნენ, უყვებოდნენ ძველ, ღირსშესანიშნავ ამბებს გურიის ცხოვრებიდან, ლევანიც დიდი გულისყურით უსმენდა.

სოფელ ძიმითს ემიჯნებოდა საკმაოდ დიდი, ლამაზი ნაწილი — ზემო ძიმითი. იქ ჩვენი მამიდა მინადორა (კაკია) ცქიტიშვილი ცხოვრობდა თავისი ქმარ-შვილით. ზაფხულობით ხშირად დავდიოდით იქ სტუმრად. ამ ოჯახში ყოველთვის სასიამოვნო ერიამული იდგა. უფროსები — ბიჭიკო, დურმიშხანი და მარიამი ჩვენს უფროს ბიჭებთან მეგობრობდნენ. განსაკუთრებით ლევანს უყვარდა მათთან ახლოს ყოფნა. მარიამი განათლებული, მწიგნობარი, ქკვიანი ქალი იყო, არჩილთან და ლევანთან საერთო ენას ყოველთვის პოულობდა. ბიჭებს ძალიან უყვარდათ ბიჭიკოსთან და დურმიშხანთან ერთად ნადირობა, თევზაობა, ცელქობა, ოხუნჯობა და, რაც მთავარია, პოლიტიკაზე საუბარი. ჟულეტა კი უფრო ღინასთან მეგობრობდა.

სოფელ ზემო ძიმითში ჩვენი ბიძის — ივანე ცქიტიშვილის კარ-მიდამო თავისი სილამაზით და ხილსავსეობით განთქმული იყო. მამიდას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა ძმისშვილების სტუმრობით.

ზემო ძიმითში ჩვენი ერთ-ერთი სტუმრობის დროს საშინელ ღამეს შევესწარით. ძლიერმა ჭექა-ქუხილმა ყველანი გაგვაღვიძა და ფეხზე წამოგვყარა. შემდეგ კოკისპირული წვიმა დაიწყო. ძლიერი ქარიც ამოვარდა, აქცევდა იქაურობას, წარღვნა გეგონებოდათ. ყველა შეშინდა. მამიდამ ჭრაქი აანთო. ბიჭები თითქოსდა უფრო თამამად იქცეოდნენ, გოგონებმა კი მამიდის ლოგინს მივაშურეთ. წვიმა და ქარიშხალი დიდხანს გაგრძელდა, ბავშვებმა ვერა და ვერ დავიძინეთ. მოულოდნელად ძაღლებმა ატეხეს საშინელი, გაბმული ყეფა. წუთში ბიძია ივანე ლოგინიდან წამოხტა და საწვიმარი მოიხურა, ალბათ ჭექა-ქუხილმა და ქარიშხალმა ტყიდან დათვი გამოაგდო ან იქნებ ფირალები არიანო.

— მაინძელო, მაინძელო, გამოგვხედე, — მჭექარე ხმით შემოგვძახა ვიღაცამ.

უეცრად ელვის სინათლეზე ბიძია ივანემ ღობის იქით ადამიანთა ლანდებსაც მოჰკრა თვალი.

— ისინი სინათლემ თუ მოიყვანა ჩვენთან, თორემ ამ ბნელ ღამეში აქ რას მოგვაგნებდნენ. ბავშვებო, აბა ჩქარა თვალები დახუჭეთ, არ გაინძრეთ და მძინარედ მოაჩვენეთ თავი. რა გაეწყობა, აქ წინააღმდეგობა არ შეიძლება. ღმერთო, გვიშველე!

ბიძიამ ძაღლები დაამწყვდია და სამი ახოვანი ვაჟკაცი, სულ მთლად თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული და წვიმით გალუმპული, შინ შემოიყვანა. სამივეს შავი ყაბალახით ჰქონდა თავი გაკრული, ხელში შავი ნაბდები ეჭირათ.

სახლში ვინ არის? — იკითხა ერთ-ერთმა, ალბათ მათი უფროსი იყო.

— ბავშვები, რომლებსაც სძინავთ, მე და ჩემი ცოლი, — მოუგო შეშინებულმა ბიძიამ.

შემოსულებმა მიიხედ-მოიხედეს, ჩვენთან სულ ახლოს მოვიდნენ, საწოლთან. ყველანი გავინაბეთ. ამასობაში ბიძია ივანემ ბუხარი ააგუზგუზა, მამიდაჩემი საწოლიდან წამოხტა, პატარა სამფეხა მაგიდა ბუხრის წინ დადგა, იქვე სახელდახელო სუფრა გაშალა, ჩვენი გემრიელი ვახშმიდან დარჩენილი შემწვარი წიწილები, მჭადი, ყველი, ხაჭაპური, მწვანილი და პატარა დოქით ღვინო დადგა და სტუმრები მიიპატიჟა.

— ჩვენ თქვენ არ გერჩით, — განაცხადა უფროსმა, — ჩვენ ყაჩაღები კი არა, პოლიტიკური ფირალები ვართ, ვერჩით

ამ წყობას და არასწორ პოლიტიკას. მალე წავალთ, უამინდობამ თქვენთან შემოგვყარა, ცოტას დავისვენებთ და გარიჟრაჟზე აქედან წავალთ. ამისთანა ამინდში ძაღლსაც არ გააგდებენ გარეთ.

ერთი ბიჭი გარეთ გააჩერეთ კარებში, არ დაიძინოს, თუ რამე საეჭვო ნახოს, გაგვაგებინოს. დანარჩენი ბავშვები და ეს დედაკაცი, აქედან გაგვაცალე, ჩვენს ცოლ-შვილს გვაგონებს და დარდი ისედაც ბევრი გვაქვს, — თქვა მეორე სტუმარმა.

მამიდამ უცებ ყველანი წყმოგვყარა და მეორე ოთახში შეგვიყვანა. ბიჭიკოს ცოტა ხანში ლევანიც გვერდში ამოუდგა და ჩვენი რაინდი ბიჭები ფირალებს დარაჯობდნენ. მოსულები და ბიძია იყანე პოლიტიკურ თემაზე დიდხანს საუბრობდნენ. ბიჭიკოს და ლევანსაც ესმოდათ მათი გულისწყრომა მთავრობაზე, უსამართლობაზე და არეულ ცხოვრებაზე.

სოფელ ძიმითიდან მშობლებმა ბავშვები კურორტ ბახმაროზე წაგვიყვანეს. მაშინ ბახმაროსაკენ მეტად ვიწრო საცალფეხო ბილიკი გადიოდა. ეს ვიწრო გზა პირდაპირ კლდეს ეკვროდა ცალ მხარეზე, მეორე მხარეს კი თვალუწვდენი ღრმა უფსკრული ჩაუდიოდა. ჩალანდრებმა (როგორც მაშინ გურიაში ეძახდნენ გამყოლებს) 5 ჯორ-ცხენი შეკაზმეს, ხის კოთხოები გადაკიდეს, როგორც საპალნე. კოთხოებში უმცროსები ჩაგვსვეს და გზას გავუდექით. დედა, მამა, არჩილი, ლევანი, სანდრო და გამყოლები ფეხით მოჰყვებოდნენ ქარავანს. ლევანი ალფრთოვანებული იყო ბუნების სილამაზით, თავს ვერ იკავებდა და აღტაცებული ხან მამას გამოელაპარაკებოდა, ხან დედას.

ბახმარო, მართლაც რომ, საოცარი სილამაზის ადგილია, შესანიშნავ ნაძვნარში ჩაფლული. ალაგ-ალაგ, ყვავილოვან ტაფობებზე, აქა-იქ კოპწია სახლები იდგა. მათ შორის ერთ-ერთი ბაბუაჩვენის აშენებული აგარაკი იყო.

კარგად მოვეწყვეთ, თითქმის შუაგულ ტყეში ვცხოვრობდით. დღე საამური სიგრილე იყო, საღამოობით კი აცივდებოდა, აინთებოდა ღუმელი. პატარებს სახლში შეგვიყვანდნენ, ბიჭები კი დიდ კოცონს დაანთებდნენ სახლის წინ და მხიარული ჭიაკოკონა იმართებოდა, რომელსაც ხტუნაობა, ოხუნჯობა და ხუმრობა ემატებოდა. მოკლედ, ბიჭები იქ ისე მხიარულად იყვნენ, რომ წამოსვლა აღარ უნდოდათ.

ლევანი, ბუნების სილამაზით აღფრთოვანებული, ფერად ფანქრებს მოიმარჯვებდა და ხატავდა. საკმაოდ კარგად გამოსდიოდა. მშობლები ხატვის ნიჭს ამჩნევდნენ, მაგრამ როდესაც ლევანმა იქ, ბუნების წიაღში, პატარა ლექსი დაწერა, მამა გაოცდა და სიცილით უთხრა: მომავალში ალბათ ჩემზე უკეთესი მწერალი იქნებიო.

მშობლებს არჩილის მომავალი გადაწყვეტილად მიაჩნდათ — დიდი მეცნიერის სახელს უწინასწარმეტყველებდნენ. ლევანის მომავალზე კი ხშირად დავობდნენ. დედას ლევანის მხატვრობა მოსწონდა, მამა კი მწერლობისკენ იხრებოდა.

— ჯერ ადრეა ამაზე ფიქრი, — ამბობდა მამა, — ნიჭი თვითონ გაიკაფავს გზასო.

რამდენიმე ზაფხული ზედიზედ ორიალეთის მხარეს, სოფელ ერთაწმინდაში გავატარეთ. ამ სოფელს ჩვენი ოჯახი დაუკავშირა კომპოზიტორმა ია კარგარეთელმა, მამაჩვენის მეგობარმა. ეს მშვენიერი აღნაგობის ლამაზი კაცი ხეიბარი გახლდათ. მას ნატყვიარი ჰქონდა მარჯვენა ხელი და ფეხი.

ბატონი ია ამაზე ხშირად უყვებოდა უფროს ბიჭებს, ავაზაკებმა 7 ტყვია დაახალეს, მკვდარი ეგონათ და ხევში გადააგდეს. გადარჩა. მართალია, მარჯვენა ხელით ვეღარ უკრავდა, მაგრამ შესანიშნავი წკრიალა ხმით მღეროდა თავის ნაწარმოებებს.

ერთაწმინდაში ჯანმრთელი მიკროკლიმატია, ხალხიც სულით ჯანსაღი და კეთილშობილიო, ააგულიანებდა ხოლმე ბატონი ია მამაჩვენს. ერთ ზაფხულს თავისთან მიგვიპატიჟა ყველა.

სოფელი ერთაწმინდა ქართლში მდებარეობს, სოფელ ნოსტეს ზევით, თეძამისა და ალგეთის ხეობის შუაგულ ტაფობში, გარშემორტყმულია შერეული ტყით დაფარული მთებით. მთის მწვერვალზე ოდესღაც ამაყად მდგარი ციხე-კოშკების მრავლისმთქმელი ნანგრევებიღაა შემორჩენილი, მათ შორის თამარ მეფის ციხის ნანგრევებიც.

ჩვენ მატარებლით მეტეხის ან გრაკალის სადგურამდე მივდიოდით, იქ ერთაწმინდაში მიმავალი ჩარდახიანი ურემი გვხვდებოდა; გადავივლიდით მდინარე მტკვარზე ხის ხიდს, გავივლიდით ახალქალაქს, ნოსტეს და შემდეგ ერთაწმინდასთან მისასვლელ აღმართს შევუდგებოდით.

ბარგით დატვირთულ ურემზე ვისხედით დედა, ჩვენი ოჯახის დიდი მოამაგე — ტასო და ჩვენ, პატარა ბავშვები.

მამა, უფროსი ბიჭები — არჩილი, ლევანი, სანდრო და გამცილებლები ფეხით მოდიოდნენ.

დილით გამოსულები საღამოს, შებინდებისას ძლივს მივაღწევდით ხოლმე სოფელს, მაგრამ დაღლას არ ვგრძნობდით, იმდენად სასიამოვნო იყო მგზავრობა. ზოგჯერ გზას გადავუხვევდით, პატარები ტყეში დავრბოდით, პეპლებს და ჩიტებს ვიჭერდით, ყვავილებს ვკრეფდით, ვსაუზმობდით, ეს ერთგვარი ექსკურსიაც იყო. მამა გვთხოვდა ყურადღება მიგვექცია ბუნების სილამაზისთვის, ხისთვის, ბუჩქისთვის, ყვავილისა თუ წყაროსთვის. ყველაფერს გვიხსნიდა, ამ დროს ხშირად ანდაზა-ლექსებსაც იშველიებდა. ასეთი პატარა მოგზაურობა დიდ მხარეთმცოდნეობის გაკვეთილად იქცეოდა ხოლმე, სადაც აქტიურად მონაწილეობდნენ არჩილი და ლევანი, მათ უკვე თავისი შეხედულებები ჰქონდათ ბუნებაზე, ხალხსა და გარემოზე.

ერთაწმინდიდან ორიოდე კილომეტრის დაშორებით კი სოფლის ბოგო-ბიჭები გვხვდებოდნენ. ატყდებოდა ერთი ერიამული და ყიჟინა. ყველა ხარობდა. ჩვენ ყოველთვის ჯავრიშვილების სახლის მეორე სართულზე დავბინავდებოდით ხოლმე და საკმაოდ კარგადაც. სოფლის შუაგულში წმინდა ესტატეს შესანიშნავი ეკლესიაა აღმართული დიდი გალავნით გარშემორტყმული, შიგ ეზოში კი სასაფლაოა. გალავანს გარედან გარს ეკვრის ერთმანეთის ზურგშექცევით აშენებული სახლები.

ერთაწმინდიდან რამდენიმე კილომეტრის ზევით კი ერთი დაბურული, ასწლოვანი ფიჭვნარია, სადაც დგას საქართველოს საუკეთესო ისტორიული ძეგლი — რკონის მონასტერი (თავისი ნატვრის ხით), ყოველ ციცაბოზე ციხესიმაგრე და ბაზილიკაა. სად არ იხეტიალეს ბიჭებმა, რა ისტორიული ადგილები არ ნახეს.

ერთაწმინდის გარშემო უამრავი წყარო ამოდიოდა, მათ შორის შესანიშნავი უსტარულის წყაროც. ამ წყაროზე ლევანს ბავშვობაში იმდენად ძლიერი შთაბეჭდილება დარჩა, რომ ის უკვე ხანდაზმულობაში წერდა: „ტყეშლის წყარო, კოდის წყარო, ქვახეთილა, ნერგის ფშანი, წიფლიღარა, ბაიდაანთ ხევი, წაბლარა და სხვა წყაროების მეფე მაინც უსტარაულია, მასთან პირველად გავიგე და მოვისმინე წყაროს ღუღუნი. იმ ხმას

ეხლაც ვამოწმებ, ჩემ სმენას ვაწყობ, გულის ყურას ვუთანაბრებ...“

მიუხედავად სოფლის ირგვლივ ამდენი წყაროებისა, სოფელში წყალი არ ჰქონდათ, სოფელში არც სკოლა იყო, არც რაიმე ახალგაზრდების გასართობი. ამიტომ იქაურები, განსაკუთრებით ახალგაზრდები, ჩვენი ოჯახის იქ გამოჩენას დიდი სიხარულით და იმედით უცდიდნენ.

წლებთან ერთად იცვლებოდა ჩვენი ინტერესებიც და გასართობებიც. უფროსი ბიჭები — არჩილი და ლევანი, დაუმეგობრდნენ ჩაჩანიძეების ოჯახს — გაბოს, ლევანს, კარგარეთელებს, კალა მეველეს, ჯავრიშვილებს, ფხოველიშვილებს, სოფელში სცენა გაშართეს და დაიწყეს წარმოდგენების დადგმა. გარდა ტაშ-ფანდურისა და დოლზე ცეკვისა, ზეპირსიტყვაობის სხვადასხვა ნიმუშს, ლექსებს ასწავლიდნენ თანატოლებს და თავის ცოდნას უზიარებდნენ. ამაში ხშირად უფროსებიც ერეოდნენ, ამიტომ სოფელში ცხოვრება ყველასათვის საინტერესო ხდებოდა.

მამა ხშირად დაგვყვებოდა სოფლის ბავშვებთან ერთად ექსკურსიებზე და გვიხსნიდა ისტორიული ადგილების მნიშვნელობას.

ერთ წელიწადს მამამ თავისი ხარჯით სოფელს წყალი გამოუყვანა. რა სიხარული იყო, როდესაც ჩამოსულ მუშებს მთელი სოფლის მამაკაცები და მოზრდილები დაეხმარნენ და წყალი ძალიან სწრაფად გამოიყვანეს! შემდეგშიც დიდი ხნის განმავლობაში მას გოთუას წყარო ერქვა.

უფროსი ბავშვები წერა-კითხვას და ლექსებს ასწავლიდნენ ამხანაგებს, უკითხავდნენ ქართულ ლიტერატურას... გლეხებმა შეარჩიეს ადგილი სცენისათვის და ხე-ტყე მოზიდეს, მერე პატარა კლუბიც მოაწყვეს, სადაც განსაკუთრებით ლევანი და გაბო ჩაჩანიძე აქტიურობდნენ. ლევანმა რამდენიმე პატარა პიესაც კი შეთხზა, თვითონვე დადგა. მამა ამაყობდა ამით, მაგრამ ყოველივე ეს ჯერ ბავშვურ გატაცებად მიაჩნდა. შემდეგ სოფელში სკოლის გახსნაც დადგა დღის წესრიგში.

ტასო ფოჩხიძემ, 35 წლის ქვრივმა რაჭველმა ქალმა, ჩვენს ოჯახში 40 წელიწადი დაჰყო და ჩვენს აღზრდაში უდიდესი ღვაწლი მიუძღოდა. ბავშვებს შორის განსაკუთრებით და თავ-

დავიწყებით უყვარდა ლევანი, რომელსაც სამი თვიდან ზრდიდა. ჩვენი ოჯახის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოედგინა.

დედა ხშირად ეჭვიანობდა კიდეც — ტასო უფრო უყვართ ბავშვებსო. ტასო კი გადაფაფრებული იყო ბავშვებზე, განსაკუთრებით ლევანზე და, რომ იტყვიან, ცივ ნიავს არ აკარებდა.

ხშირად ბავშვები ტასოს სიყვარულით ვაწვალებდით, ვცელქობდით და გვიხაროდა, როცა გაცხარდებოდა და მოგვაძახებდა; „შავი ქვის ნატეხი, ცეცხლი მუგუზალი". ამავე დროს, ლევანს ცელქობას, რანაირიც არ უნდა ყოფილიყო ის, აპატიებდა.

მამა ყოველ უქმე დღეს ბავშვებს, ვისაც კი სიარული შეეძლო, გვასეირნებდა ხან ბოტანიკურ ბაღში, ხან ფუნიკულიორზე და ხან სტუმრად ახლო ნათესავებთან.

თუ სადმე გამოცხადდებოდა ცხოველების ატრაქციონი, ჩვენ ყოველთვის იქ ვიყავით. მშობლები არ იშურებდნენ ჩვენთვის არაფერს. გვასეირნებდნენ, ყველაფერს გვიხსნიდნენ, გვასწავლიდნენ. ჩვენც, ბავშვებს, ძალიან გვიყვარდა მამასთან ერთად სეირნობა.

ახალ ბინაში გადასვლასთან დაკავშირებით ოჯახმა გადაწყვიტა ახალი ავეჯის შეძენა. სასწრაფოდ, პირველ რიგში, შევიძინეთ მამის სამუშაო ოთახისათვის მუხის ჩუქურთმებიანი საწერი მაგიდა თავისი მაღალი სკამით, წიგნების კარადებით და დიდი ღრმა სავარძლებით. სამუშაო ოთახის შესასვლელს ამშვენებდა და ამდიდრებდა ჭერამდე აზიდული, შავი ხის ჩუქურთმებიან ჩარჩოში ჩასმული შესანიშნავი სარკე, რომელსაც მარმარილოს მაგიდა ჰქონდა. ძლივს არ მეღირსა ცალკე სამუშაო ოთახი, — იტყოდა მამა და მუშაობაში ღამეებს ათენებდა.

მამას ბანკის დიდი სიმდიდრე ებარა. იმ არეულობის დროს სხვა ვინმე თავისთვის მოიხმარდა კიდეც ნაწილს, მამას კი არასდროს ამაზე არც კი გაუფიქრებია.

უფროს ბიჭებს ისიც ახსოვდათ, საქართველოს გასაბჭოების წინა დღეებში თბილისში ფული როგორ გაუფასურდა, პური არ იყო, საჭმელი არ იშოვნებოდა. ზამთარიც დიდთოვლიანი გამოდგა, რაც კიდევ უფრო ამძიმებდა ატმოსფეროს. ჩვენს ოჯახს საგრძნობლად გაუჭირდა.

ცოტა ხანში ფულმა საერთოდ დაკარგა ფასი. ჩემთვის გა-

უგებარი იყო, — იხსენებდა თინა, — ერთხელ მამამ დიდი ფული მაჩუქა, წინა დღეს იმით ბევრი რამის ყიდვა შეძეძლო, მეორე დღეს კი მარტო ერთი ჭიქა მზესუმზირა მომივიდა.

როგორც ცნობილია, 1918 წლის 26 მაისს საქართველო დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა. ევროპის ბევრმა სახელმწიფომ ცნო საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთსა და საქართველოს შორის, ამაზე ლენინმაც მოაწერა ხელი. ელჩებიც კი გაიცვალა — საქართველოში კიროვი ჩამოვიდა, მოსკოვს კი გრიგოლ ურატაძე გაიგზავნა, საქართველოს დამოუკიდებლობამ დიდხანს ვერ გასტანა — თვითონ რუსეთმა, ლენინმა დაარღვია ეს ხელშეკრულება და საქართველოს დასაპყრობად გამოგზავნა დიდძალი ჯარი.

წითელმა არმიამ ჯერ 1919 წელს აზერბაიჯანი „გაასაბჭოვა", მერე, 1920 წელს — სომხეთი და 1921 წლის თებერვალში — საქართველო.

საქართველოში ამ პერიოდში დიდი არეულობა იყო. ქართველი საზოგადოების უმრავლესობა სხვადასხვა პარტიას ეკუთვნოდა. ამ პარტიებს, მართალია ჰქონდათ თავიანთი აზრი და მსოფლმხედველობა, სხვადასხვა მოთხოვნა და მიმაველის გეგმები, მაგრამ ყველას აერთიანებდა ერთი უდიდესი მიზანი — საქართველოს თავისუფლების აღდგენა. განსაკუთრებით ძლიერი იყო მენშევიკური პარტია ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობით.

იმჯერად დროებით მთავრობასაც ჰყავდა საკმაოდ მრავალრიცხოვანი საკუთარი ჯარი. მთავრობა მათზე დიდ იმედებს ამყარებდა. აქ გაერთიანებული იყვნენ საქართველოს საუკეთესო მებრძოლები, პატრიოტები, ომში გამობრძმედილი ვაჟკაცები. საქართველოში დიდი ბრძოლებით, ყოველი მხრიდან შემოდიოდა მე-11 წითელი არმია სერგო ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით. საქართველოს ჯარი მას დიდ წინააღმდეგობას უწევდა, თბილისში შემოსვლის საშუალებას არ აძლევდა.

განსაკუთრებით დიდი ბრძოლები მძვინვარებდა კოჯრისა და უძოს მიდამოებში. აქ რუსის დიდძალ ჯარს მოეყარა თავი. ქართველებს, წითელი არმიელები ნარტო სიმრავლით სჯობნიდნენ, ისინი მძაფრად უტევდნენ. ბრძოლის ამ მონაკვეთზე ბევრი ქართველი პატრიოტი დაეცა. ამ ქარიშხლიან დღეებში

დროებითი მთავრობა მოუწოდებდა ქართველ ხალხს, პროგრესულ საზოგადოებას და საერთოდ ყველას, ვისაც კი იარაღის ხელში დაჭერა შეეძლო, მოხალისედ წასულიყო ფრონტზე, მიშველებოდა ქართულ ჯარს და წითელარმიელების შემოტევა შეეჩერებინათ. მართლაც ბევრი ახალგაზრდა, სტუდენტი, მოსწავლე თუ ხანდაზმული მოხალისედ წავიდა კოჯრის მიმართულებით საბრძოლველად. მიუხედავად იქ გამართული შმაგი ბრძოლებისა, ერთ დღეს დილაადრიანად კოჯრის მთიანეთიდან ზარბაზნების გრგვინვა თბილისში ძალიან მკაფიოდ გაისმა. ეს კი წითელი არმიის მოახლოების მაუწყებელი იყო.

ხალხი ღელავდა, განიცდიდა, არავინ იცოდა და ვერც წარმოედგინა ბოლშევიკური არმიის შემოსვლის შემდეგ ქალაქში რა მოხდებოდა, ბოლშევიკური მთავრობა რას მოიმოქმედებდა, როგორ წარიმართებოდა ცხოვრება... წითელი არმიის გამარჯვება რა სიკეთეს მოიტანდა...

ჩვენს ოჯახში არჩილთან და ლევანთან იკრიბებოდნენ სტუდენტი და მოსწავლე ახალგაზრდები, ამხანაგები. სულ რაღაცაზე ჩურჩულებდნენ.

ცოტა ხანში დათიკო, არჩილი და ლევანი სახლიდან დაიკარგნენ. მამა და დედა საშინლად ღელდნენ. სანდრომ მშობლების ღელვას ვერ გაუძლო, თანაც ნაწყენი იყო ბიჭებზე, თან რომ არ წაიყვანეს და საიდუმლოება გასცა.

მოსწავლე ბიჭები შეუერთდნენ უფროსებს, მიიღეს იარაღი და ასე მოხალისედ წავიდნენ საბრძოლველად.

მშობლები საშინლად შეწუხდნენ, ბიჭებს ჯერ კიდევ ბავშვებად თვლიდნენ, ვერ წარმოედგინათ მათი ჯარისკაცობა, შიშობდნენ, რამე მარცხს არ გადაყროდნენ თავისი უსასაკობითა და გამოუცდელობით. თანაც არც ისე თბილად იყვნენ ჩაცმული, სიცივეში რომ გაეძლოთ სანგრებში. ერთი სიტყვით, ბიჭებმა ბევრი საფიქრებელი დაატეხეს თავს მშობლებს.

ერთ დღეს მამა მათ საძებნელადაც კი წავიდა, დედას დაჟინებულ თხოვნას ვეღარ გაუძლო.

მამას უკვირდა ბიჭების საქციელი, ისინი ჯერ კიდევ ხომ ბავშვები იყვნენ. მეორე მხრივ კი გულში რაღაც სიამაყის გრძნობაც უღვიოდა — თურმე როგორ შეუმჩნევლად წამოგვეზარდნენ და დაგვიეაკაცდნენ ბიჭებიო. ხედავთ, ჩვენი პატარა პოლიტიკური მოღვაწეები საბჭობლოს საკეთილდღეოდ

როგორ ამოქმედდნენ, ხასიათიც კი ჩამოუყალიბდათ, აი, ნამდვილი პატრიოტებიო, — ხშირად იმეორებდა ის.

ჩვენი გაქცეული ბიჭები 7 დღისშემდეგ უკან დაბრუნდნენ. არჩილმა ავადმყოფი ლევანი ძლივს მოიყვანა, სანგარში გაციებულა, მაღალი სიცხე ჰქონია და ამიტომ უკან დააბრუნეს, ძველი ყაიდის თურქული შაშხანა და ზარბაზნის ლულა მოიტანეს.

ბიჭებს სულ ეკითხებოდნენ, ომში რა ნახეთო? ომში ვნახეთ სისხლის ღვრა და საშინელი ბათქიო, — გაიძახოდა ლევანი, — ვნახეთ ძმათა სასაფლაო, სადაც 12 საუკეთესო ქართველი ვაჟკაცი ერთად ჩაასვენეს; საშინელ სროლაშიაც მოვხვდით, ბეწვზე გადავრჩით; გვციოდა და გვშიოდა, ამასაც გავუძელით; ვნახეთ, როგორ თავგამოდებით იბრძვის ქართული ჯარი. ვნახეთ, როგორი პატრიოტი, სულით ძლიერი გმირები და მებრძოლები არიან ქართველები.

თბილისში დღითი დღე მწვავდებოდა მდგომარეობა. ფრონტი გვიახლოვდებოდა. ამ დღეებში მამამ ოჯახი დროებით დატოვა და ბათუმში წავიდა: ბევრი სახელმწიფო სიმდიდრე მაქვს ჩაბარებული და არ ვიცი, როგორ ნოვიქცე, მეშინია, არ დამეკარგოს; ბათუმში ამ საკითხში უკეთ გავერკვევი და ვეცდები მალე დავბრუნდეო. მამა მაშინ უკვე ფინანსური საქმიანობით იყო დაკავებული, საქართველოში ბანკი დააარსა, კონსტანტინოპოლში და სხვა სახელმწიფოებში მისი ფილიალებიც გახსნა. თბილისში ხალხი არეული და შეშინებული იყო, ათასი ჭორი და აზრი დაირხა. ცხადია, რომ მონავლისა არავინ არაფერი იცოდა.

რამდენიმე დღის შემდეგ მამა დაბრუნდა — თუ მოვკვდები, ისევ აქ, თქვენთან მოკვდე. ჩემი სამშობლო, ხალხი და ქართული მიწა ყველაფერს მირჩევნიაო. წაღებული ბანკის დანაზოგი ქონება უკან ჩამოიტანა, საქართველოში რომელი მთავრობაც დარჩება და გაიმარჯვებს, იმას ჩავაბარებ საქართველოს ასაყვავებლადო.

მართლაც, საქართველოში როგორც კი საბჭოთა მთავრობა ჩამოყალიბდა, მამამ ხელწერილით ეს ქონება მათ ჩააბარა — საქართველოს დანაზოგი ისევ საქართველოს მოხმარდებაო, არ განიავდებაო.

ქართული ჯარი უკან იხევდა, რუსების შემოტევას ვეღარ

უძლებდა. ისინი ბათუმის მიმართულებით მიდიოდნენ და გზაში აფეთქებდნენ ხიდებს და გზებს, რომ რითიმე შეეფერხებინათ მტრის დევნა.

მენშევიკურმა მთავრობამ ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობით საზღვარგარეთ ემიგრაციაში წასვლით უშველა თავს. მაშინ დიდძალი ინტელიგენცია გაიქცა საზღვარგარეთ, მაგრამ იყვნენ ქართველი საზოგადოებიდან და სტუდენტებიდან ისეთებიც, რომლებმაც იმედის თვალით შეხედეს ახალ მთავრობას, სამშობლო, ოჯახი, სახლი ვერ დატოვეს, ემიგრაციაში არ წავიდნენ და თბილისში დაბრუნდნენ.

პირველ რიგში, სწორედ მათ დაადგათ მძიმე დღე — თითქმის ყველა დააპატიმრეს, ბევრი დახვრიტეს და ბევრი გადაასახლეს უგზო-უკვლოდ. აქედან დაიწყო საქართველოში საშინელი ტრაგიკული დღეები და წლები, ჩვეულებრივ ამბად იქცა რეპრესიები, დაპერა, დახვრეტა, ოჯახების დარბევა. ეს დიდხანს გაგრძელდა.

მძიმე წლები გამოიარა ქართველმა საზოგადოებამ. წინა თაობას კარგად ახსოვს მაშინდელი ჭირ-ვარამი და უდანაშაულო მსხვერპლი. საქართველოს გასაბჭოებასთან დაკავშირებით თბილისში უამრავი ჯარი და განსაკუთრებით ჩეკისტები შემოვიდნენ და დამკვიდრდნენ. დაიწყო ოჯახების აწიოკება, დარბევა, ბინებისა და ავეჯის ჩამორთმევა, ჩეკისტების შესახლება, მზამზარეულზე მათი ბატონიეთ დაბინავება. მთავარი უბედურება ის იყო, რომ უმრავლესობა მათ შორის უცოდინარი იყო, გაუნათლებელი, უხეში, არაფრის მაქნისი. სწორედ ისინი დაწინაურდნენ და დიდი თანამდებობები დაიკავეს. მერე კი ყველასათვის აშკარა გახდა ის „საქმენი საგმირონი", რაც მათ ჩაიდინეს,

როგორც ბევრი სხვისი, არც ჩვენი ოჯახი წარმოადგენდა გამონაკლისს. ჩამოგვართვეს ორი დიდი საუკეთესო ოთახი — მამაჩვენის სამუშაო ოთახი და დარბაზი, ახლადშეძენილი ავეჯი. დიახ, მრავალშვილიანი ოჯახის, მამაჩვენის თითქმის მთელი ცხოვრების მანძილზე ოფლითა და შრომით შეძენილი ქონება ერთ წუთში სხვის ხელში გადავიდა. რატომ? რისთვის? წინააღმდეგობის გაწევა არ შეიძლებოდა. მაშინ ეს ოჯახის მთლიან განადგურებას უდრიდა. მშობლებმა იმ ოთახებიდან შემთხვევით შეძლეს მარტო საწერი მაგიდის და პიანინოს

გამოტანა, რისთვისაც დიდი ჩხუბი, გინება და უსიამოვნება შეხვდათ. სასამართლოშიაც კინაღამ გვიჩივლეს ჩვენი ავეჯისათვის. აი, რა უსამართლობა დატრიალდა საქართველოში, როგორი უსინდისობა იყო გამეფებული და როგორ შერჩათ მათ ეს უმსგავსო საქციელი!

ჩვენი ცხოვრება ძლიერ გართულდა, მით უფრო, რომ ყოველი ნაბიჯის მეთვალყურეობა სწორედ ჩვენს ბინაში შეძოსახლებულებს დაავალეს. მშობლები და უფროსი ბიჭები აღშფოთებული იყვნენ ამ უსამართლობით. ხშირად ამას ხმამაღლაც კი გამოთქვამდნენ, ამით შეწუხებული მამა სულ არჩილისა და ლევანის გაფრთხილება-დარიგებაში იყო, მომავლის აღარ სჯეროდა.

— შვილები სწავლული და განათლებული გვყავს, — აწყნარებდა დედა მამას, — ეს კი კარგი მომავლის მომასწავებელიაო.

ასე თუ იზე, ცხოვრება გრძელდებოდა.

ბიჭები კოჯრიდან წამოღებულ თოფს თავს დასტრიალებდნენ, გაწმინდეს, გააწკრიალეს და „ფირალობანას" თამაშობდნენ, დედამ თვალი რომ მოჰკრა იარაღს, კატეგორიულად აუკრძალა თოფის სახლში დატოვება. ღამით არჩილმა და ლევანმა თოფი ჩუმად წაიღეს და მთის ძირში, მიწაში ჩაფლეს.

ყველაფერი მიწყნარდა, თოფი ყველამ დაივიწყა. ერთ დღეს თბილისის ქუჩებში გააკრეს განცხადებები, რომ ვისაც ცივი და ცეცხლსასროლი იარაღი გაქვთ სახლში, ჩაგვაბარეთო, წინააღმდეგ შემთხვევაში სასტიკად დაისჯებითო. აბა, ბიჭებს რა მოასვენებდათ, თოფი თურმე ამოუთხრიათ და სახლში ამოუტანიათ.

ვანახლდა ოჯახში ჩხუბი თოფის თაობაზე, დედა გადაგდებას ან ჩაბარებას მოითხოვდა. მამა კი ამას სერიოზულად უკვე აღარ უყურებდა, მით უფრო, რომ თოფი წყობიდან გამოსული იყო. ბოლოსდაბოლოს დედის დასაწყნარებლად ბიჭებმა თოფი სახლის სხვენზე აიტანეს და იქ დამალეს. რამდენიმე ხნის შემდეგ თოფი სათამაშოდ ისევ სახლში მოიტანეს. ამხანაგებში ამით ტრაბახობდნენ კიდეც, ხშირად ომში მონაწილეობაზეც ჰყვებოდნენ, არავინ უკვე ამას ყურადღებას არ აქცევდა და თამაშის შემდეგ თოფს ხან სად და ხან სად შეაგდებდნენ.

იმ საბედისწერო დღეს თოფი კარადის უკან კუთხეში ისე

შეაგდეს, რომ ლულა კარგად მოჩანდა, სრულიად მოულოდ-ნელად, შუაღამეს, ჩვენს შემოსავლელთან ჯერ ჩოჩქოლი ატყდა, შემდეგ ძლიერმა ბრახუნმა შეშინებული ოჯახის წევ-რები ფეხზე წამოგვყარა.

— ვინა ხართ, — შესძახა მამამ. ჩეკა არისო, — მივიღეთ პასუხი. ლევანს იმწუთშივე თოფი გაახსენდა, მისი გადამალვის და გადაგდების დრო უკვე აღარ იყო, ამიტომ კუთხეში კარა-დის უკან თოფს ლულაც დაუმალა და უფრო მოხერხებულად ააყუდა. მამა მეტად აღელდა. შეიძლება სულაც თოფის თაო-ბაზეა ყველაფერიო, ვინმემ ხომ არ დაგვაბეზღაო. მერე დედას მიუბრუნდა და უთხრა: არაუშავს, არჩილი და ლევანი ჯერ ყმაწვილები არიან და მე დამბრალდება ყველაფერი, რა ვქნათ, რაც იქნება, იქნებაო. დედას სიბრაზისა და აღელვებისაგან ქვედა ყბა უკანკალებდა. ყველას ესმოდა, რომ სახლში იარაღის არსებობა მამაჩვენისათვის უკვე სერიოზული ბრალდება იქ-ნებოდა. კარი გაიღო, შემოვარდა 5 კაცი და მამას წარუდგინეს ჩხრეკისა და დაპატიმრების ორდერი.

ჩხრეკა მეტად გულდასმით მიმდინარეობდა, მამაცხონებუ-ლებმა მთელი სახლი გადაატრიალეს. ბავშვები შიშით და გუ-ლის ფანცქალით კარადას შევცქეროდით. ჩეკისტებმა თოფი ვერ ნახეს, თუმცა კარადის უკან რამდენჯერმე შეიხედეს. მერე მამას ჰკითხეს, სახლში გაქვთ თუ არა იარაღი. მამა შეწუხდა, ბბა ტყუილს როგორ იტყოდა, ისიც შვილების თანდასწრებით, მიუბრუნდა ლევანს და ჰკითხა: — სახლში, ბიჭებო, გაქვთ იარაღი? ლევანმა უარის ნიშნად აღელვებულმა ხელები გააქ-ნია. მოხდა სასწაული: ჩხრეკამ ასე უბრალოდ დამალული თო-ფი ვერ აღმოაჩინა.

მამაჩვენს აჰკიდეს ზურგზე პატარა საბანი, საჭმელი და წაიყვანეს. უფროსები გაშეშებული შესცქეროდნენ მას, ბავშ-ვებმა კი ბღავილი მოვრთეთ.

— ნუ გეშინიათ, ბავშვებო, აქ რაღაცა გაუგებრობაა, დარ-წმუნებული ვარ, მალე დავბრუნდები, — გვანუგეშა მამამ, ყველა გადაგვკოცნა და წავიდა.

არჩილი და ლევანი დაბნეულები შეჰყურებდნენ დედას, რომლის კვილმაც გამოაფხიზლა ისინი, — ახლავე სახლიდან მოაშორეთ ეს თოფი, კინაღამ მამა დავღუპეთ. ბიჭებო, ხომ

დაინახეთ, ვიღაცამ გაგვცა, გეყოფათ ცეცხლთან თამაში, ეს თოფი სახლში აღარ დავინახო.

ლევანმა და არჩილმა თოფი ნაჭერში გაახვიეს და დიდი სიფრთხილით შუაღამეს სახლიდან კარგად მოშორებით, ქუჩაში გაიტანეს და იქ კედელს მიაყუდეს.

დილას ქუჩიდან ხმაური შემოგვესმა. ბიჭებმა ამბავი მოიტანეს, ჩვენი თოფის გარშემო უამრავი ხალხი შეგროვილა, შემდეგ მოსულა სამი მილიციელი და დიდი სიფრთხილით წაუღიათო.

დედამ მიაკითხა მამას ამხანაგებს, გააგებინა მისი დაპატიმრების ამბავი. ჩეკაშიაც წავიდა. მამა ამჯერად საპატიმროში დიდხანს არ გააჩერეს, ვინაიდან დაპატიმრების მიზეზი ვერ დადასტურდა — ბინის ჩხრეკის დროს იარაღი ვერ აღმოაჩინეს. ყველას აინტერესებდა, ნეტავ, ვინ იყო ჩვენი ოჯახის მტერი და ასეთი ენატანია.

ჩეკას მოსვლამ ჩვენს სახლში და მამას დაპატიმრებამ ბიჭები ჩააფიქრა, ამხანაგების და მეგობრების შერჩევაში უფრო ფრთხილები გახდნენ.

სწრაფად გარბოდა დრო. ბავშვები წამოვიზარდეთ, ოჯახის უფროსმა ვაჟიშვილებმა საშუალო სკოლა დაამთავრეს. მამამ, როგორც ქართველმა პატრიოტმა, უნივერსიტეტში ისეთი ფაკულტეტი შეურჩია, რომ მომავალში ისინი სამშობლოს გამოდგომოდნენ. ორივე — არჩილიც და ლევანიც უნივერსიტეტში ეკონომიკურ ფაკულტეტზე შევიდა.

ბიჭებმა სწავლას ძალიან სწრაფად და კარგად აუღეს ალღო, საუკეთესო სტუდენტები გახდნენ, თანატოლებისაგან გამოირჩეოდნენ ნიჭით თუ განათლებით, ხშირად იღებდნენ მონაწილეობას სტუდენტთა კონფერენციებში, პოლიტიკურ კამათსა და სტუდენტურ გამოსვლებში.

მშობლებმა გადაწყვიტეს უფროსი ვაჟიშვილებისათვის უმაღლესი განათლება საზღვარგარეთ მიეცათ — ბელგიაში გაეგზავნათ, მით უფრო, რომ ორივე საკმაოდ კარგად ფლობდა ფრანგულსა და გერმანულს. გერმანულ ენას გვასწავლიდა გენერალ ვარლამ თაყაიშვილის ცოლი. ვარლამის დაპატიმრების შემდეგ ეს ხანდაზმული, სათნო ქალი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ჩვენმა მშობლებმა დახმარების ხელი გაუწოდეს და ოჯახში შემოიკედლეს.

მამამ შეძლო ბიჭებისათვის თბილისში ვიზის მიღება, საჭირო იყო მხოლოდ მოსკოვის დასტური.

1922 წლის ნოემბერში ბიჭები მოსკოვს გაემგზავრნენ. რუსეთში ჯერ კიდევ არ იყო დალაგებული ცხოვრება, ყველგან არეულობა იგრძნობოდა. არ იყო ერთსულოვნება. ბევრი მტკივნეული საკითხი გადაუწყვეტელი რჩებოდა.

სწორედ იმ წელიწადს მოსკოვში დიდი შიმშილი და საშინელი ყინვიანი ზამთარი იდგა. ბიჭებს მოსკოვში ძალიან გაუჭირდათ. დაპირებულ ვიზას ისინი 4 თვე უშედეგოდ უცდიდნენ. ამასობაში არჩილს ყინულზე ფეხი დაუცდა და საბედისწეროდ მოიტეხა ბარძაყი. მამამ ისინი დიდი გაჭირვებით ჩამოიყვანა თბილისში და უნივერსიტეტში აღადგინა. მერე გამოირკვა, რომ საზღვარგარეთ წასვლის ნებართვა, რომელიც თბილისში გასცეს, თბილისშივე გაუქმებულიყო. ეს კი მამას ძალიან ცუდად ენიშნა.

არჩილს ფეხი გაუმიზეზდა, ჭრილობა დაუჩირქდა, მდგომარეობა დაუმძიმდა. მამამ საუკეთესო ექიმები დაახვია თავს, მათ შორის იყო საზღვარგარეთიდან ახლად დაბრუნებული ცნობილი პროფესორი დავით იოსელიანი.

ლევანი უნივერსიტეტში დადიოდა, აქტიურობდა, იქიდან არჩილისათვის მოჰქონდა დავალებები. არჩილი მარტო გამოცდების ჩასაბარებლად გადიოდა სახლიდან. თავისი ნიჭით კი პროფესორ-მასწავლებლებს აოცებდა.

სანდრო და თინა უკვე სკოლის მოსწავლეები იყვნენ. ასე გაჭირვებაში გაირბინა ამ სასწავლო წელმაც.

ჩვენს მშობლებს ურჩიეს არჩილის ავადმყოფობასთან დაკავშირებით ზაფხული კურორტ აბასთუმანში გაგვეტარებინა.

აბასთუმნის პოპულარობას, გარდა მისი არაჩვეულებრივი კლიმატური პირობებისა, გამაჯანსაღებელი ნაძვნარისა, ჟანგბადით დაჟღენთილი მდიდარი, სუფთა ჰაერისა და ულტრაიისფერი სხივებით მოკაშკაშე მზისა, ხელი შეუწყო ოპერის თეატრის სიმფონიური ორკესტრის გასტროლებმა, რომელიც ყოველ წელიწადს ჩადიოდა ამ მოდურ კურორტზე, სადაც მთელი საქართველოს კულტურული საზოგადოების ბევრი ნაცნობი ოჯახი იყრიდა თავს.

ქვემო აბასთუმნის პარკის პატარა სცენაზე არაჩვეულებრივად კარგი კონცერტები იმართებოდა. მუსიკის ჰანგები არე-

მარეს მოედებოდა ხოლმე. აქ იყვნენ საუკეთესო ქართველი დირიჟორები: ძმები ფალიაშვილები, ი. ტუსკია და სხვები.

იმართებოდა საქველმოქმედო კონცერტებიც ღარიბ ავადმყოფთა დასახმარებლად. ჩვენი იქ ყოფნის დროს, მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი კონცერტი გაუმართეს სტუდენტ არკადი მამფორიას, რომელიც მძიმე ავადმყოფი და ხელმოკლე იყო. მთელი კონცერტის შემოსავალი ავადმყოფს მისცეს. ამ ღონისძიებაში დიდ აქტიურობას იჩენდა ქალბატონი ნადეჟდა ბუზოღლი.

1921 წლიდან საქართველოში ეროვნული სულისკვეთების გაღვიეება იგრძნობოდა. საქართველოს ყოველ კუთხეში გაჩნდა დაჯგუფებები. უნივერსიტეტში დაიწყო სტუდენტთა დიდი გამოსვლები, თითქმის ყველა სტუდენტი ჩართული იყო ამ მოძრაობაში. არჩილიც და ლევანიც ძალიან აქტიურობდნენ, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას მოითხოვდნენ. თბილისში დაიძაბა ვითარება. გაჩნდა პროკლამაციები, რომლებშიც მოუწოდებდნენ ისევ და ისევ თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოს აღდგენისაკენ.

როგორც ცნობილია, 1923 წლიდან საქართველოში საიდუმლო ოპერატიული ჯგუფის უფროსად ბერია მუშაობდა. საზოგადოებაში ის თვალთმაქცობდა და განსაკუთრებულ ლმობიერებას იჩენდა. საქმით კი თბილისში და საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭულში არნახული სისასტიკე დაატრიალა. სწორედ ამ წლებში გამწვავდა ინტელიგენციის რეპრესიები განსაკუთრებული ფენებისა და კატეგორიების მიხედვით. ამ წლებში გაჩნდა დასჯის სასტიკი, ახალი მეთოდები, საყოველთაო დახვრეტა ყოველგვარი საქმის გარჩევის გარეშე—ადმინისტრაციული წესით. საქართველოში სწორედ ამ ხელს შემოიღეს ვიღაც სამეულის ხელის მოწერით და „ОС“ მიერ სასამართლოს გარეშე უმაღლესი სასჯელის გამოტანის უფლება. უკეთეს შემთხვევაში, თითქოსდა ლმობიერების ნიღბით, დაიწყო პოლიტიკურ პატიმართა გადასახლება შრომა-გასწორების შორეული ჩრდილოეთის ბანაკებში, საიდანაც დაბრუნება სათუო იყო. დაშინდა, შეშფოთდა საქართველოს მოსახლეობა, ეროვნული მოძრაობის ორგანიზაციები არალეგალურ მუშაობაზე გადავიდა. დაარსდა პარიტეტული კომიტეტი, რომლის ხელმძღვანელები იყვნენ არალეგალური პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები. მათ დაიწყეს საქართველოში საყოველთაო აჯანყების მომზადება. აჯანყების მიზანი იყო რუსეთის ჯარის საქართვე-

ლოდან განდევნა და საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აღდგენა. აჯანყების კომიტეტის სხდომები არალეგალურად იმართებოდა შიომღვიმის მონასტერში. იყო დათქმული აჯანყების დროც — 29 აგვისტო. აჯანყება უნდა მომხდარიყო ერთობლივად მთელი საქართველოს ყველა ქალაქში, რაიონსა თუ კუთხეში. ყველა მხარეს ჰყავდა თავისი თავკაცები. აჯანყება ძალიან სერიოზულად, ბრძოლის სულისკვეთებით მზადდებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მიზანს ვეღარ მიაღწია, ვინაიდან აჯანყება თვით მონაწილეებმა გასცეს. საშინელი ტრაგედია დატრიალდა — დაიწყო სისხლიანი რეპრესიები. გარდა აჯანყების უშუალო მონაწილეებისა, დახვრიტეს სრულიად უდანაშაულო ხალხი, იმდროინდელი საუკეთესო ინტელიგენცია, სწავლული ახალგაზრდობა.

ჩვენ იმ ზაფხულს აბასთუმანში ვისვენებდით. მამას ჯერ შვებულება არ ჰქონდა, ამიტომ ყოველ კვირას ჩამოდიოდა, ტკბილეულობით დატვირთული. მერე კი იწყებოდა ზღაპრული მოგზაურობა — ექსკურსიები აბასთუმნის შემოგარენში. დილაადრიან ჯოხით ხელში, თავზე ქუდჩამოფხატულები, უფროსები და უმცროსები დავადგებოდით გზას. მამა ბავშვებს დაგვთვლიდა ხოლმე ყოველი შემთხვევისათვის. დედა ტასოსაც გვაყოლებდა, თვითონ და არჩილი კი სახლში რჩებოდნენ.

სად არ ვიყავით, რა არ ვნახეთ — ულამაზესი ზეკარის გადასასვლელი, ობსერვატორია ყანობილში, ადგილები, სადაც ქართველ მეფეებს გაუვლიათ და სხვა მრავალი. ბავშვები ვხარობდით ბუნების სილამაზით და სიდიადით, განსაკუთრებით ხარობდა ლევანი და აღფრთოვანებას პატარ-პატარა ლექსებში გამოხატავდა.

ხშირად მამას განგებ მივყავდით აბასთუმნის ულამაზეს შემოგარენში, რათა ლევანს ისევ ახალი ლექსი დაეწერა. ლევანი სულ უკეთეს და უკეთეს ლექსებს წერდა. პოეზია მადლია, რომელიც რჩეულებს ეძლევათ. ხარობდა მამა ლევანის შემხედვარე, კმაყოფილი იყო ლევანის მომადლებული ნიჭით, როგორც მხატვრობაში, ასევე ლიტერატურაში. ხშირად შეაქებდა და დაარიგებდა: — იცოდე, ცხოვრების მძიმე გზაზე სახელი შენ თვითონ უნდა მოიხვეჭო. მერე კი გულისტკივილით იტყოდა:

—ეჰ, ძალიან დაიჩაგრა ჩვენი არჩილი, როგორ გვაკლია მი-

სი ენამახვილობა, გამოცანები, მისი ჭკვიანური აზრები... მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ უკეთესად არის.

კვირა საღამოს ყველანი მამას გასაცილებლად მივდიოდით. ისიც დაწყნარებული ბრუნდებოდა თბილისში, უხაროდა, რომ არჩილს მზის აბაზანები ძალიან რგებდა ფეხზე და ჩვენ, ბავშვები ყველანი ჯანმრთელად ვიყავით.

1924 წლის 29 აგვისტოს, საღამოს, ჩვენს აივანზე დიდი ერიამული იყო, ჩვენი უფროსი ბიჭები — არჩილი, ლევანი, სანდრო და მათი თანატოლი მეზობლები გვიანობამდე ბანქოს თამაშს შეყვნენ, „დურაკად" დარჩენილს შუბლზე მურს უსვამდნენ, იყო ერთი სიცილი და ხარხარი.

დედას და ოჯახის უმცროს გოგონებს გვეძინა. დედა რაღაც ხმაურმა გამოაღვიძა. იქვე ტყის პირიდან უცნაური შრიალი შემოესმა. მერე ვეღარ დაიძინა და მთელი ყურთასმენა იქითკენ ჰქონდა. გამოირკვა, რომ ტყეში თურმე ჩეკისტები იყვნენ. ისინი ორ საათზე მეტხანს უთვალთვალებდნენ და ზვერავდნენ ჩვენს ბიჭებს. ბავშვების შეკრებას და ბანქოს თამაშს ეპვის თვალით უყურებდნენ, პოლიტიკური კრება ეგონათ.

თამაში დასრულდა თუ არა, ბავშვები წავიდ-წამოვიდნენ, ჩვენს ბინაში ჩაქრა სინათლე და ყველამ დაიძინა.

ცოტა ხნის შემდეგ 5 კაცი თავს დაგვესხა. დედას წარუდგინეს ჩვენი ბინის ჩხრეკისა და ლევანის დაპატიმრების ორდერი. თავზარი დაგვეცა, შეშინებული წამოვხტით, აკანკალებულები შევცქეროდით დედას.

— ლევანი 19 წლისაა, რას ერჩით, რა დააშავა,—გაჰკიოდა დედა. ხუთმა კაცმა მთელი ჩვენი ბარგი-ბარხანა რამდენჯერმე გადაატრიალ-გადმოატრიალა, ყველაფერს იატაკზე ყრიდნენ. მერე ოთახების და აივნის კედლები კაკუნით და ბრახუნით შემოიარეს, მაგრამ ვერაფერი იპოვეს. რაში იყო საქმე, არავის გვესმოდა.

ლევანი ფერწასული, შეწუხებული, გაკვირვებული და გასუსული იდგა. მამაც მოიკითხეს. ამან ყველა საშინლად აგვაღელვა, რა ვიცოდით, რომ სწორედ ამ დროს, თბილისში ჩვენს ბინაშიც ჩხრეკა იყო თურმე და მამა უკვე დაეპატიმრებინათ. დილის 5 საათზე ლევანი წაიყვანეს. აბასთუმანში მაშინ არც ციხე იყო და არც ჩეკა, ამიტომ ლევანი რომელიღაც საწყობში დაამწყვდიეს.

დილაუთენია დედა და ჩვენ, ბავშვები, ლევანის საძებნელად წავედით. მოსახლეობამ უკვე იცოდა, ვინ სად იყო დამწყვდეული.

ლევანი მალე ვიპოვეთ. შენობის კარებს, მართალია, გარედან დიდი ბოქლომი ედო, მაგრამ სრულიად ღია ფანჯარა ჰქონდა, ვიღაცას ფანჯრის ჩარჩოც კი გამოეღო.

ლევანს საჭმელი გადავეცით. დედა ძალიან სერიოზულად შეეკითხა — ხარ თუ არა რამეში ჩათრეულიო. ლევანმა უპასუხა, პოლიტიკური აჯანყების გაერთიანებულ ორგანიზაციაში არა ვარ, მაგრამ მეც აქტიური მონაწილე ვარ თავისუფალი საქართველოსი, სტუდენტურ შეკრებებზეც ხშირად ვყოფილვარო. დედამ დაარიგა, რომ ზედმეტი არაფერი ეთქვა. ლევანმა დაგვამშვიდა, მამა დაიფიცა, რომ გონივრულად მოიქცეოდა.

იმ ღამეს, გარდა ლევანისა, აბასთუმანში 200-ზე მეტი სტუდენტი და ინტელიგენციის წარმომადგენელი დაეპატიმრებინათ, განურჩევლად ასაკისა და ეროვნებისა. ისინი მილიციის დიდ ეზოში მოეგროვებინათ და გახაჩენის შესასრულებლად ემზადებოდნენ. აქ იყვნენ აბაშელი, რ. ვარდიაშვილი, პროფ. სერგო დანელია, გრიშა ხმალაძე, ლადო ნორაკიძე, კოწია კახიანი, საულ კვინიხიძე და ბევრი სხვა.

მიუხედავად ხალხმრავლობისა, ეზოში სამარისებური სიჩუმე სუფევდა. ყველა გულის ფანცქალით უცდიდა განაჩენს. ბევრი ვერც გარკვეულიყო — რაში ედებოდათ ბრალი.

ადგილობრივი მილიციის უფროსთან სირაძესთან სამეული ბრძანდებოდა. სამეულიდან ერთი ოსი იყო, მეორე კი — სომეხი. მათ უნდა გადაეწყვიტათ ამ ტუსაღების ბედ-იღბალი. ამ სამეულის ხელში იყო ქართველი ინტელიგენციის მომავალი, თბილისიდან მიღებული მითითება იუწყებოდა, რომ თბილისში ციხეების გადატვირთვის გამო იქ პატიმრები უნდა გადაეგზავნათ თანდართული სიის მიხედვით, დანარჩენების ბედი კი ადგილზე გადაეწყვიტათ — დაეხვრიტათ.

ასე შემზარავად, ყოველგვარი გასამართლების, დაკითხვისა და საქმის გარჩევის გარეშე ამ „შესანიშნავმა სამეულმა" პირდაპირ ადმინისტრაციული წესით ყველას დახვრეტა მიუსაჯა, როგორც სამშობლოს მოღალატეებს და პოლიტიკური აჯანყების მონაწილეებს. საუბედუროდ, იმ პერიოდში ადგილზე დახვრეტა სამეულის გადაწყვეტით თითქოსდა დაკანონდა კიდეც

და ზოგიერთ რაიონში, მაგალითად შორაპანში, ეს საშინელება სისრულეშიც მოუყვანიათ.

საცოდავი ხალხი უცებ წამოიშალა, აბობოქრდა, ზოგმა ყვირილი მორთო, რომ ის უდანაშაულოა და საერთოდ აჯანყების არსებობა არც იცის, ზოგმა ხმამაღლა ტირილი და მოთქმა დაიწყო, ზოგი კი ამ ცნობამ იმდენად შეაშინა, რომ გაშეშდა — არაფრის თავი არ ჰქონდა და ბედს მიენდო. საშინელი შიშის ზარი და მეხი დაეცა ყველას

ასე უეცრად დატრიალდა ტრაგედია. პატიმრებს გარშემო საკმაოდ ბევრი ხალხი — მშობელი თუ ნათესავი შემოეხვია. შიში, შეძახილები, უკმაყოფილება და გოდება ერთდროულად გაძლიერდა, მათი კივილი ცას სწვდებოდა. როგორ დამთავრდებოდა ეს ამბავი, არავინ იცოდა, ყველა შეძრწუნებული და გაგიჟებული იყო. ამ საშინელ ამბავს სულზე ჩამოუსწრო ახალციხის მაზრის მილიციის უფროსმა ღვამიჩავამ.

ყველას გასაკვირად იგი კეთილი და ღვთისნიერი კაცი აღმოჩნდა. ხალხი დააწყნარა. არავის არ სჯეროდა, რომ ამ დაწყევლილ დროს, ამ საშინელ დაწესებულებაში, შეიძლებოდა ვინმე ადამიანი და კაცური კაცი ყოფილიყო. ჩეკაში იმდენი უსამართლობა და წამება მძვინვარებდა, რომ ამის ჩადენა მარტო ჯალათებს შეეძლოთ. ხალხმა ისინი მართებულად მონათლა ჯალათებად.

ღვამიჩავამ დასახვრეტად გამზადებული პატიმრების საქმეები მოითხოვა. აბა, სად იქნებოდა ეს საქმეები, როდესაც არავინ არ იყო დაკითხული. მხოლოდ სია ჰქონდათ დასახვრეტად გამზადებულებისა. ეზოში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა პატიმარს თვალი ზეწოთ მიეპყრო. სირაძის კაბინეტიდან კი ჩხუბი და გინება ისმოდა, შემდეგ ღვამიჩავამ იქვე დაიწყო საქმეების გამოძიება და გარკვევა. ამას მოჰყვა პატიმართა უმრავლესობის განთავისუფლება. აბასთუმანში მყოფი მშობლებიც დაეხმარნენ თავიანთ შვილებს. ბევრი არასრულწლოვანი იყო. პატიმრობაში დატოვეს მხოლოდ 17 კაცი, მათ შორის ლევანიც. დედა ბევრს ეცადა ლევანის განთავისუფლებას, უმტკიცა, რომ ლევანი ჯერ ბავშვია, არავითარი ორგანიზაციის წევრი არ არისო. ღვამიჩავასაც ძალიან უნდოდა მისი განთავისუფლება, მაგრამ ვერაფერს გახდა, ვინაიდან დასატუსაღებელთა სია თბილისიდან იყო მიღებული, აბასთუ-

მანში მათი გაშვება-განთავისუფლება ვეღარ მოხერხდებოდა. ისინი თბილისში გასაგზავნად მოამზადეს.

თბილისში ამ დროს კი საყოველთაო დახვრეტა მძვინვარებდა, როგორც მთლიანად საქართველოში. ხვრეტდნენ ადმინისტრაციული წესით, ყოველგვარი საქმის გარჩევის გარეშე, რომელიღაც სამეულის ხელმოწერით.

დედამ სასწრაფოდ მამას დაურეკა სამსახურში. იქედან კი ცუდი ამბავი აცნობეს, რომ მამაც დაპატიმრებული იყო.

პირველ ხანებში დედა საშინლად შეწუხდა, დაიბნა კიდეც, არ იცოდა როგორ მოქცეულიყო და რა ექნა, მაგრამ მერე ჩვენ, ბავშვებს გადმოგვხედა და წამოიძახა: ბავშვებო, გამაგრდით! ახლავე უნდა ვიმოქმედოთ და ორივეს ვუშველოთ.

აბასთუმანში პატიმრებს შეძლებისდაგვარად ყველა ეხმარებოდა. ამ განწირულების თბილისში ადრე ჩასვლა გარდაუვალ სიკვდილს ნიშნავდა, ამიტომ ყველა ურჩევდა მშობლებს დრო მოეგოთ, ეტაპი ახალციხეში როგორმე რამდენიმე დღით შეეჩერებინათ. ამასობაში კი შესაძლებელია დასჯა-დახვრეტა შეწყვეტილიყო.

ახალციხეში ტუსაღები ღვამიჩავამ 3 დღე გააჩერა. როდესაც თბილისიდან ცნობა მოვიდა დახვრეტის შეწყვეტის შესახებ, ეტაპი ბორჯომში გადაიყვანა. იქ კი პატიმართა მშობლებმა ივაჟკაცეს, მემანქანეს შეუთანხმდნენ, ვითომ შეშა არ იყო საკმარისი მატარებლის წასაყვანად და თავადვე უნდა მოეჭრა შეშა ტყეში. მემანქანეც მაშინვე დათანხმებულა. ამ ბავშვების ცოდვაში ვერ გავერევიო. პატიმრებმა ბორჯომში 2 დღე და ღამე დაჰყვეს. ამასობაში ცენტრში მასიური დახვრეტა შეწყდა. ვინ მოთვლის, რამდენი უდანაშაულო მსხვერპლი გაიღო მაშინ საქართველომ...

რამდენიმე დღე გზაში ყოფნამ ეს ახალგაზრდები და მათ შორის, ლევანიც დახვრეტას გადაარჩინა.

თბილისში რომ ჩავედით, ქალაქში საშინელი ამბები ხდებოდა. ყველგან შეშინებული და გაუბედურებული ხალხი გვხვდებოდა, მწუხარებისაგან სახეგაშეშებულები ხმას ვერ იღებდნენ. ან ვინ გაბედავდა ხმის ამოღებას?

სახლში რომ მივედით, კარი დალუქული დაგვხვდა. მეზობლებმა გვიამბეს ჩხრეკის ამბავი. ისიც გვითხრეს, რომ ჩხრეკის

დროს ვერაფერი ვერ ნახეს, მაგრამ ბატონი პართენი მაინც დაატუსაღეს და ციხეში წაიყვანეს.

ძალიან ცუდი სახლის რწმუნებული გვყავდა, მრისხანე ჩეკისტის თვისებები ჰქონდა. ლევანმა მას რატომღაც „ვირთხა" შეარქვა, რწმუნებულს არაფრით არ უნდოდა ჩვენი სახლში შეშვება. გვიყვიროდა, რომ ჩვენ საწმობლოს მოღალატეები და მტრები ვიყავით.

დედამ ყური არ უგდო, იგი კარებს მოაშორა, ლუქი ააგლიჯა და ბავშვები სახლში შეგვიყვანა. კარები შიგნიდან მაგრად ჩაკეტა. ის კაცი აივანზე დიდხანს ბრაზობდა და ყვიროდა. ვის ჰქონდა მისი მოსმენის თავი! სახლში საშინელება დაგვხვდა, თითქოს აქ ადამიანები კი არა, ბარბაროსები ყოფილიყვნენ.

ყველაფერი იატაკზე იყო გადმოყრილი, ერთმანეთში არეულიყო დაჭრილი ლეიბებიდან გადმოყრილი მატყული, გაგლეჯილი ბალიშებიდან გამოცვენილი ბუმბული, საცვლები, გადახეული წიგნები, დამტვრეული ჭურჭელი, მთელი ავეჯი დაემტვრიათ. დედა ცხარობდა, ნეტავ ვიცოდე, რას ეძებდნენ ჩვენს სახლში, რომ ასე შეუბრალებლად გააპარტახეს ყველაფერიო.

— როგორ უნდა ვიცხოვროთ? — აღელვებული დედა ჩაგლეჯილ სავარძელში ჩაჯდა, ძალამ უღალატა, თვალები დახუჭა. უცებ წამოხტა, თურმე ზამბარა შეერჭო, ამან გამოაფხიზლა. მერე ჩვენ შემოგვხედა, შევეცოდეთ, თვალცრემლიანები, ისევ ბარგით ხელში ვიდექით, დაგვაწყნარა:

— ნუ გეშინიათ, ბავშვებო, მთავარია, რომ მამა და ლევანი სიკვდილს გადაურჩნენ და ცოცხლები არიან. ჩვენც ჯანმრთელად ვართ, არჩილს ფეხი ოდნავღა სტკივა. ახლა ეს მივალაგოთ. მამა რომ გამოვა, ყველაფერს ახალს შევიძენთო.

მეორე დღეს დედა ჩეკაში ამბის გასაგებად წავიდა. იქ ვერაფერს გახდა, მამის სამსახურს და ნაცნობებს მიაკითხა. ქალაქში არნახული, საშინელი შეშფოთება და მწუხარება მეფობდა, ხალხს ეშინოდა გარეთ გამოსვლა, ყველგან მწუხარება, გოდება და ვარამი იყო.

დედამ ძლივს გაარკვია, რომ მამა თურმე მეტეხის ციხეში იჯდა, ლევანი კი — ჩეკაში. ცოტა ხანში ლევანიც მეტეხის ციხეში გადაიყვანეს. საშინელ პირობებში მოხვდნენ. პატიმრების ტევა არ იყო. თითოეულ პატარა საკანში 8-9 კაცი იჯდა. ნარებ-

ზე 2-3 ტუსაღი ერთად იწვა. ეძინათ რიგრიგობით. საშინელი ჭუჭყი, ტილიანობა, შეხლა-შემოხლა მეფობდა. საკვების მხრივადაც ძალიან ცუდად ჰქონდათ საქმე. იყო დღეები, როდესაც შიმშილით იხოცებოდნენ. ასე გაგრძელდა 3 თვე, მერე საჭმლის გადაცემის ნება მოგვცეს. შემდეგ მამასაგან პატარა მანუგეშებელი ბარათიც მოვიდა, რომელმაც დედა დააწყნარა.

გავიდა 6 თვე, აღსავსე მორალური და მატერიალური გაჭირვებით. მაგრამ დედა სულ იმას ამბობდ, ჩვენი ოჯახი ბედნიერია, დიდ ვაიუბედურებას გადაურჩაო. ორივე — მამაც და ლევანიც ცოცხალია, ეს უნდა გვანუგეშებდეს მთელ ოჯახსო. მთავარია, სიცოცხლე იყოს, თორემ დანარჩენი ყველაფერი ასატანიაო. ცოტაც მოვითმინოთ. ჩვენც ხმას როგორ ამოვიღებდით, ვითმენდით ყველა გაჭირვებას.

სრულიად მოულოდნელად მეშვიდე თვეზე მამაც და ლევანიც ერთდროულად გამოუშვეს ციხიდან. ალბათ, მათ ვიღაც დაეხმარაო, ეუბნებოდა დედა. წარმოუდგენელმა სიხარულმა დაისადგურა ჩვენს სახლში. ყველა თავს დავტრიალებდით ორივეს, ვცდილობდით მათთვის ნორმალური ატმოსფეროს შექმნას. ძალიან გამხდრები იყვნენ, ჭუჭყიანები, ტილიანები და ჩამოფლეთილები, სხვის ტანსაცმელში გამოწყობილები, თავისი ტანსაცმელი გადასახლებაში გასაგზავნ პატიმრებს დაუტოვეს. მამა მეტად მოხუცდა, თვალები ჩაუცვივდა, სახე დაუნაოჭდა სიგამხდრისაგან, წვერი და თმა ძალიან გაუშაღარავდა. უძლურ მოხუცს დაემსგავსა. ეტყობოდა, რომ ციხეში ბევრი გადაიტანა. მამა ამბობდა: მე ლევანის ამბავმა დამაბერა და მომკლა, თორემ იქაურ გაჭირვებას გავუძლებდიო. სიცოცხლე დამელია, სანამ მის დახვრეტისაგან გადარჩენას გავიგებდიო.

ჩეკაში თურმე ორჯერ ზედიზედ შუაღამისას გააღვიძეს, წამოახტუნეს და შეცდომით წაიყვანეს დასახვრეტად ლევანის მაგივრად.

— ჯალათები საშინლად ჯავრობდნენ, რომ მე შევხვდი. ჩვენ ახალგაზრდა ლევან გოთუა გვინდა და არა მოხუციო. იმას აქვს დახვრეტა მისჯილიო. რომ გავიგე ასეთი განაჩენი, სიცოცხლე გავათავე. ვერ წარმოიდგენთ, რა დამემართა, გონება დამებნა, ისეთ სასოწარკვეთილებაში ჩავვარდი. გავშეშდი, ხმას ვერ ვიღებდიო. მერე სულ ჩემს თავს ვადანაშაულებდი, როგორ ჩამიწყდა ენა და ვერაფერი ვთქვი-მეთქი. როცა მეო-

რედაც იგივე გამეორდა და გამომძახეს, მაშინ ხმა ავიმაღლე, ჩეკისტებს ვემუდარებოდი, დახვრეტა ხომ თვლითა გაქვთ განსაზღვრული, თქვენთვის სულ ერთი არ არის, მე მომკლავთ თუ ჩემს შვილს? მის მაგივრად აგერ არა ვარ, მე მომკალით, ის ხომ ჯერ სულ ახალგაზრდაა და ამ ცხოვრების არაფერი იცის-მეთქი. რატომ, რისთვის მიესაჯა მას დახვრეტა? ვღრიალებდი და ვყვიროდი, რაც ძალი და ღონე მქონდა!

ჩვენ ყველანი გაშეშებული ვუსმენდით ამ ამბავს. საწყალი მამა! რა მძიმე ამბავი გადახდა თავს. კიდევ კარგი, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდა. ცოტა ხანში ჩვენი ცხოვრება ისევ ჩადგა კალაპოტში.

გავიდა ასეთი საშინელი 1924 წელი. უფროსი ბიჭები სტუდენტები იყვნენ, ჩვენ, გოგონები, ვცხოვრობდით დედისა და მამის განსაკუთრებული სიყვარულით გალაღებულები.

მამა ხშირად ესაუბრებოდა არჩილს და ლევანს საერთაშორისო მდგომარეობაზე. აფრთხილებდა ბიჭებს არაფერში გახვეულიყვნენ, რადგან რეპრესიები და გადასახლებები თბილისში კვლავ მძვინვარებდა და უბრალო ეჭვიც კი საკმარისი იყო. მამას არჩილისა არ ეშინოდა, ვინაიდან ფეხის ტკივილის გამო სულ სახლში იჯდა და წიგნებში იყო ჩაფლული. ლევანი კი სტუდენტებთან და ამხანაგებთან ერთად აქტიურობდა, შექმნილ მდგომარეობას ძლიერი აღელვებით განიცდიდა. მას სხვანაირად არც შეეძლო. არჩილს სულ რაღაცას ეჩურჩულებოდა.

გაზაფხულმაც უფერულად ჩაიარა. არჩილის ფეხის ტკივილი, პერიოდულად მისი გამწვავება, ყველას და განსაკუთრებით კი მშობლებს აწუხებდა, ხასიათს უფუჭებდა

ბიჭებმა კარგად ჩააბარეს საზაფხულო გამოცდები და ოჯახმა ზაფხულის არდადეგების გატარება ისევ აბასთუმანში გადაწყვიტა, მით უფრო, რომ არჩილის მტკივან ფეხს აბასთუმნის მზის აბაზანები ძალიან უხდებოდა.

ისევ ჩვენს ძველ აგარაკზე, ქვემო აბასთუმანში დავბინავდით.

არჩილი მკურნალობდა. ლევანს და სანდროს ახალი გატაცება დაეწყოთ — მსახიობობა. ამ წელს აბასთუმანში ჩამოსული იყვნენ ელო ანდრონიკაშვილი და შალვა დადიანი, რომლებიც პატარა სცენაზე დიდ და კარგ წარმოდგენებს დგამდნენ. ბიჭები აქტიურად მონაწილეობდნენ ამ წარმოდგენებში, ხან

პატარ-პატარა როლებს ასრულებდნენ, ხან სტატისტებად იყენენ და ხან კენჭისყრით, ვისაც შეხვდებოდა, მოკარნახედ სხდებოდნენ. აბასთუმანში ყველაფერი მშვიდად და კარგად მიდიოდა.

ისევ უბედურება, ისევ ლევანის უიღბლობა! ისევ აგვისტოს ერთ ღამეს გაჩხრიკეს ჩვენი სახლი. დაგვადგა ოთხი ჩეკისტი და ისევ აგვაწიოკეს. ჩხრეკა 3 საათი მიმდინარეობდა, მაგრამ ვერაფერი იპოვეს, ან რა უნდა ეპოვათ, არ ვიცოდით. მიუხედავად ამისა, ლევანი ისევ დააპატიმრეს და იმავე ღამეს თბილისს წაიყვანეს.

დედას თავზარი დაეცა. ბავშვებს დაგვტაცა ხელი და თბილისში დავბრუნდით.

ლევანი ამბობდა:

— ეს რა ჭირი მჭირს, ჯავახეთში ჩემი ჩამოსვლა ყოველთვის მარცხით მთავრდება, იქიდან სულ მთავრობის ხარჯით ვბრუნდები თბილისშიო! ეს ნამდვილად ასე იყო. ასე იყო 1924 და 1925 წელს, ასევე მოხდა 1946 წელსაც, რაზედაც დაწვრილებით ქვემოთ შევჩერდებით.

ლევანი თბილისში არ გაუსამართლებიათ. არც უთქვამთ, რაში ედებოდა ბრალი, „სამეულმა" მას 3 წლით ციხე მიუსაჯა შორეულ ციმბირში გადასახლებით.

ამჯერად სტუდენტთა რომელიღაც ოფიციალური ორგანიზაციის თავმჯდომარეობა დაბრალდა და როდესაც ამაზე ლევანმა მტკიცე წინააღმდეგობა გაუწია, ძალიან უბრალოდ უთხრეს: შენ, ბიჭო, არაფერში სანდო არა ხარ, საშშობლოს მტერი ხარო. საკუთარ, საბჭოთა ქვეყანაში ასე გამოაცხადეს მტრად და დიდი მწუხარება არგუნეს 19 წლის ბიჭს.

მამამ ბევრი იღონა, რომ ლევანისთვის ეშველა, სად არ მიაკითხა, ვის არ ეხვეწა. მაშინდელ მთავრობაში ბევრი ნაცნობიც ჰყავდა, სადაც სიმართლის პოვნას ლამობდა. დაპირება დაპირებად რჩებოდა. მამა დარწმუნებული იყო, რომ ლევანი უსაფუძვლოდ ისჯებოდა. გაიგო კიდეც, რომ მას არავითარი ბრალდება არ ჰქონდა დამტკიცებული. არც ჩხრეკის დროს უპოვიათ რამე საეჭვო. მამა ლევანს გაძმბედავ ბავშვად თვლიდა. იცოდა, რომ არც ერთ პოლიტიკურ ორგანიზაციაში არ იყო გაერთიანებული, მაგრამ იგი აღსავსე იყო საბრძოლო სულისკვეთებით იმ უსამართლობის წინააღმდეგ, რომელიც იმჯერად

საქართველოში ტრიალებდა. უკმაყოფილებას ხშირად ხმამაღლაც გამოხატავდა სტუდენტურ შეკრებებსა თუ მიტინგებზე.

მამა თბილისში ვერაფერს გახდა. მხოლოდ ის გაიგო, რომ „სამეულის" გადაწყვეტილებას მხოლოდ მოსკოვი თუ შეცვლიდა. ამრიგად, ლევანის ბედი რუსეთის ხელში აღმოჩნდა. იმ პერიოდში კი ძერჟინსკის პოლიტიკური ციხეების რეჟიმის გამკაცრებაზე დიდი შითქმა-მოთქმა ტრიალებდა: იქ მოხვედრას სიკვდილი სჯობიაო, წამების ახალმა ფორმებმა ძლიერ დაამძიმა პატიმართა ყოფაო.

საშინელ მდგომარეობაში ვიყავით. არჩილს ფეხი გაუშიზეზდა და მაღალი სიცხეები დაეწყო, ლევანი კი ასეთ დღეში გვეგულებოდა. მშობლებისთვის ორივე უფროსი ვაჟიშვილის ბედი გაურკვეველი ხდებოდა.

ლევანი თბილისში დიდხანს არ გააჩერეს და, სრულიად მოულოდნელად, ეტაპს რუსეთისაკენ გააყოლეს, როგორც საშიში პოლიტიკური მოღვაწე; ვერ მოხერხდა ვერც მისი ნახვა და ვერც თბილი ტანსაცმლის გადაცემა. ამრიგად, 1925 წელს 20 წლის ლევანისათვის დაიწყო მძიმე ტრაგედია: დედა იმასაც კი ეუბნებოდა მამას, შესაძლოა ვიღაცას ჩვენი ოჯახის ჯავრი სჭირსო და ამ ჯავრს ლევანზე იყრისო. წარუშლელი დაღი დაგვასვა უსამართლობამ, დაგვეუფლა საშინელი დარდი, განცდა, გულისტკივილი. საბოლოოდ საქმის გარჩევის იმედი მხოლოდ ოცნებად დარჩა.

საწყალი ჩვენი მშობლები ადგილს ვეღარ პოულობდნენ, დედა სულ თვალცრემლიანი იყო, მამა ცრემლს მალულად იწმენდდა, აღშფოთებული გულგატეხილი ამ მთავრობაზე.

სახლში დიდი მღელვარება სუფევდა, ყველა ლევანის წერილს უცდიდა.

1925 წლის სექტემბრის ბოლოს ძლივს მოვიდა მოსკოვის ციხიდან გამოგზავნილი ღია ბარათი.

21.IX.1925 წ., მოსკოვი.

„ჩემო ცარგებო! მოვაღწიე მოსკოვს, ОГПУ-დან გადამიყვანეს ბუტირკის ციხეში, საიდანაც, როდის არ ვიცი, ალბათ გრძელი გზა მელის. აქ რამდენ ხანს დავრჩები, არაფერი

რ ვიცი, არ გამოუცხადებიათ. აქ უკვე სიცივემ დაჰკრა, იქით ღიდი ზამთარი მელის. ამიტომ სასწრაფოდ გამომიგზავნეთ იბილები, შინელი, ყაბალახი, ჩემი თბილი ბლუზა და უბრალო ჩექმები. ვწუხვარ თქვენზე. შემომითვალეთ როგორ ხართ?

გზიდან მე შევძელი სამი წერილის გადმოგდება, ერთი ნავთლუღიდან, როსტოვიდან და მოსკოვიდან. პასუხი არ არის. ალბათ ვერ მიიღეთ. ჯანმრთელობით კარგად ვარ. მხოლოდ ვგრძნობ, რომ სიცივეს ჩრდილოეთში ვერ გავუძლებ თბილი ტანსაცმლის გარეშე. ამიტომ თბილების გამოგზავნას ნუ დააყოვნებთ, იქნებ მომისწროს, თორემ ასე ჩაცმული გავიყინები ალბათ. მოკითხვა ყველას. პასუხი დაიჩქარეთ.

გაოცნით თქვენი ლ ე ვ ა ნ ი".

წერილი შემოწმებულია ბუტირკის ციხის ცენზურით.

წერილის მიღებისთანავე მამამ ლევანს მოსკოვში სასწრაფოდ გაუგზავნა თბილი საცვლები, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და ფული. სახლში ვღელავდით, არ ვიცოდით, ჩვენი გაგზავნილი ამანათი ლევანს დროზე მიუსწრებდა თუ არა.

მამა გვამშვიდებდა, ლევანს ყველაფერი დროულად მიუვა, ბუტირკის ციხეში განგებ დატოვეს, აბა, ასე ჩაუცმელს სად წაიყვანდნენ და თვითონ კი რატომ გამოაწყობენო, ამიტომ დავწყნარდეთ, ნუ ვღელავთ და მეორე წერილს მოვუცადოთო.

როგორც მერე გამოირკვა, ჩვენმა ამანათმა ლევანს სწორედ სულზე მიუსწრო.

ლევანის გადასახლება მეხივით დაეცა ჩვენს ოჯახს. მშობლები ერთმანეთს თითქმის აღარ ელაპარაკებოდნენ. ჩვენც ყველანი ვდუმდით. ისეთ ზხიარულ ოჯახში, როგორიც ჩვენი იყო, სადაც სულ დაკვრა, სიმღერა, ცეკვა, ხიცილ-კისკისი ისმოდა, ხშირად უფროსების მხიარული შეკრება იმართებოდა, ბიჭების ამხანაგების ყიჟინა იდგა, ძმიმე მღუმარებამ და მწუხარებამ დაისადგურა. სად წაიყვანდნენ ლევანს, ჯერავინ იცოდა. მეორე წერილმა კი ძალზე დაიგვიანა. გულის ფანცქალით ველოდით რაიმე ცნობას. მღელვარება დღითი დღე მწვავდებოდა.

დედამ მამას დაუწყო საყვედურები, ლევანის ვერაფერი

ვუშველეთ, აქ არჩილის მდგომარეობაც დამძიმდა, ორივე ჩვენი უფროსი ვაჟიშვილი, ჩვენი ოჯახის სიამაყე, სიკეთე, ჩვენი დასაყრდენი და ბურჯი განცდაშია. გესმის თუ არა, ჩვენი ოჯახის ყოფნა-არყოფნის პრობლემა დგება. მე უკვე მოთმინება აღარ მყოფნის! რამე მოიმოქმედე — მოიკრიბე უკანასკნელი ძალ-ღონე და ავტორიტეტი!

მამამ ბევრი იფიქრა, ბევრი იწვალა, ვინ არ შეაწუხა, ვისთან არ დაიმცირა თავი, ვის არ მიმართა თხოვნით, მაგრამ ყველაფერი უშედეგოდ... ჩვენთვის ყველაფერი გადაიწურა.

ბოლოს მამა დარწმუნდა, რომ თბილისში ლევანის საქმე აღარ გაკეთდებოდა და დაიწყო მოსკოვის სხვადასხვა ინსტანციაში თხოვნის წერა. გაახსენდა ძველი ნაცნობი — აბელ ენუქიძე და გადაწყვიტა მისთვის მიეწერა. მართალია მამას ლევანის საქმეში აბელის მოხმარების იმედი დიდად არ ჰქონდა, მაგრამ, როგორც იტყვიან, ცდა ბედის მონახევრეაო, ყველაფერი დაწვრილებით მისწერა და სთხოვდა, როგორმე შეემსუბუქებინათ მაინც ლევანისთვის სასჯელი.

გავიდა რამდენიმე ხანი. ლევანის მეორე წერილი იგვიანებდა. მამას ერთ-ერთ შეკითხვაზე, თუ სად გაიგზავნა გადასახლებაში ლევანი, მოსკოვიდან მოვიდა პასუხი, რომ გადაგზავნილია სოლოვეცკის კუნძულზეო.

ცოტა ხანში მამას უკვე ხელთ ჰქონდა ლევანის ახალი სამყოფელის ყველა ცნობა.

სოლოვეცკის კუნძულები, სადაც ლევანი ქართულ ჯგუფთან ერთად გადაასახლეს, შორეულ ჩრდილოეთშია, თეთრ ზღვაში, დვინისა და ონეგის უბეებს შორის.

თეთრი ზღვა კი ჩრდილო ყინულოვან ოკეანესთან დაკავშირებულია ბარენცის ზღვით. მოკლედ, ეს კუნძულები ზღვათა საშყაროშია. სოლოვეცკის 6 კუნძული ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. საერთო ფართობია 347 კვ. კილომეტრი. კუნძულების რელიეფი ბორცვიანია. სიმაღლე ზღვის დონიდან 107—108 მეტრი. კუნძულების დიდი ნაწილი შემოსილია ასწლოვანი ფიჭვნარ-ნაძვნარით. ბევრი ტბა ჩაჭაობებული და სახიფათოა.

სოლოვეცკის კუნძულზე XV საუკუნის 20—30 წლებში დაარსდა მსოფლიოში უდიდესი მამაკაცთა რუსული მონას-

ტერი, რის გამოც ამ კუნძულებს შეერქვა სოლოვეცკის მონასტრის სახელწოდება.

1584—1594 წლებში ოსტატმა ტრიდონმა აქ ააშენა სუროთმოძღვრული საეკლესიო მშენებლობის უნიკალური კომპლექსი. უსტინსკისა და პრეობრაჟენსკის სახელობის ტაძრები დღესაც საუკეთესო არქიტექტურულ ნიმუშს წარმოადგენს. აქვე აშენდა მიძინების, ფერისცვალების და ხარების ეკლესიები, სადაც შესაბამისი ლოცვა-კურთხევა აღევლინებოდა ეკლესიებიდან. იქვე პატარა, მაგრამ ბევრის მომსწრე სამრეკლოა აღმართული. იმ იდუმალ სამფლობელოში ყოველი ჩამოკრული ზარი ლოცვის მაუწყებელი იყო. უდროო დროსაც ისმოდა ხოლმე ზარების შემზარავი რეკვა მძიმე ამბის მომასწავებლად...

კომპლექსის ცენტრში დგას დიდი ადმინისტრაციული შენობა უშველებელი სატრაპეზოთი. მას კრემლს უწოდებენ. უფრო მოშორებით გაუთლელი ქვის დიდი ლოდებით აშენებული, ქვის ძუნწი ავეჯით მოწყობილი ბერების საცხოვრებელი საკნებია.

ამ საცხოვრებლის ქვევით კი პატარა, ბნელი სარდაფებია, რომლებიც შემდგომ კარცერებად გამოიყენეს. თავის დროზე ალბათ ეს მდუმარე ქვებიც კი მძიმედ გუგუნებდნენ და ქვითინებდნენ იქ დატრიალებული ტრაგედიისა და ადამიანთა წამების გამო.

მთელი ეს ტერიტორია შემოფარგლულია მაღალი, საკმაოდ განიერი, დაუმუშავებელი ქვისაგან აშენებული, უშველებელი კედლით, რომლის სიმაღლე 8—11 მეტრია, სიგანე — 4,5 მეტრი.

ამ კედლის ყოველ კუთხეში აზიდულია მრგვალი ფორმის საკმაოდ მაღალი კოშკურები, საყარაულოები და სათვალთვალოები.

კედლებში ჩატანებულია 7 რკინის კარი, გამაგრებული ჯაჭვით. ამრიგად, ეს ნაგებობა მძლავრ ციხესიმაგრეს წარმოადგენს.

ამასთან ერთად ერთობ მიუვალია, რადგან ამ კუნძულების სანაპირო ხაზი ღრმადაა შეჭრილი ზღვაში და გამაგრებულია კილომეტრიანი დამბითა და 6,5-მეტრიანი სიმაღლის კედლით. მონასტერში შესვლა შეიძლება მხოლოდ ზღვიდან მი-

წისქვეშა გასასვლელებითა და რაბის კარიბჭეებით, საიდანაც ამ ტერიტორიაზე ნავები და პატარა გემები შედის. აქ ყველა საკულტო ნაგებობა ერთ ღერძზეა განლაგებული და ერთმანეთთან დაკავშირებულია შუშაბანდებითა და გადახურული გრძელი გადასასვლელებით.

სოლოვეცკის მონასტრისაკენ მისასვლელი ზღვის გზა ზამთარში იკეტება და ნავიგაციის გახსნამდე მიმოსვლა შეწყვეტილია. შემდგომში მონასტერი დაიხურა და მისი მთავარი შენობა (ადმინისტრაციული) ციხედ გადაკეთდა.

XIX საუკუნიდან სოლოვეცკის მონასტერი რუსეთის იმპერიის ციხედ, პოლიტიკური პატიმრების იზოლაციის საშინელ სამყაროდ და წამების ადგილად იქცა. ფანჯრებს ააკრეს რკინის ბადეები, ხის კარებები შეცვალეს რკინის ცხრაკლიტულებით. გამოხვრიტეს სათვალთვალოები. ქვის საკნები კი საჯარიმო იზოლატორებად გამოიყენეს და „შიზო“ შეარქვეს („Штрафной изолятор“).

აქ აწამებდნენ პატიმრებს მორალურად თუ ფიზიკურად. სოლოვეცკის მონასტრიდან თავის დაღწევა თითქმის შეუძლებელი იყო. აქედან გაქცევის ცდა თვითმკვლელობას ნიშნავდა. ვინ მოთვლის,რამდენმა სასიქადულო ადამიანმა ჰპოვა ამ შიწაში თავისი სამუდამო განსასვენებელი...

საბჭოთა ხელისუფლების დროს სოლოვეცკის მონასტერი პოლიტიკური პატიმრების უსასტიკესი საპყრობილე გახდა. ამასთან ერთად აქ უყრიდნენ თავს რეაქციონერებსაც, მკვლელებსაც და გამოუსწორებელ კანონიერ ქურდებსაც.

მაგრამ ბევრი უდანაშაულო პოლიტიკური პატიმრისათვის სოლოვეცკის მონასტერში გადასახლება თითქმის ღვთის წყალობა იყო — მათ ხომ დახვრეტა შეუცვალეს აქ გადასახლებით. უხაროდათ სიცოცხლის შენარჩუნება. სიცოცხლე იყოს, თორემ მძიმე პირობების ატანა შეიძლებოდა, იმედოვნებდნენ ახალჩამოსულები. რას მოიფიქრებდნენ, რომ სწორედ აქ ელოდათ უმძიმესი მორალური თუ ფიზიკური გამოცდა, შიმშილი, სიკვდილი... როცა ლევანის სოლოვეცკის კუნძულებზე გადასახლების ცნობა მივიღეთ, ოჯახში დიდმა მწუხარებამ დაისადგურა.

მამა ადგილს ვერ პოულობდა. დარწმუნებული იყო, ლევანი უდანაშაულოდ დაპატიმრეს. მიზეზი ვერ გაერკვია, მის

მოქმედებაში ამის საბაბს ვერ ხედავდა. მარტო იდეისთვის, ლაღი აზროვნებისა და ახალგაზრდული შემართებისათვის დაპატიმრება ვერ წარმოედგინა. მეორე მხრივ მამა ხშირად იხსენებდა, რომ ლევანის პირველი ხანმოკლე პატიმრობისას, როცა ის, მამა, არჩილი და ქორწილიდან წამოყვანილი რამდენიმე სტუმარი ჩეკაში მიიყვანეს, რაღაც წიგნში მარტო ლევანი ჩაწერეს და პატარა ანკეტაც შეავსებინეს. მაშინ მამას ამისთვის არ მიუქცევია ყურადღება, ლევანი ხომ მხოლოდ 17 წლისა იყო. მეორეჯერ რომ დააპატიმრეს და აბასთუმნიდან წამოიყვანეს, ისევ აღრიცხეს. ჩეკას ციხეში რომ იჯდა, დახვრეტაც კი ჰქონდა მისჯილი, თუმცა, ექვს თვეში გამოუშვეს და მაინც ლევანი ორჯერ იყო აღრიცხული. შესაძლოა ეს ორი ჩანაწერი სრულიად საკმარისი იყო მის დანაშაულში ეჭვის მისატანად, მით უფრო, რომ ლევანი თავისი თანატოლებისაგან მნიშვნელოვნად გამოირჩეოდა ნიჭით, აზროვნებით, გამბედაობით და ბევრი სხვა კაცური თვისებით. ეს კი იმ დროს ახალგაზრდა სტუდენტის დასაპატიმრებლად სრულიად საკმარისი პირობა იყო. უბრალოდ, დააცალეს, რომ ლევანი სრულწლოვანი გაზდარიყო, მერე დასტაცეს ხელი და ყოველგვარი დაკითხვისა და გასამართლების გარეშე ასე შორს გადააგდეს

მამამ ვეღარ მოისვენა. სად არ იარა, ვინ არ შეაწუხა, სულ ჩეკას კარებთან იყო ატუზული, მაგრამ ამაოდ. მერე ფული და ამანათი სოლოვკებშიც გაუგზავნა. სულ იმას გაიძახოდა აღელვებული და ანერვიულებული: სანამ ლევანს ეტაპით ჩრდილოეთში ჩაიყვანენ, ჩვენი გაგზავნილები იქ დახვდება, ძალიან გამოადგება და გაახარებსო. მერე დედას, არჩილს, სანდროს და თინას წერილები დააწერინა.

დედას სოლოვეცკის მონასტრის მისამართის სისწორეში ეჭვი ეპარებოდა და არც ჰქონდა იმედი, რომ ლევანთან წერილები ჩააღწევდა, მაგრამ მამას ხასიათი არ გაუფუჭა და შვილს რამდენიმე წერილი მისწერა.

ჩვენს ოჯახში ყოველდღე, ყოველ საათს და ყოველ წუთს ლევანზე იყო ლაპარაკი, წუხილი და ტირილი. ტასო გლოვობდა. ის და დედა, მარტონი დროს რომ იხელთებდნენ, იცრემლებოდნენ და გულის ფანცქალით უცდიდნენ წერილებს. არჩილი თავის ოთახში წიგნებში იყო ჩაფლული. ნერვიულობისაგან ჭრილობა სტკიოდა და ლოგინიდან იშვიათად დგებოდა.

ჩვენთან არავინ აღარ მოდიოდა. ყველა შეშინებული იყო. ეს არც არის გასაკვირი, — ამბობდა მამა, — ქალაქში არანორმალური ვითარებაა. დაჭერები მიმდინარეობს. აპატიმრებენ ღირსეულ თანამემამულეებს (ინტელიგენციას, სტუდენტებს, სპობენ უდანაშაულო ხალხს. ბევრი ქართული ღირსეული ოჯახი დაარბიეს. ბევრიც დააშინეს, კარჩაკეტილ ცხოვრებაზე გადაიყვანეს, ცხვირის გარეთ გამოყოფისაც კი ეშინიათ.

ხალხში გავრცელებული ბერიას დებულება ყველას შიშს ჰგვრიდა: შემაძრწუნებელი ფაქტია ის გარემოება, რომ საქართველოს რესპუბლიკაში განსწავლული, უმაღლესი ცოდნით, დიდგვაროვანი და ინტელიგენტი მნიშვნელოვნად სჭარბობს სხვა რესპუბლიკის მცხოვრებლებს, ამიტომ წონასწორობის დამყარების მიზნით საჭიროა მექანიკური შემცირება, მოსპობა და მათი პროცენტული გათანაბრებაო. ეს საშინელი აქცია ყოველგვარი სინდისის ქენჯნისა და პასუხისმგებლობის გარეშე მიმდინარეობდა და შიშის ზარს სცემდა მოსახლეობას.

ახალმა, 1926 წელმაც ნოგვიკაკუნა.

ჩვენს ტრადიციულ სტუმართმოყვარე ოჯახში, სადაც დღესასწაულების გადახდა ზეიმი იყო, ამჯერად კალანდობამ ფერმკრთალად ჩაიარა. განსაკუთრებით ახალ წელს ყოველთვის სამაგალითოდ ვზეიმობდით. ახალი წლისათვის მზადების ფუსფუსი ადრე იწყებოდა ზოლმე. უშველებელ, ნამდვილ ნაძვის ხეს, რომლის წვერი ჭერს ებჯინებოდა და დიდ ოთახს თითქმის მთლიანად იკავებდა, ლამაზი სათამაშოებით ვრთავდით. ამასთან სდევდა დიდი ერიამული და სიხარული. საგანგებოდ ვპატიჟებდით მამიდაშვილებს და ახლო ნათესავებს. ბავშვებისათვის საჩუქრებიც წინასწარ იყო მომზადებული, ვის რა სჭირდებოდა, იმის მიხედვით, გოგონებს ახალი კაბები და თოჯინები, ბიჭებს ბლუზები და წიგნები, ფეხსაცმელი — ვისაც არ ჰქონდა, უზომოდ ბევრი კანფეტიც.

ახალი წლის ღამეს სათანადოდ მოკაზმული „თოვლის ბაბუა" გამოგვეცხადებოდა ზურგზე დიდი ხურჯინით და შიგ საჩუქრებით. იყო სიხარული და ბედნიერება. სუფრა მუდამ სავსე იყო გემრიელი ქართული კერძებით, ტკბილეულობით და უამრავი გოზინაყით.

მერე იწყებოდა ბავშვების შეჯიბრი ლექსის თქმაში, დაკვრაში, ცეკვაში, სიმღერაში, მხიარულებაში, რომელშიაც ყო-

ველთვის უფროსებიც იღებდნენ მონაწილეობას. მამა პატარა ბავშვებთან ერთად ნაძვის ხის გარშემო ტრიალებდა, დედა უკრავდა და ამღერებდა უფროს ბავშვებს. ლევანი და სანდრო სავიოლინო კონცერტს მართავდნენ, თინა უკრავდა და ცეკვავდა, არჩილი გამოცანებს ამბობდა.

ლექსებით ლევანი ყველას სჯობნიდა. მამა იმასაც კი აქცევდა ყურადღებას, რომ ლევანი უკვე თავის საკუთარ პატრიოტულ ლექსებს ამბობდა. ჩვეხი ტასოც ცეკვავდა და თავის რაჭულ სიმღერებს გვასწავლიდა. ასე გრძელდებოდა შუაღამემდე.

დილიდანვე იწყებოდა სტუმრიანობა და მოლოცვები, ვინ არ მოდიოდა. აქ იყვნენ ნათესავები, მეგობრები ზოგი დედამამის, ზოგი ბიჭების, ზოგიც გოგონების. საღილის შემდეგ კი მამა მოგვკიდებდა უმცროს ბავშვებს ხელს და სტუმრად წაგვიყვანდა, უფროს ბავშვებს ნება ეძლეოდათ ვისაც სად უნდოდა, იქ წასულიყო. არაფერი ამდაგვარი ამ წელიწადს აღარ გვქონდა. ადრე დავიძინეთ, უფროსებს არაფრის თავი არ ჰქონდათ, უმცროსები კი მათ შევცქეროდით.

გავიდა რამდენიმე მტკივნეული მძიმე თვე და, აი, ძლივს გამოიდარა ჩვენთან ოჯახში — დიდი დაგვიანებით მოვიდა ლევანის პირველი წერილი სოლოვეცკის კუნძულებიდან.

„სოლოვეცკის კუნძულები.

2.II.1926 ;.

ს ა ყ ვ ა რ ე ლ ო მ შ ო ბ ლ ე ბ ო!

როგორც წინა წერილში გწერდით, ყინულმჭრელმა სოლოვეცკის კუნძულებზე, ყოფილ კაცთა მონასტერში, სადაც ეხლა სასტიკი ციხეა, ძლივს ჩამოგვიყვანა და ყინვაში დაგვტოვა. ისტორიულად ძველ-დიდებულმა ციხესიმაგრემ, ამჯერად ჩაფოხილმა, გაპარტახებულმა და ჩაშავებულმა ბანაკმა, მძიმე შთაბეჭდილება დამიტოვა. მე-12 ასეულის სარდაფებმა, სადაც მე მოვხვდი, ჩემი ბედის დაცინვა და უკუღმართობა მაგრძნობინა. გაძლებაზე

და არსებობაზე სასტიკად ჩამაფიქრა და დამბოლმა. ვერც კი წარმოიდგენთ, აქ რა ხდება. ეს ყოველივე ამქვეყნიური არ არის. დაწვრილებით მერე მოგწერთ, ჯერჯერობით მთლიანად მე თვითონ ვერ გავერკვიე ამ ჯოჯოხეთში. თქვენი გამოგზავნილი ფული მივიღე, გაზეთის 7 ნომერიც გადმომცეს. ერთდროულად მივიღე დედის, სანდროს წერილი და ცარიელი კონვერტი ცნობით, რომ არჩილის წერილი ცენზურამ არ გაატარა. ნეტაი რას მწერდა ისეთს.

ჩემი ცხოვრება სოლოვკებში მძიმედ ეწყო. მიმდინარეობს ჩაუამებულად, ერთფეროვნად და დაწვრილმანებით. ჩემს ჯანმრთელობას ნუ იჯავრებთ. ჯერჯერობით არსად არ ვმუშაობ. მასვენებენ. ქართველი ბიჭები ერთმანეთს ვეხმარებით, სხვანაირად აქ არ შეიძლება. ჩრდილოეთის პატარა უბის საქართველოში ჩვენ ჩვენი დევიზი გვაქს: ურთიერთგამაგრება, დახმარება, ერთ მუჭად შეკვრა. მძიმე დუხჭირის გადატანა და, რაც მთავარია, სიცოცხლის შენარჩუნება. დედას წერილმა მე ძალიან გამახარა. დედა, გენაცვალე, მე ვგონებ დავბრძენდი და პატიმრული გამოცდილებაც შევიძინე. აქ ბევრი მოულოდნელი წვრილმანი მხვდება, რომელიც დიდ მოვლენებში გადადის და ძნელად ასატანი ხდება. მაგრამ მე ვიტან ყველაფერს. აქ საჭიროა ცუდის მიჩვევა და მძიმეს ატანა, რაც ჩემთვის ხშირად მეტად ძნელია. ამას ვერც კი წარმოიდგენთ.

დედა, კიდევ ერთხელ გთხოვ, ჩემზე ნუ იდარდებ. ამ პატარა დროის მონაკვეთში მე ბევრი რამე ვისწავლე, მე გავხდი ისეთი პრაქტიკოსი, რომ თვითონ მიკვირს. ჩაცმული ვარ საგრძნობლად თბილად. ვკოცნი თამრიკოს და მზიკას. დიდი სალამი მაროს და ალიოშას, აგრეთვე ამხანაგებს, რომლებმაც დაივიწყეს კიდეც ჩემი არსებობა.

მოკითხვა იასესაგან.* ის თანდათანობით გამოკეთდა. ნერვები მალე სულ დაუწყნარდება, სისუსტემაც თითქმის გაუარა.

---

* იასე ფავლენიშვილი, არჩილის მეგობარი, გადასახლებაში ლევანთან ერთად იყო.

სოლოვკების ბანაკებში ერთმანეთში არეულია ყველა პატიმარი — პოლიტიკური თუ სისხლის სამართლის დამნაშავე. თითოეული პიროვნება გადახეულია, როგორც ჩვენი ცხოვრება. საერთოდ სრულებით მოწყვეტილი ვართ გარე სამყაროს, ვნახოთ, რას მოგვცემს 1926 წელი. უიმედონი, მაინც გულის სიღრმეში სადღაც უჩუმრად მცირედი ჩაქსოვილი იმედით ვცხოვრობთ მომავალზე და სიკეთეზე.

როგორც ყოველთვის, შევხვდი ახალ წელს, მართალია, უგზნინაყოდ, უქონო ნიწიბურის ფაფითა და მტკნარი წვენით, მაგრამ მომავლის იმედით.

ახალ ადგილზე კლიმატი ახლა შედარებით რბილია. ამბობენ, რომ აქ გაზაფხულია ძალიან ნესტიანი და სახიფათო ჯანმრთელობისათვის. ეს ყველაფერი უბრალოებაა, ოღონდ და იყოს საკვები.

ყველას სალამი და მოკითხვა. გკოცნით.

თქვენი ლევანი".

წერილი შემოწმებული იყო ცენზურის მიერ. ჰქონდა ოთხკუთხედი შტამპი, ხელს ვინმე ტაბიძე აწერდა.

აშრიგად ,ლევანი აგვისტოს ბოლოს, 1925 წელს დააპატიმრეს, სექტემბრის დასაწყისში მოსკოვის ბუტირკის ციხეში მოხვდა. იქ დაჰყო 2 თვემდე და შემდეგ ეტაპით მძიმე, წვალების გრძელი გზა გაიარა მოსკოვიდან — სოლოვეცკის კუნძულებამდე.

ლევანისგან მიღებულმა წერილმა ცრემლიანი სიხარული მოგვიტანა. წერილმა გვამცნო, რომ ლევანი ჯანმრთელად იყო. სანუგეშო იყო ის გარემოებაც, რომ გადასახლებული ქართველები ერთმანეთს ეხმარებოდნენ და ხელს უწყობდნენ დუხჭირი ცხოვრების შემსუბუქებაში.

დედა საშინლად წუხდა ლევანზე. მის გადასახლებას ვერ ეგუებოდა. 20 წელს მიღწეული ისეკ ბავშვად მიაჩნდა და ყველაფრისა ეშინოდა. საშინლად აწუხებდა გადასახლების ადგილის სიშორე.

— რაღა ლევანს გამოუნახეს ეს სოლოვეცკის კუნძულები, რომელიც საქართველოდან ათი ათასი და უფრო მეტი კილომეტრით არის დაშორებული. ამით მისთვის ყოველგვარი დახ-

მარების საშაულება შეგვიზლუდეს. ის კლიმატური პირობებიც შეიძლება საბედისწერო გახდეს ლევანის ჯანმრთელობისათვის. შემზარავი ყინვა, თოვლი და ქარბუქი თბილი ჰავის პირობებში გაზრდილი ბავშვისთვის ძალზე მძიმე გადასატანი იქნება. რაც მთავარია, ციხის მძიმე ცხოვრება და კვება ხომ სულ დააუძლურებსო. მამა აწყნარებდა დედას, — ლევანი ჯანმრთელი, უშიშარი და გამბედავია, არ ეს თუ ისე განებივრებული, ამიტომ მძიმე პირობებს შეეგუებაო. ეს მისი მძიმე ცხოვრებისეული გამოცდაც იქნებაო. ნამას ყველაზე უფრო იმის ეშინოდა, ლევანი როგორ შეეგუებოდა პატიმრებს, რომელთა გარემოცვაშიც ის მოხვდა.

რამდენიმე ხანში დედის სახელზე ლევანის წერილი მოვიდა.

„სოლოვეცკის მონასტერი.

22.V.1926 წ.

„საყვარელო დედა! მივიღე შენი წერილი დიდი დაგვიანებით. ძალიან მაწუხებს არჩილის ავადმყოფობა. დაწვრილებით შემატყობინეთ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. აგრეთვე შემატყობინეთ ბებია გოგოლას მდგომარეობა. მე ჯანმრთელად ვარ. სამუშაოზე დანიშნული ვარ, მაგრამ ჯერ არ ვმუშაობ, მასვენებენ. სრულიად გამოვჯანსაღდი. იასესაც მისმა პირველმა ნერვიულმა აშლილობამ უკვალოდ გაუარა. მუშაობიდან ის საერთოდ განთავისუფლებულია. ამიტომ გადაეცით მის დედას — იასეს ჯანმრთელობაზე ნუღარ იჯავრებს. წერილებს გიგზავნით ძალიან ხშირად, თითქმის ყოველ კვირას. რატომ თქვენ მათ არ ღებულობთ, არ ვიცი, თავისუფალი დროც ბევრი მაქვს, დავიწყე ფრანგული ენის გამეორება-შესწავლა.

როგორ ყარიან მზია და თამრიკო. რატომ თინა არ მწერს.

თქვენი წერილები გადმომცეს, მიუხედავად მისამართის შეცვლისა. საერთოდ მე-12 ასეულიდან, ამ ბაშინე-

ლებიდან, სადაც ჩამოსვლისთანავე მოვხვდი, კარგა ხანია ცოცხალი თავით ძლივს დავაღწიე. ახლა მე-8 ასეულში ვარ, უკეთეს პირობებში. ამიტომ ამ მისამართით მომწერეთ წერილი.

ხმელეთთან მიმოსვლა ძალიან გაძნელებულია, მთელი თვეობით არ არის ფოსტა. ამინდი აქ მეტად ცვალებადია, ხან ქარბუქია და ხან დიდი შეთბურებაა. სულ სახლზე, თქვენზე და ჩემს სამშობლოზე ვფიქრობ. ძალიან მომენატრეთ ყველა. რატომ გავიწირე ასე მკაცრად, არ ვიცი. სულ სხვა სამყაროში ვარ მოხვედრილი. ჩვენებური ყველაფერი მაინტერესებს, ავი თუ კარგი. ბევრის მოწერა მინდა, მაგრამ მაინც ცენზურა არ გაატარებს, ამიტომ უმჯობესია სიდინჯე.

საერთოდ, საკვირველი რამაა ეს საკონცენტრაციო ბანაკი. აქ განსაცვიფრებელი და აუტანელი - შერწყმაა „დროსტარებისა" და ადამიანთა ტრაგიკული ბედისწერისა.

მამა ალბათ ისევ ბევრ შრომაშია.

ერთი ვაჟიშვილი მძიმე ავადმყოფია, მეორე კი გადასახლებაში, მაგრამ რა ჰქნას. იმედია ახლო მომავალში ორივე ვაჟიშვილი ამაგს გაათკეცებით გადავუხდით.

ვიმედოვნებ მომავალში ყველაფერი უკეთესობისაკენ წავა.

ამბავი საქართველოდან ჩვენამდე ძალიან იშვიათად მოდის. ისე კი ყველაფერი მაინტერესებს. გაზეთ „კომუნისტის" მარტო 6 ნომერი მივიღე, მომწერეთ ხშირად წერილები. თურმე ეს აქ როგორ აუცილებელია. ხასიათზე მაინც მხნედ ვარ, მოუთმენლად ვუცდი ნავიგაციის გახსნას, როდესაც ჩვენ ისევ შევუერთდებით პლანეტას, რომელსაც მიწა ჰქვია. და თუ ეხლა გარიყულები ვართ, მერე ტანჯული მიწის შვილები ვიქნებით. მისამართი ძველია, სოლოვკები, მე-8 ასეული.

ყველას, ყველას, ყველას სალამი და კოცნა.

ლ ე ვ ა ნ ი.

არჩილის ჯანმრთელობის შესახებ მომწერეთ დაწვრილებით. მან თვითონ მომწეროს.

ვკოცნი მზიკას და თამრიკოს. სანდროს გადაეცით, რომ მან შეინახოს ჩემი ლექსები.

ლ ე ვ ა ნ ი."

მეორე წერილის მიღების შემდეგ ოჯახში მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორდა. ლევანის მხნედ და ჯანმრთელად ყოფნამ მშობლებზე დამაწყნარებელ მალამოსავით იმოქმედა.

მთავარია ლევანი მხნედ და ჯანმრთელად იყოს, — გულისტკივილით იმეორებდა მამა, — ლევანი ძლიერი ვეკაცია და პატიმრულ დუხჭირ ცხოვრებას ადვილად გაუძლებს, სიძნელეებსაც იოლად გადაიტანს.

მამამ ისიც გაიგო, რომ სოლოვეცკის კუნძულებზე ბანაკებში, მძიმე პირობების გამო, ვადის დაფარვაში შელავათი იყო — იგი ნახევრდებაო. ამიტომ ლევანი იქედან მალე დაგვიბრუნდებაო, გულს იკეთებდნენ მშობლები. ლევანი ხომ ციხის ტერიტორიაზე თავისუფლად დასეირნობდა, არ მეშაობდა და ფრანგულ ენას დაეწაფა, ამას მშობლები რაღაც შელავათებს მიაწერდნენ, თუმცა ძალიან კი უკვირდათ: პირდაპირ საკვირველია ლევანის შელავათები იმ დროს, როდესაც ბანაკში მძიმე ფიზიკური შრომაა ყველა პატიმრისათვის აუცილებელი. ლევანი ჭკვიანი ბიჭია, წერილებშიც თავშეკავებულია- არ იწერება ბანაკის საჭირბოროტო, მტკივნეულ ამბებს. იცის, რომ ამას ცენზურა არ გაატარებს და, რაც მთავარია, ჩვენ გულს არ გვიხეთქავს. თორემ ვინ არ იცის, თუ იქ რა ცეცხლი ტრიალებს.

იქ, სამშობლოს მიღმა, საქართველოსადმი ლევანს კიდევ უფრო გაულვივდა ცნობისმოყვარეობა. მას ყოველგვარი წვრილმანი აინტერესებდა. პატიმრებისგან ბევრი რამ გაიგო და გაიცნობიერა. გულისტკივილით გვთხოვდა — წერილები ხშირად მომწერეთო. ზოგჯერ ზარმაცობაშიაც კი გვდებდა ბრალს. გვარწმუნებდა, წერილები აქ აუცილებელი არისო. ეშინოდა შორეულ ჩრდილოეთსა და საქართველოს შორის დამაკავშირებელი ძაფის გაწყვეტისა, ყოველ წერილში ღელავდა ამაზე. მაგრამ საქმე უფრო სერიოზულად იყო. თვეში მარტო

ერთხელ შეიძლებოდა წერილის მიწერ-მოწერა, დანარჩენ წერილებს ანადგურებდნენ. ჩვენ მაინც ვწერდით და ვწერდით, ლევანიც იწერებოდა და იწერებოდა... ზოგჯერ, შემთხვევით, ასეთი წერილიც აღწევდა მიზანს. ლევანი თავისი გულკეთილობით თავის ამხანაგებს თუ ჩვენს ნათესავებს იგონებდა და სალამს უთვლიდა, მამა კი ღელავდა, ამ მოწერით და გაბსენებით მათ არაფერი არ ევნოთ, ეხლა სხვა დროა და უბრალო ამბავი რთულ დანაშაულად შეიძლება გადაექცესო, როგორც თვითონ მას შეემთხვაო.

ჩემი გულკეთილი, ნიჭიერი და ჭკვიანი ბიჭი კიდევ ჩვენ გვიბრალებსო, — მამა ხშირად ეტყოდა დედას. ლევანს თავისი ლექსების ბედ-იღბალიც აინტერესებს, ლექსები სანდრომ შემინახოსო. ის კი არ იცის, რომ ჩხრეკის დროს ლევანის ლექსები და ჩანაწერები ჩეკაში წაიღეს და ალბათ გაანადგურეს კიდეც.

ლევანს არჩილის ჯანმრთელობაც აწუხებდა. მშობლები ამასაც განიცდიდნენ. ხშირად უბრუნდებოდნენ ლევანის წერილების გადაკითხვას, უცებ შეკრთებოდნენ და წუხდნენ ბანაკში მისი უმუშევრობის გამო.

შეიძლება ლევანს ჯანმრთელობა ღალატობს და ის ჩვენ გვიმალავს და გვაწყნარებსო, — აღშფოთებით იმეორებდა დედა. შეიძლება სხვა რამეშია საქმე და ჩვენ ვერ ვხვდებით, — აყვებოდა მამა. მერე ისევ წერილით იმშვიდებდნენ თავს და მოუთმენლად ელოდებოდნენ შემდეგს.

„ხოლოვეცკის კუნძულები.

2.VI.1926 წ.

ძვირფასო მშობლებო!

აი, უკვე ორ თვეზე მეტია, რაც თქვენგან არ მიმიღია ცნობა. არ ვიცი, რაშია საქმე და საშინლად ვწუხვარ.

უკანასკნელად წერილმა შემატყობინა არჩილის ავადმყოფობა, ახლა როგორა გრძნობს თავს. რამდენიმე წერილი გამოვგზავნე, არ ვიცი, მიიღეთ თუ არა.

მე ჯანმრთელად ვარ. ფული, 45 მანეთი, მივიღე. საშუშაოდ საალმშენებლო რაზმში ჩამრიცხეს, მაგრამ ჯერ არ ვმუშაობ. მართალია თოვლი ჯერ არ დამდნარა, მაგრამ დღისით ზოგჯერ კარგი ამინდია. მალე ალბათ გაიხსნება ნავიგაცია. ისევ მოვა დიდი ხნის ნანატრი გემი და თვითმფრინავი, რომელსაც ფოსტა დააქვს.

რატომ არჩილი, სანდრო და თინა ხშირად არ მწერენ. ნუთუ ეს ძალიან მძიმეა? როგორ არიან თამრიკო და მზია. მოკითხვა ნათესავებს და ამხანაგებს.

მოკითხვა იასესაგან.

მოკითხვა მაროს და ალიოშას. რას აკეთებს თიკო, შემატყობინეთ.

მე მსნედ ვარ. ამიტომ ჩემზე ნუ იწუხებთ. მოკითხვა ელიზბარს, იაშას, დავითს და სხვებს. ნუთუ მათ იმდენად დაავიწყდათ რუსული წერა, რომ არ შეუძლიათ წერილის მოწერა?

გამომიგზავნეთ ქართული და ფრანგული წიგნები.

მოკითხვა ყველას, გოცნით.

თქვენი ლევანი".

ლევანისაგან გამოგზავნილ ყოველ წერილს დიდი მღელვარება და ამასთან ერთად ცრემლიანი სიხარული მოჰქონდა.

შორეული ჩრდილოეთიდან ლევანი მშობლებს აწყნარებდა, ყოველთვის მხნედ და ჯანმრთელად ყოფნას იტყობინებოდა.

მშობლებსაც სწორედ ეს უნდოდათ: ლევანს პატიმრული ცხოვრებისათვის გაეძლო, შეგუებოდა და ჯანმრთელობა შეენარჩუნებინა. რაც კი მშობლებზე იყო დამოკიდებული, შესაძლებელი თუ შეუძლებელი, ისინი პირნათლად ასრულებდნენ.

ოჯახს მორალურად და მატერიალურად ძალიან გაუჭირდა, ბავშვებს დააკლდათ მშობლიური სითბო, დაირღვა მყუდროება, შემოაკლდათ საკვები და ჩასაცმელი. მთელი შემოსავალი უკლებლად ორი უფროსი ვაჟიშვილის გაუთვალისწინებელ ხარჯებზე მიდიოდა. ყველაფერი ლევანისათვის და არჩილისთვის კეთდებოდა. ამაზე სხვა ბავშვები ხმას როგორ

ამოვიღებდით! პირიქით, მშობლებს, რითიც შეგვეძლო, ვეხმარებოდით.

ორივე ძმის მდგომარეობა კრიტიკული იყო და კეთილი ბოლო არ უჩანდა. მოსკოვიდანაც აგვიანებდა პასუხი მამის თხოვნაზე ლევანის შეწყალების შესახებ. საკითხის დადებითად გადაწყვეტის იმედი უკვე აღარ ჰქონდა, მაგრამ პატიოსანი კაცის ყაიდაზე, სადღაც, გულის სიღრმეში, სიმართლის გამარჯვების ნაპერწკალი მაინც უღვიოდა.

მშობლები ლევანის მუშაობის დაწყებით კმაყოფილები იყვნენ და მისი ამდენი ხნის უმუშევრობასთან დაკავშირებული ეჭვებიც გაეფანტათ.

ერთადერთი ,რაც მამას უკვირდა და ვერ აეხსნა, ის იყო, რომ ლევანი დიდ გულისწყრომას გამოთქვამდა მეგობარნათესავებზე, წერილებს რომ არ სწერდნენ. წერილების მიწერის წინააღმდეგი კი თვითონ მამაჩვენი იყო და ლევანის მისამართს არავის აძლევდა, საქართველოში შექმნილი პოლიტიკურად დაძაბული ვითარების გამო ფრთხილობდა.

გრძელდებოდა რეპრესიები, აპატიმრებდნენ უდანაშაულოებს, ერის საუკეთესო წარმომადგენლებს, სწავლულებს, სტუდენტებს. საქართველოში თანდათან სპობდნენ განათლებულ ხალხს.

ლევანს ეს უნდა სცოდნოდა, ან იქ უნდა გაეგო, საყვედურით ამბობდა მამა. ერთ-ერთ წერილში ძალიან დიპლომატიურად მისწერა კიდეც ამის შესახებ იმ იმედით, რომ ცენზურა წერილს გაატარებდა. მაგრამ, როგორც გაირკვა, წერილმა ლევანამდე ვერ ჩააღწია. შესაძლებელია ამის მიზეზი სანაოსნო გზების დიდი ხნის ჩაკეტვაც იყო.

„30.IX.1926 წ.

ხაყვარელო დედა!

შენი გამოგზავნილი წერილი დიდი დაგვიანებით მივიღე, ძალიან გამეხარდა შენი და ყველას კარგად ყოფნა. თბილისის ახალი ამბებიც მესიამოვნა. გთხოვ ჩემზე ნუ იდარდებ, მე ჯანმრთელად ვარ. ხშირად

გწერთ, პირველ რიცხვებში გამოგიგზავნეთ წერილი. არ ვიცი, მიიღეთ თუ არა. როგორც უკვე გატყობინებდით ბუტირკის ციხიდან, თქვენგან გამოგზავნილი ფული მხოლოდ ახლა მივიღე. სწორედ სულზე მომისწრო. მე ჯანმრთელად ვარ. სოლოვეცკის პრინციპებით უსათუოდ უნდა ვიმუშაო, მაგრამ ახლა, მართალია დროებით, არსად არ ვმუშაობ.

სოლოვეცკში ზაფხული გაღვივდა, ხეები ძლივს აყვავდა, დაიწყო თბილი დღეები. დღეს პირველად შევძელი ტბაში ბანაობა, რომელიც აქ ბევრი რაოდენობითაა. ხშირად ნავით დავდივართ ტბაზე. ხასიათზე საერთოდ მხნედ ვარ, განსაკუთრებით დღევანდელი ახალი ამბის შემდეგ — ჩვენი ჯგუფიდან შოთა აბესაძეს გამოუცხადეს ეგრეთ წოდებული მინუს 6, რაც ნიშნავს, რომ მას არ შეუძლია 6 მთავარ ქალაქში და მოსაზღვრე ზონაში ცხოვრება, მთლიანად გამორიცხულია კავკასიაც. ამიტომ მან საცხოვრებლად ქალაქი ვორონეჟი აირჩია და ამ დღეებში გაემგზავრება ეგრეთ წოდებულ თავისუფალ გადასახლებაში. იქ იქნება თავისი მისჯილი ვადის დამთავრებამდე.

როგორ არიან ბავშვები? თინამ, ასე სჩანს, მე დამივიწყა, არჩილისაგანაც დიდი ხანია წერილი არ მიმიღია. მამა ალბათ ძველებურად ჩაფლულია მუშაობაში. გადაეცი მოკითხვა ჩემგან. ვკოცნი მზიკოს და თამრიკოს.

დაწერეთ მისამართი ზუსტად.

ჩემო არჩილ! როგორ ცხოვრობ, როგორ მიდის შენი მეცადინეობა. ნუთუ შენც, ჩემი არ იყოს, დაკარგე წელიწადი? რატომ არ მწერ წერილს, ან რატომ ამხანაგები არ მწერენ?

მე ჯანმრთელად ვარ. სავსებით აღვიდგინე პირველადი ჯანმრთელობა. ვმუქთახორობ. ხშირად ტყეში ვსეირნობ და ნავით დავცურაობ, მაგრამ შენ ნუ გგონია, რომ მე არ ვმეცადინეობ. ფრანგულ ენას ძალიან სერიოზულად მოვკიდე ხელი. რამდენიმე თვეში ისევ წესიერად ვილაპარაკებ.

არჩილ! აქ სულ უცნაური, მაგრამ, ამავე დროს,

„საინტერესო“ ამბები ტრიალებს. ზამთარში გრანდიოზული ყინულოვანი მთებია და ჩრდილოეთის პოლარული ნათება, ზაფხულში — თეთრი ღამეები ან, უფრო სწორად, ღამის მაგვარი მოღრუბლული დღეები. მზე მთელი დღე-ღამე ჰორიზონტზეა.

მაგრამ, ჩვენ, ჩრდილოეთის მკვიდრნი, ყოველივე ამას დიდი ხანია მივეჩვიეთ. ამის შესახებ შემდეგ წერილში მოგწერ დაწვრილებით. ახლა კი მე გთხოვ გამომიგზავნო ზურაბ ავალიშვილის წიგნი და უახლესი ქართული ჟურნალები და წიგნები, ჩვენი სწავლების კურსი გეტხმანის, პოლიტიკურ ეკონომიაში, აგრეთვე ფრანგული წიგნები. წიგნების გამოგზავნა ადვილია ამანათით, მით უფრო, რომ ახლა ნავიგაცია გაღებულია. გადაეცი მოკითხვა ამხანაგებს და ნაცნობებს.

შენ მოკითხვას გითვლის იასე, ისიც ჯანმრთელად არის.

მოუთმენლად ველი წიგნებს.

მოკითხვა ყველას, გკოცნით.

თქვენი ლ ე ვ ა ნ ი“.

ლევანი რომ იწერებოდა ტყეში ესეირნობ, ნავით დავცურავ და ტბაშიც ვიბანავეო, საწყალი დედა საშინლად აღელდა. ეს როგორ შეიძლება, ნუთუ ლევანს მაგის მოფიქრება არა აქვს, რომ ჯერ კიდევ ავადმყოფია. კარგად რომ იყოს, ბანაკში უმუშევრად ვინ დატოვებს და ასე სეირნობის ნებას ვინ მისცემდაო. მაშინვე მისწერა წერილი და გულისტკივილით ეხვეწებოდა ჯანმრთელობას გაფრთხილებოდა.

მამა ლევანის კარგ ხასიათზე ყოფნას პატიმარ აბესაძის ბანაკიდან ადრეულად თავის დაღწევას მიაწერდა. თურმე პატიმართა წესდებაში არსებობს ასეთი შესაძლებლობა, რომელიც არც მამამ და არც ლევანმა არ იცოდნენ. ალბათ ორივეს ერთდროულად, ლევანს შორეულ ჩრდილოეთში და მამას საქართველოში იმედის სხივმა გაუელვათ, მით უფრო, რომ არც დადებითი და არც უარყოფითი პასუხი მოსკოვიდან ჯერ არ იყო მოსული.

ლევანი არჩილის ავადმყოფობას სერიოზულად არ თვლი-

და და ვერ წარმოედგინა, ასეთმა ნიჭიერმა სტუდენტმა, როგორიც არჩილი იყო, სასწავლო წელი როგორ გააცდინა. არჩილის ჯანმრთელობის მდგომარეობა კი დღითი დღე უარესდებოდა. ჭრილობიდან ჩირქის დენამ მოიმატა, მიუხედავად გამეორებით ოპერაციისა და ჭრილობის გასუფთავებისა. არჩილი საწოლს იყო მიჯაჭვული და სისხლის მოწამვლის ნიშნები ღრმავდებოდა.

ერთი თვის შემდეგ ლევანისაგან კვლავ მივიღეთ არჩილის სახელზე გამოგზავნილი წერილი.

„სოლოვეცკის მონასტერი.
2.III.1927 წ.

ჩემო არჩილ! ძლივს მივიღე შენი წერილი. როგორც ჩანს, შენ ჯერ კიდევ ავადმყოფობ. ვფიქრობ საბოლოოდ მაინც მორჩები და ჯანმრთელად იქნები. მეც ჩამოვალ საქართველოში და ჩვენ, როგორც ყოველთვის, ძველებურად, ისევ აქტიურად შევუდგებით სწავლა-განათლებას, გავახარებთ ჩვენს კეთილის მსურველებს და ვასახელებთ ჩვენს გვარსა და სამშობლოს. მე ჯანმრთელად და მხნედ ვარ. არაფრით არ მინდა დავეცე სულით. აქ, ჩვენთან, ყველაფერი ძველებურად არის. თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ერთ-ერთი ჩვენთაგანი — შოთა აბესაძე გაათავისუფლეს. მისცეს მას მინუს ექვსი, რომლის შესახებ გწერდით წინა წერილებში. დიდი სიხარულით და იმედით ის უკვე გავამგზავრეთ. გულში დაგვრჩა სევდა და იმედის თვალი.

შორეულ ჩრდილოეთში გაზაფხული უკვე შევიდა თავის ძალაში, მოგვაბეზრა თავი თეთრმა ღამეებმა და ყინულოვანმა მთებმა. რა არის ადამიანის ცხოვრება, მისი სვებედი საიდან სად გადაგაგდებს. არასოდეს აზრადაც არ მომსვლია, როდისმე ასე მძიმედ განწირულად ყოფნა და სამშობლოზე ოცნება დამჭირდებოდა. ეშმაკმა დალახვროს. ბოლოს და ბოლოს ჩემთვის თუ ჩემისთანებისათვის როდისღა დადგება ნამდვილი სასიკეთო გაზაფული? მომავალზე ოცნება კი ცივ ყინულეთში და საშინ სამყაროში ფრთებშეჭრილი გვრჩება.

როგორც ამინდია ცვალებადი, ისევე ჩვენი ცხოვრებაც და თვით სიცოცხლეც ცვალებადია. ისე უცებ გაგაქრობენ, ვერც კი მიხვდები.

როგორც კი დაუბერავს ჩრდილოეთის ქარი, ბანაკში ყველაფერი თავიდან ბოლომდე ირევა. რა ხდება არ იცი, სად ქრება ხალხი ვერ მიხვდები, ზოგჯერ თუ დათბა აქაურობა და სიცხეც შეიგრძენი, ეს სიკეთეა, იცოდე. ჩვენც კეთილად ვგრძნობთ თავს, ცოცხლებში გარეულები. ძალიან შორსა ვართ გადმოგდებული სამშობლოდან. ტყუილად კი არ არის ეს თეთრი, ცივი ზღვა და არც ტყუილად ჩვენ ვიმყოფებით 250 კილომეტრით დაშორებული ჩრდილოეთ პოლარული რკალიდან. საერთოდ ვცდილობ რამდენადაც შესაძლებელია ამაზე არ ვიფიქრო და დრო არ დავკარგო უქმად.

გადაეცი ამხანაგებს მოკითხვა და გააფრთხილე ისინი, რომ წერილები წერონ რუსულ ენაზე.

რაც შეეხება წიგნებს, ქართული წიგნების გამოგზავნა შეიძლება, მათ არავინ არ აკრძალავს. უკეთესია წიგნები გამოგზავნოთ ამანათით. გამომიგზავნე უსათუოდ ახალი ლიტერატურული ჟურნალები, ზურაბ ავალიშვილის წიგნი და გეტხმანის სახელმძღვანელო პოლიტიკურ ეკონომიაში, აგრეთვე ახალი მასალები მ. ზანდუკელის, თუ კი ის უკვე გამოვიდა. ქართულ და სხვა გაზეთებს ჩვენ ვლებულობთ. ამიტომ მაქაური ცნობები მართალია მოგვიანებით, მაგრამ მაინც ჩვენამდე აღწევენ.

ვკოცნი მზიკას და თამრიკოს. ბავშვები ძალიან მომენატრა.

როგორ არის მამის და დედის განმრთელობა. ვწუხვარ, რომ ჩვენ ორივემ უზომოდ გავაწვალეთ, მაგრამ ვიმედოვნებ, ეს დროებითი ამბავია და ჩვენ მათ მომავალში გავახარებთ. მოკითხვა ბიძია ვანოს, დეიდას და მათ შვილიკოს.

არჩილ! შენ მაინც მალე გამოჯანმრთელდი. დაამთავრე უნივერსიტეტი. საითკენ წახვალ ზაფხულში? თუ ისევ აბასთუმანში წახვედით ყველა ძველ ნაცნობს მოკითხვა გადაეცი.

წერილი გამომიგზავნე აგარაკიდან. ეს ყველაფერი სრულიად ბუნებრივია: შავი ზღვის ცხელი სანაპიროებიდან ანდა აბასთუმნის უმშვენიერესი ხეობიდან თეთრი ზღვის ცივი სანაპიროსაკენ — სოლოვეცკის კუნძულებზე.

ყოფილი უძველესი მონასტერი ძირფესვიანად გაქელენთილია რუსული ავი სულით. ახლანდელი საკონცენტრაციო ბანაკები ისეთი აღარ არის რაც სხვა მთავრობის დროს იყო. ეს განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, სადაც მოქმედებს სისასტიკისა და ულმობლობის საშინელი კანონები. აქ ადამიანთა სიკვდილი მძვინვარებს, როგორც სრულიად ჩვეულებრივი, უბრალო ამბავი.

მოკითხვა ყველას, ყველას. აბა, თავს მოუარე.

გოცნი ლ ე ვ ა ნ ი".

მშობლები ყოველი წერილის მიღებას განიცდიდნენ. ლევანის შინაგან გულისტკივილს, მძიმე ხვედრს, დაკავშირებულს პატიმრულ ჭირ-ვარამთან, თავის ფიქრებთან განმარტოებას, მომეტებულ ნერვიულობას და სხვა გაჭირვებას სტრიქონებს შორისაც კითხულობდნენ. ამას მოჰყვებოდა საწყალი მშობლების გრძნობათა ჭიდილი. კიდევ კარგი, რომ გვიან გაიგეს ლევანის მძიმე თავგადასავალი, რომელიც მას გადახდა სოლოვეცკის კუნძულებზე ჩასვლისთანავე, თორემ ამას ალბათ ვერც გადაიტანდნენ.

სოლოვეცკის მონასტრიდან გამოგზავნილ ყოველ წერილში ლევანი მშობლების დასაწყნარებლად ჯანმრთელად ყოფნას რომ იწერებოდა და არ მუშაობდა, საქმე სულ სხვანაირად ყოფილა. ამას ჰქონდა თავისი ძალიან სერიოზული და საკვალალო მიზეზი.

სოლოვკებში ჩამოსვლისთანავე, — იგონებდა ლევანი, — ქართველ პატიმართა ჯგუფი, ბნელ, ნესტიან, მუხლებამდე ჩამყაყებული წყლით სავსე საშინელსუნიან და ანტისანიტარულ სარდაფში მოგვათავსეს. როდესაც გამოერკვნენ პირველი საშინელებისაგან, შეამჩნიეს, რომ უამრავი შიშველი კაცის გარემოცვაში მოხვედრილიყვნენ. მათი შემხედვარენი

კინაღამ შოკში ჩაცვივდნენ. უმრავლესობას მათ შორის მკერდზე და მუცელზე ორ წყებად, პირდაპირ კანზე ჰქონდა მიკერებული ბრჭყვიალა სამხედრო ღილები, ზოგიერთს კი ბარძაყებზე კანი ჯიბეებივით აეკეცილი და ამოკერილი ჰქონდა ხელის ჩასაყოფად ან რაიმეს შესანახად. ტანზე მხატვრობას (ტატუირებას) ნუ იტყვით, რას არ ნახავდი. რამდენი რამისთვის გაეძლო პატიმრებს, ზოგს ძალით და ზოგს ნებით. ახლადჩამოსულების ყურადღება მიიქცია ბევრი პატიმრის მუცელმა — მკერდის ძვლიდან ბოქვენამდე ზოგს ძველი და ზოგს ახალი ნაოპერაციები ნაწიბური ჰქონდა. ეს იმიტომ, რომ მე-12 ასეულისაგან თავის დასაღწევად და ცოტა ხნით მაინც საავადმყოფოში მოხვედრის მიზნით გასაცოდავებული პატიმრები ყლაპავდნენ გატეხილ ალუმინის კოვზებს და თავისი ნებით მიდიოდნენ კუჭის ურთულეს ოპერაციაზე.

რას წარმოიდგენდნენ ქართველი ბიჭები, რომ პოლიტიკური პატიმრები, როგორც მათ ეძახდნენ, მოხვდებოდნენ კანონიერ ქურდებთან, მკვლელებთან, ბანდიტებთან, ისეთ პატიმრებთან, რომლებსაც მისჯილი ჰქონდათ ხანგრძლივი პატიმრობა სისხლის სამართლის დანაშაულისათვის, რომ ამ თავზეხელაღებულებთან სარდაფში ერთად იცხოვრებდნენ და აქაური ყოფისა და კვების რეჟიმს გაინაწილებდნენ.

ახალჩამოსულების მიმართ სარდაფში იმწუთშივე იწყებოდა შემზარავი შეტევა. აქ შეყრილ ვიგინდარებს ჰყავდათ თავისი „ატამანები" და დამრტყმელები, როგორც ისინი ეძახდნენ, დაუმორჩილებელი პატიმრების მოსარჯულებლად. იმწუთშივე დაიწყეს ახალბედა პატიმრების შევიწროება. მათ გასაგონად ისინი გაჰკიოდნენ: — ახალჩამოსულებმა აქაური ქუდი უნდა დაიხურონ, შეისისხლხორცონ აქ დამკვიდრებული წესები და ადათები.

დამხდურებს თავიდანვე უნდოდათ ახალშემატებულთა დათრგუნვა, დაჩაგვრა, ხელქვეითად, მონად ქცევა, როგორც აქ საერთოდ იყო მიღებული.

დაიწყო მათი წვალება, ჩაგვრა, დამონება, ფულის, საკვების, ტანსაცმლის წართმევა. ქართველ ბიჭებს განსაკუთრებით აგიჟებდა მათი უდიერი მოქცევა, გამასხარავება და დაცინვა, ლანძღვა-გინება, ცინიზმი, განათლების, ეროვნების, პატრიოტიზმის და ინტელიგენტობის აბუჩად აგდება. ეს კი

აურზაურში, საშინელ შეხლა-შემოხლაში და მუშტი-კრივში გადადიოდა.

ქართველმა ბიჭებმა, მათ შორის ლევანმაც, ბევრი შეურაცხყოფა მოითმინეს. მუშტი-კრივშიაც ჩაებნენ, ფიზიკური და მორალური ტკივილიც აიტანეს. აბა, ამდენ თავზეხელაღებულ, არამზადა პატიმარს ვინ მოარჯულებდა ან ვინ მოერეოდა. მით უფრო, რომ ზედამხედველობისათვის და ბანაკის უფროსებისათვის აქ ყველა პატიმარი ერთი იყო. მათ ხელს აძლევდათ ბანაკში ახალბედა და ძველ პატიმრებს შორის ასეთი შუღლი. მათ შეხლა-შემოხლას ხელს არ უშლიდნენ, პირიქით, აქეზებდნენ კიდეც. პატიმართა შორის ჩხუბს და მუშტი-კრივს არაფრად აგდებდნენ. თურმე პატიმართა მორჯულების და დამონების ასეთი მეთოდები ამ ბანაკში წესად ყოფილა დამკვიდრებული.

ჯანყი ერთ კვირას გასტანს, ყოყლოჩინა ახალბედები დაიბეგვებიან, მერე მღელვარება და შეხლა-შემოხლა დღითი დღე შემცირდება და ბოლოს, როგორც ყოველთვის, ყველაფერი მოწესრიგდება, ბანაკში სიმშვიდე დამყარდებაო, — გაიძახოდნენ ზედამხედველები. რაც მთავარია, „ატამანებთან“ ადმინისტრაცია თურმე შეკრულიც კი იყო. გამოსავალის მხოლოდ ორი გზა არსებობდა: სრული დამორჩილება ან სიკვდილი.

ყველას გასაოცრად იმჯერად ასე არ მოხდა. მღელვარება, შეხლა-შემოხლა, მუშტი-კრივი დღითი დღე მწვავდებოდა. ქართველი ბიჭები, მათ შორის ლევანიც, თავზეხელაღებულ ბრბოს, რომელიც მათ დასარბევად დაესია, არ დაემორჩილნენ. მართალია, ბევრი ფიზიკური შეურაცხყოფა აიტანეს, მაგრამ ბანაკის ადმინისტრაციის, ვიგინდარების, „ატამანის“ და ზოგიერთი პიროვნებადაკარგული პატიმრის გასაკვირად, იძულებული გახდნენ უკიდურესი ღონისძიებისათვის მიემართათ — პროტესტის ნიშნად მათ შიმშილობა გამოაცხადეს. მოითხოვდნენ ამ საშინელი სარდაფიდან დაუყოვნებლივ გადაყვანას პოლიტიკურ პატიმრებთან. 20 დღის შემდეგ ისინი ცოცხალმკვდრები საავადმყოფოში გადაიყვანეს, 30 დღის შემდეგ, მართალია, მიაღწიეს მიზანს, მაგრამ საშინელი მსხვერპლის ხარჯზე. ქართველების მცირე ჯგუფი გადარჩა. ამ ჯგუფიდან ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ იასე ფავლე-

ნიშვილი, ბესო ვაშაკიძე, ვახტანგ ბარათაშვილი, შალვა დადიანი, პეტრე კურცხალია, შოთა აბესაძე და ლევან გოთუა. ასე უკვალოდ დაიკარგნენ სამშობლოს სიყვარულისთვის სამშობლოდან უსამართლოდ გაძევებული ჭეშმარიტი მამულიშვილები. შესაძლებელია ამ ახალგაზრდების ასეთი ტრაგიკული სიკვდილი მაშინდელ მთავრობას ხელს აძლევდა კიდეც.

ბიჭები სიკვდილის პირას იყვნენ მისული. ამიტომ მათ სიცოცხლისაკენ შემობრუნებას დასჭირდა ბევრი დრო და დიდი ხნით ხელოვნური კვება. სისუსტეს და კახექსიას ნერვული აშლილობანი მოჰყვა. განსაკუთრებით მძიმედ გადიტანეს შიმშილობა იასე ფავლენიშვილმა და ბესო ვაშაკიძემ, ისინი ძლივს გადარჩნენ. იმიტომ იყო, რომ ლევანი იასეს შესახებ ყოველ წერილში გვატყობინებდა. ლევანმა შიმშილი შედარებით იოლად გადაიტანა, მაგრამ მაინც 5—6 თვე დასჭირდა გამოკეთებას. სწორედ იმ პერიოდში ლევანი არ მუშაობდა, საავადმყოფოს ტერიტორიაზე იყო და კუნძულზე თავისუფლად დადიოდა.

ლევანისათვის სოლოვკებში შიმშილის ამბის და ამდენი ქართველი ბიჭის დაღუპვის გახსენება შემაძრწუნებელი იყო. რას იფიქრებდა, რომ შიმშილობისაგან ერთხელ ძლივს გადარჩენილს, წლების შემდეგ კვლავ დასჭირდებოდა პროტესტი და ისევ შიმშილობის გამოცხადება (ამაზე ქვევით შევჩერდებით).

როგორც ლევანის წერილებიდან ჩანდა, ჟურნალ-გაზეთების და წიგნების უმრავლესობა ადგილამდე არ აღწევდა. მაგალითად, ზურაბ ავალიშვილის წიგნი 3-ჯერ გაუგზავნეს. გვიკვირს, რატომ თავის დროზე ვერ მიხვდა მამა, რომ ამ წიგნს ცენზურა არ გაატარებდა, ის ხომ საქართველოს დამოუკიდებლობას ეხება.

მე-6 ასეული საავადმყოფოს ტერიტორიაზე იყო, ამიტომ პატიმრებიც შედარებით უკეთეს პირობებში იყვნენ საერთო რეჟიმისა და კვების მხრივ. შიმშილობის შემდეგ ვერა და ვერ გამოკეთდნენ. ამ დროს უწიგნობა და, განსაკუთრებით, ცარიელი კონვერტების მიღება ძალიან ანერვიულებდათ. თვითონ განსაჯეთ, დიდი ფსიქიკური დაძაბვით, ხანგრძლივი მოლოდინით, განაწამები ელოდნენ სამშობლოდან რაიმე ცნო-

ფას — წერილს, ერთადერთ ძაფს საქართველოსთან დამაკავშირებელს და მოსდიოდათ ცარიელი კონვერტი. ეს ხომ საფიზმია! ორიოდე სიტყვით გვინდა მოგითხროთ ვახტანგ ბარათაშვილზე (ის ჩვენი სასიქადულო მწერლის მარიკა ბარათაშვილის უფროსი ძმაა), რომელიც 1925 წელს დააპატიმრეს და სოლოვკებში 25 წლით გადაასახლეს.

ვახტანგი, ეს ახოვანი, წარმოსადეგი ვაჟკაცი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდათა კომიტეტის მდივანი გახლდათ, დამოუკიდებელი საქართველოს აჯანყების მომწყობი კომიტეტის აქტიური წევრი.

ლევანი მას უნივერსიტეტიდან იცნობდა, ორივე ეკონომიკური ფაკულტეტის სტუდენტები იყვნენ, ვახტანგი ორი კურსით წინ იყო. კომიტეტის წევრებს ჩეკა სასტიკად სდევნიდა. ერთხელ კი ჩეკისტებმა ვარდისუბნის ქუჩაზე სახლს, სადაც თავმოყრილი იყვნენ, ალყა შემოარტყეს. ბიჭები სასწაულად გადაურჩნენ დაპატიმრებას.

ახალგაზრდებმა გადაწყვიტეს არალეგალურად საზღვარგარეთ გაქცევა და სწავლის იქ გაგრძელება. ვიღაც ურჯულომ ცსინი გასცა და 50 ქართველი პატრიოტი ახალგაზრდა ერთდროულად ქობულეთში დააპატიმრეს, არც გაუსამართლებიათ, სასწრაფოდ ციმბირში გადაასახლეს. ცნობა ვახტანგის შესახებ ბუტირკის ციხიდან მოვიდა. ვახტანგის მამა, გერვასი ბარათაშვილი (პედაგოგი, განათლებული კაცი, მამაჩვენის მეგობარი), თავზარდაცემული, თბილი ტანსაცმლით ხელში მოსკოვს გაემგზავრა, მაგრამ ვახტანგი იქ უკვე აღარ დახვდა. გერვასიმ ჩრდილო ციმბირისაკენ მიმავალ ეტაპს უკან სდია და სოლოვეცკის ბანაკს მიაღწია. ვახტანგი ბუტირკის ციხეში მძიმე პირობებში მოხვდა —ნესტიან სარდაფში. ძლიერ გაუჭირდა, თირკმელებმა უღალატა. ასე ავადმყოფი, მშიერი და ჩაუცმელი ეტაპს გააყოლეს. პატიმრებს შეეცოდათ იგი და დაეხმარნენ — საგზაოდ თბილი ქურთუკი და პური შეუგზავნეს.

ქურდებმა ამის წართმევაც მოინდომეს, მაგრამ ერთმა ღვთისნიერმა პატიმარმა დროზე გააფრთხილა ვახტანგი.

ვახტანგს ქურთუკი ვერ წაართვეს, ის ღვთისნიერი, კეთილი კაცი კი იქვე მოკლეს.

ვახტანგი სოლოვკების ბანაკში ლევანთან ერთად უკიდუ-

რესად მძიმე პირობებში ჩავარდა, ამიტომ უკიდურეს ზომასაც მიმართა — შიმშილობა გამოაცხადა. ამ პერიოდში მამამისიც იქ გაჩნდა. ადმინისტრაციას ვახტანგის მამის ჩამოსვლა გაეხარდა, პატიმარი შიმშილობას შეწყვეტსო.

— შიმშილობა შეწყვიტე და ჩამოსულ მამას შეგახვედრებთო, — განუცხადეს ვახტანგს.

— დედაც რომ ჩამოვიდეს, შიმშილობას არ შევწყვეტო,— იყო პასუხი.

შეწუხებული მამა მოსკოვში დაბრუნდა და აბელ ენუქიძეს დიდი წერილი-საჩივარი მისწერა, ყველაფერი დაწვრილებით დაწერა, რაც კი იმ ბანაკში ნახა.

მეორე დღეს გერვასი ბარათაშვილი მთავარმა პროკურორმა გამოიძახა, იქ მისი წერილი-საჩივარი აჩვენა, სულ წითელი ფანქრით ხაზგასმული და საყვედურიც უთხრა, თქვენ რომ საჩივარში წერთ საბჭოთა კავშირის არც ერთ ბანაკში ასეთი მძიმე პირობები, წვალება და შიმშილი არ არისო...

— საკვირველია, — შეეპასუხა აღელვებული გერვასი, — ვითომ არ იცით, რა ხდება ციმბირის ბანაკებში, სადაც პოლიტიკური პატიმრები, ქურდები, თავზეხელაღებული ხულიგნები, რეციდივისტები და ბანდიტები ერთად შეყრილია რეჟიმის ყველა სხვა „სიკეთესთან“ ერთად?

აბელ ენუქიძის ჩარევით ეს ბანაკები შემოწმდა და ყველა ფაქტი დადასტურდა, მაგრამ არაფერი შეცვლილა. აბელ ენუქიძე ვახტანგს დაეხმარა, ის მინუს 6 მუხლით თავისუფალ გადასახლებაში, ქალაქ სარატოვში დამკვიდრდა. 12 წლის შემდეგ, 1937 წელს, ვახტანგი, უკვე მძიმე ავადმყოფი, საქართველოში დაბრუნდა და 1938 წელს გარდაიცვალა.

ვასო დავითაშვილი საქართველოს დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა. ჩეკაში აწამეს. ცოცხალმკვდარი სოლოვკებში გადაასახლეს.

ჩვენს ოჯახში ისევ დაიწყო ღელვის მძიმე პერიოდი, შეწყდა ლევანის წერილები. როგორც შემდეგ გამოირკვა, ამას თავისი დადებითი მიზეზი ჰქონდა.

დედ-მამა აფორიაქდნენ. მთელი ოჯახი მწუხარებამ მოიცვა. რა მოხდა, რაშია საქმე? ლევანი სად - დაგვეკარგაო, ადგილს ვერ პოულობდა მამა. და, აი მოხდა სასწაული. მამამ მიიღო ოფიციალური ცნობა რუსეთიდან აბელ ენუქიძის ხელმოწერით. გვაცნობეს, რომ საქმეს გადახედეს და ლევანს სოლოვეცკის კუნძულზე პატიმრობა თავისუფალ გადასახლებით შეუცვალა მინუს 6 მუხლით.

ე. ი. ლევანს ყველგან შეეძლო თავისუფალ გადასახლებაში წასულიყო, გარდა 6 სატახტო ქალაქისა, კავკასიისა და საზღვრისპირა ქალაქებისა. საჭირო გახდა სასწრაფოდ ქალაქის არჩევა, თუ სად წავიდოდა ლევანი თავისუფალ გადასახლებაში.

დედა სულ იმას გაიძახოდა, თუ საქართველო გამორიცხულია, ისეთი ქალაქი შეერჩია მამას, რომ ლევანი საქართველოსთან ახლოს მაინც ყოფილიყო. მამა კი ლევანისათვის არჩევდა ქალაქს, სადაც უნივერსიტეტი იქნებოდა და ლევანი უმაღლესში სწავლას გააგრძელებდა. ბოლოს დედა და მამა შეთანხმდნენ, სხვადასხვა მოსაზრების გამო ლევანისათვის ვლადიკავკაზი აერჩიათ. მამა ადრე თვითონ მუშაობდა იქ და ბევრი ნაცნობი ოჯახი და მეგობარი ჰყავდა, რომლებიც ლევანს სათანადო დახმარებას გაუწევდნენ. ლევანს ამის შესახებ სასწრაფოდ აცნობეს. ლევანიც თანახმა იყო, ოღონდ სოლოვეცკის კუნძულებს, ამ საშინელ ბანაკს მოსცილებოდა და თავი დაეღწია პატიმრობისაგან, რომელიც თავისი რეჟიმით სიკვდილს უდრიდა. ოჰ, როგორი იმედი ჩაგვესახა ყველას გულში, როგორი სიხარულის განცდა დაგვეუფლა. არავის ეგონა, რომ ვლადიკავკაზში ლევანს თავისუფალ გადასახლებაში ყოფნა გაუჭირდებოდა და იქაც მძიმე ჩეკისტურ რეჟიმში მოუხდებოდა ცხოვრება.

ოჯახში უჩვეულო სიხარულმა დაისადგურა, მღელვარებამ ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა. დედას თვალზე სულ სიხარულის ცრემლი უციმციმებდა, თან ამბობდა, ტირილი არ მინდა, სიხარულისგაან თავისთავად მეტირებაო. საწყალი მამა კი, ეს წყნარი და ძუნწად მოლაპარაკე კაცი, სულ ენად გაიკრიფა, აგზნებული, ხმამაღლა ყველას უყვებოდა: ლევანს რაიმე სერიოზული დანაშაული რომ ჰქონდეს, აბა ვინ აპატიებდაო. მშობლები დიდ იმედებს ამყარებდნენ ლევანის ვლადიკავკაზში გადმოსვლაზე. მართალია, იქ ყოველ კვირა ჩეკაში უნდა გამოცხადებულიყო და ხელი მოეწერა, ზოგჯერ ადგილობრივი ორგანოები დაკითხვასაც მოუწყობდნენ, მაგრამ ეს წვრილმანები იყო სოლოვკასთან შედარებით. ერთი წელიწადი წაიმუშავებს, ცოტას დაისვენებს, ჩადგება თავის კალაპოტში, დაიწყებს მზადებას უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად და შესაძლებელია ახლო მომავალში თბილისში

ჩამოსვლის ნებაც მისცენო, ფიქრობდნენ ჩვენები. მით უფრო, რომ სოლოვკებში ერთი წლის ყოფნა წელიწად-ნახევრად ჩაუთვალეს (იქ მძიმე პირობების გამო). მშობლები იმედოვნებდნენ ვლადიკავკაზში თავისუფალ გადასახლებაში ყოფნა ლევანისთვის გაცილებით ადვილი იქნებოდა, ვიდრე რუსეთის სხვა რომელიმე ქალაქში. ყველაფერში სასიკეთოს ხედავდნენ და ამით ცოცხლობდნენ.

რა ბედნიერება იყო ჩვენთვის — ბავშვებისათვის, დედის და მამის სახეზე ღიმილი რომ დავინახეთ. მალე ჩვენს ოჯახში ძირფესვიანად შეიცვალა განწყობილება, ცხოვრება თითქოსდა ნორმალურ კალაპოტში ჩადგა.

მშობლებმა პატარა ზეიმიც კი გამართეს, მოიწვიეს ლევანის ახლო ამხანაგები და ნათესავები. სწრაფად გაიშალა საზეიმო სუფრა. ყველა გამსჭვალული ვიყავით დიდი მადლიერების გრძნობით აბელ ენუქიძის მიმართ, რომელმაც ლევანი ნამდვილად გადაარჩინა უმძიმეს კატორღულ პირობებს. მამას მომზადებული ჰქონდა მადლობის წერილი, რომელიც ყველას წაგვაკითხა.

ლევანის ამხანაგებმა გადაწყვიტეს ახალგაზრდობის სახელითაც გამოეცხადებინათ ამ კეთილი კაცისათვის გულითადი მადლობა.

განსაკუთრებით არჩილმა გაიხარა. ლევანის სოლოვკებიდან გამოწვევამ მომავლის იმედი ჩაუნერგა. საწოლს მიჯაჭვული, ძლიერ დაასუსტა ავადმყოფობამ. მიუხედავად მშობლების ბევრი თხოვნისა, თითქოს ეზარებოდა საწოლიდან ადგომა. ამჯერად კი ადგა და მაგიდას მიუჯდა, მართალია, ძალიან ფერმკრთალი და გამხდარი იყო, მაგრამ ნაღვლიანი დიდი თვალები სიცოცხლით უბრწყინავდა. ეტყობა თავს ძალა დაატანა, არაჩვეულებრივად მოილხინა და სტუმრებიც გაამხიარულა, ჩვეული ენამახვილობით და სხარტი სიტყვით ყველა გააკვირვა და ბევრიც აცინა. ყველანი აღტაცებით შესცქეროდნენ. ხარობდა დედა — თურმე როგორ გაზრდილა ჩემი ჭკვიანი და გონიერი ბიჭი, ლევანის გადამკიდე, მას ალერსი დავაკელიო, სიხარულით ნაზად ჰკოცნიდა შვილს. ბავშვები ხშირად ხუმრობით ესაყვედურობდით დედას არჩილისადმი განსაკუთრებულ სიყვარულს. აი, შენ არჩილი გყავს გამორჩეული და უფრო გიყვარსო. დედა ყოველთვის ალერსიანად

გადაგვკოცნიდა და გვიპასუხებდა: არჩილი ჩემი პირმშოა. ავადმყოფობამ დაჩაგრა და მეცოდებაო, ამიტომაც აქვს ჩემგან მეტი ყურადღება. თქვენ სუყველა ჩემი საყვარელი შვილები არა ხართო? მალე ლევანიც აქ გაჩნდება და მერე სადარდებელი აღარ გვექნება მე და მამასო. მშობლები ხარობდნენ, რომ ორივე შვილის მდგომარეობა გამოკეთდა. არჩილის ასეთ მოლხენას მისი ჯანმრთელობის გაუმჯობესებას მიაწერდნენ.

ვინ იცოდა, რომ ცოტა ხანში ჩვენ დიდი უბედურება გველოდა და არჩილის ეს მოლხენა მისი ბედისწერისა და სიცოცხლის უკანასკნელი გაელვება იყო.

არჩილი ნამდვილად მძიმე ავადმყოფი იყო. სისხლის მოწამლვა, მიუხედავად მკურნალობისა, დღითი დღე ღრმავდებოდა, მაგრამ არჩილს ერთხელ არ დაუჩივლია, მისი კვნესა ან საყვედური არავის გაუგონია, ყოველთვის იწვა ჩუმად, წიგნებში ჩაფლული და მშობლებს გულს არ უხეთქავდა. და, აი 1927 წლის ივნისის ბოლოს ასე ჩუმად დალია სული.

არჩილის გარდაცვალებამ თავზარი დაგვცა. დედა გიჟს დაემსგავსა, მისი კივილ-ტირილი ზარს სცემდა იქაურობას. მამა გლოვის გამოხატვას ვერ ახერხებდა, დედის ასეთი მდგომარეობით შეწუხებული სულ მის დაწყნარებაში იყო. ბავშვები მიტოვებული ვიყავით და არც არაფერი გვინდოდა.

ყველას გვესმოდა, თუ რა საშინელი ცეცხლი ტრიალებდა ჩვენს სახლში: 24 წლის შვილის დაკარგვა წარმოუდგენელი უბედურება იყო. ამის აღწერა და ვადმოცემა ნამდვილად შეუძლებელია. მხოლოდ ის გვახსოვს, რომ დედა და მამა უცებ ღრმად მოხუცდნენ, დედამ ხანგრძლივად იავადმყოფა

მამა ყველას სთხოვდა — ლევანს ჯერჯერობით არჩილის გარდაცვალებას ნუ შევატყობინებთო, ცოდოა ბიჭი, ცოტა ხანს მაინც შერჩეს სოლოვკებიდან თავის დაღწევის სიხარული და კარგი განწყობილებაო.

1927 წლის აგვისტოში 22 წლის ლევანი ქალაქ ვლადიკავკაზში ჩამოვიდა. მამაჩვენის რჩევით ლევანი გიორგი ნათაძის ოჯახში მივიდა.

ბატონი გიორგი მღვდელი იყო. უაღრესად განსწავლული, განათლებული, პატიოსანი და კეთილი, მამაჩვენის დიდი ხნის

მეგობარი. მამა გიორგის აქ დიდი ავტორიტეტი ჰქონდა როგორც ქართველ საზოგადოებაში, ასევე მთავრობაში.

ვლადიკავკაზი პატარა, მწვანეში ჩაფლული ქალაქია, არაჩვეულებრივად ლამაზ ხილის ბაღებსა და ყვავილნარებში ჩადგმული ერთ-ორ სართულიანი კოპწია სახლებით. 10.000 ქართველი ცხოვრობდა, იყო ქართული სკოლა და ეკლესია. სწორედ ამ ეკლესიაში წირავდა მამა გიორგი. გარდა ამისა, იგი ქართულ სკოლაში უფროს კლასებში ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას. მამა გიორგიმ ქართული კლუბი ჩამოაყალიბა, სადაც იკრიბებოდა იქაური ქართველი საზოგადოება. კლუბში მოქმედებდა სხვადასხვა თვითმოქმედი წრე, იმართებოდა წარმოდგენები და ლიტერატურული საღამოები. აქვე იმართებოდა თათბირები, საქმიანი საუბრები. წყდებოდა სერიოზული საქირბოროტო საკითხებიც. ახლაც ასე მოხდა.

მამა გიორგის თხოვნით კლუბის ყველა წევრი შეიკრიბა. მან საზოგადოებას მოახსენა, რომ ქალაქში ქართველი ახალგაზრდები ჩამოვიდნენ გადასახლებიდან და საჭიროა პირველ ხანებში, სანამ სამსახურში მოეწყობიან, სათანადო დახმარება და ვის შეუძლია მათი ბინით დაკმაყოფილება. აქვე იყო მეტად კეთილი კაცი — სიმონ ბურდული, რომელმაც გადაწყვიტა ახალგაზრდები თავის სახლში წაეყვანა და ყოველმხრივ დახმარებოდა. ლევანს სოლოვეცკის კუნძულებიდან ვლადიკავკაზში ჩამოჰყვნენ მასავით განთავისუფლებული პატიმრები — პეტრე კურცხალია და შალვა დადიანი.

ბურდულების ოჯახმა ამ სამ ახალგაზრდას თავის საკუთარ სახლში შესანიშნავი ოთახი გამოუყო შუშაბანდით და სამზარეულოთი. შეუქმნეს ცხოვრების საუკეთესო პირობები. ოჯახის ახალგაზრდებს — პლატონ ბურდულს და მის დას, ზინას, კარგად ახსოვთ, თუ როგორი გასაცოდავებული და გაწამებული მოვიდნენ მათთან ეს ახალგაზრდები, შორი გზისგან გადაღლილები, მშიერ-მწყურვალები, ჭუჭყიანები, ტანსაცმელჩამოფლეთილები, პირდაპირ მათხოვრებს ჰგავდნენ. 3 კვირის განმავლობაში, გარდა ჩეკაში გამოცხადებისა, სახლიდან გარეთ არ გასულან, ისვენებდნენ და ეძინათ.

ბურდულების ოჯახი ვლადიკავკაზში მთიულეთიდან გადმოსახლებულა 1889 წელს. აუშენებიათ შესანიშნავი სახლი და დამკვიდრებულან. შემდეგ ეს ოჯახი გაიზარდა და გამ-

რავლდა. თვით სიმონ დიმიტრის ძე ბურდული მეტად განათლებული და სწავლული კაცი იყო, შესანიშნავი ცოლი ჰყავდა, ქალბატონი ნინო. ჩამოსული ახალგაზრდები ბავშვებსაც სწრაფად დაუმეგობრდნენ. საერთოდ ამ ოჯახმა ახალმოსახლეებს დიდი დახმარება გაუწია. ლევანი მათ ყოველთვის მადლიერების გრძნობით იხსენიებდა. პლატონ ბურდული იგონებს: ჩამოსულებიდან პეტრე კურცხალია უფრო ხანდაზმულად ვამოიყურებოდა. ხუმრობა არ უყვარდა, დინჯი, დაფიქრებული, სერიოზული, განათლებული ინტელიგენტი კაცი იყო. პროფესიით მასწავლებელი, ამასთან ერთად დიდი პატრიოტი. სასტიკად სძულდა რუსოფილები. მან ისეთ დაწესებულებაში დაიწყო მუშაობა, ნაკლები კონტაქტი რომ ექნებოდა რუსებთან. შალვა დადიანი ახალგაზრდა, მხიარული ყმაწვილი იყო, ამაყობდა თავისი თავადიშვილური წარმოშობით. რატომ მოხვდა სოლოვკებში არ იცოდა, ვინაიდან ისე დააპატიმრეს და გადაასახლეს, რომ არსად არაფერი უთხრეს. ალბათ იმიტომ, რომ თავადისშვილის წარმოშობისა ვარო, — ამბობდა თვითონ. შალვა არავითარ პატრიოტობას არ ამჟღავნებდა და არც პოლიტიკა არსებობდა მისთვის. შემდგომში მას სახლიდან მატერიალურად მეტად კარგად ეხმარებოდნენ და ხშირად ქეიფობდა და დროს ატარებდა. ლევანი 20—21 წლისა იყო, გონიერი და ნიჭიერი. ხელში რვეული ეჭირა და სულ წერდა და ხატავდა. რვეულში საკუთარი ლექსები, დღიურები და ჩანახატები ჰქონდა.

ჩამოსვლისთანავე სამივენი ჩეკაში გატარდნენ აღრიცხვაზე. მათ დაადებინეს ხელწერილი, რომ ქალაქიდან არსად გავიდოდნენ და კვირაში ერთხელ დანიშნულ დროს გამოცხადებოდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში კვლავ პატიმრობით დაემუქრნენ.

ბიჭებს, რატომლაც ეგონათ, რომ ვლადიკავკაზის ჩეკაში მათ უფრო ლმობიერად და ადამიანურად შეხვდებოდნენ და ნორმალურად მოექცეოდნენ, მაგრამ მოხდა პირიქით, პირველი შეხვედრა მკაცრი, მკვახე და ხანძოკლე აღმოჩნდა. თურმე ჩეკა ყველგან ჩეკად რჩება თავისი რეჟიმითა და იქ მომსახურე უგულო პერსონალით, მით უფრო იმ მძიმე წლებში.

მამა გიორგის ოჯახში ლევანი ყოველთვის შვებას გრძნობდა. მათთან ხშირად დადიოდა, ოჯახის წევრებს დაუმეგობრ-

და. განსაკუთრებით დამეგობრდნენ ლევანი და ვახტანგი. ისინი თითქმის ერთი ასაკის იყვნენ, ხშირად ჭადრაკს თამაშობდნენ.

ლევანმა ამ ოჯახში გაიცნო ვლადიკავკაზის იმდროინდელი ინტელიგენციაც: მეტრეველები, სიდამონიძეები, ტატულაშვილები, ელერდაშვილები და სხვ. ლევანმა დაიწყო სამსახურის ძებნა, რაც ძალიან გაუჭირდა, უფრო სწორად, სამუშაოდ ოფიციალურად არ იღებდნენ. ქართულ სკოლაში კი ადგილი საერთოდ არ იყო. ლევანი ჩეკასთან შეთანხმებით იძულებული გახდა დროებით ყიზლარის ქართულ სკოლაში წასულიყო მასწავლებლად. შაბათ-კვირას ვლადიკავკაზში ჩადიოდა, პირველ რიგში ჩეკაში აღირიცხებოდა და შემდეგ ბურდულებისა და ნათაძეების ოჯახებს მოინახულებდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ლევანი ვლადიკავკაზის ქართულ სკოლაში გადმოვიდა სამუშაოდ.

ლევანის ქართულ სკოლაში მოღვაწეობის შესახებ ქალბატონი ნინო ელერდაშვილი იგონებს: „1927—1929 წლებში მთლად ახალგაზრდა ლევან გოთუა სკოლაში ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას.

მართალია, ახალგაზრდა იყო, აკლდა დავაჟკაცება, მაგრამ, როცა ის კლასში გაკვეთილზე შევიდოდა, თავისი დინჯი, წყნარი საუბრით აჯადოებდა ჩვენს მომავალ თაობას. იმ დროს იქ სწავლობდა ჩემი უმცროსი ქალიშვილი, ნატალია ელერდაშვილი. უფროსი ქალიშვილი ელენე კი ლევანთან ერთად მუშაობდა მასწავლებლად დაწყებით კლასებში.

ქართული ლიტერატურა და საქართველო ლევანმა ბავშვებს იმდენად შეაყვარა, რომ ოცდაათიან წლებში ბევრი ქართული ოჯახი გადმოვიდა თბილისში საცხოვრებლად. ლევანი გატაცებული იყო მწერლობით, ხატვით, ბუნების სიყვარულით, ნადირობით და მთამსვლელობით. ყოველ შაბათ-კვირას, გაკვეთილების შემდეგ, დარი იყო თუ ავდარი, მისთვის ეს არ არსებობდა, ჩანთამოკიდებული გაგვიძღვებოდა წინ მოსწავლეებს, მასწავლებლებს და ზოგჯერ ხანდაზმულ მშობლებსაც. ასე შემოვიარეთ მთელი ქალაქის შემოგარენი, რამდენჯერმე გადავედით სადონისაკენ, ოლოაგირისა და დარიალისაკენ. ექსკურსიის შემდეგ იწყებოდა ბაასი, კამათი და შთაბეჭდილების გაზიარება. ყოველივე ეს კი აძლიერებდა ქართველ

ბავშვებში და კოლექტივში გულისხმიერებას, გამძლეობას, გულკეთილობას, მეგობრობას და, რაც მთავარია, სამშობლოს სიყვარულს.

ლევანს ძალიან უყვარდა ახალგაზრდები და დიდ იმედს ამყარებდა მათ მომავალზე. ჩვენს ოჯახში ხშირად დადიოდა, გვიკითხავდა თავის პატარ-პატარა მოთხრობებს და ლექსებს, რომლებიც ზოგჯერ მონახაზის სახით ჰქონდა".

ლევანი ჭაბუკობაში ჭადრაკით იყო გატაცებული, კარგად თამაშობდა, ტოლ-ამხანაგებში ბადალი არ ჰყავდა. ხშირად ამბობდა: „ასე გავჭვრიტე — ჭადრაკი ჩემი მოხეტიალე ცხოვრების თანამგზავრია და ზოგჯერ მშველელიც. ერთ დღეს ვლადიკავკაზში გამოცხადდა საქალაქო საჭადრაკო შეჯიბრი. ნათაძეები შემოჩნდნენ, ბედი მესისჯა, ვინაიდან გამარჯვებულს თბილი კიტელით, საცვლებით და ფულით აჯილდოებდნენ, რაც ჩემთვის მეტად საჭირო იყო. გავბედე და ძალიან დაკვირვებულად ვითამაშე. შეგიძლიათ მომილოცოთ — პირველობა ავიღე, ჩავიცვი თბილი კიტელი, საცვლები და მივიღე საკმარისად დიდი ფულადი თანხა. აი, როგორ გამომადგა ჭადრაკი".

შორეთში ლევანი უკიდურესად მძიმე პირობებში მოხვდა. ყოველგვარ უფლებას მოკლებული, საკანში შარტოდ-მარტო იჯდა, ღრმა ფიქრებში ჩაფლული, მერე იგონებდა ხოლმე ლევანი: „მარტო ერთ ღვთისნიერ ზედამხედველს ვეცოდებოდი, ჩუმად ორ ულუფა წვენს მისხამდა. ერთ დღეს ჩემს ვიწრო, ბნელ სამყოფელში იმედდაკარგული, ნახევრად წამომჯდარი ვთვლემდი. მოულოდნელად კარი მძიმედ გაიღო. მომხიბლა ჩემთან შემოსახლებულმა ახოვანმა ქართველმა ვაჟკაცმა — გივი მაღლაკელიძე აღმოჩნდა. უნაპირო სიხარული და შვება ვიგრძენი. ჩვენიბური კაცის სურნელი ჩემს კარგამოკეტილ და უდროოდ გაწყვეტილ ცხოვრებას საამო მალამოდ დაედო.

გული გაეღეთ ერთმანეთს, ჭირ-ვარამი გავუზიარეთ. მისი თავგადასავალი არა ერთხელ ვაამბობინე. ისიც აღსარებასავით მიამბობდა თავის ბედშავ გზაგადასაყარს.

სამშობლოს გახსენებით გული ვიჯერეთ. შემდეგ გაირკვა, რომ ორივეს ჭადრაკის თამაში გვიყვარდა. პურის ნატეხების და პერანგის ნაგლეჯებისაგან ფიგურები გავაკეთეთ, დიდი

გაპირვებით მიწის იატაკზე ჭადრაკის დაფა დავხატეთ, იქვე მოვკალათდით და სული მოვითქვით. გადაგვავიწყდა აწმყო, გავლაღდით, გავთამამდით, გულმა შვება იგრძნო, უბადრუკად გადახეულ ჩვენს ცხოვრებას ხალისი მიეცა.

ჩვენ, მამაკაცები, ხშირად დაუდევრები ვხდებით. გვიან შევნიშნეთ სათვალთვალოსთან „ეკვის თვალი", შემდეგ შეშფოთებული უფროსიც გაჩნდა, გაგვჩხრიკეს, „ჭადრაკი" ჩამოგვართვეს, თამაში სასტიკად აგვიკრძალეს.

ჩვენ შევთანხმდით, ჭადრაკის თამაში ზეპირად გაგვეგრძელებინა. ამჯერად ვერავითარი ძალა ვერ შეგვაჩერებდა. ერთმანეთის პირდაპირ საათობით გაყუჩებულები უმოძრაოდ ვისხედით და სვლებს ყურში ვუჩურჩულებდით. გავიდა დრო, უკვე იმედის თვალით შევყურებდით დარკინულ კარში ამოჭრილ თვალსაზეერავს. ეს ხომ პატიმრების შორს სახედი „ოჯახური სარკმელი" იყო.

მოულოდნელად დარკინული კარი მძიმედ აპრიალდა:

— თქვენ გაქცევის გეგმას აწყობთ და ერთმანეთს ამას ეჩურჩულებით! არ გამოგივათ! — დაიღრინა უფროსმა ჩახლეჩილი ხმით. ნერწყვი მძიმედ გადაყლაპა და ჩახველებით ხახა ჩაიწმინდა. უგნურებმა ასე ჩათვალეს!

უმალ შებრუნდა ყველაფერი, ამოქმედდნენ ზედამხედველები. ყოველივე ეს იმდენად აღმაშფოთებელი აღმოჩნდა, ვეღარ შევძელით სიტყვის ამოღება.

ჩვენ დაგვაცილეს. წაყვანისას უეცრად გივი შემობრუნდა, ხელი ჩამომართვა და დიდი პატიმრული მადლობა გადამიხადა.

საკანში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, სიცოცხლის ძალა დამეკარგა, ყველაფერი გათავებულად მომეჩვენა, სევდა შემომაწვა, თავჩაქინდრული მივყევი ფიქრებს. აღარც ვადა მიმძიმდა და აღარც ჩემი უჩვეულო ხვედრი. ეჰეი, მღვრიე მორევში სულ ადვილია უკვალოდ ჩაკარგვა!"

ფეხმარდად და შეუფერხებლად იარა წლებმა, ბევრმა წყალმა ჩაიარა, ლევანის ყმაწვილ-ახალგაზრდობაც გაფრინდა. საბოლოოდ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ რუსთაველის გამზირზე შემთხვევით შეხვდა ლევანი გივის. შინ მოიპატიჟა. ჩვენს ოჯახს რა დაავიწყებს იმ დღის სიხარულს — ორივე აღსავსე იყო სამშობლოში დაბრუნების ბედნიერებით.

გაიხსენეს მძიმე წარსული და ჭადრაკის ამბავიც, რის გამოც ამჯერად ბევრი იცინეს და იოხუნჯეს.

ლევანის პირველმა წერილმა ვლადიკავკაზიდან ოჯახში დიდი მღელვარება გამოიწვია:

„ვლადიკავკაზი.

20.X.1927 წ.

საყვარელო მამა!

მივიღე შენი, ქართული სკოლის მისამართით გამოგზავნილი წერილი და ფული. მე ჯანმრთელობის მხრივ კარგად ვარ. ამჯერად უკვე ვმუშაობ ვლადიკავკაზის ქართულ სკოლაში და ბინაც იქვე მომცეს, რა თქმა უნდა, უფასოდ. ასე რომ, მე ჩემი ჯამაგირი აქ ცხოვრებისათვის საკმარისად მეყოფა, შენ აღარ შეგაწუხებ.

ვალები გავისტუმრე, მალე ალბათ ჯამაგირსაც მივიღებ და ტანისამოსს შევიკერავ. ცხოვრება ხელ საერთოდ იაფია, ასე რომ, ნელ-ნელა ვეწყობი.

აქაური ქართველები, შენი ნაცნობები, ყველანი ვნახე და გავიცანი. დამეხმარნენ, მოკითხვას გითვლიან.

აქ სკოლასთან ერთად გვაქვს კლუბი და თეატრი, ხშირად იმართება წარმოდგენები და საღამოები. სამკითხველომ მიიღო ბევრი ახალი ქართული წიგნი.

საერთოდ, ქართულ კოლონიას კვლავ გამოცოცხლება ეტყობა, მე, რა თქმა უნდა, ვეხმარები მათ, რაც შემიძლია.

რეგისტრაციაზე ძველებურად დავდივარ, ამის გარდა ახლა ყოველ თვეში ერთხელ დაკითხვაზე უნდა ვიარო. მათ არ ეთხოვნენ, მე რომ ქართულ სკოლაში ვარ, მაგრამ სარა უშავს რა.

ვეცდები, თუ ნებართვა მომცა ადგილობრივმა ხელისუფლებამ, არდადეგებზე დროებით მაინც თბილისში ჩამოვიდე. ყველა ძალიან მომენატრეთ. ჩემი მისამართი იგივეა. მოკითხვა ყველას.

გაოცნით ლ ე ვ ა ნ ი.

ს ა ყ ვ ა რ ე ლ ო დ ე დ ა!

უკვე დიდი ხანია მივიღე შენი წერილი, მაგრამ პასუხი ვერ გამოგიგზავნე, როგორ ხარ? კიდევ გაჯავრებენ ბავშვები თუ ახლა უკვე წამოიზარდნენ?

დეიდა ანეტა და ბიძია ვანო როგორ არიან, ან ელიკო როგორ ჰყავთ. მოკითხვა ნინა ალექსანდროვნასა, გერმანული სულ დამავიწყდა. მისი ქმარი, ფარლამ თაყაიშვილი სად არის ან როგორ არის? მე რომ ბუტირკის ციხეში ვიყავი, ვეცადე, რომ რამე შემეტყო მის შესახებ ან მენახა იგი, მაგრამ ვინ მაჩვენებდა და ვერც ვერაფერი შევიტყვე. მე კარგად ვარ, თანდათან ვეწყობი. მივიღე წერილი იასესაგან. ის მოკითხვას გითვლით. მოკითხვა მაროს, ალიოშას და ლეილას, მოკითხვა ნათესავ-ნაცნობებს.

სულ ჯანმრთელად და კარგად იყავი.

გოცნი შენი ლ ე ვ ა ნ ი.

ძ მ ა ო ს ა ნ დ რ ო!

მივიღე შენი წერილი, ძალიან გამეხარდა. თუ არა, მე ვიფიქრე, წერა თუ დაგავიწყდა. შენი უნივერსიტეტში მიღება მე გაზეთში წავიკითხე. მაშ ახლა „ინჟინერი იქნები რაღა". აბა ვნახოთ, როგორ ისწავლი. მოკითხვა არჩილს, რატომ წერილს არ მიგზავნის? როგორ არის მისი ჯანმრთელობა? მოკითხვა ჩემს ამხანაგებს, თუ მათ ამხანაგები შეიძლება ვუწოდო. ნუთუ იაშას, ჯანიკოს და სხვებს არ შეეძლოთ ერთი ღია ბარათი მაინც გამოეგზავნათ? თუ უნდათ, მარკის ფულს მე გამოვუგზავნი.

მივიღე თამრიკოს წერილი. მას მშვენიერი წერა უსწავლია, მზია რას აკეთებს, ხომ არ ზარმაცობს, ან წერა თუ ისწავლა. წერილს ვუცდი არჩილისაგან. სანდრო, თუ წამომსვლელი იქნება ვინმე კავკავში (მამასაც უთხარი), ჩემი საათი გამომიგზავნე.

მოკითხვა მეგობრებს.

ლ ე ვ ა ნ ი.

ტ ა ს ო!

ძვირფასო ტასო! მაშ შენ კვლავ ჩვენთან მოხვედი? ძალიან მეამა ეს ამბავი. ხომ ხარ ჯანმრთელად? სიბერე ხომ არ მოგერია? მე კარგად ვარ, ჩემი ჯავრი ნუ გაქვს. თუ გამომიშვეს, ხაახალწლოდ ჩამოვალ. როგორ არიან შენი შვილები?

ტასო! რომ მზრდიდი, ისე გამოვიდა, ხაციმბიროდ გამზარდე?! მაგრამ, ციდევ კარგი, ახლა არა მიშავს! მე ყოჩაღად ვარ, ყველაფერს გავუძლებ და ვიქნები კიდეც კარგად. შენც კარგად და ჯანმრთელად იყავი!

„ბოცნილ ე ვ ა ნ ი“.

ლევანისგან წერილის მიღების შემდეგ ოჯახში მღელვარება გამწვავდა. მშობლები გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნენ, ვერ წარმოედგინათ როგორ შეეტყობინებინათ ლევანისათვის არჩილის გარდაცვალება. ლევანმა არაფერი იცოდა, არჩილისაგან წერილს ელოდა და მის ჯანმრთელობაზე გვეკითხებოდა.

ჩემს საწყალ, გადაკარგულ ბიჭს მე არჩილის დაღუპვას ვერა და ვერ შევატყობინებ, გაგიჟდება, — ნერვიულობდა დედა. იგი შვილის სიკვდილის შემდეგ სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. მამაც, ასევე შეწუხებული, წერილის მიწერაზე თავს იკავებდა.

გავიდა რამდენიმე ხანი. მშობლებმა ბოლოს ძლივს გამონახეს გამოსავალი — გადაწყვიტეს ეს მძიმე საქმე დაევალებინათ მამა გიორგისათვის. ლევანის მიმართ ის ხომ ყოველთვის დიდ მზრუნველობას იჩენდა ხოლმე.

მამამ დიდი მოწიწებით, ბოდიშით, მამა გიორგის შეატყობინა ოჯახში შექმნილი მძიმე ვითარება, თუ რა რიგ ძნელია მათთვის არჩილის გარდაცვალების შესახებ ლევანისათვის წერილის მიწერა და სთხოვდა მას, რომ ლევანს როგორმე ეს მძიმე ამბავი თქვენ შეატყობინეთო. მე ვშიშობ და ვწუხვარ, ლევანს თავისი მძიმე დარდი ჰყოფნის, ასეთ ახალგაზრდას ოჯახისა და სამშობლოს მიღმა გაწვალებული ცხოვრება შეხვდა. ახლა კი არჩილის დაღუპვა და ოჯახის ტრაგედია! როგორი რეაქცია ექნება ამ მძიმე ამბის გაგებაზე, ვერ წარმომიდგენიაო — წერდა ის.

ცოტა ხანში ჩვენთან, სახლში, მამა გიორგისგან გამოგზავნილი კაცი მოვიდა. სტუმარმა დაწერილებით გადმოგვცა მისი დაბარებული.

ერთ საღამოს თურმე მამა გიორგიმ ლევანს გაუმხილა არჩილის სიკვდილის ამბავი. ლევანმა ძალიან მძიმედ გადაიტანა ეს ცნობა, ხან პატარა ბავშვივით ტიროდა, ხან დაჭრილი ხარივით ბღაოდა, ზოგჯერ თავს კედელს ახლიდა. ნათაძეების ოჯახის წევრები მისი საცოდაობით იწვოდნენ და ცრემლად ილვრებოდნენ. ლევანი იმ ღამეს სახლში არ გაუშვეს. ღამე ვერ დაიძინა. საწყალი არჩილიო, სულ იმას გაიძახოდა.

მეორე დილას ლევანმა მამა გიორგის გაანდო: ჩეკაში წავალ და ეთხოვ რამდენიმე დღით იქნებ თბილისში გამიშვანო. არჩილის საფლავსაც ვნახავ და მშობლებსაც ცოტათი დავაწყნარებო.

ჩეკაში ლევანს, რა თქმა უნდა, ძალიან მკვახედ შეხვდნენ და თბილისში გაშვებაზე უარი უთხრეს. ამ ცხელ გულზე ლევანს მათთვის დიდი საყვედური უთქვამს: თქვენ ადამიანური არაფერი გაგეგებათ, რა ხალხი ხართო! ამი გამო ლევანი სასტიკად გააფრთხილეს — ჭკვიანად იყავი და ენას მოუკელი, რახან ამ ქალაქში ჩამოზვედი, აქაურ წესებს დაექვემდებარე, თორემ უკან დაგაბრუნებთო.

ამ კაცის ნაამბობს ყველანი გულისტკივილით ვუსმენდით. ნათელი იყო ლევანის მძიმე განცდა არჩილის სიკვდილთან დაკავშირებით და ოჯახის ტრაგედიის ატანა უცხო გარემოცვაში. ბავშვები უნებურად ვიცრემლებოდით. მამას ნერვიულობისაგან სახეზე კუნთები უთამაშებდა. ამ კაცის ხელით ლევანს ფული, ამანათი და პატარა ბარათიც გაუგზავნა.

მამაჩვენი კატეგორიულად სთხოვდა ლევანს, როგორც ჭკვიან, გონიერ და უკვე მოზრდილ კაცს, არა როგორც შვილს, არამედ მეგობარს დაწყნარებულიყო, მოთმინებისა და გონიერებისათვის მოეხმო, მოუფიქრებელი საქციელით თავი არ წაეგო და ჩვენ არ დაველუპეთ, მით უფრო, რომ ახლო მომავალში მისი პატიმრობის ვადაც თავდებოდა. პასუხისმგებლობის გრძნობას უნერგავდა, შენი იმედით ვართო, წინ კეთილი და კარგი საქმეები გვესახებაო.

ვლადიკავკაზიდან წერილების მოსვლამ იკლო, მაგრამ ბევრი ნაცნობის აქეთ-იქით მიმოსვლის წყალობით მამამ ყველა-

ფერი დაწვრილებით იცოდა ლევანის ცხოვრებისა თუ საქმიანობის შესახებ, ასევე ლევანმა — ჩვენი ოჯახის თუ თბილისის ყველა ახალი ამბავი. ჩვენთან უფრო ხშირად ნათაძეების ოჯახის წევრები ან მათი გამოგზაკნილები მოდიოდნენ, მამასთან ლევანის პატარა ბარათი მოჰქონდათ ხოლმე. უფრო კი სიტყვიერად უამბობდნენ ლევანის ამბებს და აქედან მიჰქონდათ ამანათი, ფული და, რაც მთავარია, წიგნები. თურმე რამდენჯერმე არალეგალურად ლევანი თბილისშიც ჩამოსულა, მამას შეხვედრია, არჩილის საფლავზე ყოფილა, სახლში კი არ მოსულა.

რამდენიმე ხნის შემდეგ არჩილის სიკვდილთან დაკავშირებით ლევანი მძიმე გულისტკივილით გვწერდა:

„არჩილის სიკვდილი ჩემს თავზე მეხის დაცემაა. არჩილი აღარ არის! ამის წარმოდგენა დღესაც არ შემიძლია, მასზე ფიქრს ყოველთვის თან სდევს ცრემლი, ღრმა სევდა, შინაგანი წუხილი, მძიმე ვარამი და გულისტკივილი. თვალწინ მიდგას მისი უდიდესი ნიჭი, სწავლა-განათლება, არაჩვეულებრივი გონიერება და ყოველმხრივ გამართული ხასიათი. ჩვენ ყველა, მის გარშემო მყოფი ახალგაზრდები, ვამაყობდით არჩილით, და ზოგჯერ გვშურდა კიდეც მისი. რამდენი კეთილი გეგმა გვქონდა მომავალში დასახული. მე იქ ამის იმედით ვცხოვრობდი, ახლა კი საშინელ სიცარიელეს ვგრძნობ, ერთგვარი დაჩაგრულობისა და უსამართლოდ უგულებელყოფის განცდა ისევ მეუფლება. არჩილის სიკვდილმა თითქოს მთელი გულის სითბო წამართვა და სიკეთის სხივი ჩამიწყვიტა. წარმოვიდგინე თქვენი ესოდენ დიდი მწუხარება. მინდა მანდ ვიყო თქვენთან ერთად, განუგეშოთ, მოგეფეროთ. მარტოობის სატანაც მიჭირს, აღარ შემიძლია. არჩილის სიკვდილმა ჩემი მოთმინების ზღურბლი გადაიარა. მისი სიკვდილის მიზეზში ალბათ ჩემი გადასახლებაც ურევია. ეს კი ძლიერ შტანჯავს და მაწვალებს.

ბევრის დაწერა მინდა, მაგრამ ხელი არ მემორჩილება. არჩილისადმი სიბრალულისა და სინანულის გრძნობამ გული გამიპო, მძიმე სასოწარკვეთილებით ამივსო. კვნესა და გოდება დამიტოვა“.

1928 წლის აპრილში ლევანისაგან დედის სახელზე საპასუხო ღია ბარათი მოვიდა. ყველას ძალიან გაგვიხარდა, რომ დედამ, ბოლოსდაბოლოს, ლევანსაც მიწერა და წერილი მისწერა.

ვლადიკავკაზი.

9.IV.1928 წ.

ჩემო საყვარელო დედა!

შენმა ბარათმა ძალიან გამახარა.

ხომ კარგად ხარ, ხომ კარგად არიან ბავშვები, დიდი სიყვარულით გკოცნი შენ და ბავშვებს. მამა როგორ არის? აქ ჩამოვიდა ვანო გოთუა და იმან მიამბო თქვენი ამბავი. გავიგე ნ. ნიკოლაძის გარდაცვალება, ჩატყდა საუკუნის უკანასკნელი ძველმაგარი ხიდის კაცი. ნეტავ როგორ დაასაფლავეს? ღირსეულად? მათთან სახლში როგორ არიან, რუსუდანი, თამარი ოჯახებით ჯიორგისრა ისმის.

მე კარგად ვარ, ვმუშაობ ბევრს, ქართულ სკოლაში ვასწავლი ხატვას, ქართულ ლიტერატურას და ძერწვას.

რაც მთავარია, პატიმრობის ხადა შემცირდა, სულ ცოტა დამრჩა. მოუთმენლად ველი ამას, დიდი იმედის გრძნობით და ჯიხარულით, მაგრამ დიდი შიშითაც. ამაზე არ მინდა ბდრეულად რამე ვთქვა, ვიცი ჩემი უკუღმართი ბედის ამბავი, სადმე კიდევ არ მიმტყუნოს და კვანტი არ გამომდოს. დედა, სანდროს უთხარი, შემომითვალოს რა აქვს გატეხილი ჩემს ველოსიპედს? თამრიკოს და მზიას მინდა ვუყიდო საჩუქრები.

ველი პასუხს. მოკითხვა ყველას. გკოცნით.

თქვენი ლევანი

დედა, ტასო როგორ არის? დიდი მოკითხვა სიყვარულით. წიგნების გამოგზავნას რომ აპირებდით, რატომ დაგვიანდა?

„გკოცნით ლევანი“.

ცოტა ხანში ისევ მოვიდა ღია ბარათი.

„ვლადიკავკაზი.

5.VI.1928 წ.

საყვარელო დედა! როგორ ხართ? რომ იცოდეთ, როგორ მომენატრეთ. თუ გადაწყვიტეთ ზაფხულში ფასანაურში წასვლა, იქ ძალიან კარგად დაისვენებთ.

ფასანაურში გზაც მარჯვეა, ჰაერიც და ჩემთან ახლოს იქნებით. შეიძლება გნახოთ ყიდეც. ან მე ჩამოვალ თქვენთან სტუმრად, ან თქვენ ჩამოდით.

ბავშვებს — თამრიკოს და მზიკას ვუყიდე საჩუქრები. მითხრეს კარგიაო. გამოვგზავნი ამ დღეებში, თინა და სანდრო ალბათ მეცადინეობენ. როგორ აბარებენ გამოცდებს?

როგორ არის მამა? როგორც ყოველთვის, ალბათ დღე და ღამე ხუშაობს. მე და საწყალი არჩილი ყოველთვის ვამაყობდით მამის შრომისმოყვარეობით და ნიჭით. იქნებ მეც გამომყვეს ცოტაოდენი მაინც მისი სიკეთე. ცოტა ხანში ისევ მოგზაურობა უნდა დავიწყო. ძალიან მიყვარს ჩვენი დიდებული, ჭალარა კავკასიონი.

მოკითხვა ყველას. გკოცნით.

თქვენი ლ ე ვ ა ნ ი“.

„28.VII.1928 წ.

ს ა ყ ვ ა რ ე ლ ო მ ა მ ა!

ამას წინათ გამოვუგზავნე დედას წერილი. პასუხი ჯერაც არ მიმიღია. გწერთ მეორეჯერ. მე კარგად ვარ. ჩემი მდგომარეობა ძველებურია. დღეს ვიყავი ჩეკაში, მაგრამ უშედეგოდ.

უნივერსიტეტში შესვლაც გვიანდება, მე ცი ცერ ვერაფერი გადამიწყვეტია. ვღელავ. რას მირჩევ? ველი პასუხს თქვენგან.

თუ ჩემს შესახებ რამეს შემოთვლიან ჩეკადან, შე-

მატყობინეთ, თუმცა ამაში ეჭვი მეპარება, ვინაიდან იქ მითხრეს, რომ ჩვენ თვითონ გამოგიძახებთო. იყავით კარგად, მოკითხვა ნაცნობ-ნათესავებს.

„გოცნი ლ ე ვ ა ნ ი“.

წერილს მიწერილი ჰქონდა: Концентрационный лг., Ленина 31, УСАЗИТЛ.

რატომ იყო ეს ღია ბარათი გატარებული რეგისტრაციაში, ყველა საგონებელში ჩავვარდით, მამამ ვერაფრით ვერ ახსნა, ბოლოს დაასკვნა, შესაძლებელია, ლევანის წერილებს მაინც ამოწმებენო.

ვლადიკავკაზი.

27.VIII.1928 წ.

ს ა ყ ვ ა რ ე ლ ო მ ა მ ა!

ჩანს, ჩემი მდგომარეობა კიდევ კარგა ხანს იქნება გაურკვეველი (თუ კი გაირკვევა დადებითად საერთოდ). აქ ჩემი შემდგომი ყოფნა კი, ვფიქრობ, ყოველმხრივ გაუმართლებელია.

სხვა ქალაქში უნივერსიტეტში შესვლის იმედი რომ მქონდეს (რაც ფრიად საეჭვოა), მაშინ უნდა დავუჩქარო წასვლას და საუნივერსიტეტო ქალაქში გადავიდე საცხოვრებლად. ამ მხრივ ჩემი არჩევანი სარატოვზე შეჩერდა.

შევიტყვე უნივერსიტეტში შესვლის პირობებიც და იმედი მაქვს უნივერსიტეტში უსათუოდ მოვხვდები. აქ გაურკვევლობაა: ეკონომიური ფაკულტეტი ყოველგვარი კრიტიკის გარეშე დგას. ეს უბრალო პარტიული სკოლაა მარტო. ყოველი შემთხვევისათვის, თუ მომიხერხებენ მივლინებას, თუნდა აგრონომიულ ფაკულტეტზე, ისიც კარგია. შევიდე კი უმაღლესში და მერე რამეს მოიფიქრებს კაცი. აბა ასე უსწავლელი შუა გზაზე ხომ არ დავრჩები. თბილისის უნივერსიტეტიდან ატესტატს ნუ გამოიტანთ. მე მხოლოდ ასლი გამომიგზავნეთ. მინდა,

ყოველი შემთხვევისათვის, მაქაც ვირიცხებოდე. ამის შესახებ მერე უფრო დაწვრილებით მოგწერთ. მამა, მირჩიე, როგორ მოვიქცე. ხომ იცი, შენი სიტყვა რა რიგ დიდი იმედია ჩემთვის.

ჯანმრთელობის მხრივ კარგად ვარ. მართალია, თბილები არა მაქვს, მაგრამ მე ამის არ მეშინია სიცივეს ისე შემაჩვიეს, უინვა ალარ გამიჭირდება, მით უმეტეს იქაური. მაინტერესებს მოსკოვში რატომ? სად არის გაგზავნილი ან ვინ გაგზავნა ჩემი საბუთები? ეს ახალი ცდაა თუ ძველის შედეგები?

სად, რომელ დაწესებულებაში? თუ ეს დაკავშირებულია ვისიმე თავმოყვარეობის შელახვასთან (მაგალითად, შენი), მაშინ, მამა, უმჯობესია ყოველივეს თავი დაანებო. ველი პასუხს საჩქაროდ. მოკითხვა დედას და ბავშვებს. არ მაქვს სრულიად ახალი ქართული წიგნები. თუ არის საშუალება, გამომიგზავნეთ. მისამართი ჩემთ ძველია. ეკონომიურად, რა თქმა უნდა, სუსტად ვარ, რა ვუყოთ, ეს საერთო მოვლენაა. მამა, პასუხს ნუ დამიგვიანებ. მინდა საბოლოოდ გამოვარკვიო ყოველივე, და, თუ მოვახერხებ, ამ ახლო მომავალში ეფიქრობ წასვლას.

გოცნით ლ ე ვ ა ნ ი".

1928 წლის ზაფხულში ლევანს თავისუფალი გადასახლების ვადა უთავდებოდა. ის შეღავათები, რაც უნდა ჩაეთვალათ სოლოვკებში ყოფნის დროს, არ ჩაუთვალეს. ძლიერ ღელავდა და ნერვიულობდა, სულმოუთქმელად უცდიდა ამ ნანატრ დღეს. ეს ხომ მისი ცხოვრების, არსებობის სამკვდრო-სასიცოცხლო პირობა იყო.

ახალგაზრდული, კეთილი იმედებით განმსჭვალულმა დანიშნულ დღეს ჩეკას მიაკითხა. მამა გიორგის ვაჟიშვილი ვახტანგ ნათაძეც გაჰყვა. „ისევ უბედურება დატრიალდა, — იგონებდა ვახტანგი, — ლევანს გამოუცხადეს, რომ მას მექანიკურად ისევ 3 წლით თავისუფალი გადასახლება გაუხანგრძლივეს და ამ რეჟიმში ყოფნა დაუტოვეს. ეს შემზარავი სიტყვა ტყვიასავით მოხვდა ლევანს გულში. გაფითრდა, გაშრა, გა-

შეშდა, თვალები დაუბნელდა, თავდაპირველად ვერც კი დაიჯერა. ძლიერ გამწარებულს და აღგზნებულს თვალზე ცრემლი მოადგა. რატომ? რისთვის? გაჰყვიროდა ის.

— ჩვენ არაფერი ვიცით ,— უპასუხეს გაჯავრებულმა ჩეკისტებმა, — ჩვენ საერთოდ არაფერი ვიცით, შენ რა ბრალი მიგიძღვის და რატომ იყავი სოლოვკებში, იმ უბედურებაში. არც ის ვიცით, რატომ გაგიგრძელეს ვადა. ჩვენ მოწერილობა მოგვივიდა და ამას ვასრულებთ. ერთი შეგვიძლია გითხრათ, რომ შენს სამშობლოში, საქართველოში არ გიშვებენ, იქ არ უნდათ შენი მიღება. ალბათ შენთვის ახლა არ სცალიათ.

ლევანისათვის ეს ყოველივე მომაკვდინებელი იყო. ბევრი იდარდა, განიცადა, მაგრამ რას გააწყობდა. მიხვდა, რომ ნამდვილად ვადის გაგრძელება ისევ საქართველოდან მოდიოდა. იმასაც ნაღვლობდა, რომ თავიდანვე ქალაქ ვლადიკავკაზში წამოსვლა და აქ დამკვიდრება ალბათ დიდი შეცდომა იყო. წასულიყო სადმე რუსეთის ქალაქში, სადმე ქარხანაში. მუშის სამუშაოს ყოველთვის იშოვიდა, შესაძლებელია რამე შეღავათიც ჰქონოდა. რაც მთავარია, ამდენ ხანში უმაღლესს დაამთავრებდა და სპეციალობა ხელში ექნებოდა.

საბოლოოდ მაინც გადაწყვიტა ვლადიკავკაზიდან თავის დაღწევა. თავისი განზრახვა მამა გიორგის გაანდო. მამა გიორგიმ ლევანი დააწყნარა:

— სამი წელიწადი დიდი დრო არ არის, შვილო. შენ ახალგაზრდა კაცი ხარ, ჭკვიანი, ბევრი იმუშავე, გაერთე. წლები კი ხომ ხედავ, როგორ სწრაფად გარბის, მერე ვერაფერს ვეღარ იზამენ და გაგიშვებენ. მშობლებს ჯერ ნურაფერს შეატყობინებ. ისინი თვითონ მიხვდებიან. ხომ ხედავ, საქართველოში როგორი რეპრესიები და დაჭერები მიდის, არც ერთი ღირსშესანიშნავი ოჯახი აღარ დარჩა დაურბეველი. ვინ იცის, შესაძლებელია უკეთესიც არის, რომ შენ აქა ხარ გამოხიზნულიო.

საწყალი ლევანი რაღას იზამდა, საბოლოოდ ისევ თავის უბედურ ბედს დამორჩილდა. ჩემი სრული ბედნიერებისათვის საჭიროა სამშობლო და ქართველი ხალხი. ეს კი ამ ბოლო ხანებში ჩემთვის მიუღწეველია, — ხშირად იმეორებდა ის.

ვლადიკავკაზის ქართულ სკოლაში მუშაობით ლევანმა ქართულ კლუბშიაც გაითქვა სახელი. შეიძლება ითქვას, რომ

ლევანმა იქ დაიწყო სერიოზული ლიტერატურული მოღვაწეობა და, მეორეც, ლევანი ძალიან კარგად ხატავდა და კლუბში კარგი მხატვრის სახელიც დაიმსახურა. მერე ძერწვაც დაიწყო. მისი გამოძერწილი შოთა რუსთაველი დიდხანს ამშვენებდა სკოლის დარბაზს. ამრიგად, ლევანმა ყოველ მხრივ დაიტვირთა თავი. მამა სულ მუდამ ადევნებდა თვალყურს მის საქმიანობას, ძალიან ხშირად მისგან პატარ-პატარა ბარათებიც მოსდიოდა

ლევანი სწერდა მამას: ვლადიკავკაზში ყოფნამ საგრძნობლად გარდაქმნა ჩემი ცხოვრება. დავეწაფე მწერლობას, დავწერე რამდენიმე მოთხრობა, ლექსი, პიესა, დრამა. ვნახოთ რა გამომივა. კალამს ქარქაში არ გააჩნია, ის ან ბასრად ცხოველმყოფელია, ან გატეხილია. ვნახოთ ჩემს ხელში რას იზამს, როგორ გამიმართლებს.

„მახსოვს ერთხელ მამამ გაზეთი „კომუნისტი" სიხარულით შემოიტანა, — იხსენებს თინა. გვაჩვენა საკმაოდ მოზრდილი სტატია, რომელშიაც დაწვრილებით ეწერა ვლადიკავკაზში არსებული ქართული კოლონიის შესახებ, მის ცხოვრება-მოღვაწეობაზე, ქართული სკოლის არსებობაზე, იქ აღზრდა-განათლებაზე, კლუბის არსებობაზე.

აქვე იყო ძალიან დეტალურად გარჩეული მთელი რიგი ეკონომიკური საკითხებიც. ქვევით კი ხელმოწერა ლ. გ., ვლადიკავკაზის ქართული სკოლის მასწავლებელი".

მამას ძალიან უხაროდა ლევანის გატაცება ლიტერატურით. ის ხომ ჯერ კიდევ ბავშვობაში და სტუდენტობის დროს ამჟღავნებდა ამის ნიჭს, ახლა კი უდავო ხდებოდა. ლევანის ლიტერატურული ნიჭი ვულკანივით ამოიფრქვევაო, — ხშირად იმეორებდა მამა.

მამა უწინასწარმეტყველებდა ლევანს ლიტერატურაში ბრწყინვალე მომავალს. საწყალი მამა, თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე სულ ამაზე იცნებობდა, მაგრამ ვეღარ მოესწრო.

როგორც ვთქვით, ლევანმა ლიტერატურული მოღვაწეობა ადრე დაიწყო, ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში ის ლექსების წერით იყო გატაცებული. სამწუხაროდ, არც ერთი იმდროინდელი ნაწარმოები არ შემოგვრჩენია. დასანანია ისიც, რომ ლევანის მიერ ვლადიკავკაზში და ბიისკის ოლქში გადა-

სახლების დროს, სულ ადრეული ახალგაზრდობის პერიოდში დაწერილი ლექსების, მოთხრობების უმრავლესობა განადგურდა ხშირი ჩხრეკისა და სხვადასხვა მიზეზისა და გარემოების გამო. გულდასაწყვეტია ისიც, რომ ბევრი კარგი ლექსი თვითონ ლევანმა მოსპო, ასაკშიშესულს უკვე აღარ მოეწონა. ამჟამად ლევანის არქივში შემორჩენილია რამდენიმე იმდროინდელი ლექსის ხელნაწერი რვეული.

აი, იმ ნაწარმოებთა არასრული სია და შემოკლებით ზოგიერთი ლექსიც. ამ ლექსების ყოველი სტრიქონი ლევანის გულისთქმაა, ასახავს იმდროინდელ განცდასა და წუხილს. ლექსები, დაწერილი ვლადიკავკაზში (ძაუგი) 1928—1930 წლებში: „სიტყვა ალალი", „ნასპასალარი", „რითმა შერეული", „ნახირი ქალაქში", „სიმფონია", „აჰ, აუუ, ბეშტაუ", „კარავი იალქანივით", „თასმა ასონანსი", „თეთრი მძორები", „სულ უბრალო ღამე", „იწვები, არც ანთებაა", „მრავალ ხალხისა", „მე ჯალათი ვარ", „ო, ოლეგოვა", „უთავებოლო", „ფიქრია მცირე", „ახალსახური", „მინდა ვიტირო", „ათას ფერხულად", „ჰეი, ჰეხის მტრად", „ძილისპირული" და სხვ. საბავშვო პიესები: „ალელვებული მებაღე", „ცელქი გმირები", პიესები: „დრამა პრეისტორიული" 5 მოქმედებად, „ხეთა დაეცა", „მზეო ჰან-დალიბ", დრამა თეთრ ლექსად; მოთხრობები: „ლოთი ლათაი", „ბასრი ხარხარი", „ძველად უთქმელი", „ღმუილ, ღმუილ", „ნისლი გაცრილი".

ნარკვევები, ნოველები, ესკიზები, დრამა, ლეგენდები: „მთა მაგიდა", „ურმული", „ბედი ჯებირის", „ლირიკული დრამა, ესკიზი", „Memento mori", „სივრცე მურაზი", „ქურდი დარიალში" და სხვ. (დანარჩენ ნაწარმოებებზე შემდეგ შევჩერდებით თანამიმდევრობით).

ზოგიერთი სტრიქონი ლექსიდან

„მთა მაგიდა"

ოუუ ძაუგი, ღრიალებს თერგი
თან მოაქეს... მთის სიმაღლეზე და სიხალისე,
მოხტის, როგორც აბუღრავებული მოზვერი.
ო—ო, შენ დენას რა შეანელებს??
შენ დენას რა შეწყვეტს?
— ალბათ ზღვა კასპიის.

თერგი ყბარტია, როგორც კალმახი,
თერგი სულია მთის,
თერგი — ამბოხიც და სერენადა,
თერგი სენია ღამეების
მეც — თერგდალეული,
მის ავადმყოფობით შენაპყარი,
ალბათ, მიტომ თუ მიზიდავს მთები.

კავკასიონი თუ ქედია,
სამხედრო გზა არის მისი სარტყელი,
უზარმაზარი ხნული და ორი გველი
შიგ ჩაწოლილი —.
თერგი და გზა,
გზა ნაბეჭსაელი ურიცხვ მოდგმათა,
გზა და გამზირი ისტორიაში,
მოწმე, მოწამე უკუღმართ ბედის —
სამხედრო შარა საქართველოსი.
ღამე ეუფლება კლდეებს და ფერდობებს,
მზე ჩაიძირა ლოდივით გუბეში,
მძვინვარედ იშლება
ღამის ოკეანე
და იძირება მის არქიპელაგში —
იღვრება მელანი,
ჰვარტლი და მური,
ღრუბლები ბორგავენ შავი მხედრებივით,
ჩრდილოეთიდან მოდიან ჯანყები
და მთიურ მაგიდის მკერდს ეხეთქებიან.
მხოლოდ ღა მყინვარი აგდია ქუჩაზე,
ქვეეით კი
ბნელეთი, ბნელეთი, ბნელეთი...
ალბანი თუ ამზადებს ახალ აჯანყებას,
ამაყი მყინვარი
და იმის იქით —
მთელი საქართველო
უ...უ...უ... მყივნარი
ეპა — საქართველო.

წლები მართლაც რომ სწრაფად გარბოდა. ვლადიკავკაზში ყოფნამ ლევანს მთებიც შეაყვარა და ალპინისტობაც დააწყებინა. ის წერდა მამას: „ყოველდღე შევყურებ დიდებულ კავკასიონს, თვალი გამირბის, და კამარობს ზვიად სივრცეში. ჩემი მზერა უცნაური ძალით ივსება. შეუდრეკად ვჰვრეტ მა-

რადიულ ყინვით დაფარულ ბუმბერაზ მწვერვალებს, რომელიც უჩვეულოდ მიტაცებს.

მისი უკუ მხარე კი! ეჰეი გულისტკივილით მხიბლავს, მიძახის ჩემი სამშობლოს მიწა-წყალი. ამაყი საუკუნოვანი ციხეკოშკების ნანგრევები, ბევრის მთქმელი და მძიმე ისტორიული წარსულით გამოჭედილი. ქვევით კი — ტყე, შეფეთქილი შინდით, ტყემლით, ნასოფლარებით, ნასაყდარებით და სხვა ნანგრევებით ის არის ყველა უპატრონოთა და ეხლა ჩემი ჭირისუფალი".

ჯერ ლევანმა ვლადიკავკაზის გარშემო მთები და შემოგარენი შემოიარა, შემდეგ კი, ჩეკაში აღრიცხვიდან აღრიცხვამდე, მალულად, თავისუფალ დროს, განსაკუთრებით ზაფხულში, მწვერვალების დალაშქვრა დაიწყო, რამდენჯერმე სხვადასხვა გვარით წავიდა, არალეგალურად.

1930 წელს, გაზაფხულზე, მესტიაში გაიხსნა პტეს-ს ტურისტული ბანაკი, რომლის გამგე იყო საუკეთესო ოსტატი, მთამსვლელი სანდრო გვალია.

ტავერის მყინვარის ბოლოსთან, ტურისტული თავშესაფარის მშენებლობაზე მუშაობდა იმ დროს უმცროსი ტექნიკოსი, ამჟამად საუკეთესო მთამსვლელი, დამსახურებული პროფესორი ლევან მარუაშვილი, რომელიც ყოველ შაბათ-კვირას მესტიაში იყო და ლევან გოთუასთან დაკავშირებით საინტერესო ამბებს შეესწრო.

ბანაკში ხალხმრავლობა იყო. ბევრი ჯგუფი გადიოდა სხვადასხვა მწვერვალის დასალაშქრავ წინასწარ მოსამზადებელ წვრთნას.

„ერთ დღეს, სრულიად მოულოდნელად, — იგონებს ლევან მარუაშვილი, — ბანაკს მოადგა ერთი ზორბა, ბრგე ვაჟკაცი. გაწითლებული და გასივებული ცხვირი ჰქონდა. სანდრო გვალია და მე იმწუთშივე მივხვდით, რომ ეს კაცი მყინვარზე ახალი ნამყოფი იყო.

ყიზლარის ქართული სკოლის მასწავლებელი ცაბოლიშვილი ვარო, — წარმოგვიდგინა თავი უცნობმა. ჩვენ ორივეს ვაგვიკვირდა, ასეთი უცნობი გვარის ალპინისტი არც სანდროს და არც მე კავკასიონის მწვერვალების დალაშქვრაში არ გვახსოვდა.

— გაქვთ თუ არა რაიმე გამოცდილება ალპინიზმში და

რომელი მწვერვალები დალაშქრეთ? — შეეკითხა გაკვირვებული სანდრო.

— მთამსვლელობაში მე დიდი გამოცდილება არა მაქვს, მაგრამ მაქვს დიდი სურვილი, — განაცხადა უცნობმა. — ხომ შეიძლება როდისმე მთამსვლელობა დავიწყო.

მერე მოგვიყვა, რომ იალბუზის კალთებზე შეხვდა ვინმე ინჟინერ რაკოვსკის. ამ მთამსვლელს სანდრო გვალიაც და მეც კარგად ვიცნობდით. ის განსაკუთრებით მწვერვალ იალბუზის დიდი მოტრფიალე იყო, ბევრჯერ მოსინჯა დიდებული კავკასიონის ამ გოლიათის დალაშქრა, მაგრამ ყოველთვის უშედეგოდ. ამის მიზეზი ის იყო, რომ ასვლის წინა დღეებში ძალიან ღელავდა და დამამშვიდებელ წამლებს იღებდა, სწორედ მწვერვალზე ასვლის წინ კი ცუდად ხდებოდა. ცაბოლიშვილს თურმე რაკოვსკისათვის უთხოვია მის ჯგუფში ჩარიცხვა და იალბუზის ლაშქრობაში მონაწილეობის მიღება.

რაკოვსკის ცაბოლიშვილისთვის შეუხედავს და არ მოსწონებია მისი სამთო მოწყობილობა, განსაკუთრებით იმერული მესტები მწვერვალზე ასასვლელად, თანამგზავრად მიღებაზე უარი უთქვამს: გეტყობა გამძლე კაცი ხარ, მაგრამ ჩაცმულობით არა ხარ სათანადოდ მომზადებულიო.

ცაბოლიშვილი მერე მიჰკედლებია სხვა ჯგუფს და 11 აპრილს ეფიმოვთან და ბეჩოელ მეგზურ გრიგოლ უშხვანთან ერთად დაულაშქრავს იალბუზის აღმოსავლეთი მწვერვალი (ცნობა ამის შესახებ ვ. სემენოვის წიგნში „საბჭოთა კავშირში ალპინიზმის განვითარების ნიმოხილვაშიც" არის მოცემული. ეს წიგნი მერე ქართულ ენაზე ლევან მარუაშვილმა თარგმნა თავისი დამატებებით და შესწორებებით. — თ. და ა. გ.).

სანდრო გვალიას ცაბოლიშვილი მოეწონა, ბანაკში ჩარიცხა და ერთ-ერთი მწვერვალის ასაღებ სავარჯიშო ჯგუფში გაამწესა.

რამდენიმე დღის შემდეგ ცაბოლიშვილი გამოგვეთხოვა, მწვერვალზე ასვლა ახლო მომავალში არ არის გათვალისწინებული, შე კი დღეები არ მყოფნის, უნდა წავიდეო.

ეს საიდუმლო ჭაბუკი როგორც ასე საეჭვოდ, მარტო, ჩუმად მოვიდა, ასევე საეჭვოდ, მარტო, ჩუმად წავიდა.

გავიდა რამდენიმე ხანი. საქართველოს გეოგრაფიული სა-

ზოგადოების მთასვლა-მგზავროსნული განყოფილების სხდომაზე, რომელიც საქართველოს მუზეუმის აუდიტორიაში ჩატარდა, შემთხვევით შემხვდა ცაბოლიშვილი, რომელიც ლევან გოთუად გამაცნეს. მე გაკვირვებულმა შევძახე მას:

— აკი ცაბოლიშვილი იყავი მესტიაში?!

ლევანმა გაიღიმა და მიპასუხა:

— შენც სუ და მეც, ხან ცაბოლიშვილი ვარ და ხან გოთუა.

მან საიდუმლოდ მიამბო, რომ თბილისში არალეგალურად არის ჩამოსული ჩრდილო კავკასიიდან. შორი გზის მოვლით გაიარა ნალჩიკი, იალბუზი, მესტია, ტყვარჩელი და თბილისი. ამ დღეებში კი უკან ვბრუნდებიო. ძალიან არ მინდა, მაგრამ რა ვქნაო".

ქვევით გვინდა მოვიყვანოთ რამდენიმე ლექსი, დაწერილი იმ დროს, ქალაქ ვლადიკავკაზში.

ჟურდი დარიალში

გზა პირსახოცი,
სამხედრო შარა საქართველოსი.
მივალ მალულად და ჩუმად,
ფარული ზრახვით შეზარხოშები,
გზას მაეთულვით აეკვიატე
და თერგის ტალღებს ალერსით ვზომავ,
მთებმა მოსწურეს თანდათან ხეები
და ხეობაში გზა და თერგია,
ორივე შეოთი და ანაგრეხი,
ლები, შვილები კავკასიონის,
ეცეს გზა და თერგი გადაიჯვარა,
ხიდი საზღვარია, აქით საქართველოა.
თვალები ეძებენ საზღვრის საგუშაგოს,
დანგრეულია ნეტავ როდემდის?
გრძნობის სისავსემ ღაწვები დალეკა
ოცნებამ აშალა განცდების ფარდაგი,
გული უჩვეულო ძგერით გაილურსა
და დიდხანს ვიდექი ხიდის შუაგულში.
ჩემი თვალები იწვედნენ თერგისაკენ
და იძირებიან ამღვრეულ მორევში,
ჩემშიც მორევია, მძაფრი მორევი,
მოვკრიბე ოცნების სირმა ბილიკები.
ნდობით გადავლახე სამშობლოს
საზღვრები ნდობით და ფარულად,

და თითქოს ყოველი კუნჭული მემცნაურა,
მშობლიურ მიწა-წყალს ცნობილობს გუმანი.
მინდა ლოდებს ანდერძი მოვტაცო,
გზის პირს გავენართხო ფერხით... საქართველოს.
ქართველი... მთიურ ჰაერს ვეხარბები,
დავთვრები: ოცნების ცხადებით... ხილვით.
მოქანცულ ტერფებმა იხარეს სიამე,
ოო! რა ტკბილია მიწა მშობლიური,
და გახურებულ შუბლს ესუმბულება,
საქართველოსი წამი და ქარი.
ღრუბელი იშლება კლდის ნაპრალებში
ვარდება სხივი,
ეს სულ სხვა მზეა, უფრო სხივოსანი,
ეს არის მზე საქართველოსი.
დიდხანს ვიდექი საქართველოს ხიდის ყურეში,
მეხსიერება ირწეოდა, როგორც აკვანში
და იქმნებოდა სახეები წარსულ განცდისა
იყო ომები... იერიში, სისხლი და ტყვია,
პირსისხლიანი შემოვარდნა უცხო ტომების,
იყო თავდაცვა მამაცური და თავგანწირვა,
იყო ნაკადები სისხლ შენაფერები
და ათასი სხვა რამ დაუნდობლობა,
ბედის სიმუხთლე; ქამ-ს ვარამი,
იყო ჯანყები, ბრძოლა და მსხვერპლი,
ყოველი კუთხე სისხლით ანალესი
იყო და იქნება და მაინც,
საქართველო, შენი ცისარტყელა
ისევ შვიდი ფერია,
მასში სამფერი კი — უმთავრესი,
ისევ ჯვარედინი თერგი და შარა,
საზღვარი.
აქა-იქ მოთხრილი საგნები,
თხემზე დანგრეული საზღვრის საგუშაგო.
ნეტავი როდემდის??
დიდხანს ვიჯექი საქართველოს
ხიდის ყურეში,
ჩემი ოცნება ეელებოდა ნაცნობ სახეებს.
მიმძიმს დატოვება მშობლიური კალთის...
დარიალასი, თამარის ციხეების...
მიმძიმს და მაინც უნდა წავიდე.
გულს შემოესია სევდა ხეიბარი,
გრძნობა და იმედი ხიდზე აქედია.
მოდიან სიღრმიდან აუგი გესლები —
ნუთუ ვერ ვიხილავ მეტად საქართველოს???
დაძაბულ სხეულში თრთის ენა სანსალა

უიმედობა... მარცხის მოლოდინი.
ნუთუ ჩვენი ხვედრია კიდევ...
და ძველებურად მიგორავს თერგი,
ქარში სიმფონია კლდეს ეხმატკბილება.
ოო, ასე ტკბილია აქ ყოფნა მარადის,
მაგრამ???
მე ჩუმად ვარ აქ შემოპარული
და უნდა წავიდე ისევ ფარულად,
დიახ, მე ქურდი ვარ დარიალში,
მაგრამ მომისმინე... თამარის ციხევ
და შენ, უპოვარო დარიალო:
— მე კიდევ მოვალ
მკერდით და ალამით
და შენ ალაყაფში იქექებს ჰიმნი:
— გამარჯობა!
    დიახ, გამარჯვება.
დიახ, გამარჯვება.
სიტყვა ჩამოვარდა, ვით ხმლის მოქნევა
და გამინაპირა სევდაში წარსული,
ვიღაცამ გვერდში დინჯად ჩამიარა,
შიამა სალამი და სიტყვა ქართული.
მანაც გამოიცნო ჩვენი ქართველობა
და იქნებ ფიქრებიც...
ეროვნებას აქვს თავის ანდამატი.
ეროვნებას აქვს თავის ინსტიქტი,
ეროვნებას აქვს თავის ანდამატი.

თეთრ ლეჭსად

1926 წ. კავკაზი, 7—8/XII ღამეები.

საცაა მალე დაგვიზამთრდება,
თოვლი დაბურავს ამ არემარეს.
ამ ღრმა ხევებში ჩაწვება ზვავი,
და უღრან ტყეში წარიშლება გზა ნატამალი.
ჩვენ კი მივდივართ, არც გზა, არც კვალი.
მივდივართ საით, თვითონ არ ვიცით
და ჩვენს ხეტიალს არც უჩანს ბოლო.
მზემ დაამთავრა ზღაპრების თხრობა,
ეხლა დაიწყო ღამის ზღაპარი.
ამბობენ ღამით ყველა ბრმავდება
და ბრმაც მეტყველებს, ტყე, მიწა, ბარი.
ნიავი მეტყვის შორეულ ამბებს
და ტყეში ჩუმად გაიხიზნება
და ბრმა ოცნება ფრთაშენაყარი
თვალებს ამიხელს ელვის სისწრაფით.

ლევანს უკანასკნელ ხანებში ჩეკაში შეღავათი მისცეს. რეგისტრაციაზე უნდა გატარებულიყო არა კვირაში ერთხელ, როგორც იყო მთელი აქ ყოფნის პერიოდში, არამედ თვეში ერთხელ. ამასთან ერთად, უნდა წარმოედგინა წერილობით დეტალური ანგარიში დღეების მიხედვით, თუ სად და როგორ გაატარა თვე.

ის ვლადიკავკაზიდან იკარგებოდა და არალეგალურად სად არ დადიოდა — მთაში თუ ბარში. რამდენჯერმე თბილისშიაც ჩამოვიდა. ჩუმად მამა და სანდრო ხვდებოდნენ, სახლში კი არ მოდიოდა. ღამე იასე ფავლენიშვილის ოჯახში რჩებოდა. ჩეკას, რა თქმა უნდა, მისი ხშირი დაკარგვა არ გამორჩენია და მალე მას ისევ შეუცვალეს რეჟიმი,— ისევ ყოველკვირეულ შემოწმებაზე გადაიყვანეს.

ეს რეჟიმი ლევანს პირდაპირ კლავდა. ხელ-ფეხი შეკრული ჰქონდა, მიჯაჭვული იყო ჩეკას და ისე მობეზრდა ეს ამბავი, რომ უკვე ვეღარ იტანდა. არალეგალურად მოგზაურობისათვის ერთი კვირა აღარ ჰყოფნიდა, ზოგჯერ ძლივს ახერხებდა დიდი ნერვიულობისა და ფიზიკური გადატვირთვის ხარჯზე.

ლევანი ცოტა ხანში ისევ ყიზლარის სკოლაში გადავიდა სამუშაოდ. უნდოდა თავისუფალი დრო მეტი ჰქონოდა და წერისათვის აქტიურად მოეკიდა ხელი. იმდროინდელი ნამუშევრებია რამდენიმე დრამა, ორი საბავშვო პიესა, მოთხრობები და ათიოდე ლექსი: „მზე ნაბუზარკალევი“, „ჯიხვის დავლური“, „ჯაოს ბალდახინი“, „ქარი უმთვაროდ“ და სხვ.

მამას ლევანის მიყრუებულ სოფელში სამუშაოდ გადასვლა არ ესიამოვნა, საყვედურიც კი მისწერა. ლევანისაგან საპასუხო ღია ბარათიც მოვიდა.

„ყიზლარი, 1 იანვარი, 1930 წ.

ჩემო კარგებო! გილოცავთ ახალ წელს, მწამს, რომ ის ჩვენი ოჯახისათვის უფრო ბედნიერი იქნება. მიიღეთ ჩემგან საუკეთესო სურვილები, დაესწარით მრავალს.

საყვარელო დედა, შენი წერილი მიღებული მაქვს. ჩემი ამ სოფელში წამოსვლა, რა თქმა უნდა, ვერაფერი

კარგი საქმეა, მაგრამ მეტი გზა არ მქონდა... მინდა თავი მოვსინჯო მწერლობაში, ქალაქში კი ამისათვის დრო აღარ მყოფნიდა. იწერები, ჩვენი ნახვა არ გინდათ?! თითქოს ჩემზე იყოს დამოკიდებული... მეზობელთან. უხეში საუბარი (შენ რომ იწერები) არ არის მართალი, არ ვიცი, რად დასჭირდა ამის თქმა. პირიქით, მე მითხრა: ვეცდები, მოგეხმარო, რომ დროებით მაინც გამოგიშვან თბილისშიო...

მამა ხომ კარგად არის? იქვე მსახურობს? მე კარგად მოვეწყვე. შედარებით, რა თქმა უნდა! ძალიან პატივს მცემენ. სანდრომ დაამთავრა თუ არა მეურნეობის ელექტროფიკაცია? თუ დაბრუნდა თბილისში? ბავშვები როგორ სწავლობენ? დიდი მოკითხვა და შილოცვა მეგობრებს და ნათესავებს.

გაოცნით ლ ე ვ ა ნ ი“.

ლევანმა ახლა უკვე მტკიცედ გადაწყვიტა რუსეთის რომელიმე საუნივერსიტეტო ქალაქში წასულიყო, ჩაებარებინა გამოცდები და სწავლა განეგრძო. ეს მამას მოსწერა.

„ყიზლარი. 14.IV.1930 წ.

ს ა ყ ვ ა რ ე ლ ო მ ა მ ა!

შენი წერილი მივიღე საკმაოდ დაგვიანებით. ერთგვარ ყოყმანში ვარ, ქალაქის სიშორე მე სრულიადაც არ მაშინებს. მზადა ვარ წავიდე უფრო შორს, მაგრამ ამ სწავლის დროს სკოლის მიტოვება უხერხულად მიმაჩნია.

ერთგვარ მორალურ კმაყოფილებას ვგრძნობ, რომ ამ ქართველ ხალხს შეძლებისდაგვარად ვიცავ გადაგვარებისაგან. ადვილი რომ იყოს სხვა მასწავლებლის შოვნა, ხომ, რა თქმა უნდა, ლაპარაკიც ზედმეტი ხქ-

ნებოდა. თან — რაღაც 8 თვე დარჩა სწავლის დამთავრებამდე.

მეორეს მხრივ, ასეთი შემთხვევის ხელიდან გაშვება არ მინდა. ვფიქრობ, რომ იქიდანაც ჩქარა მოვა პასუხი. ამიტომ მაინც ახლავე მინდა მივწერო და ყველაფერი დავაზუსტო. თან ამ მოკლე ხნის შემდეგ შესაძლებელია ველარც გავძლო ამ სოფელში, ისე ამაღელვა უმაღლესში მოწყობის შესაძლებლობამ.

მე კარგად ვარ, მოკითხვა ბავშვებს, მომწერონ.

გულითადი მოკითხვა ყველას. ველი პასუხს.

გოცნით ლ ე ვ ა ნ ი".

მამამ და ლევანმა მიწერ-მოწერით ბევრი იმსჯელეს უმაღლესში სწავლის გაგრძელების შესახებ, აირჩიეს ქალაქებიც და ბოლოს ისევ სარატოვზე შეჩერდნენ. გაიგზავნა განცხადება და ცნობები. ესე იგი, სკოლაში სწავლის დამთავრების შემდეგ ლევანი ვლადიკავკაზიდან განთავისუფლდებოდა და სარატოვში გადავიდოდა. ძალიან სერიოზულად მეცადინეობდა — იქნებ დამჭირდეს გამოცდების ჩაბარებაო. ლევანი სახლში ჩაიკეტა, დღე და ღამეს ასწორებდა, არსად აღარ დადიოდა, იმეორებდა ეკონომიკის სხვადასხვა საგანს.

ლევანის გადასახლების მეხუთე წელიც მიიწურა ასე უფერულად, უშედეგოდ, მძიმე განცდებითა და ღრმა სევდით აღსავსე. დარჩა უკანასკნელი ერთი წელი, წელი დიდი იმედისა და კეთილი მოლოდინისა, მაგრამ მაინც უნდობლობის და შიშის გრძნობით დამძიმებული.

ლევანი უკვე 25 წლის გახდა, ნიჭითა და ენერგიით აღსავსე. აწმყოს სულ სხვა თვალით უყურებდა. ამდენი ხნის მანძილზე ჩეკას მიჯაჭვული ვერც ქალაქში და ვერც სოფელში ადგილს ვერ პოულობდა, დამწუვდეულ ლომს ჰგავდა.

სარატოვში გადასვლასა და უმაღლესში სწავლის გაგრძელების სურვილთან დაკავშირებით ლევანი ძალიან აფორიაქდა. ცოტა ხანში უმაღლესის საკითხიც დადებითად გადაწყდა, საჭირო გახდა ჩეკასთან შეთანხმება, საბუთების გადატანა და სარატოვში საცხოვრებლად გადასვლა.

მამისა და ლევანის აზრით, ეს საქმე ჩეკაში იოლად გადაწყდებოდა. მერე კი თვითონ უკვირდათ, რად იყვნენ ამაში დარწმუნებული. ლოგიკურად ასეც უნდა ყოფილიყო, ბოლოს და ბოლოს, ეს თავისუფალი გადასახლება იყო და არა პატიმრობა. მათ მიერ არჩეულ ქალაქში საცხოვრებლად გადასვლა არ უნდა ყოფილიყო ძნელი. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ჩეკაში ლევანს უარი მიახალეს: ქალაქიდან ქალაქში გადასვლა საერთოდ აკრძალულიაო, სადაც დაიწყეთ პატიმრობის ვადის დაფარვა, იქ უნდა ჩაათაოთო, ვადის დამთავრებამდე ვერსად ვერ წახვალთო.

ამ პასუხმა ლევანს პირდაპირ ლახვარი ჩასცა — „მე ერთი ვადა უკვე დავამთავრე და მეორეს მამთავრებინებენ, რა ვქნა, როგორ მოვიქცე, როდესაც საყვავეთი ზეიმობს ირგვლივ. ჩემს სმშობლოზე ჯალათები და ყვავ-ყორნები მტრულად დაბორიალობენ და დაძრწიან, არც გაზაფხული და არც მარცხის მძლეავი მერცხლები არსად ჩანან, და არც ახლო მომავლის იმედი მაქვს“, — წერდა სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ლევანი. ზოგჯერ თვითონ იმშვიდებდა თავს, მაინც ლოდინის თვალი ორმაგიაო, მეორე ვადის დამთავრების შემდეგ იქნებ მეღირსოს თავისუფლებაო.

ლევანს ნამდვილად არაფერში არ გაუღიმა ბედმა, ყველგან უმტყუნა. ჩეკადან ყოველნაირად ავიწროებდნენ. „ეს რა ორომტრიალში მოვხვდი, იქედან თავის დაღწევა აღარ შემიძლია, ეს რა დაუკმაყოფილებელი მისწრაფებებითაა ავსებული ჩემ› ცხოვრება, მიუღწეველობით, გამოწვეული შინაგანი წუხილი სცილდება ყოველგვარი გრძნობის საზღვრებს, რა დავაშავე ამისთანა ცხოვრებაში, რომ ვეღარ დავაღწიე თავი ჩეკას“. ცოტა ხანში ლევანმა სულ მთლიანად დაკარგა იმედი.

მამა შიშობდა, სულ ეხვეწებოდა, ეს ერთი წელიც როგორმე გაიტანეო, ნუ აირევ გუნებ-განწყობას, წერე, იმუშავე ლიტერატურას მიჰყევი და წელიც შეუმჩნეველად გაფრინდებაო. მე მაინც გულის სიღრმეში კეთილი იმედით ვარ გამსჭვალული. ამჯერად შენი დაბრუნება უდავო იქნებაო.

ეს წელიც გავიდა საშინელი განცდებითა და გაჭირვებით, და ისევ უბედურება დატრიალდა — ლევანს კვლავ 3 წელი დაუმატეს. საშინელ სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. განსა-

კუთრებით იმას წუხდა, ამდენი ხნის მოლოდინმა არაფერი კარგი რომ არ მოუტანა. ყოველ კვირას ჩეკაში სიარულმა კი მორალურად გატეხა.

„თითქოს ნელი წამებით სიკვდილი მაქვს მისჯილი და მე ამ წამების ხანგრძლივ გზას სამ-სამწლიანი სიჩქარით გავდივარ კიდეც. ველარ შევძლებ ცხოვრებას ასეთ მრავალგანცდათა სამყაროში, ცრუ იმედებით სულ ღელვაში და გაჭირვებაში. ამ მთავრობის არაფერი აღარ მჯერა, — გულნაკლულად იმეორებდა, ის. — თუ სამშობლოში არ მიწერია ცხოვრება, მაშინ სხვაგან რა მინდა?“

და ლევანმა საბოლოოდ გადაწყვიტა გასცლოდა ამ საშინელ წყობას, რომელიც დღითიდღე უსპობდა სიცოცხლეს, ხელყოფდა მის პიროვნებას, ხასიათის სიმტკიცეს. ლევანი დაუკავშირდა თავის ამხანაგებს და გაიგო,რომ ისინიც ასეთივე მდგომარეობაში იყვნენ. მაშინ საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მთავრობის მიზანი იყო მოესპო საქართველოდან გარიყული საუკეთესო ნიჭიერი ახალგაზრდობა, ბოლოს სინანულით დაასკვნიდა ,ხოლმე. ვაი, ვაი, რომ სახულმწიფოს სათავეში ჯალათები დგანან.

ამ პერიოდის ლექსები კარგად გამოხატავენ ლევანის გულისტკივილს, ღრმა სევდასა და მწუხარებას:

მინდა ვიტირო

მოჰკალი ჩემში სიამაყე,
მინდა ვიტირო...
ო, ო, ეს თვალები დასანაყი, მარტო მტვერია,
აღარ მსურს ვიყო გმირი ნაქები,
ცრემლი შემინდა,
რომ ჩემი ფიქრი, უპირქუშო, შიგ ამოვადნო...
ალბათ ტკბილია ბრძოლის ვარაყი
თვალთა არედან,
მოჰკალი ჩემი სიამაყე,
მინდა ვიტირო...

იქნებ ვარ ღმერთი
და არ ვიცი ჩემი სიწმინდე;
იქნებ გავერთე —
დამავიწყდა, რომ მოველ ციდან...
იქნებ მიწიდან ამომძერწეს,
როცა ცხელოდა,
მწირი იწვის,
ამოთხრილი საქართველოდან...
ან თუ ვარ ცეტი
გაუგებრად ვხმაურობ, ვროშავ...
ო... ო... მეტად ცოტა
სათქმელი მაქვს ლექსის გარეშე —
იქნებ არაა გამართული
ჩემი ლოცვა,
უნდა დავიწვა უსამშობლოდ
და უჯალაბოდ,
ეს უცხოეთი ვიცი ჩემთვის,
'რა სასჯელია...
საკუთარ თავის ამოცნობა
ო... ო... რა ძნელია.

ფიქრია მცირე

ლევან გოთუა,
განეედი ჩემგან,
მონარონია
შენი წუხილი...
სევდა უთუოდ,
შენ ჩამაგონე...
გამაბოროტე
როგორც წუხელის...
ისევ უძილო...
გრძნობა გამხმარი...
(უთუოდ სადმე
ქარნი ზმუიან)...
მე ვარ კუნძული,
დაკარგულ მხარის
და ჩემი სევდა
რობინზონია...
გადაკარგული
და განაწირი...

კვლავაც უდიდეს
სევდას შიეენდე —
და მონაპარი
ფიქრია მცირე:
იქნებ მოვიდეს
გემი „იმედი“.

სიმფონია — აჰჰ!

ისმოდა ნიავის სალბუნი
ს... ს... ს... ს
სუროთა სევდის შრიალა
შ... შ... შ... შ
ტიროდა ტევრებთან სუმბული
უ... უ... უ
უთუოდ იესება ფიალა
ა... ჰ... ჰ... ჰ
დავდივარ
დევნილი
და მათუსალა...
ავდარი
მომელის
მითოსის ალით...
აურაცხელი
განცდები მოდიან;
ო... ო... რა ცხელია
ტყვია უსახელო,
თუ გული ისეც დანაკოდია.

იწვება?!

მზიდან მოვა სხივი
და ჩრდილებში მიწვება,
ფიქრიც მოვა მეხივით,
ნუთუ სული იწვება?
იქნებ დამიგვიანდა ნების შეკოწიწება,
ო! ნუ ჰფარავ, გამენდე, ნუთუ სული იწვება?!

ათას ფერხულად

და როცა წამოვა დარის ნათოვი,
უსათუოდ ზამთარი და იანვარია,
და საგულეში თუ რაიმემ გაიფართხალა,
სიმარტოვეა
და მომსკდარნი ქარნი არიან...
არ მინდა ვინმე შევაჭარო
ჩემი მუქარით,
თავის დროზე ხომ ყოველივე დაიწერება,
მოვა მაისი და ამორთვა უზარმაზარი —
თბილი, უქარო...
თან მეწყერები...
და თუ მუხლებმა აიწყვიტეს მიწის ჩაირი,
ელვა შეხურით ჩაანათებს შავ-ბნელ უფსკრულებს,
წამოვა თემა ხელუხლები და საშაირე
იცოდეთ, მაშინ მარტოობა მეც გავათავე.

ახალ-სახური

მოიკვეთეთ ენა უჯიახი
და ძაღლის კერძი...
შოდრიკეთ ჩემი სიჯიუტე,
გამცხრილეთ ქარზე...
გადამატარეთ იარათა
ლეგიონები...
გამიჩანაგეთ შუბლი — ავი,
გული — ბოროტი,
მომიშხამეთ ფიქრთა სათავე,
დამტოვეთ მარტო...
დამიხშეთ ხედვა უნობათო
დაშლილ სხეულის,
გადამაზვინეთ წამებათა
ათასეული...
ო, ო, მაშინ მოვალ უხილავი
ქვეყნის დოლებით,
მაშინ გაგამხელთ, თუ ელავენ
მზის გოდოლები.
მაშინ მოვალ თვითნება,
ახალ-სახური
ურმულებში ჩაებმები
და მიმსახურეთ.

უთავბოლო

არის უთუოდ ფიქრი — საფეიქრო
ათი ათასი ყაისნაღებით,
არის უთუოდ სევდის — სევადი
და ურდულები უგასაღებო.

არის ზეცაზე ობოლი — დილა,
გაუკითხავი მათხოვარივით,
არის სივრცეში ნათხარი — მხარე,
გადასულ ქამთა ნახუმარევი.

არის ქვეყანა უძირო, მდორე,
ნაიარევით ჩამოსტამბული;
არის სამყაროს უფეხო აფრა...
ფხა შერეული და უთავბოლო.

პეტრე კურცხალია, ლევანთან ერთად სოლოვკებიდან ვლადიკავკაზში რომ წამოვიდა, თავის დაღწევის მიზნით სულ ახალ-ახალ გეგმებს აწყობდა:

ჩვენ თუ მძიმე დანაშაული წარსულში გვქონდა ჩადენილი, — აღშფოთებით იმეორებდა ის, — „სამეულმა“ შორეულ ჩრდილოეთში პატიმრობის სამი წელი მოგვისაჯა. შემდეგ რატომ გადმოგვიყვანეს თავისუფალ გადასახლებაში? ესე იგი, არ ვიყავით დიდი „პოლიტიკური მოღვაწეები“ და დამნაშავეები. ეგრეთ წოდებული თავისუფალი გადასახლება კი ჩეკას უფრო მძიმე რეჟიმით ჩაგვატარებინეს. არალეგალურ ცხოვრებას მიგვაჩვიეს ქურდულად, შემდეგ რაღას გვერჩოდნენ, სამი წელი მექანიკურად რომ დაგვიმატეს, თანდათან რომ გვანადგურებენ. აჰა, ესეც გადავაგორეთ პირნათლად და რა გამოვიდა? ისევ მესამედ სამი წელი! რისთვის! ასე უთავბოლოდ შეიძლება უსასრულოდ წლები მოგვიმატონ და მოგვიმატონ, სამშობლოში მისადგომი აღარც გზა და აღარც ხიდი დაგვიტოვონ, მუდმივ პოლიტიკურ პატიმრებად გამოგვაცხადონ, სამშობლოს ურჩ მოღალატეებად ჩაგვთვალოს ხალხმა? მთავრობაში ვინ არის ამის გამკითხველი? მათ ეს აძლევთ ხელს. ჩვენ ამ პერიოდში ისე დაგვაკნინეს, ალბათ ადამიანებად აღარ გვთვლიან, რასაც უნდათ, იმას გვიშვრებიან, ცოცხლად გვკლავენ. ალბათ საქართველოში ცოცხლები

ველარ დავბრუნდებით. საშინელი რეჟიმის ქვეყანაში ვცხოვრობთ, მათი პოლიტიკა ჩვენ არ გვესმის და ვერც გავიგებთ. თავისუფალი გადასახლების რეჟიმი კი მახრჩობელა გველივით ტანს გვეკვრის და თანდათანობით სისხლისაგან გვცლის.

რამდენმა ჩვენნაირმა ახალგაზრდამ ისე გაათავა თავისი სიცოცხლე და ცხოვრება, რომ არსებითად ჯერ არც კი დაეწყო. რამდენი სამშობლოსათვის კარგი საქმე გაუმჟღავნებელი დარჩათ, ვინ მოთვლის. სწორედ ყველაზე უფრო ამის მეშინოდა. ალბათ ჩვენც ეს გველის. აქამდე სხვისი უნდობლობა გვჭირდა, ახლა კი ჩვენი თავისაო, — იმეორებდა ლევანი. თავის ნიჭში და კეთილკაცობაში ეჭვიც კი შეეპარა. ასე რომ გაგრძელებულიყო, შეიძლება თვითმკვლელობამდეც მისულიყო.

შეიკრნენ აღშფოთებული და გაჭირვებული, ერთ ბედს ქვეშ მყოფი მეგობრები: იასე ფავლენიშვილი, პეტრე კურცხალია, ბესო ვაშაკიძე და ლევანი. თავიანთი ფიქრი და აზრი შეუპირისპირეს ერთმანეთს, ჭირ-ვარამი გაიზიარეს. ბევრი იფიქრეს, ბევრი ინაღვლეს. სამშობლოს მიღმა ასეთი „თავისუფლებით" გაჯახირებული ცხოვრება არაფრად მიაჩნდათ და გულაცრუებულები ყველაფერს მძიმედ განიცდიდნენ.

მდგომარეობის გამოსწორების რეალური საშუალება უმედოდ ჩათვალეს.

ყველაფერი, რაც საქართველოსთან — საყვარელ სამშობლოსთან და თანამემამულეებთან იყო დაკავშირებული, დაკარგულად მიიჩნიეს მისი კეთილდღეობასა და მომავალზე ოცნებები და ზრახვები სამუდამოდ ჩაუწყდათ.

„ჩემს ცხოვრებაში სინამდვილე და ოცნება, აწმყო და მომავალი ძალიან შეცილდა ერთმანეთს, — პატარა ბარათში სწერდა მამას ლევანი, ჩვენ ღირსეული მამულიშვილები გვინდოდა ვყოფილიყავით სამშობლოში. ამის საშუალება კი ჩვენამ ყოველმხრივ დაგვიხშო, დავიბენით, როგორ მოვიქცეთ შემდგომში, არ ვიცით".

ახალგაზრდული შემართებით ამოქმედდნენ, განაჩენი გამოუტანეს თავიანთ თავს — საზღვარგარეთ გაქცევა გადაწყვიტეს, საქართველოში პოლიტიკური მდგომარეობის გამოსწორებამდე ჩვენს საქმეს ალბათ ვერაფერი უშველისო.

სასწრაფოდ შეაგროვეს ფული. იშოვეს გამყოლი, რომე-

ლიც თურქეთში გაიყვანდა, დაიხურეს „უჩინმაჩინის ქუდი“ და მეტად მძიმე და სახიფათო გზას გაუდგნენ.

თავდაპირველად თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, ხარობდნენ ახალგაზრდები. ბუნებამაც მხარი აუბა. ჯერ ვიწრო ბილიკით ღრმა ხეობას გაჰყვნენ, შემდეგ მთა-გორაკები და მავთულხლართები გადაიარეს. მერე მდორედ მომდინარე დაკლაკნილი ჭოროხის პირველი მუხლი გადაცურეს და ასე შემდეგ... როდესაც მდინარის უკანასკნელ, მერვე მუხლში ჩატოპეს და ახალგაზრდებს ეგონათ, რომ თავს უშველეს, უკვე სამშვიდობოს იყვნენ, სწორედ მაშინ უმუხთლათ ბედმა. საქმე სულ სხვანაირად შეტრიალდა: მესაზღვრეებმა ტყვიის წვიმა დაუშინეს, გრიალ-ზუზუნმა ყურთასმენა წაართვათ. მოულოდნელობისაგან დაიბნენ, დაგეშილმა ძაღლებმა წყალში კინალამ დაგლიჯეს.

მათ წინ წუთში გაიელვა უკიდურესად მძიმე არჩევანმა: საბედისწერო წინ გაქცევა, თავისუფლება ან წყალში სიკვდილი, მეორე, არც თუ ისე უფრო ადვილი, უკან დახევა, მართალია, სიცოცხლის შენარჩუნებით, მაგრამ ისევ ციხე, უფრო მძიმე, უფრო სასტიკი. ვინ იცის, იქნებ დახვრეტაც კი. პირველი გზის დასასრული თუ საბედისწერო იყო — ან თავისუფლება, ან სიკვდილი, მეორე გზა მათ ისევ ნელ სიკვდილს სთავაზობდა, ისევ ციხეს და გადასახლებას.

„ყოველივე ეს ისე ელვის სისწრაფით მოხდა, რომ გაფიქრებისა და მომავლის არჩევის საშუალებაც აღარ გვქონდა, — წერდა ლევანი. ზოგ ჩვენთაგანს შესაძლებელია ერჩია პირველი გზა კიდეც, მაგრამ ყოველივე უკვე გვიანი იყო. ყოველმხრივ ალყაშემოკრული ვიყავით, მძიმედ დაჭრილი ერთერთი წყალში იხრჩობოდა.

გაირკვა ისიც, რომ თურმე ჩვენი დაჭერის პროცესი წინასწარ მომზადებული სცენარით გათამაშებული წარმოდგენა ყოფილა — ჩვენს გამყოლს თავიდანვე გავუყიდივართ. მათ, შესაძლებელია, აწყობდათ კიდეც ვაჟკაცების სიკვდილი უკანასკნელ ზღურბლზე, საერთოდ, ჩვენი თავიდან მოშორება“.

ორი დღე ბათუმის ციხეში გაატარა დარჩენილმა სამმა მეგობარმა. იქ მათ საშინელი მორალური და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენს, ისე სცემეს, რომ სული ძლივს შეინარჩუნეს. შემდეგ

თბილისის ჩეკაში ჩამოიყვანეს და უკვე თითოეული ცალ ცალკე, ბნელ სარდაფებში ჩამწყვდიეს. ახლა უკვე სამშობლოს უტყუარ მოღალატეებად მონათლეს და სულ ჯაშუშები უძახეს. მიზეზი, თუ რატომ ჩაიდინეს ეს ამბავი, არავის აინტერესებდა. ლევანი და მისი თანამოაზრენი ამას საშინელ აღშფოთებამდე მიჰყავდა. ან რატომ ფიქრობდნენ საწყალი ბიჭები, რომ ჩეკაში კარგად გაარკვევდნენ მათი გადაწყვეტილების მიზეზს და თავზე ხელს გადაუსვამდნენ(?!).

ჩვენ სამშობლოს მოღალატეები არასდროს ვყოფილვართ და არც ვიქნებით. ამ საშინელი რეჟიმის და წყობის წინააღმდეგები ვართ. რატომ არ გინდათ ჩვენი საქმის თავიდან ბოლომდე გარჩევა კარგად და ჩვენი გაგება, — იხვეწებოდნენ ახალგაზრდები.

ამასობაში კი ჩეკაში შეთითხნეს რაღაც საშინელი ოქმი და დაჟინებით სთხოვდნენ მასზე ხელმოწერას, რაზედაც სამივე პატიმარმა უარი განაცხადა.

ისევ „სამეულმა", ისევ ყოველგვარი დაკითხვის გარეშე, 5 წლით შორეულ ციმბირში გადასახლება მიუსაჯა „სამშობლოს მოღალატეებს". შემდეგ ისინი ციხეში გადაიყვანეს.

ვიღაცამ მამას შეატყობინა ლევანის ბათუმში დაპატიმრება, მერე კი თბილისში, ჩეკაში გადმოყვანა.

ისევ ტრაგედია დატრიალდა ჩვენთან. მოულოდნელობისაგან ყველანი გაშეშებული და ენაჩავარდნილი ვიყავით. გასაკვირი ის იყო, რომ არც მამას და არც დედას ლევანის საყვედური არ დასცდენია, პირიქით, თანაუგრძნობდნენ მის უბედურებას.

საწყალი შშობლები, გატეხილი მორალურად და ფიზიკურად, ერთმანეთს შესცქეროდნენ და სიტყვის თქმისა ეშინოდათ. ბოლოს ცრემლმორეულმა დედამ ესღა თქვა: კიდევ კარგი, რომ გადარჩა, თორემ ხომ შეიძლება ტყვია მოხვედროდა და ისე გამქრალიყო, მისი გზა-კვალი არც კი გვცოდნოდაო.

გულჩათხრობილი მამა ძლივს გასაგონად ლუღლუღებდა: „საწყალი ბიჭი! ცუდ დროს მოუწია ლევანს დავაჟკაცება. ვერ აიტანა ის უსამართლობა, რაც ჩვენს ირგვლივ ხდება და, რაც მთავარია, გამოსავალიც არსაიდან ჩანს. უსამართლოდ ამდენი ხნით გამომწყვდეულმა ამათი რეჟიმი ვეღარ აიტანა. რა არ

გადაიტანა, მაგრამ უბედურება ისაა, რომ საშველს მე უკვე ველარ ვხედავ".

ბავშვები შეშფოთებული შევცქეროდით მშობლებს, რომლებიც თავს ძლივს იკავებდნენ. საწყალი ლევანი! მისი სამშობლოში დაბრუნების ოცნება და იმედი მთლიანად გადაიწურა, — იმეორებდა გულდათუთქული ტასო.

მამამ გაიგო, რომ რამდენიმე ხანს ლევანი თბილისის ციხეში დაჰყოფდა. აქ იმდენი პოლიტიკური პატიმარი იყო გადასახლებისათვის გამზადებული, რომ ეტაპში გასაგზავნად ცოცხალი რიგი იყო შექმნილი.

მამას ძალიან დაეხმარნენ. თინა ამ პერიოდში სამედიცინო ინსტიტუტის მე-2 კურსის სტუდენტი იყო და ციხეში ექთნად მოაწყვეს ლევანთან კონტაქტის დასამყარებლად.

თავდაპირველად, — იგონებს თინა, — ციხეში შესვლისა და გასვლის დროს სასტიკად მჩხრეკდნენ და მამოწმებდნენ ყოველდღიურად, შემდეგ კი მიმეჩვევნენ და სანდო პიროვნებად ჩამთვალეს. ამიტომ ციხის ტერიტორიაზე თავისუფლად დავდიოდი და საწყალ პატიმრებს შეძლებისდაგვარად ვეხმარებოდი, წერილები გადამქონდა.

ციხის მკაცრი რეჟიმიდან თავის დაღწევის მიზნით საავადმყოფოში მოხვედრა ერთადერთ საშუალებას წარმოადგენდა.

საავადმყოფოში სულ სხვანაირი ვითარება სუფევდა. აქ პატიმრებს ნორმალურად ეტაცეოდნენ, სათანადოდ მკურნალობდნენ, ციხის რეჟიმი შერბილებული იყო, კვებაც გაუმჯობესებული, რაც მთავარია, ყველაზე დიდ ფუფუნების საგანს რკინის საწოლი წარმოადგენდა თავისი თხელი ლეიბით და სუფთა თეთრეულ-საცვლებით. რა თქმა უნდა, ამის შედარება არ შეიძლებოდა ხის ნარებთან, სადაც ერთდროულად თავშეყრილ-ით იწვნენ ნახევრად შიშველი პატიმრები.

— პატიმრები ისედაც ავადმყოფები არიან, მოშლილი თუ აგზნებული ნერვული ფსიქიკით. იმდენი საფიქრალი აქვთ, რომ საწყლებს ყველაფერი სტკივათ, — ხშირად იმეორებდა თინა. წარმოიდგინეთ ამას რომ ნამდვილი ანთება, ინფექცია ან სხვა დაავადება დაემატება ეს ხომ პირდაპირ საცოდაობაა.

ინფექციურ ბარაკებში სულ სხვანაირად იყო საქმე. ციხეში მძვინვარებდა ტიფი და ტუბერკულოზი. ბარაკები შემაძრწუნებელი სანახავი იყო: აგურით ამოშენებული ფანჯრებიდან

საკანში ჰაერი ვერ აღწევდა. 3 წყებად აჩონჩხილ ნარებზე ერთმანეთში არეული სხვადასხვა ეროვნების, რჯულისა და ასაკის ავადმყოფები იწვნენ. დაავადება სხვადასხვა სტადიაში ჰქონდათ — ზოგი ბოდავდა, ზოგი ბორგავდა, ზოგი აგზნებული იყო, ზოგი — დეპრესიაში... ოფლის. შარდისა და განავლის სუნით ყარდა იქაურობა. სანიტარიასა და კვების რეჟიმზე ხომ ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. წესით, თითოეული ავადმყოფი ცალკე მომსახურე პერსონალს მოითხოვდა, მაგრამ სად იყვნენ საერთოდ სანიტრები! ამ მოვალეობას პატიმრები ასრულებდნენ დიდი შიშითა და მორიდებით. რამდენი განათლებული, პატიოსანი და უდანაშაულო ადამიანი დაიღუპა აქ უპატრონობით. რაც შეეხება ტუბერკულოზით ავადმყოფებს, ეს ხომ ცოცხალი ჩონჩხების სამფლობელო იყო, ზოგი აგზნებულად, ზოგი კი ჩუმად ესალმებოდა წუთისოფელს. ერთი სიტყვით, საავადმყოფოს ეს ბარაკები არაადამიანურ საშინელებას წარმოადგენდა.

თერაპიულ განყოფილებაში ავადმყოფებთან ერთად შემოხიზნული და უკვე გამოჯანმრთელებულებიც იწვნენ. ისინი უდანაშაულო პოლიტიკური პატიმრები იყვნენ და საჭირო იყო მათი დროებით მაინც გადარჩენა. თინას ჩანაწერებში ათი ასეთი ავადმყოფიდან მხოლოდ ორის გვარი შემორჩა. ეს იყო მეტად განსწავლული და განათლებული პროფესორი ნიკიფორე იმნაიშვილი, რომელმაც შვიდი ენა იცოდა თავისუფლად და სწორედ ეს იყო მისი „პოლიტიკური დანაშაული", და პროფესორი წერეთელი — არანაკლებად განსწავლული კაცი. ეს შუახნის, განსაცდელში ჩავარდნილი ადამიანები თავის ინტელიგენტობას და ხასიათის სიმტკიცეს იქაც ინარჩუნებდნენ, მიუხედავად მიყენებული ფიზიკური შეურაცხყოფისა და წამებისა.

ციხეში ასეთებს დიდი სიფრთხილით და რისკით ეხმარებოდა ვიღაცა. ისინი ბევრჯერ გადაარჩინეს სასტიკ ეტაპს.

ერთ დღეს, სრულიად შემთხვევით, თინა საიდუმლო საკანში შეიყვანეს. ეს ე. წ. განწირულების სარდაფები ყოფილა. „ოთხი კაცი საშინელ პირობებში, ფეხშიშველა სველ, ცემენტის იატაკზე ეგდო. ოთხივე ქართველი აღმოჩნდა, გასაცოდავებული და ცოცხალ-მკვდარი, შუახნის სასიამოვნო შეხედულების ვაჟკაცები, გაჭაღარავებულები, წვერმოშვებულები და

ნაღვლიანები. ერთ-ერთ პატიმარს კბილი სტკიოდა და მე ტკივილდასაყუჩებელი წამალი მივეცი, — იგონებს თინა, — სა-შინლად შევწუხდი, მინდოდა რაიმე თანაგრძნობა მეთქვა კი-დეც, მაგრამ, აბა, რას ვიზამდი. მაინც ვერ მოვითმინე, წამოვი-ძახე რა დააშავეს ასეთი, რომ ასე არაადამიანურად ისჯებიან-მეთქი. „სამშობლოს მოღალატეები“ არიან და „სმერტნიკე-ბიო“. „შენ ენა გაიჩერე და არაფერი თქვაო“, — მუჯლუგუნი მკრეს და გამიჯავრდნენ ზედამხედველები“.

თინა, შეწუხებული და შეძრწუნებული, ყოველდღე, ყვე-ლას თანდასწრებით, ციხის ამბებს — ნანახს, განცდილს, იქა-ურ საცოდაობას გვიყვებოდა.

მამა ამხნევებდა თინას, სულ იმას ეხვეწებოდა, ცოტაც მოეთმინა და შესაძლებელია ლევანს შეხვედროდა. „სმერტნი-კებზე“ კი მამა საშინლად აღელდა — პოლიტიკური პატიმრე-ბის დასჯა სიკვდილით, ეს ბარბაროსობაა, ეს მარტო ჩვენს ქვეყანაში ხდებაო. ვინ მისცა მათ ამის უფლება? სად არის სამართალი? სიკვდილი შეიძლება მიუსაჯო მკვლელს, რომე-ლიც უდანაშაულოდ კლავს ადამიანს. მაშინ დარწმუნებული ვარ, მკვლელობები საერთოდ აღარ იქნებაო.

ლევანი და მისი ამხანაგები ციხეში სხვადასხვა სარდაფში ისხდნენ. თინამ ჯერ ვერ შეძლო მათი ვერც ნახვა და ვერც ამბის გაგება.

თვითონ ბიჭები კი როგორღაც დაუკავშირდნენ ერთმანეთს და გადაწყვიტეს შიმშილობა გამოეცხადებინაო. ეს იყო მათი საბოლოო, საბედისწერო, უკანასკნელი შანსი. ისინი მოითხო-ვდნენ საქმის გადახედვას და მათ გასამართლებას ყველა წე-სის დაცვით. თავდაპირველად ციხის ადმინისტრაციამ მათ ყუ-რადღება არ მიაქცია. შემდგომში მოშიმშილეების რაოდენობა გაიზარდა, სოლიდარობის მიზნით მათ აჰყვნენ სხვა პატიმრე-ბიც და ასე, დღითიდღე, მოშიმშილეების რიცხვი ციხეში მა-ტულობდა. ატყდა განგაში. ბევრი მაშინვე დაპირებებით და-აშოშმინეს და შიმშილობა შეაწყვეტინეს.

ლევანი და მისი ამხანაგები განაგრძობდნენ შიმშილს. ისი-ნი შიმშილობის მე-14 დღეს საავადმყოფოში გადაიყვანეს.

— იასე ფავლენიშვილი საკაცით მოიყვანეს, სისუსტის გა-მო ვეღარ დადიოდა, ნერვული აშლილობაც საგრძნობლად მძიმედ ჰქონდა გამოხატული. ლევანი გამხდარი, გაფერმკრთა-

ლებული, სისუსტისაგან ძლივს იდგა ფეხზე, ლასლასით მოდიოდა. ბესო ვაშაკიძე კი ვაუკაცურად მოაბიჯებდა და მხნეც იყო. მისი შემხედვარე იტყოდი — ადამიანს საკვები არ სჭირდება, მარტო წყლით შეიძლება იარსებოსო, — ყვებოდა სახლში აღელვებული თინა.

თინამ ლევანი ძლივს იცნო, ისე იყო შეცვლილი. თავი გადაპარსული ჰქონდა, სახეზე დიდი, შავი წვერ-ულვაში აბურძგნოდა, ნახევრად ტიტველი და ფეხშიშველი იყო. ტერფები და წვივები იმდენად ჩამომდნარი ჰქონდა, პირდაპირ ჩონჩხს ჰგავდა. ვერ ლაპარაკობდა, ენა გასივებოდა და გამშრალ-გამხმარ პირში ძლივს ეტეოდა. თინა და სხვა საავადმყოფოს თანამშრომლები საშინლად შეწუხებული და შეძრწუნებული შესცქეროდნენ მოშიმშილეებს. თინა გვერდიდან აღარ სცილდებოდა, სულ მათ გარშემო ტრიალებდა. ჩვენ ყველას გვიკვირდა, მამამ როგორ წინასწარ განჭვრიტა ეს ყველაფერი. ეჭვიც კი შეგვეპარა, ალბათ იცოდა, რაც მოხდებოდაო. თინამ მეორე დღესვე გადასცა მამაჩვენის თხოვნა ლევანს: „ლევან! არაფერი არ გამოვა, შენ უკვე ფონიერი და ჭკვიანი კაცი ხარ. მთელი ცხოვრება ჯერ წინა გაქვს და თავს ტყუილად ნუ მოიკლავ, ეგ საძაგლები არ იმსახურებენ იმას, რომ თქვენ, ქართველმა ბიჭებმა, პატრიოტებმა, თავი შეაკლათ. ბრძოლის საშუალებად სხვა გზა აირჩიეთ“.

ლევანისა და მისი თანამოაზრეების გარშემო ტრიალებდნენ შეძრწუნებული დასტაქრები. საერთოდ იქაური მთავარი ექიმი და მის მიერ შერჩეული სამედიცინო პერსონალი სინდისისა და სიკეთის განსახიერებანი იყვნენ. ისინი შეძლებისდაგვარად ეხმარებოდნენ საავადმყოფოსა და ციხეში დამწყვდეულ ყველა პატიმარს, აკეთებდნენ დიდ საგმირო საქმეებს. მთავარი ექიმის მეტმა არავინ იცოდა, რომ ლევანი თინას ძმა იყო. ის ყოველდღე ანუგეშებდა შეშინებულ თინას და იმედის თვალს არ აშორებდა ლევანს.

ვაუკაცების გადაწყვეტილება მტკიცე იყო: ცოცხალმკვდრები განაგრძობდნენ შიმშილს და გარშემო ყველას შიშს ჰგვრიდნენ. ლევანმა მამის თხოვნა არ შეასრულა. „დღეები გადირდა, ექიმები და მათ შორის მეც, — იგონებდა თინა, — თვალცრემლიანი შევყურებდით სიკვდილის პირას მისულ ბი-

ჭებს. კინალამ გაიგეს ჩემი ამბავი, იმდენად ვღელავდი და თავში ვირტყამდი. ყველასაგან შველას ვითხოვდი.

მე-20 დღეს ციხის უფროსმა გამოაცხადა, რომ მათი მოთხოვნა დაკმაყოფილდა და იმ შემთხვევაში დაიწყებენ საქმის გადახედვას, თუ შიმშილობას შეწყვეტენო. არ ვიცი, გაიგეს და მიხვდნენ თუ არა მოშიმშილეები ამას, ისე სუსტად იყვნენ. მაშინ ჩვენ წამოვიძახეთ მათ მაგივრად, თანახმა არიანო სწრაფად დავესიეთ და ძალით პირში წვენი ჩავუსხით"...

შემდეგ დაიწყო თანდათანობით ხელოვნური და ბუნებრივი კვების მძიმე პერიოდი. თინა სულ ლევანთან და მის ამხანაგებთან ტრიალებდა, ლევანს თვითონ პირველად ერთი ჭიქა თბილი რძე ძლივს დაალევინა, ყლაპვა უჭირდა.

ამ დროს ჩვენს ოჯახში ძალზე მძიმე ვითარება იყო: მშობლები საშინლად ნერვიულობდნენ. თინას გულის ტკივილ-დასჩემდა, რაც უსაზღვროდ მოქმედებდა მათზე და მთლიანად გამოჰყავდა ისინი წონასწორობიდან. მშობლებს არაფრის თავი აღარ ჰქონდათ. დედას ნერვები დააწყდა, მამას მუშაობა აღარ შეეძლო. ოჯახი უკვე ინგრეოდა. მე არ ვიცი, — ამბობდა თინა, — ვინ უფრო ჰგავს მოშიმშილეებს? მშობლები, რომლებიც საშინლად დაბეჩავდნენ და დაჩაჩანაკდნენ. თუ ლევანი და მისი ამხანაგები, რომლებიც ახლა გამოკეთების გზას ადგანანო.

იმ პერიოდში მძიმე ეკონომიურ გაჭირვებასაც განვიცდიდით.

ბაზარში ფასები გაორკეცდა, ლევანის გადასახლებასთან დაკავშირებით ოჯახს ახალი, დიდი ხარჯი უნდა გაეღო თბილი ტანსაცმლისა და სურსათის შესაძენად. სახლის ყოველდღიურ ხარჯზე ვინღა ფიქრობდა. ბედად ამ დროს ოჯახის ბურჯად სანდრო მოგვევლინა. უკანასკნელ წლებში უფროსი შვილების — არჩილის და ლევანის ტრაგიკული ამბავი ტრიალებდა. უმცროსებს ნაკლები ყურადღება ეთმობოდათ. სანდრომ თითქმის თვითონ გაიკვლია გზა, დაამთავრა უმაღლესი, ძალიან ყოჩაღი, ენერგიული, პატიოსანი, მშრომელი ახალგაზრდა სპეციალისტი დადგა. დღე და ღამე მუშაობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის ობიექტებზე. მხარში ამოუდგა მამას მატერიალურად და მორალურად. უმცრო-

სების მოვლა-პატრონობის მთელი სიმძიმეც მას დააწვა კისერზე და ისიც პირნათლად ეწეოდა.ამ ჭაპანს.

ციხის საავადმყოფოს მთავარი ექიმი ბევრს ეცადა, რომ ეს ბიჭები თავისთან რაც შეიძლება დიდხანს გაეჩერებინა, მაგრამ ვერ მოხერხდა — სრულიად მოულოდნელად ისინი ციხეში გადაიყვანეს, იქ ერთმანეთს დააშორეს და გადასახლებისათვის გაამზადეს. ჩეკას დაპირება საქმის გადახედვაზე და გასამართლებაზე, რა თქმა უნდა, ტყუილი გამოდგა.

თინა ნამდვილად მოწყალების დის როლს ასრულებდა თავისი დიდი გულითა და უსაზღვრო ვაჟკაცობით. ბიჭების დახმარების მიზნით ბევრი რამ გააკეთა. თბილი ტანსაცმლით, ფულით და სხვა საჭირო საგნებით ყველა თანდათანობით მოამარაგა. წარმოიდგინეთ, ზაფხულის სიცხეში ტანზე შემოხვეული მამაკაცის თბილი ჯემპრებით თუ საცვლებით, ჩანთაში საუზმესთან ერთად გახვეული ფეხსაცმლით, საპნით, შაქრით და სხვა მათთვის საჭირო ნივთებით შესვლა ციხეში. ყოველდღე ასე, გულის ფანცქალით უნდა გაევლო საგუშაგო. რომ გაეჩხრიკათ, დაპატიმრებას ვერ აცდებოდა.

თინამ სხვა მხრივაც დიდი საქმე გააკეთა: პატიმრების მშობლებსა და ნათესავებს აწყნარებდა, ბარათები მიჰქონდა და მოჰქონდა. იგი ყურადღებიანი იყო არა მარტო ლევანის მიმართ, ხშირად იტყოდა, — პატიმარს „უწერილობის" დროს სხვა თვალი და სხვა გული აქვსო, ზოგს რა უჭირს და ზოგს რაო. თინას ყველა გაჭირვებული ეცოდებოდა, იქ ისე მიეჩვია სუყველას, რომ ნათესავები ეგონა, მათი ბარათები თუ სიტყვიერი თხოვნა აქეთ-იქით გადაჰქონდა და დიდ მადლობას იმსახურებდა.

მამა თინას გამო საშინლად ღელავდა. მას ვერ წარმოედგინა, რომ ეს პატარა გოგონა ასეთ გულადობას, ვაჟკაცობას და საზრიანობას გამოიჩენდა, ასე უშიშრად შეასრულებდა ამ მძიმე და არეულ დროში ნამდვილად სახიფათო დავალებებს. მამა ამაყობდა კიდეც თინას ადამიანობით, კეთილქალობითა და გამძლეობით. მიუხედავად ამისა, თინას ამ სამსახურიდან განთავისუფლების დღეებს მაინც ითვლიდა.

ლევანის გადასახლების დღეც დადგა. ციხეს მოადგა დიდი, დახურული, ხორცის გასაზიდი მანქანა. მანქანაში ტევა აღარ

იყო. ლევანიც იქ მოხვდა. სანდრო და თინა ამ მანქანას დარაჯობდნენ, მერე გაჰყვნენ მას ნავთლუღის სადგურისკენ.

ტუსაღები სადგურში სხვა მხრიდან აიყვანეს, ჩვენი მანქანა იქით აღარ გაუშვეს.

სანდრომ და თინამ დასტაცეს გადასაცემ ბარგს ხელი და მატარებლის ძებნა დაიწყეს. ბევრი ირბინეს, იტრიალეს აქეთ-იქით, მაგრამ მატარებელი ვეღარ იპოვეს. მატარებელი ისე წავიდა, რომ ამჯერად ლევანს ვერაფერი ვერ გადასცეს.

ოჯახში ისევ დიდი ტრაგედია ტრიალებდა. საწყალი მშობლები ამ პერიოდში ისე შეიცვალნენ და ისე ცუდად გამოიყურებოდნენ, რომ ადამიანის ფერი და იერი აღარ ჰქონდათ, ისეთნი სულიერი ტანჯვა, წყენა და გულისტკივილი გადაიტანეს, რომ თავგზაარეულები იყვნენ.

სანდრო, თინა და ჩვენ, უმცროსები, შეშფოთებულები თავს ვევლებოდით და მათ გამოჯანმრთელებას ღმერთს ვევედრებოდით.

მეორე დღეს თინა სამსახურიდან განთავისუფლდა, მამას დახასიათება აჩვენა. მამა მოეფერა, გადაკოცნა და იმდენი უძახა ჩემი ჭკვიანი გოგო, ჩვენი იმედი და სიცოცხლე ხარო, რომ თინას გული აუჩუყდა და ცრემლები ღვარად წამოუვიდა. უმცროსებმა რომ დავინახეთ თინას ცრემლები, ჩვენც ავტირდით. ტირილში დედაც შემოგვიერთდა, მამა და სანდრო კი ცრემლს ფარავდნენ. მერე თინამ და ჩვენ ტირილს ხმა მოვუმატეთ, ტასომ კი მოთქმა მორთო და, მოკლედ, იმდენი ცრემლი დაიღვარა, რამდენიც ალბათ არჩილის გარდაცვალების დღეს.

ყველასათვის ნათელი გახდა, რომ ეს გლოვა, ეს საშინელი მოთქმა-ტირილი ის ამოხეთქილი ბოღმა და გულისტკივილი იყო, რომელიც ამდენი ხნის განმავლობაში ჩვენს გრძნობასა და გულში უჩუმრად დაყუჩებულ-დაგროვილიყო...

— ბავშვებო, დაწყნარდით, ახლა თქვენ არ გაგვიხეთქოთ გული, — შემოგვეხვეწა ცრემლისაგან თვალებდანისლული მამა. როგორც ერთი, იმავე წუთში ყველანი გავყუჩდით. ტირილისაგან დასიებული ცხვირ-პირი და თვალები მოვაბრიდეთ მამას.

— ახლა სანდროა ჩვენი ბურჯი და მარჩენალი, — თქვა მამამ. — ჩვენი ყოფნა-არყოფნის საკითხი შენ და თინას გაბარი-

ათ. აბა თქვენ იცით, თქვენს მოხუც მშობლებს და პატარებს როგორ ანუგეშებთ და მოუვლით, — მიუბრუნდა მამა უფროს შვილებს.

დრო მიდიოდა, ცხოვრება გაჭირდა, მაგრამ ამას არაფრად ვაგდებდით. დაჭიმული ნერვებით და დიდი ღელვით ლევანის წერილს ვუცდიდით, რომელიც საგრძნობლად იგვიანებდა. ლევანის მეორედ გადასახლების შემდეგ მწუხარება და გლოვა უფრო გაძლიერდა.

სწორედ მაშინ, როდესაც ყველაზე მეტად გვჭირდებოდა ნუგეშისმცემელი და გამამხნევებელი არავინ ჩანდა. ჩვენი სახლის კარი ჩაიკეტა და ჩაირაზა.

მატერიალურადაც საგრძნობლად გვიჭირდა, მამა სხვა სამუშაოზე გადავიდა, ჯამაგირი შეუმცირდა. თინა სტუდენტი იყო, ჩვენ — პატარები სკოლის მოწაფეები. საარსებო წყარო სულ უფრო მცირდებოდა, იმიტომ, რომ პირველ რიგში ყველაფერი ლევანისთვის იყო გამიზნული — ფულის, ამანათების, წიგნების, გაზეთების გაგზავნა და სხვ.

მთელი სიმძიმე სანდროს დააწვა. დღე და ღამეს ასწორებდა შრომაში და ხელფასს მამას აძლევდა.

მამას თავისი ცხოვრების მანძილზე ბევრი ნათესავის თუ ნაცნობ-მეგობრისათვის გაუწვდია გაჭირვების ჟამს დახმარების ხელი. ჩვენთვის არსაიდან დახმარება არ ჩანდა. ჩვენს მშობლებს არც რაიმე პრეტენზია გამოუცხადებიათ, რადგან ირგვლივ დუხჭირი ცხოვრება მძვინვარებდა. ნაცნობები თვითონ იყვნენ გაჭირვებულები, დაშინებულები და გასაცოდავებულები, თავიანთ უბედურებაში ჩაფლულები.

ბაზარი კი თანდათან ძვირდებოდა, ფული ფასს კარგავდა. დავიწყეთ ფასიანი ნივთების ნახევარფასად სახლიდან გატანა.

მამა სულ იმას ამბობდა, მთავარია საკვები გვქონდეს და ჯანმრთელობა შევინარჩუნოთ, ნივთები მეორეხარისხოვანია, მათი შეძენა ყოველთვის შეიძლებაო.

ლევანის წერილი იგვიანებდა. ესეც მეტად მოქმედებდა მშობლებზე, დედა ხომ ნამდვილად დაავადდა. მამასაც ეტყობოდა გადაღლა და ავადმყოფური ირიც მიიღო.

ჩვენთან სამარისებური სიჩუმე და ჩურჩულით ლაპარაკი გამეფდა.

ერთ დღეს, სრულიად მოულოდნელად მოვიდა ლევანის წერილი:

„საყვარელო დედა და მამა!

24. XII. 1931 წელი.

მე უკვე ორი წერილი გამოგიგზავნეთ. ეს მესამეა. პასუხი ჯერ თქვენგან არ არის. არ ვიცი, რას მივაწერო. დღეს მივიღე თქვენი გამოგზავნილი ამანათი, შიგ რატომღაც წერილი არ იყო. შესაძლებელია ამოიღეს. ჩვენს შესახებ ალბათ მოგიყვებოდათ აქედან განთავისუფლებული ტუსაღი ქორიძე, დამპირდა თქვენთან მოსვლას. შეძლებისდაგვარად დაეხმარეთ. აქ ისევ მძიმე ციხის პირობებში ვარ. ჩამოვედი, ჯერ კიდევ გზაში ავად ვიყავი, მე მეგონა გავცივდი. სისუსტე, თავის ტკივილი და აგზნებულობა საერთოდ ნერვულ მდგომარეობას მივაწერე. ბევრი განვიცადე და გადავიტანე თბილისის ციხეში. თუ გინდ ამდენი ხნის შიმშილობა, მერე გზაში თუ მის შემდეგ აქ. ავადმყოფობამ შემომიტია. დღითი დღე გამწვავდა, დამეწყო მაღალი ტემპერატურა და იძულებული გახდნენ საავადმყოფოში დავეწვინე. მე შებრუნებული თუ პარატიფი აღმომაჩნდა, თურმე მძიმე ფორმით. გამახსენდა თბილისის საავადმყოფო და იქაური ინფექციური ბარაკები. წარმოიდგინეთ აქ უფრო მძიმე პირობებში მოვხვდი. თინა გამიგებს. ბედზე გადავრჩი, რკინის სხეული მქონია თურმე. საავადმყოფოდან თავი მალე დავაღწიე. ვიცრუე, კარგად ვარ-მეთქი. ტემპერატურა დავმალე, სხვანაირად არ შეიძლებოდა, იქ დარჩენა ხომ ნამდვილად მეორედ ტიფის შეყრას მიქადდა. დავბრუნდი მე-2 განაყოფის ციხეში. მეორე დღეს ყველაფერმა ისევ შემიბრუნა და ისევ საავადმყოფოში მოვხვდი. მართალი გითხრათ, შემეშინდა კიდეც, ისე ცუდად ვიყავი. ეჰეი, კარგად შევსუსტდი, ვამჩნევდი მუხლების მოფოლხვებას. სიცოცხლის ფასი მხოლოდ ახლა შევიგრძენი, რომელიც სიკვდილის წინ იზრდება თურმე. მეც ასე დამემართა.

ახლა უკეთ ვარ, ალბათ მალე გამწერენ საავადმყოფოდან. რახან ცოცხალი გადავრჩი, ახლა თავს ვუვლი,

რამდენადაც შემიძლია. ამიტომ ჩემი დარდი ნუ გექნებათ. ფულის გამოგზავნას არავითარი აზრი არა აქვს. ჩამოსვლისთანავე ჩამომართვეს. მხოლოდ 10 მანეთს გვიტოვებენ და მერე გვატყუებენ, დანარჩენი თქვენს ანგარიშზე ჩავრიცხეთო. ასე რომ, დახმარება მხოლოდ სურსათით შეიძლება. გამომიგზავნეთ ისეთი სურსათი, რომელიც არ ფუჭდება — შაქარი, კამფეტი, ნამცხვრები და სხვ.

თბილი საცვლებისა და საერთო ტანსაცმლის გამოგზავნა არ არის მიზანშეწონილი. ისინი ჩემამდე არ მოვა. აქ აბანოში თვეში ერთჯერ ტანზე რომ გვაცვია, იმას ვტოვებთ და ჯარეცხილს სხვის ნაცვამს, დახეულს და უკვე კარგად ნახმარს ვიცვამთ. ეს ყველაფერი წვრილმანია.

ჩემო კარგებო, თქვენ როგორა ხართ. ხომ ხართ ჯანმრთელად, მე ბევრი ტანჯვა და საზრუნავი შემოვიტანე ჩვენთან ოჯახში, აგაფორიაქეთ და დავჩაგრე ყველა. უნდა მაპატიოთ. ეს ყოველივე ჩემდა უნებურად მოხდა თავიდანვე. ჩემი ბედშავი ბედის წვლილია. სახლში როდესმე დაბრუნების იმედი ამოწურული მაქვს, მაგრამ... არავინ იცის, ჩემო კარგებო, მაინც მინდა, რომ სიკეთით, სიმშვიდით და ღირსეულად გადაგიხადოთ. მიუხედავად გადატანილისა, მე მაინც ასე ვფიქრობ — ძლიერი და კეთილშობილური გრძნობა ჯერ კიდევ შემრჩა, მიუხედავად ყოველმხრივ მორალური და ფიზიკური შელახვისა.

ფრთოსანი ფიქრები შვავივით რომ მოდიან, ძლივს ვაკავებ.

სანდრო როგორ არის, როგორ მუშაობს. მე ეჭვიც არ მეპარება, რომ მას კეთილ მეგზურად დაჰყვა შრომისმოყვარეობა. გამომიწეროს „ლიტერატურული გაზეთი" და „კომუნისტი". ჩვენი ვაუკაცი თინა როგორ არის, მასში პირუთვნელად შესანიშნავად არის შერწყმული ყველა ადამიანური თვისება. მან დიდი საქმე გააკეთა ჩვენთვის ყველასათვის. თუ იქვე მუშაობს, მათ დიდი მადლობა გადაუხადოს ჩვენგან. იქაურ დახმარებას ყოველთვის ვგრძნობდი. ეს ოშვიათია და ამიტომ გვიკვირდა, რომ ასეთ დაწესებულებაში თურმე შესაძლებელია კეთილ-

კაცებიც და პატრიოტებიც იყვნენ. ბავშვები — თამრიკო და მზია ხომ სწავლობენ, დამიკოცნეთ. ტასოს დიდი მოკითხვა. მადლობა წინდებისათვის, ახლა სწორედ ძალიან გამომადგა.

თუ მოსახერხებელი იქნება, რაიმე სურსათი მომაშველეთ, მაგრამ ვშიშობ, რომ თქვენც არ იქნებით კარგ დღეში. ჩემმა ამდენი ხნის პატიმრობამ თუ გადასახლებამ მატერიალურად გაგტეხათ წელში. ვფიქრობ, როდესმე გამოჩნდება საბოლოოდ ალბათ გზა მშვიდობისა, ღმერთი მოწყალეა. მიმსახურეთ.

გკოცნით თქვენი ლევანი.

ხშირად მომწერეთ, ნუ დამტოვებთ საქართველოს მიღმა ყოველგვარი შემაერთებელი ხიდის გარეშე. ჩემი მისამართია ჯერჯერობით: *Гор. Ташкент, пер-пункт, Усб. П. Л.*

რამდენ ხანს ვიქნები აქ, ჯერ არ ვიცი.

მოკითხვა ნათესავებს და ნაცნობებს.

გკოცნით თქვენი ლ ე ვ ა ნ ი".

წერილმა ისევ აგვაფორიაქა. მამამ მაინც დააწყნარა დედა, რომ ტიფი და მძიმე მდგომარეობა ლევანს უკვე გადატანილი აქვს, ახლა კარგად არის და მალე მუშაობასაც დაიწყებსო. მთავარია, დატოვონ ტაშკენტში, ეს ქალაქი მაინც ახლოსაა თბილისიდან, და ბუნებრივი სითბოც არის. შორეული ციმბირი კი დაკარგულშიაო. რატომ არ ჩანს იქიდან განთავისუფლებული პატიმარი, რომელზედაც ლევანი გვწერს? ის ყველაფერს დაწვრილებით გვეტყოდა ლევანზე.

დედამ ვერ მოითმინა და ბანაკის უფროსის სახელზე სასწრაფო დეპეშა გაგზავნა, იქედან პასუხისათვისაც ფული გადაიხადა. პასუხიც 3 დღეში მოვიდა, რომ თქვენი შვილი სრულიად ჯანმრთელად არისო. ციხის უფროსის პასუხს ცოტა ხანში ტაშკენტიდან ლევანის გამოგზავნილი წერილიც მოჰყვა.

„საყვარელო დედა და მამა!

15. II. 1932 წელი. ტაშკენტი.

თქვენი /გამოგზავნილი /დეპეშა მაჩვენეს. ჩემი ჯავრი ნუ გეკნებათ. ახლა კარგად ვგრძნობ თავს, ჯანმრთელად და მხნედაც ვარ. მიკვირს მარტო, დროება რომ იდორბლება და ისე მიპქრის, გულში ეჭვია ჭოპოსანი და აბლაბუდა.

ამბობენ, ღამე ბრმავდება ყველა და უფრო მეტყველებს. თქვენგან ჩამოქროლილ ნიავს ვოცნებობ, რომელიც მეტყვის მშობლიურ ამბებს და მე, როგორც ბრმა მეოცნებეს, ფრთაშენაყარს, თვალებს ამიხელს. მე მხოლოდ სითბო მინდა, მშობლიური სითბო, ამბორი და კეთილდღეობა საქართველოსი. ცხოვრებაში არაფერი არ არის უძიროდ და უწარსულოდ.

ჯერ არ ვმუშაობ და არა იმიტომ, რომ ჯანმრთელობა მღალატობს, არამედ კანცელარიაში, სადაც მე გამამწესეს, ჯერ არ განთავისუფლდა დროებითი ადგილი. ჩემს წინამორბედს გაასახლებენ, მე იქ რამდენიმე ხანს დამტოვებენ. მერე წინ ისევ ახალი წამება მელის, მეც აქედან გამასახლებენ და ასე შემდეგ. ეს ერთ-ერთი აქაური წესია წვალებისა, როგორც კი ცოტას მიეჩვევი ჭირვარამს, წინ ისევ ახალი წამება გელის. აქ იძულებით გაცილებით ბევრად უფრო მეტი შრომა გვიწევს, ვიდრე იქ, სათავისუფლოში. საერთოდ კი აქაური პატიმრული ცხოვრება ტრაგედიის მძიმე ხლართი და ჯადო რკალია. ჩამაცვეს, მომკაზმეს, როგორც ჯამბაზი, ციხის ფორმით და ნომრით. ამრიგად დანომრილი ვარ, როგორც ნივთი, მაგრამ არც ზედმეტ ბარგად ვგრძნობ ჩემს თავს ჩვენს ქვეყანაზე, როგორც მანდ უნდათ. სამუშაო კი მდორე, უინტერესოა და არის სიტყვა სევდა-ღიმილით. თქვენგან მიღებული მაქვს მეორე ამანათი. ამანათებს სასტიკად ჩხრეკენ და ღალასაც იქვე გვახდევინებენ. მიუხედავად ამისა, ამანათის მიღება ბანაკში ნამდვილი დღეობაა. თითქოს მავთულხლართებში შინაურმა თვალმა შემოიქვრიტა, ოჯახის სითბო შემოიტანა.

აქ საკმარისად კარგი დარებია, თბილა. ასე რომ, ვფიქ-

რობ, ეს ზამთარიც გადავათრიე. „სათნოების“ წამიც დამიდგა, გაზაფხულიც მეწვია. ბუნებამ ამაფორიაქა, მაგრამ ვაი, ვაი, რომ სამშობლოს მთა და ბარში არა ვარ და არ ვტკბები გაზაფხულის სხივთა და ფერთა მრავალსახოვანი ჰარმონიით. მწარე ხვედრი მარგუნა განგებამ და დიდსულოვნად ავზიდო ბარემ ეს ხვედრი მწარე. — ვაი თუ მომავალმაც მიღალატოს? მაშინ! მაშინ გადაწყდება ჩემი ბედი.

ვკოცნი ბავშვებს. დიდი მოკითხვა სანდროს, თინას, ნათესავ-მეგობრებს. თუ იყო თქვენთან ქორიძე, შემატყობინეთ.

აბა, კარგად, ჯანმრთელად იყავით. გკოცნით თქვენი ლევანი.

მისამართი ჯერჯერობით იგივეა“.

„ჩ ე მ ო თ ი ნ ა!

6. V. 1932 წელი. ტაშკენტი.

მივიღე შენი გამოგზავნილი წერილები და წიგნები, მეამა მეტად.

მაშ, ასე, იმედია მომავალშიც ჩემთვის ასეთ სულიერ საზრდოს უფრო ხშირად მომაწვდი. აქ მარტო ამით ვცოცხლობ, მალულად და საიდუმლოდ ხან ლექსებს, ხან პროზას — ვწერ და ვხევ, გულს ვაყოლებ. თუ შეამჩნიეს, წამართმევენ და დამსჯიან კიდეც. სანდროს გადაეცი დიდი მოკითხვა, მისი წერილიც მივიღე და პასუხიც მივწერე. მომწეროს მისი რუსეთში მოგზაურობის შთაბეჭდილება. თან წიგნებს ველი მისგან. გულითადი მოკითხვა დედას და მამას. მათი გამოგზავნილი ამანათიც მივიღე. მართალია, ყინვა ყველაფერს თავის დაღს ასვამს, მაგრამ „ქართული შოკოლადი“ — ჩურჩხელა და ჩირი კარგად უძლებს ყველაფერს და აქ დიდ მოწონებას იმსახურებს. ჩვენებური სურნელი კი გულს საამოდ ეფინება და ამედს ასულდგმულებს. როგორც ჩანს, ყნოსვა ყველაზე უფრო ამახვილებს ნატვრას. რასაკვირველია, ცხოვრების ამ მიჯ-

ნაზე, აქ ჩემი მიწის შვილი მცირერიცხოვანია და უფრო დაკარგულებიც. საზომიც დაგვეკარგა და ურთიერთრწმენაც. ოცნება და სინამდვილე ველარ გვერჩევა. ვადა კი ჩაქჩაქით, მაგრამ მაინც გადის და უკან გვიტოვებს ტკივილის ხნულს. ერთსაც გეტყვი, აქ ჩვენ, ქართველებს, გაგვაჩნია ზედმეტი თავმოყვარეობა, შესაძლებელია მკვდრებზე თუ თავისუფლებზე მეტიც.

თამრიკო და მზია! თქვენც რომ მომწეროთ, მეტად მეამება, თუ არა, ვგონებ სულ დაგავიწყდათ თქვენი „დაკარგული ძმა“.

მე კარგად ვარ, ჯანმრთელად. ყოველ მძიმე უცნაურობას ისე მივეჩვიე, რომ არაფერი აღარ მოქმედებს ჩემს ჯანზე და ხასიათზე.

ვმუშაობ ძველ ადგილას. არ შემიძლია ყოველივე მოგწეროთ, სავსე ვარ ოცნებათა ფიქრით. თითქოს ველი ვიღაცას ან რაღაცას, ვინმე მოვა და ვინმე სამშვიდობოს გამიყვანს.

ველი ამიტომ, რომ მარტო ვარ, ვერ ვმოქმედებ, ყოველმხრივ შებოჭილი ვარ. მარტო ისღა დაგვრჩა აქაურ პატიმრებს — წამება.

ჩემს მეგობრებს და ამხანაგებს სრულიად დავავიწყდი. მოკითხვა ყველას.

გკოცნით თქვენი ლ ე ვ ა ნ ი“.

ღამის წყვდიადი იყო, ყველას გვეძინა, მხოლოდ მამა იჯდა საწერ მაგიდასთან და მუშაობდა. მოულოდნელად ვიღაცამ კარზე რამდენჯერმე დააკაკუნა. ყველას გაგვეღვიძა.

ღამე ასეთი მოულოდნელი კაკუნი ჩვენს ოჯახს ცუდად ჰქონდა დაცდილი, ყველანი შევშინდით, წამოვხტით კიდეც.

მამა შეშფოთებული წავიდა კარის გასაღებად.

ჩვენ, გატრუნულები, გულის ფანცქალით შევცქეროდით კარებს. დედამ სწრაფად გადაიცვა კაბა და მამასთან მივიდა. კარები გაიღო, კარებში იდგა უცნობი, სასიამოვნო შეხედულების შუახნის კაცი, გამხდარი, დასუსტებული, ძველ, გახუნებულ ტანსაცმელში გამოწყობილი; ზოშაზე დიდი ფეხსაცმე-

ლი ეცვა, რომელიც სიარულს უშლიდა. მამას მის დანახვაზე თვალები გაუბრწყინდა, მაშინვე მიხვდა ყველაფერს. არც კი ჰკითხა ვინაობა, სახლში შემოიყვანა. მერე ჩუმად სანდრო გარეთ გაგზავნა, დაეზვერა, ვინმე ხომ არ მოჰყვებოდა.

— მე ის კაცი ვარ, — ხმა აძოიღო უცნობმა, — თუ მოგწერათ ლევანმა, თქვენთან რომ უნდა მოვსულიყავი. დღე ვერ გავბედე. შიშს დიდი თვალები აქვს, თორემ დილას ჩამოვედი და სადგურიდან ფეხი არ დამიძრავს. რახან იმ დაწყეველილი ციხიდან თავი დავაღწიე. ყველაზე უფრო ძალიან აქაური ჩეკასი მეშინია, დაუნდობელი, ნამდვილი ჯალათები არიან. მე და ლევანი ერთ ბედქვეშ ვიყავით იქ, ტაშკენტში, — დაიწყო სტუმარმა.

დედამ ვეღარ მოითმინა, გადაეხვია, მოეფერა და აკოცა. ჩვენც ყველანი შემოვეხვიეთ და მივეფერეთ. თითქოს ლევანს ვეხვეოდით და ვკოცნიდით. მასაც გული აუჩუყდა, თვალზე ცრემლი მოადგა.

— მე მშობლიური სითბო და სიყვარული დავიწყებული მაქვს, ახლა გული ამიძგერდა, — წამოიძახა მან აღელვებით, — ასე მგონია, ჩემები ხართ.

მამამ უპასუხა, ნამდვილად შენი ახლობლები ვართო. მერე ტასო შემოვიდა, ლოცავდა და კოცნიდა, ლევანის სუნი აგდისო, სადაური ხარ და ვინა ხარო, ასეთი ბედნიერი.

— მე ნუ მკითხავთ, სადაური ვარ და ვინა ვარ, — შეწუხებულმა წამოიძახა მან. — პატრიოტი ვიყავი საქართველოსი. თავისუფალი საქართველო მინდოდა, რისთვისაც 15 წელი მომისაჯეს. მარტო წისქვილის ბორბლის ქვეშ არ ვიყავი, ისე კი ჩემს თავზე რამ არ გადაიარა. 5-ჯერ სიკვდილის პირას ვიყავი მისული, მაგრამ, თვითონ მიკვირს, როგორ გადავრჩი, ნამდვილად სასწაულია. ახლა, არ ვიცი, როგორ წარიმართება ჩემი ცხოვრება. აქედან მინდა შორს გადავიკარგო, ეს ჯალათები სამშობლოში საშველს არ მომცემენ. — შეჩერდა, ნერწყვი გადაყლაპა და წამოიძახა: — მე რა, სულ ჩემზე გიყვებით, ისე ავღელდი, რომ უცებ ჩემს სახლში წარმოვიდგინე თავი. ლევანი პირველ ხანებში საავადმყოფოში იწვა, მერე „ადინოჩკაში“ იყო, შემდეგ კი, სამუშაოზე რომ გაამწესეს, ჩვენს ბანაკში გადმოიყვანეს. ლევანი ჯანმრთელი, ბრგე, ნასწავლი კაცია, ამიტომ მას ყველა მოწიწებით ეპყრობა, გინდა პატიმარი

და გინდა ზედამხედველი. იგი, როგორც ყოველთვის, სამშობლოს ერთგულია. ციხე მაინც ციხეა, მით უფრო აზიური ციხე თავისი სპეციფიკური კონტინგენტით, თავისი საშინელებებით, გამოკეტილი ყოველმხრივ და დაჩლუნგებული, გამწარებული ყოფით. მუშაობა იქ ბედნიერებაა, ეს არის ერთადერთი ნათელი ადგილი. მაგრამ ტაშკენტი გამანაწილებელი პუნქტია, იქ მას დიდხანს არ დატოვებენ. ამ ციხეს კიდევ არა უშავს, იქით უარესია. ერთ საკანში საშუალოდ ორსართულიან თახჩა-ნარებზე მიყრილია ორასზე მეტი პატიმარი, ჰაერის უკმარისობაა, ჟანგბადი არ ჰყოფნის ხალხს. აბოლილი „მახორკით", აყროლებული ოფლის, შარდის და ფეხის სუნით ყველა იშხამება. აბა ხმა ამოიღე! უნდა იყუჩო! კვებაც მძიმეა. ისეთ ბალანდას გაუმზადებენ, რომ გული აგერევა. სხვა რა გზა გაქვს, უნდა ისიც გემრიელად მიირთვა. ზედა ნარებზე მყოფი ძველი პატიმრები სულ ენას ილესავენ, იგინებიან. ახალბედები ქვევით არიან გატრუნულები. შიშით ხმას ვერ იღებენ. ვერ წარმოიდგენთ, რა ყოფაში არიან საწყალი უდანაშაულოდ მოხვედრილი პოლიტიკური პატიმრები. გაშიშვლებული, დაბეჩავებული და დაკნინებული. ლევანი აბანოში გავიცანი. გადათვლის დროს ქართული გვარი შემთხვევით რომ გავიგონე, ყურადღება მივაქციე, მერე ჩაცმული ველარ ვიცანი. მან თვითონ მიცნო, საშრობელაში გამომიხმო, იქ მყუდრო კუთხე ვიპოვეთ და ბევრი ვისაუბრეთ. საქართველოს გახსენებით და ქართულ ლაპარაკით გული ვიჯერეთ, მე გავანდე ჩემი მალე განთავისუფლების ამბავი. ვადა ყველა დამატებებით და გაგრძელებებით მითავდებოდა. ლევანმა თქვენი მისამართი მითხრა და ისიც დაუმატა, რომ უსათუოდ დაგეხმარებიანო. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც გამოირკვა, რომ ორივე ერთ ბანაკში ვიყავით, მე ზევით, ნარებზე, ის კი ქვევით. შემდეგ უფრო ხშირად ერთმანეთს გაჭირვებას ვუზიარებდით ქართულად და სამშობლოზე ლაპარაკით გულს ვიოხებდით. მერე დადგა ჩემი გამოშვების დღეც. სიხარულთან ერთად ტკივილიც ვიგრძენი, ვერ წარმომედგინა სამშობლოში ამ საშინელი წყობისა და უბედურების დროს როგორ ვიქნებოდი. ლევანმა ძალიან იმედიანად მანუგეშა: — შენ ბედნიერი კაცი ხარ, სამშობლოში ბრუნდები. ვფიქრობ, მომავალში ყველა ჩვენთაგანს იქ თავისი ადგილი გვექნება. მე ასე მწამს, არ შე-

იძლება იმ პოლიტიკურმა წყობამ დიდხანს იარსებოს, სადაც ასე უბრალოდ ანადგურებენ ადამიანებს. ალბათ, მოწესრიგდება ცხოვრება, აღდგება სამართალიცო.

— რომ ჩამოხვედი, დიდი ბედნიერებაა, — წამოიძახა დედამ.

— ლევანიც ასე იქნება. იმ ციხეებიდან, ვადის დამთავრების შემდეგ, ყველას ათავისუფლებენ და ლევანი, აი, ნახეთ, უსათუოდ დაბრუნდება.

მშობლებმა იმ ღამეს სტუმარი არ გაუშვეს, კარგად დააპურეს. მამამ ღვინოც დაალევინა. საწყალს დიდი ხანია ქართული ღვინო არ დაელია. ცრემლი მოერია, შეთვრა კიდეც.

შუაღამე დიდი ხნის გადაცილებული იყო. ჩვენ კი გაფაციცებით ვუსმენდით ყოფილ პატიმარს. ღვინომ მძიმე მოგონების გუდა გაახსნევინა და გადატანილი საშინელების გულიდან ამონთხევა მოინდომა.

დიახ! ალბათ ცხოვრებით გაჭირვებულ ადამიანს აქვს ისეთი მდგომარეობა, რომ სხვას აღარ ინდობს და თავის დარდს და განცდებს მსმენელს თავს ახვევს. სწორედ ასე მოუვიდა ჩვენს სტუმარსაც. მან არ დაინდო ჩვენი მშობლები და მთელი სისრულით გადმოგვიშალა გულში ნადები.

— ტაშკენტის გამანაწილებელ პუნქტში პატიმრებს ახარისხებენ და ციმბირისკენ აგზავნიან სხვადასხვა ბანაკში, — განაგრძო მან, — პოლიტიკური პატიმრები უფრო ხშირად ნარიმის საკონცენტრაციო ბანაკში ხვდებიან. ეს უმძიმესი, უსაშინლესი ბანაკია. მთელი მოსახლეობა ქოხმახებში — „ხიბარკებში“ ცხოვრობს, იქ მხოლოდ 2 ქვის ნაგებობაა, ისიც ბანაკის ციხეა. დანარჩენი უამრავი ხის სარდაფი კი პატიმრების სამყოფელს წარმოადგენს.

ნარიმში თავისუფალი მიწა არ არის. ტერიტორია დაფარულია ულრანი ტყით, სადაც პატიმრებს ამუშავებენ, რამდენიმე ტბაა. უმთავრესი ტერიტორია კი ჭაობითაა დაფარული, უმოქმედოა.

ჰავა უმძიმესია. ცუდი ზამთარი იცის, გრძელი და მკაცრი. ყინვა ზოგჯერ მინუს 50-60 გრადუსს აღწევს. ბანაკში გათბობა თითქმის არ არის. პატიმრები ერთმანეთს ზურგით ათბობენ. გაზაფხული და შემოდგომა საერთოდ არ იცის, ზამთარი პირდაპირ გადადის ზაფხულში, რომელიც ძალზე ხანმოკლეა.

ზამთარში მდინარეები იყინება, ზაფხულში კი ისეთი წყალსავსობა და წყალდიდობაა, რომ მთელი ტერიტორია იტბორება. ბანაკიც მთლიანად წყალში დგას. დიდი სინესტეა. აქედან მოდის ავადმყოფობა და უძლურება. რკინის ჯანმრთელობა უნდა გქონდეს, რომ იქიდან ცოცხალმა თავი დააღწიო. ალბათ ეს წინასწარ გათვალისწინებული და განსაზღვრულია. ზოგჯერ „ამნისტიაც" არის, არ ვიცი, რასთან დაკავშირებით. იქიდან პატიმრები ციმბირში აქეთ-იქით გადაჰყავთ, უფრო სიცივეში, უფრო შიმშილში და მძიმე ცხოვრების პირობებში. ესეც, ალბათ, მათთვისაა, ვინც უძლებს იქაურ რეჟიმს. იქაური წვალების ერთ-ერთი მძიმე მეთოდია განუწყვეტელი ეტაპები, რომელიც ანადგურებს ადამიანს, უკარგავს ხასიათის სიმტკიცეს. მერე ჩეკისტებს თვითონაც უკვირთ, რომ ზოგი ადამიანი არაადამიანურ პირობებს უძლებს, თავს არ იკლავს, არ გიჟდება, არ კვდება, მაინც ცოცხლობს. მე ქართველი კაცი ვარ, ჩემი მტკიცე ხასიათით გადავრჩი. ბანაკმა მაინც თავისი დაღი დამასვა: ფიქრი შემეკრა, ყველაფრის შიში დამჩემდა. უმიზეზოდ ვნერვიულობ და ზოგჯერ აზროვნებასაც ვკარგავ. ამდენმა განცდამ დამაკნინა კაცი. ბანაკში ერთი რჯულისა და ეროვნების ხალხს ერთად არ აჩერებენ, ქართველები რუსებს და სხვა ეროვნების პატიმრებს შორის კანტიკუნტად ვიყავით — ესეც დასაძლევი სიძნელეა. ქართველები ყოველთვის ერთმანეთს ვეხმარებოდით.

სტუმარს ყველამ ვუთანაგრძნეთ. ზედმეტი ნერვიულობისაგან ცრემლი ღვარად სდიოდა. სახეზე ყველა კუნთი უთამაშებდა. ყველანი მოვეფერეთ და ვანუგეშეთ. მერე შეწუხებული დედა მაინც შეეკითხა — იმ დაწყეველილ ქალაქში მისადგომი საიდან არისო.

— ერთადერთი მისადგომი ორ კილომეტრში, მდინარე ობის სანაპიროა. იქ ნავსაყუდარია და გამვლელი გემები ჩერდება. ისე კი ისეთი დაწყეველილი ადგილია, რომ არც რკინიგზა და არც მანქანის გზა, წამლად რომ გინდოდეს, ახლოს ვერ მოინახება. ნარიმი მდინარის მარჯვენა სანაპიროზეა. ნაპირი ხრიოკი და უდაბნოა. ობი დასავლეთ ციმბირის უდიდესი მდინარეა, ზღვასავით დიდი, ძალიან ღრმა და ფართო. მეორე ნაპირი მდინარის შუაგულიდანაც კი არ ჩანს, ასე 7-8 კილომეტრი იქნებაᲗ სიგანე.

მეორე დღეს გვიან დაღამებამდე სტუმარი ჩვენთან დარჩა. დღე არ უნდოდა ქალაქში გამოჩენა, უფრო სწორად, ეშინოდა. ისეთი დაშინებული იყო, ეგონა მაშინვე იცნობდნენ და, მიუხედავად იმისა, რომ იქიდან გამოუშვეს, აქ მაინც დაიჭერდნენ.

ჩვენ ჩუმად ვიყავით. არავინ იცოდა ჩვენთან სახლში სტუმრის ყოფნა, ლევანისაგან გამოგზავნილს ალბათ სტუმარსაც დანაშაულში ჩაგვითვლიდნენ.

— რა დღე დაგვიდგა, — წუხდა დედა, — სტუმარიც კი დასამალია.

საწყალი ანდრო ქორიძე ღამით როგორც ჩუმად შემოვიდა, ისევე ჩუმად გაიპარა სახლიდან. მშობლებმა ბევრი საჭმელი გაატანეს, მამამ ფული მისცა. დედამ საუკეთესო ტანისამოსში გამოაწყო და ახალი ფეხსაცმელიც აჩუქა. მამამ სანდრო გააყოლა მანქანით სადგურამდე, იქ სანდრო შორი-ახლოდან თვალს ადევნებდა, სწორედ ისე, როგორც მან სთხოვა.

ცოტა ხანში სადგურში მოსკოვისკენ მიმავალი მატარებელი შემოვიდა. სანდრომ გააცილა ჩვენი საყვარელი სტუმარი. სად მიდიოდა, არავინ არ იცოდა მამას მეტმა, იმდენად დამფრთხალი და გაწვალებული იყო, რომ საწყალს ყველაფრისა ეშინოდა.

ალბათ წარსულში უშიშარი, მტკიცე ნებისყოფის და ნამდვილი ქართველი ვაჟკაცი 15 წლის განმავლობაში, როგორც პოლიტიკური პატიმარი, იმდენი ტანჯეს, აწვალეს და აწამეს, რომ დააკნინეს. ვაი, ვაი, რომ იმ დროში ეს ბუნებრივი ამბავი იყო.

სტუმარი გავისტუმრეთ, მაგრამ ოჯახში საშინელი მწუხარება და ნაღველი დარჩა.

ლევანი ჯერ კიდევ ტაშკენტის ციხეში იყო, მაგრამ მშობლები ძალიან აფორიაქდნენ და უკვე ნარიმის სიძნელეებს განიცდიდნენ.

— რა ეშველება ლევანს, როგორ გაუძლებს იმ საშინელებას. ნარიმი ალბათ ბოლოს მოუღებს, — თავისთვის ბუტბუტებდა აღელვებული დედა.

მამა აწყნარებდა: — ჩვენი შვილი ძლიერი და მტკიცეა, მე მისი იმედი მაქვს, ყველაფერს გაუძლებს. სანამ ის ნარიმში

მოხვდება, შეიძლება შეიცვალოს რამე. მერე რაღა იქ მოხვდება უსათუოდ, წინასწარ ამაზე გულს ნუ იხეთქავო.

და, აი, საკვირველება, მამაჩვენი — ეს ჩუმი კაცი, ალაპარაკდა და ბოლმა ამოანთხია:

— საწყალი კაცის მონაყოლმა ყველას გულისტკივილი და მწუხარება რომ დაგვიტოვა, ეს ხომ განწირული ქართველი კაცის 15 წლის არაადამიანური ცხოვრებაა, მისი წვალება და ვარამი. ეს რა ხდება ჩვენს დროში, საიდან შეიქმნა ასეთი რკინის რეჟიმი, საიდან წარმოიშვა მე-20 საუკუნეში ამდენი გული და უგულობა. სიკეთე ალარ არის. რას ერჩოდნენ ამ საწყალ კაცს, თუგინდ სხვებს. ჩვენ ხომ გულით გვიყვარს სანუკვარი საქართველო, ვართ ნამდვილი პატრიოტები და მისი კეთილის მსურველები, თურმე რა ძნელი და შიუწვდომელია ოცნებაც დამოუკიდებელ საქართველოზე.

დედა შეშინდა და შეაწყვეტინა საუბარი:

— შენ, ვგონებ, დაგავიწყდა, ჩვენს კედლებსაც ყური რომ აქვს? გინდა, რომ მთლიანად ოჯახი დაიღუპოს? დაწყნარდი და დადუმდი! ახლა მაგაზე ლაპარაკი კი არა, ფიქრიც საშიშია. ნუ დაგავიწყდება, ბავშვები გისმენენ. ბიჭს შველა სჭირდება, ამაზე ვიფიქროთ.

მამა ჩაჩუმდა, ღელვისაგან გაფითრდა, დედამ წვეთები დაალევინა. რამდენიმე ხნის შემდეგ მამამ მაინც იპოვა ნარიმის შესახებ ცნობები:

თურმე ნარიმს გადასახლების ქალაქი ერქვა ჯერ კიდევ XIX საუკუნიდან, მეფის მთავრობა იქ ასახლებდა პოლიტიკურ პატიმრებს. ბევრმა დეკაბრისტმა იქ პოვა ცხოვრების საბოლოო ნავსაყუდარი და უკვალოდ დაიკარგა მათი საფლავებიც. ძველ ლიტერატურულ წყაროებში ისიც აღნიშნულია, რომ ნარიმში გადასახლებაში ყოფილან სვერდლოვი, სტალინი, კუიბიშევი და სხვები. მეფისდროინდელი ციხის რეჟიმი ბევრად უფრო ჰუმანური და ადამიანური ყოფილა, ვინაიდან სვერდლოვმა, სტალინმა და კუიბიშევმა შეძლეს ნარიმის ბანაკიდან თავისუფლად გაქცევა და თავის დაღწევა. სწორედ ამიტომაც, გასაბჭოების შემდეგ მათ ნარიმისა და სხვა ქალაქების პოლიტიკური ბანაკების რეჟიმი იმდენად გააძლიერეს, იმდენად შეუვალი, მკაცრი და მძიმე გახადეს წამებისა და წვალე-

ბის არაადამიანური მეთოდების გამოყენებით, რომ იქიდან თავის დაღწევაზე საერთოდ ოცნებაც კი აღარ შეიძლებოდა.

ყველასათვის გასაგები იყო, თუ საიდან წამოვიდა ეს ბალღამი. ყოველივე ამან, რა თქმა უნდა, მშობლებზე და ჩვენზე ცუდად იმოქმედა.

— მთავრობაში დესპოტები არიან, მათ ადამიანთა მასობრივი განადგურება უნდათ, ამიტომ აგზავნიან პოლიტიკურ პატიმრებს ასეთ სასტიკ ბანაკებში, — გულისტკივილით იმეორებდა დედა.

სულ იმის ნატვრაში ვიყავით, რომ ლევანი დიდხანს გაეჩერებინათ ტაშკენტის ციხეში.

ლევანმა ტაშკენტში ერთი წელი მაინც დაჰყო და შემდეგ ეტაპს გააყოლეს ნარიმისაკენ.

„ძალიან ვწუხვარ, — იწერებოდა ლევანი პატარა ბარათში, — წინ ისევ მძიმე ეტაპია ნარიმისაკენ. საერთოდ ისეთ დაწყეველილ რგოლში მოვხვდი, თავის დაღწევას ველარ ვახერხებ. მაგრამ ისე მივეჩვიე ყოველგვარ უცნაურობას, არაფერი აღარ მოქმედებს ჩემს ჯანზე და ხასიათზე. ისე კი ვგრძნობ, რომ მე ბუნებრივ სიკვდილზე უფრო ადრე გათავებული კაცი ვარ. ვაგლახ, არც მკვდრებში ვწერიავარ და არც ცოცხლებში“.

ეს იყო და ეს. ამის შემდეგ საკმაოდ დიდი ხნით შეწყდა ლევანისაგან წერილები, ამას კი თან სდევდა ჩვენი ოჯახის ყოველდღიური დიდი სევდა, ღელვა, მწუხარება და გაუთავებელი მოლოდინი.

რამდენიმე თვის შემდეგ მოვიდა ლევანისაგან წერილი ნარიმიდან.

„საყვარელო დედა და მამა!

18. XI. 1932. ნარიმი.

ვიმგზავრე გემით ნარიმამდე. მოვადექით ამ წალეკილ ადგილს, მიკვირს, საკმარისად ნორმალურად. ჩვენ წინ უშველებელი, პირქუში, უნაპირო, მდინარე ობი მდორედ მოედინება. ჩემ გარშემო გასაცოდავებული პატიმრები და მთელი გროვა ზედამხედველთა სახეების ბინდი ლანდებია. თითქოს ნისლი შეირხა. ცივა, ქარბუ-

ქი ცივ ლორწოდ ხვდება სახეს, სუნთქვას აფერხებს. ჯერჯერობით ყოველივე ასატანია. მე სულ უარესს მოველი. ჯანმრთელობის მხრივ კარგად ვარ, ამიტომ ჩემი ჯავრი ნუ გაქვთ. ხასიათის სიმტკიცესაც ვგრძნობ. შინაგანი განწყობა მიხმობს ყოველგვარი გაჭირვების გაძლებას, მეც ასე ვფიქრობ და ასე ვარ სულიერად მომზადებული.

დიდხანს ვიდექი სანაპიროზე შორს მჭვრეტელი და უბედური. ვხედავდი დიდი ყინვის მოლოდინში შავლურჯ მდინარეს, თითქოს ფართოდ გაბერილს, ვერაგს, უნდობს, უცხოს და უგულოს. გული გამეფოხა, როგორც ჭირისუფალი.

გულისტკივილით თვალს ვადევნებდი უკან მიმავალ გემს, ჩემთვის, ალბათ, ნაოსნობის დასასრულს, რომელმაც ჩამომიყვანა, უპატრონოდ დამტოვა. ვინღა იცის, როდის გავუვები უკან.

მართალია, ჩემდაუნებურად, მაგრამ მაინც, ჩემი გაჭირვება როგორ დაუსრულებლად მოგახვიეთ თავზე. ამაზე ძალიან ვწუხვარ, დაგღალეთ განცდით, გაგტეხეთ ხარჯით. აღარ ვიცი, რა ქნა, როგორ მოვიქცე.

თქვენი გამოგზავნილი 80 მანეთი გადმომცეს. სწორედ დროზე მომისწრო. თუმცა აქ ფულით არაფერი იყიდება.

გემის საყვირზე მოსული ადგილობრივი მაცხოვრებლები, უცნაურ ტყავის ქურქებში გამოწყობილი, უცებ დაიშალნენ, არც ერთი სახე არ მახსოვს. ახალ ადგილზე ნივთი უფრო აღწევს მეხსიერებას. აქ ნივთი მეტყველია სახეზე. ჯერ ობის ხრიოკ ნაპირს ავყევით, უფიქროდ, ზურგზე აკიდებული მცირედი საკუთარი ბარგით. მერე შუა გზაზე, სადღაც ჭაობის გასწვრივ, შევუხვიეთ და უგზო-უკვლო ბილიკზე გავედით, წინ ისევ სიცარიელე და ტკივილი ვიგრძენი. რამდენი ხნით, ვინ იცის.

წამოსვლის წინ თინას გამოგზავნილი წერილი და წიგნები მივიღე, ძალიან მეამა, იმედი მაქვს აქ ხშირად მომწერს.

სანდროს გადაეცით, მომწეროს თავისი შთაბეჭდილება რუსეთში მოგზაურობის შესახებ. თამრიკო და

მზია, თქვენც რომ მომწეროთ, ძალიან გამეხარდება.

გულითადი მოკითხვა ჩემს ტასოს.

ამრიგად, უნდა მივეჩვიო ახალ გარემოს და აქაურ ბანაკურ ცხოვრებას.

ძალიან გთხოვთ, მშობლებო, თავს მოუარეთ, ჩემზე ასე მწარედ ნუღარ განიცდით. ვფიქრობ, საბოლოოდ მაინც ყველაფერი კარგად მოგვარდება.

იყავით სულ კარგად, მოკითხვა ნათესავ-მეგობრებს

გკოცნით თქვენი ლევანი.

ცოტა ხანში მიმოსვლა ჩაიკეტება და ალბათ წერილების მიწერ-მოწერა შეფერხდება, არ შეგეშინდეთ.

თქვენი ლ ე ვ ა ნ ი".

ლევანი სულ ხასიათის სიმტკიცეზე სწერდა მშობლებს, თითქოს გადასახლების ყველა წესს, რეჟიმს კარგად იტანდა და ეგუებოდა. აწყნარებდა და ანუგეშებდა მათ. საერთოდ კი საქმე სხვანაირად იყო. ლევანის კალამს ეკუთვნის ბევრი ლექსი, თუ პოემა, დაწერილი სწორედ 1932—1936 წლებში, ნარიმის და ბიისკის ბანაკებში ყოფნის დროს. აი, ისინიც: „ისევ აუგი", „შუქი სარდაფში", „ცეცხლიანი კუზი", „ოქროსფერი აკვანი", „გემშვიდობები", „გაქცეული ძეგლი", „ნაჭარტალავი", „ჯანყი ადამიანის", „ზღვის ბაღდადური (შორეული ხილვა)", „გზა წიწამური", „ურვათა ურვა", „ნარიმ", „არავი", „ღამის საკირე", „სევდა-ღიმილი", „Alarme", „ნათელი — შუქი", „მუმლი მზეს", „ქარბუქია", „წერილი ქართველ დედას", „ბედის კივილი", „შენ ისევ მოხვალ", „ობოლი სული", „ორჯერ სრესილი" და სხვა მრავალი.

ქვევით გვინდა წარმოგიდგინოთ რამდენიმე ლექსი, დაწერილი ნარიმში. ისინი ლევანის იმდროინდელ ბიოგრაფიაზეც მოგვითხრობს, მის სულიერ განცდებს, ცხოვრებაზე გულის აცრუებას და უკიდურეს სევდას გვიზიარებს. სამშობლოს მიღმა არაადამიანურ პირობებში ყოფნამ დაუკარგა მას ყოველგვარი იმედი, დარჩა პირისპირ მარტო თავის მწუხარებასთან.

ისევ აუგი

და ჩემ წინ ისევ გადასახლება
. და ისევ...
და ისევ...
და ისევ...
გადამათრევენ ისევ სხვა ხელები
და გული წურბელებს დაისევს.

იკიელებს ორთქლი — ძუძუ მოხავერდო,
კიეილი წამოვა, როგორც მოჩვენება,
ადგება აუგი გარემო ქარვიდან
და ისევ ჰენებით
ჰენების
ჰენება...
სად წავა ძახილი,
ო, საით, ო, საით?!
რით უნდა ეამახვილო
რისხვების სიათა?!
ქარი — ახირებას მოიფენს ქარითვე,
და დაიხერგება დაფშვნილ ფანქარივით.
ეპეი, ლიანდაგო! ფიაფალის იცი წესია,
ვინ არის იგი, რომ იცინის?!
აგრე უტიფრად?!
გამოუტეიფრავ
წადილებზეც უნდა თამაში.
კრინტი! ეჰა, მაშ
თუნდ ასრულდეს ეს ქადილი, იცი ახლავე,
გულს ამოვითხრი და დავწიხლავ,
მერე ვემთხვევი,
ნამორ ვერხვივით
იფართხალებს და წაღოღდება,
იქით ნაგები — სად მშობლიური ძუძუ დაჰხარის,
ლეშს წამოგიგდებ
და ძაღლივით თუნდა დახარი.

შუქი სარდაფში (ბარტო ღასაწყისი)

შენ აიშენე ჩემ თაეარში უსათაურო,
შაბლს რომ შეები, ეადახიე გადასასერი
და ეს იარა შენეღებით მიაფუჩეჩე —
და ჩამიჩუმით წამოიწყე რასაც ველოდი,
ჩემ დაბადებას აეხირა ძველი ძაბუნი

და აქაც ცაზე ისე ბნელოდა,
რომ სამარეში შუქს დაეძებდენ...
შუქი სარდაფში!...

ნ ა რ ი მ! (პატარა ნაწილი გრძელი ლექსიდან)

ალბათ უგულოდ მოხვეტილია
ეს სივრცეები, ან თუ ცა-ბადე
და ცივი ქარი მოხეტიალე,
უცხო, ბარბაცი და უცაბედი...
არის მიდამო, როგორც სიტყვარი
მრავალ აუგით აიას კილოც
დანალმულია ეს სიტყვა „ნარიმ"
— დათვი იარას რომ გაილოკავს.

ზამთარში თოელი და ნაშალი ყორდიანი,
და ყინვის თალიდან მზა კარაპინები.
ზაფხულში — ლოპერას ჰბარდნიან კოღონი
და უნარიპოა ქარებიᲘ ჭენება.
ნავი და მარხილი, საპე და სადავე
და ობი დარხეულა საიდან სადაოᲘ?
და ზიდავ კალთას, წყალმა რომ დაბალთა,
სიტყვა ლახვარია —
— ნარიმ?
ულრანი ტყე ტაიგა — ურმანᲘ
დამპალი ხერგი: გუბე და ლია,
თავს ვერ მიაგნო ამ სათაურმა
როგორც უნახმა სული დალია,
ობობას ქსელი და ბობოწვერა,
საუკუნეთა მწვანე ნიეარა,
და ჭაობიდან წვენი ნაეური
მდორედ, უნდილად და ბიწიერად,
და კოღომ სულში დუეი ჩაღვარა.
სად დაიფარვი?Ი ო, საით წახვალᲘ?
ესეეა მუმლის ურდო კოღო-მზეს
და თითქოს შორით ნაყაჩაღარი;
სისხლის წვეთებად ჰყრია ძახველა
ხავსის ძუძუთა ოდრიკალებზე.

სხივით ნაიარევის
ძუნწი ანარნარი...
დღით არევენ ისევ
ზმანებას ღამიანს,
სიტყვაც ბალლამია —
ნარიმ!

გაყინული მივალთ
დალეპილი უფრო
და ზეცა პირქუში
ჰოდა სევდის ქნარი
სიტყვაც, ხომ მწარეა
— ნარიმ!

ა რ ა ვ ი (ბოლო სტრიქონები გრძელი ლექსიდან)

დამძიმდა გული — გარინდული და მარტოხელა,
მაშინ ქვალებიც ადგებიან მახვილ ჭალებად
და ეს სტრიქონი, უღელვით გადატეხილი,
წავა უეცრად, ნამქერებში დაიკავლება.
აქ არის — რასაც მე თავს ვუმალავ
იარავ — იარე — არიე-არავი!
განა თუ უდაროდ არ ელი უმალ ავს?
არავინ გიშველის, არავინ, არავინ!
ო, ეს ტკივილი მე უნდა ჩავიხშო,
გადავყვე ქამთა უპოვარ გზებს
და წავალ, ისევ თავს ჩამოვიხრჩობ,
ქართული ურემის აპეურებზე.

მუმლი მზეს

!

მუმლი მზეს!
მუმლი მზეს!
მუმლი მზეს!
ესევა, ესევა, ესევა!
ნუ მიმზერ!
ნუ მიმზერ!
ნუ მიმზერ!
ესე ვარ, ესე ვარ, ესე ვარ.
უძილო,

უძილო,
უძილო,
ოჰ ნეტავ! ოჰ.ნეტავ! ოჰ ნეტავ!
უძელი,
უძელი,
უძელი,
ავიტან! ავიტან! ავიტან!
არ ავა!
არ ავა!
არ ავა!
წვიმა სულ, წვიმა სულ, წვიმა სულ.
ქარავან,
ქარავან,
ქარავან,
წასულა! წასულა! წასულა!
მარტივად,
მარტივად,
მარტივად,
მიშველი! მიშველი! მიშველი!
მარტო ვარ,
მარტო ვარ,
მარტო ვარ,
მიშველე! მიშველე! მიშველე!
!

ქარბუქი

და სახეში თეთრი ფურთხი და ცივი,
თითქოს ვიღაც დამცინის და დამცინის,
სუნთქვა... სუნთქვა — აღარ არის — აღარა..
ვიღაც მოჰკლეს და უკრავენ ნაღარას.

ძილისპირული

რ, ო! დაიძინე! ჩემო თავო,
ნუღარ ოშფოთებ;
განუქარველად რომ დაასრულე
ეს დღე — ნაფოტი...
დილით ციოდა,
შუადღისას დავარდა ქარი,
საღამო იყო თვალდათხრილი
და საერანი...

ხითქოს წავედი,
ჩამოყინულ სარკმელს მივეკარ
და გული მაინც დავიცხრილე,
გულჯეირანი,
ო, ო, დაიძინე ულბილესი
ნანით გაგართობ,
რომ აილესო
დაგიწყება უმისამართო.
ციცია ლამეც თოვლიანი,
დადის ვარანგი,
აგდია ბინდი,
ამქამად ქარმაც დაბერა უფრო
და სიზარმაცე
ნაწილებში ჩამოვარიგე...
გარეთ დარია უამინდო
და ჯანდაბური,
მოგიეა ზეინი
სიზმარეულ ჩამოდუნებას...
და სალბუნები...
ო, ო, დაიძინე!

ურვათა ურვა

მომეცი ქუდი — დავიფარო თავი შიშველი.
მკერდზე წურბელა დამეკიდა, როგორც აბედი,
ჩემი იმედი ნუ გექნებათ — ველარ მიშველით!...
რალაცა დამყვა უჩვეულო და უცაბედიც.
მომეცით ქუდი — დავიფარო თავი შიშველი,
დამბურეთ კალთა, თუ არა და გული ილევა
და მოაბიჯებს სახეძაღლი ურვათა ურვა
საფეთქელიდან ფერდამდეა ეს ნაკბილევი.
სხვა ხვიმირებში ჩავიღერღე — უსათაუროდ,
დამბურეთ კალთა, თუ არა და გული ილევა.
მომეცით რამე — ნაოხარი სული ვათბურო,
სული კანკალებს უცნაურად, ტანი ქვისაა.
უბრძანეთ ყველას ამ დღეიდან დიდი თათბირი,
დაანთეთ ცეცხლი, ჩამოკარით მალე ტალკვესი!
მომეცით რამე — ნაოხარი სული ვათბურო
და სითბო მინდა, მშობლიური სითბოს ალერსი,
თუ არა, ეიცი, თვალებიდან ფერს წალეკავენ,
ამეწეებიან სურვილები მოთა ხორალის
და, ხერხემალო, იქ მიგათრევ, შე საწყალაო,
და სითბო მინდა, მშობლიური, სითბოს ღლარი.

ბედის კივილი

1

რა თქმა უნდა, ძმობილო, — აღარავინ მოგელის...
რომც გელოდნენ, იქნება, აღარც ჩამოიარო,
და გადახვალ ამაყად, როგორც სარგის თმოგველი,
როგორც ბედის კივილი, როგორც ჩუმი იარა...
შეინახე ეს ლექსი მიღმა საუკუნეთა
ოდეს პოვოს, რამეთუ, რითმამ თანაზიარი...
დღეს საყუდი გულშია და სენაკი აუნთე,
თუმცა გარეთ დღეა და თუმცა გარეთ მზე არის.
ჩუქურთმებად დახვეულ ძახილს ვერ დაახავსებს
დავიწყების ფერფლი და დაწყვეტილი ძაფები,
ამ ობოლ სიმღერებით ვინმეს აზრით აავსებ,
ვინმე გულზე ატეხილ წყაროს დაეწაფება.
ცხოვრება რაინდული წილად აიქანდაკე
და წამებას აიტან რაღაც თავდავიწყებით,
დრო მოვა და დაფნებით ჩამოიკლი კარდაკარ
და, წარსულო სიცოცხლევ, ხელახლად დაიწყებ!
რა თქმა უნდა, ძმობილო, — აღარავინ მოგელის
რომც გელოდნენ, იქნება, აღარც ჩამოიარო,
და გადახვალ ამაყად, როგორც სარგის თმოგველი,
როგორც ბედის კივილი, როგორც ჩუმი იარა...

„ძ მ ა ო ს ა ნ დ რ ო!

ხალამი ყველას ციმბირიდან

17. IV. 1933 წ.

შენმა გულახდილმა წერილმა კიდევ ერთხელ შემახსენა ჩემი დუხჭირი ბედი.

ნარიმში მიღებული მაქვს თქვენგან გამოგზავნილი 8 ამანათი, რამაც ძალიან გამახარა. ამან გააუმჯობესა ცოტა ხნით მაინც ჩემი კვება. ჯანმრთელობის მხრივ კარგად ვარ.

როგორ არიან მშობლები და ბავშვები, დიდი მოკითხვა მათ ჩემგან, სიყვარული და ნუგეში გადაეცი.

სანდრო და თინა! ძალიან გთხოვთ მშობლებს მოუაროთ კარგად, გაუხანგრძლივეთ მათ სიცოცხლე, რომელიც ჩემს გამო ალბათ შეუმოკლდათ. ჩემი ჯავრი ნუ გექნე-

ბათ. ჯანმრთელობით კარგად ვარ, სულიერად აქ გამოკეტილი და ეული. შევცქერი შავი ღრუბლით მოჭედილ ჩრდილოეთის ცას. ძლიერ შორს, ღრმა ნისლის უკან, ჩემი სანუკვარი სამშობლოა. ვოცნებობ: უეცრად ნისლის საბურველი ჩაიცრიცება და სამშობლოს ერთბაშად დავინახავ. როდის გამოიდარებს, არ ვიცი, მაგრამ, მაინც არის ლოდინი სასწაულად და შემზარავად. ერთადერთი, რაც შემრჩენია და ბევრი მაქვს, გულსავსე ტკივილი და სევდასეული, ესეც მოლოდინის შუა გზაა გადაწარბული.

მადლობა ღმერთს, კიდევ ერთი მძიმე ზამთარი გადავაგორე. ახალი წლის ასეთი უღიმღამობა ჯერ არ მახსოვს. თითქოს აქ არც კი ახსოვს ვინმეს ეს შესანიშნავი და საოცნებო დღე. ფიქრით და გრძნობით თქვენთან ვიყავი, ჩემს სამშობლოში.

სანდრო! აბა შენ იცი, მომავალში დამეხმარე, წიგნები, რვეულები და ჟურნალ-გაზეთები გამომიგზავნე, თორემ ქართულ კითხვას სულ გადავეჩვიე. მომწერე შენი მუშაობის და მიღწევების შესახებ.

ვკოცნი თამრიკოს და მზიკას.

დიდი მოკითხვა მშობლებს, წერილს ცალკე მოვწერ; იყავით სულ კარგად, ჯანმრთელად, გკოცნით.

მისამართი იგივეა; თქვენი ლევანი".

„ჩემო კარგებო!

12. VIII. 1933 წ.

ჯანმრთელობით კარგად ვარ. ვცხოვრობ უცვლელად ბანაკური ყოფით. მინდა გიამბოთ პატარა ტრაგიკომედია, რომელიც მე აქ შემემთხვა.

აგვისტოს ერთ დილას, ჯერ კიდევ კარგად გათენებული არ იყო, ბანაკის ერთი ნაწილის პატიმრები წამოგვყარეს, გაგვამწკრივეს და მდინარე ობის მიმართულებით წაგვრეკეს. ისეთი შთაბეჭდილება შეიქნა, თითქოს ჩვენი ნაწილი ნარიმის ბანაკიდან აყარეს. არ ვიცი სხვა პატიმრები როგორ ხასიათზე დადგნენ, მაგრამ მე ჩემი მცირედი ბარგის იქ დატოვებას ძალიან ვნაღვლობდი. ეს ხომ

ქართული წიგნები და ჟურნალ-გაზეთები იყო, რის გარეშე ყოფნა მე უკვე აღარ შემეძლო.

უნდა გამოგიტყდეთ, ბარგის დატოვება და ჩემი უწიგნოდ დარჩენა ისევ მძიმე ცხოვრების დაწყებას მიქადიდა. ეს ჩემთვის მეორე უბედურების დასაწყისად მესახებოდა. თვითონ წარმოიდგინეთ, ბანაკში დროს რომ ვიხელთებდი, წიგნს, გაზეთს თუ ჟურნალს რამდენჯერმე გადავიკითხავდი ხოლმე. ამით თითქოს გულს ვიოხებდი და დიდ შვებას ვგრძნობდი. ოცნება და ნატვრა ფრთას გაშლიდა, თითქოს მეც იქ ვიყავი. ვერეოდი ჩემი სამშობლოს ცხოვრებისეულ მაჯისცემაში, კეთილდღეობაში თუ ჭირ-ვარამში, თითქოს მეც საქართველოს კეთილსაქმობით აქ ვცხოვრობდი. ამ ფიქრებით გართული ზანტად მივაბიჯებდი მდინარე ობის ხრიოკ, ნამდვილად ობმოკიდებულ ჭაობიან სანაპიროზე. პატიმრები დუმდნენ, ალბათ აუგის მოლოდინში.

გემსაყუდართან მიგვიყვანეს, რომელიც მთლიანად დანგრეული აღმოჩნდა, წყალდიდობას წაულეკია. ესე იგი, ერთადერთი დამაკავშირებელი წერტილი ცოცხალ ცხოვრებასა და ჩვენთან, გარიყულებთან, გაწყვეტილიყო. ბევრს გაგვიხარდა, რომ ახალ ეტაპს გადავურჩით. შიში, რომელიც გულში მქონდა დაგუბებული, ამ დაობებულ ბილიკზე გამიქარწყლდა.

ქვის ლოდები მოვაგროვეთ, ტყიდან უზარმაზარი მორები მოვზიდეთ და რამდენიმე საათი კარგა მაგრაც ვიმუშავეთ. ნავსაყუდარი მთლიანად აღვადგინეთ და გავამაგრეთ. შუადღე უკვე გადასული იყო, ცხელოდა, როდესაც წყალში ბანაობის უფლება მოგვცეს. ყველა ავწრიალდით, ასეთი შესაძლებლობა ჩემი იქ ყოფნის მთელ პერიოდში ერთხელ მოგვეცა და ალბათ უკანასკნელადაც.

რახან ასეთი სასიკეთო ბრძანება იყო, პირუბანა, ჭუჭყიანი პატიმრების ტანიდან ოფლისა და ჭუჭყისაგან ფერშეცვლილი საცვლები და ტანისამოსი სწრაფად გავიხადეთ და ასე უსაპნოდ რეცხვას შევუდექით, გავწურეთ და ცხელ ქვიშაზე გასაშრობად დავაფინეთ.

ამდენმა ტიტველა გასაცოდავებულმა, გაწამებულმა,

გაძვალტყავებულმა კაცმა წყალში შეტოპა და უხაზღვრო შვება იგრძნო. ერთ წუთში დაგვავიწყდა ჩვენი გაჭირვება, პატიმრობა, ურდულები. წყალში მოპოვებულმა თავისუფლებამ ფრთები გაგვაშლევინა.

> და ობის მკერდში ვიკრებით ხმაურით,
> გულო, გალაღდი, შეასკდი ტალღებს.
> დავკარგეთ სივრცის და დროის საზომი,
> დღეს ღამე ბევრის საკირეს აანთებს.

საცოდავი, დაკნინებული ხალხი გალაღდა, ზოგმა გაცურა, ზოგმა ჩაყვინთა, ზოგი ნაპირთან ჭყუმპალაობდა.

მე შიშველ ტანზე წყლის სიცივე საამოდ მომხვდა, ამაღელვა და ამაფორიაქა. ცდუნებას ვეღარ გავუძელი, გული და მხარი მერჩოდა. ხან მხარულით და ხან მოგვერდულით წინ სწრაფვა ვერ შევაჩერე. რამდენჯერმე ჩავყვინთე და ამოვყვინთე. წყალზე ვიტრიალე, დავწექი, დავისვენე. წყალმა გამალაღა, გამამხნევა. ლურჯ-ნაცრისფერი პირქუში ობი ისე მდორედ მიედინებოდა, მოძრაობა სულ არ იგრძნობოდა. გარშემო თითქოს ჰაერის მოძრაობაც შეჩერებულიყო. სიოს ნატამალი არ ჰქროდა. დრო ვერ განვსაზღვრე, წყალში რამდენ ხანს დავყავი, ვილაღე. ცურვით გული რომ მოვიჯერე, ნაპირს გავხედე, იქნებ ბანაკში დაბრუნების დროც მოვიდა-მეთქი

დახეთ უბედურებას! არც მარჯვნივ და არც მარცხნივ ნაპირი არ ჩანდა. ყურთასმენა გავამახვილე, არსაიდან ძახილი ან რაიმე ხმაური არ მოისმოდა — ირგვლივ სამარისებური სიჩუმე სუფევდა. მე და ობი აღმოვჩნდით მარტო. საშინლად ავღელდი, შევკრთი. მხარი მეცვალა საით გავცურო, უკვე აღარ ვიცი, რომელია მარჯვენა ნაპირი. რაც ძალი და ღონე მქონდა ყვირილი და ძახილი დავიწყე. არსაიდან პასუხი, არსაიდან ჩამიჩუმი.

წინ გავცურე, მერე ისევ შემოვტრიალდი, უკან გამოვცურე. დიდ საგონებელში ჩავვარდი. მართალია ცურვა კარგი ვიცოდი, ობის სიგანეც (7-8 კილომეტრი) მახსოვდა, შესვენებით და ნელი ცურვით ომის დაძლევის იმედიც მქონდა, არ მეშინოდა, მაგრამ რამდენ ხანს მოვუნდებოდი ამ მანძილის დაფარვას, ეს არ ვიცოდი. შესაძლებელია თავზე დამღამებოდა კიდეც ასე წყალში

ამასთან დაკავშირებით ცუდი (ორპოფული) აზრებიც შემომეპარა. არ ვიცოდი მარცხენა ნაპირის ადგილმდებარეობა, ახლომახლო სოფლების არსებობა, მაცხოვრებელი ხალხის ეროვნება და სხვ. ასე უყურადღებობას თავს ვერ ვაპატიებ. იმ ნაპირზე ვინ დამიჯერებს, რომ ჩემი იქ გაჩენა, ასე შიშველისა, წმინდა შემთხვევითობაა. უდავოდ ბანაკიდან გაქცევის მცდელობად ჩამითვლიდნენ. შიდი და უმტკიცეს რამდენიც გინდა, ვინ დაგიჯერებს? ერთ წუთში თავში ბევრმა აზრმა გამიარა, იმაშიაც კი დავიჭირე თავი — იქნებ მართლა გავიქცე ბანაკიდან, ამისთანა შეხაძლებლობა არასდროს აღარ მექნება-მეთქი. ცდუნება დიდია, მაგრამ გადაწყვეტა ძნელი აღმოჩნდა. იმ წუთშივე წარმოვიდგინე სამუდამოდ სამშობლოს დაკარგვა, თქვენი ღალატი, მუდმივად შიშის ქვეშ ყოფნა, არალეგალურად სადმე ღრმა რუსეთში სხვისი საბუთებით და სახელით ცხოვრება და არსებობა ბედის წყალობით.

იმ შემთხვევაში, თუ ვინაობა გაირკვეოდა, ცოცხალი თავით არ ჩავბარდებოდი ჩეკას. ასეთი გამწარებული ცხოვრების ისევ თავიდან დაწყებას უკვე ველარ ავიტანდი. თვალწინ წარმომიდგა ისევ თქვენი აწიოკება, ოჯახის მთლიანი განადგურება.

ყველაფერი აირია და დაირია თავში, აიწონ-დაიწონა.

— ეს რა მომივიდა, როგორ მოვიქცე? — უკვე ხმამაღლა ვწუხდი, ჩემს თავს ვსაყვედურობდი.

არა, მე მაინც მარჯვენა ნაპირი მირჩევნია. აქედან ეს ნაპირი ბევრად ახლოა. და შესაძლებელია ჩემთვის ამჟამად უფრო მართებულიც იყოს. უცებ პირველად გამიღიმა ბედმა. მეგონა, მომეჩვენა, მაგრამ ეს სინამდვილე იყო — მშიერმა და ალბათ დაკარგულმა კოღომ კარგა ლაზათიანად მიკბინა ზურგზე. მაშინვე მოვეგე გონს: ეს უდავოა, რომ კოღო უფრო ახლოს მარჯვენა ნაპირიდან იქნებოდა, მით უფრო, რომ ჩვენი ნაპირის ჭაობებში ასეთი კოღო ბევრია და ეს კბენაც „შინაურულად" მენიშნა. იმ წუთშივე კოღომ ზურგი შემაცვლევინა. ბევრი ცურვის შემდეგ ნაპირს მივადექი. ფეხი მიწას რომ დავადგი, სიცოცხლის ძალის მომატება ვიგრძენი. ჩემ მიერ

ნარიმში არაფრად დაფასებულ სიცოცხლეს იმ წუთშივე დიდი ფასი დაედო. როგორი ძლიერია სიცოცხლის ძალა! მიუხედავად იმისა, რომ ამ სანაპიროზე შიშველი ვიყავი, ველური კაცივით, სულ მარტოდმარტო, მშიერ-მწყურვალი, გულს ბაგაბუგი გაჰქონდა, ხარობდა.

ნავსაყუდარის ძებნა დავიწყე. ისიც მოვიფიქრე, რომ მდინარის შინაგანი დინება მაინც ქვევით ჩამათრევდა, ამიტომ ნაპირს ზევით ავუევი, ბევრი ვიარე, სანამ მივადექი ნაცნობ ადგილებს. ტანსაცმელი, რა თქმა უნდა, იქ არ დამხვდა. მზე უკვე დიდი ხნის გადასული იყო და დღეს ბინდი დაეტყო. ტყეში შევიარე, ფოთლებით შიშველი ადგილები დავიფარე და ბანაკისაკენ მიმავალ ბილიკს სწრაფად გავუევი. აქ კი ისეთი უცნაურობა შემხვდა, არასდროს არ მოველოდი — თოფიანმა კაცმა, ბანაკის დარაჯმა, კარი არ გამიღო და ციხეში არ შემიშვა.

— აქედან გამეცალე, თორემ გესვრიო და თოფი დამიმიზნა.

— შე დალოცვილო, მე ციხეში შეშვებას გთხოვთ. თქვენი ტუსაღი ვარ, იქედან გამოშვებას კი არა.

— ჩემთვის სულ ერთია. ვინა ხარ. არ შემოგიშვებ, წადი, გამეცალე.

კარებთან ატეხილ აურზაურზე მოვიდა უფროსი ზედამხედველი. მე რომ დამინახა, არ ესიამოვნა.

— განა შენ ობში არ დაიხრჩე? ასე გვითხრეს პატიმრებმა. ჩვენ ამ ბანაკიდან ჩამოგწერეთ და ახლა მკვდარი სული ხარ, შენი ტანსაცმელი ხხვას ჩავაცვეთ. რაღა გიყოთ? ბანაკისათვის მკვდარი სული ხარ. საერთოდ კი მიკვირს, იქიდან როგორ გამოცურე.

მერე ბანაკის უფროსის ბრძანებით შემიშვეს და ვიღაცის ჭუჭყიანი და პატარა ზომის ტანსაცმელი ჩამაცვეს. ჩემი ზომის ძველი ფეხსაცმელი ყველარ მიშოვეს, ამიტომ დიდხანს ფეხშიშველა დავდიოდი.

ყველაზე მთავარი მაინც ის იყო, რომ როგორც უდისციპლინო და ურჩი პატიმარი, ერთი კვირით იზოლატორში ჩამაგდეს. ჯერ შემოშვება არ უნდოდათ, მერე კი დამსაჯეს. ეს ნამდვილად დიდი ტრაგიკული კომედია გათამაშდა.

ყველაზე მძიმე უბედურება აქაური პარადოქსებია: ტუსაღთა სიკვდილი, მათი განადგურება და ჩამოწერა ბევრად იოლია, ვიდრე მათი ცოცხლად შენახვა.

ჩემს შესახებ ბანაკში დიდი მითქმა-მოთქმა დატრიალდა, ყველანი გაკვირვებული და გაოცებული გადასცემდნენ ერთმანეთს, რომ მე ობი გადავცურე, წარმოიდგინეთ, აქედან არ გავიქეცი და ისევ უკან წამოვედი ბანაკში. აქ კი აღარ მიშვებდნენ — მკვდარი სული ხარო. მის ადგილას მე რომ ვყოფილიყავი, ყოყლოჩინობდნენ ბევრნი, ყაჩაღად გავვარდებოდი, გავმდიდრდებოდი და დიდ საქმეებს დავატრიალებდი. იგი ამხელა მდინარეს შეებრძოლა, ჩეკას კი ვერაფერი მოუხერხაო, ისე ეშინიაო. სადღაც ეს ნათქვამი მენიშნა კიდეც, სიმართლესაც შეეფერებოდა, ვინაიდან ჩეკა XX საუკუნის რაღაც საშინელ საოცრებას წარმოადგენს, არნახულს და არგაგონილს.

გკოცნით თქვენი „ლევანი“.

„საყვარელო დედა და მამა!

11. III. 1935 წ.

ვიმგზავრე გემით ნარიმიდან ახალი ციმბირისაკენ. მძიმე და დიდი გზა გამოვიარეთ. აქ, ალბათ, ყველაფერი შემსუბუქდება.

ახალ ადგილას წამოგვიყვანეს 10 კაცი. სადაც არ უნდა იყვეს ჩემი სამყოფელი, რანაირიც არ უნდა იყვეს იქ პირობები, მაინც მოხარული ვარ და ბედნიერი, რომ საშინელ ნარიმს თავი დავაღწიე და გამოვასწარი. წარმოდგენა არ შეიძლება, თუ რა საშინელებაა იქ თავიდან ბოლომდე. იქ ჩვენ ყველანი სასიკვდილოდ ვიყავით განწირული, ამიტომ ყველაფერი სიკვდილისკენ იყო მიმართული. ხვალ უკვე ახალ ციმბირში ვიქნები და უკვე მეცოდინება სად ვიმუშავებ, ეს კი დიდი შეღავათია. ჩემს ბანაკურ ცხოვრებაში ეს ხანგრძლივი შრომის დიდი გზის დასაწყისია. მანამდე წამება და წვალება იყო უმოქმედო.

თქვენი გამოგზავნილი ფული 90 მანეთი მხოლოდ გამგზავრების წინ მომცეს, სწორედ კარგ დროს. როგორ არიან ჩემი ტასო, სანდრო, თინა და ბავშვები, ყველაფ გულითადი მოკითხვა. ყველა ძალიან, ძალიან მომენატრა.

მოკითხვა ნათესავ-მეგობრებს.

მოწყობისთანავე შეგატყობინებთ მისამართს.

გოცნით თქვენი ლ ე ვ ა ნ ი

„ს ა ყ ვ ა რ ე ლ ო დ ე დ ა დ ა მ ა მ ა!

28. IX. 35 წ.

აქეთ-იქით ეტაპით ბევრი გვატარეს — გვათრიეს, დაგვლალეს. გვაშიმშილეს და დაგვაუძლურეს. მაგრამ მაინც ცოცხალი გადავრჩით. სად არ ვიყავით, მთელი ახალი ციმბირის საშინელი ციხეები და ბანაკები შემოგვატარეს. ხალხთა მძიმე ტანჯვა გვაჩვენეს. ვერ წარმოიდგენთ, აქ რა ხდება. ყოველივე ეს წარმოუდგენელი და არაადამიანურია.

მე ქალაქ ბიისკში გამანაწილეს.

ბიისკი ზონალური ქალაქია, ალთაის მხარის საკმაოდ მოზრდილი მდინარის ბიის სანაპიროზე მდებარეობს. ეს დასაწყისი პუნქტია ჩუისკის ავტონომიური ოლქის. სამუშაოდ გამამწესეს მარცვლეულობის მეურნეობაში ეკონომისტად. ამდენი ხნის მანძილზე ეს პირველად არის ჩემი ადამიანად ჩათვლა და ისიც სპეციალისტად. ამან ისე გამახარა, თითქოს მეშველა კიდეც.

ამ მეურნეობაში, გარდა პატიმრებისა, თავისუფალი დაქირავებულებიც არიან, ზოგი ყოფილი პატიმარია თავისუფალი გადასახლებით, ზოგი კი, უბრალოდ, აქაური მცხოვრებელი.

ხალხთან სწრაფად დავამყარე საქმიანი ურთიერთობა. საერთოდ, ისე გადავეჩვიე ყოველივეს, რომ მე თვითონ მიკვირს მცირედი ადამიანური პირობები. ამ მეურნეობაში ბანაკური რეჟიმი თითქმის არ არის და ყოველმხრივ, სრულიად მოულოდნელად, დამაკმაყოფილებელ

პირობებში ჩავვარდი. ამ ქალაქში ბევრ ქართველსაც შევხვდი.

ჩემ გარშემო ატმოსფეროც შეიცვალა. კვებაც ხასადილოში ნორმალურია და ალბათ ჯამაგირიდანაც რაღაც კაპიკებს მაინც მომცემენ. ვხარობ, ცხოვრება შემიმსუბუქდა და შემომიბრუნდა. პირველ ხანებში ალბათ ფული დამჭირდება, მაგრამ მერე კი ამაზე ალბათ აღარ შეგაწუხებთ. ყოველ შემთხვევაში მე ასე მგონია.

თუ ეს დროებითი ამბავია, ვადის დამთავრებამდე და ასეთ ცხოვრებაში აქ დამტოვეს, მე ვიტყოდი, ბედმა გამიღიმა, ღმერთმა შვება მომცა. თუ ეს ჩემ მუდმივ სამყოფელად დარჩა, მაშინ ისევ წვალება და ბანაკი მირჩევნია, როდისმე მაინც გავთავისუფლდებოდი.

აბა, იყავით კარგად. გკოცნით ყველას.

თქვენი ლ ე ვ ა ნ ი.

ჩემი მისამართია: Гор. Бийск. Зерносовхоз имени 1-го мая.

გაზეთებიც ამ მისამართით გამომიგზავნეთ."

„20. III. 1936 წელი. ქალაქი ბიისკი.

საყვარელო დედა და მამა.

ამ ბოლო ხანებში თქვენგან წერილები ნაკლებად მომდის.

დედა, შენი ღია ბარათი მივიღე და გიპასუხე კიდეც. ეს იყო და ეს. გმადლობთ, 1/III-დან ვღებულობ გაზეთ „კომუნისტს". მე კარგად ვარ, ჯანმრთელად. იქვე ვმუშაობ, ვიმაღლებ ჩემს დახელოვნებას ეკონომიკის დარგში და აქაური სპეციალისტები კმაყოფილები არიან ჩემი მუშაობით. ამ ქალაქში და ამ ბანაკში ისე კარგადა ვგრძნობ თავს და ისეთ გარემოცვაში მოვხვდი, არა მგონია, რომ აქ რაიმე იმდაგვარი გადავიტანო. ვინ გაიგებს, მარტო ბანგებამ იცის.

ეხლა მინდა ვიყო თქვენთან ერთად უკლებლივ, ვზიდო სამშობლოს და ოჯახის სიმძიმე სამარის კარამდე.

ო, ო, ოცნება, ოცნება, ოცნება, რომელიც ხანდახან მაგიუებს კიდეც.

გოცნით თქვენი ლ ე ვ ა ნ ი".

ქალაქ ბიისკიდან გამოგზავნილ წერილებში ლევანის ხასიათის გაუმჯობესება შეიმჩნეოდა და საერთო მდგომარეობაც უკეთესობისაკენ მიდიოდა. მაგრამ ამ პერიოდში მის ლექსებში მაინც იგრძნობოდა ღრმა სევდა სამშობლოს მიღმა ყოფნის გამო.

ქვევით გვინდა მოვიყვანოთ რამდენიმე ლექსი, დაწერილი ქალაქ ბიისკში.

წერილი ქართველ დედას

ის უცხო მხარეს გარდაიცვალა
და გახელილი დარჩა თვალები...

გალაკტიონ ტაბიძე

მინდა მოგწერო:
მგლოვიარე გულის ძაძები
მოგწერო მინდა!
და ვერ ვპოვე ხმა ანაცარი,
მინდა ვიტირო:
და ეს ცრემლი ვერ გამოვძებნე,
ვიტირო მინდა
და უბრალოდ გითხრა რაც არის.

დიახ, დიახ, გარდაიცვალა,
მოკვდა, განუტევა,
აღარა გყავს მეტი, აღარა!
...მას ოფლიანი დარჩა საცვალი
და ბევრი სისხლიც ნახველებში გადანაღვარი.
!
დედავ, იმცხადე,
იქნებ ცრემლმა გული მოიოლბოს.
იმცხადე, დედავ:
ძუძუთაგან დაიხშენ კვართი.
ამ უცხოეთმა:

ესე ადრე ჯანი მოალპო,
ამ უცხოეთმა:
შენი შვილი დაისაკუთრა.

ამ ჩრდილოეთში, ამ ველებში ჰპოვა სავანე —
სიკვდილში ყველა ობოლია,
მაგრამ სიკვდილი უსამშობლო
უფრო მწარეა, უფრო ბრალი, უფრო სანანი.

სიტყვას გადავწვავ, სტრიქონს ვაცეცხლებ,
ამ სურვილებს რომ დავიოკებდე...
ო, შენი შვილის სიცოცხლე მოკვდა!
ო, შენი შვილის სიკვდილი ცოცხლობს.

ო! ო! იმას ვგონებ, ახელილი დარჩა თვალები!
ო, რა ძნელია უცხოეთში გარდაცვალება!

სევდა, ღიმილი...

და სათნოების წამი მეწვია,
ავზიდო ბარემ ეს ხვედრი მძიმე.
ო, შუაგზიდან წამოვა წვიმა
და ვინღა იცის, თუ გაიდარებს.

და არის სიტყვა, სევდა, ღიმილი,
როგორც მის ძირში ლანდი ტვიფარი.
ო, მაცხოვარო, ისე დააღამე
ნურავის მოჰკლავ! ყველა დაიფარე.

ALARME

რა ცუდია, ღამეში
როცა აკაკუნებენ...
და შემოვა კამეჩი
თეთრი ხელთათმანებით,
თვალს ჩაგიკრავს,
ისე თუ საკეკლუცოდ მავალი,
უცნაურ გაღიმებით
შეტყვის სიტყვა-შაირებს
და შენ კი უყისმათო,
როგორც ბრმა თავთაველა,

როგორც ფუტი იმედი,
გულის ყურში ჩაირევ.
რა ცუდია, ღამეში,
როცა აკაკუნებენ!...
რა აზრია, წიწვებით
თუნდაც სახლი დახურე,
გვიან მოვა ოცნება
გზა მას გადაურაზო.
ის ლოგინზე მიწვება
ისე, სახელდახელოდ,
როგორც ძველი ნაცნობი! როგორც გულის მურაზი!
რა ცუდია, ღამეში
როცა აკაკუნებენ!..
როცა არვის მოელი
და ვიღაცა მოგვიკა,
როცა გარეთ ღამეა,
და სულში კი სამარე...
გული ისე მიჭლიე,
დაახვიე მორგვიეით.
იშოშმინე, ძამიავ,
შემოირტყი ქამარი...
ადექი და კარდაკარ
გაიარე ისე, რომ
არას ხელი არ დაკრა, გული არ დაისერო.
რა ცუდია, ღამეში
როცა აკაკუნებენ!!

25. VIII. 1935 წ.

გზა წიწამური

არსაიდან ხმა, არსად ძახილი!..
მშობელი შობილს არახ მეტყოდა.

„ელეგია", ილია.

სად ხარ, მშობელო, მითხარი რამე,
სადა ხარ, სადა ხარ, მარქვი?!
გულს შემოაწვა უტეხი ვარამი
და ღამის გათავდეს აქვე.

მშობელო, მითხარ, თუ არა დაიბნა ფიქრი,
მაღლა ქარია, წინ — სიშავე, ხმა დაბლობიდან,

ო, ეს დროებაც იდორბლება და ისე მიპქრის,
გულშიც იქვია, ჭიპოსანი და აბლაბუდა.
ხაცადი ბუდე კუდიგორასი
ბლაკიაშვილებს მოელოდება,
სეედის ურემი კიდევ მოგორავს
და მეურმესთან მოვლენ ლანდები.
გზას დარდი ამოსავს და იდედება,
ეს გულიც მეტყვის: წამო, იარე!
აღარც მთაწმინდა, აღარც დიდუბე...
ჩემი გზაც ისევ წიწამურია...
და მიმიღია ტანჯვა ესოდენ,
აქ თითო კილო სხვა მახვილია,
და ელეგია რისთვის ჰკვნესოდი,
მარქვი, ილიავ! მარქვი, ილიავ!
შუბლი ოფთალად მოვიკალე,
ხვედრია — ვიცი, მეც მებედება,
ჩვენში მგოსანი ან უნდა მოკლან,
ან მგოსანი ჰკლავს შემოქმედებას.

ამ უნდო ხელმა გზა გააჩაღა,
ამ ხელებსაც თავში წავიშენ,
ო, შენი სისხლის მე ვარ ყაჩაღი,
და მეც მოვკლეს წიწამურშივე,
და საქართველო შენს წინაშე დგას
ნამრუშევი...
მშობელი! გულიც აქ მოითხარა....
მითხარი რამე! რამე მითხარი!...

15. I. 1935 წელი.

ნ ა ბ ა რ ტ ა ლ ე ბ ი

იყო ლოდინი სასწაულთა და აწ ამაო...
ჩემი გუმანიც აქ შედგება — აღარ წამოვა.

ესეც შეაგზა, მოლოდინი გადაწარბული
და შავი სისხლით გაბერილი, როგორც წურბელა.

ვარ ხეთა შორის — მძიმე სამოსთა
და ვარხევ შარას უმისამართოდ.

ამ ხერხემალზე ბოროტება გადამესერა,
ამხერხა ეგზომ და შემმატა ქვა და მესერი.

რაღაც ხალხია: აქ უთუოდ მაჭარს დალევენ
და ითქმის ისევ სადღეგრძელო ნაპარტალევი.

მე ამ ქაოსმა უდროულოდ მომილოგინა
და, ჰა, გათავდეს, აღარ მინდა მეტი ლოდინი!

უცნობ სამარეს მოვთხრი ისევ იმავ ეშვებით
და ისევ ისე როგორც კითხვა, გადავეშვები
და შეიქმნება კულტი ისევ უცნობი მგოსნის,
როცა გადიელის თარიღების კრიალოსანი.

გემშვიდობები

I

გემშვიდობები, გემშვიდობები, ჩემო,
ნურც ცრემლი გინდა, ნურც ბოდიშები მლაშე...
სევდა იქნება, სევდა იქნება ჩუმი,
და განშორება სულ უბრალო და ლაბა.
გემშვიდობები ასე სადად და წყნარად.
ცივია სახე — ჩანს სადმეა სითბოს ურვალი,
სიღრმეში — ლულას, რომ ხელი არვინ ახლოს.
შორეულ გზაზე მოგზაურმა იპოვა წყარო
და დაეწაფა ოფლიანი, ხარბი სურვილით.
შესვა, შეისუდრა, ოფლი გაალბო
და უნდო გზამ ისევ ისე აიკვიატა...
გემშვიდობები! დინჯი და უხალისო,
როგორც გუშინწინ — გუშინ, წუხელი...
ამ ქვეყანაზე შეხვედრა არც ახალია
და განშორებაც, დამერწმუნე, არც უახლესი.

ლევანის ქალაქ ბიისკში მოხვედრამ და მუშაობის დაწყებამ მნიშვნელოვნად შემოაბრუნა მისი მდგომარეობა. იქიდან მოსულმა წერილებმა მშობლები ძალიან გაახარა და გაამხნევა. ოჯახში ძლივს გამოიდარა. ყველას შეგვეცვალა ხასიათი. ვფიქრობდით, რადგან ლევანს შელავათიან ბანაკში ამუშავებენ, შესაძლებელია, გამოუშვან კიდეცო. იქნებ მართალი გვითხრა ჭორიძემ. თუმცა ლევანს ამის არა სჯეროდა.

— ლევანი იწერება, ფიქრი არ მინდა ვადაზეო, მაგრამ ვადის დამთავრებასთან დაკავშირებული ციებ-ცხელება, ეტყობა, უკვე დაეწყო. ეს ციებ-ცხელება ძალიან გადამდები სენია და მეშინია ჩვენც არ დაგვემართოს, — ამბობდა მამა.

— ლევანი სულ ბიჭი იყო, როდესაც შორეთში გავისტუმრეთ, ახლა კი 31 წლის კაცია. ვერ წარმომიდგენია მისი ასე გამწარებულ ცხოვრებაში დავაჟკაცება. ძალიან მაინტერესებს, როგორ ჩამოყალიბდა და როგორი კაცი დადგა. ღმერთო, მის თბილისში, შინ დაბრუნებას მომასწარი და მერე თუ გინდა მომკალი კიდეც, — ხშირად იმეორებდა მამა, რომელსაც ნერვიულობა და აღელვება უკვე მკაფიოდ ეტყობოდა და ვეღარ მალავდა, — სიდინჯეა საჭირო, სიდინჯე და მოლოდინი. ვინ იცის, იქნებ კიდევ გვიმუხთლოს ბედმა. თუმცა ამჯერად მე შინაგანი განწყობა კარგს მეუბნებაო.

— შენი მზრუნველობა და ხელი ნუ მოგვაკლოს ღმერთმა, შენ რომ რამე დაგემართოს, ჩვენ სუყველა, ნამდვილად, დიდი უბედურები ვიქნებით და ამიტომ თავს მოუარე. რაც მთავარია, შენ არ დაგემართოს ლევანის ვადის დამთავრებასთან დაკავშირებული ციებ-ცხელება, — ეუბნებოდა დედა, რაზეც მამა ჩუმად იღიმებოდა, მაგრამ ლევანის ვადასთან დაკავშირებულ ციებ-ცხელებას უკვე აყვანილი ჰყავდა ხელში მთელი ოჯახი.

1936 წელს ჩვენი მატერიალური მდგომარეობა ოდნავ გამოკეთდა. სანდრო მუშაობდა და მთელი ოჯახის სიმძიმე მის კისერზე იყო. მამაც მუშაობდა. თინაც ამთავრებდა სამედიცინო ინსტიტუტს. ჩვენ, ბავშვებიც, წამოვიზარდეთ. უკვე სკოლის უფროსი კლასების მოსწავლეები ვიყავით და ყველაფერში კარგად ვერკვეოდით.

გულის ფანცქალით ველოდით ლევანის ვადის დამთავრებას. რატომლაც ყველა დარწმუნებული ვიყავით, რომ დაბრუნდებოდა... ამ განწყობით ვცხოვრობდით და ყველა გადატანილ გაჭირვებას სიამოვნებით დავივიწყებდით.

თბილისში საერთო პოლიტიკური მდგომარეობა მაინც დაძაბული რჩებოდა. რეპრესიები და დაპატიმრება კი არ შენელდა, პირიქით, უფრო მძვინვარებდა. მაშინ დააპატიმრეს მამაჩ თითქმის ყველა ამხანაგი და მეგობარი. დედა სულ შიშის განცდებში იყო. მამაც შიშობდა, სულ იმას ამბობდა, ეს რა დრო დადგა, რას მოვესწარიო, საუკეთესო ინტელიგენციას და მათ შვილებს ანადგურებენ, საქართველოში განსწავლული და გაანათლებული ვინღა უნდა დარჩესს სავალალო ისაა, დაჭერებიჯ

ბიზეზები გაურკვეველია. ამდენი ნამდვილი პატრიოტი სამშობლოს მოღალატეებად გამოჰყავთო.

დღეები და თვეები სწრაფად გარბოდნენ.

შესანიშნავი, ფერადყვავილოვანი გაზაფხულიც მოვიდა — მაისობის დღეებიც კარზე მოგვადგა.

ლევანის მდგომარეობის გამოსწორებასთან დაკავშირებით, ოჯახში სიმშვიდე და სიხალისე იგრძნობოდა. მშობლებმა გადაწყვიტეს მაისობა და თამარობა — ეს შესანიშნავი თარიღი. პატარა ზეიმით აღენიშნათ. წლების მანძილზე გადატანილი გაჭირვების, დაძაბული ცხოვრების შემდეგ ცოტაოდენი სიხარული უნდოდათ ჩვენს სახლში დატრიალებულიყო.

დღესასწაულისათვის მზადება ადრე დავიწყეთ. მშობლებს უნდოდათ ყველაფერი ყოფილიყო ტრადიციულად. პირველ მაისს დათქმულ დროს ყველა ჩემი კლასელი მესტუმრა.

დაკვრა, სიმღერა, ცეკვა, სიცილი, მხიარულება, ჟივილ-ხივილი მოედო სახლს და მთელ არემარეს. მხიარულ განწყობილებას მოკლებული ჭერი გალაღდა. უმცროსებმა და უფროსებმაც კარგად მოილხინეს. მამამ გამოიტანა ტკბილი ღვინო — ხვანჭკარა და ჩემს ამხანაგ ბიჭებს ზომიერად დაალევინა. ეს მათთვის ღვინის პირველი დალევა იყო, ამიტომ ამ დღეს ჩემი ამხანაგები დიდხანს იგონებდნენ და, რაც მთავარია, ამბობდნენ, რომ ჩვენ მამაშენმა დაგვავაჟკაცაო. სადღეგრძელოებიც ითქვა: სამშობლოს სიყვარულისა და მისი კეთილდღეობის, მეგობრობის, ცოცხლებისა თუ გარდაცვლილთა ხსოვნის, განსაკუთრებით კი უდანაშაულოდ რეპრესირებულებისა.

მამამ მერე ისიც აღნიშნა, ჩვენ, ბავშვები, როგორ შეუმჩნევლად წამოვიზარდეთ, დავქალდით და დავვაჟკაცდით, უფროსების მსგავსად მსჯელობაც შეგვიძლია, აზრის გამოთქმაც და მოვლენების სწორი გაანალიზებაც. ბოლოს დაგვლოცა, განგებამ ხელი მოგიმართოთო, გვისურვა დიდი წარმატება:

— თქვენ ჩვენი იმედი ხართ და, აბა, თქვენ იცით, როგორ სწორად წარმართავთ ცხოვრებას. მთავარია სამშობლოს და ქართველი ხალხის სიყვარულით და სიმართლით კეთილი საქმე აკეთოთო, — დაგვმოძღვრა მამამ.

პატარა ლხინი დიდ ზეიმში გადაიზარდა. კმაყოფილნი დავიშალენით.

მაისობის მეორე დღეს მამამ, როგორც ყოველთვის, წას-

ელის წინ ყველა გადაგვკოცნა და დედას უთხრა: — წავალ, ჩემს მეგობრებს მოვინახულებო.

ვინ წარმოიდგენდა, რომ მამაჩვენის ეს მოფერება უკანასკნელი იქნებოდა ჩვენთვის და სახლიდან გასვლაც — საბედისწერო. მამა კატასტროფაში დაიღუპა. როგორ და რა პირობებში, ბევრი ვარიანტი იყო, ზუსტად კი არავინ იცოდა, ისიც კი იყო ნათქვამი, შესაძლოა, ეს კატასტროფა მოწყობილიც იყოო. იმ დროს ბევრჯერ ხდებოდა ასეთიც.

მამას სიკვდილი ოჯახს მეხივით დაეცა. ჯანმრთელი, 63 წლის, ბრგე, ძალ-ღონით სავსე კაცი, ოჯახის ბურჯი სახლიდან გავიდა და 3 საათის შემდეგ უკვე აღარ იყო ცოცხალი. საწყალმა სანდრომ საშინლად განიცადა მამის დაღუპვა, პირველად მას შეატყობინეს. თურმე ის დიდხანს ტრიალებდა ჩვენი სახლის გარშემო და ძალიან უმძიმდა ჩვენთვის ამ საშინელი ამბის შეტყობინება.

მამაჩვენის ყველა საუკეთესო თვისების — სითბოს, სიყვარულის, კეთილკაცობისა და ვაჟკაცობის გარდა ჩვენს ოჯახს ყოველდღიური მზრუნველობა და შემართება მაშინვე დააკლდა. აუწერელია ის საშინელება, რაც ჩვენს ოჯახში ტრიალებდა. ლევანს დეპეშა გავუგზავნეთ იმ იმედით, რომ იქნებ რამდენიმე დღით მამის დასაფლავებაზე გამოუშვანო. ცოცხალს თუ ვერ მოუსწრო, რაზეც მამა ასე ოცნებობდა, მკვდარი მაინც ენახა და უკანასკნელი ვალი მოეხადა. მით უფრო, რომ პატიმრობის ვადა რამდენიმე თვეში უთავდებოდა. ლევანი არ გამოუშვეს.

მამა ვაკის სასაფლაოზე, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დავასაფლავეთ.

მამაჩვენის მეგობრების უმრავლესობა დაპატიმრებული იყო, ამიტომ დასაფლავებაზე მისი თანამოაზრეები, თანატოლები და მეგობრები, ვინც ჩვენთან ხშირად დადიოდა, საკმაოდ ცოტანი იყვნენ. დასაფლავებაზე უცნობი ადამიანებიც შეიმჩნეოდნენ, რაც მომსველელებში შიშს იწვევდა. ამიტომაც მამას უხმაუროდ, გამოსამშვიდობებელი სიტყვების გარეშე ვასაფლავებდით.

სულ უკანასკნელ წუთში, როდესაც სამარის პირზე მამას გამოვეთხოვეთ, ჩვენმა მეგობარმა ნიკო თავდგირიძემ ველარ მოითმინა და მეტად გულთბილი გამოსამშვიდობებელი სიტყვა

უთხრა. მან ბევრი აქო საწყალი მამა, გაიხსენა მისი ყველა ღირსება და საზოგადოებრივი დამსახურებაც ახსენა, ხაზი გაუსვა მის ნამდვილ ქართველობას, უზადო პატრიოტიზმს და უაღრესად დიდ განათლებას და ბოლოს ისიც მიაყოლა: ეს რა დროში ვცხოვრობთ, შენი ოჭრო ვერ ბრწყინავდა, სხვისი სიყალბე კი ძლიერ აჩხრიალდაო.

ეს გამოთხოვება ბატონი ნიკოსთვის საბედისწერო გახდა — იგი იქვე დააპატიმრეს და უკვალოდ გააქრეს.

მამას ძლივს მივაყარეთ მიწა, რომ უცებ ცა ჩამობნელდა, გაპირქუშდა და წამოვიდა არნახული, შემზარავი თავსხმა. ალბათ ბუნებამაც შეიგრძნო ასეთი ადამიანის უდროოდ დაკარგვაო, ამბობდნენ ახლობლები. შინ დაბრუნებულებს საშინელი სიცარიელე დაგვხვდა.

— რა მამა დავკარგეთ, რა კეთილი და ღირსეული ადამიანი, ტიროდა დედა, — ლევანი, ალბათ, ვეღარ ჩამოვა. მე უკვე აღარაფრის იმედი აღარ მაქვს. სანდრო და თინა! მთელი ოჯახის სიმძიმე ახლა თქვენ დაგაწვებათ. მართალია, გაგვიჭირდება, მაგრამ გთხოვთ: ლევანს ძველებურად უნდა დავეხმაროთ და ბავშვები — თამარი და მზია ფეხზე დავაყენოთ. მამათქვენის ნათელი ხსოვნა არასდროს არ დაივიწყოთ. დადგება დრო, როდესაც თამამად და ხმამაღლა ითქმება საქართველოს და მისი საზოგადოების წინაშე პართენ გოლუას დამსახურების შესახებ ყველაფერი.

ნარიმის გარშემო მიმოფანტულ პატარ-პატარა სოფლებში (გოროდიშჩე. კოლპაკოვი, ინკინო, ტორგუსი და სხვ.) განლაგებული იყო მრავალრიცხოვანი პოლიტპატიმართა ბანაკები და თავმოყრილი სამუდამოდ დატოვებული, ეგრეთ წოდებულ თავისუფალ გადასახლებაში მყოფი გასაცოდავებული ხალხი.

აქ მუშაობდა ორი ახალგაზრდა ქართველი ექიმი — ოლია მესხი და მაყვალა რამიშვილი. ისინი შორეულ ციმბირში სრულიად უდანაშულოდ მოხვდნენ, მხოლოდ და მხოლოდ საექიმო ეთიკისა და ადამიანური გრძნობის გამოჩენის გამო. ორივე ერთდროულად, 1928 წელს დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი და სამუშაოდ გაანაწილეს საგარეჯოს რაიონში.

იმ დროს საქართველოში მეტად მძიმედ და მტკივნეულად

მიმდინარეობდა კოლექტივიზაცია. ბევრი პატიოსანი, მშრომელი ოჯახი უდანაშაულოდ გააკულაკეს — წაართვეს ყველაფერი, დატოვეს უსახლკაროდ, მშიერ-მწყურვალი, გასახლების მოლოდინში. სოფლის მოსახლეობა და ინტელიგენცია უთანაგრძნობდა ამ ოჯახებს და ბავშვები გზაში შიმშილით რომ არ დახოცილიყვნენ, დახმარების ხელი გაუწოდეს. მათ შორის იყვნენ ოლია მესხი და მაყვალა რამიშვილიც. მეორე დღესვე ეს ახალგაზრდა ექიმები დააპატიმრეს, ციხეში ბევრი აწვალეს. ყოველგვარი გასამართლებისა და დაკითხვის გარეშე „სამეულმა", როგორც პოლიტიკურ დამნაშავეებს მათ გადასახლება მიუსაჯა შორეულ ციმბირში.

ნარიმის ოლქში მოხვედრისთანავე მათ სწორედ ექიმობამ უშველა და ციხეს გადაარჩინა, ისინი თავისუფლად დასახლდნენ და მუშაობას შეუდგნენ სოფ. გოროდიშჩეში, სადაც მძვინვარებდა ინფექციური დაავადება. ქართველმა ქალებმა ცოტა ხანში შეძლეს იქ მყოფი ქართველი პატიმრების შემოკრება, მათთან დამეგობრება და დახმარების გაწევა. ბანაკებში და თავისუფალ გადასახლებაში იმ პერიოდში იქ იმყოფებოდა დაახლოებით 32—35 ქართველი.

ოლია მესხის ოჯახში შემონახულია იქ გადასახლებულთა არასრული სია, რომელიც ჩვენ მისმა ქალიშვილმა, თინა იმნაიშვილმა გადმოგვცა და ვვინდა საზოგადოებას გავაცნოთ: ოლია მესხი და მაყვალა რამიშვილი, კოტე ძიმისტარაშვილი, აბრამ ბელალიშვილი, თედორე იმერლიშვილი, სოლომონ ინაკავაძე, ვინმე ლუკიანე, დომენტი ნიკოლაიშვილი, სიმონ გოგოლიშვილი, ბიქტორ ჭანტურია, ნესტორ იმნაიშვილი, რაფიელ თავაძე, ამბროსი კალანდარაშვილი, გიორგი ინასარიძე, კაპიტონ თევზაძე, მიშა ჩაჩუა, გიორგი მიქაძე, გიორგი ჯინორია, ვამეზარდაშვილი, გალიტო კვაჭანტირაძე, ვასო ჯაფარიძე, კვაჭაძე, იპოლიტე ქვირია, თენეიშვილი და ბევრი სხვა. ოლია მესხი და ნესტორ იმნაიშვილი შეუღლდნენ და იქ, შორეულ ციმბირში, შექმნეს კარგი ქართული ოჯახი, რომელიც შეძლებისდაგვარად აერთიანებდა ქართველებს და ეხმარებოდა მათ იქ მძიმე დღეების გადატანაში.

მაშინ ამ ოჯახმა ლევანსაც გაუწია დახმარება, მიუხედავად იმისა, რომ ის სხვა ბანაკში იმყოფებოდა და ამ ქართველებს პირადად არ იცნობდა.

უნდა აღინიშნოს, რომ არც იქ, შორეულ ციმბირში თავისუფალ გადასახლებაში ასვენებდნენ მოსახლეობას. მათ განმეორებით აპატიმრებდნენ და სპობდნენ. სწორედ ასეთი ბედი ეწია 1932 წელს ბევრ ქართველს, მათ შორის ოლია მესხის მეუღლეს ნესტორ იმნაიშვილს. იგი 1928 წლიდან გადასახლებაში იქ იყო, 1932 წელს მეორედ დააპატიმრეს, შემდეგ კი საერთოდ გააქრეს. შემთხვევით გადაურჩნენ განმეორებით დაპატიმრებას ოლია მესხი, რომელიც ფეხმძიმედ იყო და მაყვალა რამიშვილი.

ლევანი ქალაქ ბიისკში მოხვედრის შემდეგ შეხვდა ოლია მესხსა და მაყვალა რამიშვილს, გიორგი ჯინორიას, ლიზიკო ქავთარაძეს და პარმენ ხურციძეს. ქართველები ერთმანეთს საგრძნობლად ეხმარებოდნენ და ერთ ოჯახად ცხოვრობდნენ. ეს მეგობრობა იმდენად მყარი აღმოჩნდა, რომ საქართველოში დაბრუნების შემდეგაც გრძელდებოდა. განსაკუთრებით მეგობრობდნენ ოლია მესხი-იმნაიშვილისა, მაყვალა რამიშვილი და ლევანი. პატარა თინიკო უმამოდ იზრდებოდა და იქ ყოველი ქართველი ვალდებულად თვლიდა თავს ბავშვისათვის მამობრივი ალერსი და დახმარება არ მოეკლო. თინიკოს უკვე ფეხი უნდა ადგა. ძალიან არ უნდოდათ ქართველებს, რომ ეს ციმბირის მიწაზე მომხდარიყო. არაფერი რომ არ გამოუვიდათ, სასწრაფოდ საქართველოდან საქართველოს რუკა მოითხოვეს და გააგზავნინეს. ამ რუკამ სწორედ სულზე მოუსწრო მათ ჩანაფიქრს: ოთახში დააფინეს ხალიჩის მაგივრად და ბავშვს ამ რუკაზე ასწავლეს სიარული. ყველა ხარობდა, რომ თინიკომ ციმბირში სიმბოლურად მაინც საქართველოს მიწაზე აიდგა ფეხი.

ოლია მესხი პატარა თინიკო იმნაიშვილთან ერთად გაათავისუფლეს ლევანზე რამდენიმე თვით ადრე. ისინი წამოვიდნენ საქართველოში.

გვინდა გაგაცნოთ ლევანის წერილი ოლია მესხისადმი:

ბიისკი

„26. V. 1936 წ.

მადლობა თბილი წერილისათვის. თქვენი წერილები გზიდანაც და საქართველოდანაც — ყველა მიღებული მაქვს.

კარგია, მეტად კარგი, რომ ასე კეთილად გიმგზავრიათ. ახლა ისღა გაკლიათ, რომ სრულიად განიკურნოთ — ამის სრული იმედი მაქვს. საშშობლო — ისიც ჩვენი საშშობლო რომელ სენს არ განკურნავს. მეტად მენატრება თინიკო და ამ მხრივ ვნანობ კიდევაც თქვენს წასვლას (ადამიანი ეგოისტია მაინცl). წარმოდგენილი მყავს: ფეხშიშველა და მზენაწვავი შუხუთის ღელეებში დასდევს პეპლებს და ბაყაყებს. თან გაჰკივის ნარიმულ-გურულ კილოკავზე. ვკოცნი თინიკოს.

ვავალებ (მე ხომ მის მასწავლებლად ვითვლები): ქართულის მცოდნე დამხვდეს — იქნებ მეც ჩამოვიდე ბოლოს და ბოლოს.

ნესტორის ამბავი ვიცი მისი თქვენდამი მონაწერი წერილიდან (მაყვალას ნებართვით მეც გადავიკითხე იგი, ბოდიში თქვენს წინაშე — ვიცი, არ გამიჯავრდებით).

აქაურ ამბებს გწერთ: აქ თითქმის არაფერი გამოცვლილა. გალიტომ მიიღო განთავისუფლების მოწმობა, პოლიკარპე საქმის გამორკვევას უცდის. გოგიტა — დაიკარგა სადღაც, ალბათ მაქეთ წამოვიდა. ...ეორეი და სხვები ელიან... ელიან. . ამაოდ ჯერ...: მაყვალა კარგად და კეთილად არის. ქ-ნი თამარიც. მე და მაყვალა თანდათანობით დავმეგობრდით, მაგრამ ძალიან ვნანობ, რომ მას თინიკო არა ჰყავს (თავისი თინიკო, რა თქმა უნდა). მეც არა მიშავს რა, ჯანის მხრივ. იცით ხომ: საშინელი ჯინიანი და ჯიუტი ვარ. გულქვაც ვყოფილვარ თურმე. ჩანს, მგრძნობელობა მომიჩლუნგა ამდენმა ვაივაგლახმა.

დასტურ — ყოველი ვაება, სისტემაში გადასული, კარგავს თავის სიმძიმეს... უფრო სწორად — აჩლუნგებს გრძნობას. სიკვდილშიც — ყველაზე უფრო საშინელი სიჩუმე და დაჩლუნგებაა... გლოვაში კი — უცრემლო-

ბა... მე ჩემი კეთილი მამის ესოდენ უცნაურ და აუგ სიკ-
ვდილის ამბავს რაღაც გაბოროტებით და უცრემლოდ
ვზიდავ. ...ბოდიში, ცოტაოდენ მძიმე წერილი გამომივი-
და... შევეცდები მომავალში უფრო ლია ფერებით მოგ-
წეროთ და „კბილი გავკრა" ჩვენს წარსულ, უცნაურ...
საერთო მოგონებებს ან მომავალ ნეტარ სურვილებს.

ნესტორს მოკითხვა მიაწოდეთ — გულითადი.

ცოტა კიდევ და იქნებ იგიც გესტუმროთ შუხუთში.
მოკრძალებითი სალამი ნესტორის დედას.

საინტერესოა, როგორ მოგეწონათ შუხუთი — და
როგორ მიიღეს გურულებმა რაჭველი რძალი? ქალო,
ხომ არ დაგიწუნეს?

დარწმუნებული ვარ — მისამართი, მე რომ მოგეცით,
დაგავიწყდებოდათ, ამიტომ გწერთ: გაბაშვილიხ 2.

ასე, ჩემო დაო, აქეთაც გამოგვიზაფხულდა — უკეთ
ათბა ბოლოს და ბოლოს.

მოკითხვა გულითადი აქედან. აბა თქვენკენ (უკვე ხა-
ქართველოში) რა ამბავია?

ფიქრებით მაქეთ ვარ სულ.

აბა კარგად იყავით. მოიწერეთ.

თქვენი ძმა ლ ე ვ ა ნ ი".

მეორე ნაწილი

მამის გარდაცვალების შემდეგ ჩვენს ოჯახში საშინელი მწუხარება ჩამოწვა.

დედა ხშირად ავადმყოფობდა, ნერვები ღალატობდა.

ლევანი რომ ჩამოსვლას იგვიანებდა, ამას ცალკე განვიცდიდით, მასზე ვფიქრობდით და ვოცნებობდით, ხმამაღლა ლაპარაკს კი ვერ ვბედავდით, რადგან დედა ლევანთან დაკავშირებით ყველაფერს ძალზე მტკივნეულად განიცდიდა.

ერთხელ დედამ დეპეშაც კი გაუგზავნა ტაშკენტის საკონცენტრაციო ბანაკების სამმართველოს უფროსს, რომლის ასლი საბჭოში შემოგვრჩა.

წარმოვიდგინეთ, იმ საშინელ დაწესებულებაში ასეთი დეპეშის გამო, ალბათ, როგორ დასცინეს დედის გულსა და განცდას. საიდან სადაო, ლევანი მაშინ უკვე ქ. ბიისკში იყო, ტაშკენტიდან რამდენიმე ათასი კილომეტრით დაცილებული, შორეულ ციმბირში.

უსაზღვრო მოლოდინში ცხელი ზაფხულიც გავიდა. ლევანის დაბრუნების იმედი გადაგვეწურა, გულს იმით ვიმშვიდებდით, ამ არეულობის დროს ახლა თბილისში მისი ჩამოსვლა შესაძლებელია სახიფათოც იყოსო. ავბედითი წლების გამწვავება და პოლიტიკური ვითარების უფრო დაძაბვა უკვე აშკარა იყო...

ქალაქში საშინელი შიში და უიმედობა სუფევდა. განსწავლული, განათლებული, ნამდვილი პატრიოტები, ზოგჯერ მთელი ოჯახი ღამით, ჩუმად, მოულოდნელად ქრებოდნენ, რაც შიშის ზარს სცემდა ყველას. სათავეში მოქცეული სისხლისმსმელები ბერიას ხელმძღვანელობით საშინელებას ატრიალებდნენ მთელ საქართველოში. სრულიად უდანაშაულო ხალხს სამშობლოს მტრად აცხადებდნენ. განმკითხველი, სი-

მართლის მაძიებელი და მფარველი არავინ იყო. ასე დაიკარგნენ მამას ამხანაგები, ნაცნობი ოჯახები, სახელოვანი ადამიანები, ძირითადად ახალგაზრდობა.

— ეს რა სახელმწიფოში ვცხოვრობთ, — საყვედურობდა და წუხდა ხმამაღლა დედა, — ეს რა წელია, 1936? ალბათ საქართველოს და ქართველი ხალხის ერთობლივი განადგურებაა გადაწყვეტილი. პატიმრებს აქედან იქით ციმბირში აგზავნიან და აბა იქედან ლევანს აქეთ, შინ ვინ გამოუშვებს. შეიძლება უკეთესიც იყოს, იქ რომ არის, ვიცით ცოცხალია, ჯანმრთელია და მუშაობს კიდეც. საარსებო წყაროც აქვს. თუ ჩვენ არ დავეხმარეთ, შიმშილით აღარ მოკვდება. ამჟამად თბილისში დაბრუნება უფრო სახიფათოც და საშიშიც არის, — ხშირად ასეთი მსჯელობით იმშვიდებდა თავს დედა, ჩვენ კი ყველამ კარგად ვიცოდით, თუ რა ცეცხლი უტრიალებდა გულში.

სექტემბრის ერთ დილას, სრულიად მოულოდნელად, ჩუმად, ჩვენს კარს ვიღაც მოადგა და ფრთხილად დაგვიკაკუნა. ყველანი შეშინებული წამოვცვივდით, კარებს მივაშურეთ. ყველამ ცუდი ამბავი გავიფიქრეთ, აბა იმ დროს თბილისში კარგს რას წარმოიდგენდი. დედა ძლივს ადგა ლოგინიდან, დაგვწია და კარები უნდობლად თვითონ გააღო. სახლში შემოვიდა ახოვანი ვაჟკაცი, ბრგე, ხუჭუჭთმიანი, მხარზე ზურგჩანთაგადაკიდებული. და ეს კაცი ვინ აღმოჩნდა? ლევანი! ლევანი!

ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, აღწერა შეუძლებელია, ეს რაღაც ზეციური იყო...

სიხარულისაგან ყველანი მოთქმით ვტიროდით, განსაკუთრებით კი დედა. მოფერების დროს შიგადაშიგ გაკვირვებული შესცქეროდა შვილს და ეს ამბავი არა სჯეროდა. ლევანს, ასე დავაჟკაცებულს, ალბათ არ მოელოდა. ამდენი გაჭირვების გადატანის შემდეგ ის სულ სხვანაირად წარმოედგინა. სხვათა შორის ჩვენ, ბავშვებსაც, ასე დაგვემართა. მე და მზიას არც კი გვჯეროდა, რომ ასეთი დიდი ძმა გვყავდა. ლევანიც ალბათ არ მოელოდა, თუ ჩვენ ასე გაზრდილებს გვნახავდა.

— ო, წლები, წლები, საშობლო, სახლი, თბილისი, — გაოცებით იმეორებდა ლევანი. — მშობლიური კერა ძვალ-რბილში მაქვს გამჯდარი. ძნელია სხვაგან დიდი ხნით, თუნდაც შენი ნებით, მით უფრო იძულებით ცხოვრება ან არსებობა, მაგრამ

ბედის უკულმართობას წინ რა დაუდგება... ჰოი! რამდენ დროს გაუვლია?! რამდენი კალო გალეწილა უჩემოდ?! — ყველას გვკოცნიდა და გვეფერებოდა, — რა სიხარულია! ძლივს დავბრუნდი სამშობლოში, რას მერჩოდნენ ნეტავ, — გულისტკივილით ოხრავდა ლევანი, — ან რას ერჩიან იმ ხალხს, რომელსაც სიცოცხლეზე მეტად სამშობლო უყვარს, სწამს მისი კეთილი მომავლის, ახალი ცხობის, ბარაქიანი მშობლიური მიწის, ერთგულების, ძმობის და, რაც მთავარია, თავისუფლების, — თავისდა უნებურად გულისთქმამ გაიტაცა ლევანი. გული აუტოკდა, ბევრის თქმა უნდოდა. გულის სიღრმიდან ამოსდიოდა კვნესა, რისთვისაც მან ამდენი იტანჯა და ეწამა, მაგრამ დედამ პირზე ათრთოლებული ხელი მიაფარა. შეშინებულმა ლევანი შეაჩერა, კედლისკენ ანიშნა ჩურჩულით, უთხრა — ყური აქვსო.

მერე ყველა ერთად ლევანის დაბანა-დასუფთავებას შეუდექით. ის იღიმებოდა, ყველაფერს სიამით და სიხარულით ღებულობდა მონატრებული. მერე კი საუზმისაკენ მოუხმო დედამ, ქართულ პურს ხარბად მიეტანა. ჩვენი ხვავმცირე სუფრიდან ყველაფერი ეგემრიელა, ყველაფერს ცალ-ცალკე ხოტბა შეასხა, საუზმის შემდეგ კი მამის საფლავზე გასვლა მოითხოვა.

საფლავზე ისევ ავტირდით. ჩვენი მწუხარება უფრო გულჩათხრობილი, ღრმასევდიანი იყო. გვაღრჩობდა სინანული, საწყალ მამას ლევანის დარდი რომ ჩაჰყვა საფლავში. აბა, ამას ხმამაღლა როგორ ვეტყოდით, მაგრამ ლევანი თვითონ ხვდებოდა. ის მუხლმოდრეკილი დიდხანს დუმდა, თვალები მიწაზე ჰქონდა მიპყრობილი, ცრემლები საფლავს ასველებდა. ეს ცრემლი გულის ამონაკვნესი იყო, ბევრის მთქმელი. ყველასათვის ნათელი გახდა, ლევანს გულში რა ცეცხლიც უტრიალებდა. მერე საწყალი არჩილიც ახსენა და ისიც მამის საფლავზე დაიტირა.

გული რომ მოიჯერა, თქვა:

— როგორ უკულმა ტრიალებს ჩვენი ოჯახის ბედი. მამაჩემის საზოგადოებრივმა მოღვაწეობამ გამიღრმავა პატრიოტული სულისკვეთება, ჩამინერგა სამშობლოს თავისუფლების მაღალი იდეები, დიდი მოვალეობის გრძნობა, ხალასი სიყვარული სამყაროსი, ბუნების, ადამიანის.. ბევრ საკითხში და

იდეებში საწყალი არჩილი, მე და მამა ერთსულოვანი ვიყავით. ის ამაყობდა ჩვენით, — თითქოს ცოცხალს ესაუბრებაო, ანგარიშს აბარებდა მამის საფლავს. მე ყოველთვის დიდი მეოცნებე, გულმართალი კაცი ვიყავი, მიყვარდა საქართველო, მისი მთა-ველი, ხალხი და მისი თავისუფლება. საქართველოს მოღალატედ გამომაცხადეს და თვითონ მოღალატეებმა მაწამეს, შეურაცხმყვეს, მაწვალეს, სიკვდილის პირას მიმიყვანეს, გადავურჩი ყოველივეს, სწორედ სამშობლოს სიყვარულმა და სიმართლემ გადამარჩინა. ბანაკებში სისასტიკე ახლა რომ მძვინვარებს, ალბათ დრომ და ერთეულმა პიროვნებებმა მოიტანეს, თორემ ალალი ქართველი და სხვა ერის უბრალო კაცი ყოველთვის გულკეთილი და თავისი ოცნების ერთგულია.

ლევანი ლაპარაკად იყო გადაქცეული. საოცრად ამაღელვებლად ჟღერდა მისი ხმა სასაფლაოს იდუმალ სიჩუმეში.

— მინდა განცდილი დავივიწყო, მაგრამ რა დამავიწყებს სიკვდილის პირას მისულ, უდანაშაულო ხალხით გამოტენილ ბანაკებს. საკონცენტრაციო ბანაკების არსებობა ჩვენ დღევანდელ წყობაში, ისევე როგორც წინა პერიოდებში, იმპერიის ერთ-ერთი განუყოფელი ელემენტია, ანალოგიური ფაშისტების საკონცენტრაციო ბანაკებისა, სადაც მძიმე სისასტიკე სუფევს. იქ მოხვედრილი ადამიანი არარაობაა. ქვის ლოდი და მძიმე ტკივილი თვითონ შეიჭრა ჩემს არსებაში და გულის სიღრმეში დამრჩა დაღი. რამდენი ხალხი დარჩა იქ, აღარც გზა და აღარ საცალფეხო ხიდი დაურჩათ სამშობლოსთან. საცოდავები, შავ უფსკრულთან არიან მისულები, ჩეკისტებთან ნაომარი და საბოლოოდ სასტიკად დარბეულები.

— ლევან, გაჩერდი! — დაიკივლა დედამ, — შეტის ატანა აღარ შემიძლია.

ლევანმა ყველას გადმოგვხედა, ახლაღა მიხვდა, რომ თავისდაუნებურად ამოაფრქვია ნაღველი და ისედაც მძიმე განცდა უფრო გაიმწვავა.

ეს დღე იყო და ეს დღე, ლევანს აღარ მოუგონებია თავისი წარსული. არ შეეძლო მასზე ბაასი და თითქმის ასე დარჩა მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე.

სანდროსთან დეპეშა ვაფრინეთ რაჭაში, სადაც რიწეულჰესის მშენებლობის უფროსად მუშაობდა.

თინა ხშირად ეუბნებოდა: — შენ, ლევან, არა ხარ ფიზიკუ-

რად ძლიერ შეცვლილი, უფრო დავაკაცებულხარ, მამას დამსგავსებიხარ, მხოლოდ ნაღველი გაქვს თვალებში ჩაწოლილი და, როცა რამე გახარებს, შენს გაბრწყინებულ თვალებში ამას უფრო მკვეთრად ვამჩნევო.

ლევანი სიამით ილიმებოდა: — ჩემო ფილოსოფოსო და ვაჟკაცო დაო, კიდევ რას მამჩნევო? — სიყვარულით ეუბნებოდა ლევანი თინას.

ლევანის ზურგჩანთაში რამდენიმე რვეული აღმოჩნდა.

— საცვლები და ის მცირე რამ ნივთი, რომელიც იქ მქონდა, გაჭირვებულ ხალხს დავუტოვე. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, — გვეტყოდა ხანდახან იგი, — იქ რა ჯოჯოხეთი ტრიალებს. თბილისში ცოცხალი რომ დავბრუნდი, მე თვითონაც მიკვირს და არ მჯერა. კატორღაში წამებას სიკვდილი სჯობდა

ლევანის დაბრუნებამ ოჯახში ხალისი, სიხარული და ბედნიერება შემოიტანა. ზოგჯერ არც კი გვჯეროდა.

— ჩვენ ისევ თავიდან ვიწყებთ ცხოვრებას, — ცრემლნარევი ღიმილით და აღელვებით ამბობდა დედა. — დიდი დანაკლისი და გაჭირვება განვიცადეთ. ოჯახის საუკეთესო წევრები ადრეულად წავიდნენ ჩვენგან, მაგრამ დღეს ისევ შევიკრიბეთ და უნდა მჭიდროდ შევიკრათ. ახლა თქვენ იცით, შვილებო, როგორ იშრომებთ, ისწავლით, ასახელებთ ჩვენს გვარსა და სამშობლოს. ლევანის ჩამოსვლით ჩვენი ოჯახის ცხოვრება ისევ ძველ კალაპოტში უნდა ჩადგეს. რას იფიქრებდა დედა, რომ ლევანის ჩამოსვლა ისევ ხანმოკლე აღმოჩნდებოდა. ყველანი ეხარობდით, ვეხვეოდით ლევანს და თბილისის ამბებს ვუამბობდით, რომელიც მას ძალიან აინტერესებდა და მთელი გულისყურით გვისმენდა.

ყველას იმედი გვქონდა, ლევანს გადასახლებაში ყოფნის ვადის დამთავრების, ამდენი ვაივაგლახის და თბილისში დაბრუნების შემდეგ ცხოვრებაში შეზღუდვები და დაბრკოლებები აღარ შეხვდებოდა. თურმე როგორ მოეტყუვდით — დაბრკოლებები და გაჭირვება ჯერ კიდევ წინ გვქონია.

1936 წელი საქართველოში, როგორც ცნობილია, მძიმე დროდ ითვლება. ჯერ არ იყო ჩათავებული რეპრესიები და საერთოდ ადამიანთა მასობრივი გაქრობა, პირიქით, თანდათან უფრო გამწვავებაც იგრძნობოდა. თბილისში გაურკვეველი პოლიტიკური ვითარება სუფევდა. სამშობლოს მოღალატე-

ებად ცხადდებოდნენ როგორც დიდი პარტიული მუშაკები, ისე უპარტიოებიც, მეცნიერები, მწერლები, უაღრესად განათლებული და ნამდვილად საშშობლოსათვის თავდადებული ადამიანები.

ლევანმა სწრაფად აუღო ალღო თბილისში გამეფებულ რთულ ვითარებას. ამდენი ნაცნობ-მეგობრის დაპატიმრებას არ მოელოდა, შეშინდა კიდეც.

სწორედ ამ პერიოდში დაიწყო ლევანის მოქალაქეობრივი უფლებების აღდგენაზე ზრუნვა — პასპორტი, ჩაწერა. ყველაფერი მეტისმეტად ძნელდებოდა.

რამდენიმე დღის შემდეგ გამოირკვა, რომ ლევანს პასპორტის გაცემაზე და საერთოდ თბილისში ჩაწერაზე უარი უთხრეს.

— ვეღარ გათავდა! უკვე მერამდენედ იწყება ჩემი მუდმივი მოწამვლა. უმჯობესია ისევ კატორღაში უკან დავბრუნდეობა, უპასპორტოდ ამ დაწყევლილ რეჟიმში რას გავხდები. მუდმივად ჩეკას მეთვალყურეობაში ყოფნას ისევ იქ დაბრუნება მირჩევნიაო, — ბრაზობდა ლევანი.

ლევანის ჩამოსვლასთან დაკავშირებული სიხარული თანდათან გაქარწყლდა. ნერვიულობა და უკმაყოფილება მწვავდებოდა. დედამ დაიწყო განცხადებების წერა, სხვადასხვა ინსტანციაში მისვლით ნაცნობ-უცნობები შეაწუხა.

დიდი ხნის შემდეგ, როგორც იქნა, ლევანისათვის პასპორტის მიცემა გადაწყდა, მაგრამ თბილისში ჩაწერაზე კატეგორიული უარი განუცხადეს.

პასპორტის მიღების გაჭიანურებამ და ლოდინმა ლევანს ხასიათი გაუფუჭა.

— უკეთესი იყო პასპორტი სულ არ მოეცათ, ხომ ვარსებობდი ამდენი ხნის განმავლობაში უპასპორტოდ, ნომრით.

ლევანი ჩეკაში ისევ აღრიცხვაზე აიყვანეს. დაწვრილებითი ავტობიოგრაფია დააწერინეს, მერე კი დაცინვაც დაუწყეს. თითქოს ხუმრობით, ცინიკური ღიმილით, ისე კი სრული სერიოზულობით უთხრეს:

— გვიკვირს, რომ აქეთ გამოგიშვეს. ისე კი უკეთესი იქნებოდა იქ დარჩენილიყავი. შენი უკან დაბრუნებისათვის ჩვენ არც დროის დახარჯვა და არც წვალება დაგვჭირდებოდაო.

ლევანი საშინელი აღელვებული და გულნატკენი იყო. დარ-

წმუნდა, რომ თბილისი მისთვის აღარ იყო თავისუფლებისა და გადარჩენის საბოლოო თავშესაფარი.

— დედა და თქვენ, ბავშვები, წარმომიდექით თვალწინ. ამიტომ გადავყლაპე მათი როშვა, თავი ძლივს შევიკავე, თორემ იმ ვიგინდარებს ვაჩვენებდი სეირს. იმ წუთში სიცოცხლეც აღარ მინდოდა. ვისი დასაცინი გავხდი, ვისი?! მათი წყალობით რამდენი წმიდათაწმიდა ადამიანის საფლავი დარჩა კატორღაში. უდანაშაულო ხალხი ჯავრმა და მიწამ შეჭამა. ისე კი იქ ნათქვამი ცუდად მენიშნა, ნუთუ მე ჩეკას მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ უნდა ვიყო? ეს არ არის კარგი საქმე.

ლევანის ღელვა ჩვენც გადმოგვედო.

სანდროს ჩამოსელამ გამოაკვთა განწყობა. რაჭიდან ბევრი ხილი და ღვინო — ხვანჭკარა ჩამოგვიტანა. საღამოს წავიქეიფეთ კიდეც. ქართული საჭმელები განსაკუთრებულად, ლევანის დაკვეთით მომზადდა. ყველაფერს მონატრებულმა ქართულ ყაიდაზე გაწყობილ სუფრას რომ დახედა, მისი ეშხითა და სილამაზით აღტაცებულმა ტაში შემოჰკრა:

— ამისთანა ხვავ-ბარაქიანი და გემრიელი სუფრა მარტო საქართველოში იცის.

შემდეგ კი ხარბად დაეწაფა საჭმელ-სასმელს, ყველაფერს ხოტბას ასხამდა, აღფრთოვანებით სვამდა და სვამდა რაჭიდან ჩამოტანილ ხვანჭკარას. ცოტა შექეიფიანდა კიდეც. სუფრას ვუსხედით დედა, ტასო, სანდრო, თინა, თამარი და მზია. აღფრთოვანებით შევცქეროდით ლევანს, რომელიც გამხიარულდა კიდეც. თვალები გაუბრწყინდა და სამშობლოს, ჩვენ, შინაურებს, ქართულ საჭმელსა და სასმელს მონატრებულმა ძალიან მოილხინა. ისიც აღნიშნა:

— ჩემს ამ ბედნიერ დღეს წინ უძღვის 12 წლის ტანჯვა-წვალება. მე ავიტანე ყველაფერი და ხომ ასრულდა ჩემი ოცნება, მე თქვენთან ვარ და მომავალიც ჩემია. ვფიქრობ სიკეთეზე.

ლევანის ბედნიერებამ, სიხალისემ და მხიარულებამ ყველა კარგ გუნებაზე დაგვაყენა.

ლევანმა ხვანჭკარით ჭიქა შეავსო და ჯერ დედაჩვენის საღღეგრძელო წარმოთქვა. დედა აქო და ადიდა. შემდეგ გულისტკივილით მამის და არჩილის მოსახსენიებელი თქვა, მერე

კი ჩვენი ყველას სადღეგრძელო ერთად შესვა, ყველა გადაგვკოცნა და სუფრიდან ადგა.

— ამდენი ხნის დაჩაგრული ოჯახი ხარობს, — თვალცრეშლიანი იმეორებდა დედა. ის ძალიან მოკრძალებულად და ღელვით მივიდა ფორტეპიანოსთან, დაუკრა და ლევანის საყვარელი სიმღერა ნაღვლიანად დაამღერა. სიმღერაში დედას ყველანი ავყევით.

ლევანმა დედა ხელში აიტაცა, გულში ჩაიკრა და ჩაკოცნა. დედა პატარა ბავშვივით მიენდო მას, ლევანი ხედავდა, რომ დედა უკვე მებრძოლი და ძლიერი ქალი აღარ იყო. გადატანილი წლების ჭირ-ვარამმა საგრძნობი დაღი დაასვა მას. ის, გასაცოდავებული და ნერვიული, უკვე ღრმა მოხუც ქალად ქცეულიყო.

სანდროს ისევ პასპორტის მიღების გაჭიანურებასა და ლოდინზე ჩამოუგდო ლევანმა საუბარი. ეს ძალიან აწუხებდა. სანდრომ ლევანი დაარწმუნა, ყველაფერი, რაც ახლა შენს თავზე ხდება, ჩვენს ცხოვრებაში ბუნებრივია, ვფიქრობ, შენი მომავალი კარგად წარიმართება, ოღონდ დაწერე რამე კარგი და აჩვენე ყველას შენი შესაძლებლობა; ჩვენ შენით ვამაყობთ, ლევან, შენ ჩვენი ოჯახის გმირი ხარო.

— მე გმირობამდე ბევრი მაკლია და ალბათ ვერც გავხდები. ჩემი გაგებით ეს ცნება მეტად ღრმაშინაარსიანი და მნიშვნელოვანია. გმირი ის არის, ვინც დროის მოთხოვნის სიმაღლეზე აღმოჩნდება, აუცილებელს, უმთავრესს — უმრავლესთა საწადელს, უანგაროდ, თავდადებულად მოიმოქმედებს და მიზანსაც მიაღწევს. მე კი სულ ციხის მონობაში ვიყავი, მარტოდმარტო ოცნებით.

ლევანმა შემდეგ მოგონების გუდაც გაგვიხსნა და გადასახლების ზოგიერთი მძიმე თავგადასავალი გვიამბო:

— ჩემი გადარჩენა მე თვითონ მიკვირს, დაუჯერებელია, რაც გადავიტანე. ეს მხოლოდ განგებამ და ჩემმა გადამრჩენელმა ღმერთმა იცის. ვაი, ვაი, რომ უამრავი პატიმრისათვის ეს ფიზიკურად აუტანელია. იცით, რა საუკეთესო ხალხი ილუპება? უკანასკნელ დროს შექმნილი არნახული წამება და ჩეხვა, ასე მგონია, ადამიანთა მოსპობის უტყუარი ზრახვებია. ჩემი გაგებით, იქ, შორეულ ციმბირში, პატიმართა მოცილებისა და მასობრივი განადგურების ორი გზა არსებობს:

1) მასობრივი თვითმკვლელობა: ციხეებში რეჟიმის გამწვავება-გასასტიკებას და არაადამიანური წამების ფორმების შემოღებას ბევრი პატიმარი სიგიჟემდე და თვითმკვლელობამდე მიჰყავს.

2) მასობრივად გრძელვადიანი პატიმრების თავიდან მოცილება დახვრეტით. ბანაკებში უადგილობის გამო ყოველი ახალი ეტაპის მიღების წინ იწყება მექანიკური გაცხრილვა ყოველგვარი სასამართლოს და სამართლის გარეშე.

მთავარი უბედურება ისაა, რომ სხვების დასანახავად და გასაგებად ის ულმერთოები მკვდარს, როგორც ცოცხალს, ისე ედავებოდნენ, ქირდავდნენ. სოლოვკებში წინათ მე ასე მეგონა წამების ყველაზე მძიმე რეჟიმი იყო დაწესებული. თურმე ნუ იტყვი! რა შედარებაა ახალი ციმბირის ციხეების რეჟიმთან, ეს ხომ ჯოჯოხეთია. გასაკვირი ის არის, რაც ყველაზე უფრო უძვირფასესია ცხოვრებაში — ადამიანის სიცოცხლე — იქ არაფრად ღირს. ეს რა სახელმწიფოში ვცხოვრობთ, არ ვიცი. იქ, სოლოვკებში, ცოცხლებში, მავთულხლართების მიღმა მაინც იზრდებოდა და მწიფდებოდა იმედის სანერგე. რა ყოფილა ადამიანი? ის უფრო საკვირველია, ვიდრე მე ვფიქრობდი. ახალ ციმბირში კი ცხოვრება? ეს ხომ სრული არარაობაა... და ლევანს რაღაცა მნიშვნელოვანი უნდა ეთქვა ჩვენთვის, მაგრამ საუბარში შეშინებული დედა ჩაერია და პოლიტიკაზე ლაპარაკი აუკრძალა.

— დედა, ეს მარტო პოლიტიკა არ არის. სიმართლეა მწარე, იქაური მძიმე, აუტანელი ყოფა და ცხოვრება, უფრო სწორად, არსებობა, ყოფნა-არყოფნის განკითხვა. ამას რაღაცა უნდა ეშველოს, თორემ გაწყდა ამდენი ხალხი.

ბავშვები მაშინვე დასაძინებლად გაგვაგზავნეს.

ლევანი და სანდრო კიდევ დიდხანს საუბრობდნენ ჩუმად.

ათი დღის ნერვიულობის შემდეგ ლევანი პასპორტით ხელში გამოგვეცხადა.

— მომილოცეთ! 32 წლის ვაჟკაცს ძლივს მეღირსა მოქალაქეობა და სრულწლოვანება. ეს ხომ ჩემი პირველი პასპორტია. საერთოდ თავის დროზე ვერ მოვასწარი მისი მიღება, მერე კი ვინ მომცა ამის საშუალება.

თბილისში ჩაწერაზე კი ლევანს ხომ უარი ეთქვა, დადგა

საკითხი, სად წასულიყო სამუშაოდ, რომელ რაიონში. სამსახურის ძებნაში გავიდა კიდევ რამდენიმე დღე.

სრულიად მოულოდნელად სახლის რწმუნებული და მილიციელი დაგვადგნენ თავზე. 24 საათში უნდა გახვიდეთ თბილისიდანო, გააფრთხილეს ლევანი — წინააღმდეგ შემთხვევაში გაგასახლებთო.

ლევანს გაეღიმა. დედა კი ძალიან გაჯავრდა, ისინი ყვირილით გააგდო:

— წადით და ჩეკაში დაგვაბეზღეთ. თქვენ და თქვენისთანებმა ხომ მეტი არაფერი იცით. სანამ ლევანი რაიონში სამსახურს არ იშოვის, არსადაც არ გავუშვებ. ეს ხომ ჩემი შვილია, აქედან წაიყვანეს და ახლა, ვითომ სტუმარია, ისე ჩათვალეთ, რამდენ ჩაუწერელ ხალხს აჩერებთ და იმათ არ ეძებით. ჩვენ გვნახეთ დაბალი ღობე? მე თქვენ გიჩვენებთ სეირს! — ლევანის ჩამოსვლით გაგულიანებული დედა დაემუქრა კიდეც არამკითხველს.

ლევანი კიდევ ათი დღე დარჩა შინ სამსახურის ძებნაში. შემდეგ ნამდვილად არავის შეეუწუხებივართ, მაგრამ თვითონ ნერვიულობდა. ჩვენი ოჯახის მეგობრებმა ცეკავშირში გააგზავნეს, წალკაში ეკონომისტის ადგილი გამოუნახეს.

ლევანი წალკაში კარგად მოეწყო. უფასოდ პატარა ოთახიც მიიღო და კარგი ჯამაგირიც დაენიშნა.

— ძლივს არ ამოვისუნთქე თავისუფლად? — ხარობდა ლევანი. ეს მცირედი კარგი პირობებიც სახარბიელო აღმოჩნდა მისთვის. დედა ეხვეწებოდა პირველ ხანებში ოჯახის დასახმარებლად ფულს ნუ გამომიგზავნი, შენთვის ტანსაცმელი და საცვლები იყიდე, ჩაიცვი, თორემ უხერხულია სამსახურში ასე სიარული. ლევანი ჯერ ყოყმანობდა, შემდეგ კი მაინც მისცა სიტყვა დედას, რომ შეასრულებდა მის თხოვნას. ისე კი ოიმილით ხშირად იმეორებდა:

— მე იმდენხანს მამყოფეს იქ ფეხშიშველი და ტანშიშველი, ტანსაცმლის საჭიროება და მასზე მოთხოვნილება მთლიანად მომისპეს. ზოგი ჭირი მარგებელიაო, ჩემზეა ნათქვამი (სხვათა შორის, ლევანს ჩაცმადახურვისადმი გულგრილობა მთელი სიცოცხლის მანძილზე გაჰყვა).

წალკაში ცხოვრებითა და მუშაობით ლევანი კმაყოფილი

იყო. მით უფრო, რომ მის გარშემო ტრიალებდნენ სწავლული პატრიოტი ახალგაზრდები.

თავისი მუშაობით მალე დაიმსახურა კარგი სახელი. ურთიერთობაში მეტად უბრალო და დაკვირვებული იყო.

თბილისში ხშირად ჩამოდიოდა. დაამყარა კავშირი საჯარო ბიბლიოთეკასთან და წიგნებით დატვირთული უკან ბრუნდებოდა. მუშაობის შემდეგ ბევრი დრო რჩებოდა, ამიტომ ძალიან ინტენსიურად წერდა. აინტერესებდა ლიტერატურა და ისტორია.

ხანდისხან დედა ბავშვებს ხელს დაგვტაცებდა და უცებ ლევანთან გავჩნდებოდით, რამდენიმე დღით ვრჩებოდით კიდეც. დედას უხაროდა ლევანის კარგად ყოფნა, მაგრამ მაინც უნდოდა, რომ თბილისში ყოფილიყო, სახლში უფრო ნაყოფიერად იმუშავებსო.

ახლოვდებოდა 1937 წელი. დედამ მოისურვა, რომ ახალ წელს ყველა ერთად შევხვედროდით. დილიდან დაიწყო სახლში ფუსფუსი და მზადება. ლევანი წალკიდან ჩამოვიდა, სანდრო ვარციხიდან, დანარჩენები კი ყველანი სახლში ვიყავით. ლევანის თქმით, ახალი წელი, გარდა ყოველი სიკეთისა, შორს წასულთა, გადასახლებულ-გადახვეწილთა და დაღუპულთა დღეც არის ჩვენშიო. ამიტომ ეს დღე ყოველთვის ღირსშესანიშნავიაო.

ძალიან მოკრძალებულად და წყნარად, სუყველა ერთად შევხვდით ახალ, 1937 წელს. აბა, ქეიფისა და მხიარულების თავი ვის ჰქონდა. თბილისში საშინელი შიში და უიმედობა ჩამოწვა, რეპრესიები და ოჯახების მოსპობა კი არ შემცირდა, არამედ გაძლიერდა. ამ ამბით ჩვენი ოჯახი და განსაკუთრებით ლევანი საშინლად შეწუხებული იყო. ლევანი ცდილობდა წალკიდან ხშირად აღარ ჩამოსულიყო, დღედაღამ მუშაობდა, ბევრს წერდა.

ლევანმა წალკაში 6 თვე დაჰყო. შემდეგ კი დამთავრდა მისი საამური ცხოვრება და მუშაობა.

ერთ დღეს სრულიად მოულოდნელად, სამხედრო კომისარიატში გამოიძახეს და დაწვრილებითი ავტობიოგრაფია დააწერინეს. აბა, ლევანი თავის ბიოგრაფიას რას დამალავდა, დაწერა, რომ 12 წლის გადასახლებაში ნამყოფი კაცია, არც ერთხელ სასამართლოს წინაშე არ ყოფილა წარდგენილი ან

რაიმე სერიოზული ბრალდება არ ჰქონდა წაყენებული, თუ არ ჩაითვლება საზღვარგარეთ გაქცევის მცდელობა. ამ შემთხვევის დროსაც განაჩენი სამეულმა გამოუტანა და არა სასამართლომ. სამხედრო კომისარიატის შემდეგ წალკის შინაგანმა ორგანოებმა დაიწყეს ლევანის ვინაობის დადგენა.

ერთმა ღვთისნიერმა ორგანოს თანამშრომელმა ლევანს საიდუმლოდ უთხრა: — ჩქარა გამეცალე აქედან, შენს ცოდვაში ნუ გამრევო. ლევანი იმავე დღეს წამოვიდა წალკიდან.

— ჩემი ზღაპრული, ხანმოკლე ცხოვრება დამთავრდა და ხელში სინამდვილის მკაცრი კუდი შემრჩა.

იმ კეთილი კაცისადმი მადლიერების გრძნობით იყო ღრმად განმსჭვალული, კეთილ კაცს რა გამოლევსო საქართველოში. დედას არაფერი არ გაუმხილა. ისევ ცეკავშირს მიაკითხა. ახლა ლუქსემბურგში (ახლანდელი ბოლნისი) გადაიყვანეს საშუშაოდ ისევ ეკონომისტად.

ბოლნისში ლევანი უკეთესად მოეწყო. ეს ქალაქი ადგილშდებარეობით, მოსახლეობით და საცხოვრებელი პირობებით წალკაზე უკეთესი აღმოჩნდა. აქ გერმანელები იყვნენ დასახლებული, კულტურული და სუფთა ხალხი, თანაც ეს ქალაქი თბილისიდან უფრო ახლოს იყო და მისასვლელადაც უფრო ადვილი.

ლუქსემბურგში ლევანი მუშაობით დღე და ღამეს ასწორებდა. ამ პერიოდს თვითონ ლიტერატურული აღმავლობის პერიოდი შეარქვა. აქ დაამთავრა ორი ნაწარმოები, უფრო სწორად დრამები — „მეფე ერეკლე“ და „ჩაძირული სოფელი“.

ერთ კვირა დღეს, როდესაც ჩვენ, დები, თინა, თამარი და მზია ლევანთან ვიყავით ჩასული, მან ღიმილით გვითხრა, მინდა ჩემი დრამიდან ერთი პატარა ნაწილი წაგიკითხოთო. მაინტერესებს თქვენი, როგორც მკითხველის აზრიო. ჩვენ ერთდროულად სამივე ავყაყანდით, ლევანი დავაფრთხეთ კიდეც, არ გვინდა მარტო ნაწილი, მთლიანად წავიკითხე შენი ნაწარმოებიო.

ლევანმა ჩვენ წინ მაგიდაზე ხელნაწერი გადაფურცლა. ბევრ ფურცელზე წაშლილ-წამოშლილი ადგილები დაეინახეთ ბევრზე კი, ტექსტის გვერდზე, ფანქრით დახატულმა სხვადასხვა სახემ გაგვაკვირვა. თურმე ესენი ამ პიესაში მოქმედი პი-

რები იყვნენ. შემდეგ ხელნაწერის ბოლო ფურცელზე მოქმედ პირთა ჩაცმულობის ესკიზებიც გვიჩვენა.

როგორც ლევანმა აგვიხსნა, დრამა „მეფე ერეკლე" დიდი ხანია ლიტერატურულად და ფაქტობრივი მასალით დაამუშაკა. პიესა კი 18 დღეში დაწერა, გვითხრა, ეს ნახატები — ესკიზებია, მოქმედი პირები და მათი ჩაცმულობა მე ასე წარმომიდგენიაო, სული ჩავბერე და ავასულდგმულეო.

ბევრი ხვეწნა არ დაგვჭირვებია. ლევანი დაგვთანხმდა პიესის მთლიან წაკითხვაზე. ჩვენ მის გარშემო მოხერხებულად მოვკალათდით და გავინაბეთ.

საოცარი სიცოცხლით აჟღერდა ხელნაწერი. როგორც იტყვიან, პიესა ერთი სულის მოთქმით თავიდან ბოლომდე წაგვიკითხა. იმდენად მოგვეწონა, რომ აღფრთოვანებისაგან ხმა ვერ ამოვიღეთ. მერე კი სამივე ერთად ავყაყანდით, სიხარულით ტაში შემოვკარით, ლევანს შემოვეხვიეთ და გადავკოცნეთ, ვაქებთ და ვადიდებთ. მან დიდი აღფრთოვანებით გვითხრა: — მე ავსახე საქართველოს მძიმე წარსული, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სულისკვეთება, მაღალი ეროვნული ზნეობა, შრომისა და ბრძოლის უნარიანობა, თვითშეგნება, პატრიოტიზმი, სიყვარული და ერთგულება. თუ ამას მივაღწიე დ: გამომივიდა, ბედნიერი ვარ.

— ლევან, რას უპირებ ამ პიესას, არ უნდა გადასცე თეატრს? მოდი, გამატანე, დავაბეჭდინებ და მერე შენი საქმე შენ იცი, — ეხვეწებოდა თინა.

ლევანი დათანხმდა. ხელნაწერი თბილისში წამოვიღეთ და მეორე დღეს მემანქანეს წავუღეთ დასაბეჭდად.

სასიკეთო ამბავიც დაგვემთხვა, მზიამ გაზეთში ამოიკითხა ცნობა საუკეთესო პიესისათვის საკავშირო კონკურსის გამოცხადების შესახებ. ნაბეჭდის წარმოდგენა შეიძლებოდა ნებისმიერ ენაზე. დაწესებული იყო სამი ძალიან დიდი (რამდენიმე ათასი) ფულადი პრემია.

შემდეგ კვირას გადაბეჭდილი პიესით და გაზეთის ცნობით „შეიარაღებულები" დილაადრიანად ლევანთან გავჩნდით. ლევანმა ძალიან გაიხარა თავისი პიესა გადაბეჭდილი რომ ნახა. ეს მისი პირველი ასეთი დასრულებული ნაწარმოები იყო. ამბობდა, ჩემთვის „მეფე ერეკლე" არა მარტო მწიგნობრული ძეგლია უპირველესი, არამედ აბჯარია ქართველობისაო.

ლევანმა ბევრი იუარა კონკურსში მონაწილეობის თაობაზე, მაგრამ საბოლოოდ ჩვენს თხოვნას უარი ვეღარ უთხრა. პიესა მოგვცა.

— თქვენ, ჩემო კარგებო, ისე მთხოვთ კონკურსში მონაწილეობას, თითქოს იცით, რომ უსათუოდ გავიმარჯვებ. რაც გინდათ, ის უყავით პიესას, თუ გინდა გაგზავნეთო.

იმავე საღამოს დრამა „მეფე ერეკლე" წესისამებრ გავაფორმეთ და მოსკოვში კონკურსში მონაწილეობისათვის გავგზავნეთ.

წალკაში ყოფნის დროს ლევანმა მეორე დრამაც დაწერა — „ჩაძირული სოფელი". ეს იყო ცდა ნამდვილი ამბის პიესად შექმნისა და მისი საინტერესო სახით წარმოდგენისა. ლევანმა ბოლნისში დრამა ერთხელ კიდევ გადასინჯა და გადაამუშავა.

„ჩაძირული სოფელი" ძალიან კარგი პიესა გამოვიდა. თვით ლევანსაც მოსწონდა. ჩვენ ხომ მთლად აღტაცებული ვიყავით. თითქოს არც კი გვჯეროდა, რომ ეს პიესები ჩვენი ძმის დაწერილი იყო.

სოფელი რეხა წალკის რაიონში მდებარეობდა. იგი ქართული სოფელი იყო თავისი მკვიდრი მცხოვრებლებით. ლევანმა ალეგორიულად ეს სოფელი გამოიყენა, რომელიც უნდა ჩაძირულიყო ხრამჰესის მშენებლობასთან და წყალსაცავის შექმნასთან დაკავშირებით. მის ნაცვლად სხვაგან დაიწყებოდა სოფლის ხელახალი აღორძინება. სიკეთე იმძლავრებდა სამომავლოდ.

მართალია, პიესა ხრამჰესის მშენებლობაზეა აგებული, მაგრამ ლევანი თვით მშენებლობის საკითხს მხოლოდ გაკვრით შეეხო. მან წარმოიდგინა სოფლის გადასახლებასთან დაკავშირებული განცდები, სოფლის მკვიდრთა, განსაკუთრებით ხანდაზმული მოსახლეობის გულისტკივილი და ტრაგედია.

„თემა, — წერს ლევანი, — შეეხება ძველისა და ახლის დაპირისპირებას. ჩემს მთავარ მოქმედ პირს თავისი ბედი, სოფლის გადასახლებასთან დაკავშირებით, დიდი ხანია მოფიქრებული და გადაჭრილი აქვს. მაგრამ ის, ჩემი აზრით, რა სახითაც მე მაქვს მოცემული, არაა მოკლებული არა თუ ისტორიულ, არამედ თანამედროვე აქტუალურ მნიშვნელობასაც".

პიესის დამთავრების შემდეგ ლევანს ურჩიეს ეს დრამა მი-

ეცა წასაკითხად რუსთაველის თეატრში მსახიობ აკაკი ხორავასთვის.

ლევანი რამდენიმე დღით თბილისში ჩამოვიდა და პიესა წასაკითხად ხორავასთან წაიღო.

ხორავა ძალიან უნდობლად შეხვდა ლევანს. დერეფანშიც დიდხანს აცდევინა და მერე უარი უთხრა პიესის წაკითხვაზე. დროის უქონლობა მოიმიზეზა.

— მე ეს სრულიადაც არ გამკვირვებია — გვიყვებოდა ლევანი. ის ნამდვილად დიდი მსახიობი და საზოგადო მოღვაწეა და დროის უქონლობა სრულიად მართებულია. მერე ისიც, რომ სრულიად უცნობი კაცი მოვედი და ლევან გოთუა ვარო, ვუთხარი. ეს სახელი და გვარი მას არაფერს ეუბნებოდა. ალბათ ბევრი აწუხებს თავისი ნაწარმოებებით. ახლა კი მე შემოვემატე. რომელი მწერალი მე ვარ, ვიღაცა უცნობი. ასევე უხმოდ, მართალია, უკმაყოფილოდ, შემოვტრიალდი და უკან წამოვედი. ხვეწნა ხომ საერთოდ ჩემთვის უჩვეულოა. გულში ძალიან მეწყინა. ეს პიესა ხომ ჩემი პირველი და, გამოგიტყდებით, საყვარელი ნაწარმოებია. მის ასეთ კრახს ჯერ კიდევ სახალხოდ გამომზეურებამდე არ მოველოდი.

ხორავა დიდი ფსიქოლოგი ყოფილა, ჩემი გულისტკივილი იგრძნო და თავისი რიხიანი ხმით დამიძახა, მოიცადეო.

— ახლო მომავალში რომ წაიკითხავ, ამას ვერ შეგპირდები. ისე კი დამიტოვე. ნამდვილად ჩემს აზრს შეგატყობინებო.

ლევანმა პიესა დაუტოვა ხორავას. მოუთმენლად ელოდა პასუხს. ამბობდა, სანამ „ჩაძირული სოფლის“ ბედ-ილბალს არ გავიგებ, მანამდე სხვა პიესას არ გამოვაჩენო.

მეორე დღეს, დილაადრიანად, სრულიად მოულოდნელად, დარეკა ტელეფონმა და ყველას გასაკვირად ლევანი იკითხა. ლევანმა საკუთარი ყურით მოისმინა:

— მე აკაკი ხორავა ვარ. შე კაცო. უკვე დასრულებული მწერალი ყოფილხარ! ვინა ხარ? რა კაცი ხარ? ღამე არ დამეძინა, უბრალოდ გადავათვალიერე შენი „ჩაძირული სოფელი“. მერე სულ ვეღარ დავიძინე, ვეღარ მოვწყდი ნაწარმოებს და ბოლომდე ჩავედი, ტანში სულ ჟრუანტელი მივლიდა. თუ შეგიძლია, თეატრში გამომიარე, ჩემს მოსაზრებებს გეტყვიო.

ტელეფონის ზარმა სახლში დიდი სიხარული შემოიტანა. პატარა ბავშვივით ხარობდა ლევანი. ეს მისი პირველი დიდი

გამარჯვება იყო სამწერლო ასპარეზზე. სულ იმას იმეორებდა: თქვენ ხომ ხართ ჩემი პირველი მკითხველები და შემფასებლები, ჩვენი ოჯახის ლიტერატურული საბჭო. ჩემი უმთავრესი მკითხველები ხართ და ხომ გესმით თქვენი აზრი ჩემთვის როგორ ბევრს ნიშნავს. მაგრამ სულ სხვაა აზრი ისეთი კაცისა, როგორიც მსახიობი აკაკი ხორავაა. ხომ შესაძლებელია მარტო მისი პირადი აზრი არ იყოს და ეს ამბავი ჩემთვის სამომავლო გზად იქცეს, ფართო საზოგადოებრივ ასპარეზზე გამიყვანოს. ეს ძალიან კარგია, რომ ხორავას მოეწონა ჩემი პიესა. თუ გინდ სცენაზე ნურც დაიდგმებაო.

— რას ამბობ, ლევან, — ყველა ერთხმად ვაწყნარებდით აღელვებულ ლევანს, — სწორედ სცენაზე დაიდგმება, ხორავას მოეწონა „ჩაძირული სოფელი" და ალბათ, როგორც შენ ფიქრობდი, მთავარ როლსაც ის ითამაშებს.

შემდეგ ამ ამბის მატერიალურ მხარესაც შევეხეთ. ეს უაღრესად ბუნებრივი იყო — ამ გაჭირვების დროს ოჯახისათვის ძალიან ხელსაყრელი იქნებოდა, რაზედაც ლევანი სასტიკად გაჯავრდა კიდეც — ძალიან ადრეულად ნუ გარბიხართო წინ რა იცი, რა მოხდებაო, წინათგრძნობა მაინც აუგს მიგრძნობსო. ჩვენ ისე ვიყავით დარწმუნებული პიესის გამარჯვებაში, რომ ეჭვიც არაფერში გვეპარებოდა.

დიდი სიხარულით გაბრწყინებული, სულ ფრენით მივიდა ლევანი დანიშნულ დროს რუსთაველის უეატრში. დერეფანში შემთხვევით შეხვდა ხორავას, რომელიც ძალიან რიხიანად, ოდნავ არტისტულადაც, ხმამაღლა მიესალმა ლევანს და იქვე მდგომ ორ მსახიობს გააცნო, როგორც მომავალი მწერალი. მერე თავის ოთახში მიიპატიჟა. ხორავა დიდხანს უქებდა ნიჭს და ტალანტს, ენის სიწმინდეს და პიესის ორიგინალობას, შინაარსს და ფაბულას. მოკლედ, ყველაფერი ძალიან მოსწონებია, როგორც ყვებოდა ლევანი. მხოლოდ ბოლო მოქმედების, უფრო სწორად, პიესის დასასრულის შეცვლა მოუთხოვია, სადაც მთავარი მოქმედი პირი იღუპებოდა. პიესის დედააზრიც სწორედ ეს იყო: რეხას ხანდაზმულმა მაცხოვრებელმა ვერ დატოვა თავისი მშობლიური სოფელი, სათაყვანო ეკლესია. ეკლესიის გუმბათზე ავიდა კრიტიკულ ჟამს და ეკლესიასთან ერთად წყალში ჩაიძირა ზარების შემზარავი რეკვით.

ხორავამ უთხრა ლევანს: მე მინდა წამყვანი როლის თამა-

ში და შენ ეს ბოლო უნდა გადააკეთოო. მე იქ სიკვდილი არ მინდა, მე ასე მიმაჩნია, მე უნდა გადავრჩე და ცოცხალი გამოვიყვანოო. თანამედროვე პიესაში არ შეიძლება, რომ მთავარი გმირი იღუპებოდესო.

— პიესის გადაკეთებაზე უარი განვაცხადე, ვინაიდან ჩემი ჩანაფიქრი მტკიცე იყო. ამაზე ხორავას გული მოუვიდა და ხმამაღლა მომახალა: კაცო, ეს ვინ ყოფილხარ? ჯერ მწერალი არა ხარ და უკვე შენი ჯიუტობის გატანა გწადია? პიესას აძვირებ? მე გეუბნები, პიესა გადააკეთე, ჩემთან მოიტანე დასადგმელად. იცოდე, არ იზარალებ.

ლევანმა თავი შეურაცხყოფილად იგრძნო, მაგრამ შეპასუხებას მაინც თავის შეკავება არჩია.

— გავჩუმდი, სიბრაზისაგან ხმას ვერ ვიღებდი. ხორავამ ჩემი სიჩუმე სხვანაირად შეაფასა. იფიქრა, რომ მომტეხა, სიჩუმით ისარგებლა, ეშმაკურად შემომხედა და ჩამილაპარაკა: შენ პიესის დაბოლოება როგორც გინდოვ, ისე გადააკეთე, მე კი ფულად საფასურს ერთი-ორად მოვამატებინებო. ასეთი ყიდვა-გაყიდვის ანგარიშის დიალოგი განსაკუთრებით მეწყინა, მართალია, ხორავას პირადად არ ვიცნობდი, მისი კარგი და დიდი კაცობაც გაგონილი მქონდა, მაგრამ მასთან ამისთანა საუბარს არ მოველოდი, საერთოდ ვერც წარმოვიდგენდი.

— ჯერ მწერალი არა ვარ, მართალია, მატერიალურად მიჭირს, მაგრამ არც ჩემი ნაწერების გამყიდველი ვარ, — შევკადრე ხმამაღლა.

ხორავამ ჩემი ნათქვამი თითქოს ვერ გაიგო, პიესის საფასური გააათკეცა და დასძინა: — ამხელა კაცი ხელმოკლედ ხარ და შენი ანგარიშიც გასაგებია.

ლევანი სასტიკად აღელდა და გაჯავრდა:

— მე, მართალია, ხელმოკლედ ვარ, არც მწერლობაზე ვდებ თავს, მაგრამ ჩემი სულიერი საზრდოს და განცდების ვაჭარი არასდროს არ ვყოფილვარ და არც გავხდები. თუ გნებავთ, პიესა ასე დადგით, თუ არა და მომეცით, უკან წავიღებ.

ხორავა სიბრაზისაგან წამოწითლდა, ფეხზე წამოდგა, ვერ წარმოედგინა ვიღაც უცნობ გოთუასაგან ასეთი წინააღმდეგობა. პიესა ლევანს გადასცა და ძალიან გაჯავრებულმა უთხრა:

— ვაი, ვაი, რომ სანანებლად გაგიხდება ჩემი წყენინება. ასე შენი პიესების დადგმას ვერსად ვერ ეღირსები. მოფიქრე-

ბისათვის გაძლევ ერთ კვირას. ეს პიესა გადააკეთე, უკეთესი იქნება. თუ არა და, მერე ბევრს ინანებ და შენს თავს დააბრალე.

ლევანმა ხელი დასტაცა პიესას და თეატრიდან გარეთ გამოვარდა. შინ აღშფოთებული მოვიდა, ყველაფერი დაწვრილებით გვიამბო. ძალიან განიცდიდა ხორავასთან ასეთ დიალოგს. დედაც შეწუხდა. შეეხვეწა ლევანს — იქნებ მართლა მოახერხო და ისე შეასწორო შენი პიესა, რომ თეატრში დაიდგასო. ამისთანა დროში ასეთი განთქმული მსახიობის და დიდი კაცის მომდურება არ არის კარგი და ზოგჯერ საშიშიაც. ყველაფრის ეშინოდა საწყალ დედას, ლევანი ცხარობდა: მე ასე შევიგრძენი მთავარი გმირის განცდები, ასე მწამს მისი ხასიათის სიმტკიცე და ცხოვრების ფასი. ყოველი გმირი ხომ ჩემი შემოქმედებითი სულისკვეთებაა, ჩემი სულიერი სამყარო. მე ამას ვერ გადავაკეთებო.

ასე გაცრუებული იმედებით დასრულდა „ჩაძირული სოფლის“ ბედ-იღბალი. ეს პიესა ლევანს შემდგომშიაც აღარსაც მიუტანია. გასაკვირია პიესების ისეთი გაჭირვების დროს, ასეთი კარგი დრამა, რომელიც მაყურებელს დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას მოჰგვრიდა, არ დადგმულა. ლევანმა ნაწერი წიგნების ღრმა თაროში ჩააგდო.

ლევანი მეტად მგრძნობიარე კაცი გახლდათ, ძალიან მტკივნეულად განიცადა პიესის კრახი. ისეთ ხასიათზე დადგა, თითქოს მთელი მისი შემოქმედება დამარცხდა. ადგილს ვერ პოულობდა, წერას გულს ვერ უდებდა და დროებით ხელი შეუშვა ყველაფერს.

დაიწყო ლევანმა ხეტიალი და მოგზაურობა. ჯერ ბოლნისის შემოგარენი დაიარა, მერე თეთრი წყაროს რაიონში გადაინაცვლა, ყოველთვის გადაფურცლული ჰქონდა ვახუშტი ბატონიშვილის წიგნი და წითელი ფანქრით აღნიშნავდა რაღაცას. მოკლედ, შემოიარა ქვემო ქართლის მრავალსაუკუნოვანი არქიტექტურული ისტორიული ძეგლები, ტაძრები, მონასტრები, დარბაზები, ძირფესვიანად შეისწავლა ალგეთის, ხრამის, მაშავერის და სხვა მრავალი მდინარის მცირე თუ ღრმა ხეობები. შემოიარა დიდგორის ველები, თავისი მომავალი ჩანაფიქრისათვის განჭვრიტა დავით აღმაშენებლის „ძლევაი საკვირველი“, მისი მეფობა და ცხოვრება.

— ეს უნიკალური ძეგლები გულისტკივილით წარსულში გადამაყუდებს ხოლმე და ქართლის ცხოვრების ჭირ-ვარამს მთელი სისასტიკით მაგრძნობინებს.

თბილისში საქართველოსთვის უმძიმესი 1937 წელი მძვინვარებდა. რეპრესიები, გადასახლება და ალალ-მართალი ხალხის უგზო-უკვლოდ დაკარგვა ყოველდღიურ ცხოვრებად იქცა. ეს ამბავი მოქმედებდა ყველაზე და განსაკუთრებით ალალ მოაზროვნე ადამიანებზე, მით უფრო ლევანზე, რომელმაც თვითონ იწვნია მთელი ეს სისასტიკე. აღშფოთებული გაიძახოდა: საქართველოში რა ხდება, ვერ გამიგია. რესპუბლიკის თავკაცები მეტად საშიში პიროვნებები არიან, განდიდების მანიით შეპყრობილები, გაუკულმართებული აზროვნებით, საუკეთესო ქართველებს ანადგურებენ, საშველი კი არსაიდან არის. როდემდე?

ლევანი შინაგან შიშს გრძნობდა. თბილისში იშვიათად ჩამოდიოდა, რაიონში კი ადგილს ვეღარ პოულობდა. გადაწყვიტა რამდენიმე ხნით მაინც გასცლოდა ამ საშინელ გარემოს, მთაში წასულიყო.

ჩეკას „მიჯაჭვებს", კავკასიონს მივეჯაჭვები, — ირონიით ამბობდა ხოლმე." — ჩემი ოცნება მაინც დიდებული მშობლიური კავკასიონის მწვერვალების დალაშქვრაა, მარტო იქ, ყინულოვან სამყაროში ვგრძნობ სრულ თავისუფლებას და ყოველმხრივ სილაღეს. ბუნება და ადამიანი ისე გულღიად და გულდაგულ ვერსად შეიყრებიან, როგორც მთაში თუ პიტალო კლდეზე.

ლევანმა მყინვარწვერისაკენ აიღო გეზი, ფიქრობდა გზაში რომელიმე მთამსვლელთა ჯგუფს დაუკავშირდებოდა და მათ გაჰყვებოდა მწვერვალზე.

დევდორაკის ბანაკში გაიგო, რომ გარიჟრაჟზე მთამსვლელთა დიდი ჯგუფი ალიოშა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით უკვე წასულიყო მწვერვალის დასალაშქრავად.

ლევანმა გადაწყვიტა წასვლა, იმ იმედით, რომ ჯგუფს დაეწეოდა.

ბანაკში აურზაური შეიქნა, აუკრძალეს ყინულოვან სამყაროში მარტო, უგამყოლოდ ხეტიალი. გამყოლი კი არ ჩანდა. აბა, ლევანი ვის რას დაუჯერებდა, მაინც წავიდა.

— მეგზურად თავზე დაყუდებული, მზის ირიბი სხივით

ზღაპრულად გაცისარტყელებული და გაბრწყინებული, ჭაღარა, დიდებული მყინვარწვერი მედგა. სულ ახლოა, თითქოს მის ძირს, აი, შევეხე კიდეცო. ხოლო იქვე, ღრმა თოლში და ყინულზე ჯგუფის ნავალ-ნაკვალევი მიადვილებდა გზას. ქათქათა სითეთრეში ჯაჭვივით ერთმანეთზე გადაბმული ქვევითკენ მოძრავი ცოცხალი ხაზი შევნიშნე, რომელიც მუხლს მიმაგრებდა, ძალას მმატებდა.

ჯგუფის დაწევის იმედი უკვე აღარ მქონდა, მაინ მყინვარწვერის დალაშქვრის და გამარჯვების შემდეგ ძირს შვეულად ჩამოსრიალება დაიწყეს. ჩვენი შეხვედრა მყინვარწვერის თოვლიან კალთაზე იაგორას ნიშთან მოხდებოდა. ჯგუფიც, როგორც მე, თვალყურს ზევიდან მადევნებდა.

— ეჰეი, ვინა ხარ, თოვლის კაცივით ასე მარტო მოხეტიალე ყინულოვან სამყაროში, — შემომესმა ომახიანი ხმა.

ყველა გაკვირვებული შემომცქეროდა.

სრულიად მოულოდნელად ჯგუფიდან ერთი მთამსვლელი, მეტად ახოვანი და ლამაზი ვაჟკაცი ჩემკენ წამოვიდა:

— ბატონო ლევან! მე არჩილ ღუდუშაური ვარ, თქვენი მოწაფე, ვლადიკავკაზის ქართული სკოლიდან. იქ ვსწავლობდი 1930-31 წლებში, თქვენ ქართულს მასწავლიდით. გიცანით, — ხმამაღლა, ყველას გასაგონად, რიხიანად წამოიძახა მან. ჩვენ გადავკოცნეთ ერთმანეთი.

— ეს ლევან გოთუაა, ჩემი მასწავლებელი, მიმართა მან ჯგუფს.

— ლევან, ეს სახელოვანი მთამსვლელი ჩვენი ხელმძღვანელი ალექსანდრე (ალიოშა) ჯაფარიძეა. გაიცანი!

— მე არწივს, ვეფხვს, ირემს ან ჯიხვს დავეძებდი, — იხსენებდა შემდეგ ლევანი, — აქ კი ჩვეულებრივი, ცოტა აღფრთოვანებული, ცოტა დაღლილი, ცოტა მზედაკრული და ჩვეულებრივი ადამიანი იდგა. ალიოშა მტკიცე, ძლიერი ნაბიჯით წამოვიდა ჩემკენ და ღიმილით ხელი ჩამომართვა. იმ წუთშივე შევიგრძენი ამ მტკიცე ხელის სიძლიერე. ესეც მახსოვდა, მტკიცე, ძლიერი ხელის პატრონს შინაგანი ბუნებაც ძლიერი აქვს. უთუოდ ძლიერი პიროვნებაც არის ალიოშა ჯაფარიძე, ამისთანა ბუმბერაზ და მიუვალ კლდესა და დიად მწვერვალებს რომ ერკინება და სძლევს კიდეც.

— მე თქვენ დიდი ხანია გიცნობთ. ბევრჯერ მსმენია თქვე-

ნი „საქმენი საგმირონი“, მაგრამ ვერსად შეგხვდით. ჩემი ოცნება და ნატვრა თქვენთან ერთად მოგზაურობისა ვგონებ დღეს ამისრულდეს, გულმა სიამე იგრძნო, — წამოვიძახე მე და სიხარულით ხელი ჩამოვართვი.

— მე ზევიდან რომ თვალყურს გადევნებდი მყინვარების სამფლობელოში მარტოდმარტო მოხეტიალეს, არ დაგიმალავ, ასე ვიფიქრე, ან გიჟია, შიზოიდი და აქ მოვიდა თავის მოსაკლავად; ან ვინმე მკვლელი, ბანდიტი არ იყოს, ვიღაცას რომ ემალება გამოქცეული, ან თავის შედგარ ხასიათსა და ძალას ამოწმებს როგორც დევგმირი, რომელსაც მძიმე ყინულები არაფრად მიაჩნია. ერთი, სწორად მითხარი — ამ სამიდან შენ რომელს მიეკუთვნები?

როგორი დაკვირვებული კაცი ყოფილა ალიოშა, გავიფიქრე უცებ. მისი ნათქვამი მართლაც მენიშნა, მეც ხომ ამჟამად, საუბედუროდ, ჩეკას ვარიდებდი თავს, მაგრამ ამას როგორ გავიგებ?

— აქამდე მე გზაგაუკითხავი, მარტოხელა, მოხეტიალე მოგზაური ვიყავი. მხოლოდ ერთმა განზრახვამ ამამოქმედა — თქვენი ჯგუფის დაწევას ვლამობდი, დიდი სურვილი მქონდა მყინვარწვერი თქვენთან ერთად დამელაშქრა, — სხარტად ვუპასუხე. ქართველების სასახელოდ უნდა ითქვას, ამირანისა და მინდიას ქვეყანაში ბუნების წვდომა მუდამ იყო ადამიანის სულისკვეთება.

— ნამდვილად კარგი აზრი გიტრიალებს თავში, — შემეპასუხა ჯაფარიძე, — მაგრამ იქ, ქვევით, ბანაკშიაც, მწვერვალის დალაშქვრის წინ რომ შემხვედროდი, მწვერვალზე მაინც ვერ წაგიყვანდი, ასე უცნობს და ჩემთვის გამოუცდელს. შენი არც ფიზიკური მომზადება და შესაძლებლობა ვიცი. მარტო სურვილი კი მთაში დიდს არაფერს ნიშნავს. ახლა უკან წამოგვყევი, მარტო ხეტიალს ამ უნდობ მყინვარებში არ გირჩევ, თავი არ წააგო, სადმე არ გადაიჩეხო. სიცოცხლის ფასი უნდა იცოდე.

შევიშმუშნე, მართალი იყო ეს კაცი, ხომ სრულიადაც არ მიცნობდა. ვაი, ვაი, რომ სიცოცხლის ფასი ჩემზე უკეთ არავინ იცოდა. ცოტა გულიც კი დამწყდა ასეთი უნდობლობის გამოცხადებისათვის, ისიც ასე საჯაროდ. მეორეს მხრივ, ხელმძღვანელი სავსებით მართალი იყო. ყოველ მოქმედებას, მით

უფრო მთაში, აქვს თავისი დაუწერელი, დაუნდობელი წესკანონები.

ჩავფიქრდი, შევყოყმანდი, შემპარავად ისევ მყინვარწვერს გავხედე, ის ამაყად გაბრწყინებული ჭაღარა თავით ჯადოსნურად მიზიდავდა და თითქოს მიხმობდა. ბუმბერაზი ძალიან ახლოს იყო ჩემგან, თავზე დაყუდებული.

ვიგრძენი, ვერ დავთმობდი ამ ცდუნებას. უცებ მომაწვა სურვილი და ვერავითარი ძალა უკან ვეღარ დამაბრუნებდა.

— მე მაინც დავლაშქრავ მწვერვალს, — შევბედე შეპასუხება, — და მერე ვეცდები თქვენს ჯგუფს დავეწიო.

პასუხს აღარ მოვუცადე, უცებ შემოვტრიალდი და მწვერვალისკენ გავსწიე. ჯგუფის მიერ უკვე მაღალთოვლში გაკვალულ აღმართს შევუდექი. ხანდახან ჩემს თავს იმაშიაც ვიჭერდი, რომ ჩემდაუნებურად თვალი ქვევით ჯგუფისაკენ გამირბოდა და მის მსვლელობას ვამჩნევდი, ისიც კარგად გავარჩიე, რომ ჯგუფს გაევლო სახიფათო ყინულოვანი მთაგრეხილი და თოვლის ველზე შეჩერებულიყო ჩემკენ მომზირალი. აშკარა იყო, რომ მიცდიდნენ, მარტო არ დამტოვეს და ჩემ დაბრუნებას ელოდებოდნენ. მყინვარწვერი ადვილად დავლაშქრე. ჯგუფის მიერ დატოვებულ წერილს ჩემი პატარა ბარათი დავუმატე და თავქვე დავეშვი. პირველი არჩილ ღუდუშაური მომეგება, გამარჯვება მომილოცა, ვიგრძენი, რომ ალიოშა ჯაფარიძეს ეამა ჩემი გამბედაობა.

— შენ ძლიერი კაცი ყოფილხარ, — მომაძახა მან, — მაგრამ ჩემი სიტყვა დაიმახსოვრე, მარტო ხეტიალს ამ მთებში მოეშვი.

— მაშინ ჩამრიცხეთ თქვენს ჯგუფში და ყაბულს ვიქნები.

— კარგი, — მომაძახა ალიოშამ და წინსვლა განაგრძო.

მეც დინჯად გავყევი ჯგუფს ჩამკეტად, უფრო ალიოშას კვალს ავეკიდე.

აქედან დაიწყო ჩემი და ალიოშა ჯაფარიძის მეგობრობა, დამყარდა სულიერი კონტაქტი. გულმა გული იცნო და მარჯვენამ მარჯვენაო, ჩვენზე იტყვიან, — ხშირად იტყოდა მერე ლევანი.

ლევანს აკვირვებდა ალიოშას გარდასახვა, დაკავშირებული მწვერვალთა დალაშქვრასთან, რაც მის სულიერ სიძლიერეს გამოხატავდა. ქვევით, ველზე, ეს წყნარი და დინჯი კაცი, მთა-

ში თუ ყინულოვან კლდეებზე უძლიერეს დევგმირად გარდაიქმნებოდა, რაც არ უნდა მძიმე დასაძლევი ყოფილიყო. ყინულოვანი ფიქალი კლდეები თუ მიუდგომელი მწვერვალები, ალიოშა ვეფხვივით მაგრად მოკიდებული თითქოსდა ბრჭყალებით, უსაზღვროდ მოქნილი ტანის მოძრაობით ოსტატურად შეფოფხდებოდა და ამაყ მწვერვალს ქვეშ მოიქცევდა. მაშინ უნდა შეგეხედათ მისთვის — სამშობლოს თუ ბუნების უსაზღვრო სიყვარულის გრძნობა როგორი შარავანდედით მოსავდა.

— ალიოშასთან მთამსვლელურმა თოკმა სამუდამოდ დამაკავშირა. ჩვენ განა მარტო მთამსვლელობა და ძნელსავალი გვაერთიანებდა, განა მარტო მწვერვალებისა და ბუნების სიყვარული, მთამსვლელობა ჩვენში მარტო მთაზე მსვლელობა არასოდეს ყოფილა, ეს ჩვენი ეროვნული ისტორიისა და გეოგრაფიით ნაკარნახევი მოღვაწეობაა, ქართული სულით გაჟღენთილი.

ლევანი აღფრთოვანებული იყო ოსტატის, ნაცადი მთამსვლელის, გეოლოგის ალიოშა ჯაფარიძის პიროვნებით, მისი ყოველმხრივი ნიჭით, ფართო მასშტაბის აზროვნებით, საქართველოს ბუნების უზადო ცოდნით, სიყვარულითა და ქომაგობით. ალიოშა დაჯილდოებული იყო ნამდვილი ვაჟკაცური ბუნებით, იყო უაღრესად დიდი პატრიოტი.

დევდორაკის ბანაკში ცოტა ხანში ალიოშა ჯაფარიძემ ლევანს კავკასიონის სხვა მწვერვალის დალაშქვრაში მონაწილეობის მიღება შესთავაზა, რაზედაც ლევანი სიხარულით დათანხმდა. ეს იყო ალიოშა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით საქართველოს სამთო კლუბის ექსპედიცია, რომლის შემადგენლობაში შედიოდა 10 საუკეთესო მთამსვლელი. გადაწყვეტილი იყო ასვლა მწვერვალ შავანაზე. ეს მწვერვალი სიმაღლით 4430 მეტრს არ აღემატებოდა ზღვის დონიდან, მაგრამ სიძნელით მე-3 ხარისხს უდრიდა. ექსპედიცია დაიწყო 1937 წ. 15/IX. შავანა ძნელად მისადგომი, უკარებელი ხრიოკი მწვერვალია. მრავალმა მთამსვლელმა შეატეხა თავისი ძალა უშედეგოდ. ჯგუფს მდინარე ხდეს ხეობით უნდა ევლო. სწორედ ხეობის თავზეა აყუდებული მწვერვალი, შეიძლება ითქვას შავანას ჩრდილი ხდის ხეობას აწევსო.

ლევანი აღფრთოვანებული იყო ხდის ხეობის სილამაზით. როგორც ბავშვი, ისე განიცდიდა და გულთან ახლოს მიჰქონ-

და კინოფირივით სწრაფად მონაცვლე ულამაზესი ხედები, ზვრები, წყაროები, ჩანჩქერები, მდინარეები, ბუმბერაზი მყინ-ვარები და მწვერვალები. ერთ-ერთი სიმაღლიდან წინ, მოპირ-დაპირე მბარეს, დარიალის ხეობა და ციხის ნანგრევები რომ დაინახა, ხმამაღლა წამოიძახა:

„ტიალო დარიალაო...
კლდენი ხარ ცარიალაო“.

— ხშირად ჩუმად, მალულად, ფიქრებში გადავვარდები. მახსენდება ჩემი მძიმე ცხოვრების წინა წლები, როგორ დავ-ძრწოდი ქურდულად, ქურდი დარიალში. მშობლიურ მიწა-წყალზე, მწვერვალებზე თუ ველებში ვპოულობდი სულის სიმშვიდეს და სრულ თავისუფლებას. მაშინაც კი, როდესაც ჩეკას მიჯაჭვული ვიყავი, მშობლიური ბუნება იყო ჩემი მფარ-ველი და მაცოცხლებელი. ახლა კი რა მომდის, თვითონ არ მესმის... როდესაც სინამდვილეში თავისუფალი ვარ, გალალე-ბული და ჩემი თავის ბატონ-პატრონიც, თითქოს ორმაგად უნ-და შევიგრძნო თავისუფლება. სწორედ ახლა ვარ შებოჭილი. გულზე ლოდად მაწევს საქართველოში ეს მძიმე, საშინელი წელი. შინაგანი თრთოლვა და ჯავრი დამჩემებია, ხშირად თვითნებურად ფიქრი იქით გამირბის. დიახ, დღევანდელობა საშინელმა დრომ მოიტანა, შერკინება უშედეგოა და მთაში ვეძებ ჩემი თავისუფლების თავშესაფარს. რატომ, რისთვის? მე თვითონაც ამ მძიმე ამოცანას ვეღარ ვხსნი. ჯერ ხომ არა-ფერი მემუქრება, ჩემი გულისტკივილი ზოგჯერ ქარწყლდება მშობლიური ბუნების საოცრებებით, მაშინ სრულყოფილად ბედნიერი ვარ. ჩემს გარშემო შესანიშნავი ხალხია — მთა-მსვლელები, გულადი, ერთგული, მოაზროვნე, უშიშარი და მედგარი ადამიანები. სხვა ხასიათის კაცი მთაში ვერც გაძ-ლებს. ხეობაში ღამე ჩამოწვა, მონაქროლმა სიომ ყურიდან, შინოდან და უდრეკი შავანიდან მძიმე ფიქრი განდევნა, აწმყო-ში გადმომისროლა:

„მაგათ უპირაეთ სიმაგრე
დარიალის და ხდისაო“...

გარიჟრაჟზე ხდის ხეობის სათავეს მივადექით. ამბობენ, რომ ვინც ამ მდინარის წყალი დალია და წყურვილი მოიკლა, ხდედალეული შეერქმევაო.

მე ხარბად და უცნაური სიზვიადით წკრიალა წყლის ქაფს დავეწაფე.

— ძმებო, ძმებო, მეც ხომ თქვენსავით ამის შემდეგ ხდეულეული ვარ, თერგდალეული კაცი.

ამ ხეობაში მთამსვლელები გაბმით მივდიოდით. მათ მყარ ბიჯებში დაძლეული მწვერვალის რიხი იმჩნეოდა.

ალიოშა — მთის წინამძღოლი — ათას მზერად ზომავდა მწვერვალს, არჩევდა გზა-გეზს, უფრო იოლ სავალს ჩვენს ასაყვანად. ალიოშა მრავალმხრივი საზოგადო მოღვაწეც იყო და მწერალიც, ჩვენი დიდებული მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების უმაღლესი, უმარადიულესი ძეგლების დამდგმელი და მომნათვლელი. ის წინ გაიჭრა, კვალდაკვალ მისდევდა ჩვენი ქარავანი თოკგადაბმული. მთაში თოკსაც აქვს მეტყველი ენა. ყოველი ნაბიჯი მთაში საფრთხილოა, როგორც ცხოვრებაში, ღრმად განსაკვრეტი და გასაზომი. სულ წინ და მაღლა სწრაფვა, სიძნელეების დაძლევა და მწვერვალების დაპყრობა, ეს სიხარული, ზეციური შეგრძნებაა. თუ ერთხელ ეს განცდა განიცადე, მთას ვეღარ ჩამოსცილდები. ყველა მონაწილეს აქვს თავისი ნიშან-სვეტი, ხასიათის შინაგანი განწყობა, რომელიც მთაში ადვილად ვლინდება.

ლევანმა თავისებურად დაახასიათა თითოეული მათგანი:

1) **ალიოშა ჯაფარიძე.** ამ სახეში ხასიათს ვერ ამოიცნობ, ვნებათა ღელვას და ნებას ვერ წაიკითხავ... იქნებ სწორედ ეს არის ნების მწვერვალი. ეუმზერ და მიკვირს, ამ მხრებზეა შეწყობილი მრავალი ბუმბერაზი მწვერვალის ძლევა, ამ მუხლმა და ხერხემალმა გადახნა თითქმის მთელი კავკასიონი. მანვე ძმის სისხლი აიღო თეთნულდის წვერზე, შესანიშნავ მთამსვლელ დასთან — ალექსანდრასთან ერთად. თავისი დაუდგომელი ლტოლვით პამირი დალაშქრა, იქვე ფეხის ათივე თითი შეატოვა. მაინც არ მოიდრიკა. ეს უღალატო „მთა მურაზი“ ახალ მწვერვალებს ახალი ძალით ეჭიდება. მთაში თუ კალამი მე მეკუთვნის, წერაყინი და სული ალიოშასია.

2) **არჩილ ღუდუშაური.** მთასვლის ინსტრუქტორი. რომანტიკული ბუნების კაცია, დღიურებს წერს. ოდესღაც ჩემი მოწაფე, ახლა დამეწია და მთამსვლელობაში მასწავლებლობასაც

მიწევს. ესტატე ღუდუშაურის ძლიერი მოდგმაა. საუკეთესო სპორტსმენი ძმები ჰყავს ძლიერი სულით — პავლე, ირაკლი, ლევანი.

ლამაზ ლეგენდასა ჰგავს ჩემი და არჩილის შეხვედრა მთაში. სწორედ ამაზე იტყვიან — მთა მთას ვერ შეხვდებაო, თორემ კაცი კაცს კიო. შავანაზე ასვლის დროს სულ ჩემს გვერდით იყო, გაჭირვებაში მეხმარებოდა.

3) **ნიკო ტარასაშვილი.** გეოლოგი, მთამსვლელი, სწავლული, უაღრესად კეთილი და კარგი მეგობარი. მთაში მძიმე პირობებში ხშირად დედაჩემის სიტყვები მაგონდებაო: სამი შვილი ჰკვიანი გამომივიდა. მეოთხე კი ალპინისტიაო.

4) **კოტე ჯავრიშვილი,** კარგი გეოლოგი და მთამსვლელი, ბრგე, ვაჟკაცი კაცი, სწავლული, განათლებული. მთაში დინჯი შოაზროვნე, ბარში ხუმარა, მხიარული, მოსიყვარულე, დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით დაჯილდოებული.

5) **ეორა ქავთარაძე** — მთამსვლელი, ინსტრუქტორი, ენამახვილი და ხალისით სავსე. კარგი მეგობარი, ბრგე კაცი, მომმარაგებელი განსაკუთრებით წყლის შოვნაში. წყურვილმა დაღლა იცის, დაღლამ კი წყურვილიო, დალიეთ წყალი, რამდენიც ვენებოთ, მაგრამ ესეც დაიმახსოვრეთო.

6) **ოსმან კაზალიკაშვილი** — ყველაზე ახალგაზრდა ჩვენს შორის. კაზალიკაანთ „გორისა". მწვერვალების ჯიხვობა და არწივობა მუხლში და გვარში მოსდგამთ.

7) **ვასო ხაიკაშვილი** — მოხევე, კარგი მთამსვლელი, ფიცხელი და მტკიცე. იცის თავაზი სიტყვაში, იცნობს ხდის ხეობაში ყოველ ბილიკს. კარგი მონადირეა.

8) **იოსებ არუთინოვი** — ტოპოგრაფი, კარგი მთამსვლელი. სიძნელეში გამტანი, კეთილი კაცი, ყველას მოსიყვარულე და მზრუნველი.

9) **ევგენი ფირმუკი** — მთამსვლელი, ინსტრუქტორი, დაკვირვებული, ბევრგზის გამოცდილი, დინჯი, წყნარი, მთაში გამძლე, კარგი მეგობარი.

10) მე, **ლევან გოთუა**, რომელმაც წერაყინი და კალამი ხელში ერთად დავიკავე. მთელი არსებით ბუნების წიაღში გადავვარდი, მშობლიური კავკასიონის ყინულოვანი მწვერვალების სიდიადემ და წარმტაცმა, ზღაპრულმა სილამაზემ დამატყვევა და ჩემი კალამი აამეტყველა. სულიერი სიმშვიდე და სიამაყე შემმატა.

ამ საზოგადოებამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა შინაგანი მთლიანობა, ამაღლებული ერთობლივი ეროვნული სულისკვეთება, ვაჟკაცობა, მძლეობა და ბრძოლისუნარიანობა ბუმბერაზი სიძნელეების დაპყრობაში.

მოგვყავს წიგნიდან („ხდედალეული") ამოკრებილი რამდენიმე სტრიქონი:

„კერკეტნო სამნო არწივნო
და ვეფხვნო, სალის კლდისაო,
ჩამოდით, ჩამოტიალდით,
მტერი მაგიდგათ ძირსაო...
..საქართველოს მთამსვლელები
მთაში მოვედით ჯარადა"...

„და, აი, მწვერვალი შამანა დაძლეულია, აზრი გავარღა დაჰკრა ხერხემალს, მუხლმა ხტომა მოზიდა. აქ ნებაც არის, ძალაც და, რაც მთავარია და უპირველესი ჩემთვის, წმიდათაწმიდა თავისუფლება".

ლევანი ლაღობდა მწვერვალზე ასვლით. მის ჩანაწერებში დიდი სიამაყე და სიძლიერე ვლინდებოდა, დღიურის მინაწერში კი ადამიანთა შეფასებაა: „მთამსვლელობა უპირველესად ვაჟკაცობაა, ნებისყოფისა და ჯანის ურთიერჭიდილი, მუხლის და სიტყვის სიმტკიცე, ხასიათის სიმყარე, გაუტეხაობა, სიამაყე, ერთსულოვნება, სიკეთილე, ურთიერთგატანა, დახმარება, თუ გინდ ურთიერთ თავის შეწირვა. დიახ, ეს თვისებები თუ გაქვს მოჭარბებული, ნამდვილი კაცი ხარ, ყველგან კაცად ვარგიხარ და მთებში მით უფრო გამოდგები. იქ კი, ღრმა ბარში, რა უბედურებაა, ღირსეული თუ უღირსი ერთნაირად უნდა ეფარებოდეს თანამედროვე რიტმს და გულისცემას. ისეთი მძიმე დრონი მეფობენ, რომ ძლიერებიც უძლურდებიან".

მწვერვალზე ყველამ სიამაყე და სიძლიერე იგრძნო. შავანაზე პირველი ამსვლელი (1935 წ.) გერმანელი ყოფილა, დოქტორი ლუდვიგ ობერშტაინი. მას ამხანაგიც ჰყოლია — ბაუე-

რი, მაგრამ ის მწვერვალზე ვერ ასულა. ჩვენს ბარათს ნეტავ ვინ ჩამოიტანს? სასურველია დიდებული კავკასიონის ყველა მწვერვალზე პირველ ამსვლელებად ქართველი მთამსვლელები იყვნენ, რომ „სამომავლო პატარა წელილი" სამომავლო საქმეში გადაიზარდოს.

ლევანმა 1937 წელს „მწვერვალ შავანაზე ასვლის" ჩანაწერები შემდგომ გადაამუშავა და 1940 წელს პატარა წიგნად გამოსცა — „ხდედალეულნი". ეს წიგნი უძღვნა ოსტატს, ნაცად მთამსვლელს — ალიოშა ჯაფარიძეს. ამ წიგნს ლევანის ცხოვრებაში ორმაგი მნიშვნელობა ჰქონდა: ჯერ ერთი, რომ „ხდედალეული" ლევანის პირველი ლიტერატურული ნარკვევი იყო, რომელიც პატარა წიგნის სახით დაიბეჭდა. თინა ამ პატარა წიგნით ლევანს ლიტერატურის დიდ სარბიელზე გასვლას უწინასწარმეტყველებდა და ეუბნებოდა: ეს პატარა წიგნი, აი ნახე, შენ, ლევან, კარგ მეგზურად გამოგადგება ლიტერატურის ღრმა, შეუღწევად სივრცეებშიო. მეორეც, ალპინიზმის ისტორიაში პირველად დაიბეჭდა ასეთი ნარკვევი, სადაც არა მარტო მწვერვალზე ასვლის კონკრეტული ფაქტებია აღნუსხული, არამედ ლიტერატურულ ფორმებში საკმაოდ დამაჯერებლად და წარმტაცადაა ასახული მწვერვალ შავანის დალაშქვრის დროს გადატანილი განცდები და მწერლის თვალით ხილული სურათები. „შავანამ მე შემასისხლხორცა ალპინისტების დიდ ჯგუფთან, გამიჩინა ნამდვილი მეგობრები, რომლებსაც ყველა საკითხში ვენდობი. აი, რა არის მთა და მწვერვალი", — სიამაყით გვიამბობდა ლევანი.

ლევანმა იმდენად შეგვაყვარა მთები, რომ ჩვენ ყველანი — სანდრო, თინა, თამარი და მზია მთამსვლელები გავხდით.

მოგზაურობის შემდეგ ლევანი რამდენიმე დღით სახლში ჩამოვიდა, დედა გაახარა. კარგად გამოიყურებოდა, მზისგან დამწვარი, უფრო დავაჟკაცებულიყო. მერე ლუქსემბურგში წავიდა კვლავ, თავის ეკონომიკურ საქმიანობას შეუდგა.

საქართველოში ვითარება ყოველმხრივ გამწვავებულიყო. ლევანი სახლში ჩაიკეტა, წერა-კითხვას მონატრებულმა უფრო ენერგიულად მოჰკიდა ხელი ლიტერატურულ მოღვაწეობას.

— ჩემდაუნებურად ვჩქარობ და ვფრთხილობ, — ხშირად ამბობდა ის, — რატომ, არ ვიცი.

ერთ დღეს ლუქსემბურგში ლევანი სრულიად მოულოდნე-

ლად რაიკომში დაიბარეს. ლევანი იქ არ გამოცხადდა და შეუთვალა: პარტიული არა ვარ, სამსახურშიც თბილისში ვარ გაფორმებული, აქ მიელინებით დროებით ჩამოვედიო. მართალია, რაიკომიდან მოეშვნენ, მაგრამ ცოტა ხანში სამხედრო კომისარმა სამსახურში მიაკითხა, სამხედრო ბილეთი მოსთხოვა და პასპორტი შეუმოწმა. გაუკვირდა, რომ სამხედრო ბილეთი საერთოდ არ ჰქონდა და ჩაწერილი არსად არ იყო. იქვე ავტობიოგრაფია დააწერინა. ლევანმა თითქოს წყნარად, მაგრამ დიდი შინაგანი თრთოლვით დაიწყო ავტობიოგრაფიის წერა. გრძნობდა, როგორ ეცლებოდა ფეხქვეშ ნიადაგი. ეს უკვე მისი ლუქსემბურგში და შესაძლებელია საერთოდ ყოფნა-არყოფნის საკითხს შეეხებოდა. საშინლად აღელვებულმა ავტობიოგრაფია რამდენიმე სიტყვით მოხაზა: „მე, ლევან გოთუა, 32 წლის, სამხედრო ვალდებული არა ვარ, გასამართლებული არ ვყოფილვარ, 12 წელიწადი ვიყავი პატიმარი, როგორც „დიდი პოლიტიკური მოღვაწე". ახლა განთავისუფლებული ვარ და თბილისის ცეკავშირში ვმუშაობ ეკონომისტად. დროებით აქ ვარ მოვლინებული, სანამ თბილისში ჩამწერენ". ლევანი თავის ბიოგრაფიას საერთოდ ასე მოკლედ წერდა. ავტობიოგრაფია კომისარს გადასცა. სამხედრო კომისარმა კითხვა რატომღაც ხმამაღლა დაიწყო. ჯერ რიხიანად, შემდეგ სათვალე გაისწორა და ხმას საგრძნობლად მოუკლო. ამასთან ერთად თვალები თანდათან გაუფართოვდა.

მერე საშინლად გაბრაზებულმა ლევანს შესძახა:

— რა, გამამასხრე ამ ბიოგრაფიით? ეს რა არის?

ლევანმა ძალიან აღელვებით უპასუხა: სწორედ, სავალალოა ის არის, რომ დავწერე სრული სიმართლე. გთხოვთ ვაჟკაცურად, ცოტა ხანს დამაცადოთ და მე თვითონ წავალ აქედან, საცაა თბილისის ჩაწერა გაფორმდება.

ლევანი ადგა და სამხედრო კომისარს ჩუმად გაეცალა. საშინლად ღელავდა. ორჭოფულ მდგომარეობაში ჩავარდნილმა არ იცოდა როგორ შემოტრიალდებოდა ეს საქმე. ახლავე გაქცეულიყო აქედან, სად წასულიყო, ამ ზამთრის მოლოდინში მოაში განდეგილადაც ვერ წავიდოდა. თუ წყნარად განეგრძო მუშაობა. ასეთმა დაჭიმულმა მდგომარეობამ რამდენიმე დღე გასტანა. შემდეგ ლევანმა ვეღარ მოითმინა, რაც იქნება იქნებაო და გაბედა, თვითონ მივიდა კომისართან.

— ვეღარ ვისვენებ, დამშვიდებას თქვენგან ველი. ამდენ გაურკვევლობას ვეღარ ვიტან, არ ვიცი, ამჯერად როგორ ვიქნები. საერთოდ გადავრჩები, მითხარით? მირჩიეთ როგორ მოვიქცე, ქართველი კაცი არა ხართ? მე უკვე დავიბენი.

კომისარი, შუა ხნის, პატიოსანი ქართველი კაცი, გაოგნებული შესცქეროდა, მერე დააწყნარა: წადი, თავისუფლად იმუშავე, მე სანამ აქა ვარ, შენ ხელს უბატონოდ ვერავინ გახლებსო. ავტობიოგრაფია ლევანის თვალწინ დახია და ჩუმად იყავიო, გააფრთხილა. ამჯერად ბოდიშთან ერთად ლევანმა კომისარს დიდი მადლობა გადაუხადა.

გავიდა საქართველოსათვის უმძიმესი 1937 წელი. რაც ხდებოდა საქართველოში და, კერძოდ თბილისში, ძნელი ასაღწერია. განადგურდა ისედაც მცირერიცხოვანი ქართველი ერი. ლევანი რაიონში ადგილს ვერ პოულობდა, მეტად შეწუხებული იყო სამშობლოს გაურკვეველი მომავლით, იმ შემზარავი გარემოცვით, რაც მთელ საქართველოში სუფევდა.

„მოლოდინი დილით-დილამდე...
ძოლოდინსაც უნდა გარჩევა,
დღეს მივიღე ბარათი საქართველოდან,
თურმე მელიან.
მე კი აქ ვარ ლურსმანივით ნაჩაქუჩევი“...

საშინელი ბრძოლის სულისკვეთებით ჩამოვიდა კიდეც თბილისში, თავისი ჩანაფიქრი ოჯახს გააცნო:

— ძძიმე ფიქრები მომაწვა, არ შემიძლია შევეგუო ამ უსამართლობას. ბევრი საზრუნავი და საოხავი განვეკვრიტე, სიკვდილის შიშიც დავკარგე, ქართველთა უმოწყალოდ განადგურების ასე უშოქმედოდ ცქერა, ცხოვრების მიღმა ყოფნა შეუძლებელია. გადავწყვიტე: საჭიროა მოქმედება — ჩემი და ჩემი თანატოლი ამხანაგების არალეგალურიდან აქტიურ მუშაობაზე გადასვლა. ნუთუ ვერაფერს ვერ გავხდებით?!

— რას ამბობ, ლევან, — სასოწარკვეთილებით შევძახეთ ყველამ. შენ ალბათ ვერ საზღვრავ დროს და მთავრობის სისასტიკეს. ახლა პოლიტიკური ბრძოლის გამოცხადება შეუძლებელია, ეს ნიშნავს შენი და მთელი ჩვენი ოჯახის განადგურებას.

ცხარე კამათის შემდეგ ლევანი ძლივს დავითანხმეთ, რომ

სადღეისოდ ამის წამოწყება შეუძლებელია და საჭიროა უფრო ხელსაყრელი დროისა და პირობების გამონახვა. მიუხედავად ამისა, ლევანმა თავისი განზრახვა მაინც გაუმხილა თავის ამხანაგებს, მაგრამ ამაოდ. ძალიან გულნატკენი დაბრუნდა შინ, ხალხი ისეთი დაშინებული და დაკნინებულია, ამის მოსმენაც კი არ უნდათო. მერე თავის თავს უძღვნა ქაღალდის ნაგლეჯზე ეს ჩანაწერი:

„არის ფიცი გატეხილი, არის დუღაბი
და არის კიდევ უპიროვნო ჩამონაწოლი.
შენ ალბათ გვიან დაიხეხილე, რომ
იმდუღრები, და გინდა ბრძოლა
სურვილ დამშეულს“.

ლევანმა თბილისში იმდენი მძიმე ამბავი გაიგო და მოისმინა, რომ თვითონაც შეშინდა. ისევ რაიონში წავიდა და მთლიანად გადავარდა მწერლობაში. ზამთრის გასვლას მოუთმენლად უცდიდა. ზაფხულში კი ისევ მთაში აპირებდა წასვლას.

— განდეგილივით მთაში უნდა წავიდე, იქ არის ჩემი თავშესაფარი და თავისუფლება. ორპირი სატევარი — ტკივილი და დაამებაო, — ხშირად იმეორებდა ის.

1938 წელი ლევანისათვის მაინც სიკეთით დაიწყო. ოჯახში დიდი სიხარული შემოფრინდა. გაზეთ კომუნისტში აღმოჩნდა პატარა ცნობა: საქართველოში ცხოვრობს მწერალი ლევან გოთუა, რომლის პიესამ „მეფე ერეკლემ“ საკავშირო კონკურსში, მოსკოვში გაიმარჯვა და მაღალი ჯილდო დაიმსახურა. ჩვენ კი, საქართველოში, არც მწერლის ვინაობის და არც პიესის არსებობის შესახებ არაფერი ვიცითო. მაშინვე ლევანთან გავიქეცით და გავახარეთ.

ეს მისი ლიტერატურული ნიჭის პირველი გამარჯვება იყო, ისიც საკავშირო აღიარება. აღელვებული ლევანი სულ იმას გაიძახოდა: შეიძლება მეშველოს რამეო. იმედი მიეცა. ხოვსულ ეშინოდა, ბედმა არ გამწიროს, ისევ არ ჩამაგდოს განსაცდელში. სადღაც განგება შეძლებისდაგვარად მაინც მფარველობსო. „ჩაძირული სოფლის“ ჩავარდნამ დროებით ლიტერატურაზე ხელი ააღებინა. ამდენი ხნის მოსკოვიდან უპასუხობამ „მეფე ერეკლეზე“ კი სულ დაუკარგა იმედი.

ჩვენთვის ნათელი იყო, რომ ამდენი ხნის მანძილზე პიესა „მეფე ერეკლეს“ შესახებ არაფერი ცნობა რომ არ მოვიდა. ამას ლევანი ძალიან მწვავედ განიცდიდა, მაგრამ დუმდა, მით უფრო, რომ კონკურსის ვადა დიდი ხნის ჩათავებული იყო. ახლა ალაპარაკდა სიხარულით: — ალბათ პიესამ არ ივარგა, ვერ გაიტანა თავი, — ასე ვფიქრობდი, ახლა კი... ხარობდა ლევანი.

ლევანმა გადაწყვიტა ლიტერატურული შემოქმედებისათვის სერიოზულად მოეკიდა ხელი და ისტორიულ თემებზე დიდი ტილოები შეექმნა. ამისთვის კი საჭირო იყო მასალების შეგროვება ბიბლიოთეკებში, მუზეუმებში და არქივებში. დაბრკოლება დიდი იყო — თბილისში ჩაუწერლობა. მაინც გადაწყვიტა თბილისში გადმოსახლება.

ცოტა ხანში ლევანმა ლუქსემბურგში ანგარიში გაასწორა და თბილისის ცეკავშირში გამოცხადდა:

— ეკონომისტობას ვაცს ვანებებ და მწერლობას ვიწყებო, — განუცხადა მან ქალბატონ ლიზა მუსხელიშვილს. ქალბატონი ლიზა ჩვენს ოჯახს კარგად იცნობდა და ლევანს ეხმარებოდა. მას ყოველთვის უთანაგრძნობდა. ამ მთავრობისაგან თვითონაც მეტად გაწამებული იყო, ქმარი უდანაშაულოდ დახვრიტეს, თვითონ და პატარა გოგონა — ნონა ძლივს გადაურჩნენ რეპრესიას, რამდენი წვალება გადაიტანა, ვინ მოთვლის? იმ წელს როსტომ მუსხელიშვილთან ერთად 15 საუკეთესო პატრიოტი ვაჟკაცი — ქართული ჯარის წარმომადგენლებიც დახვრიტეს. მამა ხშირად დიდი სინანულით იგონებდა ა. ანდრონიკაშვილს, ვ. წულუკიძეს, გ. ხიმშიაშვილს, კ. აფხაზს, ნ. ზანდუკელს, ს. ბაგრატიონ-მუხრანსკის და სხვებს.

ქალბატონმა ლიზამ გაკვირვებით და უნდობლად შეხედა ლევანს — საიდან სადაო, კარგი ეკონომისტი კაცი ხარ ღარად გინდა მწერლობაო.

— მე ამაყად ჯიბიდან გაზეთი ამოვიღე და წავაკითხე, — გვიყვებოდა ლევანი, — ქალბატონმა ლიზამ დიდი სიხარულით გააცნო თავის თანამშრომლებს ჩემი თავი, როგორც მომავალი დიდი მწერალი. მე შემრცხვა. ასეთ წარდგენას არ მოველოდი, წინააღმდეგობაც გავუწიე. ჯერ არავინ იცის და, მაინ შორის მე თვითონაც, რა მწერალი გამოვალ-მეთქი. მაგრამ ქალბატონმა ლიზამ ღიმილით მითხრა: — შენ თუ ცუდი მწერალი

გამოხვალ, უკეთესია ისევ აქ, ჩვენთან მოდი, ცეკავშირში, აქ კარგი ეკონომისტის სახელი დაიმსახურეო.

ლევანი თბილისში გადმოსვლისთანავე შეუდგა ჩაწერაზე ზრუნვას. ინტენსიურად დაიწყო საჯარო ბიბლიოთეკაში შემდგომი პიესისათვის მასალის მოპოვება.

თბილისში ჩაწერა იგვიანებდა, მისთვის ეს იყო მეტად მტკივნეული საკითხი, ამიტომ ცდილობდა ზედმეტად არავის შეემჩნია მისი აქ ყოფნა.

— XX საუკუნის სრულყოფილი გრძნობა ნამდვილად ახლა დავკარგეო, — იმეორებდა ის. მისი გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ ორ წელზე მეტმა დრომ განვლო. თბილისში კი ვერა და ვერ ჩაეწერა, აეშალა ფიქრები ლევანს. დედამ ვინ არ შეაწუხა, მთავრობის ყველა ინსტანციას განცხადებით მიმართა. პასუხი არ იყო.

ზაფხულის ერთ დღეს, სრულიად მოულოდნელად, ლევანი ისევ ჩეკაში გამოიძახეს. რა თქმა უნდა, ისევ აღრიცხვაზე აიყვანეს და თბილისში ჩაწერის ნება დართეს.

— მე, სულმთლად მართალს, რა მჭირს ასეთი? — ცხარობდა ლევანი, რატომ? რისთვის? მუდმივად ამ მძიმე და უნდობი დაწესებულების მეთვალყურეობის ქვეშ უნდა ვიყო? ხომ ყველა სასჯელი მოვიხადე, თავისუფლება მივიღე, ახლა რაღა უნდათ ჩემგან.

— ნუ ღელავ, ლევან, ხომ არ შეიძლება ყოველთვის ასეთი რეპრესიები და 1937 წელი მძვინვარებდეს. საქართველოში ვინღა უნდა დარჩეს. ალბათ, ცხოვრება მალე ჩადგება კალაპოტში, — ვამშვიდებდით ოჯახის წევრები.

1938 წელს, როგორც იქნა, ლევანი მუდმივ საცხოვრებლად ჩაწერეს თბილისში. ჩაწერის გულისწყრომა მალე დაივიწყა. სანამ საქართველოში ვარ, უნდა ვიმოქმედო და ვიშრომო ჩემი სამშობლოს საკეთილდღეოდ, მერე რაც იქნება იქნებაო, ხალხნი ვართ და ყველაფერი გამოჩნდებაო, გადაწყვიტა მან.

ლევანი თბილისური ცხოვრების აქტიური წევრი გახდა, მისი მოღვაწეობაც სხვადასხვა მიმართულებით წარიმართა. მეტად ინტერესიანი კაცი გახლდათ. წაკითხულს, გამოგონილს, ვინმეს ნაამბობს თუ სადმე მოსმენილს გულისყურის გარეშე არ ტოვებდა, შემდგომში უსათუოდ საფუძვლიანად გაარკვევ-

და. შეისწავლიდა, უამრავ ლიტერატურულ ძველ თუ ახალ წყაროს, წიგნებს დაკვირვებით გადაფურცლავდა და მისთვის საჭირო მასალას უბის წიგნაკში გადაიტანდა. ზოგჯერ წითელი ფანქრით შემოხაზავდა კიდეც. ეს, მისი გაგებით, იმას ნიშნავდა, რომ განსაკუთრებულად საინტერესო მასალაა და ახლო მომავალში გასარკვევიც.

— სხვადასხვა მნიშვნელობის წიგნები არსებობს, კეთილი და ავი, საზიანო, — ხშირად იმეორებდა ლევანი. — არის წიგნი-მეგობარი, არის წიგნი-მასწავლებელი, არის დედის წიგნი — მშობლიური სამყარო. ეს ქართლის ცხოვრებაა. გზაც წიგნია და ცხოვრებაც, მთაც წიგნია, ზოგი დაწერილი და ზოგი დაუწერელი, ზეპირად ნათქვამი, გულის ფიცარზე და შუბლის ძარღვზე გაკრული. ვუშველოთ ამ კეთილ წიგნებს, სასოებით შემოვინახოთ, ვაზიარეთ ახალგაზრდები სიმართლის წიგნებს. ავაშოროთ ისინი ამ ბოლო პერიოდში საოცრად გამრავლებულ გაყალბებულ, დამახინჯებულ, არაპატრიოტულ, მავნე და საზიანო წიგნებს.

უცნაური ნიჭის და მეხსიერების პატრონი იყო ლევანი. ერთხელ ჩაფიქრებულს ვერ დაივიწყებდა და, როგორც კი ოდნავ შეღავათს იგრძნობდა, თუ გინდ 10 ან 20 წელი ყოფილიყო გასული, ამ ოცნებას მაინც შეისრულებდა, ამ თემას მაინც დაუბრუნდებოდა. მაგალითად, ზემო ხვედურეთში ნანახი და განცდილი, თორმეტი წლის შემდეგ, 1944-45 წლებში, შეამოწმა და შესანიშნავი ნოველა გამოაქვეყნა — „ყინწვისის ანგელოზი".

1946 წლის გაზაფხულზე მოგზაურობის დროს ნანახი და ჩანახული „ხილთა ქება" 1964 წელს გამოაქვეყნა. ბავშვობაში ნანახი თეძმის ხეობის ციხე-კოშკები და რკონის მშვენიერი გარემო 20 წლის შემდეგ აღწერა და გამოაქვეყნა.

— თითქოს ოდნავ ფარდას ავხდი და წვრილი გორგალძაფებივით ფაქტები ერთმანეთს აეკინძება, — ამბობდა ხოლმე ლევანი. — ღრმად განცდილი ჩემს მახსოვრობაში, ხშირად მთლიანად გამონათდება და დიდხანს, დიდხანს მოსვენებას არ მაძლევს. საოცრებით აღსავსეა ჩვენს სანუკვარ სამშობლოში უამრავი საძიებელი, აღმოსაჩენი და მოსაძებნი ფაქტები, ჩვენი უძველესი კულტურის, განათლების, სიბრძნისა და ძლიე-

რების დამადასტურებელი. ისევ მოგზაურობა, ხეტიალი, ისევ ძებნა უპოვარის.

თუ წარსულის ისტორიაში ვერ გაერკვიე, ასე იფიქრე, აწმყო ზერელედ იცი, მომავალზე ხომ სულ ვერ იფიქრებ.

ადამიანი, რომელიც არ იცნობს თავის მიწა-წყალს, არც არის ღირსი ამ მიწა-წყლისა. ქართული ენაც ხომ ჩვენი, ქართველების ახმაურებული მიწა-წყალია, აქ მცხოვრებმა ყველა ერმა უნდა გაითავისოს და შეიყვაროს.

საქართველოში რამდენი იდუმალებით აღსავსე ისტორიული ძეგლია. მიუვალი საიდუმლო სვეტები თუ შეუღწევადი ქვაბულები ხომ ჩვენი მშობლიური ისტორიის განუყოფელი ნაწილია. ვახუშტის წიგნი — ეს ხომ გზა-კვალია. ვეძიოთ, ვიკვლიოთ წინაპართა ღვაწლი. მაშინ მომავალსაც სწორად აღვიქვამთ და შევითვისებთ.

ჩვენი ერის უძველეს მოდგმას სამოგზაუროდ მუდამ ორი უბე-აკვანი ჰქონდა მღელვარე შავი ზღვა და დიდებული თეთრი კავკასიონი.

ლევანმა მოიმარჯვა კალამი და წერაყინი და მთელი საქართველოს მთა-ბარის შემოვლა დაიწყო. მოინახულა ადგილები, სადაც ახალგაზრდობაში გადასახლების გამო ვერ მიაღწია, დაწყებული დიდებული კავკასიონის მარად დათოვლილი უმაღლესი მწვერვალებიდან, გათავებული ზღვის სანაპიროთი. უამრავ ახალგაზრდას აუღერღა ამის სურვილი. ბევრი მეგობარი გაიჩინა, მათთან ერთად იმოგზაურა.

— მოგზაურობა სულის გალაღებაა, ის ჩემს გულსა და კალამსაც უფრო ამოქმედებს, ვიდრე ცივი გონება და მოვლენათა ხელზუსტი აღნუსხვა, — ხშირად იმეორებდა ლევანი, — წარსულის სიბრძნე წაიკითხე შიშველი გულით და სცადე ჩემზე მეტი ამოიკითხო. მოგზაურობა და ისტორიული ძეგლების შესწავლა ჩემი სანუკვარი ოცნება და სიყვარულია, სწორედ ეს მამოქმედებს ყოველთვის.

1938 წლის ზაფხულში საქართველოს მთამსვლელთა კლუბში ალიოშა ჯაფარიძემ ახალი პატარა ჯგუფი შეადგინა კავკასიონის მიუვალი მწვერვალების დასალაშქრავად და ლევანიც ჩართო. ჯგუფი 4 წევრისაგან შედგებოდა: ალიოშა ჯაფარიძე (ხელმძღვანელი), მისი და ალექსანდრა — სათნო, ამასთან ერთად ძალიან გამჭრიახი, მედგარი და ვაჟკაცური ბუნე-

ბის, გამოცდილი მთამსვლელი ქალი, კოტე ჯავრიშვილი და ლევან გოთუა — მთის დიდი ტრფიალი.

ლევანი იგონებდა: ცოტა ხნის შემდეგ სტუმარიც შემოგვეგ-მატა — ვანო გალუსტოვი. გულგალაღებული სტუმარმასპინძ-ლობა ქართველების შეუვალი და ულამაზესი კანონია. საკუ-თარ კერაში სტუმრის მიღება უფრო გვიყვარს, ვიდრე თავად სტუმრობა. მით უფრო მთაში, ყოველთვის ხელხვავიანობის გადამეტება გვირჩევნია (შეძლების მიუხედავად), ვიდრე მოკ-ლება.

ეს ლაშქრობა უაღრესად მძიმე და საპასუხისმგებლო იყო. ექსპედიციას უნდა გაევლო მეტად საინტერესო და უმძიმესი გზა, დაკავშირებული ბევრი მწვერვალის დალაშქვრასთან და უსახელო, ღირსშესანიშნავი მწვერვალების ნათლობასთან, ეგ-რეთ წოდებული ბეზინგის კედლის ტრავერსი ცენტრალური კავკასიონის ქედზე. დაწყებული ფასის მთიდან, გათავებული აილამის ჩალეწილი ყინვარით და უფრო ქვევით ჩაგლუვებუ-ლი ყინვარით დიხ-კოტიუ-შუღოი-სუთი. ამ მწვერვალის სახე-ლიც მის სიძლიერეზე და დაპყრობის სიძნელეზე მეტყველებს. ვერც დედაჩვენის თხოვნა-მუდარამ, ლევანი მთაში აღარ წა-სულიყო და ინტენსიურად მოეკიდა ხელი წერისათვის, ვერც დების ერთიანმა ჩხუბმა ვერ გაჭრა — ლევანმა მთაში წასაბ-ვლელად მზადება დაიწყო.

მართალია, ჯგუფი ძლიერი იყო, მაგრამ ტრავერსი მეტად მძიმე იქნებოდა. ჩვენი სახლი გადაიქცა საჭურვლის საწყო-ბად. გაივსო მთამსვლელთა სათადარიგო აღჭურვილობით, სა-ძილე ტომრებით, თოკებით, წრიაპებით, სურსათ-სანოვაგით, მოკლედ, ექსპედიციისათვის საჭირო საშუალებებით. ყველა ჩვენთან იყრიდა თავს: ალიოშა, ალექსანდრა, კოტე და სხვა ალპინისტები, უმთავრესად სვანები და მოხევეები, მთაში გა-მოცდილი მრჩევლები. ბჟობდნენ, ერთმანეთს გამოცდილებას უზიარებდნენ თუმცა მთა-გორებამდე და მწვერვალამდე ჯერ საკმაოდ შორი იყო, მაგრამ გული უკვე ლაღობდა, მუხლი ვარჯიშობდა და თვალი ძღებოდა, — ხარობდა ლევანი ულამა-ზესი მშობლიური სურათებით, რომლებიც აღმართთან ერთად სულ უფრო შთამბეჭდავი ხდებოდა. „ზევით, ცასთან ახლოს კი გულმხურვალე მთამსვლელებისათვის კარი ფართოდ გაი-

ღება და თავს მოგვაწონებენ ულამაზესი, დიადი ბუმბერაზი მწვერვალები".

ამინდიც ხელს გვიწყობდა, — განაგრძობდა ლევანი, — გულდაგულ მთას ავყევით და მდინარე რიონის სათავესთან ვიეედით, ქვისა და ყინულის სამყაროში. ღამით მთებში ჯერ ირგვლივ ყველაფერი ბურუსით დაიფარა, მერე უეცრად ქარბუქი ამოვარდა, ისეთი, მარტო კავკასიონის ყინულეთში რომ იცის. შემდეგ კი ამინდი საგრძნობლად შეიცვალა, თოვლი მუქი სიხშირით ბარდნიდა, ფიფქებს ქარბუქი ჭახრაკივით ატრიალებდა და ისევ ზეცისაკენ იზიდავდა, ქმნიდა ჯადოსნურ ქარბორბალას. მერე მოულოდნელად წვიმა წამოვიდა, თოვლ-ჭყაპი და ხოშკაკალა. ჩვენი ნაკვალევი უკვე აღარ ჩანდა. მძიმე პირობებში ჩავვარდით. უამინდობა აქ მერეც გვდევდა მთელი ექსპედიციის განმავლობაში და ჩანაფიქრს გვირევდა.

მთაში წინასწარ ვერ განსაზღვრავ ამინდს. მაინც დინჯად შევუდექით მაჩხაფარის აღმართს, ავდრობით ძაგრულ გზას.

გადასავალმაც ცუდად მიგვიღო. იქ მწყემსები შეგვხვდნენ, ათასი ცხვარი ჰყავდათ გზააბნეული. მადლი მოვისხით, გზა გავუკვალეთ, მეგზურად დავუდექით, სამშვიდობოზე გავიყვანეთ. დიდი მადლობა და ერთი ცხვარიც დავიმსახურეთ. მეორე დილას ნისლი შეირხა, ჩავედით ცხენისწყლის სათავესთან. ძლივს გადავლახეთ ზვავსაშიში ფერდობები და ზესხოს გადასავალს გავცდით. ავდარმა გზა და დრო გაგვიგრძელა. ასეთ თოვლში ტვირთის ზიდვა მეტად მძიმეა და კლდეზე ცოცვა — სახიფათო. შემდეგ მზემ გამოანათა. კავკასიონის ქედს მივყვებოდით. ჯერ მწვერვალი მაჩხაფარი დავლაშქრეთ. 1932 წელს სოსო ასლანიშვილისა და სანდრო გვალიას დატოვებული წერილი ჩამოვიტანეთ (სიმაღლე 3600 მ). შემდეგ ფასის მთაც მოვინახულეთ, აქედან მოსკოვის რადიოინსტიტუტის მთამსვლელთა მიერ დატოვებული ბარათი ჩამოვიტანეთ (3786 მ). შემდეგ გეზი მწვერვალ შარითაუსაკენ ავიღეთ, ესეც დავლაშქრეთ. ამრიგად, ტრავერსის პირველი რკალი შეიკრა: მაჩხაფარი-ფასის მთა-შარითაუ-მაჩხაფარი, უსახელო ზესხოს სათავეები. იდეას, რანაირიც არ უნდა იყოს ის, მაშინ უწერია განხორციელება, როდესაც ადამიანი ამ საქმისათვის თავდადებულია.

მივადექით მძიმე ადგილს — „თეთრ სავალს", „თეთრ ხა-

ფანგს". ალიოშას სწორედ აქ მოუსწრო უდარობამ შარშან და უკან დაახევინა. ამინდი ახლა უფრო გვწყალობდა. წინ ორი უსახელო, ძნელი მწვერვალი იყო აუუდებული. ორივეზე ავედით და მოვნათლეთ კიდეც — დავარქვით „მარჯანიშვილის ქიმი" და „სულხან-საბა ორბელიანი". სიმაღლე 3600 მეტრი იყო, მაგრამ ურთულესი ასავალი, სულ ყინულზე ვიყავით ჩამოკიდებული—„თეთრ უცნობ" უსახელო ფიტნარგინსა და წურუნგალას შორის. კავკასიონის პარნასის ამ ნაწილს კიდევ ერთი მწვერვალი შევმატეთ — ნინოშვილის ქიმი (სიმაღლე 3500 მ), შემდეგ ფიტნარგინის მყინვარის ძირში ცენტრალური კავკასიონის მიუვალ მწვერვალებს მივადექით. დავლაშქრეთ მწვერვალი „შავი უცნობი, (4100 მ) და „თეთრი უცნობი".

ჩვენ თვალწინ უბრწყინვალესი კავკასიონის ცენტრალური ქედი გადაიშალა მთელი თავისი სიდიადითა და ბრწყინვალეებით. გასწვრივ კავკასიონის ორი უდიდესი კედელია — ბეზინგისა და მიყირგის. ამ ორ ზვიად კედელს შორის ერთმანეთის პირისპირ ორი უდიდესი მწვერვალია — „რუსთაველად" და „პუშკინად" მონათლული.

მწვერვალ წურუნგალაზედაც დავდგით ნიში.

მეტად მძიმე აღმოჩნდა მეორე დღე. უამინდობის გამო 17 საათი თოკზე ვეკიდეთ. ღამე უარესი დაგვიდგა. ქარბუქი და ყინვა საგრძნობლად გაძლიერდა, სავალი დაგვიხშო ყოველმხრივ. სიცივე ტანში ატანდა. ყველა მონაწილეს ფეხები დაუზიანდა, მაგრამ ჩემს მეტი ყველა გადაურჩა სრულ მოყინვას. გადასახლებაში მოყინულმა ფეხის თითებმა თავი შემახსენა, შემომიტია. ტკივილი გამიძლიერდა. უკან დაბრუნება ვარჩიეთ, სამშვიდობოს ძლივს ჩავედით. გახდისას წინდებს თითების კანი და სისხლი აპყვა. თითების სილურჯემ და ალაგ-ალაგ სიშავემ ყველას თვალნათლად დაგვანახა მძიმე მოყინვა. სიარული მიჭირდა. კოტე ჯავრიშვილმა ყავარჯნები გამომიჭრა. ძლივს ჩავაღწიეთ მდინარის რიყესთან და დავბანაკდით, იქიდან სოფლებიც ახლოს იყო და ადამიანებიც, სითბოც და საკვებიც.

მოყინვამ თურმე ფიქრისა და ოცნების გამახვილება იცის. თვალს დავხუჭავდი თუ არა, იმწუთშივე ჩვენი ექსპედიციის სვლა-გეზი ამოტივტივდებოდა. „თეთრი სავალის" გავლა პირნათლად ჩავათავეთ. კავკასიონზე ამ რეგიონში ალარ არის გა-

უვალი „თეთრი ადგილი“, „თეთრი მახე“. ქეღსაქედ გადავ-ლილია 12 მწვერვალი, ზოგიც მონათლული, შედგენილია მათ-ზე ტექნიკური აღწერილობაც.

დღეს 8 ოქტომბერია, ჩვენი მთებთან გაყრის ჟამიც დადგა. მე, მართალია, თბილისში ფეხების ტკივილი მიმაქვს, მაგრამ თან მიმყვება ბუმბერაზ ყინულოვან მთებში ნანახითა და სულიერი განცდით გამოწვეული დიდი კმაყოფილების გრძნობა, მშობლიური მთების უსაზღვრო სიყვარული და უკან მობრუნების დაუოკებელი სურვილი. ჩემს წასაყვანად მოსულებთან ალიოშა ვაჭრობს (მთაში თურმე როგორი დიდი ფასი მადევს, არ ვიცოდი. ჩეკაში და იქ, ბარში, რომ არაფრად ვღირვარ?!)“.

ლევანმა საავადმყოფოში 2 თვე დაჰყო. ფეხის ამპუტაციის საშიშროებაც იყო, შემდეგ კი პროფესორმა გრიგოლ მუხაძემ მარცხენა ტერფზე 4 თითი მოჰკვეთა. ლევანი საწოლიდან მალე ადგა, ყავარჯენი მოიმარჯვა, ქატარა მაგიდა და უამრავი ფურცელი მოითხოვა. წერას შეუდგა. მასზე არც ლაპარაკი მოქმედებდა და არც ხმაური. როცა ვმუშაობ, სხვა არაფერი მესმისო, იტყოდა. უნდა ჩქარა ვწერო, უნდა მოვასწრო...

ქალალდი არ ჰყოფნიდა მაშინაც კი, როცა ბევრი ჰქონდა დაგროვებული.

ქალალდის უქონლობის პერიოდში, გადასახლების დროს, ციხეში, რაზე არ წერდა, მიწაზე, კედელზე, სკამზე, მაგიდაზე, იატაკზე, ფანჯრის რაფაზე.

— ფანქარი რომ არ მქონდა, ხშირად ლურსმნითაც კი, „ლურსმნულ სიტყვებს“ ვწერდი. ქალალდის ნაგლეჯებს და გაზეთებს ვიყენებდი.

რვეულები, რვეულები გამომიგზავნეთო, გადასახლებიდან ყველა წერილში გვეხვეწებოდა. ჩვენც, რაც შეგვეძლო, ვუგზავნიდით და ვუგზავნიდით, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ ხშირად ლევანამდე არ აღწევდა.

1940 წლის გაზაფხულზე ლევანმა ლიტერატურულ მუშაობას უფრო აქტიურად მიჰყო ხელი. სულ ბიბლიოთეკებში იყო, თავის დრამებს აწესრიგებდა. „მეფე ერეკლეს“ თეატრისათვის გადასაცემად ამზადებდა, მუშაობით დღე და ღამე გასწორებული ჰქონდა. გვიკვირდა მისი დაუშრეტელი ენერგია. დაღლა საერთოდ არ იცოდა. რა იყო.

— ადამიანს ვიდრე შეუძლია, ყოველთვის აქტიურ მოძრაობაში უნდა იყოს, იქნება ეს შემოქმედებითი ძიება თუ ფიზიკური დატვირთვა. მე ამ დროს ყოველთვის მებადება რაღაცა ახალი შემოქმედებითი სულისკვეთება.

ერთხელ, წერის დროს, 5 დღე და ღამე გადაბა უძილოდ თავისი ოთახიდან საჭმელადაც არ გამოსულა. ჩვენ ვწუხდით, ვეკითხებოდით, ლევან, ავად ხომ არა ხარ, რაშია საქმე?

ლევანმა გაკვირვებით გვიპასუხა: მე შემოქმედებითს ძიებაში ვარ, ჩემი რომანის ერთ-ერთი მოქმედი პირი ორმოში მყავს ჩამწყვდეული და იმის ამოყვანის შესაძლებლობას ჯერ ვერ მივაღწიე, ვინაიდან სხვა უფრო მნიშვნელოვანი და ღირსშესანიშნავი აზრები მომაწვა, თქვენ კი ხელს მიშლითო. ლევანს უქმელობა და უძილობა სულ არ აწუხებდა, ალბათ ესეც მიჩვევის ამბავი იყო.

ყველასათვის ცნობილია, რომ გარდა თანამედროვე თემატიკისა, ლევანი საქართველოს ისტორიით იყო გატაცებული.

— თემის კარგად დასამუშავებლად საკმარისი არ არის ძირითადი ლიტერატურული წყაროებიდან მოინახოს ფაქტები, აღნუსხვები და დაემატოს საკუთარი ფანტაზია. ჩემი აზრით, უფრო მნიშვნელოვანია მოგზაურობა, თვალნათლივ დანახვა და გულდაგულ ფართოდ შესწავლა ყოველივე იმისა, რაც ამ თემის ირგვლივ არსებობს და მის გარშემო ტრიალებს. ყოველ შემთხვევაში, ჩემი მუშაობისათვის ეს აუცილებელი პირობაა. მე ვეყრდნობი ისტორიულ ძეგლებს. არქეოლოგიურ გათხრებს, ადგილმდებარეობისა თუ მთა-ბარის აღწერას; მოსახლეობის დახასიათებას, თქმულებებს, ანდაზებს, ლეგენდებს და საერთოდ ყოველივე იმას, რაც ჩემს თემასთან არის დაკავშირებული, არსებულ ცოცხალ თუ საუკუნეებში წასულ მასალათა საკუთარი თვალის განჭვრეტას და საკუთარი ალღოთი და გრძნობით აღქმას. მე ისტორიულ ძეგლებს ერთხელ კი არა, რამდენჯერმე თვალს ვავლებ და ყოველივე ახალს ჩემთვის ვინიშნავ. ყოველი წვრილმანიც ამოტივტივდება ხოლმე, რომელიც წინათ შესაძლოა ვერ შევამჩნიე და არც თუ ისე უმნიშვნელოა. დიდი ძალაა მეხსიერება, უფრო ახალგაზრდული, შთამბეჭდავი, მით უფრო კალამიც თუ ჯიქრის, იტყოდა ხოლმე ლევანი. მაგალითად, ისტორიული რომანი „გმირთა ვარამი“ გადასახლებაში დაწერა წინა წლების მოგზაურობის მასალის

დამუშავების საფუძველზე. მესამე გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ კი ერთი კვირა გრემის სამრეკლოზე, ზარებს შორის ცხოვრობდა. ზემოდან გადასცქეროდა გრემ-ქალაქის ნანგრევებს, რომელიც სულ ახლებურად შეიგრძნო. აქ ყველაფერი უფრო ღრმად განვჭვრიტე და შევისისხლხორცე, რის შემდეგაც ჩემს წიგნში ბევრი რამ შევაკეთე და გადავამუშავეო, — ამბობდა იგი.

ჩვენთან სახლში თანდათან მოუხშირეს მოსვლა რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრების წარმომადგენლებმა. მათ პიესა „მეფე ერეკლე" აინტერესებდათ. განსაკუთრებით აქტიურობდა ხორავას სახელით მოსული წარმომადგენელი რუსთაველის თეატრიდან.

— იცით, ლევან, — აღფრთოვანებით ამბობდა ის, ვერ წარმომიდგენია, რომ აკაკი ხორავას საქართველოში ჰყავდეს მეტოქე ან ბადალი მეფე ერეკლეს როლის შესრულებაში. ის შეუდარებელი, ბრწყინვალე და შეუცვლელი იქნება. საერთოდ პიესაც ჩვენს თეატრში კარგად დაიდგმება,

— მართალია, ხორავა საუკეთესო მსახიობია და მისთვის მე პიესაში „ჩაძირული სოფელი" საუკეთესო როლი მქონდა განსაზღვრული, მაგრამ ამის ასრულება ვერ მოხერხდა, ჩვენ ვერ შევთანხმდით. ნუ მიწყენთ, მეფე ერეკლე მე სულ სხვანაირი წარმომიდგენია და ამას სხვა შემსრულებელი უფრო მოუხდება. ჩემი „ჩაძირული სოფელი" კი თეატრის მიღმა დარჩა ხორავას წყალობით.

მალე ლევანმა „მეფე ერეკლე" მარჯანიშვილის თეატრს გადასცა.

— ჯერ ეს პიესა გავიდეს თეატრში კარგად. ვნახოთ, ხალხი როგორ მიიღებს. მერე კი მე იმდენი დრამა მაქვს მოფიქრებული და დასაწერი, რომ თბილისის ყველა თეატრს ეყოფა, — ღიმილით გვეუბნებოდა ლევანი. სპეციალურად ხორავასთვისაც დავწერ როლსო.

ერთ დღეს ლევანი საშინლად აღელვებული და შეძრწუნებული დაბრუნდა შინ — ქუჩაში ჯაშუში ამეკიდაო. ჩვენ ყველანი გავშეშდით შიშისაგან. მაინც დავეჭვდით, იქნებ მოეჩვენაო. რამდენიმე დღის შემდეგ ისევ გვითხრა, „ჩემი ჩრდილი" (ასე შეარქვა ჯაშუშს) ნამდვილად დამდევსო, ძალიან უსინდისოდ და მოურიდებლად, ნეტავი ვიცოდე რისთვის?

ახლა პოლიტიკისთვის არა მცალია და არც ვერევი. დრამატურგია და მწერლობაა ამჟამად ჩემი სულისკვეთება.

ლევანი სახლიდან წავიდოდა თუ არა, ჩვენ ფარდას ამოფარებული ვუყურებდით ჯაშუშს, რომელიც ლევანს მისდევდა. ახლა ჩვენ ვადევნებდით თვალყურს მას, გვინდოდა გაგვეგო ვინ იყო, რა უნდოდა. რამდენიმე დღეში ამ ახალგაზრდა კაცს მთელი ოჯახი უკვე კარგად ვიცნობდით.

ლევანი ქალაქში მხოლოდ აუცილებელ შემთხვევაში გადიოდა. ხშირად წიგნებზე ბიბლიოთეკაში ჩვენ გვგზავნიდა.

— ეს არ არის კარგი საქმე, — წუხდა ლევანი. როგორ მოქცეულიყო, ვისთან წასულიყო, ვისთვის შეეჩივლა, ვისთვის მიემართა არ იცოდა. ჯაშუში იმდენად გათავხედდა, რომ უკვე ჩვენს ქუჩაზე აშკარად დასეირნობდა ლევანის მოლოდინში.

ერთხელ ლევანმა განგებ ბევრი არბენინა, დამალობანაც ეთამაშა, ძალიან დაღალა, მერე კი ვეღარ მოითმინა, უცებ შემობრუნდა და „ჩრდილს“ პირისპირ შეხედა, ხელში მაღლა აიტაცა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, შეანჯღრია.

— რა გინდა ჩემგან? ვინ გამოგგზავნა ჩემს დასაზვერად, დამდეე ძაღლივით. წადი ახლავე, გამშორდი, თორემ აქვე გაგათავებ. შენს უფროსებს გადაეცი, პოლიტიკაში არ ვერევი, თავი დამანებონ.

გაშმაგებულმა ლევანმა ჯაშუში მიწაზე დაანარცხა. შეშინებული, ქაღალდივით გაფითრებული კაცი სწრაფად წამოხტა ფეხზე, უხმოდ, უცებ გაუჩინარდა. ლევანმა რამდენიმე თვე ამოისუნთქა.

სრულ თავისუფლებას და მოსვენებას თბილისში მაინც ვერ ეღირსა. სულის სიმშვიდეს და ნაყოფიერი მუშაობის პირობებს თბილისიდან, შორს მოგზაურობაში ჰპოვებდა.

— ციხიდან განთავისუფლება ჩემთვის თურმე თავისუფლებას ჯერ კიდევ არ ნიშნავს, — წუხდა ის.

რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ დაიწყო ლევანის დევნა, მისი ნელ-ნელა განერვიულება, წყობიდან გამოყვანა, ცხოვრების მოწამვლა.

— შეიძლება ეს პროვოკაციაც კი არის ჩემი დაპატიმრების საბაბისათვის, — ამასაც ფიქრობდა ლევანი.

ცოტა ხანში ჯაშუშად ლამაზი შუა ხნის ქალი მოევლინა, სახეგათხუპნული, მოდურად ჩაცმული, უზომოდ მაღალ ქუს-

ლებზე შემდგარი... იგი მანქვა-გრეხით და კეკლუცად დასდევ-და ლევანს კუდში. ამ პრანჭიკელამ დიდხანს ვერ გაუძლო ლევანის დევნას და თავი დაანება. სწორედ ეს ქალი იყო 1946 წელს, მესამედ დაპატიმრების შემდეგ, პირზე რომ დაადგა ლევანს და რაღაც პოლიტიკურ საკითხთან დაკავშირებით სიცრუეს ჩმახავდა. ლევანი ძლიერ გაჯავრდა, აღშფოთებული ზეზე წამოიჭრა და ყვირილით ჩააგდებინა ენა მატყუარა ქალს, მეტიც, ისე შეაშინა ის აშკარა ცრუპენტელა, რომ საკნიდან გააქცია.

შემდეგ ლევანს ერთდროულად ორი ჯაშუში მიუჩინეს — შუა ხნის მამაკაცი და სულ ახალგაზრდა ყმაწვილი კაცი, რომლებიც დღეში რამდენჯერმე ლევანის თვალის ასახვევად სცვლიდნენ ერთმანეთს. მაგრამ ლევანს როგორ გამოეპარებოდა მათი ოინები... მოკლედ, ლევანს არ დაადგა საშველი.

— ისევ ხომ არ მიმზადებენ ცუდ ამბავს, — გულჩათხრობილი იმეორებდა ლევანი. ღელავდა, ნერვიულობდა. ცდილობდა მეტი დრო საწლში ყოფილიყო და ემუშავა, ამხანაგებს აუკრძალა ჩვენთან სიარული. დიდი ნებისყოფა იყო საჭირო, რომ ასეთი დამცირება აეტანა.

ამ პერიოდში ლევანმა დაწერა ახალი დრამა „დავით აღმაშენებელი". ცოტა ფული რომ ჩაუვარდა ხელთ, იყიდა პატარა საბეჭდი მანქანა და თავისი ნაწარმოებების ბეჭდვას შეუდგა. აგვიკლო კაკუნით. ჯერ გაუჭირდა ბეჭდვა. ვინაიდან მისი დიდი თითები ორ-სამ ასოს ერთად იღებდნენ, მაგრამ მერე ნელ-ნელა ხელი გაივარჯიშა და შესანიშნავი მბეჭდავი გახდა.

ერთ დღეს თინამ მოაგროვა ლევანის ხელნაწერები და ჩუმად, სანამ „ჩრდილი" სახლთან არ იდგა, თავის სამსახურში გადამალა. ლევანი სულ იმას იმეორებდა — სიფრთხილეს თავი არა სტკივაო, ნაწერები და ეს მასალა მომავალში ყოველთვის დამჭირდებაო, არ დამეკარგოსო. თითქოს გულთმისანი იყო, სწორედ ეს მასალა გადაგვირჩა და ჩვენ ამ მოგონების წერაში ამით ვისარგებლეთ. გადასახლებიდან 10 წლის შემდეგ ეს მასალა ლევანმა თვითონ დაამუშავა და წარმოგვიდგინა შესანიშნავი წიგნი — „მგზავრული კრიალოსანი".

მიუხედავად ალპინიზმში მიღებული ფიზიკური ტრავმისა და მარცხისა, ლევანმა მთაში სიარული მაინც არ მიატოვა, პირიქით, ყოველ ზაფხულს უფრო ენერგიულად იღებდა მო-

ნაწილეობას კავკასიონის მწვერვალების დალაშქვრაში, რამდენჯერმე ექსპედიციას თვითონაც ხელმძღვანელობდა. მაგალითად, 1940 წლის 10 სექტემბერს ლევანის ხელმძღვანელობით ძალიან ადვილად დალაშქრეს ძნელი „დისკოს“ მთა სამხრეთ-დასავლეთიდან. ექსპედიციაში მონაწილეობდნენ ზ. მაისურაძე, ვ. ბელეცკაია, გ. მელია, ა. იაშვილი და ა გულუნაიძე. იქ მიღებულ შთაბეჭდილებას ლევანი ასე იგონებს:

— მწვერვალის სიმაღლემ და სილამაზემ თვალი მოგვჭრა, საამური ფიქრი ჩაგვფინა ყველას. დიდხანს ვიტრიალეთ თოვლისა და მყინვარების ოდრიკალებში, გული სიამით ივსებოდა.

ალპინისტური ექსპედიციების ჩათავების შემდეგ ლევანმა სამოგზაუროდ კახეთისაკენ გასწია. ღირსშესანიშნავი ისტორიული ძეგლები, კუთხეები თუ კახეთის სიგრძე-განი ძალიან დაწვრილებით და დაბეჯითებით შეისწავლა, განსაკუთრებით ჩაწვდა კახეთის უმდიდრეს წარსულს, მის ჭირ-ვარამსა და საბრძოლო დიდებას.

— მზისით, ღრისით, ხომ მშვენიერია ჩემი სამშობლოს მთა-ბარი, კარ-მიდამო, ხევები თუ მწვერვალები. ღამით, მთვარის შუქზე, სულ სხვა იერი ედება ზღაპრულ-ჯადოსნურად ფერშეცვლილს, განცვიფრების ფერიფური ჩაუწვება. ბუნების წიაღში იქმნება და იბადება ჭეშმარიტი აღქმა და შემოქმედებითი სულისკვეთება. ჩემთვის მოგზაურობა უკვე თავისთავად ქმნის შემოქმედებას. მე ჯერ კიდევ ვაწვალებ ფანქარს და ჩემს უბის წიგნაკს. კაცმა ისეთი „მგზავრული“ ახალგაზრდობა უნდა გაატაროს, რომ მერე მთელი სიცოცხლის მანძილზე ეყოს სიბერის საგზლად. ყოველ მთამსვლელში და მოგზაურში ალბათ ზის პატარა ამირანი და ყოველ პირველ ასვლაში თუ სავალში — ამირანისეული შურისგების ნატამალი.

1940 წლის 4 ოქტომბერს ლევანმა ნავით იმოგზაურა მტკვარზე დაალაზანზე: „ჩვენი ფლოტილია“, როგორც ლევანი უწოდებდა, ალაზანში შეცურდა ინჟინერ ვიქტორ მალავიჩკოს ხელმძღვანელობით და 16 მგზავრით. ლევანი ამ მოგზაურობიდან დიდად ნასიამოვნები და კმაყოფილი ჩამოვიდა.

„ვარემოს დავეწაფეთ, გავლაღდით, შთაბეჭდილებით გავმდიდრდით და ავივსეთ. ზოგან, ალაზნის „გაუვალ ჭალებში“, კალაპოტი მეტად ჩახერგილია წყალში ჩამოლეწილი ტანსრული ხეებით, ამოსული ახალწარაფით თუ ლემიანით.

...ნანატრი და იდუმალი ჩემს უბეში მრავალია... ალაზანი კახეთის ყველაზე უფრო ლამაზი და საყვარელი მდინარეა, თავისი ველებითა და შესანიშნავი ნაპირებით. ალაზანი, ბორბალოს კალთამადლიან წიაღში ნაშობი.

...ცისარტყელების ქვეყანა განა მარტოა მთაშია!
იხარე, ალაზნის ველო, ჩავარდი ბარაქაშია!...
ნავში ბიჭია მალხაზი, ნელა მოყვება ტივითა...
გოგო, ვისი ხარ, ლამაზო, ალაზნის ხოხობიეითა?!

ახალგაზრდებო, წადით, იმოგზაურეთ ალაზანზე, უკვდავების ნატამალს თქვენც ეზიარეთ, ბროწლიანებში, სადაც კრიალხობენ მზეთუნახავი ხოხბები, კაკბები, დურაჯები და ფრთოსანთა გუნდი ნაქართველოსი, თქვენც შეიგრძენით ამის დედაარსი. ნახეთ ტყეები, როშელიც მარტო ხეების სიმრავლეს როდი ნიშნავს. ეს ჩვენი მიწა-წყლის უკეთილშობილესი ბიოლოგიური სამყაროა".

გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, 1957 წელს, ლევანმა ეს ჩანაწერი ლიტერატურულად დაამუშავა და მიაწერა:

შენი გულმკერდის ჭირიმე, ლამაზ ალაზნის ჭალაო,
ახალ დროებამ გახარა, რაც ძველმა გაგაწვალაო,
ხვავით აივსო ქვეყანა, აღარც შიში და ზარია,
წავალ, იქ შაეშველები, სადაც საერთო ზარია.

1940 წელი მშვიდობიანად გავიდა, ლევანის თქმისა არ იყოს, ეს წელი მეტად ნაბიშვნელოვანი და ნაყოფიერი აღმოჩნდა მისთვის. სავსე იყო მოგზაურობებით, ახალი შემოქმედებითი ძიებებით და დადებითი ემოციებით.

1941 წელიც წარმატებებით დაიწყო. გაზაფხულზე ლევანის ცხოვრებაში მოხდა ღირსშესანიშნავი მოვლენა — როგორც იქნა მწერალთა კავშირის წევრი გახდა. გაიხარა ლევანმა, ვხარობდით ჩვენც.

მისი დრამა „მეფე ერეკლე" მარჯანიშვილის თეატრის სამხატვრო საბჭომ მიიღო დასადგმელად და კულტურის სამინისტროშიც ეს საკითხი დადებითად გადაწყდა.

ლევანმა „მეფე ერეკლეს" დამდგმელი რეჟისორი — ვახტანგ ტაბლიაშვილი გაიცნო და პირველი შთაბეჭდილებით მე-

ტად კმაყოფილი დარჩა. მერე დაუმეგობრდა კიდეც. თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა და ლევანი ემზადებოდა ზაფხულში სამოგზაუროდ წასასვლელად. მას ახალი დიდი ლიტერატურული ნაწარმოები ჰქონდა გამიზნული დასაწერად.

1941 წლის 22 ივნისს სრულიად მოულოდნელად საბჭოთა კავშირს თავს დაესხა ფაშისტური გერმანია. დაიწყო ომი. დაიწყო ხალხის მასობრივად გაწვევა ჯარში. საქართველოს მოსახლეობიდან ბევრი ახალგაზრდა წაიყვანეს ჯარში. მოსახლეობას ფულადი დახმარებაც გააღებინეს იმისათვის, რომ ფრონტს საკმარისად ჰქონოდა საბრძოლო იარაღი, სურსათი, ტანსაცმელი, პოლიტიკური თუ მორალური შემართება. ომი ხომ უკიდეგანო საშინელებაა, მოაქვს აურაცხელი მსხვერპლი, ყველაფერი ინგრევა და ისპობა. მას მოჰყვება უზომო ზარალი, ზღვა ცრემლი, წამება, წვალება, ფსიქიკის შეცვლაც უმძიმესი შიშის, განცდისა და დაძაბული ნერვული სისტემის გამო. თბილისში კიდევ უფრო დაიძაბა მდგომარეობა. შემცირდა სურსათი, გაძვირდა ბაზარი, გაძლიერდა შიში და შიმშილი, გაჩნდა სასურსათო ბარათები.

მტრის ჯარი იმდენად მრავალრიცხოვანი და მნიშვნელოვნად შეიარაღებული აღმოჩნდა საბრძოლო ტექნიკით, რომ პირდაპირ მარშით მოიწევდა წინ. დაიპყრო საბჭოთა კავშირის უშველებელი ტერიტორია. პირველ ხანებში საბჭოთა ჯარი ვერ უწევდა მას წინააღმდეგობას, სულ უკან იხევდა, ამასობაში ფაშისტებმა ხელთ იგდეს უამრავი დიდი ქალაქი და სოფელი, ტყვედ წაიყვანეს ათასობით მშვიდობიანი მცხოვრები. უამრავი ხალხი აწვალეს და აწამეს საკონცენტრაციო ბანაკებში.

ასე მძიმედ გავიდა რამდენიმე წელი, გამარჯვების იმედი არსაიდან არ იყო. პირიქით, მტერი განლაგდა მოსკოვის, სტალინგრადის, ლენინგრადის და ჩრდილოკავკასიის მიმართულებით. მზადდებოდა საბოლოო ძლიერი დარტყმა. 1943 წელს მოხდა სასწაული. მტერმა უკანასკნელი დარტყმით საბოლოო გამარჯვება ვერ შეძლო. პირიქით, საბჭოთა ჯარმა დაიწყო მძლავრი შეტევები და მტრის უკუგდება.

ომის ქარცეცხლი ჩვენს ოჯახსაც შეეხო. 1943 წლის მაისში თამარი გაიწვიეს ჯარში ქირურგად, მოხვდა მე-18 ხადესანტო არმიის 714-ე პირველი ხაზის საველე ჰოსპიტალში, სადაც

მხედართმთავარი ჩვენი თანამემამულე, გენერალი კონსტანტინე ლესელიძე იყო. თამარმა ფრონტთან ერთად გაიარა მთელი ომის გზა გამარჯვებამდე*.

თბილისში დღითი დღე იგრძნობოდა ცხოვრების მკვეთრი გაუარესება, მოსახლეობას გაუჭირდა.

ლევანს მწერალთა კავშირიდან სასურსათო წიგნაკები მისცეს. ამიტომ პური და სანოვაგე მოგვემატა. მაინც კვირა დღეს მთელი ჩვენი ოჯახის შემოსავლით მარტო წიწილის მეოთხედის ყიდვა შეგვეძლო. თინას სამსახურში ლობიოს აძლევდნენ და იმას დიდი სიხარულით მივირთმევდით. ომის გამოცხადებისთანავე სანდროს ჯავშანი მისცეს, რადგან მცირე ელექტროსადგურების მშენებლობას ხელმძღვანელობდა და თბილისში დატოვეს. ლევანი საერთოდ არ გამოუძახებიათ, ვინაიდან სამხედრო წიგნაკი არასდროს არ ჰქონია და არც სამხედრო ვალდებული იყო.

პირველ ხანებში ომმა შეაფერხა თბილისის თეატრების მუშაობა. შემდეგ კი, მტრის უკუგდებასთან და ბრძოლებში მოპოვებულ გამარჯვებებთან დაკავშირებით, თეატრი გადავიდა პატრიოტული თემების დადგმებზე. ლევანის პიესა „მეფე ერეკლე" პატრიოტული სულისკვეთებით იყო აღსავსე. ამიტომ განახლდა მასზე შემოქმედებითი მუშაობა. მთელი დასი აღფრთოვანებით შეხვდა ამ პიესას. დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები, როლების განაწილება, შემდეგ კი უშუალოდ დადგმის შესახებ იყო ლაპარაკი, რასაც ლევანიც დაესწრო.

რეჟისორი ვ. ტაბლიაშვილი თითქმის ყველა წვრილმანს უთანხმებდა ლევანს, რითაც ლევანი ძალიან კმაყოფილი იყო. იგი ტაბლიაშვილის ნიჭსა და უნარს მაღალ შეფასებას აძლევდა.

— ჩვენ თითქოს ამა თუ იმ მოვლენაზე თანაბრად და ერთნაირად ვაზროვნებთ, ერთად ვეწევით შემოქმედებით მუშაობასო, — უკვირდა ლევანს. — ასე მგონია, ტაბლიაშვილი გულთმისანია, ყველა ჩემს მოსაზრებას სწრაფად უღებს ალღოს. მაგრამ მერე თავისებურად უცბად სულს ჩაბერავს, ფრთებს

* თამარ გოთუამ თავისი ფრონტული ცხოვრება ასახა პუბლიცისტურ-დოკუმენტური ხასიათის ნაშრომში „სიკვდილთან ჭიდილი", გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1990.

შეასხამს, გააცოცხლებს და აამოქმედებს გმირებს და წარმოდგენას დიდ ლაზათს და მშვენიერებას შემატებს.

სპექტაკლს აფორმებდა ახალგაზრდა მხატვარ-დეკორატორი ლ. ჭუბაბრია, რომელმაც ლევანიც ჩართო თავის საქმიანობაში. ამიტომ კოსტიუმები, მხატვრობა და მიზანსცენებიც მისი მონაწილეობით იხვეწებოდა და უმჯობესდებოდა. ლევანი უმეტესად თეატრში იყო და იმდენად მიეჩვია იქ ყოფნას, რომ სახლში უკვე ვეღარ ჩერდებოდა. თეატრში ყველა კარგად გაიცნო და დაუმეგობრდა კიდეც. კომპოზიტორი არჩილ კერესელიძე ხშირად ჩვენთან იყო სახლში, სპექტაკლისთვის მუსიკას ქმნიდა, ზოგჯერ თვითონ მღეროდა ახალ-ახალ მელოდიებს თავისი საუცხოო ტემბრით. ლევანი აღფრთოვანებული იყო არჩილით, მთელმა ოჯახმა ის გულით შეიყვარა.

ჩვენი სახლი მსახიობთა სალონად გადაიქცა. ვინ არ მოდიოდა ჩვენთან, ახლა ყველას ვერ გავიხსენებ. განსაკუთრებით დაგვამახსოვრდა სერგო ზაქარიაძე, ვასო გოძიაშვილი, რომელიც სანდროს მეგობარიც იყო, სკოლაში ერთად სწავლობდნენ; გრიგოლ კოსტავა, გიორგი შავგულიძე, შალვა ღამბაშიძე, ალექსანდრე ომიაძე, აკაკი კვანტალიანი და ბევრი სხვა. იმართებოდა ლიტერატურული საღამოები, სადაც აქტიურად მონაწილეობდნენ ქალებიც — ვერიკო ანჯაფარიძე, ნატო ვაჩნაძე, ირინა დონეანელი, მერი ქორიძე, თამარ თეთრაძე და სხვები.

ლევანი ხარობდა და ყოველთვის კმაყოფილებით იმეორებდა: მაღალი რანგის წარმოდგენის შესაქმნელად აუცილებელია პიესის ავტორის, დამდგმელი რეჟისორის, კომპოზიტორის, მხატვრის, მსახიობებისა და სცენის ყველა მუშაკის თანამშრომლობა. საჭიროა მთლიანობაში მათი აზრისა და მსოფლმხედველობის გათვალისწინება.

ლევანი მეტად კმაყოფილი იყო ვ. ტაბლიაშვილის დადგმით, ლ. ჭუბაბრიას მხატვრობითა და ა. კერესელიძის მუსიკით. მსახიობების თამაშს კი უმაღლეს შეფასებას ანიჭებდა. ამ ნიჭიერმა კოლექტივმა ერთი-ორად გაალამაზა და დააშვენა ჩემი პიესაო, — ხშირად ამბობდა. მთავარი როლები წამყვან მსახიობებს შორის ისე განაწილდა, როგორც წინასწარ ჰქონდა ლევანს ჩაფიქრებული. „მეფე ერეკლე“ უნდა ეთამაშა ვასო გოძიაშვილს, სწორედ ვ. ტაბლიაშვილმაც ის შეარჩია.

ერთხელ, რეპეტიციიდან დაბრუნებულმა და გახარებულმა

გვითხრა: მე ისე მომწონს ჩემი პიესის მთავარი მოქმედი პირების ყველა შემსრულებელი, რომ ვერც ერთს ვერ გამოეყოფ, ვინ ვის სჯობიაო. ყველა თავისებურად მაღალ დონეზეა — გოძიაშვილი თუ ზაქარიაძე, ღამბაშიძე თუ ჩხეიძე, ომიაძე თუ გომელაური, ანჯაფარიძე თუ შავგულიძე. ისინი ყველანი თავის სიმაღლეზე დგანან და სიცოცხლეს აძლევენ ჩემ მიერ შექმნილ მოქმედ პირებს. ყველა მსახიობი ხომ უკვე ჩემი საუკეთესო ახლობელი ადამიანია. მე გაკვირვებული ვფიქრობ: თურმე რა დიდი ოსტატობაა მსახიობობა, მათ ხელში ჩემი პიესის ტექსტი გაძლიერდა. მათ გააცოცხლეს და სული ჩაბერეს ჩემს ისტორიულ გმირებს.

ლევანმა ჩვენ — სანდრო, თინა, თამარი, მზია და რამდენიმე ჩვენი ახლო ნათესავი გენერალურ რეპეტიციაზე წაგვიყვანა. ძალიან შეგვეხვეწა უკანა რიგებში დავმსხდარიყავით. ჩვენ რომ მივედით, რეპეტიციის დაწყებამდე ჯერ კიდევ ბევრი დრო იყო, მაგრამ დარბაზი მთლიანად გაჭედილი აღმოჩნდა. ჩვენთვის მე-4 რიგის ადგილები იყო შენახული. ლევანი არ ჩანდა, საიდან ადევნებდა წარმოდგენას თვალყურს, არ ვიცოდით. ისე კი ძალიან გვაინტერესებდა მისი განცდების თვალთვალი. ჩვენ თვითონ წარმოდგენის დაწყებისთანავე შინაგანი ორთოლვა შემოგვეპარა. სანდრო გვაწყნარებდა.

გენერალურმა რეპეტიციამ უმაღლეს დონეზე ჩაიარა. ხალხი აღფრთოვანებით შეხვდა წარმოდგენას. მსახიობები უკვე მარტო ლევანისთვის კი არა, ჩვენთვისაც ახლობელი ადამიანები და საქართველოს ისტორიის განუმეორებელი გმირები გახდნენ.

წარმოდგენის შემდეგ იყო შეკითხვები, კრიტიკული შენიშვნები და, რაც მთავარია, კომისიამ სპექტაკლი დიდი ქებით მიიღო. ლევანი მეტად კმაყოფილი იყო, ლაპარაკის თავი აღარ ჰქონდა.

მეორე დღეს, 1942 წლის 4 მარტს, საღამოს, ჩვენ ისევ მეოთხე რიგში ვისხედით. უკვე ნაკლებად ვღელავდით და კმაყოფილების გრძნობით შევცქეროდით ზომაზე მეტად გადატვირთულ დარბაზს, აღფრთოვანებულ მაყურებელს და მათ ემოციებს, ოვაციებს და შეძახილებს. ლევანი სადღაც მიიმალა, ძლივს იპოვეს რამდენიმე წუთით მაყურებელთან მოთხოვნით

სცენაზე გამოიყვანეს. „მეფე ერეკლეს“ გამარჯვება უდავო იყო.

წარმოდგენები ანშლაგებით წავიდა, მეათეც, მეოცეც და ასე შემდეგ. მე-100 წარმოდგენაც ანშლაგით ჩატარდა, თეატრში ტევა არ იყო, მუდამ ბევრი მაყურებელი დადიოდა წარმოდგენაზე, ბევრმა ზეპირად იცოდა ტექსტი, სიმღერა, მონოლოგები. ლევანი ზედმეტი კმაყოფილებისგან ისუსებოდა, ძალიან ბედნიერი იყო.

ქვევით გვინდა წარმოგიდგინოთ პრემიერის პროგრამა

კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი

1942-43 წ. სეზონი
ლ. გოთუა

მეფე ერეკლე

დრამა 4 მოქმედებად, 7 სურათად

მოქმედნი პირნი

ერეკლე მეორე, მეფე ქართლ-კახეთისა	**ვ. გოძიაშვილი** (რესპ. დამს. არტ.)
	გ. კოსტავა
ლევან ბატონიშვილი, მისი შვილი	**ი. ირინაშვილი**
თეკლა ბატონიშვილი, ერეკლეს ქალი	**ქ. დოლიძე**
	მ. ჭორელი
პაატა ბატონიშვილი, ვახტანგ მე-6-ის შვილი	**შ. ღამბაშიძე** (რესპ. სახ. არტ.)
	შ. ჯაფარიძე (რესპ. დამს. არტ.)
ანა, პაატას შვილი	**ვ. ანჯაფარიძე** (რესპ. სახ. არტ.)
	ა. დონეფანელი
ბესიკ გაბაშვილი, მგოსანი	**ხ. ზაქარიაძე** (რესპ. დამს. არტ.)
სოლომონ ლეონიძე, მსაჯული	**დ. ჩხეიძე**

დავით სარდალი	მ. მგელაძე
ბერუჩა წავკისელი, მედროშე	ა. ომიაძე
დიმიტრი ამილახვარი, სახლთუხუცესი	მ. გოცირიძე
ელიზბარ თაქთაქიშვილი	მ. სულთანიშვილი
გლახა ციციშვილი	კ. დაუშვილი
დიასამიძე	გ. კობიაშვილი
საიათნოვა, განთქმული აშუღი	გ. შავგულიძე
დათუნა ფეიქარი, ხელოსანი	ა. ხიხარულიძე მ. ლორთქიფანიძე
პატრი ნიკოლა, მისიონერი	ნ. ანთაძე
ანტონ კათალიკოსი	ა. სვანაძე
აზაღ-ხანი, ისპაჰანის მფლობელი	კ. დაუშვილი
დესპანი ერევნიდან	ა. თვარაძე
სეხნია ჩხეიძე, დიდებული	ი. გედევანიშვილი
ობრაგიმ ბეგი, შუშის მფლობელი	ო. რაზმაძე
ყოჩ-აშუღი, აზატხანის აშუღი	ალ. გომელაური (რესპ. დამს. არტ.) ვ. ბეგაშვილი
გიგია	ლ. შატბერაშვილი
ციხისთავი	ა. ვერულეიშვილი ა. სვანაძე
გლეხი	ი. გრატიაშვილი

სახალხო სცენებში მონაწილეობენ თეატრის მსახიობები და თანამშრომლები

1-ლი მოქმედება: „განგაში“

მე-2 მოქმედება: პირველი სურათი: „ვერაგული შეთქმა“

მე-2 სურათი: „ბედითი ნაკვანძი“

მე-3 სურათი „გატეხილი საზი“

მე-3 მოქმედება: პირველი სურათი: „დაღვრილი სადღეგრძელო“

მე 2 სურათი: „გმირის ცრემლი“

მე-4 მოქმედება: „შიშველი ხმალი“.

დადგმა — ვახტანგ ტაბლიაშვილისა

დეკორატიული გაფორმება მხატვარ — ლ. ჭუბაბრიასი

ტანსაცმელი მხატვარ დ. ძნელაძის ესკიზების მიხედვით

მუსიკა კომპოზიტორ არ. კერესელიძისა

რეჟისორის ასისტენტი მ. დანიელაშვილი

დირიჟორი — ვახტანგ ნეიმანი

ფარიკაობა — ლ. შატბერაშვილისა

მხატვარი-შემსრულებელი — გ. ნაღებაშვილი

მუსიკალური ნაწილის გამგე — კომპ. ა. კერესელიძე

სადადგმო ნაწილის გამგე — ალ. ჭურციკიძე

თეატრის დირექტორი და ხამხატვრო ხელმძღვანელი —

შ. ღამბაშიძე (რესპ. სახ. არტ.).

ამრიგად, ქართველმა მაყურებელმა აღფრთოვანებით მიიღო და გულით შეიყვარა არაჩვეულებრივად დადგმული, მხატვრულად საინტერესოდ გაფორმებული, მსახიობთა უზადო ოსტატობით შესრულებული წარმოდგენა. ამ დრამის გამარჯვება სკეპტიკოსებმაც კი იწამეს

ლევანმა გადაწყვიტა თეატრის თანამშრომლები, მთელი დასი, თეატრის ხელმძღვანელობა, მუშა-მოსამსახურეები, დაწყებული ორკესტრის წევრებიდან და კარისკაცებიდან მეგარდერობემდე, ყველა სახლში სადილზე მოეპატიჟებინა.

დასვენების ერთ დღეს თეატრის მთელი კოლექტივი ჩვენთან მოვიდა სტუმრად, ყველა იმას ამბობდა, თანამშრომლების ამისთანა თავშეყრა საერთო კრებაზედაც ვერ ხერხდებაო. სადილი ძალიან სასიამოვნოდ ჩატარდა. შეიძლება ითქვას, რომ ეს საღამო ლიტერატურულ შეჯიბრებად გადაიქცა. მსახიობები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ და თითქოს ეჯიბრებოდნენ მონოლოგის თუ ლექსის თქმაში, შაირობაში, სიმღერაში, დაკვრასა და ცეკვაში. ყველამ გულითადად მოილხინა.

სტუმრებიცა და მასპინძლებიც ნასიამოვნები დავრჩით.

წარმოდგენაზე ერთადერთი რეცენზია გამოქვეყნდა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში" (29/III, 1942 წ.):

„მარჯანიშვილის თეატრმა „მეფე ერეკლეს" პიესის განსახიერებით შექმნა დიდი იდეური და ესთეტიკური დიაპაზონის სპექტაკლი. ამ დადგმით რეჟისორი ვ. ტაბლიაშვილი მოგვევლინა ღრმა პოტენციალისა და მდიდარი ფანტაზიის ხელოვნად.

სპექტაკლის მხატვრობა ლ. ჭუბაბრიას ეკუთვნის. იგი ცხადად გვაგრძნობინებს მოქმედების მთელ გარემოცვას, თანაბარი ძალით და ნიჭიერი შესრულებით ასახავს პეიზაჟებს და საგნობრივ ინვენტარს სურათების მეშვეობით. ქებისა და მოწონების ღირსია კომპოზიტორი ა. კერესელიძის მიერ დაწერილი სპეციალური მუსიკა ამ სპექტაკლისათვის.

ერეკლეს როლით მსახიობმა ვასო გოძიაშვილმა შექმნა წარუშლელი შთაბეჭდილების მხატვრული სახე, რომელიც უნდა ჩაითვალოს ამ მსახიობის შემოქმედებითი ცხოვრების საუკეთესო მიღწევად.

სრულყოფილი ემოციური ძალის მხატვრული სახე მოგვცა შალვა ღამბაშიძემ პაატა ბატონიშვილის როლით. რა დიდი შინაგანი ძალა და ნებისყოფაა გამოხატული მის გარეგნულად მშვიდსა და თავდაჭერილ ქცევაში.

ვერიკო ანჯაფარიძემ ანას როლის განსახიერებისას კიდევ ერთხელ გვიჩვენა თავისი აქტიორული ოსტატობის განუსაზღვრელი შესაძლებლობანი, შექმნა უნაკლო და ღრმად კოლორიტული სახე.

გ. შავგულიძე საიათნოვას როლში არტისტული ხელოვნების პირველხარისხოვან ნიმუშთა წყებას უნდა მივაკუთვნოთ. ეს სახე სპექტაკლის დამამშვენებელ საოცარ სამკაულს შეადგენს. იგივე უნდა ითქვას ალ. გომელაურის მიერ შესრულებული ყოჩ-აშუღის როლის შესახებ.

ერთ-ერთი მთავარი მოქმედი გმირის — ბესიკის უაღრესად რთული და ტრაგიკული როლის განხორციელებისას ს. ზაქარიაძე ბუნებრივი და დამაჯერებელია.

სპექტაკლის საუკეთესოდ შესრულებულ რიგთა წყებას უნდა მიეკუთვნოს აგრეთვე მიხ. ლორთქიფანიძის მიერ შექმნილი სახე ვერაგულად შენიღბული ჯაშუში მისიონერის პატრი ნიკოლასი".

ბესო ჟღენტი.

და არც ერთი სიტყვა ლ. გოთუაზე!

„მეფე ერეკლესთან" დაკავშირებით ი. გრიშაშვილს ვიღაცამ ამბავი მიუტანა, რომ ლევან გოთუამ თავის პიესაში შენი „ძველი თბილისის ტრფიალი" გამოიყენაო. ი. გრიშაშვილი ლევანზე ნაწყენი იყო, უკმაყოფილება ტელეფონით გამოუცხადა. ლევანმა პოეტს წარმოდგენაზე დასწრება სთხოვა, დავა მერე გადავჭრათო. წარმოდგენის შემდეგ ი. გრიშაშვილმა ლევანი გადაკოცნა, გამარჯვება გულით მიულოცა და დასძინა, შენი აშუღების სცენა, რომელზედაც მე დამირეკეს, სულ სხვა არის, ბევრად უფრო ძლიერი და საინტერესოო.

„მეფე ერეკლე" სულ 110-ჯერ დაიდგა სცენაზე ანშლაგით. 1946 წელს, ლევანის კვლავ დაპატიმრებასთან დაკავშირებით, წარმოდგენა მოიხსნა. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ სპექტაკლი ისევ აღდგა ლევანის 10 წლით გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ — 1956-1957 წლის სეზონში. მართალია, აქ უკვე წამ-

ყვანი მსახიობები სერგო ზაქარიაძე, ვერიკო ანჯაფარიძე, შალვა ღამბაშიძე და სხვები აღარ მონაწილეობდნენ, მაგრამ იმდროინდელმა ქართულმა საზოგადოებამ ეს წარმოდგენა ისევ გულით და დიდი სიყვარულით მიიღო. რამდენჯერმე ჯერ თბილისში ჩატარდა, შემდეგ კი წაიღეს მოსკოვში დეკადაზე სახელწოდებით „გზაჯვარედინზე", სადაც მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა. მაშინ დაიწერა ორი რეცენზია:

ვ. საევჩმა ჟურნალ „თეატრში" (1958 წ., № 7) გამოაქვეყნა, რომ ეს წარმოდგენა არ არის ნაციონალური, მიუხედავად იმისა, რომ თემა სახალხო არისო. იგი ემოციური გარეგნულად არის და არა შინაგანადო. შემდეგ მოყვანილია მსახიობთა ოსტატური თამაშის აღწერა.

ეტყობა, რეცენზიის ავტორი ვერ გაერკვია წარმოდგენის ძირითად მსოფლმხედველობაში, ეროვნული დრამა-ტრაგედიის შინაარსში.

ვ. კომისარჟევსკი წერდა, რომ ამ წარმოდგენაში მაღალი თეატრალური კულტურაა ჩაქსოვილი. ლ. გოთუას პიესა „გზაჯვარედინზე" ასახავს საქართველოს მძიმე წლებს, შემოსევებს, მძიმე ისტორიულ ვითარებას... ბრძენი მეფე ერეკლეს და საქართველოს ბედ-იღბლის წარმოდგენის შემდეგ მაყურებელი სულიერად მდიდრდება ქართველი ხალხის ისტორიული წარსულის კიდევ ერთი გვერდის გადაფურცვლით. მარჯანიშვილის თეატრი მისი დამაარსებლის — კ. მარჯანიშვილის მოწაფეებისა და თანამედროვეების ნიჭიერ და საიმედო ხელშია...

იმ ხანებში ლევანის გარშემო ძალიან ბევრი ამხანაგი და მეგობარი ტრიალებდა, მწერლები, მსახიობები, მთამსვლელები, სტუდენტები, ნათესავ-ნაცნობები. მაგრამ ლევან უპირატესობას მაინც აძლევდა და ძალიან ახლოს იყო აკაკი ბელიაშვილთან, სერგო ზაქარიაძესთან, ალიოშა ჯაფარიძესთან, კოტე ჯავრიშვილთან, ატე ნემსიწვერიძესთან.

1943 წელს თინა სამუშაოდ წავიდა ქარელის რაიონში. ექიმად დანიშნეს სოფელ ხვედურეთში. ეს ლამაზი ქართლის სოფელი ბაღ-ვენახებშია ჩაფლული. ამიტომ ოჯახის გამოკვება და თავის გატანა, ძალიან თუ გაჭირდებოდა, აქ მარტო ხილითაც შეიძლებოდა.

მალე ხვედურეთში თინასთან დედა და მზია ჩავიდნენ, სანდროც ხშირად ესტუმრებოდა ხოლმე და, რაც მთავარია, რაკი

ლევანი შინ მარტო ვერ ჩერდებოდა, ყოველ ხუთშაბათ-პარასკევს ისიც იქ ჩადიოდა რამდენიმე დღით.

ხვედურეთში ლევანი უსაქმოდ არ ჩერდებოდა. სულ აქეთ-იქით მოგზაურობდა, შემოიარა ხვედურეთის და თრეხვის შემოგარენი. რაღაცას ეძებდა, თავისთვის საჭირო მასალას აგროვებდა.

სოფელ თრეხვის თავზე და მის მოპირდაპირე კლდეებზე, 70 მეტრის სიმაღლეზე, ლევანმა ბევრი მიუვალი გამოქვაბული აღმოაჩინა:

„ჩემი ყურადღება განსაკუთრებით ერთმა სამხრეთ-ნაპირა ქვაბულმა მიიპყრო, შიგ ნაშენი კარ-სარკმელიც მოჩანდა. ამ ქვაბულებმა ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა, მით უფრო, რომ ისინი ჩვენი მკვლევრებისაგან რატომღაც მივიწყებული ჩანდნენ. ცხოვრების მიღმა დარჩენილ ქვაბულებს აღარც სახელი ჰქონდათ, აღარც აღნიშნა“.

ლევანს ხვედურეთისა და თრეხვის ტყეში ხეტიალის დროს ერთი პატარა უსიამოვნო ამბავიც შეემთხვა: მგზავრობით დაღალულმა რბილი და ჩრდილიანი ადგილი შეარჩია, თაქვეშ თავისი ზურგჩანთა ამოიდო და ტკბილ ძილს მიეცა.

მწყემსმა ლევანი რომ დაინახა, პარაშუტით ჩამოსული ჯაშუში ეგონა, სოფლის საბჭოს შეატყობინა და ათმა კაცმა მისი შებოჭვა გადაწყვიტა.

— როცა გამეღვიძა ასეთ გარემოცვაში, შევშინდი კიდეც. შემდეგ ჩემი ვინაობა რომ გაიგეს, თინა ექიმის ძმა რომ ვიყავი, დიდი პატივისცემით ბოდიში მომიხადეს და გემრიელ სუფრაზეც მიმიწვიეს, — იგონებდა ლევანი.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ლევანმა თრეხვის გამოქვაბულის კვლევა-ძიება მხოლოდ 14 წლის შემდეგ შეძლო, როდესაც მესამე გადასახლებიდან დაბრუნდა.

„თრეხვი არასდროს მავიწყდებოდა, ვიცოდი მისი მიუდგომლობა და შეღწევის შემთხვევაში შესაძლებელია რაიმე საუკუნოვანიც გვენახა. და, აი, 14 წლის შემდეგ ისევ თრეხვში ვარ, კლდის ძირში. ჩემთან ერთად არიან ცნობილი მთამსვლელი გუდადი ოსტატი და კეთილი ადამიანი, ჩემი მეგობარი, ყველგან შეღწევადი და უშიშარი მექვაბულე ატე ნემსიწვერიძე, ახალგაზრდა არქიტექტორი და ქვაბულების ბეჯითი მკვლევარი გი-

ვი გაფრინდაშვილი, ექიმი გურამ ხეცურიანი და მძღოლი ილო ჯარიაშვილი".

სწორედ ასეც მოხდა: აღმოჩენილ იქნა ლეონტი მროველის მოჩუქურთმებული ქვაჯვარი, რომელიც მათ ხელში გაცოცხლდა და ამეტყველდა. ასომთავრული წარწერით 1066 წელი აღინიშნა. „მე, ლეონტი მროველმა, დიდი მოჭირვებითა აღვაშენე ესე ქუაბი ხატისათვის ღმერთისა და დღისა ჭირისასა ნავთსაყუდელად რუისისა საყდრისა შვილთათვის ჟამთა შინა ალფარსალან სულთნისაგან აოხრებისა ქორონიკონსა სპვ (1066)". როგორც ჩანს, ლეონტი მროველი თავის გაწამებულ სამშობლოს გადაჰყურებდა და „ქართლის ცხოვრებას" წერდა. ასეთი აღმოჩენები და ახლის კვლევა ლევანისათვის მაცოცხლებელი ძალა იყო.

ხვედურეთში ლევანის ერთ-ერთი ჩამოსვლის დროს სტუმრები გვყავდა — ჩვენი ნათესავი ანიკო ნიკოლაძე და მისი მეუღლე გიორგი აბზიანიძე. ლევანი სამგზავროდ ემზადებოდა, ჩვენც შემოგვთავაზა ყინწვისისაკენ გასეირნება. ყველანი სიამოვნებით დავთანხმდით, ავიკიდეთ გუდა-ნაბადი, საგზალი და გზას გავუდექით.

— ყინწვისისაკენ მიმავალი საცალფეხო ბილიკი ძამის ხეობას გასდევს ტყე-ტყე, — გვიხსნიდა გზადაგზა ლევანი, —მერე ქედის კალთაზე ასწლოვან კაკლოვან ტყეში აღმართს უნდა გავუყვეთ, რის შემდეგ გამოჩნდება ამაყად და ცაში საოცრად აზიდული ყინწვისის ტაძრის გუმბათი.

ეკლესიის გალავანში შევედით. ხარბად დავეწაფეთ ანკარა წყაროს და წყურვილი მოვიკალით. დიდებულ ტაძართან გავჩნდით, ჟამთა სვლას და ავდარ-ზამთარს ეკლესიის ჭერი თითქმის აეხადა, ჩამოცვენილი ჩუქურთმებიც იქვე ეყარა და ჩამონგრეული კედლებიც. ლევანი ამ კედლის შორიახლოს დიდხანს იდგა და ტაძარს შეჰხაროდა, მის მოუვლელობაზე გული შესტკიოდა.

ტაძარში რომ შევედით, ყინწვისის ანგელოზის მშვენებამ ყველა გაგვაოცა, გაგვაშეშა. მონუსხულივით შევცქეროდით მის საოცარ მოხატულობას, რომლისთვისაც ჟამთა სვლას ვერაფერი ევნო.

გულმოკლულები, მაგრამ აღტაცებულები ვუყურებდით გარდასულ საუკუნეთა შედეგს. გვიკვირდა, რა ხელმა და გემოვ-

ნებამ შექმნა იგი, ასეთი ნაზი, მომღიმარი, კეთილი და სათნო. ლევანი სულგანაბული, ჩვენგან განცალკევებით დიდხანს, დიდხანს იდგა მარტო ერთ ჩაბნელებულ კუთხეში... გული რომ ვიჯერეთ ამ მშვენიერების ხილვით, დანგრეული სამრეკლოსკენ გავსწიეთ. სამრეკლოდან კრუხი გამოვარდა კრიახით და მას წიწილები მოჰყვნენ — ვიღაცამ თუ მოიყვანა შესაწირავად...

დიდხანს ვიხეტიალეთ ტაძრის შემოგარენში. ლევანს დაბინდების ჟამს უნდოდა კიდევ ერთხელ შეეხედა ანგელოზისათვის. მზე ნელ-ნელა ჩადიოდა, გარემოს ნისლი ეფინებოდა. ყველას გვიკვირდა, როგორ იცვლიდა იერს ყინწვისის ანგელოზი — ჩამუქდა და თითქოს დანაღვლიანდა კიდეც. შემდეგ მზის ირიბი სხივის ანარეკლით გაბრწყინდა, გალამაზდა, უფრო ამაყი გახდა. ამ სანახაობით აღტაცებულები ერთად ვლაპარაკობდით, ყველას საკუთარი აზრის გამოთქმა გვსურდა. ლევანმა ყველას დიდი გულისყურით მოგვისმინა და გვითხრა: ყინწვისმა ჩემზედაც საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა, უსათუოდ დავწერ ნოველას და ვეცდები თქვენი აზრებიც შიგ ჩავაქსოვო. ასე კმაყოფილი და აღფრთოვანებულები ღამე, მთვარის შუქზე დავბრუნდით იქიდან.

მოუსვენარი კაცი იყო ლევანი თავისი ბუნებით, მოძრავი და მეოცნებე. მეორე შაბათ-კვირას ხვედურეთიდან თეძმის ხეობაში გადაწყვიტა მოგზაურობა და ჩვენც წაგვიყვანა. თან გვახლდა ლევანის მეგობარი მთამსვლელი და მკვლევარი კოტე ჯავრიშვილი. თეძმის მდინარეში სულ წყალ-წყალ გვატარა, თეძმის ხეობის სილამაზით დაგვატკბო და მერე ასწლოვან წიწვნარში გადაგვიყვანა. თამარის ციხის ნანგრევებზე აგვიყვანა. მერე რკონის მონასტერთან ამოვყავით თავი, მზითა და მადლით სავსე რკონთან. ეს ხომ თავად ტყის სახელია — ხე-სამრეკლო. შემდეგ ციცაბო კლდეებზე ვიხოხიალეთ და ყველა ბაზილიკა დავათვალიერეთ. რკონ-ჩაჩუბეთის თავზე, ხელმარცხნივ, მრავალსართულიანი ციხე-ქვაბული შევნიშნეთ.

ლევანი და კოტე დიდხანს ეძებდნენ ამ ციხე-ქვაბულს. ბევრი გვატარეს. ბოლოს მივადექით ერთ უშველებელ, 300-მეტრიან კლდეს, რომლის შუაგულში ქვაბულის ოვალური შესასვლელი მოჩანდა. ეს კლდე ძალიან ძნელი მისადგომი აღმოჩნდა.

— აქ ასვლას ტექნიკურად კარგი აღჭურვილობა და ალპი-

ნისტური ხელსაწყოები სჭირდება, აუცილებელია გრძელი თოკის ჩამოშვება. ვინ იცის, იქნებ რკონი ერთ-ერთი მწიგნობრული ცენტრიცაა. ძველ საქართველოში ქვაბულთა მიუვალობა დიდი საიდუმლოებით იყო მოცული (ლევანმა ამოჩხრიკა კიდეც რუკები). არსად არ არის ეს ქვაბული ნახსენები. ჩვენი მეცნიერებიც სდუმან ამ საკითხზე.

ლევანმა და კოტემ გადაწყვიტეს ახლო მომავალში კვლავ მოსულიყვნენ აქ და შეეღწიათ იდუმალებაში. მაგრამ ლევანს ეს არ დასცალდა ხელახალი გადასახლების გამო. მხოლოდ 1957 წლის 25 აგვისტოს შეძლო თავისი ოცნების ასრულება. შემდეგ იგონებდა ლევანი: „მწერალთა კავშირიდან დიდი ჯგუფი წავიდა საბარგო მანქანით რკონში. ოცამდე კაცი მოგროვდა. აქ იყვნენ მწერლები, არქიტექტორები და ცნობილი მსახიობი სერგო ზაქარიაძე. გზაში აკაკი ბელიაშვილი და დემნა შენგელაიაც შემოგვიერთდნენ. აქედან ხუთმა ოდნავ გადავინაცვლეთ თეკლერის ხეობაში და თავზე წამომდგარი კლდის აღმართს შევუდექით. დანარჩენებმა რკონის მონასტრისაკენ გასწიეს.

სარგის ცაიშვილმა თოკი მოიბა და ალპინიზმში ნაწრთობმა, ქვაბულში პირველმა შეაღწია, მას თოკდათოკ ვადიმ მიხაილოვი და ფრიდონ ნადარაია მიჰყვნენ, მერე რეზო თვარაძე ჩამოეკიდა თოკს და ბოლოს მე შევაღწიე. ქვაბულის ოთხივე სართული დავიარეთ. ასე ღია, გულდაგულ ბრძოლაში ბუნება და ადამიანი მარტო ფრიალო კლდეზე შეიყრებიან და როცა ადამიანის მიზანი მიღწეულია, ის გამარჯვებულია.

მრავალსართულიანი ქვაბი საოცრად დაცლილი აღმოჩნდა, შავად გაჭვარტლული. მხოლოდ მე-4 სართულის ერთ კედელზე ციმციმებდა ჩვენი შერქმევით „რკონის წმინდანი" — ძველი ხელოვნების ნიმუში. საერთოდ კი ყველა მიუვალ ქვაბულს ისე უნდა ვუმზიროთ, როგორც ძველ წიგნთსაცავს. აქ, მიუვალ ქვაბულში, უნდა ვეძიოთ „ქართლის ცხოვრების" დაფანტული ფურცლები. ნუ გაგიკვირდებათ, რომ გაძარცვულ ქვაბულებს აღმოვაჩენთ. ქვეყნად მძარცველები ხშირად სჭარბობენ მოჭირნახულეთ. „ქართლის ცხოვრება" თავის დიდ და იქნებ უმძიმეს ნაწილში „ქვაბთა ცხოვრებაა". მაშ შეერთებული ძალით ამოვიცნოთ წინაპართა საიდუმლოებანი. საქართველოს წარსულის შესწავლა ქვაბულების კვლევასაც მოიცავს. აქ კი საჭიროა მთამსვლელური გამბედაობა, სიმარჯვე, აზროვნება, მწერლის

ინტუიცია, ახალგაზრდული სულისკვეთება და პასუხისმგებლობის გრძნობა“.

ლევანი შემდეგ ისევ მთაში წავიდა, ისევ ალიოშა ჯაფარიძის ჯგუფს შეუერთდა. ამ მოგზაურობაში ლევანს ასე იგონებს ჩვენი ოჯახის მეგობარი დენიზა გოზალიშვილ-სუმბაძისა: „ჭაუხებზე ასვლების შემდეგ სოფელ ჯუთაში შემოგვიერთდა ლევანი. ჩვენ არხოტის თავის გადასავალით ხევსურეთში უნდა ჩავსულიყავით. ცხენიანმა გამყოლებმა უარი გვითხრეს გზის გაგრძელებაზე, ამიტომ ჩვენ მოგვიხდა მთელი ბარგის გადანაწილება. ფქვილის ტომარა ალიოშა მჟავანაძეს ერგო. ახლაც თვალწინ მიდგას წვიმისაგან სველი ტომარა, რომელსაც წურწურით ჩამოსდიოდა ფქვილის ნაჟონი. ომი იყო და საკვების ყოველი მისხალი ძვირად ფასობდა. სოფელ არხოტისაკენ მიმავალ მოკლე ბილიკს მივადექით. ჯგუფმა შეისვენა. ლევანი კი დაწინაურდა. სწრაფად აიარა აღმართი და პატარა ხატ-სალოცავთან გაჩნდა. იქ ხევსურებსაც შეხვდა. ჩვენ შუა გზა გავლილი გვქონდა, როდესაც ლევანმა უკან დაგვაბრუნა. თურმე ხატთან დიაცის მისვლა არ შეიძლება. რაღას ვიზამდით? საშინლად დაქანცულები უკან დავბრუნდით და გრძელ გზას დავადექით. არხოტში მთელი სოფელი შემოგვეგება.

ჩვენთან მოიჭრა ახალგაზრდა ხევსური, ჩაცმული მოქარგულ ტანისამოსში, გადაეხვია ლევანს და ოთარ გიგინეიშვილს. გაგვაცნეს, პოეტი გაბრიელ ჯაბუშანური აღმოჩნდა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, იმჟამად სოფლის საბჭოს თავმჯდომარე. ჩვენს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა როდესაც ხევსურებმა იქ „ხატთან“ არ მიგვიშვეს, აქ კი, სოფელში, ღამის სათევად ეკლესიაში მოგვათავსეს.

არხოტში რამდენიმე დღე დავრჩით. გაიმართა ლიტერატურული საღამოები, მონაწილეობდნენ ლევანი, გაბრიელი, ოთარი და ბევრი იქაური ახალგაზრდა. მათ შორის გამოირჩეოდა შესანიშნავი პოეტი სოფელ ამღადანიდან.

1943 წლის 7 აგვისტოს ლევანმა მონაწილეობა მიიღო მწვერვალ „კიდეგანის მაღალის“ დალაშქვრაში. ლაშქრობის ხელმძღვანელი ალიოშა ჯაფარიძე იყო, წევრები: ო. გიგინეიშვილი, გ. რაიზერი, დ. გოზალიშვილი, ა. მჟავანაძე, ვ. ბელეცკაია, ნ. ცნობილაძე, მ. ხულელიძე, ი. სოსინა, ლ. გოთუა.

არხოტი ხევსურეთის ერთ-ერთი განაპირა ხეობაა, ჩვენ და-

ვიარეთ ყველა ახლობელი სოფელი, ლევანმა ჩაიწერა უამრავი ლექსი და სიმღერა, ადათი და ზნე-ჩვეულება. მწვერვალის დაპყრობას ვაპირებდით აღმოსავლეთიდან, ეს პირველი ასვლა იყო ახალი გზით. სურვილი გვქონდა შეგვესწავლა ჯერ კიდევ უვალი ქედიც.

საკმაოდ მაღალ აღმართს შევუდექით, გავცილდით საბალახოებს, აქა-იქ ასაკოვან ფიჭვნარსაც გვერდი ავუხვიეთ, ავუყევით შესანიშნავ ტყეს, რომელიც ჩვენი ზეპირსიტყვაობის თუ მწერლობის ძლიერი კალოა. მერე თოვლიან ველზე გადავედით. შემდეგ კი კლდოვან მწვერვალსაც მივაღწიეთ. მწვერვალი „კიდეგანის მაღალი“ 2200 მ. სიმაღლის ნაშალი ფიქალი აღმოჩნდა. აქ თითქმის ყოველი ქვის ქვეშ ჩასაფრებული მარცხი გვიცდიდა. ჩვენც ვფრთხილობდით. მივიწევდით წინ უცნობი ქედისაკენ. მთას მთა ცვლიდა, კლდეს — კლდე, ღრმა თოვლი კი — ყინულოვან არეებს. მწვერვალზე შეგროვილი ქვების ქვეშ კოლოფი აღმოჩნდა, შიგ კი ბარათი, რომელიც 1936 წელს დაუტოვებია სამხედრო-საჰაერო აკადემიის ჯგუფს.

მთებს შუა საუცხოო, ანკარა ტბას წავადექით, რომლის თავზე ამაყად წამომდგარიყო უცნობი მწვერვალი. ამ მწვერვალის აღების ბედიც იქვე გადავწყვიტეთ. შევუდექით მის დალაშქვრას. ის 4300 მ. სიმაღლისა აღმოჩნდა და თორმეტმა ნათლიამ ამ მწვერვალის თავზე თათბირი გავმართეთ. მწვერვალს ყველამ ერთად „ვაჟა-ფშაველა“ დავარქვით. ამით გენიალურ პოეტს, მგოსანს, ბუნების მოამაგეს ცოცხალი ძეგლი დავუდგით.

მწვერვალზე ჩამოვსხედით დასასვენებლად. მხოლოდ ლევანი იდგა ზამართული და აღტაცებით გაჰყურებდა ბუნების წარმტაც სივრცეს, რომელსაც გაბრწყინებული მზის შუქი და სულ ახლოს თავზე მომდგარი ლურჯი ცა ზღაპრულ ელფერს აძლევდა. და, აი, საკვირველება: ცის ლაჟვარდში, დაწყებული მთის კორტოხიდან, ზღაპრულად აღიმართა ლევანის ბუმბერაზი ჩრდილი. ყველა განცვიფრდა, გაოცებული და აღელვებული შესცქეროდნენ ამ არაჩვეულებრივ სანახაობას. ლევანიც გაოცდა, ამ უსაზღვრო სივრცეში უკვირდა თავისი გრანდიოზული ჩრდილის დანახვა. განძრევისა ეშინოდა, რატომ ხდებოდა ეს მოვლენა ვერ აეხსნა. უცებ ყველანი წამოვიშალეთ, ყველას გვინდოდა ჩვენ-ჩვენი ჩრდილის ასე დანახვა. ლევანიც შეირხა... ჩრდილი უცებ გაქრა და არც გამეორებულა.

შემდეგ ჯგუფი ავიდა „საქარის მაღალზე“, მერე კი როშკის უღელტეხილით ჩამოვედით ბარისახოში და ფეხით ვიარეთ ჩარგლამდე.

აქ ლევანი ჯგუფს დასცილდა და ვაჟა-ფშაველას სახლისაკენ გაემართა...“

„...და, აი, ვაჟა-ფშაველას ქოხ-საცხოვრებელი, — წერს ლევანი, — მისი ქუდი, მისი თოფი, აგერ საათი ძველი, უისრო... თუმცა მარადისობაში გადასულს ისრები რაღად სჭირდება...

ვაჟას სახლში მოწიწებით ჩემს უბის წიგნაკში ვწერ ხალხურ ნათქვამს, რომელიც თვითონაც კარგად იცოდა:

„არხვატო, ჩემო სამშობლოვ,
ჯიხე-არწივების ბინაო —
ნეტამც კი შენ მტერს შამაკლა,
შენს მკლავზე დამაწვინაო“.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ლევანის ხელმძღვანელობით 1944 წელს მწვერვალი „სოფრუჯი“ დალაშქრა მთამსვლელთა პატარა ჯგუფმა (ნ. კეცხოველი, ვ. ნათაძე, ო. ჯაფარიძე, ვ. ბელეცკაია, კ. კანდელაკი, ნ. ნიჟარაძე, კ. კილაძე, ა. რობაქიძე). ლევანმა ეს მოგზაურობა დაწვრილებით აღწერა. ეს არ იყო მარტო სიძნელეების დაძლევის ფაქტების აღნუსხვა, მან იმ დიდი სიამოვნების გადმოცემაც შეძლო, რომელიც ექსპედიციის ყველა წევრმა განიცადა ბუნების ამ უკიდეგანო მშვენიერებით.

1944 წელს ლევანმა იმოგზაურა რაჭაში, ლეჩხუმსა და სვანეთში. ღირსშესანიშნავი ძეგლები დაათვალიერა, ნიკორწმინდას ეკლესიამ აღაფრთოვანა, იქვე ლექსიც უძღვნა:

ნიკორ-წმიდას ჩუქურთმა არ აქვს,
იგი თვით ჩუქურთმაა,
დიდება თავად — ჩამოკვეთილ ქანდაკებაში,
ჩამოკვეთილ მადლიან ხელით.
შესავალში ბარელიეფი—წმინდა გიორგის.

იყო ციხე, სარდაფებში ბინდი და შმორი,
დერეფანში ჩექმა და ხსნილი კეფა,
ზღურბლზე შემზარავი სისხლი
და ხმა გალობა, სასიკვდილოდ ატაცებული.

. და გადაეცით იმ არამზადებს,
რომ საქართველოს თეთრი გიორგი
თავის შუქს ლესავს
პასუხს ამზადებს

ნიკორ-წმიდის ბარელიეფის შუბი შელესილია.

მერე შესანიშნავი მოთხრობა-ჩანახატი — „ლეჩხუმელი ქალი" გამოქვეყნდა „ლიტერატურა და ხელოვნებაში" (1944 წლის 25 აგვისტო). ამავე წელს ბავშვებისათვის ლევანის შესანიშნავი ზღაპარი დაიბეჭდა. პატარა საბავშვო წიგნის სახით „მელია და ცუტურა" („სახლიტგამი", თბილისი, 1944), „ლიტერატურა და ხელოვნებაში" დაიბეჭდა აგრეთვე ნარკვევი „წაგებული სანაძლეო".

ამრიგად, ლევანი საკმაოდ პოპულარული გახდა, როგორც მწერალი და დრამატურგი, მკვლევარი და მოგზაური. ყველგან მისი ქება-დიდება გაისმოდა. ვინც კი იცნობდა, ყველას აოცებდა მისი შრომისმოყვარეობა და ენერგია, აღიარებდნენ მის ნიჭსა და კეთილკაცობას, თუმც სწორედ ამ პერიოდში ისევ ჯაშუში დასდევდა და ნერვებს უშლიდა, გულს უწყალებდა. ხასიათის სიმტკიცეს უთრგუნავდა.

1944 წლის ზამთარში ლევანმა კიდევ ერთი შესანიშნავი პიესა დაამთავრა — „უძლეველნი" — აქტუალური დრამა ომის თემაზე. პიესა ისე ოსტატურად იყო დაწერილი, რომ ყველას ნამდვილი ამბავი ეგონა: მტერმა ჩაძირა ჩვენი საბრძოლო წყალქვეშა ნავი „კოლხი". მთელი მოქმედება ზღვის ფსკერზე, ჰერმეტულად ჩაკეტილ წყალქვეშა ნავში მიმდინარეობს. საბრძოლო შემადგენლობა ჯერჯერობით უვნებელია, მაგრამ გრძნობენ, რომ განწირულები არიან და მალე დაიღუპებიან. გადარჩენის ერთადერთი საშუალებაა როგორმე ცნობის გაგზავნა და შეტყობინების გაკეთება, მაგრამ როგორ? რა გზით? საქმე იქამდე მიდის, რომ ვიღაცამ თავი უნდა გასწიროს და სამიზნე რაკეტის გასროლით გავიდეს. ამით იქნებ თვითონაც გადარჩეს და ჩაძირული ნავიც გადაარჩინოს... ამ ქარგაზეა აგებული მთელი პიესა.

სანამ ლევანი პიესას დაამთავრებდა, ორჯერ იყო ფოთში და ბათუმში. ბოლოსდაბოლოს შეაღწია წყალქვეშა ნავში და დაწვრილებით შეისწავლა იქაური ცხოვრების პირობები.

პიესა მარჯანიშვილის თეატრში მიიტანა დასადგმელად. ნავის წინამძღოლის — კაპიტან მერაბ რატიანის როლი ლევანმა სპეციალურად სერგო ზაქარიაძისათვის დაწერა. თეატრმა დრამა ძალიან მოიწონა და ლევანის ახალი სპექტაკლის დადგმას შეუდგა. 1945 წლის 18 სექტემბერს პრემიერაც შედგა.

აი, ამ წარმოდგენის პროგრამაც:

მარჯანიშვილის სახელობის
სახელმწიფო თეატრი

1945—46 წ. სეზონი

ლ. გოთუა

უძლეველნი

დრამა 3 მოქმედებად, 14 სურათად.

მოქმედნი პირნი

მერაბ რატიანი — წყალქვეშა ნავის „ოლხის“ კაპიტანი	ს. ზაქარიაძე (რესპ. დამს. არტ.)
მანანა — საზღვაო ჰოსპიტლის ექიმი	მ. ქორელი ნ. სულხანიშვილი
ივლიანე — შტურმანი	ი. ქოქრაშვილი
ოლიფანტე ლობჟანიძე	კ. დაუშვილი
მამა-მზარეული	ა. ომიაძე (რესპ. დამს. არტ.)
ვასილი ბუჩმა — ბოცმანი	მ. სარაული (რესპ. დამს. არტ.) ვ. გოცირელი
ლადი ჯაიანი — სამხედრო კორესპონდენტი	ი. ტრიპოლსკი
გრიადუნოვი — ინჟინერ-მექანიკოსი	ვ. ძაგნიძე
ხავთასი — ელექტროჯგუფის ზემდეგი	ალ. სიხარულიძე
კანკავა — მექანიკური ჯგუფის ზემდეგი	ა. ვერულეიშვილი
მონიავა — ქვემეხის კომანდირი	ს. კვაჭაძე
ზარიძე	ა. დადიანი
მესაჭე	გ. ქორიძე

ი ა მ ა ნ ი ძ ე — რადისტი ნ. კანდელაკი
ბ ე თ ა ნ ე ლ ი — პოეტი, პარტიზანთა მეთაური გ. ფრონისპირელი
დადგმა — ვახტანგ ტაბლიაშვილისა (ხელოვნ. დამს. მოღვაწე)
მხატვარი — პროფ. დ. კაკაბაძე
მუსიკა — კომპ. ა. კერესელიძე
რეჟისორ-ასისტენტი — ი. ჭავჭანიძე
რეჟისორის თანაშემწე — ი. ჯორჯაძე
დირიჟორი — ჯ. დიასამიძე
თეატრის დირექტორი ივ. გვინჩიძე
სამხატვრო ხელმძღვანელი — შ. ღამბაშიძე (რესპ. დამს. არტ.)

1945—1946 წლის თეატრალურ სეზონში „უძლეველნი“ სულ 36-ჯერ დაიდგა. ვახტანგ ტაბლიაშვილის შესანიშნავმა დადგმამ, პროფესორ დავით კაკაბაძის არაჩვეულებრივი გემოვნებით და სილამაზით შესრულებულმა მხატვრობამ და დეკორაციებმა, არჩილ კერესელიძისმუსიკამ და მსახიობების უზადო, მაღალოსტატურმა თამაშმა, განსაკუთრებით კი სერგო ზაქარიაძის ჰეროიკულმა შემართებამ წარმოდგენა მაღალ დონეზე აიყვანა და დიდი წარმატება მოუპოვა. წარმოდგენების მსვლელობის დროს დარბაზი მუდამ გაჭედილი იყო აღფრთოვანებული მაყურებლით, რომელიც არ იშურებდა ხანგრძლივ ოვაციებს, შეძახილებს, ცრემლს, თითქოსდა პიესაშიც კი მონაწილეობდნენ. ყველა ხარობდა, მაგრამ ლევანს ეს სიხარული პრემიერაზე ჩაუმწარდა. მან თვალი მოკრა იმ ჯაშუშს, მიწაზე რომ დაანარცხა და შემდეგ აღარ გამოჩენილა. აი, ახლა მე-5 რიგში იჯდა და გაღიმებული, კარგი ნაცნობივით ტაშს უკრავდა ლევანს. ლევანს ეს ცუდად ენიშნა.

ყველა, დიდი თუ პატარა, მსახიობი, მწერალი, კრიტიკოსი, უბრალო მაყურებელი, სამამულო ომის მონაწილე, ლევანს გულითადად ულოცავდა ამ შესანიშნავი სპექტაკლის შექმნას. ეს მართლაც დიდი და დამსახურებული აღიარება იყო. რაც შეეხება რეცენზიებს, კრიტიკოსები ისევ დუმდნენ გაუგებარი მიზეზების გამო.

იმავე წელს ლევანმა მოსკოვიდან მიიღო ოფიციალური წერილი, რომელიღაც თეატრი სთხოვდა „უძლეველნს“. ლევანმა სასწრაფოდ თვითონვე თარგმნა პიესა რუსულად და ფოსტით გაგზავნა. პიესა დაიკარგა (დღემდე არავინ იცის სად არის). ესეც ცუდად ენიშნა.

თბილისში წინა წლებთან შედარებით უკეთესი განწყობი-

ლება სუფევდა. ხალხი უკვე მოუთმენლად ელოდა ომის დამთავრებას. ფრონტის ხაზი დიდი ხანია გასცილდა საბჭოთა ქვეყნის საზღვრებს, ბრძოლები ბერლინის მისადგომებთან მიმდინარეობდა, ომის დამთავრება და ჩვენი ჯარის გამარჯვება გარდაუვალი იყო.

ლევანი კვლავ სამოგზაუროდ წავიდა. ჯერ ერთი, ჯაშუშის საქციელი არ ასვენებდა, მეორეც, უბის წიგნაკში წითელი ფანქრით შემოხაზული ჩანაწერები, კითხვის ნიშნები მოსვენებას არ აძლევდა. ეს ვახუშტის წიგნიდან ჰქონდა ამოწერილი: „რიონის დასავლეთით, მთის ძირს არის ხომლის კლდე ფრიად მაღალი, მოიგო ამან სახელი ესე სიმაღლით, ხომლის ვარსკვლავის სწორობით. ამ კლდეში არის ქვაბი გამოკვეთილი, მტრისაგან შეუვალი, მეფეთა საგანძურთა სადები“. ბავშვობიდანვე ახსოვდა ლევანს თავისი გამზრდელის, რაჭველი ქალის ტასოს ნათქვამი: რაჭა-ლეჩხუმის საზღვარზეა მიუვალი ხვამლის მთა და იქ გამოქვაბულებიც არისო. ამიტომ ეს მიუვალი ქვაბულები, სადაც შესაძლებელია საქართველოს ისტორიული საგანძური დიდი ხანია ელოდა მკვლევარს, მოსვენებას უკარგავდა ლევანს.

ალიოშა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით შედგა ხვამლის მთის და ქვაბულების დასალაშქრავი ექსპედიცია. „ექსპედიციის წევრები ვიყავით: არქეოლოგი გოგი ლომთათიძე, მთამსვლელი ოსტატი მეტეოროლოგი ალექსანდრა ჯაფარიძე, ალიოშას და, მთამსვლელი ვერა ბელეცკაია, მთაში „თეთრ ვერად“ მონათლული, საუკეთესო მთამსვლელი და მღვიმე-ქვაბულებში მძრომელი ატე ნემსიწვერიძე, სიმონ შხვაცაბაია, უკრაინელი ბუნებისმეტყველი მიკოლა ბურჩაკი და მე — მწერალი ლევან გოთუა“, — ჩაწერილი აქვს ლევანს. იგი განაგრძობს: „ალიოშა ჯაფარიძის მიერ შემუშავებულ ასვლის გეგმას გავეცანით, კლდესა და ქვაბულებს ვუფარდებდით და ვესადაგებოდით“.

ლევანი თბილისიდან გავიდა და ჯაშუშს გზა აუბნია —ქუთაისში ღამიანად ჩავალ, შემდეგ კი იქიდან ჯგუფს დავეწევიო. გზად ყურადღების გარეშე არ დატოვა არც ერთი ღირსშესანიშნავი ძეგლი, მოწამეთას კი იქვე ლექსიც უძღვნა (სახლში მხოლოდ მისი პატარა ნაწილი შემოგვრჩა).

ბესმის, მოწამეთა!

საქართველოში ვინ არის, რომ არ აწამეს,
ვის არ შეაბეს მძიმე ლოდი,
განა თავი ცოტამ გასწირა,
მაგრამ დროც მოვა, ჩვენს ძახილს
მურვანყრუებიც გაიგონებენ.

„საღორიაში უჩუმრად მიველ. ქუთაისიც ასე მოვინახულე. ვიბორიალე ხალისიან და შუშპარა ცოცხალ ქუჩებში თავისუფალმა, სიცოცხლის ძალით შემატებულმა.

სადღაც სულ ახლოს კეთილად და იმედიანად ყურს ატკბობდა და გულს საამურად ხვდებოდა დოლ-ფანდურზე აყოლილი ქართული ჰანგები. მოვინახულე ბაგრატის ტაძარი დანგრეული, მაგრამ მარად უნგრევი. ღამის შუქზე ზღაპრულად გამოიყურებოდა წინა თაობათა გადაბმული უშრეტი ჯაჭვით. ჯაჭვის ხიდიდან გადავხედე შებოჭილ რიონს, წინ სწრაფვა სდუმდა, შიგ ღამე ჩაწოლილიყო.

ყოველივე ნახული და შეგრძნობილი პატრიოტულ გრძნობას მიალებდა, წინაპართ რწმენას და სიყვარულს მიორკეცებდა“.

შემდეგ ლევანი ჯგუფს დაეწია.

„გადავიარეთ ცხრა მთა, ცხრა ველი, ულამაზესი ხეობები და წყაროები. ალპურ ზონაში მეჯოგეებს შევხვდით, ვესტუმრეთ კიდეც, ისინი ლეჩხუმ-ტვიშელები აღმოჩნდნენ: ალექსანდრე ნაჭყეპიანი, ნიკოლოზ ნემსიწვერიძე, გრამიტონ გორდეზიანი, ვახტანგ ასათიანი. მათ მეტად თავაზიანად მიგვიღეს, ქვაბულების შესახებ გვესაუბრნენ. ხვამლის თავისკენ გზაც გვაჩვენეს.

ხვამლის ფრიალო ძგიდეს სამხრეთ-დასავლეთით შემოვუარეთ და „დათვის ყელზე“ გავედით. იქვე ცოტაც მივეძალეთ, ულრანი ტყე და მთა-გორაკები გადავიარეთ და ხვამლის თავზე მოვექეცით.

მთა ქართული საზომით არ არის მაღალი. მაგრამ 300-მეტრიანი ფიქალი კლდეა, ხვამლის ქვაბული კი თითქმის მის შუაგულშია მოთავსებული. ხეობის ძირიდან ფიქალს ვზვერავთ და თოკებს ვზომავთ. თხემზეც ავედით, სწორედ საოცრება ყოფილა ხვამლის თხემიც. იქიდან თვალს ვატანთ მის გარშემო ულამაზეს გარემოს — ასხის მთას, საქარიას, დიდის, ლაბრახი-

და სხვა მრავალს, სვანეთის ქედსა და თეთრ-ჭაღარა კავკასიონს. აქ ყველაფერი უზომოდ წარმტაცია და ღრმად თავისებურების ნიშანსვეტით გამოირჩევა.

რამდენიმე დღის შემდეგ მეორე ჯგუფიც შემოგვემატა — ალიოშას ძმისშვილი გოგი ჯაფარიძე, რეზო ბანძელაძე, ოთარ ნემსაძე და 14 წლის ახალგაზრდა ჯორჯი ნემსაძე. ის ჩვენი შიკრიკ-ფოსტალიონი გახლდა და „ქვაბულიძე" შევარქვით. ამრიგად, დიდ ჯგუფს, ყველას გვქონდა სურვილი და მისწრაფება ხვამლის გამოქვაბულში შეღწევისა. ამის გადაწყვეტა კი ალიოშას საქმე იყო. ალიოშა ჯაფარიძე თავისი ოსტატობით, ტანმსუბუქად, ზესწრაფვით და უშიშრად აჰყვა წინასწარ დაგრძელებულ თოკს. შემდეგ დაიწყო ხვამლის ქვაბულისაკენ მთამსვლელური გარემოება — „მიწისა და კლდის" კაცების, სათითაოდ თოკით გამაგრებულთა აღმასვლა. დიდი ამაღლებული გრძნობა მეუფლება ქვაბულების საიდუმლოებებში შეღწევის შემდეგ. ასე მგონია, საქართველოს ძველი ისტორიის კიდევ ერთი ფურცელი გადავფურცლე და შიგ ჩვენი სამშობლოს ღრმა კულტურული დონე ამოვიკითხე. ხვამლის ქვაბულები ხვავიანად შეგვხვდა, დავაგროვეთ მუზეუმში წამოსაღები ნივთები: თავხის ნაჭრები, ძველი თიხის ჭურჭლის ნაირსახოვანი ნატეხები, დულაბისა და საღებავის ნიმუშები, ძველთაძველი აგურები. დედო-ქვაბულის ერთ-ერთ კედელში კოლოფი დავტოვეთ, შიგ ხვამლის დამლაშქვრელების — ალიოშა ჯაფარიძის ექსპედიციის ჯგუფის გვარებით შევსებული პატარა ბარათი ჩავდეთ — მომავალი თაობისათვის. ხვამლის მთის ქვევით მთელი სოფელი შემოგვეგება. ძალიან ნასიამოვნები და გამარჯვებულები ჩამოვედით იქიდან. რამდენიმე დიდებული ძველი ნაშთი ჯერ კიდევ ელის თავის მკვლევარებს. ახალგაზრდებო! გაბედეთ, დაუბრუნეთ საქართველოს თავისი ძველი ისტორია, დრო მიდის და მიიხარჯება, ბევრი რამ იშლება და იკარგება. იჩქარეთ, იჩქარეთ!"

როგორი სასიამოვნოა, რომ სულ ახლახან, ორმოცი წლის შემდეგ, ხვამლის გამოქვაბული დალაშქრა ახალგაზრდების ერთმა ჯგუფმა რევაზ შალიბაშვილის ხელმძღვანელობით, ლერი გაბელიას, რამზინ კორშიას და გია ნათადეიშვილის მონაწილეობით. მათ ჩამოიტანეს 1944 წელს დატოვებული ბარათი და ჩვენთან მოიტანეს სახლში. ხვამლის გამოქვაბულების დალაშ-

ქვრის კინოფირიც გადაიღეს. დასანანია, რომ ხვამლის ქვაბულების დალაშქვრის ამბავს ლევანი ვეღარ მოესწრო, ახალგაზრდების ეს მიღწევა კი მეტად გაახარებდა, ეს ხომ ლევანის თითქმის ნახევარსაუკუნოვანი ოცნების თავისებური გამოძახილია.

ხვამლის გამოქვაბულის დალაშქვრით მოპოვებული მასალა ლევანმა მესამე გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ დაამუშავა, ნარკვევის სახით გამოაქვეყნა „ხვამლის ციხე-ქვაბულის" სახელწოდებით და უძღვნა ალიოშა ჯაფარიძეს: „მთამსვლელობის შეუდარებელ ოსტატს, მწვერვალების ვაჟკაცსა და მიუვალი გამოქვაბულების მესაიდუმლეს, მისი დაღუპვის ათი წლის თავზე ვუძღვნი ამ ნარკვევს".

1945 წელს ჟურნალ „მნათობის" მე-10 ნომერში დაიბეჭდა ლევანის შესანიშნავი ნოველა „კრწანისის სევდა". ასორმოცდაათი წლის წინათ კრწანისის ბრძოლებში დაცემულ მამულიშვილებს უძღვნა იგი. ნოველამ თბილისის საზოგადოებაში დიდი გამოხმაურება გამოიწვია და დიდი მოწონებაც ჰპოვა. უამრავი წერილი მოგვდიოდა ლევანის სახელზე საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, ტელეფონით ურეკავდნენ და ულოცავდნენ ამ გამარჯვებას.

ლევანის ავტორიტეტი დღითი დღე იზრდებოდა. თვითონ ლევანი კი სულ ჩქარობდა და ჩქარობდა. არც ერთ წუთს არ ატარებდა უქმად, არაფერს აქცევდა ყურადღებას და დაუსრულებლად მოგზაურობდა.

მისი „ჩრდილი" დროდადრო ისევ გამოჩნდებოდა ხოლმე, რაც ლევანს ძალზე აღიზიანებდა. ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო ხშირად რომ ტოვებდა თბილისს — იქ ჯაშუში არ ჩანდა.

1945 წლის ზაფხულში ლევანი კაცხის სვეტის საიდუმლოებით დაინტერესდა, უბის წიგნაკში წითელი ფანქრით ჰქონდა აღნიშნული. ახლა იმის შესასწავლად გაემართა. წიგნაკში ვახუშტიდან სიტყვები ჰქონია ამოწერილი: „ხრამსა შინა არს კლდე აყვანილი, ვითარცა სვეტი, ფრიად მაღალი. მის კლდის თხემზე არს ეკლესია მცირე, არამედ ვერღარა აღვალს კაცი, არცა უწყიან ხელოვნება აღსვლისა..."

„...კაცხის სვეტის აღნაგობა გაურკვეველია, იგი თითქოს გუშაგად და შეუვალ მოწმედ უდგას მწვავე საიდუმლოებას. სვეტი ვეება კითხვის ნიშანივით შემართული იმზირება და ყველასა-

თვის გამოუცნობი იდუმალებითაა მოცული. კაცხის სვეტი მდებარეობს ჭიათურის მახლობლად, მდინარე კაცხურის ხეობაში, სადაც ბზის ხანდაზმული ხეებია გამეფებული".

ლევანს ახლა კაცხის სვეტის ციებ-ცხელება შეეყარა. იგი წერდა: „ჩემი არ იყოს, მწერალი აკაკი ბელიაშვილი დიდი მოტრფიალეა მშობლიური მთებისა და შეუღწევადი ქვაბების თუ ციხე-კოშკების. ბევრჯერ ერთად გვიმოგზაურია, ერთმანეთის ურთიერთობაც კარგად ვიცით, ორივე თითქოს თანაბრად შევხარით მშობლიური ბუნების სილამაზეს და საუკუნოვანი ციხე-კოშკების სიამაყეს. აკაკი ბელიაშვილი დახვეწილი და ნატიფი გემოვნების კაცია, დაჯილდოებული ღრმა მწერლური ალღოთი და შესანიშნავი წერის ნიჭით, მახვილი კალმით, რაც ყოველთვის ყველას გვახარებს. აკაკიც დაინტერესდა კაცხის სვეტის საიდუმლოებით, ერთად დავიწყეთ წიგნების ქექვა და მასალის დაგროვება. ჯერ ყველაზე უხუცესი მაცხოვრებელი სოფელ კაცხიდან — შამშე დავკითხეთ, რომელმაც აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ პაპისგან მსმენია — არავინ არ მოსწრებია სვეტზე ამსვლელსო. ეს სვეტი საკვირველმომქმედია, იქ ასვლა ფუჭი განზრახვაა, ხიფათს არ გადაეკიდოთო. აკაკი წერეთელს უთქვამს — კაცხის სვეტზე სწორი ხე არ ამოდისო. კაცხელ ცნობილ კრიტიკოსს კიტა აბაშიძეს სოფელი კაცხი გაუკენწლავს, მაგრამ კაცხის სვეტზე არა უთქვამს რა. ამრიგად, მარტო ვახუშტის წიგნში იყო აღნიშნული კაცხის სვეტი".

ლევანი და აკაკი დაუკავშირდნენ ალიოშა ჯაფარიძეს, თავიანთი ზრახვა გაანდეს. ალიოშა უმალვე დაეთანხმა, თადარიგს შეუდგა.

„ჩვენს ჯგუფს ახალგაზრდა არქიტექტორი ვახტანგ ცინცაძეც შემოუერთდა. ძალიან დაგვეხმარნენ არქიტექტურის საქმეთა სამმართველოს უფროსი არჩილ ქურდიანი და სიძველეთა დაცვის განყოფილების უფროსი დავით ლომაძე.

კაცხის კლდის ძირში მივედით. იქ თავი მოეყარათ სოფლის მაცხოვრებლებს. პედაგოგებმა მასპინძლობა გაგვიწიეს — ლუდმილა ცერცვაძემ, ელიკო აბაშიძემ, შალვა კუპატაძემ და სხვებმა დიდი სუფრა გაგვიშალეს.

ალიოშა ჯაფარიძე ზღაპრული ვაჟკაცობით წამოეხვია კედელს, გათოკილი ლურსმნების ჩაჭედვით სწრაფად ავიდა კაცხის წვერზე და ჩვენც აგვიყვანა. აკაკი დავჩაგრეთ, ის ქვევით

დარჩა, საჭიროების შემთხვევაში საშველად. დიდი მსხვერპლი გაიღო. მოსახლეობიდან ახალგაზრდა შუტუ ფოფხაძემ ხვეწნით არ მოგვცა საშველი და ისიც თოკით ზევით ავიყვანეთ. ზევით ავიყვანეთ აგრეთვე პეტრე კუპატაძე. ამრიგად, კაცხის სვეტის წვერზე ხუთნი მოვთავსდით. შემდეგ აკლდამა მოვინახულეთ, შიგ კლდეში დიდ რკალში ჩასმულ ამოკვეთილ ჯვარს მივაგენით, ბოლნისის ტაძრის მსგავსს.

ვნახეთ, ალბათ, უკანასკნელი ბერის ჩონჩხი მუხის ფესვებში ჩახლართული. აქვე იყო მარანი, 5 საშუალო ზომის მთელი, მაგრამ ცარიელი ქვევრი. ეყარა დამტვრეული თიხის ფერადი ჭურჭელი, კეცის ნატეხები, ჩუქურთმებიანი ძველი შანდალი და სხვა ძველმანები. ყველაფერი ავზომ-გავზომეთ, ავგეგმეთ, გადავიღეთ სურათები და აკლდამა ფირზე აღვბეჭდეთ. ღამეც კაცხის სვეტზე გავათენეთ. დიდი კოცონი ავანთეთ, უცნაურ ზმანებაში ვიყავით. დილას თოკით გემრიელი საუზმე და ღვინოც ამოგვიგზავნეს. ალბათ კაცხის სვეტზე ჩვენ პირველებმა გავტეხეთ მარხვა. ცარგად ვისაუზმეთ, კაცხის სვეტის მესვეურთა გახსენებისაც ვთქვით და ნელ-ნელა ქვევით დავეშვით. მთელი სოფელი დიდი აღფრთოვანებით შეგვხვდა. ერთი დედაბერი ლოცულობდა, — აი, სასწაული ამას ჰქვიაო“.

ლევანი თბილისში რომ დაბრუნდა და ქუჩაში გავიდა, მისმა „ჩრდილმა“ ისე გაიხარა, კინაღამ მიესალმა კიდეც სახეგაბადრული. ეტყობოდა დიდხანს უცდიდა. მთაში გალაღებულ ლევანს გული მოუვიდა, მაშინვე შინ დაბრუნდა, რამდენიმე ხანს სახლიდან გარეთ აღარ გადიოდა და დაწყებული დრამის— „დავით აღმაშენებლის“ დამთავრებას შეუდგა: დღე და ღამე მუშაობდა, ჩქარობდა.

ამასობაში კომპოზიტორი ალეკო მაჭავარიანი, რომელსაც სამუშაოდ აერჩია ლევანის ლიბრეტო „არმაზის ციხე“, შემთხვევით ქუჩაში შეხვდა თინას და უთხრა, ძალიან ხშირად საეჭვო ხალხი კითხულობს ლევანს და, ვერ გამიგია, რაშია საქმეო, ცოტა ხნით წავიდეს, თბილისს თავი მოარიდოსო.

ლევანმა სახეტიალოდ დავითგარეჯისაკენ გასწია, თან თინა და მზია წაიყვანა და „დავით აღმაშენებელი“ წაიღო დასამთავრებლად. 10 დღის შემდეგ ყველანი, უნიკალური და უძველესი ძეგლების ნახვით ძლიერ აღფრთოვანებულები, სახლში დაბრუნდნენ. ლევანმა ბევრი საჭირო მასალა დააგროვა, თავის უბ-

ის წიგნაკში წამდაუწუმ ხან რას და ხან რას იწერდა: „აქა-იქ ჩაშლილი გვირაბით თითქოს საუკუნის სიღრმეს ჩავყურებდი. ქვაბთა საოცარ სამყაროს თვალს ვერ ვაცილებდი, ლაღად ფიქრი აღარ შემეძლო, აღარც დაკვირვებული ჭერეტა, ყველგან ძეგლის უკვდავი სული თან დამყვებოდა და დამსდევდა“.

გული სტკიოდა ლევანს დავითგარეჯის მოუვლელობაზე, ჩამონგრეულ ქვაბულებზე, უპატრონოდ მიტოვებულ უნიკალურ ფრესკებზე. გადაწყვიტა „დავით აღმაშენებლის“ დამთავრების შემდეგ კვლავ მოენახულებინა იგი. მიზნად დაისახა ქვაბულების გაწმენდა, ფრესკების პატრონობა, შესწავლა და სხვა საჭირო სამუშაოების ჩატარება. მტკიცედ გადაწყვიტა — თუ დამცალდა, „დავით აღმაშენებლის“ შემდეგ უსათუოდ დავითგარეჯზე დაწერ ისტორიულ რომანსო. ლევანის ეჭვი მართალი აღმოჩნდა — მას ეს არ დასცალდა. მარტო ეს კი არა, ძალიან ბევრი ჩანაწერი და ჩანაფიქრი დარჩა დაუმთავრებელი.

დავითგარეჯის დათვალიერების შემდეგ ლევანმა ასეთი პატარა ცნობა გამოაქვეყნა: „ვუშველოთ დავითგარეჯს!“ იგი წერდა: „ეს ჩვენი, ყველა მამულიშვილის ვალია, არა იმიტომ, რომ ის მარტო შესანიშნავი, უნიკალური ძეგლია ჩვენი ძველი ისტორიისა და ხელოვნების, არამედ ის ჩვენი დღევანდელობაა და ხვალინდელი, მომავალი სულისკვეთება, რომელიც სცილდება ნაციონალურ ფარგლებს.

დავითგარეჯში 2.000-ზე მეტი ძეგლია — ქვაბულები, სალოცავები, აკლდამები, ციხესიმაგრეები, მიწისქვეშა გასასვლელები და სხვა მრავალი. ასევე დარჩა იგი სადღეისოდ შესასწავლი, დასაცავი და შესანახი. საკმარისია ისიც ითქვას, რომ ჯერ კიდევ მთლიანად არ არის შესწავლილი დავითგარეჯის ძეგლის ბევრი კომპლექსი, არც აღწერილი და არც აღრიცხული. ჯერ არაფერი ისმის მათ გათხრებზე და სარესტავრაციო სამუშაოებზე. მართალია, თითქოს რაღაცა გამოცოცხლებაა ამ საკითხის ირგვლივ, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია. სანამ ჯერ კიდევ არ არის გვიან, ამ კომპლექსთა შესასწავლად საქართველოში უნდა შეიქმნას აკადემიასთან არსებულ ინსტიტუტში კულტურულ-სარესტავრაციო ცენტრი და მას დაექვემდებაროს ყველა სარესტავრაციო სახელოსნო და სამუშაო“.

საგრძნობი გახდა, რომ ჩეკას ის რკალი, რომელშიც ლევა-

ნი იყო მოქცეული, დღითი დღე ვიწროვდებოდა. ლევანს არა მხოლოდ არსებობა, სუნთქვაც უძნელდებოდა.

ლევანმა დავითგარეჯიდან თბილისში დაბრუნებისთანავე დაამთავრა „დავით აღმაშენებელი". დრამა ჯერ კიდევ სახლში ჰქონდა ლევანს და თეატრში წაღებას აპირებდა, როდესაც აკაკი ხორავამ ისევ გამოგზავნა კაცი. ის „დავით აღმაშენებლის" დასადგმელად რუსთაველის თეატრს სთავაზობდა ავტორს. რაც მთავარია, დავით აღმაშენებლის როლის შესრულებას თვითონ აპირებდა.

ლევანი იმდენად შესისხლხორცებული იყო მარჯანიშვილის თეატრთან და ისეთი ნდობა და ურთიერთგაგება არსებობდა მათ შორის, რომ ვერც კი წარმოედგინა თავისი პიესის სხვა თეატრში დადგმა, თუნდაც რუსთაველის სახელობის თეატრში. ლევანმა პიესა მაინც მარჯანიშვილის თეატრს გადასცა, ხოლო ა. ხორავას შეუთვალა, გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრი მაქვს და თქვენც გერგებათ კარგი როლიო.

1945 წლის 9 მაისს დამთავრდა ომი. მალე თამარი ჯანმრთელი და უვნებელი დაბრუნდა. ოჯახმა გაიხარა, ყველანი ერთად ვიყავით. ომისაგან გაწვალებულ-გაღატაკებული ხალხი ხარობდა. ცხოვრება თითქოს ისევ კალაპოტში დგებოდა. თითქოს ყველაფერი უნდა მოწესრიგებულიყო. ბაგრამ, ხალხმა ვერ მოასწრო ომის ჭრილობების მოშუშება და ახალი ტრაგედია დაატყდა თავს: ისევ მასობრივი დაპატიმრება და გადასახლება! მიზეზიც უცბად მოინახა. პირველ რიგში, ტყვედ ნამყოფებს მისდგნენ, რატომ თავი არ მოიკალით, როცა ტყვედ ჩავარდითო და ასახლებდნენ შორეულ ბანაკებში... თუ ვინმეს ნათესავი ან თუნდაც უცნობი მოგვარე აღმოაჩნდა საზღვარგარეთ, ისინიც მიაყოლეს. ოჯახი, რომელიც საეჭვოდ იყო მიჩნეული ქალაქიდან ილაგმებოდა, იჭერდნენ და ასახლებდნენ სრულიად უდანაშაულო ხალხს, მხოლოდ ეჭვის მიტანით. ჩეკაში თხზავდნენ ომის პერიოდში სამშობლოს მოღალატეთა ჯგუფების სიებს, რომლებიც თურმე ტაშფანდურით უნდა შეხვედროდნენ გერმანელებს. ასევე აპატიმრებდნენ და ასახლებდნენ სხვა ეროვნების ხალხს, რომლებიც მთელი თავისი სიცოცხლე აქ ცხოვრობდნენ და შეესისხლხორცნენ საქართველოს. მოკლედ, ხალხმა ომის შემდეგაც ვერა და ვერ ამოისუნთქა. სადგურზე ჩამომდგარი იყო გრძელი ეშელონები. განმკითხავი და ხალხის პატრო-

ნი კი არსაიდან ჩანდა. ომი აღარ იყო, მაგრამ უბედურება არ ნელდებოდა.

რასაკვირველია, ლევანის საქმეც არ იყო კარგად. ჯაშუშები ბოლო ხანებში უფრო გათავხედნენ და საშველს აღარ აძლევდნენ, სიცოცხლეს უმწარებდნენ. ისიც შეამჩნია, რომ თეატრში და საჯარო ბიბლიოთეკაშიც ჩეკას მიერ მიჩენილი ჰყავდა მზვერავები. უბედურება ის იყო, ლევანი მათ კარგად იცნობდა.

ლევანი ცდილობდა ზედმეტად ,ხალხს არ შეხვედროდა, საჯარო ბიბლიოთეკაშიც კი მოითხოვა ცალკე სამუშაო ადგილი. ხშირად წიგნებს და ჩანაწერებს მაგიდაზე განგებ ტოვებდა, რომ ენახათ რაზე მუშაობდა და ეჭვი გაფანტვოდათ. მოკლედ, აუტანელი პირობები შეექმნა. გარეგნულად თავს მხნედ იჭერდა, შინაგანად კი ცეცხლი ეკიდებოდა. მისი განწყობილება ჩვენც გადმოგვედებოდა ხოლმე, ყველანი აფორიაქებული ვიყავით, ლევანი ჩვენს დაწყნარებას ცდილობდა, ნუ გეშინიათ, სანამ ჩემი პიესები თეატრში კარგად მიდის და ჩემგან სახელმწიფოს დიდი შემოსავალი აქვს, ამ სეზონზე, ალბათ, ხელს არ მახლებენ. მერე კი, რა ვქნა, რაც იქნება იქნებაო.

ამასობაში მარჯანიშვილის თეატრში ძალიან აქტიურად მზადდებოდა „დავით აღმაშენებელი". მისი გაშვება ამავე სეზონში უნდოდათ. ეს უკვე ლევანის მესამე პიესა იქნებოდა. დაინიშნა კიდეც გენერალური რეპეტიცია, იმ დღეს ჩვენ ყველანი, დიდი ღელვითა და შინაგანი თრთოლვით, ისევ ჩვენს ადგილებზე ვისხედით.

გენერალურმა რეპეტიციამ ბრწყინვალედ ჩაიარა, წარმოდგენამ გაიმარჯვა! დიდი საზეიმო სანახაობა იყო. მსახიობები არ ზოგავდნენ ოსტატობას და დიდი გატაცებით ასრულებდნენ როლებს. მაყურებელი აღფრთოვანებით შეხვდა წარმოდგენას.

შენიშვნები არ ყოფილა. დადგმა ერთხმად მიიღეს. ისევ აქებდნენ და ადიდებდნენ ლევანს, გულით ულოცავდნენ გამარჯვებას. ყველანი კარგ ,ხასიათზე ,დასასიამოვნო გრძნობით დავბრუნდით შინ. დარწმუნებული ვიყავით მეორე დღეს პრემიერა დაინიშნებოდა.

მეორე დღეს ლევანი საშინლად აღელვებული დაბრუნდა თეატრიდან — წარმოდგენა საერთოდ მოხსნესო, ჩემთან ერთად მთელი დასი და ადმინისტრაციაც არა ნაკლებ განიცდისო. არავინ იცის მიზეზი. თეატრის უფროსები აღშფოთებული წავიდ-

ნენ პარტიის ცეკას მდივანთან კანდიდ ჩარკვიანთან. სპექტაკლის აღდგენაში დიდ აქტიურობას და მონდომებას იჩენდა თეატრის დირექტორი ი. გვინჩიძე, გამჭრიახი გონების, კეთილი ადამიანი.

ახლა, როდესაც „დავით აღმაშენებლის" შესახებ მასალებს ვაგროვებდით ქალბატონ მაია კვანტალიანთან ერთად მარჯანიშვილის თეატრის მუზეუმში, ბევრი ვეძებეთ საბუთები. გვინდოდა დაგვედგინა წარმოდგენის მოხსნის მიზეზი. არქივში ვერაფერს მივაკვლიეთ, მაგრამ მსახიობებმა, ლევანის მეგობარმა და რეჟისორმა ვახტანგ ტაბლიაშვილმა გაიხსენეს ეს მიზეზი. თურმე ერთმა ცნობილმა მსახიობმა მთავრობას მოახსენა, რომ პიესაში საქართველოს ძველი ფეოდალური წყობაა განდიდებული, რაც ჩვენი წყობის მსოფლმხედველობას ეწინააღმდეგებაო. შეიქმნა კომისია. კომისიამ ნახა წარმოდგენა და აღადგინა.

„დავით აღმაშენებელი" რამდენიმე ხნის შემდეგ მაინც დაიდგა, თანაც დიდი წარმატებით.

ქვემოთ გვინდა წარმოვადგინოთ ამ პრემიერის პროგრამა.

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი

1945—1946 წ. სეზონი

ლ. გოთუა

დავით აღმაშენებელი

პრემიერა, 23 II—46 წ.

დრამა 5 მოქმედებად, 10 სურათად

მონაწილეობენ:

დავით აღმაშენებელი	ს. ზაქარიაძე (სტალ. პრემ. ლაურ., რესპ. დამს. არტ.)
კათალიკოს-პატრიარქი	შ. ღამბაშიძე (რესპ. სახ. არტ.)
	ა. დაუშვილი
გიორგი ჭყონდიდელი	გ. შავგულიძე (რესპ. დამს. არტ.)

მზეთვალა	ვ. ანჯაფარიძე (სტალ. პრ. ლაურ., რესპ. სახ. არტ.) თ. თეთრაძე
გვარანდუხტ	ნ. ვაჩნაძე (სტალ. პრ. ლაურ., რესპ. სახ. არტ.) მ. ქორელი
ათრანდა შარვაშიძე—	
ყივჩაღთა უმთავრესი	ვ. ქურხული
აბულეთი	ვ. გელაშვილი
ლიპარიტ-ბაღვაში	ალ. გომელაური (რესპ. დამს. არტ.) ვ. ქურხული
ძაგან ერისთავი	შ. ჯაფარიძე (რესპ. დამს. არტ.)
ოთარ ჭარმაულის ძე	შ. გოცირიძე
ეაჩე ჩულუხაის ძე	მ. სარაული (რესპ. დამს. არტ.) შ. ჩუტლაშვილი
ასათ გრიგოლის ძე	ზ. გომელაური (რესპ. დამს. არტ.)
შოთა გრიგოლის ძე	გ. ფრონისპირელი
გუგა საღარაის ძე	დ. ჩხეიძე
ბეშქენ ჯაყელი — სპასპეტი	შ. თორთლაძე
ულფან კახაბერისძე—	
მანდატურთუხუცესი	გ. მგელაძე
ივანე ორბელი-მეპურეთუხუცესი	ა. დადიანი
აფრიდონის ძე	ზ. ლაფერაძე
მსახურთუხუცესი	გ. ტატიშვილი
რეფექტული	ქ. დოლიძე ბ. გამრეკელი
ხუროთმოძღვარი	ი. ვერულეიშვილი
მოდისტოს-ბერი	ვ. ბეგადიშვილი
მეხისავარ	ს. კვაჭაძე
გუდარეხვაი	ვ. გოძიაშვილი (რესპ. დამს. არტ.)
ბენჯაფარი-თბილისის ამირა	ი. ტრიპოლსკი
აღსართანი	ი. ქოქრაშვილი
მალიქ-ტოღრილი	ა. ხვანიძე
ანდიბარ მღვი	ა. სიხარულიძე
მაქსულ დავლე	ა. მაგრაქელიძე
ელჩი საბერძნეთიდან	მ. სულთანიშვილი
ჯვაროსანთა ელჩი	დ. ხულურდავა
სომეხთა ელჩი	მ. სულთანიშვილი

ხალხურ სცენებში მონაწილეობენ მსახიობები და თანამშრომლები.

დ ა დ გ მ ა — ვახტანგ ტაბლიაშვილის (ხელ. დამს. მოღვაწე)
რეჟ. ასისტენტი — ი. გრატიაშვილი
მხატვარი — ი. სუმბათაშვილი, ზ. ლაპიაშვილი
კომპოზიტორი — ა. კერესელიძე
ქორეოგრაფი — ჯ. ბაგრატიონი
დირიჟორი — პ. ღიასამიძე
სამხატვრო ხელმძღვანელი — შ. ღამბაშიძე (რესპ. სახ. არტ.)
თეატრის დირექტორი — ი. გვინჩიძე

აქვე მოგვყავს ამონაწერები ამ სპექტაკლის რეცენზიებიდან: გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება", 1946 წლის 15 III.

ბესო ულენტი

„დ ა ვ ი თ ა ღ მ ა შ ე ნ ებ ე ლ ი"

„საზეიმო დღეებში მარჯანიშვილის თეატრში დაიდგა ლევან გოთუას ახალი დრამა „დავით აღმაშენებელი". ეს არის ნაციონალური სიამაყის გრძნობით, წრფელი პატრიოტული მგზნებარებით აღბეჭდილი სპექტაკლი, გამომხატველი ქართველი საბჭოთა ხალხის შეუნელებელი სიყვარულისა და პატივისცემისა თავისი წინაპრებისადმი, ჩვენი გმირული წარსულისადმი, ჩვენი დიადი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ტრადიციებისადმი. ლ. გოთუას „დავით აღმაშენებელი" ასახავს ძველი საქართველოს უდიდესი ადამიანის, ერისა და პირუთვნელი ისტორიის მიერ აღმაშენებლად წოდებულის მეფე დავით მეოთხის შესანიშნავ ცხოვრებასა და სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას, როგორ აღადგინა საქართველო, ააშენა, როგორ განდევნა მტერი და გაწმინდა მტრის ურდოებისაგან. ჭაბუკური ასაკის მიუხედავად, მას უკვე მოხვეჭილი აქვს დიდება. პიესა ისტორიული სიმართლით გადმოგვცემს იმდროინდელი საქართველოს ვითარებას, მის განუსაზღვრელ ერთგულებას სამშობლოსადმი. თვით თემა პიესისა, თვით დრამის გმირი პასუხისმგებლობას ანიჭებდა თეატრს მისი მაღალ დონეზე შესრულებისათვის, რაც თეატრმა პირნათლად შეასრულა. ცხადია, პიესა ხარვეზების გარეშე არ იქნება, შემდეგ განიხილება ხარვეზებიც. შემდეგ მოდის დამდგმელი რეჟისორის ვ. ტაბლიაშვილის მდიდარი ფანტაზიისა. და მხატვრული აზრის ორიგინალური გადაწყვეტა. მხატვარი ზ. ლაპიაშვილი ცხოვლად აღადგენს ჩვენს ცნობიერებაში დრამის მოქმედების ფონს, ეპოქას, პიესის გმირთა ცხოვრებას.

დავითის როლის შემსრულებელი ს. ზაქარიაძე დიდი ოს-

ტატობით, შინაგანი პოტენციალით მთლიანად გადმოგვცემს იმ-დროინდელ ცხოვრებას". შემდგომში კრიტიკოსი ცალ-ცალკე აღნიშნავს მსახიობების: შალვა ღამბაშიძის, ვერიკო ანჯაფარიძის, ვასო გოძიაშვილის, ნატო ვაჩნაძის, გიორგი შავგულიძის დიდ მონდომებას დრამატული განწყობილების ოსტატურად გადმოსაცემად, მათ უზადო ხელოვნებას. იქვეა ლაპარაკი არჩილ კერესელიძის მიერ სპეციალურად დაწერილი მუსიკის სიმშვენიერეზე.

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", 1946 წლის 6. IV. შალვა გვინჩიძე

„საუკუნოვანი სიღრმიდან ეხმაურება ეს დრამა-სპექტაკლი დღევანდელობას. ლ. გოთუა, ცხადია, უბრალოდ როდი იმეორებს ფაქტებს (მაშინ ისტორია გვექნებოდა და არა სპექტაკლი), არამედ ანსახიერებს მათ თავისუფლად, გაბედულად აგვიწერს თავისი გმირების ნაზრევსა და ნათქვამს. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, დრამატურგის ფანტაზიის ნაყოფია, მაგრამ ნაყოფი მხატვრულად და ისტორიულად გამართლებული. ავტორმა მიუმატა ის, რაც არ იყო სინამდვილეში, მაგრამ რაც შესაძლებელია ყოფილიყო.

აიხდება თუ არა ფარდა, მაყურებელი შედის ქართველი ხალხის დიადი წარსულის სამყაროში. მოწმე ხდება მისი დიდი ამბების. ასე დაიწყო დავითმა თავისი მეფობა და ის დიდი მიწისძვრები, თითქოს წინასწარ მაუწყებელი იყო იმისა, თუ რა დაუნდობელი და შეუნელებელი ბრძოლა მოელოდა დავითს ქვეყნის აღდგენა-აშენების დიად გზაზე.

პირველი ნაბიჯიდანვე დავითს მოუხდა შებრძოლება თვითნება ურჩ დიდებულებთან და სამღვდელოებასთან. „წურთნას ვიწყებ შეუბრალებელსო", — განაცხადებს იგი და მძლავრ ხელში აიღებს სახელმწიფოს სადავეს. იგი „ცოტა" მკაცრი იყო, მაგრამ მან ხომ არც თავისი გული დაინდო, რომელიც თავის ერს, ქართველი ხალხის კეთილ აწმყოსა და დიად მერმისს შესწირა".

შემდეგ ცალ-ცალკე განხილულია მოქმედი პირები და ხოტბაშესხმული ყველა მსახიობი.

ამრიგად, ლევანის ამ პერიოდის სამი დრამა — „მეფე ერეკლე", „უძლეველნი" და „დავით აღმაშენებელი", დაწერილი ისტორიულ და თანამედროვე თემაზე, როგორც პატრიოტული,

ისე მხატვრული თვალსაზრისით, მხატვრული გაფორმებით, მუსიკალური ჟღერადობით და, რაც მთავარია, მსახიობთა მიერ გმირების მაღალოსტატური განსახიერებით სამშობლოსადმი სიყვარულის, მაღალი პათოსის გამომხატველი იყო და ჩვენი ეპოქის საზოგადოებრივი განვითარების სიმაღლეზე იდგა. სპექტაკლმა მაყურებელს მაღალი ესთეტიკური გრძნობა გაუღვივა, დიდი მოწონება და სიყვარული დაიმსახურა.

განა შეიძლება დავიწყება იმ მრავალრიცხოვანი, აღფრთოვანებული მაყურებლებისა, რომლებიც დიდი სიხარულისა და კმაყოფილების გრძნობით შესცქეროდნენ და თანდათან, თავისდაუნებურად შედიოდნენ მოქმედი პირების განცდათა ჭიდილში, არ იშურებდნენ ოვაციებს! ლევანის თქმისა არ იყოს, „ტაშის კალო ილეწებოდა"! შეძახილებს, ცრემლს, გულისწყრომას თუ სიხარულს, რაც წარმოდგენის მთელ მსვლელობას თან სდევდა მსახიობთა ოსტატური, უნაკლო თამაშის დროს, უშუალოდ განაპირობებდა ტექსტის მაღალი დონე. როდესაც ტექსტი ძლიერია, მსახიობთა თამაშიც მაღალი რანგისაა. ამ სპექტაკლში კი ეს ორივე კარგად იყო შერწყმული. მაყურებლის თვალწინ კინოკადრებივით ერთმანეთს ცვლიდა ჩვენი სამშობლოს ისტორიული წარსულის ყოფისა თუ საგმირო საქმეების ამსახველი სურათები, საქართველოში გადახდილი ბრძოლები თუ დარბევები, დამარცხება თუ დიადი გამარჯვება.

კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სპექტაკლები 1942—1946 წლების სეზონში შეიძლება მიეკუთვნოს ღირსშესანიშნავ მოვლენას იმდროინდელი საქართველოს თეატრალურ ცხოვრებაში. ერთია უცნაურიც და სავალალოც: ასეთ შემოქმედებით აღმავლობის დროს, როდესაც წარმოდგენაზე ბილეთის შოვნა იოლი არ იყო, როცა აღფრთოვანებული მწერლები და კრიტიკოსები ლევანს წარმატებებს გულთბილად ულოცავენ, რეცენზიები მის პიესებზე თითქმის არც ერთი არ ყოფილა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში თითო-ოროლა სტატიას, სადაც უმთავრესად მსახიობთა ქება-დიდებაა და მათი ოსტატური თამაშია შეფასებული. აღნიშნულია აგრეთვე უდიდესი დამსახურება დამდგმელი რეჟისორის, მხატვრის, კომპოზიტორისა. ყველაფერი დიდად სასიამოვნოა, ნამდვილად დამსახურებულიც, მაგრამ სად არის ნახსენები პიესების ავტორი, შემოქ-

მედი, სულისჩამდგმელი? თითქოს რეცენზენტებიც და კრიტიკოსებიც შეშინებულები განზე იდგნენ.

ნათესავები თუ ლევანის კეთილის მსურველები ნაწყენები ვიყავით ლევანის მიმართ ასეთი დამოკიდებულებით. თვით ლევანი კი ღიმილით ამბობდა: მე ბედნიერი ვარ, რომ ჩემი დრამები ხალხს მოსწონს, მათ შეიყვარეს და შეისისხლხორცეს. ეს განა ჩემთვის დიდი მიღწევა არ არის? ხშირად მომისმენია ჩემი პიესების ტექსტს ზეპირად რომ ამბობენ. ეს ხომ უმაღლესი მორალური ჯილდო და ბედნიერებაა. მაყურებელმა სცენიდან აიტაცა მონოლოგები და გარეთ ხალხის გულში გაფენტა. განა ეს არ არის ჩემი აღიარება?! ხალხი ჩემთან არის, მე მეტი არაფერი მინდა. ის არის ყველაზე ობიექტური შემფასებელი. ამაზე ნუღარ ვილაპარაკებთ. დაიმახსოვრეთ, რომ, სამწუხაროდ, ჩვენთან, საქართველოში, გარდაცვლილ მწერლებს უფრო მეტი ფასი ადევთ, ვიდრე ცოცხლებს, მე რომ აღარ ვიქნები, ჩემზე მაშინ იტყვიან სიტყვას.

ასეც მოხდა. ისე გაიარა ლევანის მთელმა ცხოვრებამ, რომ მისი შემოქმედების შეფასებისას მწერლებიცა და კრიტიკოსებიც სიტყვაძუნწობდნენ. მის წასახალისებლად არაფერი თქმულა მწერალთა კავშირში, თუმცა ემატებოდა და ემატებოდა ელიტას ახალ-ახალი ლაურეატები. ლევანი არასდროს არაფერზე პრეტენზიას არ აცხადებდა, მე მათი არაფერი მინდა, ოღონდ თავი დამანებონ და მუშაობის საშუალება მომცენო. „სადღეისოდ უაღრესად გვჭირდება ყოველდღიური თავდადებული მოქალაქეობა და ხალხის შვილობა, რაც ამჟამად ძალიან გვაკლია საქართველოში", — ხშირად იმეორებდა ის.

თინა ხშირად ეკითხებოდა ლევანს: ამდენი დრამის წერას, უკეთესი არ იქნებოდა ერთი კარგი ისტორიული რომანი დაგეწერა? დრამის დაწერა, როგორც შენ ამბობ, ძნელია. მისი სცენაზე გატანა დიდ წინააღმდეგობებს და დაბრკოლებებს ხვდება. ამასთან დაკავშირებით შენ განცდაც და ჯავრიც ბევრი გაქვს. ჩვენ, მთელი ოჯახი, ამას კარგად ვხედავთ. და ვგრძნობთ კიდეც.

— თინა, შენ მართალი ხარ! კარგი დრამის დაწერა მეტად ძნელია, ეს ყველას არ შეუძლია, — ეთანხმებოდა ლევანი თინას. — ჩემი გაგებით, დრამატურგია მწერლობის უმაღლესი საფეხურია, ეს წერის თავისებურებასთან არის დაკავშირებული.

სიძნელეები არ მაწუხებს და მისი დაძლევისა არ მეშინია. ამჟამად პიესების წერა სიამოვნებას მგვრის და ძალიან ადვილადაც გამომდის. თუმცა დადგმაში და საჯაროდ გატანაში სულ სხვა სიძნელეებია. ვაი, ვაი, რომ პატრიოტული პიესების გაშვების ბედი ზოგჯერ არასათანადო სიმაღლეზე წყდება არამცოდნეების მიერ არაავტორიტეტული მსჯელობით. მე ასე გადავწყვიტე: სანამ ქართული თეატრი ცოცხალია და ცხოველმყოფელი, მე მას დავუწერ პიესებს. მე ბევრი ჩანაფიქრიც და ჩანაწერიც მაქვს. როდესაც დავრწმუნდები და შევატყობ, რომ მე მათთვის და ისინი ჩემთვის უკვე აღარ ვართ საჭირო, მაშინ დრამატურგიას თავს დავანებებ. ჯერჯერობით ვერ გეტყვი შემდგომში რას ვიზამ, რას მოვკიდებ ხელს, ან რას დავწერ, ალბათ ისტორიულ თემებს მივმართავ, მწერლობის ამ ჟანრშიც უსათუოდ მოვსინჯავ ჩემს თავს. განა ჩვენს თანამედროვე ცხოვრებაში არ არის საინტერესო და საჭირბოროტო თემები? ვინ მოთვლის რამდენი მაქვს მოფიქრებული მაღალი ეთიკის ადამიანების უფლების დასაცავად. მაგრამ ამის დაწერა ახლა სახიფათოა. ისე რომ დავწერო როგორც მე მესმის, ჯერ ერთი, არ დაბეჭდავენ, მეორეც და მთავარიც — ისევ მიკრავენ თავს იქითკენ, საიდანაც ძლივს დავაღწიე... ამჟამად საქართველოში სიმართლე არ გადის. ხომ ხედავ, უამისოდაც როგორ მსდევენ ჯაშუშები. მიმოიხედე რამდენი ნიჭიერი, განათლებული და ნამდვილი მწერალი კაცი თუ ქალი გვყავს საქართველოში, მაგრამ შეზღუდულები არიან. აბა, მიეცი მათ მუშაობის სრული ნება და ფრთები გააშლევინე, მაშინ გამოჩნდება რისი შესრულებაც შეუძლიათ. ჩემი გაგებით, თითოეული სწავლული ადამიანი თითო დასრულებული სამყაროა, მწერალი და მკვლევარი კი, გარდა ამისა, დაუსრულებელ სამყაროსაც მოიცავს. ამიტომ მათ უნდა ჰქონდეთ საშუალება ყველაფრის სწორად, შეუშლელად ჭვრეტისა და წერისა; რაც სიმართლის რწმენით გაამახვილებს ადამიანთა მსოფლმხედველობას და მისცემს მათ სამყაროზე მართებულ, ჭეშმარიტ ხედვას. ჩვენთან კი ახლა რა ხდება? განა შეგიძლია დაწერო ის, რასაც ფიქრობ ან რასაც ხედავ? გააკეთო ის, რაც მამულისთვის უფრო მიზანდასახულია? ამის საშუალებას ვინ მოგცემს, პირიქით, გაგაქრობენ. თუ გინდ აიღე ჩემი მდგომარეობა: „პატივცემული“ ჩეკა მუშაობის საშუალებას არ მაძლევს. როდემდის უნდა გაგრძელდეს ეს ამბავი,

არ ვიცი... ეს არის მათი პატრიოტობა და მამულიშვილობა. ჩეკა მეფობს, ჩეკა. ყოველმხრივ შეზღუდული ხარ, ხელფეხშეკრული და უბორკილოდ ბორკილდადებული.

„დავით აღმაშენებლის" ერთ-ერთი წარმოდგენის შემდეგ ლევანი საშინლად აღშფოთებული დაბრუნდა შინ. როცა დაწყნარდა, მოგვიყვა:

— სპექტაკლს ამჯერადაც მაყურებელი დიდი აღფრთოვანებით და ტაშით შეხვდა. თითქმის ძალით გამიყვანეს მსახიობებმა სცენაზე. მართალი გითხრათ, ძალიან გაბრაზებული, გულგამთბარი, ფრთაგაშლილი შევეგებე ხალხს, აბა ასეთი გამარჯვება და აღიარება ვის არ გაეხარდებოდა, ეს ხომ ბუნებრივი ამბავია. დიდი სიამოვნებით და კეთილი გრძნობით გადავხედე დარბაზს და სრულიად მოულოდნელად, თვალში მომხვდა პარტერში, წინა რიგში მჯდომი, ზედმეტად აღფრთოვანებული კაცი. იმანაც თვალი თვალში გამიყარა და წუთიერად ჩვენი თვალთა ხედვა შეხვდა ერთმანეთს და გაშეშდა. ჩემდაუნებურად შევკრთი, ვიგრძენი, როგორ დამასხა ცივმა ოფლმა და გამაჟრჟოლა. იმ წუთში ჩემთვის ყველაფერს ფასი დაეკარგა, სცენა სწრაფად დავტოვე. აბა, თუ მიხვდით ვინ იქნებოდა ის? — მოგვმართა ჩვენ ლევანმა, მაგრამ თვითონ სიტყვის ამოღების საშუალება არ მოგვცა და აღშფოთებით წარმოთქვა: — ის ჯაშუში, ჩემი „ჩრდილი". თავხედი, ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე თვალთმაქცურად, დიდი აღფრთოვანებით, გაბრწყინებული თვალებით ტაშს მიკრავდა და, რაც მთავარია, ჩემი ყურადღების მიქცევა უნდოდა. მიიქცია კიდეც. კულისებში თავი შევიმაგრე, შიში კი არ მომერია, მის თავხედობაზე გავბრაზდი სასტიკად. ისევ გავბედე სცენაზე მტკიცე ნაბიჯით გასვლა. ვფიქრობდი, იქით აღარ გავიხედავ-მეთქი, მაგრამ თვალი ჩემდაუნებურად გამექცა. ამჯერად სკამი თავისუფალი იყო, ნამდვილად გამიხარდა, თავისუფლად ამოვისუნთქე. ასე რომ არ ყოფილიყო, არ ვიცი, რას მოვიმოქმედებდი. გადავწყვიტე, გზაში რომ ამეკიდოს, უსათუოდ ლაზათიანად გავტყეპავ-მეთქი. მე ამის ძალაც მაქვს და ღონეც. სახლში მსახიობებმა მანქანით წამომიყვანეს, ამიტომ ამ ამბავს ავცდი. თუ არა, ჩემს გადაწყვეტილებას უსათუოდ შევასრულებდი. მე ასე ვფიქრობ, საბოლოოდ ჯავრს ჯაშუშზე მაინც ვიყრი-მეთქი.

— ლევან! — ძალიან შეწუხებულმა წამოიძახა დედამ, —

ხომ შეიძლება, რომ შენმა წარმოდგენამ ჯაშუშსაც სადღაც ადამიანური გრძნობა გაუღვიძოს და ის შენი ნიჭის მოტრფიალეც გახდეს.

— მე ეს სრულებით არ მამშვიდებს და არც მჯერა მისი კარგი კაცობის, ის ნამდვილი ჯაშუშია. მხოლოდ ხალხის წინაშე თვალთმაქცობს. ასეთი ადამიანები საზოგადოებისათვის უფრო საშიშიც არიან.

გავიდა რამდენიმე ხანი, ჯაშუში არ გამოჩენილა და ლევანიც უფრო თავისუფლად დადიოდა თბილისის ქუჩებში. ცოტა ხანში შეამჩნია რომ მასზე მეთვალყურეობა ყოველმხრივ გაძლიერდა და უფრო თვალთმაქცური გახდა. საშინლად სტკიოდა გული, თეატრში და საჯარო ბიბლიოთეკაში, სადაც ის ხშირად მუშაობდა, მეთვალყურედ იქაური თანამშრომლები რომ ჰყავდა მიჩენილი, ამჯერად ისინიც შეცვალეს. ყველაზე მძიმედ იმას განიცდიდა, რომ სამი ადამიანი, რომელიც ამჯერად ჰყავდა მეთვალყურედ, ლევანთან მეგობრობდა კიდეც და ყოველდღიურ მჭიდრო კონტაქტშიც იყო.

— ნუთუ ხალხი ასე დაკნინდა და გაფუჭდა? — გულისტკივილით ამბობდა ლევანი. — ყველა ცუდი საქმეც შიშმა გააკეთებინა? ნუთუ მათ ჰგონიათ, რომ მე ვერ ვხედავ მაო საქციელს, ყველაფერს ჩეკას გეგმით რომ აკეთებენ. ჩემთვის ეს უკვე კარგად ნაცნობი ილეთებია.

ლევანი ისევ სახლში ჩაიკეტა. ჯაშუშ-მეგობარმა რამდენჯერმე ლევანს სახლშიც მოაკითხა; ერთხელ დედამ კარი არ გაუღო. ცოტა ხანში ბავშვები გაგვიშვა მის დასაზვერად. ჩვენ ქუჩის კუთხეში გაჩერებულს თვალი მოვკარით და შიშით სახლში ამოვვარდით..

ლევანმა როგორც იტყვიან, ერთი ამოსუნთქვით დაწერა მუსიკალური კომედიის თეატრისათვის კომედია „თუთის პატარძალი“, შემდეგ სახელწოდება შეუცვალა და წარმოდგენა დაიდგა „სამი პატარძლის“ სახელწოდებით.

კომედია იდგმებოდა 1945—1946 წლების სეზონში,

პრემიერა შედგა 1945 წლის სექტემბერში. დამდგმელი რეჟისორი იყო რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ბორის გამრეკელი, მხატვარი — რუსუდან ჯავრიშვილი. მუსიკალური გაფორმება ისევ კომპოზიტორ არჩილ კერესელიძეს ეკუთვნოდა. კომედია დიდი მოწონებით, აღფრთოვანებით და ოვაცი-

ებით გადიოდა, თეატრში ტევა არ იყო, ბილეთები არ იშოვებოდა.

გულდასაწყვეტია, რომ თეატრის მუზეუმში იმ წლის პროგრამა არ აღმოჩნდა, შემორჩენილია ერთადერთი რეცენზია, რომელიც ნაწილობრივ მაინც წარმოაჩენს იმდროინდელ საუკეთესო მსახიობებს.

გაზეთი „ინდუსტრიული ქუთაისი", № 7, 1946 წელი.

„სამი პატარძალი

„ლევან გოთუას „სამი პატარძალი" რეალისტური ნაწარმოებია. მასში წარმოდგენილია გურიის ერთი სოფელი, სადაც ახალი ცხოვრება ჩქეფს. ახალგაზრდობა და ხანშიშესული გლეხებიც გატაცებული არიან საკოლმეურნეო მშენებლობით, შრომის სოციალისტური ფორმებით, საერთო საქმით. ენერგიულად იბრძვიან სოფლის ეკონომიური და კულტურული დაწინაურებისათვის. სოფლის მოწინავე ახალგაზრდები — ვასასი, გოგია და სხვა, ენერგიულად შრომობენ, კომკავშირული ორგანიზაციის ერთგული წევრები არიან და დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ, ენერგიულად მონაწილეობენ გზის გაყვანაში. აქვეა საერთო-საზოგადოებრივი საქმის გულშემატკივარი — ხანდაზმული გლეხობაც — ქვრივი ქალი ნადია და ფოფილა. მეორეს მხრივ, ლიბრეტოს ავტორი საკოლმეურნეო შრომის წარჩინებული ადამიანების გვერდით გვიჩვენებს სოფლის უქნარებს, უსარგებლო და ჯერ კიდევ ჩამორჩენილ ელემენტებს (ფრიდონი, მელენტი, არისტო, ანთიმოზა), რომლებიც პირადულს საზოგადოებრივზე მაღლა აყენებენ.

ამ ორი კატეგორიის ადამიანების ინტერესთა ჭიდილის საფუძველზე იშლება და ვითარდება ლ. გოთუას ნაწარმოების „სამი პატარძლის" შინაარსი. დამდგმელი რეჟისორია რესპ. დამს. არტისტი ბორის გამრეკელი, მხატვარი — რუსუდან ჯავრიშვილი, კომპოზიტორი — არჩილ კერესელიძე, დირიჟორი — ვ. ბარნაველი. მსახიობთა მთელ კოლექტივს კომედია მხატვრული ზომიერებით მიჰყავს მაყურებელთა ცნობიერებამდე. უდავოდ მიღწეულია რეჟისორის განზრახვა — ეჩვენებინა საკოლმეურნეო ცხოვრების ფონზე

დინამიკური და ქართული სოფლის ცხოვრების ამსახველი სპექტაკლი.

„სამი პატარძალი“ შეუნელებელი ინტერესით ვითარდება, მსახიობი თ. კობახიძე—ნანული ქმნის სიცოცხლით აღსავსე კომკავშირელის საყურადღებო სახეს. იგი კეთილი და ცოცხალი სოფლის მოწინავე ახალგაზრდაა.

მსახიობი ვ. იანვარაშვილი კარგად ფლობს მუსიკალური კომედიის ჟანრს და მხატვრული აზროვნების სპეციფიკურ ხერხებს, აცოცხლებს მეორე კომკავშირელი ქალის — ვასასის სახეს.

მსახიობმა გერსამიამ კარგი მსახიობური ხელოვნებით წარმოადგინა გონებაშეზღუდული, ჩამორჩენილი, პირადი ბედნიერებით გატაცებული ბუღალტერი.

მსახიობი გ. ჭუმბაძე კარგადაა დაუფლებული გურულ აქცენტს და ცოცხალ თამაშს.

მოწონების სიმაღლეზე დგას მსახიობი ელ. ჩოხელი. ეს მსახიობი დღითი დღე ეუფლება აქტიორულ კულტურას. ის განსაკუთრებით ძლიერია სახასიათო როლებში. მისი ელპიტე უდარდელი, ჭორიკანა ქალია. მხატვრულად კარგადაა გაკეთებული.

მსახიობ მ. ბერიაშვილს — მშენებლობის ენთუზიასტ ინჟინერს — მთელი სპექტაკლი თანაბარი ზომიერებით მიჰყავს. კარგად არის დადგმული ძველი გურული ცეკვა „ფარცაკუკუ“, მაკეტები ხალისიანი და მიმზიდველია. დაკისრებული როლები კარგად დაძლიეს ნ. მოსეშვილმა (გოგია), ი. ბაკურაძემ (ბესარიონი), ნ. ანდრონიკაშვილმა (ნადია) და ლ. ბეგლარიშვილმა (თოფელა მენავე).

არჩილ კერესელიძის მუსიკა მდიდარია მელოდიებით, ფოლკლორული მასალის ოსტატური გამოყენებით, იგი ქმნის ტკბილსახოვან ჰარმონიას. დირიჟორი ვ. ბარნაველი თავისებური ოსტატობით ხელმძღვანელობს ორკესტრს.

„სამი პატარძალი“ თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრის მორიგი მხატვრული გამარჯვებაა.

თეატრი ამ დადგმით გაბედულად ცდილობს ასახოს ჩვენი მდიდარი თანამედროვეობა“.

ვ. გუგუშვილი

წარმოდგენა განმეორებით აღდგა ლევანის მესამე გადასახლებიდან დაბრუნებისთანავე და დიდი წარმატებით გადიოდა.

1945 წლის ბოლოსათვის ჩვენი ოჯახი ეკონომიურად მომძლავრდა. დედამ ძალიან გაიხარა — ოჯახში სრული კეთილდღეობა და ბედნიერება სუფევდა, ყველა შვილი ჯანმრთელად და კარგად ეგულებოდა. სანდრო და თინა ფეხზე უკვე მყარად იდგნენ და თავიანთ წრეში კარგი სახელი ჰქონდათ მოხვეჭილი, თამარი უვნებლად დაბრუნდა სამამულო ომიდან და დაიწყო მუშაობა. მზია უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მასწავლებლობდა. მართალია, დედას სიბერე შემოეპარა, მაგრამ მომავალს მაინც იმედის თვალით უყურებდა, მხნედ იყო, ძველებურად ყველაფერი აინტერესებდა. მთავარი კი ის იყო, რომ ლევანის მწერლურმა ნიჭმა ეულკანივით ამოხეთქა და ფართო ასპარეზზე გამოვიდა. მისი სამი დრამა „მეფე ერეკლე", „უძლეველნი", „დავით აღმაშენებელი" და მეოთხე — კომედია „სამი პატარძალი" დიდი მოწონებით და ოვაციებით მიდიოდა თეატრებში და აღაფრთოვანებდა ქართველ საზოგადოებას.

გამოკეთდა ოჯახის მორალური და ეკონომიური მდგომარეობა. ყველასათვის ისევ გაიღო ჩვენი სტუმართმოყვარე სახლის კარი, ლევანთან მოდიოდნენ მწერლები, მსახიობები, მეგობარ-ნაცნობები, ნათესავები, იმართებოდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, ლიტერატურული საღამოები. კითხულობდნენ ლევანის ახალ ნაწარმოებებს.

სანდრო დაოჯახდა. დედა და ოჯახის წევრები ლევანის დაოჯახებასაც ეუცდიდით. ლევანი თანახმა იყო, შეარჩია საცოლე და გაგვაცნო კიდეც. ჩვენ ყველას ძალიან მოგვეწონა მისი მეგობარი. ქორწილი შემოდგომისათვის დაინიშნა.

— ჩვენი ოჯახის მდგომარეობა ისევ მნიშვნელოვნად გამოკეთდა და შენ, ლევან, ისეთი პოპულარული კაცი გახდი საქართველოში, რომ მე ეს მაშინებს, — ღელავდა დედა. ამისთანა არეულ დროში და დაუნდობელი მთავრობის ხელში ყველაფერი მოსალოდნელია. ვინმემ არ გიმტროს ან ძველი ამბები არ გაგიხსენონ!

მართალია, ლევანი დედას ამ ეჭვს უქარწყლებდა, მაგრამ თვითონაც ღელავდა უკვე ახალი ჯაშუშების გარემოცვაში მოხვედრილი.

თეატრის საზაფხულო სეზონის დახურვასთან დაკავშირებით

ლევანმა გადაწყვიტა წვეულება გაემართა — მწერლები, მსახიობები, ქართველი საზოგადოების თვალსაჩინო მოღვაწეები მოეწვია. ძალიან უნდოდა ყველაფერი ისე წარმართულიყო, რომ ეს შეკრება ყველასათვის სასიამოვნო ყოფილიყო. წვეულების გამართვა გადაწყვიტა ქართველი ხალხის სიამაყის, სასიქადულო მამულიშვილის — დიდი ილია ჭავჭავაძის მადლიან კარ-მიდამოში — საგურამოში. და, აი, ილია ჭავჭავაძის წარმტაც მამულში, უშველებელი კაკლის ხის ქვეშ 100-კაციანი ბარაქიანი, ლამაზი სუფრა გაიშალა.

ლევანმა საუკეთესო ღვინო ჩამოიტანა კახეთიდან. ტრიალებდნენ საგურამოელი დიასახლისები. ყველაფერი გემრიელად და ხვავიანად მომზადდა, ისე როგორც ნამდვილ ქართულ სუფრას სჩვევია.

დამსწრე საზოგადოება აღფრთოვანებული იყო საგურამოს კარ-მიდამოს სილამაზით, კაკლის უზარმაზარი ხის ჩრდილითა და სურნელებით, ხვავ-ბარაქიანი სუფრით. ყველამ მოილხინა.

გაჩაღდა სიმღერა, ცეკვა, თამაში, მხიარულება, ითქვა ბევრი ლაზათიანი სიტყვა, ლექსი თუ მონოლოგი. ნატო ვაჩნაძის სილამაზე წვეულებას მეტ ეშხს მატებდა. ვიღაცამ იხუმრა, არც დავით აღმაშენებელს და არც ამ როლის განმსახიერებელს ცხადში კი არა, სიზმრადაც არ უნახავთ ასეთი ლამაზი ცოლიო, რასაც დიდი სიცილ-კისკისი მოჰყვა.

გულიდან ამოსული სადღეგრძელოებით ვინ არ ახსენეს — სამამულო ომსა თუ გადასახლებაში დაკარგულები და გარდაცვლილები. ბევრი ილაპარაკეს ქართველი კაცის სიკეთეზე, სიდარბაისლეზე, გონიერებაზე... ყველა მადლობას უხდიდა ლევანს ასეთი შეკრებისათვის.

მზე მწვანეში ჩაიძირა, ვეებერთელა ვერცხლის ბურთი ამოგორდა და ულამაზეს კარ-მიდამოს მკრთალი ნათელი მოჰფინა.

გვიან ღამით დაიშალნენ სტუმრები.

მეორე დღეს სახლში ალპინისტები გვესტუმრნენ. მათ თან მოიტანეს მთამსვლელური ლაღი ატმოსფერო. აქ იყვნენ ალიოშა ჯაფარიძე, კოტე ჯავრიშვილი, გრიშა გიორგობიანი და სხვები. ალიოშა ჯაფარიძემ ლევანს უშბაზე ასვლის განზრახვა გაანდო. სამომავლოდ კავკასიონის უცნობი მწვერვალების ერთობლივი დალაშქვრა გადაწყვიტეს, შეთანხმდნენ აგრეთვე მი-

უვალი ქვაბულების კვლევის გაგრძელებაზე. მიზანი და სურ-ვილი ბევრზე ბევრი იყო...

აგვისტოს დასაწყისში ლანჩხუთიდან მამიდის გარდაცვალების ცნობა მივიღეთ. გადაწყდა დასაფლავებაზე ყველანი წავსულიყავით.

მამიდა დავასაფლავეთ დიდი პატივისცემით და მოწიწებით, ყველა წესის დაცვით. დაკრძალვას ხალხიც ბევრი დაესწრო. შემდეგ გადავწყვიტეთ სოფელ ძიმითში ასვლა, ლევანი ხომ დიდი ხანია იქ არ ყოფილა და უნდოდა ბავშვობის გახსენება.

ლევანის გურიაში გამოჩენამ ნათესავ-ნაცნობებში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია.

დაკრძალვის ცერემონიალის შემდეგ დაიწყო ლევანის აქეთ-იქით გადაპატიჟება. ყველა ნათესავს და ნაცნობს გულით უნდოდა მისი სტუმრობა.

ლევანმა არც ერთს არ ატკინა გული და ძიმითიდან დაბრუნების შემდეგ მისელას შეპპირდა.

ლანჩხუთში დიდხანს არ დავყოვნებულვართ, ძიმითში წავედით. ვერც იქ გავჩერდით ისე გაგვიფუჭა ხასიათი ჩვენმა ყოფილმა ნასახლარმა. იქაურობა გაპარტახებული, გასაცოდავებული დაგვხვდა. კოლმეურნეობას იქ სიმინდის ნათესები ჰქონდა. მდინარე სუფსასაც აღარ შევხვედეთ, ისე გამოვბრუნდით. არც არავინ გვინახავს და არც არავისთან მივსულვართ.

ლანჩხუთის მისასვლელთან ახლო ნათესავმა შეგვაჩერა, ლევანი გვერდზე გაიხმო და საიდუმლოდ უთხრა:

— ვიღაც საეჭვო სამი კაცი მანქანით დაგეძებს. ეგ ხალხი არ მოგვეწონა, ვინაობა არ გვითხრეს, ჩეკისტები თუ არიან და კუდში გდევენ. ძიმითში წამოვიდნენ, თქვენი იქით წასვლა რომ შეიტყვეს. საოცარია როგორ აცდით. ვფიქრობ, თქვენი დაბრუნება ლანჩხუთში არ ღირს.

შემოვაბრუნეთ მანქანა და ასე გულისხმეთქვით თბილისისაკენ წამოვედით.

თინამ საღამოს ფოსტას მიაშურა და ლანჩხუთში დარეკა. გამოირკვა, რომ ის სამი ჩეკისტი ჩვენი წასვლის შემდეგ ლანჩხუთში მალე დაბრუნებულა. მამიდის სახლის შორიახლოს დიდხანს გველოდნენ.

თბილისში ყველაფერი ნორმალურად დაგვხვდა, მაგრამ, ვაი იმ ღამეს, ლევანი სახლში არ დარჩა. ჩვენ კი თეთრად გავათენეთ, ყოველი გაფაჩუნება შიშის ზარს გვცემდა.

რამდენიმე დღის შემდეგ დაძაბულობამ გაგვიარა, ვინაიდან ლევანმა ქალაქში სიარულს განგებ ბოუმატა და მდევარი არ შეუმჩნევია. თითქოს დავმშვიდდით.

მიუხედავად ჯაშუშების გამუდმებული ძეთვალყურეობისა, დაპატიმრების შიშისა, ლევანი 1945 წელს მაინც ბედნიერ წლად თვლიდა. ისევ ნაყოფიერად მუშაობდა, მოგზაურობდა კიდეც და შემოდგომაზე დიდი მიზნების განხორციელებას აპირებდა.

1945 წლის ოქტომბრის დასაწყისში ალიოშა ჯაფარიძემ, ქელეშბი ონიანმა და ნიკოლოზ მუხინმა შექმნეს ძლიერი ჯგუფი და სვანეთისაკენ გასწიეს. მათ უმძიმესი შერკინება დაისახეს მიზნად — უშბა-შხელდის ტრავერსით დალაშქვრა.

საუბედუროდ, ექსპედიცია ყინულეთის უბაღლესი მწვერვალებიდან ვეღარ დაბრუნდა. საშინელი უბედურება დატრიალდა. პირველი ძახილისთანავე დაიძრნენ მთამსვლელთა ჯგუფები დასახმარებლად და საძებნელად. ერთ-ერთი მაშველი ჯგუფის ხელმძღვანელი ლევანიც იყო. ამ ჯგუფმა თვითმფრინავით თუ ფეხით ყოველი მხრიდან ბევრჯერ შემოუარა უშბას, მაგრამ უშედეგოდ.

თვითმფრინავიდან შეამჩნიეს მთაძსვლელების მიერ ამოკვეთილი საფეხურებიც, მაგრამ თვითონ აღარსად ჩანდნენ. აი, უკანასკნელი იმედიც გადაეწურათ, ერთ-ერთმა მაშველმა ჯგუფმა უნაგირადან მათი პალო და თოკის რგოლი ჩამოიტანა. მეორე ჯგუფმა კი კარვის ნაგლეჯი იპოვა. „სადღაც ამ ყინულების ქვეშით, მყინვარების ქაოსში დარჩა ალიოშასა და მისი „სიკვდილის“ ძმების“ თეთრი სამარე“, — წერდა ლევანი.

გვინდა, გაგაცნოთ ჩვენს სახლში შემორჩენილი მთამსვლელ ევგენი აბალაკოვის იმდროინდელი წერილები. მათში ასახულია სვანეთის უდიდეს მყინვართა სამფლობელოში, უძიმეს პირობებში ალიოშა ჯაფარიძისა და მისი ჯგუფის ძებნის ამბავი, მთამსვლელების მიერ გამოჩენილი დიდი თავდადება, ვაჟკაცობა და ერთგულება.

11/X—45 წ.

მივიღე თქვენი ბარათი, რომელიც გადმოგვცა მურზახანმა. თოვლი ბარდნის და ძლიერი ქარბუქია. თოვლის სიმაღლე წელს ზემოთაა. ზევით სვლა ჯერჯერობით შეუძლებელია. ამინდის გამოსწორებისთანავე ვსინჯავთ წინსვლას.

ამჟამად ვიმყოფებით მარხიაზე, ყინულოვანი ენის ზემოდან, სადაც ცხოვრობდა ალმადხირი. მოვთავსდით თოვლის ქვაბულებში, სანდრო გვალია კილომეტრის ქვევით შეჩერდა, ალბათ მალე წამოგვეწევა. თუ კარგი ამინდი იქნება, გამოგვიგზავნეთ ორი მთამსვლელი (სასურველია ერთ-ერთი მურზახანი იყოს). ვფიქრობთ ეს გამოქვაბულები გამოგვადგება როგორც ერთ-ერთი ბაზა წინსვლისათვის. იზრდება ზვავსაშიში მდგომარეობა არა მარტო ზევით, არამედ ქვევითაც. გამოგვიგზავნეთ საკვები, ზემოთ ასატანადაც. მაინც დაგვიტოვეთ ჩვენი იქ არყოფნის შემთხვევაშიც, ვინაიდან საკვები შემოგვაკლდა.

ყველას სალამი!
ევგენი აბალაკოვი".

20 X—45 წ.

„მივაღწიეთ კოშებამდე. ბარდნის დიდი თოვლი, თითქმის არაფერი არ ჩანს. ხვალ გავაგრძელებთ გზას ყინულოვან ცირკამდე. იმდენად დიდი თოვლია, რომ ზვავსაშიში მდგომარეობაა, შემოგვიერთეთ კიდევ კ. ჯავრიშვილის ჯგუფიდან ერთი დამხმარე მთამსვლელი. ის გვჭირდება ჩვენს ჯგუფთან და თქვენთან — თვითმფრინავთან კავშირის დასამყარებლად. მანამდე შევეცდებით პირობითი ნიშნებით — შუქურების გასროლით შევატყობინოთ და თავიც შევამჩნევინოთ. უბედურების შემთხვევაში 6-ჯერ აელვარდება წითელი შუქი — სამუშაოს ვწყვეტთ და უკან ვბრუნდებით, ვეშვებით. გაყინულების პოვნის შემთხვევაში 2 თეთრი შუქურა აინთება. გვესაჭიროება დამხმარე ხალხი. ცოცხლების პოვნის შემთხვევაში კი სამი თეთრი შუქურა აელვარდება.

ყველას მოკითხვა!
ევგენი აბალაკოვი"

„ყველაფერს შავ-თეთრი სუდარა ხშავს, ქარბუქი ბობოქრობს. აქ ასე გაიყარა ჩემი და ალიოშას უვალი სავალი", — წუხილით წერდა ლევანი.

„დიდი მსხვერპლი მოითხოვა კავკასიონმა ჯაფარიძეების გვარიდან — ორი ძმა: სიმონი და ალიოშა. უშბა და თეთნულდი ორივე დაიპყრო, დალაშქრა და დაამარცხა მათმა დამ — მთამსვლელობის დედამთავარმა ალექსანდრა ჯაფარიძემ. ვაუკაცთ ხსოვნა ყოველთვის მარადიულია და ცოცხალი. ესეც სასწაულია — უშბამ პირველად დააბრუნა თავისი მსხვერპლი. ლეგენდარული იყო ალიოშას მეორედ მოსვლა. ალიოშა ჩემზე უფროსი იყო, მაგრამ ამჯერად მე მასზე უფროსი და ჭაღარაც აღმოვჩნდი, რადგან დაღუპულები აღარ ბერდებიან, ისევე როგორც არ ქრება მათი სიკვდილით მიყენებული ტკივილი და აღარ ხუცდება მათი ხსოვნა. ეს კი უკვდავებაა!

ბევრი მხურვალე ცრემლი დაეყარა ალიოშას გაცივებულ გულს, მარადიული სიცოცხლე დარჩა მის სახელს და მოღვაწეობას“. — წერდა 12 წლის შემდეგ ლევანი.

როგორც აღვნიშნეთ, პართენ გოთუას ოჯახს, რაც ჩემი თავი მახსოვს, ბევრი მძიმე წელი გადაუტანია — იგონებს თინა,— სულ ღელვაში, გაჭირვებაში და გულისხეთქვაში ვიყავით. ჯერ იყო და მთავრობა მამას ერჩოდა. ლევანი რომ წამოიზარდა, მერე ჩვენს ოჯახში სულ ლევანის უბედურება ტრიალებდა, ახლობელ თუ შორეულ ციხეებთან არა მარტო მჭიდროდ ვიყავით დაკავშირებული, არამედ თითქოს შესისლხორცებულიც, სხვა გაჭირვებაზე რომ არაფერი ვთქვათ.

ჩვენი გამზრდელი ტასო ვერ ერკვეოდა პოლიტიკის ამბებში, ეგონა, რომ ციხე მარტო ქურდებისა და ჯიბგირებისთვის არის და გულდაწყვეტით ხშირად იტყოდა: — ქვე შენი ჭირიმე, ეს რა ოჯახში ვარ, ასეთი განათლებული და სწავლული ხალხი ხართ და სულ ციხის კარები დაგებედათ. ნეტაი ვიცოდე, რას აშავებთ ამისთანას.

დედა გულისტკივილით ყოველთვის უპასუხებდა: — ტასო, შენ არ იცი ამ წყობისა და გარემოცვის ამბავი, ჩვენს გარემოში როგორი მძიმე პოლიტიკური ვითარება ტრიალებს. ცხოვრება დამძიმდა და გაყალბდა. ჩვენი ოჯახის წევრები, ეს ალალმართალი ხალხი, არაფერ შუაშია.

ლევანის დაპატიმრებასთან დაკავშირებით ჩვენი ოჯახისათ-

ვის კი ყველაზე მძიმე 1946 წელი გამოდგა. ეს ალბათ იმიტომ, რომ ჩვენ ბავშვები აღარ ვიყავით, წამოვიზარდეთ. ძველი განცდები და გაჭირვება უკვე დავიწყებას იყო მიცემული. აწმყო კი მთელი სიმკაცრით განვიცადეთ. ლევანიც საკმარისად დავაჟკაცებული და უკვე სახელმოხვეჭილი დრამატურგი გახლდათ, მტკიცე ნებისყოფა და თავმოყვარეობა ჰქონდა. დაპატიმრება მძიმედ განიცადა. ჩვენც უფრო ღრმად და რეალურად ვჭვრეტდით ლევანის უბედურებას. რომ იტყვიან, უბედურება მოდის — ჭიშკარი ფართოდ გააღე, ვერაფერი ვერ შეაჩერებსო, ისე დაგვემართა. ისევ მეხივით დაგვეცა თავს ლევანის ხელახალი დაპატიმრება. ეს კი ასე მოხდა:

1946 წლის ზაფხულში ლევანმა დააპირა მესხეთ-ჯავახეთის, უფრო სწორად, სამცხის ცხოვრების შესახებ ისტორიული რომანის დაწერა. ამისათვის გადაწყვიტა მესხეთ-ჯავახეთში მოგზაურობა და მასალების შეგროვება. თინა სულ იმას ეუბნებოდა: —'ლევან, იქით ნუღარ წახვალ, ისევ რამე არ შეგემთხვესო. ეს მხარე შენ ცუდად გაქვს დაცდილი, ორჯერ იქიდან იძულებით წამოგიყვანეს და არ გასამდესო. ლევანი იღიმებოდა და ყველას გვაწყნარებდა:

— შე ლიტერატურული აღძავლობა და 'შემოქმედებითი ძალა თმოგვში, ვარძიაში და ხერთვისში მიხმობს. სამცხე-ჯავახეთის შესახებ მოფიქრებული მაქვს დიდი ტილო და მინდა ის მხარე კარგად შევიცნო, იქაურ უდიდეს წარსულს ღრმად ჩავწვდე, ხატოვანი ქვაფურცლები შევისისხლხორცო, მოვესიყვარულო და განვეკვრიტოო.

ამჯერად მან ზურგჩანთაში „ვეფხისტყაოსანი“ ჩაიდო, რათა ქართული სიტყვა უანგაროდ დახმარებოდა და მესხეთ-ჯავახეთისაკენ გასწია.

„მზე ჯერ ამოსული არ იყო თმოგვზე. მტკვრიდან ციხის გვირაბ-გვირაბ ავედი. ახალგაზრდული გატაცებით მთელი სამცხე ფეხით შემოვიარე. მშობლიურ მდელოებს, უხვად მოფენილს დათაფლული ყვავილებით, უღრან ტყეებს, აზიდულს ცის კამარაში და უძველეს, დიდებულ, ღრმა წარსულის მქონე ციხესიმაგრეებს გულით მივესიყვარულე, სისხლხორცეულად შევიცნე, შევითვისე და შევისაკუთრე. ისეთი შეგულისხმების უნარიც მოვიპოვე, რომ ძეგლებმა თითქოს რაინდული სალამიც მომცეს.

საღამოზე უკვე ვარძიაში ვიყავი. იქ დამაღამდა— ღამე დიდებული თამარის ქვაბ-პალატების ზღურბლთან ვათიე. ჩემს გარშემო სურნელება და მწერების ზუზუნი ნანას მიმღეროდა, გული გაიესო სიამით და სილაღით. გარიჟრაჟთან ერთად წამოვდექი. „ვეფხისტყაოსანი“ გადავფურცლე და ვარძიის ყოველ ქვაბში თითო ტაეპი წავიკითხე, ჩავიგრძნობე. ისე გავერთე, რომ ქვაბსათვალავიც ამერია. მოვეფერე დახავსებულ ნანგრევებს და ჩუქურთმებს. ზედმეტი აღელვებითა და აღფრთოვანებით ყოველ ქვაბ-კუნჭულში თავი შევყავი, თვალი გადავავლე. აღმაფრენით სულ სხვანაირად შევიცანი, გულდაგულ შევცქეროდი თამარ მეფისა და სხვა დიდებულთა წმიდათაწმიდა ხატოვან სახეებს. ბევრი აზრი და ნაფიქრი ჩემთვის ჩავიწერე, აღვნიშნე, დავიმახსოვრე. აწმყო წუთიერად სულ დავივიწყე, ოცნებით იმდროინდელ სამყაროში გადავედი ჩემდა უნებურად. იმწუთშივე ძირფესვიანად წარმომიდგა თვალწინ ჩემი სამშობლო: საქართველო, პატარა, ულამაზესი სახელმწიფო, უძველესი წიგნსაცავების საგანძური, საკუთარი დამწერლობის მქონე, უნიკალური, ბევრისმთქმელი, საუკუნოვანი ძეგლებითა და ციხესიმაგრეებით გამაგრებული, საკუთარ დედაენაზე გაზრდილი და გამოწრთობილი საღად მოაზროვნე უნიჭიერესი ერითა და მწერლობით.

აქ მოგზაურობის დროს გამიღრმავდა სამშობლოს სიყვარული და პატივისცემა, გამსჭვალული სულიერი სითბოთი, და უფრო ჩაირკინა ჩემი არსების ყველა კუნჭულში. ვამაყობ ქართველობით, ვოცნებობ საქართველოს თავისუფლებაზე და კეთილდღეობაზე. საქართველოში კი ერთნაირი წესი ვერ დალაგდა. წესი კი უნდა ჭირშიაც და ლხინშიაც.

მწერლის მზვერავი თვალით ამ არემარეში ტრიალმა და ხეტიალმა, წარსულის დიდების ჭვრეტამ, ჩემს სულიერ სარბიელზე უფრო ღრმად ჩამინერგა წარსულის სიდიადე, კეთილმოყვარეობა და აწმყოს გულდაგულ განჭვრეტა. ქვეყნად კაცმა თავისი წილი მუდამ უნდა მოიპოვოს. სადაც მადლი არ დაგითესია, იქ კოვზს ნუ გამოაჩენ, სადაც კეთილს დასთეს, კოვზი თავად კოვზზე მოგიკაკუნებს. კაცი არც ორკოვზა ვარგა, არც ორპირა და არც ორ სკამზე მჯდარი.

ვარძიის ხილვით გული რომ ვიჯერე, მერე ასპინძის ნაბრძოლებ ადგილებს დავუარე, ბრძოლების სიმძაფრე და სისას-

ტიკე ყაყაჩოების სიმრავლით შევიგრძენი. საითკენაც გულმა გამიწია, იქით წავედი. მარტო ხეტიალში დავიღალე და შემომაღამდა კიდეც. ეს აინუნშიაც არ ჩავაგდე. აქ ხომ ყველგან საქართველოა, სადაც დამიღამდა, იქვე მივწექი. გულში და სულში გაჟღენთილი მქონდა სამშობლოს ყოველმხრივი სიამე. ვინმე იფიქრებს ასე ბილიკ-ბილიკ აქ რომ დავდივარ, თუ მოსაკრეფი მაქვს რამე ან ვეძებ ვინმეს? დიახ, მე ვეძებ მომავლის იმედს, სიკეთის უკვდავებას მატიანეს სიდიადეში.

დილას ხერთვისის ციხისაკენ გავწიე. მტკვარს მოვესიყვარულე, შევხვდი, ცდუნებას ვერ გავუძელი, ლაზათიანად გავლაღდი. მტკვრის ტალღებს მივენდე. მერე კი აღმართს ავყევი. გულალალმა, კეთილგანწყობით გალაღებულმა უეცრად მტკვრის გადაღმა რაღაც მანქანას მოვკარი თვალი, შიგ რატომღაც ჩემი ჯაშუში შევიცანი. გულში ელდამ გამკრა. იქნებ თბილისში მოვასწრო ჩასვლა, — გავიფიქრე ელვისებურად. სირაქლემასავით ხან ტყეს შევაფარე თავი, ხან კი ჭალებში გადავედი. საუბედუროდ, დავრწმუნდი, რომ მანქანა მე მდევდა. სხვა გზა არ მქონდა, ავედი ხერთვისის ციხეში, საიდანაც მეორე გზით ვაპირებდი უკან თბილისში დაბრუნებას, მდევრებისაგან თავის დაღწევას.

ხერთვისის ციხის გარშემო დიდი ჟრიამული დამხვდა. პიონერთა სასახლიდან სამოგზაუროდ მზია ერისთავს ბავშვები და მათი პედაგოგები წამოეყვანა. ბევრ ნაცნობს შევხვდი, ბავშვები სიყვარულით შემომეგებნენ. ვისაუბრეთ და სურათიც ერთად გადავიღეთ. მე საშინელ საგონებელში ვიყავი ჩავარდნილი. საცაა ჩემი სულთამხუთავები აქ გაჩნდებოდნენ. ჩემი აქ გაჩერება დროის დაკარგვას ნიშნავდა და არ იყო გამართლებული. ექიმ-მთამსველელს გოგი ცისკარიშვილს ჩემი საიდუმლოება გავანდე, ზურგჩანთა დავუტოვე და შევეხვეწე, რომ დაპატიმრების შემთხვევაში სახლში ადრეულად ეცნობებინა. ბავშვებს თავი მოვარიდე და ხერთვისის ციხის უკან მიუვალ ბილიკზე გადავედი. სწრაფად დავეშვი. რატომღაც თბილისში ადრე ჩასვლით თავის შველას ვგულისხმობდი. ხერთვისის ციხის დაბურული ადგილები მშვიდობით გავიარე, ვფიქრობდი, რომ ჩეკისტებს თავი კარგად მოვარიდე. დრო მოსაგები მქონდა, მაინც შარაზე უნდა ჩავსულიყავი და მტკვარი გადამეკვეთა, სხვანაირად სამშვიდობოზე ვერ გავიდოდი. ეს მძიმე მონაკვეთი კი,

რომელიც მე მქონდა გასავლელი, სახიფათო ზონა იყო. მარტო აქ შეიძლებოდა ჩემი დაჭერა. ისევ საგონებელში ჩავვარდი, როგორ მოვქცეულიყავი, ვერ ვსაზღვრავდი. მაინც გადავწყვიტე ამ უბნის გადალახვა. სწორედ აქ მიმტყუნა ბედმა. გზაშარაზე სირბილით ჩავედი. მტკვარშიაც შევტოპე და მეორე მხარეს გავედი. მანქანა არ ჩანდა, ვიფიქრე რომ მეშველა, მაგრამ გვიან შევნიშნე როგორ ქურდულად მდევდა მანქანა. ისინი შემობრუნდნენ, გზას შემოუარეს და წინ გადამიდგნენ. 4 კაცი მანქანიდან ერთდროულად გადმოხტა.

ჩვენთან წამობრძანდითო, ისეთი მეგობრული ტონითა და ისე თავაზიანად მითხრეს, რომ, თუ არა ნაცნობი ჯაშუში, ნამდვილად სუფრაზე მოპატიჟება მეგონებოდა კეთილის მსურველებთან. არავითარი წინააღმდეგობა აღარ შეიძლებოდა. ეს არც ღირსეული იქნებოდა.

მკერდში უჩვეულო სიმძიმე ვიგრძენი. სხეულიდან ოშხივართან ერთად ფიქრიც ამერია. ახლა კი ნამდვილად მივხვდი, რომ რაღაც საშინელი მელოდებოდა. ამის გამო წუთიერად მთელი ტანის ტანჯვა და ტკივილი ვიგრძენი. მტკვარს დავეწაფე, გამშრალი ხახა გავისველე და გავარვარებული თავი გავიგრილე.

უცებ თავი მთლიანად მოვთოკე, არ ვაგრძნობინე ჩეკისტებს, რომ მათი მეშინია. მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ ამჯერად ბრალი არაფერში მიმიძღვის, მარტო წარსული შეიძლება დამდონ ბრალად და ჩემი დიდი პოპულარობა დრამატურგიაში... ესაა და ეს, თუ ჩემს რწმენაზე არაფერს ვიტყვი და, საუბედუროდ, მოქმედების სურვილზე, რომელიც ნამდვილად დამრჩა აუსრულებელი.

მთელი გზა ღრმა ფიქრებში ვიყავი წასული. ამდენ ხანს ჯაშუშები რომ დამდევენ, კიდევ კარგად დამაცალეს. მართალია, ყოველი დღე მძიმედ გადასატანი და ღამე მოგებულად მიმაჩნდა. ჩემთვის უჩუმრად სულ იმაზე ვდარდობდი, სადმე არ „გადამჩეხონ“ ან „ჩამჩხირონ“-მეთქი და, აი, სად მიპოვეს.

დასამალი მე არაფერი მაქვს. ჩემი სინდისი სამშობლოს წინაშე პატიოსანი და უღალატოა. იქ ჩეკაში ყოველთვის ჩვენი ერის მოღალატედ გამოვყავდით, ესეც ჩემი ბედის დაცინვა იყო.

თქვენ თვითონ განსაჯეთ — რა შუაშია ქართველი ერი და

საქართველო, თუ პარტია და წყობა არ ვარგა? ერს ვერაფერს დაუმალავ, გაიგებს. ერს ვერ მოატყუილებ. ერი თუ გენდო, ყოველთვის შენი იმედი ექნება. ახლა საშინელი დროა. ერი იმდენად დააკნინეს, რომ უბრალო განძრევისაც ეშინია, ბრძოლის უნარიანობაზე კი საერთოდ ნურაფერს ვიტყვით. გარშემო იმდენი უბედურებაა, რომ უმრავლესობას თავი მწუხარებაში აქვს ჩაფლული.

— ზურგჩანთა ხერთვისში მაქვს დატოვებული და წამოვიღოთ.

— თქვენ ამაზე ნუ იდარდებთ, აგერ თქვენი ზურგჩანთა.

— ბავშვებმა თუ გაიგეს ჩემი ამბავი, — შეეკითხე მე.

— ჩვენ იქ მყოფებს ვუთხარით, რომ თქვენ დილიდან გეძებთ, ქვევით დიდი სუფრა გვაქვს გაშლილი და იქ საქეიფოდ უნდა წავიყვანოთო".

ამ ტყუილს ვინ დაიჯერებდა, ყველა ხერთვისში მყოფმა, დიდმა თუ პატარამ, გაიგო ლევანის დაპატიმრება.

გოგი ცისკარიშვილმა მეორე დღესვე შეგვატყობინა ყველაფერი. მაგრამ უკვე გვიან იყო.

ჩვენთვის იმ მძიმე დროს თინა საგურამოში ისვენებდა. მწერალთა დასასვენებელ სახლში, ლევანმა უშოვა საგზური. იქ იყვნენ აგრეთვე: კარლო კალაძე, თამარ აბაკელია, რაჟდენ გვეტაძე თავისი ოჯახით და ბევრი სხვა მწერალი.

— ასე, დღის 5 საათი იქნებოდა, როდესაც კარლომ მითხრა, ჯობია სახლში წადი, აგერ მანქანა არისო, — იგონებს თინა.

— რა მოხდა, ვკითხე შეშინებულმა.

— მგონი სახლში თქვენთან ჩხრეკა ყოფილაო.

თინა გულგახეთქილი სახლში წამოვიდა. გზაში სანდროს შეხვდა, რომელიც ახალციხეში მიდიოდა, მინდა იქ დაწვრილებით გავიგო ლევანის დაპატიმრების ამბავი და მალე დავბრუნდებიო.

თინა სახლში რომ შემოვიდა, უცებ სასოწარკვეთილებაში ჩავარდა, ისეთი სურათი დახვდა. ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა, ჩვენ ყველანი გაშეშებული ვიყავით.

— ეს რა უქნიათ, მაგ ურჯულოებს, როგორ დაურბევიათ ჩვენი სახლი. როგორ უნდა ვიცხოვროთ? არაფერი მთელი აღარ შეგვრჩა?

ჩვენ თინას მოვუყევით როგორ მოხდა ყოველივე: ახალი ამ-

დგარი ვიყავით, დილაადრიან გოგი ცისკარიშვილი მოგვადგა და ლევანის დაპატიმრების ამბავი გვიამბო. დედა, მე და ეზია ისე დავიბენით და გავშრით, რომ პირდაპირ გავშეშდით. სასწრაფოდ სანდრო გამოვიძახეთ. რა უნდა გაგვეკეთებინა. უცებ ვერ გავერკვეთ. მერე კი გადავწყვიტეთ ლევანის ნაწერების გადარჩენა, მაგრამ უკვე გვიან იყო: ხუთი ჩეკისტი თავზე დაგვადგა. ჩხრეკა საშინელებაა. დაგვარბიეს, თავმოყვარეობა შეგვილახეს, ყველაფერი დაგლიჯეს. ავეჯი დაამტვრიეს, გააფუჭეს, გატეხეს, არც ერთი სკამი აღარ დაგვრჩა, წიგნები სათითაოდ გადაფურცლეს, დაგლიჯეს და იატაკზე დაყარეს. ჩხრეკას ვერ გადაურჩა ლეიბი, საბანი თუ ბალიში, ყველაფერი დაჭრეს და დაყარეს.

— ნეტავი ვიცოდე, რას ეძებთ ამისთანას? — შეწუხებული ეკითხებოდა დედა. — თქვენ ბარბაროსები ხართ, რას ერჩით ნივთებს, ავეჯს და წიგნებს. ლევანს არავითარი ბრალი არ მიუძღვის, ის პატიოსანი კაცია!

ჩეკისტებმა წიგნებში, ნაწერებში და საერთოდ სახლში ჩხრეკის დროს ვერაფერი ვერ იპოვეს საეჭვო, ლევანის ნაწარმოებებს დაეძგერნენ, ნაწერებს გლეჯდნენ და ყრიდნენ. განა ამის ატანა შეიძლებოდა? ჩვენ საშინელი ჩხუბი და ყვირილი გავუმართეთ ჩეკისტებს. ისინი არ მოელოდნენ ამას.

— განა ეს მონოლოგები შეიძლება გამოდგეს ლევანის საწინააღმდეგოდ, ეს ხომ ნაწარმოების მთლიანობის ლოგიკური მსჯელობის შედეგია, — ყვიროდა დედა. — თქვენ ხომ უვიცები ხართ! ახლავე თავი დაანებეთ ბარბაროსობას, თორემ თქვენს უფროსებს დავურეკავ და თქვენს კარგ კაცობას გავაგებინებ,— მაგრად დაუდგა დედა. ჩვენ არც კი მოველოდით მის ასეთ გაგულისებას. ხევა და გლეჯა შეწყვიტეს. ლევანის ოთახი დალუქეს და 20 საათიანი ჩხრეკის შემდეგ ძლივს წავიდნენ.

შეწუხებულები, დაღლილ-დაქანცულები, ანერვიულებულები და დარბეულები, მშივრები გარეთ თავს ვეღარ ვყოფდით, გვეშინოდა. არც არავინ ჩვენთან არ შემოსულა. ყველას შიშის ზარი დაეცა.

შემდეგ სახლში ჩაგვისახლდა ჩეკა, ყოველდღე მოდიოდნენ და ლევანის ნაწერებში იქექებოდნენ. სულ სხვადასხვა ხალხი ურევდა ხელს, რაღაცას ეძებდნენ და ეძებდნენ. ხშირად ტელეფონით კითხულობდნენ: რა აქვთ კარგი, რისი წამოღება შე-

იძლებაო. მაგ გლახაკებს ახალი არაფერი აქვთ, ყველაფერი ძველიაო. ბევრის წამოღება არ შეიძლებაო. რასაც შევარჩევთ, წამოვიღებთო, — უპასუხებდნენ ჩეკისტები ყოველგვარი სირცხვილისა და სინდისის ქენჯნის გარეშე.

ჩვენს ოჯახს ისევ მძიმე დღეები დაუდგა. თბილისში კი, ლევანის დაპატიმრებასთან დაკავშირებით, რა ხმები არ დაირხა. ვიღაცა ხმას ავრცელებდა, ლევანი საზღვარგარეთ გადიოდა და საზღვარზე დაიჭირესო. ბევრმა ეს ტყუილი დაიჯერა კიდეც და ლევანი გაამტყუნა:

— ასეთი კარგი სახელი ჰქონდა, ასეთი წარმატება დრამატურგიაში, დიდი შემოსავალი, მეტი რაღა უნდოდა იმ მამაცხონებულსო.

მერე კი, როცა სიმართლე გაიგეს, ძალიან წუხდნენ.

თბილისში დაჭერები გრძელდებოდა — დააპატიმრეს ლევანის მეგობრები და ახლო ნაცნობები, რომელთაც ლევანთან კონტაქტი ჰქონდათ. ჯერ მთამსვლელები — კოტე ჯავრიშვილი და გრიშა გიორგობიანი დააკავეს, მერე — ილია სარჯველაძე, ბონდო ემუხვარი, მაყვალა რამიშვილი, გოგი ლომთათიძე, ვალოდია ვაშაკიძე, ბესო ვაშაკიძის ძმა, რომელიც ადრე ლევანთან ერთად იყო გადასახლებაში. ცოტა ხანში დააპატიმრეს მწერალი ვახტანგ ბეწუკელი და უნივერსიტეტის თანამშრომელი ნინო ყარანგოზიშვილი, მერე გრიშა ლალიაშვილი, იოსებ ხუციშვილი და სხვები (საუბედუროდ, მათი გვარები ვეღარ გავარკვიეთ). შემდეგ დააპატიმრეს ჩვენი ნათესავი სპირიდონ ჭყონია, მეტად განათლებული, იუმორით სავსე, უაღრესად კეთილი კაცი, რომელიც პოლიტიკაში არასდროს არ ერეოდა.

დაპატიმრებულებზე თხზავდნენ რაღაცა საშინელ ჯგუფურ დანაშაულს. ამის გამკითხავი კი არავინ იყო, პირიქით, დღითი დღე მწვავდებოდა მდგომარეობა. არც გადასაცემად ღებულობდნენ რამეს, ვერც ვერაფერი გავიგეთ, გამოძიებაც უსაშველოდ გრძელდებოდა.

ოჯახში საშინელი ღელვა და მწუხარება დამკვიდრდა, რაც უფრო დაამძიმა თინას ავადმყოფობამ.

ამ პერიოდში საქართველოში მძვინვარებდა მუცლის ტიფის ეპიდემია. იღუპებოდა უამრავი ხალხი, განსაკუთრებით კი ბავშვები. ამიტომ ექიმ-პედიატრებს რაიონებში გზავნიდნენ. თინასაც მოუხდა წალკის რაიონში წასვლა, საიდანაც რამდენი-

მე ხნის შემდეგ ტიფით მძიმე ავადმყოფი ძლივს ჩამოვიყვანეთ და საავადმყოფოში მოვათავსეთ. აქ პროფესორმა მარიამ უგრელიძემ, უაღრესად კეთილშობილმა, განსწავლულმა და გულკეთილმა ქალმა, თავის თავზე აიღო თავისი ასისტენტის თინას მკურნალობა. ამით მან ჩვენს ოჯახს დიდი სულიერი, მორალური და მატერიალური დახმარება გაუწია.

ამრიგად, ოჯახს თავს მეორე უბედურება დაატყდა. ძალიან გაგვიჭირდა. როგორც ლევანის წინა დაპატიმრებისას, ახლაც, ჩვენი ოჯახის ორი შვილის ყოფნა-არყოფნის საკითხი დადგა. ორივეს სჭირდებოდა მზრუნველობა, თანადგომა, და, რაც მთავარია, მორალური და მატერიალური დახმარება.

— ჩემი ორი შვილის ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას ჩემ წინაშე. ღმერთო, ნუ გასწირავ ნურც ერთს, — შეძრწუნებული ჩიოდა დედა და დღესა და ღამეს ლოცვა-ვედრებაში ატარებდა. იმდენად მძიმე გავლენა მოახდინა მასზე ამ ამბებმა, რომ საწოლიდან ხშირად ვეღარ დგებოდა, დაუძლურდა.

თინას მძიმე მდგომარეობის გამო მე, მზია და მარო დღე და ღამე საავადმყოფოში ვიყავით. სანდრო ლევანის საქმეებზე დარბოდა, თუმცა მის შესახებ ჯერ ვერაფერი გავიგეთ. იქ გვითხრეს გამოძიების დამთავრებამდე ნუ გვაწუხებთო, ჩვენ თვითონ გამოგიძახებთო. ნეტავ ვიცოდეთ, რას იძიებდნენ ამდენხანს... საწყალ ლევანს და ყველას, იქ ჩავარდნილს, როგორ აწვალებდნენ და აწამებდნენ.

თინას ავადმყოფობამ ექვსჯერ შეუბრუნა და უმძიმესი გართულებები დაერთო. გრძნობაზე რომ მოვიდა, შინ წაყვანა მოითხოვა. შიშით ლევანზე არაფერს გვეკითხებოდა, პასუხის ეშინოდა. მერე ჩვენ თვითონ მოვუყევით, რაც ვიცოდით. იმანაც მტკივნეულად განიცადა, რომ ავადმყოფი ვერაფერში გვეხმარებოდა. თინა ავადმყოფობამ ძალიან დაასუსტა და დააუძლურა, მაგრამ მაინც მალე ადგა. დედაც ავადმყოფობდა და სულ აიშალა ნერვიულად. თინამ დედასაც შოუარა.

ერთ დღეს თბილისში საზარელი ხმა გავარდა. აღშფოთებით და დიდი მწუხარებით რაღაცაზე ჩურჩულებდნენ, ვიშვიშებდნენ და ცრემლად იღვრებოდნენ. ჩვენ არაფერი ვიცოდით. მოირბინეს შეწუხებულმა ნათესავებმა, მეგობრებმა, მსახიობებმა. ყველა გულისტკივილით შემოგვცქეროდა, ბოლოს ერთმა ნათესავმა შემოსვლისთანავე დედას მიატირა — საწყალი ლე-

ვანი დაღუპულაო, იქაურ წამებას ვერ გაუძლო, თავი მოუკლავსო, აი, ჩეკამ მაინც მიიყვანა თვითმკვლელობამდეო. დედა გაშეშდა. აუწერელი ტრაგედია დატრიალდა ჩვენს ოჯახში. უცებ დედამ საშინელი კივილ-ყვირილი მორთო და მის გარშემო შეყრილი ხალხი გარეთ გაყარა.

— გლოვა შეწყდეს, — გაჰკიოდა ის, — ლევანი მტკიცე ნებისყოფისაა, თავს არ მოიკლავდა და არც შეაკლავდა ამ ჯაშუშებს. ლევანი რომ ცოცხალია, მჯერა და ამაზე მეტი არც ლაპარაკი და არც ჭორი აღარ გავიგონო. მართალია, ლევანის თქმისა არ იყოს, ციხეებში უკანასკნელ პერიოდში წამების უხეში და ბარბაროსული მეთოდებია შემოღებული, მაგრამ ლევანი ჩემი შვილი არ არის? გაუძლებს ყველაფერს. ეს ისევ ვიღაცის მიერ გავრცელებული ჭორია, როგორც მისი დაპატიმრების დროს მოჩმახული საზღვარგარეთ გაქცევის და საზღვარზე დაპატიმრების ამბავი. სად ხერთვისის ციხე და სად თურქეთის საზღვარი, ვიღაცა განგებ ავრცელებს ამისთანა ჭორებს ლევანზე, ეს მას **ხელს აძლევს ალბათ.** მეტი ამისთანა ამბავი აღარ გამაგონოთ, — ყვიროდა დედა.

ყველა წავიდ-წამოვიდა შემკრთალი. ჩვენც ხმა გავიკმინდეთ, მაგრამ შიგნით ცეცხლი გვეკიდებოდა. საჭირო იყო სიმართლის გაგება. როგორ, საიდან? მე ჩემი სკოლის ამხანაგის ძმას მივაკითხე. იქ მუშაობდა კარგ თანამდებობაზე. ახოვანი ვაჟკაცი იყო, კეთილშობილი. ყოველთვის მახსოვდა მამის ნათქვამი, ნათელ სახეში კეთილი გული ეძიეო. სწორედ ნათელი სახე ჰქონდა მას.

მე და თინა შევხვდით, შევეხვეწეთ, შევევედრეთ ლევანის ამბავი გაეგო, რანაირი მწარეც არ უნდა ყოფილიყო. ის შეწუხდა: — თქვენ არ იცით იქაური მუშაობის ამბავიო, ლევანის შესახებ მე ვერავის ვერაფერს ვერ ვკითხავ. ეს არასასურველია და საეჭვოც. ამიწერეთ მისი უტყუარი ნიშნები. თუ ცოცხალია, შეიძლება დილით ეზოში გამოყვანის დროს მე თვითონ დავინახოო. დაწვრილებით ავუწერე ლევანის გარეგნობა: ახოვანი, ბრგე, დიდი ხუჭუჭა ქოჩორი, „გოთუების ცხვირი", ნათელ თვალები და სხვა. მან სურათი მოგვთხოვა. ისიც ვაჩვენეთ. დაგვპირდა, ხვალ ყველაფერს შეძლებისდაგვარად გავარკვევო.

მთელი ღამე თეთრად გავათენეთ გარინდულებმა და გაშეშებულებმა. ამასობაში ლევანის თვითმკვლელობის ჭორი თბი-

ლისში ძლიერ ღვივდებოდა. ვინ რას არ უმატებდა, ვინ რას არ ამტკიცებდა! ტელეფონის ყურმილს აღარ ვიღებდით, დედამ აგვიკრძალა.

დანიშნულ დროს დიდი ღელვით და გულისხვეთქით შევხვდით მას. დანახვისთანავე შემოგვძახა: — ნუ გეშინიათ, ცოცხალია, კარგად არის, დაწყნარდით, მე თვითონ ვნახეო.

ჩვენ ის გადავკოცნეთ თვალცრემლიანებმა.

— ხუჭუჭი ქოჩორი სადღაა, გაუპარსავთ, — განაგრძო მან,— ცხვირი ნამდვილად თქვენი აქვს და აღნაგობაც. რატომ არ მითხარით, რომ ერთ-ერთ ტერფზე თითები ჰკლებია, მე სწორედ ამით განვასხვავე. მაგრაა დაბეჟილი, ფეხებგასიებული და ჩალურჯებული, ძლივს დადის.

— მაინც რა მოხდა, რატომ დაირხა ეს ჭორი, — შეეკითხა თინა.

— ვერ დაგიმალავთ, თვითმკვლელობის მცდელობა იყო. როდესაც ლევანი დაკითხვიდან გამოიყვანეს, იმდენად აგზნებული ყოფილა, რომ მეოთხე სართულის კიბის უჯრედიდან თვითმკვლელობის მიზნით გადმომხტარა. პირველი სართულის ბადემ შეაკავა, თორემ ნამდვილად დაიღუპებოდა. მაგარი ვაჟკაცი ყოფილა, რომ დღეს სიარული შეძლო. ვინც ეს ამბავი გაიგო, რას წარმოიდგენდა, რომ ლევანი გადარჩებოდა. იმწუთშივე ყველა სართულის კიბის უჯრედებს უშველებელი ბადე ააკრეს.

დიდი მადლიერების გრძნობით დავშორდით, სულ ფრენით მოვედით შინ.

დედამ რომ გაიგო ლევანის კარგად ყოფნა, სწორედ მაშინ წახდა. ძალიან შეგვაშინა, გული წაუვიდა.

ყველა ჩვენს ნათესავს ვაცნობეთ ეს ამბავი.

— ბევრი აწამეს და აწვალეს საწყალი ლევანი, მაგრამ ეს მას წყობიდან არ გამოიყვანდა. ალბათ ტყუილი, მოჩმახული ბრალდება წაუყენეს, რამაც გააგიჟა. უკანასკნელ ხანს რამდენს მუშაობდა დრამატურგიაში. თუმც არ აძლევდნენ მუშაობის საშუალებას. პოლიტიკას იმქამად ნამდვილად გაურბოდა. რამდენჯერ უთქვამს, მინდა ჩემი მწერლური შესაძლებლობა ამოვწურო, მერე კი უსათუოდ პოლიტიკას დავუბრუნდები, აბა ასე როდემდე უნდა ვიყოთო. სად არის სამართალი, ვის ხელში ვართ. ჩავარდნილები. ყველგან ჯალათები და უგულო ხალხია.

გადავწყვიტეთ თინას სანატორიუმში გაგზავნა, მაგრამ უარი გვტკიცა, ლევანის საკითხების გადაწყვეტამდე თბილისიდან ჩემს წასვლაზე ლაპარაკი არ იყოსო. მაგრამ სანდრომ დაარწმუნა, ლევანის საქმის გამოძიება კიდევ დიდხანს გასტანსო და თინა უგუნებოდ დაგვთანხმდა სანატორიუმში გამგზავრებაზე.

1946 წლის 14 დეკემბერს, დილაუთენია, მოულოდნელმა ტელეფონის ზარმა ყველა გაგვაღვიძა და აგვაღელვა. ტელეფონთან შეშინებული მზია მივიდა. ვიღაც უცნობმა მამაკაცმა იკითხა, ჩვენი ბინა იყო თუ არა და შემდეგ გვითხრა:

— ლევანი გუშინ ღამე ციხეში გადაიყვანეს. გათავდა მისი ტანჯვა და წამება, რომელსაც ის საოცრად ვაჟკაცურად იტანდა და საბოლოოდ გაუძლო კიდეც. სრულიად დაუმსახურებლად სასჯელიც აჰკიდეს (მოსკოვის „სამეული"), მაგრამ რას იზამ, ახლა კაცუნები მეფობენ, ანადგურებენ საქართველოს ნიჭიერ ახალგაზრდობას. ამ უკანასკნელ წლებში ლევანი მეტად პოპულარული გახდა. ვინ უმტრო, არ ვიცი. აქ კი ამ სიძაგლეებმა უნდობლობა გამოუცხადეს, შეთხზეს და შეთითხნეს ზღაპრები.

— ვინ ბრძანდებით, ბატონო, ასეთი კეთილი კაცი, — აკანკალებული ხმით შეეკითხა მზია.

— რომ გითხრათ კიდეც ჩემი ვინაობა, არ მიცნობთ. მე ლევან გოთუას, როგორც დიდ მწერალს, უაღრესად ნიჭიერს, განათლებულს, ვაჟკაცს და საზოგადო მოღვაწეს დიდ პატივს ვცემ და, როგორც პატრიოტი კაცი, დიდად ვაფასებ. მართალია, დიდხანს ვსდიე მას და კარგადაც გავიცანი. მისმა „მეფე ერეკლემ" აღმაფრთოვანა, ასჯერ ვიყავი წარმოდგენაზე, მე თქვენი ოჯახის კეთილმოსურნე ვარ, თუმცა ლევანს თავის დროზე ბევრჯერ ნერვები ავუშალე. მენდეთ, ეს ჩემი ბრალი კი არა, ეს ჩემი სამსახური იყო და სხვანაირად არ შეიძლებოდა. დადგება დრო და მეც გამოვჩნდები. ლევანი კი მიხვდება ყველაფერს. ახლა მიხედეთ ციხეში ლევანს, თორემ შეიძლება ეტაპს ისე გააყოლონ, თქვენ ვერა გაიგოთ რა!

ტელეფონი გაითიშა.

გაოგნებული მზია მდუმარედ იდგა.

— ვინ იყო? — შეეკითხეთ ერთდროულად... მართლაც ვინ იყო ეს კეთილი კაცი? ნუ გაგიკვირდებათ! ცხოვრებაში ბევრი რამ საკვირველი ხდება. წარმოიდგინეთ, მერე ეს კაცი გაიხსენა ლევანმა: ჩემი პირველი ჯაშუში გახსოვთ?.. ჩრდილივით რომ

მდევდა და საშველს არ მაძლევდა? ჩემი პიესის პრემიერაზეც გამალებით ტაშს რომ მიკრავდა. მისი დანახვა ჩეკაში არ მესიამოვნა, გავბრაზდი კიდეც. მისი დამოკიდებულება ჩემდამი ჯერ უნდობლად მივიღე, მაგრამ შემდგომ ყოველდღიურ ურთიერთობაში გავერკვიე. აბა, როგორი წარმოსადგენია? ჯერ ისევ მოგზავნილი ჯაშუში მეგონა, მერე კი მივხვდი მის ორმაგ თამაშს. იმ წვალებაში დამეხმარა და არა მარტო მე, ბევრ ჩემისთანასაც. სწორედ მას ვთხოვე ეცნობებინა თქვენთვის ჩემი ამბავი. გადასახლებაში უთქვენოდ წასვლა გამიჭირდებოდა. თურმე იმ ჯოჯოხეთშიც ყოფილა კეთილი ხალხი. ეს რომ არ იყოს, ჩვენი საქმე უფრო ცუდად წარიმართებოდა.

ამრიგად, 15 დეკემბერს ლევანი ციხეში გადაიყვანეს. გათავდა მისი ტანჯვა-წამება. ლევანი გადასახლებაში მიდიოდა, დახმარება სჭირდებოდა. მატერიალური მდგომარეობა ცალკე გვახრჩობდა, მაგრამ ამას ვინ უყურებდა. ვალებში ჩავვარდით. სახლიდან გატანილი ძვირფასი ნივთებიც გაუფასურდა.

მეორე დღეს, დილაუთენია, შეძლებისდაგვარად დატვირთული გადასაცემი საგზალითა და თბილი ტანსაცმლით ალაყაფის კარებს ავეტუზეთ.

ჩვენს გარდა აქ უამრავი ხალხი შეგროვილიყო, გულმოკლული, მწუხარე და მღელვარე. ზოგს თოთო ბავშვიც მოეყვანა. განსაკუთრებით გულისმომკვლელი იყვნენ დაპატიმრებულების მოხუცი მშობლები. ალაყაფის კარების წინ ქუჩა გაივსო, სიცივე აღარ იგრძნობოდა. თურმე რამდენი გაჭირვებული ყოფილა, ვინ მოთვლის! პატიმრების პატრონები ყველანი ერთ ტაფაში ვიწვოდით, ყველას ერთი უბედურება გვაერთიანებდა, განურჩევლად პატიმრობის მიზეზისა, სქესისა, ასაკისა, ეროვნებისა თუ განათლებისა.

შევიტყვეთ, რომ ციხეში თურმე ქურდები, ბანდიტები, მკვლელები და პოლიტიკური პატიმრები — ყველა ერთად იყო.

— ეს პატიოსანი კაცისათვის სწორედ ყველაზე მძიმე ასატანი სასჯელია, — წუხდა ვიღაც სათნო მოხუცი.

ჩვენ იმწუთში ლევანი წარმოგვიდგა თვალწინ. ვშიშობდით, ისეთსავე მდგომარეობაში არ ჩავარდნილიყო, როგორც სოლოვკებში და კიდევ არ მოემოქმედა რამე.

რიგით 856-ე ვიყავით, საღამოს 6 საათზე მოგვიწია ფანჯარასთან მისვლა, მაგრამ უშედეგოდ: ჩვენგან არაფერი არ მიი-

ღეს, ამბის გასაგებად მეორე დღისათვის დაგვიბარეს. დიდი ღელვითა და განცდით შინ დავბრუნდით. ეს საშინელი გრძნობაა, მტერსაც ნუ გამოაცდევინოს. ორი დღე და ღამე ციხის კარებთან ვიყავით ატუზულები რიგრიგობით.

ღამისთევა ქუჩაში ციხის კედელთან საშიში არ იყო. აქ უამრავი ხალხი ირეოდა და მათ შორის ბევრი ნაცნობიც. საჭირო იყო მხოლოდ ჩუმად ყოფნა, აურზაური არ უნდა აგვეტეხა, ასე გაგვაფრთხილეს ციხის გუშაგებმა: ხმა კრინტს ან აურზაურს თუ გავიგებთ, იცოდეთ, გაგყრით აქედან და გესვრით კიდეცო. შეშინებულ, გასაცოდავებულ ხალხს სად ჰქონდა აურზაურის თავი. ციოდა, ამიტომ უმრავლესობას საბანი, ქურქი ან თბილი შალი ჰქონდა შემოხვეული. საწოლად ფიცრები, გასაშლელი საწოლები და სკამსაწოლები ჰქონდათ წამოღებული, მჭიდროდ ერთმანეთზე მიყრდნობილები ზეზეურად ვთვლემდით. ღამის 12 საათზე ჩაგვიქრეს ქუჩის შუქი და ყველანი დავრჩით სიბნელეში, ღამის წყვდიადში. ღამემ თავისი მაინც გაიტანა, ვთვლემდით მჭიდროდ ერთმანეთზე მიკრულები. ასე დავიღამეთ და გავითენეთ.

დილის 11 საათზე ძლივს გაიღო ციხის ალაყაფის კარი და „ჟრიამულით" ეზოში შევცვივდით. დავიტანჯეთ ნანახითა და გაგონილით, ხალხის საცოდაობით. რამდენი მწუხარების, გაჭირვებისა და ცრემლის ატანა შეუძლია თურმე ადამიანს! ზოგისაგან არაფერი არ მიიღეს, რადგან პატრონის გაუფრთხილებლად უკვე ეტაპით გაამგზავრეს პატიმარი, ზოგი საავადმყოფოში გადაეყვანათ. ატყდა წიოკობა, ტირილი, სად იყო ნუგეში?! ლევანის ბედი გვაღელვებდა და გული გვისკდებოდა, აღარავის აღარ ვაქცევდით ყურადღებას.

ორი დღე-ღამის წვალების შემდეგ ჩვენი მიტანილი შეკვრა მიიღეს. გულისფანცქალით ვუცდიდით მისგან საპასუხო პატარა ბარათს. ბარათიც გადმოგვცეს, ლევანმა დაგვიდასტურა ყველაფრის მიღება. მეტი არაფერი ეწერა, მაგრამ ამ პატარა ქაღალდის ნაგლეჯმა მაინც დაგვაწყნარა.

ყოველღამე რიგრიგობით ვიდექით რიგში მე და მზია, რომ ლევანისათვის გადაგვეცა თბილი ტანსაცმელი, ფული და საკვები. ვერ გავიგეთ მისი გადასახლების დღე — ამაზე იქ არაფერს გვეუბნებოდნენ. ასე სასოწარკვეთილნი ციხის კარებს არ ვშორდებოდით.

ერთ დღეს მოხდა სასწაული. ჩემი თანაფრონტელი ნოდარ ლაბარტყავა დავინახე ფორმაში გაძოწყობილი. ძალიან გულგ:ბილად შევხვდით ერთმანეთს, თურმე ის ციხეში მუშაობდა დიდ თანამდებობაზე. ჩემი მძიმე მდგომარეობა რომ გაიგო, მითხრა, დაწერე განცხადება და ლევანს შეგახვედრებო. ეს წარმოუდგენელი, დაუჯერებელი ამბავი იყო. მაშინვე დავწერე განცხადება და გადავეცი. მძიმე და ამაღელვებელი ლოდინის, ორჭოფობის (შევხვდებოდი ლევანს თუ არა!), ცუდი პასუხის მოლოდინში, ნახევარი საათის შემდეგ, რომელიც მთელ საუკუნედ მოგვეჩვენა, ლევანთან შესახვედრად გამომიძახეს.

პატარა ოთახში შემიყვანეს, შუაში რკინის ბადე იყო ჩამოშვებული. ბადის იქით ლევანი იჯდა და მიცქიდა.

ჩვენს შეხვედრაში იყო სიყვარული, მწუხარება და სიხარული, ლევანი წამოხტა და ბადიდან ხელი გამომიწოდა. მე შევიგრძენი მისი მტკიცე ხელი. ლაპარაკი ვერ მოვახერხე, ცრემლად ვიღვრებოდი. ლევანი, პირიქით, ლაპარაკად იქცა, ყველაფერი აინტერესებდა. პირველი, რაც მითხრა, ეს იყო: — ძალიან მიკვირს, როგორ შეგვახვედრეს, იმდენად მკაცრ რეჟიმში ვარ ჩავარდნილიო. წუხდა, მასთან ერთად ახლობლების მთელი ჯგუფი რომ დააპატიმრეს. შინსახკომში ყოფნისას ლევანმა მათ შესახებ არაფერი იცოდა, ისინი არც დაუპირისპირებიათ და არც რაიმე უთქვამთ მისთვის. ყველაფერი ვახტანგ ბეწუკელისაგან გაეგო, რომელიც ადრეულად გადაასახლეს, მერე კი როსტოვიდან რატომღაც უკან დააბრუნეს. ციხეში შემთხვევით ლევანს შეხვედროდა.

— შინსახკომის ციხეში მაგ ჯალათებმა ძალიან ბევრი მაწვალეს, კინაღამ თავი მომაკვლევინეს, მაგრამ საბოლოოდ არც მე დავაკელი, სულ მტარვალები, მატყუარები და საქმის მომჩმახველები ვუძახე. შემდეგ ისიც მივაყოლე, უსათუოდ მოვა დრო და თქვენ ყველაფერზე აგებთ პასუხს, ამ სკამზე თქვენ დასხდებით, აი, მაშინ ვნახავ როგორი ვაუკაცები იქნებით, გგონიათ რომ შეგრჩებათ უმიზეზოდ ამდენი ხალხის წვალება-მეთქი?! გაცოფებული რაფავა სკამიდან წამოხტა და შეშინებულმა დაიბღავლა: ეს არასოდეს არ მოხდება! წაიყვანეთ აქედანო! ხომ შეგეშინდათ?! ნახეთ, თუ ასე არ იქნება! — რაც ძალი და ღონე მქონდა, ისტერიულად ვღრიალებდი ყველას გასაგონად და ვებრძოდი ოთხ კაცს, გამალებით რომ მირტყამდნენ და ჩემთვის პირის დამუწვა უნდოდათ.

ლევანი შეჩერდა. მე დრო ვიხელთე და ვკითხე: — მაინც რას გერჩოდნენ ეს ურჯულოები-მეთქი.

— სასაცილოა, პირდაპირ, — მიპასუხა ლევანმა, — ვიღაცას თითქოს სია შეუდგენია და გერმანიის გამარჯვების შემთხვევაში მე საქართველოს პრეზიდენტად დავუნიშნივარ. ვფიქრობ ჩეკამ შეთხზა ყველაფერი. მე და გერმანელების ქვეშევრდომობა?! საოცარია პირდაპირ. რა თქმა უნდა, ყველაფერი უარვყავი, ხელი არაფერზე მოვაწერე და სასტიკად გავჯავრდი კიდეც. მიუხედავად ძალადობისა, დახვრეტით მუქარისა, წამებისა და ცემისა, ვერ მომტეხეს. მერე კი მაგ გლახაკებმა, ვერაფერს რომ ვერ გახდნენ, ცუდი წარსული გაქვსო, უნდობლობა გამომიცხადეს. დასაკარგი უკვე არაფერი მქონდა, ჩემი ბედი გადაწყვეტილი იყო. ის კი მახსოვდა, ჩემი ყვირილი როგორ ხანჯალივით ხვდებოდათ გულში, ამიტომ, რაც ძალი და ღონე მქონდა, ვყვიროდი: ჩემი წარსულით მე ვამაყობ, როგორც სხვა ბევრი თქვენგან დაჩაგრული და გაწამებული საქართველოს ნამდვილი შვილი. თქვენ კი გარეწრები, სკამის კაცუნები და ამქვეყნის არარაობები ხართ, ნახეთ მომავალში რა დაგემართოთ. ღმერთო, აღასრულე ჩემი ვედრება! მოკლედ, ცოცხალმკვდარი ძლივს გამომათრიეს, იქიდან. ისე ვიყავი გაცოფებული, ნამდვილად მოვკლავდი ვინმეს და მეც შევაკვდებოდი.

გულისტკივილით ლაპარაკობდა ლევანი თავისი უკუღმართი ბედის ტრიალზე, უსამართლობაზე, რომელიც მის გარშემო ასე გამეფებულიყო და რომ დამხმარე ან სიმართლის მთქმელი არავინ იყო.

— პარტიის ცეკას პირველმა მდივანმა კანდიდ ჩარკვიანმაც მიღალატა, ამას კი სულ არ მოველოდი, — განაგრძნო ლევანმა გულდაწყვეტით. — ჩემთან საკანშიაც კი შემოვიდა. ვიფიქრე, მეშველა რამე-მეთქი. თურმე როგორ მოვტყუვდი. ბევრი ვუმტკიცე მას ჩემი უდანაშაულობა, დახმარებაც ვთხოვე, მაგრამ ამაოდ. ჩარკვიანი დაჟინებით მთხოვდა წაყენებულ ბრალდებაზე ხელი მომეწერა, მხოლოდ ამის შემდეგ მპირდებოდა განთავისუფლებას. აბა, ასეთ ბრალდებას ხელს როგორ მოვაწერდი, სიკვდილი მერჩივნა.

საწყალმა ლევანმა უნებურად მძიმედ ამოიოხრა, ეს ოხვრაკვნესა ჩემთვის ყველაფრის მთქმელი იყო. აქვე უნდა აღვნიშ-

ნოთ, რომ ასეთივე ბრალდებით იმ პერიოდში ბევრი დააპატიმრეს და სასტიკად დასაჯეს, ბევრმა ჩეკაში ცემა-ტყეპას და წვალებას ვერ გაუძლო და ყველაფერზე ხელი მოაწერა, იყვნენ ისეთებიც, ვინც შემთხვევით გადაურჩა ამას. 1948 წელს გერონტი ქიქოძე ჩარკვიანმა გამოიძახა და რაფავას თანდასწრებით ისეთივე ბრალდება წაუყენეს, ლევანსაც კი დაუკავშირეს (გერონტი ქიქოძე, „მნათობი", № 1, 1989 წ., გვ. 3).

უცებ მძიმე სიჩუმე ჩამოვარდა. ლევანმა თავი გაიქნია, თითქოს განდევნა მძიმე ფიქრები... ოჯახის ამბავი მკითხა, თინას ავადმყოფობა აწუხებდა. დედის ჯანმრთელობა აინტერესებდა, დარდობდა, ასე რომ გაგვაწვალა ყველა... — მე, — განაგრძობდა ლევანი, — ლიტერატურული მუშაობით ვიყავი გატაცებული და ბარე რამდენიმე პიესას კიდევ დავწერდი. ვიღაცას ეს ხელს არ აძლევდა და გამწირა!

ლევანი თითქოს ბოდიშს იხდიდა თავისი მდგომარეობის გამო. ძალიან შემეცოდა, მინდოდა მენუგეშებინა, დამეწყნარებინა.

— ლევან, ოღონდ შენ ჯანმრთელად იყავი, გაუძელი ამ უსამართლობას და... გახსოვდეს, მთავარია სიცოცხლე! სიცოცხლე შეინარჩუნე, ჩვენ კი ყველანი, როგორც ერთი, ყოველთვის შენთან ვიქნებით!

ცრემლები ღაპალუპით მცვიოდა. ლევანმა გაიღიმა. მერე აქეთ დამამშვიდა:

— თქვენ კარგად დამხვდით, მე კი ვეცდები საქართველოში დავბრუნდე და ჩემი სიმართლე დავამტკიცო, თუ არ მომკლეს. მეტი არაფერი დამრჩენია!

ასე დასრულდა ჩვენი პაემანი. ჩვენ ერთმანეთს ისევ გავუწოდეთ ხელი, ლევანს ხელში ფული ჩავუდე. ზედამხედველმა ალბათ დაინახა და თვალი აგვარიდა. ფული მასაც გავუწოდე, მაგრამ არ აიღო. ნოდარი გადავკოცნე დიდი მადლიერების გრძნობით. შევეხვეწე, თუ შესაძლებლობა იქნებოდა, მეორე დღეს სანდრო და მზია შეეხვედრებინა ლევანისათვის, დამთანხმდა.

მეორე დილას ყველანი მივედით ციხეში. ძალიან ადვილად გადავეცით საგზალი, თბილი ტანსაცმელი და ფული. მოვემზადეთ ლევანთან პაემანზე შესასვლელად, რადგან გამოგვიცხადეს ცოტა ხანში შეგახვედრებთო. აქ უცებ ისევ ლევანის უკუ-

ღმართი ბედი დატრიალდა. სრულიად მოულოდნელად ეზოში ჩოჩქოლი და ხმაური ატყდა, გამოცვივდნენ უფროსი რანგის ჩეკისტები და გაიქცნენ ციხის ჭიშკრისაკენ, რომელსაც მთავრობის რამდენიმე შავი მანქანა მოადგა. ეზოში დიდი ამბით შემოვიდნენ ჩეკას გაყოყოჩებული მაღალი რანგის თანამშრომლები — რაფავა, წერეთელი და ნიბლაძე. ხალხმა ისინი უცებ იცნო, მოულოდნელი კი იყო მათი დანახვა. ყველა გაშრა, დამუნჯდა, მერე კი უცებ ყველა აყვირდა, აყაყანდა, აჩხუბდა, რამდენიმე ქალი ჯგუფს მოსწყდა და მათკენ გაემართა. გაშმაგებულები ძლივს დააკავეს. მათი ლანძღვა-გინება იქაურობას აყრუებდა, მათ სხვები აყვნენ და, მოკლედ, გამწარებულმა ხალხმა ჩეკისტებს ცუდი დღე აყარა.

— შეხედეთ, შეხედეთ ამ საზიზღრებს, — გაჰკიოდა ერთი დარბაისელი, თმაჭაღარა ქალი, — როგორ ყეყეჩურად და მედიდურად გამოიარეს, ვითომ პატიოსანი ხალხია. ქვისგულიანები, საქართველოს ორგულები! ამდენი ქართველი ხალხის წამება და სიკვდილი არ შეგრჩებათ! ღმერთო, დაწყევლე და დასაჯე ესენი.

ჩვენ მაშინვე მივხვდით, რომ მათი აქ მოსვლა კარგის მომტანი არ იყო. მართლაც ასე მოხდა. გამოგვიცხადეს, რომ პოლიტიკური პატიმრების ნახვა, ფულისა და საკვების გადაცემა აიკრძალა და ტყუილად ნუ გაჩერდებით, ეზო გაათავისუფლეთო. ყველანი გარეთ, ქუჩაში გამოგვყარეს. ატყდა საშინელი აურზაური, ჩვენი ყვირილ-ტირილი, ლანძღვა-გინება ცას სწვდებოდა, ყურთასმენა აღარ იყო. სასტიკად გულნატკენი და შეწუხებული წამოვედით სახლში.

მეორე დღეს მაინც ავიტუზეთ ციხის კართან, მაგრამ უშედეგოდ. ნოდარი ვნახე, აღელვებული შემხვდა: — ვინ ყოფილა შენი ძმა, რომ აქ ამდენი უფროსი მოვიდაო. ეს ძალიან იშვიათი ამბავია, განსაკუთრებულ შემთხვევებში ხდება ხოლმე! დახმარება აღარ შემიძლია, რომ შეგახვედრე, იმაზედაც ძალიან დიდი საყვედური მივიღე, ძლივს გადავრჩიო. ხომ იცი ჩემი ამბავი, ყველაფერს გაგიკეთებდი, მაგრამ ახლა ხელფეხშეკრული ვარო. ნოდარს ძალიან შევეხვეწე — ლევანის ეტაპით წასვლის დღე შეეტყობინებინა. ბევრი ხვეწნის შემდეგ მითხრა: კარგი, ვეცდებიო.

მართლაც, ორი დღის შემდეგ ნოდარმა ტელეფონით დაგვი-

რეკა: 23 დეკემბერს, დილის 6 საათზე ხორცის მანქანა გავაო. სანდრო, მე და მზია თბილი ტანსაცმლით, ფულითა და საკვებით დატვირთულები მივადექით ციხეს, მე და მზია თავიდან ფეხებამდე შალში გავეხვიეთ, რომ არაფის ვეცნეთ, ძალიან გვეშინოდა, რომ ლევანისათვის ამანათის გადაცემა ისევ არ ჩაშლილიყო. ისეთ ადგილას შევიკუჭეთ, რომ ციხიდან გამოშავალი ყველა მანქანა კარგად დაგვენახა. სანდრო კი მეორე მხარეზე მანქანით შეჩერდა. ჯერ კიდევ ღამის წყვდიადი იყო, როდესაც ციხიდან დაიწყეს მანქანებმა გამოსვლა.

საშინელი ღელვით, გულის ფანცქალით შევცქეროდით ციხიდან გამოსულ მანქანებს. დრო მიიზლაზნებოდა, ხორცის მანქანა კი არსად ჩანდა. სულ გვეშინოდა, რამე კიდევ ხომ არ შეიცვალაო. კარგად გათენებული იყო, როდესაც ციხიდან მანქანა გამოვიდა. გვერდზე დიდი ასოებით ეწერა „Мясо". ჩვენი მანქანით დავედევნეთ. მანქანა ცენტრალური ვაგზლის მიმართულებით წავიდა, ვაგზლის მარჯვენა ასასვლელ კიბეებთან შეჩერდა. შორიახლო ვადევნებდით თვალყურს პატიმრების გადაბარებას, ზედამხედველების ცვლას და პატიმრების მომზადებას ვაგონში ასაყვანად. გვირჩიეს ეტაპის ზედამხედველებს მოელაპარაკეთო. მათთვის წინასწარ მომზადებული გვქონდა ფული, არაყი და თამბაქო. მე და მზიამ დავტაცეთ ხელი ბარგს და სირბილით გავედით ცენტრალური შესასვლელიდან პერონზე. სანდრო შორიახლოს პატიმრებს მიჰყვებოდა, სწორედ სულზე მივუსწარით, პატიმრები კიბეზე აჰყავდათ; ლევანმა თვალი მოგვკრა და ხელი დაგვიქნია. პატიმრები მეორე ლიანდაგზე გადაიყვანეს და ვაგონში აიყვანეს. ფანჯრებზე რკინის ბადეები იყო აკრული. იქვე სანდროც გამოჩნდა. ვაგონს მივუახლოვდით, ფანჯარაში, რკინის ბადის მიღმა ლევანი დავინახეთ. მან გამყოლზე მიგვითითა, რომელიც მაშინვე ჩვენთან გაჩნდა. ყველაფერი გადავეცით გამყოლს ლევანისათვის. ზედამხედველსაც შესაფერისი პატივი ვეცით.

ცოტა ხანში ლევანი, თბილ ტანსაცმელში გამოწყობილი, ფანჯარაში გამოგვეცხადა. მადლობას გვიხდიდა მუნჯურად. ზედამხედველს, მიჰქონდა და მოჰქონდა ჩვენი წერილები. ვუყვიროდით და ისე ვაგებინებდით, რომ თავს გაფრთხილებოდა.

აი, ეს წერილებიც:

„თ ა მ ა რ!

მე მივდივარ ბაქოში — იქედან სად წავალ, არ ვიცი, კარგად ვარ! არა მიშავს რა! მინდობილობა დავტოვე ციხის უფროსთან, ბათუმიდან ფული მაქვს მისაღები, იქნებ რამე გამოვიდეს, დანარჩენს მერე მოგწერთ.

იყავით კარგად.

დედას და თინას ჯავრი წამყვა — როგორ არიან.

გკოცნით ყველას! მოკითხვა, ვისაც ვახსოვარ. მოუარეთ თავს.

ლ ე ვ ა ნ ი

თუ არის ახლოს, მიყიდეთ თამბაქო და გაზეთები.

გკოცნით"

სანდრომ წუთშივე გააჩინა თამბაქო და გაზეთები და შეუგზავნა.

ს ა ნ დ რ ო!

დიდი მადლობა ყველაფრისათვის! მე კარგად ვარ, ბაქოს იქით არ ვიცი საითკენ მივალ.

ილია სარჯველაძე, როგორც ეტყობა, დარჩა იქ ჯერ-ჯერობით, № 1 ციხეში, ვგონებ საავადმყოფოშია. კიდევ კარგი გოგი ლომთათიძე გაუთავისუფლებიათ, ბეწუკელი კი დაუბრუნებიათ როსტოვიდან. მან მითხრა ჩემი ახლობლების დაპატიმრების ამბავი. მე მათზე არაფერი ვიცოდი. საწყალ ქალებს რაღას ერჩოდნენ. ეს ყველაფერი დიდი ბარბაროსობაა.

გკოცნით ყველას, თავს მოუარეთ.

ლ ე ვ ა ნ ი".

ცოტა ხანში პატიმრებიანი ვაგონი მიაბეს ბაქოსაკენ მიმავალ მატარებელს, ბადრაგმა ისევ წერილი გადმოგვცა.

წავიდა საწყალი ლევანი დასევდიანებული, გულჩათხრობილი, თვალზე ცრემლმორეული, უკუღმართი ბედის მომდურავი.

წერილში ეწერა:

„ჩემო კარგებო! ჩემი ბედი და ცხოვრების ბორბალი ისევ უკუღმა დატრიალდა, ისევ შორეული მხარე და მარტოობა. თითქოს განგებ, ეს შემოწერილი მაქვს. რა ვქნა, რა გზას დავადგე, ვერაფერი ვერ შევძელი. რაც არის, არის. მე ჯანმრთელად ვარ, იმედი მაქვს მალე გაიფანტება ჩემს ირგვლივ შექმნილი მდგომარეობა და მეც მომეცემა უფლება საქართველოში ჩამოსვლისა. ყოველ შემთხვევაში, მე ამ იმედით ვცოცხლობ და ძნელ პირობებს შევეგუები.

გარეთ ალბათ ათასგვარი ჭორებია შექმნილი და შეთხზული ჩემი დაპატიმრების გამო. ეს სიმართლეს არ შეეფერება. თქვენ ნუ აჰყვებით ჭორებს, დინჯად და წყნარად იცხოვრეთ, ერთმანეთს მოუარეთ.

დიდი ძმური მადლობა ყველას, რომ რაც თქვენს ძალაში იყო, თუ არ იყო, მე არაფერი დამაკელით. ეს მე მეტად მამხნევებდა უმძიმეს წუთებში. ასეთები კი ბლომად იყო.

ახლა მომავალზე: მე ჯერ ბაქოში მივდივარ, მერე სად წავალ, არ ვიცი. ეს არ იცის არც ჩვენმა ბადრაგმა.

მე, მაშასადამე, მისჯილი მაქვს 10 წელი შრომაგამასწორებელ ბანაკში. ვადა ითვლება 1 VIII-46 წლიდან, 58[10-11] მუხლით. მისჯილი მაქვს მოსკოვის მიერ („Особое совещание"), რატომ, მე თვითონაც მიკვირს (58-ე მუხლი გათვალისწინებულია მძიმე დანაშაულისათვის, გულისხმობს სამშობლოს ღალატს, სამხედრო ძლიერების შერყევას და ბევრ ამისთანა დანაშაულს).

58-ე მუხლი ძალიან გაფართოებულია, 14 ქვემუხლისგან შედგება. იწყება უბრალო დასჯიდან და მთავრდება დახვრეტით. 58-ე მუხლს უსჯიან როგორც სისხლის სამართლის, ასევე პოლიტიკურ დამნაშავეებს. მე-10 ქვემუხლი ნიშნავს სსრ კავშირის დამხობის ცდას პროპაგანდისა და აგიტაციის გაწევის გზით.

მე-11 ქვემუხლი კი გულისხმობს ორგანიზაციის ან ჯგუფის შექმნას, მის წევრობას ან ხელმძღვანელობას. შინსახკომში ნამდვილი ჯალათები არიან რაფავა, წერეთელი, ნიბლაძე, შალანია და ბევრი სხვა. მათ თავისი სკამის დაკარგვისა ეშინიათ. ისინი ცრუვაუკაცები არიან, არც სა-

ქართველოს აწმყოზე შესტკივათ გული და არც მისი კეთილი მომავალი ენაღვლებათ.

მოკლედ, ჩემს მიმართ შეთხზეს დიდი საქმე, მაგრამ ვერაფერი ვერ დამიმტკიცეს და ვერც ვერავინ ვერ დამიპირისპირეს. სავალალოა, რომ ეს ყოველივე შინსახკომისათვის არაფერს ნიშნავს. პირიქით, ჩემდა საბედნიეროდ, მოსკოვმა ჩემ მიმართ ადამიანობა გამოიჩინა — დახვრეტა შემიცვალა 10 წლით პატიმრობით მძიმე გამასწორებელ ბანაკში გადასახლებით, როგორც გამოუსწორებელ დიდ პოლიტიკურ მოღვაწეს.

ჩემი სულისკვეთებისათვის ყველაფერი ნამდვილად მართებული იქნებოდა, მაგრამ ის ხომ ჩემი ოცნება იყო და ღრმად მქონდა არსებაში ჩამჯდარი. მე ამ წყობის მოწინააღმდეგე ვარ და ყოველთვის ვიქნები, მაგრამ, საიდან სადაო, სად ჩემი დაპატიმრება, ბრალდება, დაუმტკიცებელი სულისკვეთება და სად მოსკოვის ვიღაც სამეული, რისთვის??

კონფისკაცია არა მაქვს. ასე რომ, ბინა არ უნდა ჩამოგართვან, მით უფრო, მე იქ დროებით ვიყავი ჩაწერილი. ახლა თქვენ იცით, მე რაც შემეძლო, ბევრი ვეცადე, მივწერე ჩარკვიანს, მაგრამ უშედეგოდ, არაფერი არ გამოვიდა.

ჩემი ხელნაწერები და მასალები შეინახეთ, მოუარეთ. ეს მომავალი წიგნებია.

ჩემს უჯრაში შემნახველი სალაროს წიგნაკია, იქ 5000 მანეთი მაქვს, ბათუმის ხელოვნების სამმართველოდან მისაღები მქონდა 6000 მანეთი, „უძლეველნის" ანგარიშში.

ჩემი დრამები 10 ფორმა არის „საბჭოთა წიგნის" გამომცემლობაში, 8 ფორმა — გაზეთ „კომუნისტის" რედაქციის გამომცემლობაში, გამოიტანეთ და შეინახეთ. ჩემი წიგნი „გაუვალ ჭალებში" არის „საბლიტგამში", ისიც გამოართვით. კინოსაც მიაკითხეთ, იქ სცენარია „უშბის სიმღერა". სადღეისოდ ალბათ საეჭვოა ამ სცენარის ბედიც.

რაც შეეხება ლიბრეტოს „არმაზის ცეხე", მუსიკის ავტორს ალიკო მაჭავარიანს, როგორც უნდა, ისე დაარქვას, გადააკეთოს და თავისი სახელით გაუშვას.

ჩემი ჯავახეთ-სამცხის შთაბეჭდილებები — ეს მასალა

მომავალი წიგნი იყო. იქნებ რვეული არ დაიკარგოს. დაპატიმრების დროს ჩამომართვეს, მითხრეს ნიბლაძესთან არისო. იქნებ დაგიბრუნონ. მე დამპირდა მალანია. თამარის ნაჩუქარ ჩანთაშია ჩადებული. ჩემი ციხეში გადაყვანის დროს მალანია იქ არ იყო და ვერ მომცეს. იქნებ მომატყუეს, როგორც ყოველთვის. მე სახლის გაჩხრეკის ოქმი არ მინახავს და არ ვიცი რა წაიღეს, თუმცა საეჭვო იქ არაფერი იყო. სპირიდონის და სხვა პატიმრების ბედისა არაფერი ვიცოდი, არ მინახავს, მათი დაპატიმრებაც გვიან, ციხეში გავიგე. ასევე კოტე და გრიშაც არ მინახავს, მათი ბედიც არ ვიცოდი და არც დაპატიმრება ვიცოდი.

თქვენ როგორ ხართ? დედა როგორ არის? დევი დიდი ბიჭი იქნება უკვე. თინა როგორ არის?

თქვენ, დედას, სანდროს, თინას, თამრიკოს და მზიას დიდი წვალება და განცდა მოგაყენეთ, მაგრამ ეს ყველაფერი ნამდვილად ჩემდაუნებურად მოხდა. უდანაშაულო მსხვერპლი ვარ. არაფერზე ხელი არ მომიწერია, ამიტომაც ასე სასტიკად დავისაჯე. ყველაფერს გავუძლებ, ოღონდ სიკვდილი არ იყოს.

მოკითხვა ყველას, ვისაც ვახსოვარ.

ჩემი დარდი ნუ გექნებათ, ვნანობ, რამდენი წიგნი დამრჩა დასაწერი, რამდენი მიზანი და საშვილიშვილო საქმე შეუსრულებელი. ვის დასჭირდა ჩემი გაძევება ან რატომ? მალე წავა მატარებელი და უმოწყალოდ გამაშორებს საყვარელ სამშობლო-საქართველოს. ძნელია ეტაპით წასვლა, მაგრამ, რას ვიზამთ? ისეთ საშინელ გარემოცვაში ვართ, სადაც სიმართლე არ ფასობს!

აბა, კარგად იყავით, კარგად!

ლევანი".

ეტყობა, ეს წერილი ლევანს წინასწარ ჰქონდა მომზადებული; ბადრაგმა წერილთან ერთად ლექსიც გადმოგვცა, ციხეში დაწერილი.

ლურსმული

1946 წ.

შ/ც (შინაგანი ციხე).

...ამ ქვის კედელზე ეს წარწერა ვერ გავასრულე,
ხელში არ მქონდა ბასრი საკვეთი...
იქნებ, ოდესმე ვინმემ ნახოს ჩემი ლურსმული —
— ლურსმნის ამარა ვიყავი მარტო,
მან კი იფიქროს — ყოფილა ხეთი
ან და ურარტუ?!
...და თარიღების დაადგინოს ათასი წლები,
როს არ იცოდა კაცმა კალამი,
როცა კოლხეთში თარეშობდნენ პამორძალები,
მტკვარიც დიოდა გადუკვალავი...
...საოცარია აქ სიმართლე არის და არცა,
იქნებ წარწერაც ძველთაგანვე მოდის ზვარაკად ..
სიტყვების სუროს სამოსელი შემომეძარცვა
და საუკუნემ ქვის ჩოხაში მალაპარაკა...
...ვერ გამოიცნობს ამ ჩემ ნალურსმეულს,
ვინც ქარიშხალი არ ნახა ეგზომ...
და ჩემს წამებას გულგრილად უსმენს
გარინდებული ციხე და ეზო...
...ვიყავი ვინმე თანამედროვე
ხელნაწერების მუშა და მზიდი,
...მეგონა ქვეყნად ნახატრი მოვა,
რვეულის ფურცლებს პეპლებად ვზრდიდი...
— ახლა — დღეებს და ფიქრებს სევდიანს
ვძერწავ ამ ქვაზე ძველ სასოებით,
ჭიანჭველებად გარს მესევიან,
ქვაზე გაბმული ეს ასოები...
...ჟამმა კალამი დამიტუსაღა,
გულზე დამეცა ლოდად და შამბად
...რამდენი ფიქრი დამრჩა უსახოდ!
...რამდენი გრძნობა ამაოდ დაშერა?!
...ამ ქვის კედელზე ეს წარწერა ვერ გავასრულე,
ხელში არ მქონდა ბასრი საკვეთი,
იქნებ ოდესმე ვინმემ ნახოს ჩემი ლურსმული —
— ლურსმნის ამარა ვიყავი მარტო,
მან კი იფიქროს — ყოფილა ხეთი
ან და ურარტუ!

ჩვენმა ოჯახმა ძალიან მძიმეედ განიცადა ლევანის მესამედ დაპატიმრება და ასე შორს გადასახლება. არც ლევანი იყო ნაკლებ დღეში.

არის ცხოვრებაში ისეთი ტრაგედია, რომელიც შეძრავს ადამიანის სულსა და გულს. სწორედ ასეთ გუნებ-განწყობა გამოიხატებოდა განშორების უკანასკნელ წუთს ლევანის არსებაში.

წარმოუდგენლად მძიმე იყო მისი განცდები და თვალებში ჩამოწოლილი შავი ნაღველი. ის შემაძრწუნებლად გამოიყურებოდა რკინის ბადის მიღმა. მისი ყოველი ნაკვთი და მოძრაობა გამოხატავდა დიდ გულისტკივილს და აღშფოთებას. ამდენი თავმოყვარეობის და ადამიანური ღირსების შელახვის შემდეგ, რაც ქვეყანაზე მისთვის ყველაზე ძვირფასი იყო, — თავისუფლების დაკარგვა და დამონება?! ყოველივე ეს ერთად იყო თავმოყრილი და შეკრული უმძიმეს მწუხარებასა და ღრმა სევდაში. ასე, უკუღმართი ბედის მომდურავი ლევანი ახალი წამების მოლოდინში წავიდა...

გულის ტკივილით და მძიმე ფიქრებით დამძიმებული დავ- ბრუნდით სახლში...

მესამე ნაწილი

ჩვენი ოჯახის კეთილდღეობა უკანასკნელ წლებში მჭიდროდ იყო დაკავშირებული ლევანის ცხოვრებასთან, რომელიც ესოდენ სავსე იყო აღმავლობითა და დაღმასვლით — სვეკეთილი მშვიდობიანი და ბედნიერი დღეებითა და უცებ უკიდურესად ფსკერამდე დაცემით — დაპატიმრებით და შორეთში გადასახლებით. ეს უნიჭიერესი და შრომის მოყვარე კაცი, რომელიც მარტო სამშობლოსა და მისი ხალხისსაკეთილდღეოდ იყო გაჩენილი, მცირედი ხელის შეწყობის შემთხვევაში დიდ შემოქმედებით ტილოებს შექმნიდა საქართველოსთვის, ბევრ სასიკეთო საქმეს გააკეთებდა, რომლისთვისაც ის დღე და ღამე დიდი სიყვარულითა და აღმაფრენით იღვწოდა. განა ამის მაგალითი არ არის, რაც უკანასკნელი 10 წლის მანძილზე გააკეთა? დიახ, შემდგომში მეტიც რომ აღარ გაეკეთებინა, ეს სრულიად საკმარისი იყო ერთი მამულიშვილისათვის, ჭეშმარიტად პატრიოტისთვის. მას კი უღალატეს, უმტრეს, უდანაშაულოდ სასიკვდილოდ გაწირეს.

როგორც თვითონ ლევანი, ჩვენც სულ ამ ამოუცნობი კითხვის ამოხსნაში ვიყავით: ვის დასჭირდა ლევანის ხელმესამედ დასჯა? რისთვის გაიწირა? ლევანის მეგობრები კი ხშირად გვეუბნებოდნენ:

— შინსახკომში საქმის შეთხზვის მაგარი ოსტატები ქრიან, რამდენი უდანაშაულო მსხვერპლი გაიღეს თავიანთ საკეთილდღეოდ, რკინის რეჟიმის შესანარჩუნებლად და განსამტკიცებლად. ამ პირობებში საქართველოს პატრიოტების დაპატიმრება თითქოს კანონზომიერიც არის. ლევანი ჭეშმარიტი ქართველია, დიდად პოპულარული მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ბევრის შემქმნელი და მომქმედი. ეს კი მათ ხელს არ აძლევთ. თუ მხედველობაში მივიღებთ მის პოლიტიკურ წარსულს, ამ დროში მარტო ესეც არის საკმარისი უნდობლობისა, ეჭვისა და

შიშისათვის. მძიმე წყობაში ვცხოვრობთ, ხმის ამოღება, ან რაიმე მცირედი საეჭვოც კი იმ წუთშივე სიკვდილს უდრის, უკეთეს შემთხვევაში — შორეთში დაუსრულებელი ვადით გადასახლებას.

სახლი დაცარიელდა და თითქოს ჭერი ჩამოიქცა. დედა და თინა ავადმყოფობდნენ. მე და მზია ჯერ არ ვმუშაობდით. ოთახი დალუქული იყო. ლევანის ნაწერებს რა ბედი ეწეოდა, არავინ იცოდა, ჩვენ კი გადასახლებას გვპირდებოდნენ.

გაგვიჭირდა მატერიალურად, ნივთების გატანა ბაზარში არ ხერხდებოდა, ყველაფერი ისე იყო გაფუჭებული და დამტვრეული. საკვალალო ისიც იყო, რომ ლევანს ძალიან დიდი თანხა ჰქონდა მისაღები სხვადასხვა დაწესებულებებიდან. როგორ მოგვეხმარებოდა და წელში მოგვამაგრებდა, მაგრამ მის დაპატიმრებასთან დაკავშირებით ყველგან უარი გვითხრეს. ლევანის მინდობილობა, რომელიც ციხეში დატოვა, არ მოგვცეს. სამცხე-ჯავახეთის შესახებ ჩანაწერები კი საერთოდ გაანადგურეს.

სულიერ და მორალურ მხარეზე არაფერს ვამბობთ. ჩვენთან აღარავინ არ მოდიოდა, ყველას ეშინოდა. პირველ ხანებში დიდ უხერხულობასაც კი ვგრძნობდით, სახლიდან გასულებს არავისი შეხვედრა არ გვინდოდა.

სულმოუთქმელად ვუცდიდით ლევანის წერილს, არადა ძალიან იგვიანებდა.

ახალი უსიამოვნება დაგვატყდა თავს — მუცლის ტიფით ახლა თამარი გახდა ავად, 3 თვე იავადმყოფა და ძლივს გადარჩა. საავადმყოფოში იწვა, რამაც უფრო გაამწვავა ოჯახის ეკონომიური მდგომარეობა. ღმერთმა ისევ გადმოგვხედა — ამასობაში თინა ჩამოვიდა სანატორიუმიდან მოკეთებული და ოჯახს გაუძღვა. ლევანის გადასახლების შემდეგ მისი მეგობრების გადასახლებამ ცხოვრება კიდევ უფრო დაგვიმძიმა. უდანაშაულო, მართალი ხალხი ჩეკაში უმოწყალოდ, უსამართლოდ სცემეს და აწვალეს. წამების რა ხერხებს არ მიმართეს, რომ ცრუ ბრალდებაზე ხელი მოეწერინებინათ და ლევანის დანაშაული დაედასტურებინათ. ბოლოს კი ხელის მოწერის შემთხვევაში სიცოცხლის შენარჩუნებას და განთავისუფლებასაც დაჰპირდნენ... ზოგი ანკეტს წამოეგო, ყველაფერს მოაწერა ხელი, ბრალ-

დება თავის თავზე აიღო და მხრებზე აიკიდა მძიმე ჯვარი. მათი საქციელი შესაძლებელია სიცოცხლის შენარჩუნებისათვის იმ პირობებში გამართლებულიც იყო. უმრავლესობა კი სამართალს ეძებდა, ლევანისთან დაპირისპირებას მოითხოვდა. აბა ეს როგორ მოხდებოდა, რადგან საქმე თვითონ ჩეკას შეთითხნილი იყო. როგორც გაირკვა, ლევანმა ამხანაგების დაპატიმრება ძალიან გვიან, გადასახლების წინ გაიგო ვახტანგ ბეწუკელისაგან. ამ ამბავმა საშინლად გაამწარა და შეაძრწუნა. აღარ იცოდა, რა უნდა ექნა. სიძულვილმა და შურისძიების გრძნობამ მოთმინების ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა, მაგრამ სად ეძებნა სამართალი, ყოველმხრივ შებოჭილი იყო, დამწყვდეული ლომივით ბორგავდა.

პატიმრებს, მიუხედავად იმისა, ბრალდებაზე ხელი მოაწერეს თუ არ მოაწერეს, ყველას ერთნაირი განაჩენი გამოუტანეს — სამშობლოს ღალატი! დანაშაულის მუხლიც ერთნაირი მიუსაჯეს — 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შორეულ ციმბირში შრომა-გამასწორებელ ბანაკში გადასახლებით.

გადასახლების წინ ოჯახებმა მოახერხეს მათთან შეხვედრა და სიმართლის გაგება. იმის აღწერა არ შეიძლება, რა ცეცხლიც იქ ტრიალებდა. ყველა ნაცემი, ნატანჯი, ნაწვალები და შეცვლილი იყო, ერთადერთ ნუგეშად ისღა დაგვრჩენოდა, რომ ცოცხლები იყვნენ. ეს ახალგაზრდა ხალხი ღრმად მოხუცებულებს ჰგავდნენ. ყველა ერთხმად აღიარებდა, რომ ყველაფერი ჩეკაში შეთხზული ამბავი იყო, საშველი და პატრონი კი არსად ჩანდა. მაგალითად, ვალოდია ვაშაკიძეს ლევანის მოადგილეობას აბრალებდნენ და რა არ იღონეს, რომ ბრალდებაზე ხელი მოეწერა. ვალოდიამ ცრუ ბრალდებაზე ხელი არ მოაწერა. ამისათვის რა წვალება და წამება არ შეხვდა მას. ერთხელ დაკითხვაზე თვით რაფავასთანაც შეიყვანეს. იქ გენერალი რუხაძე დაინახა, გაეხარდა კიდეც, ალბათ მეშველაო, ჩემი სიმართლე დამტკიცდებაო, რადგან რუხაძეს კარგად იცნობდა — დიდი ჯიხაიშის საშუალო სკოლა ერთად დაუმთავრებიათ.

— ბიჭო, მიშველე რამე, მე არაფერში დამნაშავე არა ვარ, — სთხოვა რუხაძეს.

— ვინ არის შენი ბიჭი, — გაცხარდა რუხაძე, — ახლავე ხელი მოაწერე ბრალდებას, თორემ გაგათავებთ, — და უცებ ორივე ხელით ეცა თმაში და მთელი ბღუჯა ამოგლიჯა.

— გრძნობაზე რომ მოვედი, ახალ საკანში ვიყავი და, ჩემდა გასაკვირად, ვილაცა პატიმარიც იქ იყო, მითხრა:

— ბიჭო, ცოდო ხარ, მოგკლავენ. სიკვდილს ხელის მოწერა სჯობია. სიცოცხლე, სიცოცხლე შევინარჩუნოთ, მერე იქნებ გაირკვეს ჩვენი ამბავი. მე ვერ გავუძელი ცემას, ხელი მოვაწერე ყველაფერს.

ვალოდიას პირველ ხანებში ეს პატიმარი მათი მოგზავნილი ეგონა, მერე კი გაირკვა, რომ ერთ საქმეზე მსხდარან. სპირიდონ ჭყონია აღმოჩნდა. ასე აწვალეს და აწამეს ეს უდანაშაულო ხალხი მარტო იმიტომ, რომ ლევანისათვის და მათთვის წაყენებული ცრუ ბრალდება დაემტკიცებინათ. ამ ჯგუფიდან ჩეკაში ზოგი დაიღუპა კიდეც. ბოდღო ემუხვარმა ცრუ ბრალდებას ხელი არ მოაწერა, ვერც უმძიმეს წვალებას და დამცირებას გაუძლო. ერთ-ერთი დაკითხვის შემდეგ გამწარებული მე-4 სართულის კიბის უჯრედიდან გადახტა და თავი მოიკლა. სწორედ ამ თვითმკვლელობის შემდეგ გააკეთეს პირველ სართულზე ბადე, რომელმაც ლევანი გადაარჩინა.

მძიმე 1947 წელიც გადავიტანეთ ლევანის მდგომარეობით შეწუხებულებმა. და, აი, დადგა ბედნიერი დღე—ძლივს გვეღირსა ლევანის პირველი წერილი.

„ჩემო კარგებო!

ბოლოს, როგორც იქნა, მივედი ადგილზე, 1/II-48 წ. ჩამოვედი ქ. ვორკუტაში.

მოკლედ, ჩემი მოგზაურობის თავგადასავალი ასეთი იყო: ბაქოში დიდხანს აღარ გავჩერებულვართ. სულ რამდენიმე საათი. სამი დღის შემდეგ როსტოვის ციხის გადასაგზავნ პუნქტში ამოვყავი თავი. აქაც სულ ხუთიოდე დღე ვიყავი. ახლა მოსკოვისკენ გავწიეთ, რა თქმა უნდა, ისევ მავთულხლართიანი ვაგონით. როსტოვში უკვე თოვლი და ყინვა შეგვხვდა, მოულოდნელად მკაცრ ზამთარში ამოვყავით თავი. მოსკოვში კი უკვე მაგარი ყინვები შემომეყარა და მაშინაც დავაფასე ქურქი, რომელიც თქვენ გამომმატანეთ. მოსკოვის ციხეში აღარ მოგვიხდა ყოფნა. რამდენიმე კვირა სადგურის ჩიხში ჩამდგარ ვაგონში დიდი გა-

ჭირვებით ვცხოვრობდით, ველოდით შორეულ გზას ჩრდილოეთისაკენ. ვერ წარმოიდგენთ, სიმძიმის ეს რა გამოცდა იყო. ყველანი გავფუჭდით. შემდეგ კი თითქოს ბედი გვწყალობდა — შეუფერხებლად, შედარებით სწრაფად მივიწევდით დანიშნული ადგილისაკენ.

სიძნელეებს ნუ კითხულობთ, მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ დასაწყისი იყო. მოსკოვიდან გავწიეთ ქ. გორკის გავლით ქ. კიროვისაკენ (ყოფ. ვიატკა), სადაც ჩავედით 2 იანვარს.

სადღაც გზაში გავითენეთ ვაი ახალი წელიწადი. ფიქრებში ჩამომაწვა/ საახალწლო კრიალოსანი. გამახსენდა სახლი. მახლობელთ შორის ყამი სასიკეთო. ურთიერთ მილოცვა, სამშობლოს მომავლის საუკეთესო სურვილები — ოდესმე გამეგონოს თავისუფლება.

ჩემთვის მძიმედ გადმოილახა ახალი წელი, ახალ მიჯნას ისევ წვალება და გულისტკივილი მოპყვა. მე თვითონ არ ვიცი რისთვის. ჩვენი ოჯახისა არ იყოს, სამშობლო გულმოკლულია წარსულითა და აწმყოთი. იმედის თვალით შესცქერის მომავალს. მეც მომავლით ვცხოვრობ, მაგრამ ახლო მომავალში არაფერს კარგს ვერ ვხედავ ამ კომუნისტების ხელში. შორეულში კი შეიძლება უფრო ცუდიც გამოვლინდეს, რატომღაც ამ წყობის არაფერი მჯერა და ვერც დავიჯერებ.

ქ. კიროვში ჩავიჩიხეთ და დიდხანს მოგვიხდა დარჩენა. აქ ისეთი მაგარი ყინვები შეგვხვდა, რომ მე, ყინვებში მოსიარულე კაცს, აბა რა უნდა გამკვირვებოდა, მაგრამ საჭიროებისათვის გარეთ რომ გაგვიყვანეს, სული შემეკრა, მოყინულმა ფეხებმა ძლიერი ტკივილი მაგრძნობინეს. სწრაფად უკან დავბრუნდი. კიდევ კარგი, რომ საკანში ისე ვართ გაჭედილი, ტევა არ არის და ვერ გაინძრევი, არამც თუ არ ცივა, არამედ ოფლად ვიღვრებით. ამ უამრავ პატიმრებში, სადაც ვაუკაცის ცრემლი და რისხვაა გამეფებული, შეძრწუნებული სიმარტოვეს და სულში სიცარიელეს ვგრძნობ, ისე გამიჭირდა.

სამიოდე კვირის შემდეგ გადმოვეწყვეთ საბარგო ვაგონებში და ჩრდილოეთისაკენ გავემართეთ. გვიკვირდა, მიუხედავად იმისა, რომ ეშელონი მეტად გრძელი გამოვი-

და, დღეში ერთხელ საზიზღარ, მაგრამ მაინც თბილ „პახლობკას“ გვაჭმევდნენ. რისგან გაკეთებულია, ვერ გავარკვიეთ, მაგრამ მაინც ვჭამდით, სასიცოცხლოდ სხვა გზა არ გვქონდა. მატარებელი მიჰქროდა ტაიგის თვალუწვდენელ სივრცეებში, ჩემი ფიქრი კი მარადყამს სამშობლოს დასტრიალებდა. სულ იმას ვფიქრობ და თავს ვიტეხ, ვის დასჭირდა ჩემი ასე სასტიკად დასჯა. რატომ? ვინ რა იცოდა გულში თუ ფიქრად რა მქონდა. ისე კი, მიუხედავად ჩემი განწყობისა, ხელმოსაკიდი არაფერი არ მომიმოქმედია.

გავიარეთ კოტლასი-პეჩორა — აბისი და ბოლოს, ერთი კვირის შემდგომ, მივედით ვორკუტაში. აქ უკვე სრულიად კლასიკური ტუნდრაა; არავითარი მცენარეულობის ნიშანწყალი ჯერ არ მინახავს, საოცარი ყინვებია, ასეთი ჩვენს კავკასიონზედაც არ იცის (-45-50°). ამაზე ამბობენ თბილი ზამთარიაო. მხოლოდ ახლა დავაფასე თბილეულობა. მოკლედ, მოვედი დანიშნულ ადგილზე. გზა, რა თქმა უნდა, არც თუ იოლი იყო. აქ ჩამოსვლისთანავე საავადმყოფოში მოვხვდი, ამისთანა მგზავრობის შემდეგ მესაჭიროება საკმაოდ ხანგრძლივი მკურნალობა, დასვენება და სურავანდის ნიშნების მოშუშება. ეს დასაქცევი ჩრდილოეთის ავადმყოფობა ჯერ კიდევ გზაში შემპარავი ძალლივით შემომახტა და დამკბინა. ასე დაგვემართა არა მარტო მე, არამედ უმრავლეს პატიმრებს. მეტად დამისივდა ფეხები, ვერაფერი ველარ ჩავიცვი. ამიტომ ჯერ სამუშაოდ არსად არ გამამწესეს და საერთოდ ვერც წარმომიდგენია აქ სად ან რაზე ვიმუშავებ. ალბათ ფიზიკურად — მუშად.

აქ დიდი და მრავალი ქვანახშირის მაღაროა, მე მოვხვდი სააღმშენებლო პუნქტში ОЛП-ში (Отдельный лагерный пункт). რამდენხანს დავრჩები საავადმყოფოში არ ვიცი, მაგრამ ყველა სიკეთესთან ერთად, ჯერ კიდევ მანდ, შინაგან ციხეში ციება შემეყარა, თუ განმიახლდა საოცარი ძალის ტროპიკული ციება. სიცხე 41 გრადუსი მქონდა არაერთგზის. მანდ მიწამლეს ქინაქინით და აკრიქინით, მაგრამ აქ ისევ მომიგონა ციებამ, თუმცა უფრო ნელ ფორმაში. ერთი სიტყვით, საქართველოდან აქ ჩამომყვა ულვაშები, სურავანდი და ციება.

ვორკუტა არის მდინარე პეჩორის შესართავის მახლობლად ყინულოვან ოკეანესთან სულ ახლოს, 150 კმ. დაშორებული (Карские ворота). აქედან პაპანინის ცნობილ ბანაკამდეც არც თუ დიდი მანძილია. ასე ჩრდილოეთით მე არასოდეს არ ვყოფილვარ.

ჩემმა მტრებმა, ალბათ, იციან ჩემი გეოგრაფიული ცოდნა და უნდათ უფრო კარგად და ღრმად შემასწავლონ ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანე — სხვადასხვა მხრიდან მიდგომით, ძირფესვიანად. ამაზე შემდეგ მოგწერთ.

მე გზადაგზა გწერდით ბაქოდან, კიროვიდან, არ ვიცი მიიღეთ ჩემი ბარათები თუ არა.

ახლა აქაური პირობები — ჩემი მუშაობის შესახებ: სად ვიქნები, არ ვიცი, სპეციალობაზე თუ საერთოდ სამუშაოზე. ერთადერთი ეს ვიცი, ჯერჯერობით არაფერია საიმედო და ყველაფერი მოსალოდნელია უფრო ავი და მძიმე. კვების მხრივ, აბა, რა მოგწეროთ. დროდადრო ხალხს საავადმყოფოში ათავსებენ და მის ფიზიკურ „დამჭლევებას" გაძლიერებული კვებით დროებით ასალბუნებენ. ბევრი იხოცება. განსაკუთრებით ცუდია ბოსტნეულის უქონლობა, აქ ერთი-ორი ქართველი შემხვდა. ჩემი ძველი ნაცნობების შესახებ კი არაფერი ვიცი, ან მათ რას ერჩოდნენ, რა საქმე შეუთხზეს. უპატრონოდ ვიყავით, კარგი პატრონი არ გვყავდა არც ერთს და გაგვწირეს. მანდ. რა ამბავია მომწერეთ — დაწვრილებით და ყველაფერი! რა არის ახალი? განსაკუთრებით მწერლობაში, უსათუოდ გამომიგზავნეთ წიგნები ბანდეროლით. ჯერ გაზეთები და „მნათობები", უბრალო წიგნებიც სცადეთ. ამ საკითხზე მერე უფრო დაწვრილებით მოგწერთ. ჯერ მეც არ ვიცი კარგად აქაური წესი.

აქ საერთოდ ძალიან ცოტა წიგნებია და ვგონებ უინტერესოც. ამანათები კი უფრო წესიერად მოდის. ფულის საქმე ასეა: მოსული თანხიდან ჩემი განცხადების საფუძველზე იძლევიან ხელზე თუმანს, ამაზე მეტი კი მხოლოდ ანგარიშში ჩაირიცხება, ჩემთვის უსარგებლო იქნება. შეიძლება თვით ამანათში ჩაიწყოს სარეცხის საპონი, ძალიან მჭირდება. აბა, თქვენ იცით. მომაშველეთ რაიმე ვიტამინი, განსაკუთრებით აქ საჭიროა ლიმონი ან ლიმონის სიმუავე-

რაიმე შეავე ექსტრატი, ხახვი, ნიორი, ჩაი, ტკბილეულობა და სხვა. ამ მხრივ თქვენ უფრო იცით. ტანისამოსი არაფერი არ მინდა. რაც წამოვიღე, რასაკვირველია, ყველაფერი შემრჩა. წარმოიდგინეთ რა ხალხში ვარ, მე ერთადერთი კაცი ვიყავი, ვისაც ტანისამოსი შემრჩა, ვნახოთ აქ რას მიზამენ. ძალიან მძიმე გარემოცვაში მოვხვდი, უამრავი თავზეხელაღებული ქურდი და რეციდივისტია. საერთოდ, თუ ვინმეს მოუხდება ჩემდაგვარად მოგზაურობა, რასაც ზედ არ ჩაიცვამს, სხვა არაფერი არ წამოიღოს, რადგან ყველაფერს დაკარგავს ან გზაში გადაბურის. ჩემი მისამართია: Коми АССР, гор. Воркута, Почтовый ящик Л К №223 50.

გამომიგზავნეთ კონვერტები, საწერი ქაღალდი და რვეულები, ფანქრები და კალმები, აქ არაფერი არ იშოვება. საერთოდ აქ ახლოში თავისუფალ მოსახლეობას სრულიად ვერ ვხვდებით და ვგონებ არც არის. კიდევ გამომიგზავნეთ ქინაქინა და აკრიქინი, თუ იშოვნება მანდ.

სად არის ჩემი ნაწერები?

თუ მიიღეთ მინდობილობა, რომელიც მე ციხეში დავტოვე და თუ გამოგადგათ რამეში?

ყველაფერი მომწერეთ! ჯანმრთელობით როგორ ხართ?

გამომიგზავნეთ მე რომ მქონდა სამოგზაურო ქვაბი „სამთო სასურსათო", აქ არავითარი ჭურჭელი არ იშოვება, საქონელივით ვჭამთ. ტანსაცმელი ჯერ არაფერი მინდა და არც გამომიგზავნოთ.

წერილების წერა შეიძლება ქართულად, ეს უკეთესია. ამა დაწვრილებით ველი თქვენგან ცნობას — მომწერეთ ყველაფერი თბილისის და თქვენი ცხოვრების შესახებ

კარგად, ჯანმრთელად იყავით. მოუარეთ დედას და თქვენს თავს.

ყველას დიდი მოკითხვა და კეთილი სურვილები.

დაწუნარდით, მელოდეთ.

გაოცნით, გეხვევით,
თქვენი დაკარგული ძმა

ლ ე ვ ა ნ ი".

დედის სახელზე გამოგზავნილი უკონვერტო სამკუთხა ბარათი, კიდევ კარგი, რომ ჩვენამდე მოვიდა. მან ცრემლიანი სიხარული მოგვიტანა. ძალიან გვეცოდებოდა ჩვენი საწყალი, გადაკარგული ძმა.

ახლა უფრო მეტი სადარდებელი მისმა ავადმყოფობამ გაგვიჩინა. ცხადია, ლევანი დაუძლურდა, მის ჯანმრთელობაზე მეტად იმოქმედა თბილისის შინაგანი ციხის რეჟიმმა, იქ წვალებამ და ახლა, როგორც ირკვევა, მალარიამაც. ყოველივე ამან კი როგორც სულიერად, ისე მორალურად და ფიზიკურად დაასუსტა. ან რა კვება ჰქონდა 7—8 თვის განმავლობაში? ჩვენგან არაფერს არ ღებულობდნენ და აბა იქ რას აჭმევდნენ, თვითონ განსაჯეთ.

საწყალი ლევანი! როგორი პარადოქსებით სავსე იყო მისი ცხოვრება: ლაღი ახალგაზრდობა, უცებ საშინელი პირობები— დაპატიმრება, ტანჯვა-წვალება, გადასახლება სოლოვკებში, იქედან თავის დაღწევა, მაგრამ ჩეკას მუდმივი კონტროლი, თავისუფლებისათვის თავდადება — ისევ სიმძიმე და სიმწარე, მეორედ გადასახლება ნარიმში — უფრო მძიმე დამცავი, დაბრუნება მწერლობაში, დრამატურგია, გალაღება, საკავშირო ხანა, მისი აღიარება, აღმასვლა, დიდი პოპულარობა, შემდგომში ასეთი გამარჯვების და სიხარულის მაინც განახევრება ჯაშუშების გამო და, აი, ისევ გრძელი და მძიმე გზა, ისევ შორეთი, ისევ უფსკრულამდე დაცემა. ყოველივე ამას გაძლება არ უნდა? ლევანი მაინც ძლიერი სულისკვეთების კაცია და ყველაფერს აიტანს, ვიწყნარებდით თავს შინაურები.

ჩვენი გადაწყვეტილებით, ლევანისათვის უნდა გაგვეკეთებინა შესაძლებელი თუ შეუძლებელი, გაგვეწია მისთვის მორალური თუ მატერიალური დახმარება, გაგვემაგრებინა მისი ჯანმრთელობა.

ბინა ბოლოს და ბოლოს აღარ წაგვართვეს, გადასახლების სიიდანაც ამოგვიღეს. ლევანის ნაწერებისა და არქივის ბედი კი ასე გადაწყდა: შინსახკომში დიდ თანამდებობაზე დაინიშნა გენერალი რუხაძე. იგი მოქმედი გენერალი იყო და გამახსენდა, რომ ომში გენერალ კონსტანტინე ლესელიძესთან შემთხვევით შემხვდა. ახლა დიდი მორიდებითა და კრძალვით შევიტანე მასთან შეხვედრის განცხადება. გენერალმა მიმიღო, მე შევახსენე ჩემი თავი, მერე დახმარება ვთხოვე, როგორც ქართ-

ველს, პატრიოტს, ლევანის ნაწერები შინ დაეტოვებინა და არ გაენადგურებინა. იგი დამპირდა დახმარებას. ერთ დღეს მთელი ლევანის ნაწერებით მანქანა გაავსეს და შინსახკომში წაიღეს. მე, საშინლად აღელვებულმა და შეშინებულმა, მეორე დღეს ისევ გენერალს მივაკითხე. მან დამაწყნარა და, ჩემდა გასაკვირად, დიდი საიდუმლოება გამანდო: ლევანის ნაწერები არ დაიკარგება. ის რომ დაბრუნდება, მოიკითხოს მწერალთა კავშირის სარდაფებში, იქ გადავნალეთ, ეს არავინ არ იცის ჩემსა და იქ მომუშავე ქალის მეტმა. ეს დიდი საიდუმლოებაა და არავინ არ უნდა იცოდეს, წინაალმდეგ შემთხვევაში საქმე მძიმე ხასიათს მიიღებს. წადით და დაწყნარებული იყავით. ბე ვფიქრობ, კარგი საქმე გავაკეთეო. მე ძალიან ორჭოფულად მადლობა გადავუხადე და წამოვედი. სახლში რომ ვთქვი, არავინ დაიჯერა. რამდენიმე ხნის შემდეგ თინამ დიდი სიფრთხილით ნახა ის ქალბატონი, რომელმაც დაუდასტურა ყველაფერი. მას ნამდვილად ებარა ლევანის არქივი, ძალიან შეშინებული იყო და დაიფიცა, რომ ეს აქ არავინ იცის და არც არავინ უნდა იცოდესო. მართლაც ლევანის ჩემოსვლამდე არავინ იცოდა მწერალთა კავშირის სარდაფებში რომ ინახებოდა მისი არქივი (ლევანმა განთავისუფლების, ე. ი. 10 წლის შემდეგ მიაკითხა თავის ნაწერებს და, ჩვენდა გასაკვირად, ყველაფერი წამოიღო სახლში).

ლევანს სასწრაფოდ გავუგზავნეთ გაზეთები ბანდეროლით, სურსათი ამანათით, ფული და წერილები ფოსტით. ერთი თვის ღელვის შემდეგ კვლავ მოვიდა ლევანის წერილი:

„ჩ ე მ ო კ ა რ გ ე ბ ო!

ეს უკვე მეხუთე წერილია, მაგრამ თქვენგან პასუხი ჯერაც არ მოსულა. ძალიან მაწუხებს ეს გარემოება. როგორ ხართ? რა ბედი ეწია ბინას და ჩემს ნაწერებს? მომწერეთ ყველაფერი დაწვრილებით. ახლა ჩემ შესახებ. რადგან არ ვარ დარწმუნებული, რომ ჩემი წინანდელი ბარათები მიღებული გაქვთ, მოკლედ ყველაფერს გწერთ თავიდან.

ვიმყოფები ვორკუტაში. ეს ადგილი მდებარეობს ტუნ-

დრაში, პოლარულ ხაზს იქით. ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანიდან 150 კმ. დაცილებით. აქ რკინიგზის გაყვანა ახლახან დამთავრებულა. უმძიმეს ტუნდრის პირობებში უმოწყალოდ ამუშავებენ პატიმრებს. ათასობით ადამიანის სიცოცხლე ჩაიფერფლა და ჩაიყინა. აქ ასე ამბობენ, ყოველი შპალი ადამიანის ძვლებით არის გამაგრებულიო.

ამ საშინელი ტუნდრის სიღრმეში უდიდესი სიმდიდრეა — ქვანახშირის საბადოები და მრავალი მაღარო.

ამ საზარელ ტრიალ ადგილზე მეფე ნიკოლოზს უთქვამს: იქ, სადაც ჩიტები ვერ ბუდობენ, ადამიანიც ვერ გაძლებს. ეს გასაჭირიაო.

სტალინმა კი, პირიქით, აქ საკონცენტრაციო ბანაკები გახსნა და შემორეკა არა მარტო პოლიტიკური პატიმრები, არამედ ქურდები, რეციდივისტები და მკვლელებიც. გადასახლება და ციხე რა დასჯაა, თუ დამნაშავეებმა მორჯულებაში და გამოსწორებაში არ ნახეს დიდი გაჭირვება და წვალებაო. მაშინ დააფასებენ წესწყობილებასო. თუ ვერ გაძლებენ, დაუნანებლად, ადვილად ჩამოეწერებიანო.

ომის შემდეგ ხომ საჭიროა დანგრეული სახელმწიფოს აღდგენა, ამისათვის ყველაფერთან ერთად აუცილებელია ბევრი ქვანახშირი და უფასო მუშახელი. სწორედ ამისთვის გახდა საჭირო ვორკუტა — უამრავი ქვანახშირი, ურიცხვი პატიმრები — უფასო მუშახელი, მძიმე ყოფა და არაადამიანური შრომის პირობები.

აქ შორიახლოს მოჩანს ურალის ქედის ჩრდილოეთი ბოლო ნაწილი — და მეტი არაფერი. არც ერთი ხე. თოვლი, თოვლი და კიდევ თოვლი. საოცარი ყინვებია, ქარბუქი, -40-50°. ხანდისხან მეტიც. დიდი ქარბუქის დროს ბარაკიდან ბარაკში გადასვლა ჭირს და მოძრაობა თვით შემოფარგლულ ზონაშიაც აღარ შეიძლება. ასე ჩრდილოეთით მე ჯერ არ ვყოფილვარ.

აქაურ ყოფაზე და ცხოვრებაზე ვერ მოგწერთ, ისე მძიმეა. აქ მარტო ეს არის კარგი და ჩემთვის მნიშვნელოვანიც, რომ წერილების და ამანათების გამოგზავნა განუსაზღვრელია. შეიძლება წიგნების გამოგზანვა და გაზეთების გამოწერაც. ასე რომ, თქვენი იმედი მაქვს. ნუ მომწყვიტავთ საქართველოს. უსათუოდ გამომიგზავნეთ

ქართული ახალი გამოცემები. ისიც გაითვალისწინეთ, რომ აქ კლასიკური ტუნდრაა ყოველმხრივ და არაფრისაგან არაფერი არ იშოვნება.

როდესაც თქვენგან მივიღებ ბარათს, მაშინ უფრო დაწვრილებით და დალაგებით მოგწერთ ყველაფერს.

მე ძალიან ვწუხვარ, რომ ისევ იძულებული ვარ თქვენ მოგმართოთ დახმარებისათვის, გამომიგზავნოთ საკვები და ფული. ვიცი, რომ თქვენც გიჭირთ, გამომცემლობიდან ჩემი მისაღები ფული კი ალბათ დაიკარგა.

აქ შემხვდა რამდენიმე ქართველი. ჩვენ ერთმანეთს ვეხმარებით, ეს დიდი შეღავათია.

ძალიან მაინტერესებს მანდაური ცხოვრება. მომწერეთ დაწვრილებით. ყოველთვის გულს მიკლავს ჩემი დანაშაულის არსი. მე — სამშობლოს მოღალატე? ჩემი სამშობლო საქართველოა, მისი მოღალატე არასდროს არ ვყოფილვარ და არ ვიქნები, ჩემი ცხოვრების უკანასკნელ დღემდე. ამ წყობის კი რა მოგახსენოთ, მომავლის იმედით ვცხოვრობ. ისე მე, სიცოცხლის მოყვარე კაცი, ისე გავმწარდი, სიცოცხლე არაფრად მიღირს.

აბა, კარგად იყავით. გულითადი მოკითხვა ყველას.
გკოცნით, თქვენი ლევანი".

„ჩემო კარგებო!

22. IV. 1948 წ.

ბოლოს მივიღე თქვენგან წერილებიც. ასე რომ, ჩვენი ოჯახის ამბავი, ასე თუ ისე, ვიცი.

მე სამივე (თამარის, მზიასი ერთად და თინასი ცალკე) წერილი ერთად გადმომცეს 20. III. 1948 წ.

რომ იცოდეთ, რა დიდი მნიშვნელობა აქვს აქ მშობლიური მხარიდან წერილების მიღებას, ალბათ ყოველდღე მომწერთ. თინა რით იყო ავად? რაშია საქმე? დაწვრილებით გამაგებინეთ. თამრიკო როგორ არის, რაღა ყველაფერი ერთად დაემართა ჩვენს ოჯახს? ყოჩაღ, რომ თქვენ მანდ არ დაიბენით, სულიერად არ დაეცით. საბოლოოდ ყოველივე ავს გაუძელით. ეს მე ნამდვილად გამათავებდა.

თამარი სად დაიწყებს მუშაობას? ან სად გააწესეს? საქართველოდან ყოველ შემთხვევაში ნურსად წავა. აქ ჩამოსვლაზე ნუ იფიქრებთ, ჩემის აზრით, ეს სრულიად არ არის საჭირო. უჩემოდ ეს საკითხი არ გადაწყვიტოთ, არის მრავალი მიზეზი. ვფიქრობ, აქ ვერ შევხვდებით და გულდაწყვეტა უფრო დიდი იქნება.

მზია, მაშ მთამსვლელი გამხდარხარ? გამეხარდა. მე იმ ადგილებში ყველგან ნამყოფი ვარ (გარდა ნიკოლაევის მწვერვალისა). წარმოდგენილი მაქვს რამდენ სიამოვნებას იგრძნობდი.

ალექსანდრა ჯაფარიძეს ჩემ მაგივრად მიულოცე „განდეგილის" ქვაბულის აღმოჩენა. მეტად მაინტერესებს და ამ აღმოჩენის შესახებ მოუთმენლად ველი გაზეთებს ან შენს დაწვრილებით წერილს. რა შესანიშნავი თემაა გარდა სხვა ყველაფრისა: ქალმა დაამხო ძველი განდეგილი ბერი და ისევ ქალმავე აღმოაჩინა იგი — ალბათ თავისი ძლიერების ხელმეორედ დასადასტურებლად! ეჰ, იქნებ ოდესმე დავწერო, ჯერ კი ხელები შემოკლებული და სული შეხუთული მაქვს.

ბინის და ხელნაწერების ბედი მახარებს. საერთოდ თუ წაიღეს რამე სახლიდან? თუ რამე საქმისათვის დაგჭირდებათ იქ მისვლა, მალანიასთან დარჩა ჩემი საველე ჩანთა, შიგ ჩანაწერების რვეულია ჯავახეთის შესახებ — ისიც განუხორციელებელი წიგნია — „ახალი სამცხე", რომელიც მე „უკალმოდ და უქაღალდოდ" აქ დაწერილი მაქვს და მხოლოდ საშუალება და ქაღალდია საჭირო, რომ ხორცი შევასხა. ვნანობ, თუ ის ჩანაწერი დამეკარგა. მაგრამ ჯერჯერობით ხომ კალამიც დაკარგული მაქვს.

ჩემს შესახებ: მე ჯერ კიდევ საავადმყოფოში ვიმყოფები, მაგრამ კარგადა ვარ, დავისვენე, მოვმჯობინდი. ძველებურ ჯანზე არა ვარ, მაგრამ არც ისე ვარ, მტერს რომ გაუხარდეს.

აქ შემხვდნენ ქართველები, ჩემზე უფრო ძველი მოსულები ამ „სანეტარო ადგილში", ისინი მეხმარებიან და ყურადღებას მაქცევენ. განსაკუთრებით ნიკოლოზ მღებრიშვილი (გორელია). მისი და ალბათ შემოიცლის თქვენთან.

კიდევ რამდენიმე ხანს ვიქნები სტაციონარში, რადგან

ეს ყველაზე უმჯობესი, სასურველი ადგილია აქაურ პირობებში. მერმე გაზაფხულიც დაიწყება და, სადაც არ უნდა მომიხდეს მუშაობა, აღარ მეშინია. ახლა კი, რომ იცოდეთ, რა ყინვებია?! მე რომ გამიკვირდება, რაღა უნდა იყვეს?! მაინც ქარბუქია საშინელი (пурга). ჩვენი მეზობელი — „ჩრდილოეთ პოლუსი" უხვად და უმოწყალოდ გვიბერავს, ხოლო მოტვლეპილ ტუნდრაში ქარბუქს არაფერი არ ეღობება.

ვორკუტა მცირე ქალაქია, უფრო სწორად კი — დიდი ბანაკი. ჩვენი განყოფილება, ე. ი. შემოფარგლული ზონა (მავთულხლართებით) ქალაქიდან ორიოდე კილომეტრზეა დაშორებული. ეს საალმშენებლო პუნქტია. ჩვენ მახლობლად კი მაღაროებია. ვხედავ კიდეც მათ შენობებს და ნახშირის გორაკებს. აქ თავისუფალი მოსახლეობა არ ცხოვრობს, გარდა თვით ვორკუტისა, სადაც არიან თავისუფალ გადასახლებაში მყოფი მოსამსახურენი ან ადგილგადანაცვლებული ყოფილი პატიმრები, აქ მუდმივად დასახლებული.

ჩვენს ბანაკში არაფერი არ იშოვება. ამ მხრივ ჩამორჩენილი განყოფილებაა (შახტების განყოფილებებში, ამბობენ, რომ ბევრად უმჯობესია). ასე რომ, წიგნებით, გაზეთებით და, რაც მთავარია, საწერი ქაღალდით მანდედან უნდა მოშეხმაროთ. იცოდეთ, რომ აქ მყარი არაფერი არ არის. დღეს საავადმყოფოში შეიძლება იწვეს კაცი — ხვალ კი მძიმე საერთო სამუშაოზე მოხვდეს. სპეციალისტებიც ბევრი მინახავს მძიმე სამუშაოზე და ჩემისთანა „ინვალიდებიც". მე სად ვიმუშავებ, ან რა ხელობას მოვკიდებ ხელს, ჯერ არ ვიცი, მაგრამ არაუშავს რა, როგორც გწერდით, წერილები და ამანათები განუსაზღვრელია და არც თუ იგვიანებენ. აქ ჩვენს თვალწინ ხსნიან გასასინჯავად. შეიძლება გამოგზავნოთ ყველაფერი: სურსათ-სანოვაგე, როგორც ნედლი, აგრეთვე კონსერვირებული და სამოსი; წიგნები, ჟურნალ-გაზეთები; უფრო საჭიროა ქონეული, შაქრეული და ხილეული, ჩაი, ბოსტნეული, რადგან აქ ვერაფერს ვერ ვშოულობთ, ხოლო რასაც გვაძლევენ, ყოვლად უვარგისი და ამასთან ერთად მცირეა. ამანათის წონა, რამდენადაც მე ვიცი, არ უნდა აღემატებოდეს 8 კი-

ლოგრამს. ტანსაცმლიდან მე არაფერი არ მინდა. სარეცხის საპონი, მაგალითად, მჭირდება.

ახლა კი წიგნები, წიგნები და ქაღალდები! საქართველოს ამბავს ნუ მომწყვეტავთ, რადგან მხოლოდ მაგითი ვცოცხლობ და ვსულდგმულობ.

წერილი ვერ გამოვგზავნე დროულად, ამიტომ გავაგრძელე. ძალიან მაინტერესებს სად გადავიდა სამუშაოდ თათუშას ქმარი? ან ვინ არის მის მაგიერ.

მომწერეთ მთამსვლელების ამბავი.

მოკითხვა გადაეცით მწერალთა კავშირის ამხანაგებს. აბა, ვათავებ წერილს, უკვე თენდება. აქ ახლა მეტად ადრე თენდება. ქარბუქებში გამოძვრება ხოლმე სითეთრე, ხოლო თუ მოწმენდილია — დაბალი მზის სხივები თვალს ჭრის... თოვლის მიერ აქ ყველაფერი დამონებულია, მხოლოდ ტუნდრაა გამეფებული ირგვლივ. მძიმე სიტყვა ყოფილა ტუნდრა!

გავჭაღარავდი, აქ ყველა „Батя-ს" და „Старик-ს", ვინ „Дедушка-ს მეძახის, რაც ფრიად მაცინებს, მაგრამ, მართალია; ულვაშები მთლიანად გამითეთრდა, წვერებზე ხომ აღარას ვიტყვი. თმა კი საერთოდ გაკრეჭილი გვაქვს, არ გვიყენებენ.

ამ წერილს როდესაც მიიღებთ, მანდ ხომ გულდაგულ ზაფხული იქნება გამეფებული. აქ კი ჯერ „ბარე ორი" ყინვა დაჰკრავს და ქარბუქი გადაგვიელის. თუმცა ჰაერს და გარემოს შეეტყო — ისეთი საოცარი ყინვები, —50° აღარ არის. უეცრივ ჩამოთბება ხოლმე, „თოვლიც ჩაშავდა", ზოგან გადაიხვეტა და ტუნდრის სიშავე უარესად გამოჩნდა. ჩანს, ისევ ზამთარი სჯობია ტუნდრაში. იქნებ ზაფხული უკეთესი დარჩეს... ვნახოთ. მე ვეჩვევი გარემოს, რა ვქნა, სხვა გზა არა მაქვს. ვწუხვარ, რომ ყოფის პირობები იმდენად მძიმეა, რომ ლიტერატურული მუშაობის წარმართვა მეტად მიჭირს, ეს კი ჩემი სასიცოცხლო პირობაა, ვცდილობ და ვეცდები მომავალშიც — რამე მოვიმოქმედო. ეჰ, უამრავი მაქვს საწერი. მოუთმენლად ველი ქაღალდს და წიგნებს. იმედს არ ვკარგავ, რომ კიდევ დავწერ და არც თუ ცოტას.

თქვენგან გამოგზავნილი ამანათი რომ გავხსენი, ჩემი

თავი საქართველოში მეგონა, ასე ხშირ-ხშირად ამანათების გამოგზავნას თქვენ ვერ შეძლებთ. თვეში რომ ერთი მოახერხოთ და გამომიგზავნოთ, ისიც დიდია ჩემთვის. მე ახლა კარგად ვარ და ნურც თქვენ გაღარიბდებით ამდენი ხარჯით, რომელიც მე თქვენ მოგახვიეთ ჩემდა უნებურად. ყველაფრისათვის ისედაც დიდი მადლობელი ვარ. მომწერეთ ყველაფერი დაწვრილებით. მე ყველაფერი მაინტერესებს, რაც მანდ ხდება და როგორ ცხოვრობთ, ამ მხრივ საოცარი სიხარბე დამჩემდა.

ყველას მოკითხვა, გკოცნით

ლ ე ვ ა ნ ი".

ცოტა ხნის შემდეგ ლევანისგან რამდენიმე ღია ბარათი მივიღეთ. გვატყობინებდა ამანათებისა და ბანდეროლების მიღებ[illegible]. მერე წერილებიც მოვიდა. ასე რომ, მიმოწერა მოწესრიგდა, ამით მცირედი შეღავათი მოგვეცა ჩვენც და ლევანსაც. თითქმის ყოველდღე ვუგზავნიდით გაზეთებს, წიგნებს, წერილებს, კვირა ისე არ გავიდოდა, ამანათი და ფოსტით ფული არ გაგვეგზავნა. იმის შემდეგ რაც ლევანმა საპონზე საკმაოდ ორგოფულად მოგვწერა, მივხვდით რაც უნდა გაგვეცეთებინა: 25 მანეთიანს შევაცურებდით სარეცხის საპნის სიღრმეში და გარედან ისე ოსტატურად ამოვგზავდით, რომ საპონზე ჩვენი „საიდუმლოების" არავითარი კვალი არ რჩებოდა. პირველ ხანებში მაინც ვღელავდით, ამის გამოვლინებას ლევანისთვის არ ევნო, მაგრამ წლების მანძილზე ეს მეთოდი მეტად უშიშარი და მყარი აღმოჩნდა.

„ჩ ე მ ო კ ა რ გ ე ბ ო!

26. VII. 1948 წ.

თქვენი გამოგზავნილი წერილები და ამანათები წესიერად მივიღე, განსაკუთრებით ძვირფასი გამოდგა საპონი... ხულ ბეწვზე მომისწრო და წესიერადაც მივიღე. ამ მხრივ ცოტა ხნით უზრუნველყოფილი ვარ. ფოსტით გამოგზავნილი ფული ჯერ არ მიმიღია, ვმუშაობ აქაურ აფთიაქში, ისევ ახალი სპეციალობით — „სანიტარი". თუმცა ხშირად ვეხ-

მარები ანგარიშსწორებაშიც. ასე რომ, შემდგომში მედიკამენტები არ დამჭირდება, არც ვიტამინები.

ახლა ბანდეროლის მოლოდინში ვარ, ველი წიგნებს, გაზეთებს და ქაღალდს — იქნებ დავწერო რამე. ეჰ, რამდენის შეკითხვა და რამდენის გაგება მინდა, მაგრამ... საიდან დავიწყო არ ვიცი, ვინ არის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, მდივანი? ჩემს ხელნაწერებზე რომ გწერდით, თუ მიიკითხეთ? მინდობილობა გამოგადგათ თუ არა— ახლა ალბათ ყველგან უარი დასდევს ჩემს გვარს... არაფერია, მთავარია თქვენ კარგად და ჯანმრთელად იყოთ. მე კი, ვფიქრობ, ჩემი „ბედის" იმედი მაქვს... ახლო მომავალში შეტრიალდება. როდისმე სიმართლემ ხომ უნდა საბოლოოდ გაიმარჯვოს. ვნანობ რამდენი განსახორციელებელი წიგნი დამრჩა, მაგრამ ვეცდები არ დავიტოვო.

ერთს გთხოვთ კიდევ, ჩემს წერილში დასმულ კითხვებს უპასუხოდ ნუ დატოვებთ.

მოკითხვა, შორეული სალამი ყველას — შინაურებსა და სხვათაც. მე განგებ სახელებს არ ჩამოვთვლი ხოლმე, არცა ვწერ სხვებს, ასე უმჯობესია.

ძალიან ვნანობ და განვიცდი სხვა ჩემსავით შორს წასულთა უბედობას, მაგრამ ან რას მოვეხმარები, ან რასა ვიქ?! ვერ გამიგია ვის ან რად დასჭირდა ყოველივე ეს?! უდანაშაულო ხალხის დასჯა-წამება, ეს ხომ ბარბაროსობაა, თუმცა... ამ წყობაში არ არის გასაკვირველი?

მომწერეთ უფრო დაწვრილებით მათ შესახებ.

წიგნებს კიდევ ველი თქვენგან, მხოლოთ მათი მეოხებით ვცხოვრობ და ვცოცხლობ.

აქ უამრავი ცალკეული ბანაკებია — დახურული და სარეჟიმო. მართალია, იქ რა ხდება, არავინ იცის, მაგრამ ყველგან ისეთი მძიმე ყოფა და უმძიმესი შრომაა გამეფებული, აბა იქ რა იქნება? ალბათ საშინელება, ეს ყველასათვის ასეა ცნობილი. ბევრი ვერ უძლებს და ასე უმოწყალოდ იღუპება. კატორღელებიც აქ არიან ჩვენთან ერთად. ჩვენ შორის განსხვავება წაშლილია. ჩვენც კატორღელებად ვითვლებით ნომრიანები.

გკოცნით და გისურვებთ მრავალს და მრავალს.

ლ ე ვ ა ნ ი".

„ჩემო კარგებო! ვსარგებლობ შემთხვევით და კვლავ გწერთ, ხშირად გწერთ, სულ გწერთ, გულს ვიოხებ, თქვენს სამყაროში გადმოვდივარ და აქაურ აწმყოს ვივიწყებ, თქვენ კი იწერებით ორი თვეა წერილი არ არისო. თქვენი ბარათები და ამანათები მომდის, გასაკვირველად სავსებით წესიერად, მთელი შინაარსით და მოცულობით.

მე ჯერ იქვე ვარ სამუშაოზეც (აფთიაქში) და ადგილსამყოფელის მხრივაც.

აქაურ მძიმე ცხოვრებას ვგონებ შევეგუე, არა, ვერ მივეჩვიე. მხოლოდ შევეგუე. მადლობა ყველაფრისათვის, განსაკუთრებით წიგნებისათვის. რომ გავერთობი სოლმე ქართული წიგნებით, თავი საქართველოში მგონია, ამას წინათ გწერდით წიგნების სიას, თუ მიიღეთ. აბა, კარგად იყავით, სულ კარგად.

გკოცნით.

თქვენი ლევანი“.

8. IX. 1948 წ.

„თინა! დღეს მივიღე შენი წერილი. ამ კვირაში კიდევ მიღებული მაქვს თამრიკოს დახურული ბარათი და ლია წერილი (ახალდაბიდან), ასევე მიღებული მაქვს სავსებით წესიერად 2 ამანათი და 2 ბანდეროლი. მხოლოდ ბანდეროლში ლიტერატურული გაზეთები აღარ აღმოჩნდა (სიაში კი ეწერა). თქვენი წერილებიც წესიერად მომდის, ესაა აქედან გამოგზავნილი ჩემი ბარათები იგვიანებს.

როდესაც ქართულ წიგნებსა და გაზეთებს ვკითხულობ, მაშინ ვცოცხლობ — სხვა დანარჩენი დრო კი თითქოს ძილბურანში მიიზლაზნება. ჯანმრთელობის მხრივ კარგად ვარ, ვეგუები, უფრო სწორად, უნდა შევეგუო — მით უფრო, უკვე ზამთარში შევდგით ფეხი. წყალს უკვე ყინავს, ურალი კარგა ხანია დათოვლილია. თქვენთან, ალბათ, ეს ამბავი საოცრად ურწმუნოდ ეღერს.

ხშირად, ძალიან ხშირად შევნატრი იმ თეთრ დათვს, რომელიც აქედან არის წამოყვანილი და მანდ, თბილისის

ზოოლოგიურ ბაღში სიცხისაგან სული ამოსდის! არც მე მადგას კარგი დღე მის სამშობლოში.

მაშ ციხისძირში იყავი, მზია? შესანიშნავი ადგილია. რომ მომაგონდება, ზღაპარი მგონია და საერთოდ მე ახლა აქ მხოლოდ წარსულის ზღაპრებით ვცხოვრობ. წიგნები— ქართული წიგნები, ვიცი ძვირია, თქვენც ვერა ხართ დალხენით, მაგრამ ყველაფრის ხარჯზე — წიგნებს ნუ მომაკლებთ. მე მეტი არაფერი დამრჩენია!

გ წ ე რ დ ი თ: 1. „დავით აღმაშენებელი", I—II ტომი **გამომიგზავნეთ.**

2. „ამბავი ბესიკ გაბაშვილის", ვგონებ უკვე სამი ტომია.

3. „საქართველოს ისტორია" ჯანაშიასი, ბერძენიშვილის და ჯავახიშვილის), ეს აუცილებლად მჭირდება.

4. „ჯავახეთი", ეთნოგრაფიული ნარკვევები მაკალათიასი. მე მჭონდა ჩემს წიგნებში, აუცილებლად ნახეთ.

დანარჩენი თქვენ იცით.

„ლიტერატურული გაზეთის" გამოწერისათვის დიდი, დიდი მადლობა.

ტანისამოსი არაფერი არ მჭირდება, აქაც არაფერი გამომირთმევია.

ოღონდ, თუ შეძლოთ, შალის ხელთაცმანები და ჩუსტები გამომიგზავნეთ.

ამა, კარგად იყავით, კარგად და თქვენი ამბავი ხშირ-ხშირად მომწერეთ.

ველი მზიას წერილს, როგორ მოიზაფხულა, მოკითხვა ყველას, ვისაც ვახსოვარ. თუმცა კარგად ვიცი, რომ დავიწყებას ხსოვნაზე უფრო დიდი ძალა აქვს.

გაოცნით თქვენი ლევანი.
ვორკუტა, მისამართი იგივე".

„ჩ ე მ ო კ ა რ გ ე ბ ო!

15. XII. 1948 წ.

რამდენ ქორწილსა და ნათლობას ჩამოვრჩი. აქ ძველებურად მიიზლაზნება ვადა. ზამთარი საოცრად თბილი გამოდგა ჯერჯერობით. აქეთ ტუნდრა გვწუალობს, მაგრამ წინ ბევრი ქარბუქი გველის, მეტად ბევრი, გარშემო, შინ და სულშიც.

წავიკითხე მყინვარწვერზე დიდლაშქრობის შესახებ, მოხარული ვარ, რომ მთამსვლელობა ისევ ვითარდება. მაინც ვითარდება და მწვერვალებს იპყრობს. მე მუდამ „მწვერვალების“ მოტრფიალე ვიყავი და დავრჩები. მათთან საერთოს გარდა — პირადი სამადლობელიც მაქვს. სანუკვარი, სრულიად თავისუფალი წუთები მე მხოლოდ და მხოლოდ მთებში განმიცდია. ამ „ვალიდან“ ალბათ ვერასოდეს ვეღარ ამოვალ, მაგრამ მთის ხილვას, იმედს გულში ვატარებ.

ჩემს ცხოვრებაში ჩემს კისერზე იმდენი „ორომტრიალი“ ამოგორდა და გადაიფარცხა, რომ მჯერა — სადმე ცისარტყელა მაინც დამხედავს. დღევანდელი ჩემი ცხოვრება კი „არც ჰოსა ჰგავს და არც არასა“.

გკოცნით ლევანი“.

„ჩ ე მ ო კ ა რ გ ე ბ ო!

I. 1949 წ.

ესეც ახალი წელი!

მოგილოცავთ! შორიდან მოგილოცავთ!

ისე შორიდან, რომ არც კია სარწმუნო, ძნელი დასაჯერებელია, რომ აქაც და მანდაც ერთი და იგივე თარიღია! ერთი და იგივე წელთაბრუნვა!

გისურვებთ — ყველას ერთობლივ და სათითაოდ — ბედს, კარგ ბედს, კეთილ ბედს, ასე და ასე...

ოჰ! რა ტკბილია თვალს რომ დავხუჭავ და მაქაური დროიდს მაჯისცემას შორიდან განაბულად ვუსმენ. ადამიანურ სევდას გავინაპირებ და ფიქრით მომავლისაკენ გავიტყორცნები.

ოცნება ხომ ამ მატარებელსა ჰგავს, რომელსაც ორთქლმავალი უკან აბია და წინ მიაქროლებს, უკან კი განვლილი ლიანდაგი რჩება და ორმაგად ბზინავს.

კეთილად მოვიგონოთ ღირსეულნი, სამშობლოს დედანი და მამანი, ის მოღვაწენი, რომლებიც ამ მიჯნამდე ველარ მოგვყვნენ და ახალწლის სათვალავზე ჩვენ შორის აღარ აღმოჩნდენ...

გზა დავულოცოთ, ვინც ამის შემდეგ მოვა ცხოვრებაში, დე ბარაქიანი იყოს საქართველოს მომავალი, რომელიც ახალთაობის კვალს ჯერ ფეხშიშველა გაიტანს, მერე კი განმტკიცებული მუხლით და მხრით გასწევს მძიმე ჭაპანს საბოლოო გამარჯვებამდე.

გულითადი მოკითხვა მახლობლებს, კეთილმსურველებს — ნათესავ-მეგობრებს. ვისაც ვახსოვარ, ვისაც რაიმედ ულირს ჩვენი სურვილი, მილოცვა და კარგად ყოფნა!

სახელდებულ მოკითხვას კი კარგა ხანია თავი დავანებე... გადავეჩვიე. უფრო სწორად, გადამაჩვიეს, მაიძულეს.

ახალ წელიწადს ჩვენც „თითქოს“ საქართველოში ვიყავით. ამანათებმა მეც და კოლიასაც (მედიკოს ძმა) ზედ სულზე, 31/XII მოგვისწრო. ასე რომ, ქართული „სუფრა“ გავშალეთ და ამ ჩვენს სუფრას გოზინაყიც არა ჰკლებია— კოლიამ მოადუღა (მის ამანათში თაფლი გამოჩნდა, ჩემში კი ნიგოზი).. მართალია, ცოტა დაგვეწვა, მაგრამ ვისაც გავასინჯეთ, ფრიად დიდი ქება-დიდებით აგვავსო. ერთი სიტყვით, ტკბილ-ქართული ახალწელიწადი გავითენეთ, ისევ საქართველოს მადლით, თქვენი წყალობით.

ხმელი ჩირი და ჩურჩხელები ხომ სავსებით ავსებს აქაურ „ქართულ სუფრათს“. აქ მრავალი უცხოელი და სხვადასხვა ტომია და ჩურჩხელას „грузинская калбаса“ დაარქვეს. ხახვსა და ნიორს ნუღარ გამოაგზავნით, რადგან აქ დუქანი გაგვიხსნეს და შიგ ასეთი რამ იშოვება.

ტანისამოსიდან არაფერი არ მინდა. ჯერ არ გამიცვეთია, ან სად უნდა გავცვითო, სულ ტანზე მაცვია, რეცხვა იშვიათად არის, თუმცა თეთრმა ახლა შავი ფერი მიიღო. არც ფეხსაცმელები მჭირდება. რაც შეეხება თხოვნის მიწერას, მეც ასე ვფიქრობ, ჯერ დრო უნდა გავიდეს. ვნახოთ, ახალი წელი რა შემსუბუქებას მომიტანს. ჩათვლე-

ბის შესახებ კი უკვე გწერდით, არავითარი ჩათვლები.

აქ დღე-დღეა, ისიც უმზეო, ჩაღამებული, ჩაყინული, ქარბუქითა და მავთულხლართებით ჩამოხუთული. ამ კვირია კი ისეთმა სიცივემ შემოგვიტია, რომ რკინას აცრემლებს — ნახევარ ასეულ გრადუსს გადააჭარბა... ვაი, იმის ბრალი, ვისაც გარეთ უხდება გასვლა და მუშაობა. მე, პირადად თბილ ადგილასა ვარ... ხოლო ჩემი მთამსვლელური „გუდანაბადი" — საძილე ტომარა — მეტად მშველის, ასე რომ, კარგად ვარ, ჯანმრთელად.

საერთოდ მე დავრწმუნდი, რომ ქართველები მრავალ სხვა ტომზე უფრო გამძლენი და ამტანები ყოფილან — თვით შორეულ ჩრდილოეთის პირობებში. მით უფრო მაშინაც კი, როდესაც მძიმე პირობების გამო ადამიანური ღირსებაც აქვთ შელახული.

სიამოვნებით ვკითხულობ გაზეთებში და რუსულ ჟურნალებში ქართველ მთამსვლელთა ასვლების შესახებ, მიხარია და თითქმის მათთან ვარ, როგორც ჩრდილი, მათი ასვლების მონაწილე და მათი სიხარულის თანამოზიარე.

მართალია, ეს უკვე ძველი ამბავია თქვენთვის, მაგრამ აქ, „ქვეყნის კიდეზე", ყოველ მანძილს ჩვენთვის მნიშვნელობა დაკარგული აქვს... მათ შორის დროის მანძილსაც... საერთოდ... როგორც უცნაურობა, აქ დროისა და მანძილის გარეშე ვცოცხლობთ! ვცხოვრობთ, ვადას ვთოხნით და ვცოხნით.

დევის და სხვა ბავშვებს გულითადი ახალი წლის მოლოცვა. ყველანი მახსოვს, ყველას ვიგონებ, ყველას შორეულად ვესიყვარულები. ოცნებობ საქართველოზე და ოცნებაში იგი უფრო ლამაზი, უფრო სანდომი და უფრო მშობლიური მგონია, მაგრამ ამასთან ერთად გული მტკივა, როდემდის უნდა იყვეს ტუსაღი ასე შებოჭილი და დამონებული.

ახალ ქართულ ლიტერატურაში ნუთუ არაფერი არ არის კარგი და ღირსშესანიშნავი? გამომიგზავნეთ „ვეფხისტყაოსანი", მცირე ზომის გამოცემა, მანდ მქონდა. ნუ-ცუბიძისეული რუსული თარგმანიც გამომიგზავნეთ. სხვა ახალი წიგნები არ დაგავიწყდეთ. თავს გაბეზრებთ ამით, მაგრამ რა ვქნა, ჩემთვის აქ ქართული წიგნი ქართული

მიწაა! და იქნებ მეტიც — მიწაცა და სულიც. ყველაფერი ნამდვილი ქართული უსაზღვროდ, განსაკუთრებულად მიყვარს, იქნებ ამიტომაც ვისჯები.

თქვენი შორეული ძმა ლ ე ვ ა ნ ი.

კარხა ხანია მზე აღარ მინახავს, მაგრამ იანვარში მზე უკვე უნდა გამოჩნდეს ციისკიდურზე. ჯერ კი იმიერპოლარული ღამეა. თქვენს მზეს გაუმარჯოს, საქართველოს მზეს, რომელიც მე შორეულ იმედად მაქვს.

გკოცნით ყველას, ლ ე ვ ა ნ ი".

„ს ა ლ ა მ ი ყ ვ ე ლ ა ს!

14. II. 1949 წ.

ჩ ე მ ო კ ა რ გ ე ბ ო!

კვლავ ახალ წელს გილოცავთ, შორიდან ახალწლიურ მრავალჟამიერს გეტყვით და გაიხარეთ, ყველას იმედიან გამარჯვებას გეტყვით, დროის სივრცეში გაცრილ მადლმარილიან სიტყვას გიგზავნით. ქართული სიტყვაც ხომ ჩვენი ახმაურებული, ენაამოდგმული მიწა-წყალია. ჩემი სამშობლო მთელ კაცობრიობასთან ერთად კიდევ ერთი წლით უფრო ხნიერი გახდა, უფრო დაბრძენდა. ჩვენი მიწა-წყალი ჩვენ ძვალ-რბილში გვაქვს გამჯდარი. დედაენის დიდ ბურჯს — სამშობლოს დაგილოცავთ.

ეს უკვე მესამე „მოლოცვიანი" წერილია... მაგრამ, ვაი თუ არცერთი სასიკეთოდ არ მოვიდა საქართველოში?

ღმერთმა ნუ ქნას, ყოველ შემთხვევაში, მე ვოცნებობ გამარჯვებას.

ვსარგებლობ და გწერთ ხან მოკლედ, ხან ვრცლად... ხან დალაგებით, ხან კიდევ „უსწორმასწოროდ" — ისევე, როგორიცაა ჩემი ცხოვრება.

1949 წელი... ვნახოთ — ეს წელი რაღა ახალ ბედს მოგვიტანს!

გისურვებთ მრავალს, კეთილს, კარგს — თქვენცა და ყველას, კეთილ მსურველებს და კეთილ ქართველებს. ესეც

იცოდეთ — სალამი და სურვილი რაც უფრო შორეულია, მით უფრო ძლიერია და ღრმა.

უკვე მალე სამი წელი შესრულდება, რაც მე აღარ ვარ თქვენს შორის. ამუამად აღარა ვარ იქ, სადაც დავიბადე, სადაც ამოძგერდა გული და კალამი, სადაც სიკვდილი მეამებოდა... გუშინდელივით მახსოვს „იქ ცხოვრების" უკანასკნელი დღეები! სუსხი, აუგი ნგრევა, რომელიც ტყუილად მომწვდა ჩემი ცხოვრების შუა გზაზე და ისევ ყველაფერთან ერთად მხატვრული შემოქმედებითი ოცნებები ჩამიფერფლა და ჩამომფარცხა. გული სევდით და ოხვრით ამევსო, ჩემი ცხოვრება არარაობად გახადა. საერთოდ ნგრევის მხრივ ჩემი ცხოვრება საოცრად ჰგავს იმ ხერთვისის ციხეს, რომლის ნანგრევების ძირშიაც მე დავტოვე ჩემი თავისუფლება.

დარჩა ბევრი სათქმელი თუ საწერი. დაინგრა ოცნება.

საერთოდ ჯავახეთი ჩემთვის ყოველთვის საბედისწერო დარჩა.

უსამშობლოდ ცხოვრება მიჭირს, მე ჩემი მხარე თავისებურად ღრმად მიყვარს და ამ შორეთში რუდუნებით ვზიდავ ამ ტვირთს. ეს ყველაფერი წარსულია, თითქოს სხვისი ცხოვრებიდან ამოღებული. მომავალზე უიმედოდ სიცოცხლეც არ მინდა.

ახალმა წელმა ბევრი ფიქრი და ოცნება მომიტანა. რა არ წარმომიდგა თვალწინ ჩემი სამშობლოს საკეთილდღეოდ. განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობა, რომელსაც სჭირდება დაცვა და ქომაგობა, თანაგრძნობა. ახალგაზრდებმა მომავალში უნდა აღადგინონ ჩვენი სამშობლოს პირვანდელი სახე ბედნიერებისა, ამისათვის კი საჭიროა სწავლა და განსწავლულობა თანამედროვე მეცნიერების უმაღლეს დონეზე აყვანით, სადღეისოდ ახლა აქვს, როგორც არასდროს, ამას დიდი მნიშვნელობა და კიდევ ბევრი და ბევრი... ვერ ვწერ, თვითონ განსაჯეთ.

ახლა აწმყოზე: კარგად ვარ! ჯანმრთელად! მიუხედავად მკაცრი ჰავისა და ქარბუქისა — მე, საქართველოს მზედაკარგული.

ჩვენი ბანაკის ქუჩები (თუ ასე შეიძლება მათ ეწოდოთ) ხეა დაზვინული თოვლის გორებით, რომ „ბარაკებს" შო-

რის თოვლში საძრომებს ვაკეთებთ ხოლმე. აქაური „ძველი მცხოვრებნი“ კიდეც აქებენ წლევანდელ ზამთარს.

ჩვენ, პატიმრები, ბევრში ბავშვებს ვგავართ — სულ ცოტა რამ გვახარებს და ასევე ცოტა გვაღონებს, გულს გვიკლავს. აქ ძველებურად, სულ ძველებურად, დახავსებულად ვცხოვრობთ გულდადაგულნი.

„ქართული ისტორია“ მიღებული მაქვს, „არგონავტიკაც“.

ტანისამოსისეული არაფერი მჭირდება — თბილად ვარ. ველი ბანდეროლს, გაზეთებს... ლიტერატურულს და ასე და ასე.

გამომიგზავნეთ „ვეფხისტყაოსანი“, ჯიბის მცირე გამოცემა, ქართულიცა და რუსულიც, ორივე მანდა მაქვს, ჩემს წიგნებში. თუ გამოვიდა „ქართული განმარტებითი ლექსიკონი“, ისიც გამომიგზავნეთ.

საერთოდ ნუ მომწყვეტავთ ახალ ქართულ ღირსშესანიშნავ გამოცემებს — ჩემთვის ეს მეორე პატიმრობა იქნება. ჩემი ნაბეჭდი ნაწერები საერთოდ თუ შემოგრჩათ სადმე, როგორმე გამომიგზავნეთ.

მაშ ასე, როგორც ხედავთ, ჩვენთან ახალი და კარგი არაფერია. აქაური დღეები, უფრო სწორად ღამეები, ქვანახშირით დატვირთულ საბარგო მატარებელს მაგონებს, ყველა ურთიერთსა ჰგავს, ისეთი შავი და უხალისოა. ვმუშაობ ძველებურად საანგარიშო დარგში და გაუთავებელ ჩალასავით ვღეჭავ ვადას, მაგრამ საერთოდ ჯერ დრო უნდა გავიდეს. მეც ასე ვფიქრობ. მერე ან მომიგონებენ, ან მე მოვაგონებ თავს. ნუთუ სინდისის ქენჯნა აღარ არსებობს მანდ და გაირეცხა ყველაფერი. არა და, თქვენ კარგად იყავით, ჩემი დარდი ნუ გექნებათ. ახლა ისეთ ხასიათზე ვარ, მგონი ასწლიან ვადას ავიტან... მივეჩვიე... ჰო და, რა ბედენაა, ყველაფერს ავიტან იმ იმედით, რომ ოდესმე კავკასიონის მიჯნას ისევ მოვწვდები, ყველას თავიდან ვიხილავ და ცხოვრებაც თავიდან დაიწყება თითქოს.

აბა, გკოცნით თქვენი ჩრდილოელი ძმა

ლ ე ვ ა ნ ი.

ქ. ვორკუტა.

მისამართი იგივეა“.

„ს ა ლ ა მ ი, ჩ ე მ ო კ ა რ გ ე ბ ო!

15. II. 1949 წ.

მე სულ ვწერ და ვწერ—გულს ვიოხებ.

ორი ამანათი ერთად მოვიდა.

№ 1 გამოგზავნილი თინას წერილით და № 2 თამარის მიერ 24/I გამოგზავნილი. რა ამბავია? თქვენს თავს მიხედეთ, ახა მე კი ნუ გადამყვებით. ამას უკვე მეორეჯერ გწერთ, რადგან შარშან მრავლად და განუწყვეტლად მომდიოდა ამანათები. მე ხომ ვიცი, ეს როგორ ძნელია, გარჯით და ხარჯით.

ფული არ მჭირდება— მაქვს. ფოსტით არ გამომიგზავნოთ, ამანათები სრული წესიერებით მოვიდა. მხოლოდ მანდარინები იყო მოყინული.

საოცარი გემოვნებით იყო გაკეთებული შაქარლამა — ნამცხვარი, ვიგრძენი დიდი ოსტატობა და კეთილი გული ოსტატისა, გადაეცით დიდი მადლობა შვიდი ათასი კილომეტრის სიშორიდან, შემოთვლილი დიდი სიყვარულით. ჰოი რა შორი მანძილია! მაგრამ გულითად მადლობას და სიყვარულს დედამიწის ყოველგვარი მანძილი ემორჩილება... მით უფრო სიშორით გაძლიერებული სიყვარულითა და გრძნობით.

ასეთი შაქარლამის გამკეთებლის ხელები წარმოდგენილი მაქვს. მოკითხვა მათ სამივე თაობას, შუა თაობას კი განსაკუთრებით!

„ძველი ქართული ქრესტომათია", მით უფრო ჩემთვის, ძვირფასი საჩუქარია. ვეცდები ავასრულო თინას პირობა და თუ ოდესმე მიწერია საქართველოში დაბრუნება, თან ჩამოვიტან ბევრ ნაშრომს, გამდიდრებულს ჩემი გულისთქმით.

გამახარა „ბესიკის" სამმა ტომეა, ერთი სიტყვით, ახლა გვაქვს საკითხავი ქართული წიგნები.

წიგნებით თავი შეგაწყინეთ, მაგრამ მეტი გზა არაა! ჩემი ბუნების პატიმრისათვის წიგნი თავისუფლების შეფარდებითი თანაბარია. ვნანობ, რომ ჯავახეთის ეთნოგრაფიული ნარკვევი ველარ იპოვეთ — დაწერა მინდოდა. ცოტ-ცოტას ვმუშაობ მაინც... უფრო ვცოდვილობ, მაგრამ ეგ-

ეც არაფერია — ქართველი მწერლის ბედი სიცოცხლეში მაინდამაინც სახარბიელო არასოდეს არა ყოფილა! მით უფრო ამ დროში, ახლა, მაგრამ მე ისეთი უკულმართი ბედისა ვარ, სიკვდილის შემდეგაც გადავავიწყდები ყველას.

მზიას მადლობა „ლიტერატურული გაზეთის" გამოწერისათვის. ასე რომ, მომავალში ველი — და განა მარტო მე?!

ველით!... ჩვენ ხომ არც რადიო და არც სამკითხველო არა გვაქვს. თინა და თამარ! მედიკოს სია გამოუგზავნა კოლიამ, სამედიცინო წიგნებისა და, თუ ძნელად საშოვნელი არ არის, მიეხმარეთ. კოლიაც მეცადინეობს და აქ სხვა თქვენს კოლეგებსაც სჭირდებათ და ძალიან იხვეწებიან.

მე შევიკეთე კბილები. ასე რომ, მანდაური ქალიშვილები „კბილებით" ვერ დამიწუნებენ. ჯერ ძველებურად ყველა შემრჩა.

...თქვენი დახმარებით აქ არც „საკბილე" მაკლია, ვერც ჯანმრთელობას დავემდურები. ჯანი ისევ ძველებურ-მეგობრულად ერთხელ კიდევ გვერდში ამომიდგა და ერთგულად მემსახურება. რა ჰქნას, ბევრი ჭაპანწყვეტა შეგვხვდა, კიდევ წინ ვინ იცის, რა მოგველის, დრო ბლომად არის, ჩემს გრძელ ვადას ორი ხელის მტკაველი სჭირდება. კოლიას კი სამი. ასე უბრალოა თითებით ანგარიში, წაღმაც არის და უკუღმაც.

მაგრამ ეს ნურავის ნუ დააღონებს, არც იმდენია, რომ კაცმა გული გაიტეხოს და არც ისე მცირე, რომ სულწასულობა გამოიჩინო!

ზამთარი აღარ მაშინებს, კვლავ მივეჩვიე და თანაც არც თუ ისე, როგორც უმალ. გარდა ამისა, მე თბილ ადგილას ვმუშაობ, ასე რომ, ამ მხრივ ნუ დაიდარდებთ.

ელენე ჩერქეზიშვილის საოცარი სათუთი ტრაგედიის ამბავი არ ვიცოდი. ჰაი, ჰაი, ის დიდ მსახიობთან ერთად დიდი დედაც ყოფილა.

წავიკითხე თბილისის ახალმშენებლობათა შესახებ. ჩინებული ამბავია, ნეტავი ერთი თვალით გადმომახედა.

ჩვენს მწერლებს კი რა „დამბლა" დაეცათ? მოსკოვში და სხვაგან როგორ მუყაითად მუშაობენ, გასაკვირია.

დედა როგორ არის? გაამხნევეთ, ჯანმრთელობა გამო-

უკეთეთ, ექიმები არა ხართ? ჩემგან დიდი სიყვარულით მოკითხვა გადაეცით. ვერ წარმომიდგენია, რომ ჩემთვის ბარათის მოწერა აღარ შეუძლია. წინათ კი მისი ბარათი ყოველთვის მე მამხნევებდა და იმედის სანერგეს მმატებდა.

აბა, ახლა მოკითხვას ვიწყებ:

ყველას ყველას: „ოთხკუთხივ" მოკითხვა მომიწერია!

ქართული ლექსიკონი თუ გამოვიდა, აუცილებლად მიშოვეთ.

დევიკოს აკოცეთ ჩემ მაგივრად.

თინა, შენი წერილი, სადაც მწერდი თელავის „ერეკლეს" — დადგმაზე, მე არ მიმიღია. ასე რომ არაფერი ვიცი, როდის იყო წარმოდგენა, 1946 წელს? თუ მერე?

„ერეკლესდროინდელმა" იმდენმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ მაინც მაინტერესებს.

ლიტერატურულ გაზეთში წავიკითხე, გამოსულა „ქართული თეატრის ხალხური საწყისები" ჯანელიძისა, უსათუოდ გამომიგზავნეთ.

გკოცნით ყველას, თქვენი ლევანი".

„ჩ ე მ ო კ ა რ გ ე ბ ო!

9. IV. 1949

რაღაც შეგვიანდა თქვენი წერილები.

მე კი გწერთ და გწერთ. წერის დროს სულ მავიწყდება გარემოცვა, ფიქრით და გულით თქვენთან ერთად, სამშობლოში ვარ.

ყველას დიდი მადლობა საერთოდ და ცალკეულად. ყველას ვგრძნობ, ყველა მახსოვს. ყველა განსაკუთრებულად მიყვარს და ღრმად ვცემ პატივს. ყველაფრის მადლობელი ვარ, რა ვქნა, ასე „სამადლოდ" შემიქმნეს ჩემი ცხოვრება და საქმე. თუ მესამეჯერ მომიხდა ცხოვრების დაწყება, კიდევ მოვახერხებ მთელი გული სიყვარულით გადაგიშალოთ. ვიდრე მე ცოცხალი ვარ, მელოდეთ, მელოდეთ და თუ გამიმართლა იმედმა, არც ხელს მოგაკლებთ

და არც სინათლეს, კიდევ მოვახერხებ ვალებიდან ამოსვლას.

ყველა ამანათი და წიგნი მიღებული მაქვს.

მე კარგად ვარ, საოცრად მივეჩვიე ჩრდილოეთს, ეს არც არის გასაკვირი... ბოლოსდაბოლოს მე მხოლოდ დავიბადე საქართველოში, თორემ—გავიზარდე და ვგონებ ვბერდები კიდევაც ამ ჩრდილოეთში. რა ჭირი გადამეყარა! სახედრისა და პიტნისა არ იყოს.

მანდ აპრილია. აქაც აპრილია ქართულივე კალენდრის მიხედვით. აგერ მიკიდია კედელზე თქვენი გამოგზავნილი, რომელიც ტკივილსა და სიხარულს ერთდროულად მანიჭებს. მაგრამ გარეთ წუხელ და დღეს ისეთი გიჟი ქარბუქი ამოვარდა, რომ ვერავინ გავიდა სამუშაოზე, ქარი თხრის და ანგრევს ყველაფერს ამ ისედაც მოთხრილ და მუდამ შფოთიან მხარეში. 40 მეტრის სიჩქარეს აღწევდა წუთში, სულის მოთქმა არ შეიძლება გარეთ, ესეც პირველი აპრილი.

ტყუილად კი არ მღერიან აქ:

«Эх ты, Коми-Воркута,
Дивная планета,
Двенадцать месяцев зима,
Остальное — лето.»

შესაძლოა ლექსი არ ვარგოდეს, მაგრამ სიმართლე კი უდავოა.

ისიც თითქოს პირველი აპრილია. ოკუპაციიდან და ტყვეობიდან დაბრუნებული დატანჯული ხალხიც აქაა, ბევრმა არც იცის, რა აქვს მისჯილი და რისთვის ზის. ემიგრანტების ჯგუფში კი ბევრია საწყალი გადმობირებული ქართველი.

ამ ბოლო დროს ვეშურები წერილების მოწერას. ახალი ადგილიდან (სადაც მე უნდა გადამაგზავნონ, სხვა განყოფილებაა, ეს სულ 10—12 კილომეტრის მანძილზეა ჩვენგან), ვინ იცის, როგორ იქნება. როგორც გწერდით, იქ უფრო მსხვილი მავთულია და სასიკეთოს ჩემთვის ვერაფერს ვხედავ.

სიამოვნებით ვკითხულობ „ძველ ქართულ ქრესტომათიას“, ვისვენებ სულიერად.

ცოტა ხელი ავაწყვე — კალმოსნობაც მოვახერხე, ახლა, გადასვლასთან დაკავშირებით კი ისევ მეშლება ხელი.

ერთი სიტყვით, ჩემი ცხოვრება ცხენზე გადაკიდებულ ხურჯინსა ჰგავს, ხან ერთი მხარე გადაძლევს, ხან — მეორე.

თქვენ ყველა როგორ ხართ? როგორ ცხოვრობთ?

თქვენკენ რა ამბავია?

ათასი კითხვა მაქვს, მაგრამ რა ვქნა, ყველაფერი რომ შეგეკითხოთ, ამდენი კითხვის ნიშნებს რა წერილი გაუძლებს?? წერილი კი არა, გეოგრაფიის ბოძებად ეყოფოდა ჩქედან საქართველომდე.

გაოცნით ყველა ნათესავს.
თქვენი ძმა ლევანი".

ჩემო კარგებო!

27. IV. 1940 წ.

გიგზავნით ბარათს ახალი ადგილიდან, კარგად ვარ, ჩემი მისამართია: Коми АССР, г. Воркута ОЛП — № 2. Почтовый ящик № 223/40 «Р». უკანასკნელი ასო ნიშნავს Реж. лагерь (სარეჟიმო ბანაკი). ახალი ბანაკი უფრო დიდია, ის 3 მაღაროს ემსახურება. Ачуга шахта № 19. აქ 7 ქართველია, ვაშა! ჩემს ცხოვრებაში თითქოს არაფერი არ გამოცვლილა ჯერჯერობით, ცოტა ხნით. აფთიაქშიაც ვმუშაობ ბუხჰალტრად— თითქმის ფარმაცევტობაც ვისწავლე ამ ხანში. ერთი სიტყვით, მუშაობა თუ აქეთ-იქით გაგრძელდა, ვადის დამთავრებისას ექიმი არ გამოვიდე მეშახტესთან ერთად. აქ ბინის მხრივ მძიმე პირობებია. ჩვენი ბარაკები ძველი ტიპისაა და სიმაღლე აკლია. ორი წყება ხის ნარებია შიგ, ვინ მოთვლის რამდენი მწკრივია.

აქ მუოფი უმრავლესობა მაღაროში მუშაობს. ჯერჯერობით წყნარი, წესიერი ხალხია. აქ ნომრიანი და უნომრო პატიმრები საერთო პირობებში ვცხოვრობთ, ისევეა, როგორც ძველ ადგილებზე. ნომრიანები კატორღელები არიან. ეცადეთ პირველ ხანებში წერილები რუსულად მომწეროთ.

აქაც ვიგრძენი გაზაფხული. თუმცა თოვლი არ დადნა, მაგრამ ტუნდრაში შავი ლაქები გამოჩნდა. მდინარე ვორკუტა, რომლის მახლობლადაც არის ჩემი ამჟამინდელი სამყოფელი, ჯერ კიდევ ყინულის ჩოხაშია ჩამჯდარი. უკვე ნათელი ღამეები დაიწყო, მალე სრულიად აღარ დაღამდება.

თქვენგან წერილის მიმოსვლა მაინც შეფერხდა, ახალ ადგილზე ჩემი გადასვლით ჩვენი წერილების ისედაც დიდ გზას ერთი ხვეული საფეხური კიღევ შეემატა, ათასგვარი მოსალოდნელი და მოულოდნელი საფრთხე და დაბრკოლება უნდა გადალახოს. ოთარაანთ ქვრივის რკინის ქალამნები გაცვდებოდა. აბა, ქაღალდი რაღა ბედენაა.

აქაც შეიძლება დიდხანს არ დამტოვონ, რადგანაც ჩვენ, პატიმრები, უმცირესობა ვართ, დანარჩენები კატორღელები არიან. ეს ნუ ჩაგაფიქრებთ, სულ უბრალო ამბავია. ჩვენს შორის არავითარი განსხვავება არ არის, ჩვენზე იტყვიან:

„ტოლნი არიან — სწორნი არიან.

ერთად მიდიან, მიიმღერიან!“

მაგრამ მე შედარებით უფრო კარგ პირობებში ვარ. ჩემი ჯანმრთელობის მიუხედავად, ის აღარა ვარ, რაც ვიყავ, მაგრამ კიდევ ბევრი დაეხარბება ჩემს გაძლებას. აქ კი განსაკუთრებით.

ვნანობ, რომ ისევ შემიფერხდა კალმოსნობა. აქ მეტი მაქვს სამუშაო და ცხოვრების პირობები, მწერლობისათვის ხელმოუმართავი. თავიდანვე ასე მჭირდა, ჩემი ნაწერები და ჩემი გმირები ყოველთვის ჩემზე ბედნიერები იყვნენ — დეე, არა მშურს! ასეთია ბედის შეუვალობა! გულისტკივილს და მათ სიყვარულს კი ყოველთვის ვგრძნობ.

მთელი ჩემი ლიტერატურული მუშაობა დაცდაზე და მოსწრებაზე იყო დამოკიდებული. ეს ჩემი კალამი კი ჭიაყელასავით მისრიალებს ხელში. ჯერჯერობით კალამი დაკარგული მაქვს და დამრჩა ბევრი განუხორციელებელი წიგნი, რომელიც მე უკალმოდ და უქაღალდოდ დაწერილი მაქვს. ბავშვობიდან ასე მაქვს და ასე დამრჩა ფანტაზიისა და ასოციაციის დიდი უნარი, მისი სიმრავლე ჯერ დაუწერელ წიგნებს და მოთხრობებს მაგონებს. შესაძლებლობი-

ხთანავე ხორცს შეეასხამ და თქვენ გამოგიგზავნით.

რაც დრო გადის, საქართველო სულ უფრო და უფრო მშორდება, რეალურ სახეს თანდათანობით კარგავს და რაღაც არახორციელ ოცნებად მექცევა.

ამ გრძნობას თქვენ ალბათ ვერ შეიგულისხმებთ, იგი მხოლოდ სამშობლოდან შვიდი ათასი კილომეტრის მიღმა იშვება.

ბედმა იმდენი საოცრება მარგუნა, რომ მცირედი კეთილი მაკვირვებს და ვეება აუგი ბუნებრივად მიმაჩნია.

ვერ ამიხსნია,

ვერ გამიგია:

სამშობლო იმიტომ მიყვარს ასე ძალიან, რომ ასე შორსა ვარ, თუ ასე შორსა ვარ იმიტომ, რომ სამშობლო ასე ძალიან მიყვარს?!!

ეს! ისევ სხვა რამეზე ვისაუბროთ, ეს ყველაფერი კი „ჯოჯოხეთია მოსაგონებლად".

თქვენ სულ აღარ მწერთ, რა ამბავია?

ოჯახში ხომ ყველა კარგად ხართ?

ისევ და ისევ შორეული მოკითხვა ყველას ხათითაოდ და ერთობლივ.

თქვენი ძმა ლევანი".

„თ ი ნ ა!

8. VII. 1949 წ.

ეს ნაწყვეტი რომანიდან „ოროომტრიალი" შემინახეთ, ახე ნაწყვეტ-ნაწყვეტად და „ნაკუწ-ნაკუწად" ვწერ, როცა ამის საშუალება მაქვს, თუ გული მომეცემა ხოლმე. ასე „გაცოდვილებულად" წერა არ შეიძლება, მაგრამ მე სწორედ ის მხვდება წილად, რაც „არ შეიძლება". უნდა შევძლო! თუ ოდესმე მეღირსა, მთლიან ღერძზე ავაგებ ამ ნაწყვეტებს, გამოგზავნილს ან გამოსაგზავნს, დაწერილს ან დასაწერს...

ჰოი! რამდენი მაქვს დასაწერი? ნუთუ ამის დრო აღარ მომეცემა?! თუ არა... დეე მათ სინდისზე იყოს, ვინც მე

კალამი ხელში შემატეხა, მაგრამ, ჩემდა გასაკვირად, ბოლოს წერაც მოვახერხე. ვხარობ, კიდევ არ დამჩლუნგებია კალამი.

თუ — ჰოl და კიდევ, ბარე ორ წიგნს დავაგორებ ქართული ლიტერატურის მაღალ თაროზე.

კარგად ვარ შედარებით და შეფარდებით.

ამანათებსა და ბანდეროლებს წესიერად ვიღებ. წერილებს კი მეტად აგვიანდება — ოჰ, ეს ცენზურა!

შემაშფოთა რუსთაველის თეატრის ბედმა — დაწვამ. რა მოხდა? დიდი ზარალია! და დიდი დანაკლისი.

ჩემს ცხოვრებაში ჯერ არაფერი შეცვლილა სხვა ბანაკში გადასვლასთან დაკავშირებით. ჩემი სარეუიმო ბანაკი (Реж. лагерь) ჩამოყალიბების სტადიაშია — ვნახოთ, რას მოიტანს.

უსტარის მიღება დამიდასტურეთ.

გკოცნით სუყველას.

ლ ე ვ ა ნ ი“.

ჩ ე მ ო კ ა რ გ ე ბ ო!

გუშინ მივიღე ამანათი თამარის წერილით. ცალკე წერილები კი დიდი ხანია აღარ მიმიღია. მე კი, როგორც შესაძლებლობა მომეცემა ხოლმე, უმალ გწერთ. მხოლოდ ეს არ ვიცი, აღწევს კია თქვენამდე? ვწუხვარ. ეს აუგი და გარდაუვალი კითხვის ნიშანი მუდამ თან სდევს ჩემს ცხოვრებას, ყოფას, მოქმედებასა თუ შემოქმედებას.

ჩვენ აქ ძველებურად ვართ. წარმოიდგინეთ ჭაობის ერთფეროვნება. ძალიან მძიმე გეოგრაფიაა ტუნდრა, ისიც იმიერპოლარეთში და ისიც ბანაკში. ხალხი აქ შეუმჩნევლად ცვდება, იფიტება, უფერულდება, ავადდება, კვდება, ანდა იმდენად გლახაკდება, გამყიდველად ყალიბდება. მე არ ვეპუები ამას, თითქოს, მაგრამ წლებსა და გარემოს თავისი მაინც მიაქვს. სულიც მიაქვს რაღაცა და მე საბოლოოდ არ ვიცი, რაღა დამრჩება. ესეც საფიქრებელი და საფარდებელია, ფიქრმა კი შეიძლება მოგისწრაფოს აუგი და გაგაგიჟოს.

მადლობა, მივიღე „დავით აღმაშენებლის! II ტომი. ბანდეროლებს ველი. არ ვიცი, აღარ აგზავნით, თუ მე ვეღარ ვიღებ?!

რუსთაველის თეატრის ხანძარზე უფრო დაწვრილებით მომწერეთ, ასეთი დაუდევრობა?! ასეთი ზარალი?! ალბათ ბევრი აგებს სათანადო პასუხს! ნუთუ მავნებლობაა? არა მჯერა.

ჩემი უსტარი № 3—4 მიიღეთ თუ არა. გული წაიღო ამ ფოსტამ, პირდაპირ ავი სიდედრია.

მომაწოდეთ მასალები საქართველოზე, ნუ მომწყვეტავთ მას. მე მისი ყველაფერი მაინტერესებს — წარსული, აწმყო და მომავალი, მე ამით ვსაზრდოობ, ამით ვცოცხლობ.

სხვათა შორის, სანამ საბოლოოდ დაზუსტდებოდეს ჩვენი დახურული ბანაკის წესი, მწერეთ რუსულად, თორემ ქართულის წამკითხველი ცენზორი აქ არავინ არის და ამიტომ, მეშინია, უსტარს ბუხარს წააკითხებენ. მოკითხვა და დიდი სიყვარული სათითაოდ, სახელდობრ, მაგრამ დაუსახელებლად.

ნეტავი მთამსვლელები რას შვრებიან?

ქართველ ფეხბურთელებს რა დამბლა დაეცათ?

ეჰ! ჯერ კიდევ ყველაფერი მაინტერესებს, თუმცა იზრდება და ფართოვდება ჩვენს შორის ზღურბლი და მანძილი.

მაშ ასე, ისევ მოკითხვა და კეთილი სურვილები შინაურებს და ნაცნობ-მეგობრებს.

გკოცნით ლ ე ვ ა ნ ი“.

„ჩ ე მ ო კ ა რ გ ე ბ ო! სალამი და კარგად ყოფნა!

7. IX. 1949 წ.

ასე და ასე— ისევ ძველზე ძველებურად ვარ.

ჩვენთან ხომ დროც გაჩერებულია, — მხოლოდ ამინდი იცვლება და ჩვენც თანდათან „ვიცვლებით“, ძველი ხურჯინივით ამ მავთულხლართებში გადაკიდული.

უკვე დაიწყო აქაური ზამთრის დიდი აღმართი, მაგარი ჭირხლიანობა, ცივ-სითეთრე შემოგვეპარა.

აუ! ამ აღმართს რა გალევს?! დაგვწნეხეს, ჩაგვიხერგეს რეალობის სრულფასოვანი შეფასების უნარი. წაგვართვეს სულიერი სამყარო და არარაობა შეგვაგრძნობინეს.

ჰო, ჰო! რომ იცოდეთ რამდენი „თოვლი" უნდა ვთელოთ და რამდენი „ქარბუქი" უნდა ვყლაპოთ. უენოდ, ჩუმად.

კიდევ კარგი — შემოფარგლულ ადგილში ვბრუნავთ და აქაური „თავისუფალი" ხალხის გასაჭირს აცილებული ვართ. ჩვენი დაცვა ახლა უფრო საფუძვლიანი, ჩარკინებული და უფრო ბეჭითია. ჩვენი ცხოვრების ფარგლები სულ უფრო და უფრო იკვეცება და ვიწროვდება და, რაც მთავარია, ისე წვრილმანდება, რომ ლაპარაკიც არ ღირს. აფთიაქში აღარ დავდივარ, აქ ვმუშაობ მაღაროში. არა უშავს რა.

ჩემი თბილისში უკანასკნელი 10 წლის ცხოვრება სულ აღმართი იყო დიდი წინააღმდეგობის დაძლევით. მეც მთამსვლელი ვარ, აღმართს მიჩვეული — გავუძლე და დავძლიე, დაღმართიც აღარ მაშინებს, საკმარისად კარგად ვარ მიჩვეული. ოჰ! მომავალო, ხელი მომიმართე...

გკოცნით ყველას.
ლევანი".

„ჩემო კარგებო!

22. IX. 1940 წ.

მეტად შეგვიმძიმდა მიმოწერა, მეც არ ვიცი, რაღა მოგწეროთ. რის გამოგზავნა გთხოვოთ. ხან რას აგვიკრძალავენ და ხან რას... წერილების შესახებ უკვე მოგწერეთ, გამოგვიცხადეს—წერილების გამოგზავნის უფლება ჩვენ, პატიმრებს, გვაქვს წელიწადში არაუმეტეს ოთხი ცალისა, ხოლო ჩვენთან მყოფ კატორღელებს — ორი ცალისა. ჩემისთანა პატიმარი ვის მიეკუთვნება არ ვიცი. მიღების უფლება კი გვაქვს შეუზღუდავად. აღარც ბანდე-

როლებს უშვებენ, თქვენგან კარგა ხანია ქართული გაზეთი აღარ მიმიღია (ივლისის შემდეგ).

ეს სულიერი საზრდოც მომესპო და გამეცალა. საერთოდ ახლა ყველაფრის „არარუსულის" მიღებას გვიშლიან. აქ დედამიწის ყოველი კუთხის წარმომადგენელია და აბა ამდენ ცენზორს და მთარგმნელს სად იშოვიან?!

ასე რომ, თქვენ წერილები რუსულად მწერეთ.

ვაგლახ! — ქართული სიტყვა ჩემი ახნული გულის ტკივილს მალამოდ ედებოდა, მაგრამ ვაგლახ... და ვაგლახ! ჩემ სავალს ეს ეკლიანიც აკლდა და ესეც აიკიდა.

ჩემდა ბედად აღარც ქაღალდები და კონვერტები დამიტოვეს, ამიტომ ცოტ-ცოტა აგზავნეთ.

ეჰ, სულ ერთია — ჩემი აქაური სამწერლო მუშაობა სახრჩობელაზე ჩამოკიდებული კაცის სიმღერასა ჰგავს. მაგრამ ამ ყოველივეს დაძაბუნების კილოდ ნუ ჩამითვლით, არა და არა!

მართალია, ჩემი (და განა მარტო ჩემი) სულიერი, გონებრივი და ფიზიკური სამყარო მეტად შემოიწურა და შემოიფარგლა, მაგრამ უფრო შენივთდა!..

ისევ ამინდებზე ვისაუბროთ:

კვლავ დაგვიზამთრდა, მოვიდა ისევ ისეთივე ცივ-უჯმაჯური და მსახვრალი, როგორც ტუნდრას ეკადრება, და თქვენ რომ მწერთ, „სიცხისაგან ვიხრუკებითო", უკვე რაღაც ვერ წარმომიდგენია.

ბოი, როგორ გვაკლია მზე!

პატიმრობის გარდა — უმზეობაც გვჭირს!

შემთხვევისთანავე გწერთ, ეს, რა თქმა უნდა, ანგარიშის გარეშე. ვჩქარობ გული ვიჯერო. იქნებ მერმე კიდევ უფრო გაჭირდეს მიწერ-მოწერა.

აქ ძალიან ბევრი რამ შემთხვევაზეა დამოკიდებული, ასე რომ, ქართული წიგნები, გაზეთები მაინც გამომიგზავნეთ. იმედი მაქვს, რომ მაინც მოგვცემენ ბოლოს და ბოლოს.

ხილის ბანდეროლები კი, მედიკოს ჰკითხედ და მისი მოცემული მისამართით აგზავნეთ.

მეტად მეამა, რომ ჩემი უსტარი № 3—4 მიგიღიათ. გაგ-

რძელება იქნება, თუ ათას ერთმა შეფერხებამ სულ არ მო-
მიკვეთა კალმის ნამსხვრევი.

მწერეთ ხშირ-ხშირად ღია ბარათები, ჩვენს სოროში
ისინი უფრო მისაწვდომია.

აბა, ისევ და ისევ მოკითხვა ყველას და ყველას.

გკოცნით ლ ე ვ ა ნ ი".

„ჩ ე მ ო კ ა რ გ ე ბ ო!

6. XII. 1949 წ.

ცოტა შევაგვიანე წერილი... მაგივრად — თქვენგან ყვე-
ლა წერილი, ამანათი, ბანდეროლი მიღებული მაქვს. უფრო
ზუსტად ნიშნობრივ.

საერთოდ ოფიციალურად ორი წერილის გამოგზავნის
უფლება მაქვს წელიწადში. მე თუ „გამიანგარიშეს", გა-
მოგზავნილი წერილების რაოდენობით მთელი ვადა გამი-
თავებია. ქართულ წიგნებს და გაზეთებს აქ უცნაურად —
უცხო ენაზე დაწერილად თვლიან და აღარ გვაძლევენ.

თუმცა ამ ბოლო დროს საერთოდ ყველა წიგნი მოაგ-
როვეს და რაღაც რეგისტრირებას ელიან, მერმე გვპირდე-
ბიან დაბრუნებას, ვნახოთ. მოკლედ, ყოველდღე ახალ-
ახალ შეზღუდვებს იგონებენ, რომ საბოლოოდ დაგვიმძი-
მონ და გაგვიფუჭონ ისედაც გატეხილი ცხოვრება, ძალა-
დობის მძიმე ფორმების გამოყენებით იმდენად გაგვამწა-
რონ და გამოგვიყვანონ წყობიდან, რომ თვითმკვლელობამ-
დე მიგვიყვანონ, რაც აქ, სავალალოდ, მეტად ხშირია. უდა-
ნაშაულო ხალხის სიკვდილი მთავრობას სრულებითაც არ
აწუხებს, პირიქით, მას ხელს აძლევს კიდეც.

არის იმდენად მძიმე განცდები და ემოციები, რომ მა-
თი დავიწყება არ შეიძლება და დიდხანს რჩება მეხსიე-
რებაში. ვერავითარი ძალა მას ვერ ამოაგდებს. მართალია,
ეამთა სვლა ანელებს მის სიცხარეს, მაგრამ ვერ შეუშავს
დარჩენილ ჭრილობებს. ჩემმა ცხოვრებამ მე თითქოს ჩამ-
რეცხა კიდეც. გამეყინა სიცოცხლე, მაგრამ უფრო მტკივ-
ნეულად, უფრო მძაფრად გამიშიშვლა გულში ჭრილობა
ჩემი თავგადასავლის სახით. ამაზე დაწვრილებით მერე

მოგწერთ უცენზურად. რაც შეეხება წერილების წერას, აუხსენით ნათესავებს, რომ მე ძლიერ შეზღუდული ვარ ამ მხრივ — ასე რომ, თავი შეიკავონ. მათთვისაც ასეა უკეთესი. ამ მთავრობის ხელში შარი არ გამოუბან.

ქართულ მწერლობას, რამდენადაც ხელი მიმიწვდება თქვენი დახმარებით, თვალს ვადევნებ, ხოლო გული... გული არც მათ შერჩენიათ — ნიჭს რაღა უყვეს. იქნებ სადმე სოფლის კალოზე ან ქალაქის საბავშვო ბაღებში თუ დარბიან ფეხშიშველა ან თავქოჩორა მომავალი მწერლები, თორემ ჩვენს თაობაში, როგორც ჩანს, არც ილიას, არც აკაკის, არც ვაჟას და არც ბარათაშვილს მემკვიდრეები ჯერ-ჯერობით არ გააჩნიათ. მე კი მჯერა, რომ ასეთები მომავალში იქნება.

ეჰ, წერილს როცა ვწერ, თავი საქართველოში მგონია. მერმე, რომ მომაგონდება შვიდიათას კილომეტრზე გაკიდებული მანძილი, შევაჩერებ წერას და გულისხმად გადავიქცევი. გული მიგრძნობდა, ამიტომ ვიყავი ასე „დახარბებული" ქართულ კუთხეებს, ქართულ არემარეს, ხევებს, ქართულ მწვერვალებს და ქართველ ხალხს. არაერთგზის შემშურებია ჩემი ალიოშას ბედი, რომელსაც უშბის უბეში ვალმოხდილს სძინავს. მე ვერც ვალი მოვიხადე, ხოლო ძილისა კი სრულიად არა ვიცი რა (რბილად რომ ვთქვათ), მაგრამ ჯერ ცოცხალი ვარ და შეძლებისდაგვარად ერის ვალი მაინც მინდა მოვიხადო, სხვას რომ თავი დავანებოთ. ზეპირად, ასე შიგადაშიგ და ფრაგმენტულად წერა მეტად ძნელ-ცუდია, ზიანდება და კოჭლობს ფაქტების ისტორიული მხარე, აგრეთვე მხატვრული დონეც. მაგრამ, თუ ვინმე ამ სტრიქონებს წაიკითხავს, იცოდეს, რომ თუ მოვიკოჭლე, ეს იმიტომ, რომ ხელ-ფეხზე იმდენი მავთული მეხვია, მთელ დედამიწას შემოერტყმოდა.

კარგად, კარგად იყავით ყველა.

გკოცნით ლ ე ვ ა ნ ი".

დაძმური დამოკიდებულება, ალბათ, არავის გაუკვირდება, ჰაგრამ ლევანი თავისი ქცევით, განცდებით და სიყვარულის ღრმა გრძნობით განსაკუთრებული ძმა იყო ჩვენთვის. ამიტომ

გასაკვირი არ არის, რომ ლევანი, რომელიც ოჯახს დიდი ხნით მოცილებული ჰყავდა, ჩვენი დარდი, ფიქრი და ყოველდღიური საზრუნავი გახდა.

დრო მიიზლაზნებოდა უფერულად, ჩვენი ოჯახის ცხოვრება, უფრო სწორად არსებობა, გრძელდებოდა და ერთი მიზანი ასულდგმულებდა — ლევანის შველა და დახმარება. თურმე რა დიდი დრო გასულა შეუმჩნეველად. სამი წელი სრულდებოდა მისი დაპატიმრებიდან და ასე შორს, ჩრდილოეთში გადაკარგვიდან, ჩვენ კი ისევ ისე პირველ დღესავით მძიმედ და მტკივნეულად განვიცდიდით ყოველივეს, რაც მასთან იყო დაკავშირებული. ალბათ იმიტომ, რომ გულში ჯერ კიდევ ღრმად გვქონდა მოუშუშებელი ჭრილობა და ყველაფერი „გუშინ“ მომხდარი გვეგონა.

არა! ჩვენს ოჯახში ლევანის არყოფნას კი არ მივეჩვიეთ, არამედ უნებლიეთ შევეგუეთ. საწყალ დედას არავითარი იმედი და ნუგეში არ შერჩენოდა, სულ იმას გაიძახოდა, ლევანის დაბრუნებას მე უკვე ვეღარ მოვესწრებიო.

ლევანის უსამართლოდ დასჯის გრძნობა დღითი დღე ღვივდებოდა, საშინელ პროტესტამდე იზრდებოდა და საშველს არ გვაძლევდა, ისე ვიყავით გაცეცხლებული და გამწარებული, გვინდოდა რაიმე მოგვემოქმედა, უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლა გაგვეჩაღებინა, საქვეყნოდ გვეკივლა, გვეყვირა, ხალხისათვის ლევანის ნიჭი, მწერლობა და ღვაწლი შეგვეხსენებინა და ბოლოს ისღა მოვიფიქრეთ, მთავრობისათვის პატიება გვეთხოვა, თუმცა დარწმუნებული ვიყავით ლევანს ეს ძალიან შეურაცხყოფდა და ამაზე არც დათანხმდებოდა, ვინაიდან ამ მთავრობას ყოველთვის უნდობლობას უცხადებდა.

საქართველოში იმ პერიოდში ბევრი რამ გახდა ხალხისათვის გაუგებარი. სათავეში მოექცნენ ეგოისტი, უგულო, საეჭვო პირები, მათ შორის გამწვავდა უნდობლობა და შუღლი, გაძლიერდა სკამის დაკარგვის შიში. ვის ეცალა უსამართლოდ განწირული ხალხისათვის. ვინ შეისმენდა ამას? ლევანის თქმისა არ იყოს, ამ უმოწყალო წისქვილში უამრავი ალალი ხალხი ყველა ერთნაირად ვიღერღებოდით.

ამ წლების განმავლობაში ლევანთან მიწერ-მოწერა ასე თუ ისე მაინც მოწესრიგდა. მართალია, პერიოდულად სხვადასხვა მიზეზით რეჟიმის შეცვლის გამო მიმოწერა ფერხდებოდა, რა-

საც თან სდევდა ჩვენი გულისხეთქვა, შიში. სევდა, განცდა და უსათუოდ ლევანზე ავის მომასწავებელი ფიქრები. მიუხედავად ამისა, წერილებს ჩვენ მაინც ყოველდღიურად რიგრიგობით ვწერდით ხან ქართულად, ხან რუსულად, როგორც „იქ" მოეპრიანებოდათ.

რას არ ვწერდით, შინაურების თუ თბილისის ამბებს, ახალ თუ ძველ ჭორს, მოკლედ, ვწერდით ყველაფერს, რისი დაწერაც შეიძლებოდა თუ არ შეიძლებოდა. მართალია, ცენზორის გვეშინოდა, მაგრამ იმის იმედიც გვქონდა, რომელიმე ჩვენგანის წერილი ლევანიმდე მაინც მიაღწევდა.

ბანაკში სასურსათო ამანათების მიღება უფრო წესიერად ხდებოდა. პირველ ხანებში ამანათს ყოველ კვირას ვაგზავნიდით, მერე კი — 10 დღეში ერთხელ. ვინ მოთვლის, რას არ ვუგზავნიდით. ვცდილობდით განსაკუთრებით ის გაგვეგზავნა, რაც ლევანს უყვარდა, მაგრამ არც იმას ვივიწყებდით, რომ ჩრდილოეთში გაძლებისათვის საჭირო იყო — მსუყე და ნოყიერი საკვები.

დედა ხშირად თავისი პენსიით კანფეტებს და ტკბილეულს უგზავნიდა. მას კარგად ახსოვდა, რომ ლევანს განსაკუთრებით უყვარდა ნაგბარ-ნუგბარი. აქ ისიც გვინდა აღვნიშნოთ, რომ შემდგომში, როდესაც ლევანი საბოლოოდ განთავისუფლდა და თბილისში ცხოვრობდა, ისე როგორც ყოველთვის, ბედმა უმტყუნა და შაქრის ავადმყოფობა დაემართა. ლევანი ამასაც არაფრად აგდებდა და სიცილით ამბობდა: „სიბერეში უფრო დავშაქრდებიო".

კარგი წესი არსებობდა — ბანაკში ყოველი ამანათის მიღება დასტურდებოდა, პატარა ბარათს გვიგზავნიდნენ. ეს ჩვენი დამაწყნარებელი წამალი მალამოსავით მოგვეცხებოდა გულზე (ასეთი ბარათები ხახლში ბლომად დაგვიგროვდა).

ყოველ ორ-სამ დღეში ვუგზავნიდით ბანდეროლით გაზეთებს, წიგნებს, რვეულებს, მაგრამ მათი მიღება ჭირდა. ხშირად ცენზურის გამო ქართული წიგნები, რომლებსაც ჩვენ აქ ძლივს ვშოულობდით, ლევანიმდე ვერ აღწევდა და ლევანი ბევრჯერ თავის წერილებში ერთსა და იმავე წიგნს გვთხოვდა. იკარგებოდა გაზეთები. რვეულებზე ხომ დიდი გასაჭირი იყო. ლევანს სჭირდებოდა ცალხაზიანი პატარა რვეულები, რადგან ადვილი გამოსატანი იყო ბანაკიდან. საუბედუ-

რად, ამ პერიოდში თბილისშიაც ჭირდა ქაღალდის შოვნა. ჩვენ მაინც ხელზე ვშოულობდით და ვუგზავნიდით, იქ კი უნახავრებდნენ. ლევანი ისე განიცდიდა ქაღალდის ნაკლებობას, რომ ეს შიში მთელ სიცოცხლეში გაჰყვა, მაშინაც კი, როდესაც ქაღალდი თავსაყრელად ჰქონდა.

ლევანი ორივე ქალაქის — თბილისისა და ვორკუტის ფოსტას ძალიან ემადლიერებოდა. ეს ნამდვილად ასეც იყო. თბილისის საფოსტო განყოფილების თანამშრომლები ლევანის მიმართ კარგად იყვნენ განწყობილი და ამიტომ ყოველმხრივ გვიწყობდნენ ხელს. ვორკუტის ფოსტაში კი ვალერიან ჭუმბურიძე გვეხმარებოდა, ამიტომ აქაც ყველაფერი წესიერად სრულდებოდა. თუ რამე დაბრკოლება იყო, მხოლოდ ცენზურის მიზეზით. ზოგჯერ იქ ქართული წერილებისა და გაზეთების წამკითხავი არაყინ იყო და კორესპონდენცია პირდაპირ ღუმელში მიდიოდა.

ყველაზე კარგად ფულის გაგზავნა გვქონდა აწყობილი. ამის სამი გზა ვიცოდით: პირველი — კბილის პასტაში შევაცურებდით 25-მანეთიანს და ამანათით ვგზავნიდით, სულ გული გვისკდებოდა, იქ არ გაეგოთ ეს ამბავი. მაგრამ ერთხელ ლევანმა თვითონ შეგვატყობინა, პასტის ამბავი როგორ უბრალოდ გასკდა. ერთ-ერთმა პატიმართა ამანათი გახსნა და ცენზორმა სთხოვა კბილის პასტა მაჩუქეო. პატიმარი საშინლად შეწუხდა, პასტა მე მჭირდებაო და არ მისცა. ამან ჩეკისტი დააეჭვა. პატიმარს პასტა ჩამოართვეს. შემდეგ კი ატყდა დიდი აურზაური.

ფულის გაგზავნის მეორე გზაც სახიფათო იყო, მაგრამ შედარებით უფრო მყარი და საიმედო, ბანაკში ჯერ არ იყო გახსნილი. სარეცხის საპონს კოხტად ამოვუჭრიდით გულს, შიგ ფულს ჩავდებდით და ისე ოსტატურად დავგოზავდით, რომ კვალი სულ არ ჩანდა. ჩვენგან ლევანმა ასე საკმაო რაოდენობის სარეცხი საპონი მიიღო. მაგრამ ჩეკისტების თვალის ასახვევად საჭირო გახდა მესამე გზის გამოყენება — ნაწილი ფული მაინც ფოსტით უნდა გაგვეგზავნა. იქ პატიმრებს 100 მანეთიდან 10 მანეთს აძლევდნენ ხელზე, დანარჩენს კი თითქოს მათ ანგარიშზე ინახავდნენ. ამას ლევანიცა და ჩვენც მეტად საეჭვოდ ვუყურებდით.

მოკლედ, გოთუების მთელი ოჯახი ყოველდღიურად ლე-

ვანზე ზრუნვით ცხოვრობდა. ყოველივე ეს მოითხოვდა დიდ გარჯასა და ხარჯს, მაგრამ ამ მხრივ არასდროს არ ყოფილა დაბრკოლება. ეს გამორიცხული იყო. ლევანს არაფერს ვაკლებდით, ოჯახის დევიზს — ყველაფერი ლევანისათვის! — პირნათლად ვასრულებდით. გვიახლოვდებოდა 1950 წელი, მილოცვებთან ერთად ამანათიც ისე გავუგზავნეთ, რომ ახალ წელს ნამდვილი ქართული სუფრა გაეშალა.

„ჩემო კარგებო!

1. I. 1950 წ.

გილოცავთ ახალ წელს, ესეც 1950 წელი, XX საუკუნის შუა წელი.

დიდი და საინტერესო თარიღია.

ყოველმხრივ სანიშნო და საჯვარედინო მიჯნა!

საერთო თვალსაზრისითაც და კერძო, პირადული საზომითაც. პირადად ჩემთვის კი მით უფრო, რადგან მე ხომ თითქმის „კბილა" ვარ ჩვენი საუკუნისა. მე და XX საუკუნე ხომ თითქმის ტოლები ვართ მხოლოდ ხუთი წლითაა იგი ჩემზე უფროსი. სხვა პირობებშიც ხქნებ ჩემთვისაც ეს 1950 წელი შუა გზა ყოფილიყო (როგორც ჩემი საუკუნისათვის), მაგრამ ახლა ჩვენ (მე და საუკუნე) ოდნავ სხვადასხვა პირობებში ვხვდებით ამ თარიღს და მაინც ვხვდებით! ეს არის მთავარი.

დედამიწის ყოველ კუთხეში ალბათ ბევრი ღვინო და მელანი „დაიღვრება" ამ თარიღის აღსანიშნავად. ბევრი ოცნება და იმედი იშვება, ბევრი მოგონება და სევდა იღვიძებს, ბევრი ურთიერთ მოლოცვა და სურვილი დაირხევა სუფრებზე თუ მათ გარეშე. ჰოდა, მე მინდა, რომ მანდ მიგულოთ! ყველგან მიგულოთ! მანდ, კავკასიონის თქვენს მხარეს! მიუხედავად საოცარი სიშორისა, ათასი მავთულისა და სხვა დაბრკოლებისა.

რაა სიშორე, თუ „გული გულობს", გულს თავისი სხვა გეოგრაფია აქვს... აქ, ხშირად, მანძილი გულწრფელობაში გადადის, ხოლო ახალი დაბრკოლებანი — ცხოვრების გამჭაფრებულ წყურვილში!

ამ საუკუნის შუა წელს დედამიწის ჩრდილოლერძთან „გადავალაჯე“ ბორკილებისა და ჭარბუქების ნარევ ხმაში. ვერ გავარჩიე მისი სახე, არ ვიცი იგი წელმოწყვეტილი გველია თუ ბედითი მექანი... მაგრამ რადგან წელზე მივეჭედე, გადავწყვიტე ბოლომდე მივყვე!

საოცარია ადამიანი, მით უფრო საოცარია პატიმარი ადამიანი! იგი უფლებრივი სხვაობის გარდა, ფსიქოლოგიის სხვაობასაც ჭარბად შეიცავს. ამ მხრივ მისი სამყარო ისევე უძიროა, ვით უსაზღვროა სამყარო თავისუფლებისა, მაგრამ აქ... წერტილი დავსვათ. მაშ, გისურვებთ ბედნიერ ახალ წელს თითოეულს და ერთობლივ, ნათესავებს და მეგობრებს, შინაურებსა და მეზობლებს.

მიღებული მაქვს წერილები და ამანათი სწორედ ახალი წლის წინა ღამეს — რამაც ფრიად გაგვახარა. აქაურმა „ჩრდილო-ქართველებმა“ „ქართული პურმარილით“ გავითენეთ ახალი წელი (თუმცა აქ ახლა მეტად გვიან თენდება, ხოლო სამ საათზე უკვე ღამეა).

მე კარგად ვარ, მართლა კარგად. ზამთარს მივეჩვიე რომ ჩემი წერილები კვლავ ვეღარ აღწევს თქვენამდე, სავალალოა, მაგრამ, რას იზამ, ამსიგრძე მანძილზე წერილის დაკარგვა რა გასაკვირია!

მე კარგად ვარ, მართლა კარგად. ზამთარს მივეჩვიე ისე, რომ დღეს — 53° ყინვა იყო, მაგრამ ჩემზე მაინცდამაინც არაფერი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. ამ ბოლო დროს მეტად ბევრს ვწერ და წერით გატაცებულიც კი ვარ. მაგრამ მტრისას, თუ ჩამეკვრიტეს. ყველაფერს წამართმევენ. ამიტომ პერიოდულად შიშს დიდი თვალები აქვს. ბანდეროლით გამოგიგზავნეთ თუ იშოვება ს. ყუბანეიშვილის „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათიის“ II ტომი (პირველი მაქვს), ტრ. ხუნდაძის „ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია“.

მომწერეთ დაწვრილებით თქვენი ამბავი.

საუვარულით მოკითხვა დედას და ყველას, ვისაც ვახსოვარ.

გკოცნით ყველას. თქვენი შინაგული ძმა ლევანი“.

„ჩემო კარგებო!

8. II. 50 წ.

თქვენი გამოგზავნილი წერილები დღეს მივიღე, ერთად დაგროვილი, აგრეთვე მიღებული მაქვს ფული, ყველა ბანდეროლი და ამანათი. ამიტომ ამჯერად ფოსტას ვერ დავემდურები. თქვენკენ უფრო იკარგება წერილ-უსტარი. ჯანმრთელობის მხრივ კარგად ვარ. შთავარია, რომ შრომის უნარი და სურვილი კვლავ მეწვია და, რაც უმთავრესია, ოდნავი პირობებიც კარგად მოეწყო. ამიტომ არავითარი სურვილი სადმე სხვაგან გადანაცვლებისა არა მაქვს. ჯერჯერობით ასე ჯობია. აქ შეძლებისდაგვარი ფორმა ცხოვრებისა გამოვნახე, ხოლო ეტაპებში ხეტიალი და ყველაფრის თავიდან დაწყება არაფრად სახარბიელო პერსპექტივაა. მით უფრო, არსებით განსხვავებას მაინც ვერ მივაღწევ.

თუ გაზაფხულზე ხელი არ შემეშალა და სხვაგან არ გამაგზავნეს (ამის შემთხვევები არის), საკმაოდ ბევრი რვეული დამჭირდება. ასე რომ, ნურავის ნუ აწუხებთ და ჩემს თავს ნუ აგონებთ, არც მაგის დროა და არც რეალური შესაძლებლობა (არაფერი არ გამოვა, ვინ არის ჩვენი გამგონი და დამხმარე).

ვნანობ, რომ ჩემი უსტარი № 5 დაიკარგა. იქ, სხვათა შორის, წიგნების სიას გწერდით, აუცილებლად საჭირო წიგნებისა.

გუგული თორაძეს გადაეცით, რომ მინდოდა როგორმე მაგისთვის ხელი შემეწყო, არც დამიზარებია. ვაგლახ, რომ, ვგონებ, ბოლოდ შევაფერხე!? ახლა თავად იცის. ნუგეშად ისღა მრჩება: მისი ბალეტის ლიბრეტოს ვინაობა „ლიტგაზეთში" ამოვიკითხე. ვიცი რა მათი ტაქტი და მხატვრული გემოვნება, ჩემი ნაღვაწი მიმინდია და ყველაფრისათვის წარმატება მისურვებია!

თუ საჭიროა „სამ პატარძალსაც" უაქმონ, თუნდაც გაათხოვონ, დანარჩენს კი ხელი უშვან (მაგ. „მეფე ერეკლე", „დავით აღმაშენებელი", „უძლეველნი").

მანდ ჩემს ნაწერებში ნახეთ:

№ 1 სიბრძნე სიკვდილისა — მოთხრობა,
№ 2 ლურსმული ლექსი,
№ 3 აქოჩრილი ვარსკვლავი, ფრაგმენტი ისტორიული რომანიდან,
№ 4. კუდალა ზაქი,
№ 5 ულვაშის ჩრდილი (გაგრძელება).

მე სულ ვაგრძელებ და ვაგრძელებ. თუ დამცალდა, კიდევ მოვიქნევ ლიტერატურულ ცუდს და თუ არა, ეს ფრაგმენტები მაინც დარჩეს როგორც ჩემი „თეთრი ღამეებისა“ თუ „შავი დღეების“ თანაზიარი.

კოლიამაც დიდი ხარვეზის შემდეგ მიიღო წერილებიც და ამანათებიც. დედამისმა ერთი წუვილი წინდა მეც მომიქსოვა, ეს უკვე მეორე წყვილია მის მიერ გამოგზავნილი. დიდი მადლობა შეუთვალეთ მედიკოს პირით. ტანისამოსიდან არაფერი მჭირდება. მრავალნანახი და ნაცადი ალპური კოსტიუმი ჯერ კიდევ მემსახურება. ტუაქის მოკლე ქურქიც მაქვს, ისიც მანდაური, ასე რომ, ოოლად მივდივარ. საკოხტაოდ კი არ მცალია, ან ვინ გვაძლევს ამის უფლებას. გამომიგზავნეთ პირსახოცი და ფუნჯი (პირის საპარსავი), აგრეთვე ჩაი. დანარჩენი თქვენ უკეთ იცით.

მოკითხვა ნათესავებს და ნაცნობ-მოკეთეებს.

სოფელში როგორ არიან? კიკასი ალარაფერი არ გაჩორკვეულა დამატებით? ვკოცნი დეიკოს, დედას მოუარეთ!

აბა, კარგად და კარგად იყავით.

გკოცნით. თქვენი ლევანი“.

„ჩ ე მ ო კ ა რ გ ე ბ ო!

11. III. 50 წ.

დღეს გადმომცეს თინას წერილი, ცოტა დაგვიანებით, მაგრამ ეს გასაგებია. მთავარია, რომ არ იკარგება. ალბათ ახლა უკვე მიღებული გექნებათ ჩემი წერილი, ყოველ შემთხვევაში, მოკლედ ვიმეორებ: მიღებული მაქვს ყველაფერი, გარდა ფულისა (100 მანეთი).

ესეც მე დამიდასტურეს, მიღებაზე, მეორე დღეს, თითქოს უკვე დაგვიანებული იყო, უკან გამოუგზავნიათ. ნურც შეგაწუხებთ ეს გარემოება და ნურც დაკარგავთ მას. მისამართი იგივეა. ესაა, მე ხუნებური მოკალმე გამომიჩნდა. არავითარი დამატებითი სახელი არ უნდა.

მოუთმენლად ველი რვეულებს და წიგნებს, განსაკუთრებით აკად. ნ. ბერძენიშვილის „მასალები XIV—XVII საუკუნის ისტორიიდან", (კახეთის შესახებ, ალექსანდრე მეფის ირგვლივ). ჩემს წიგნებში იყო ბუბრალო, უყდო გამოცემა აკადემიის, ძალიან მჭირდება, ესღა მიფერხებს მუშაობას.

ისტორიული რომანის თავები — ფრაგმენტები ბლომად დამიგროვდა (ჯერ ველი პასუხს ჩემს წერილზე 8. II თარიღის) და თუ რაიმე შემთხვევითმა გარემოებამ ხელი არ შემიშალა, დროს არაფრად დაკარგულად აღარ ჩავთვლი.

სულიერად და ხორციელად გაცილებით უკეთ ვარ. ჯანმრთელობის ერთხელ კიდევ გამოსწორება უდიდესი რამ არის, რა თქმა უნდა, ისევ და ისევ საქართველოს მადლითა და მანდაური დახმარებით. თქვენი მუდამ და მუდამ მადლიერი ვარ, მაგრამ მეტისმეტს ნუ გააკეთებთ, თქვენს თავსაც მოუარეთ.

ისე გავერთე ძველი ისტორიით, რომ ხვალინდელ დღეზე არც ვფიქრობ. არც ვაგონებ თავს არავის. ამის დრო არც არის და ვის მოვაგონო? თვითონ ჩვენს მთავრობაში და შინსახკომშიც კარგად იციან ჩემი ნამდვილი ამბავი და რა გამოვიდა. ჩემი ცხოვრება ისევ ისე მავთულხლართებში მიიკეცა. უცვლელად, ულიმღამოდ. სიცივეებს მივეჩვიე, ქარბუქს კარგად ვუძლებ. ბოდა, მეტი რაღა მინდა, მოთმინება, მოთმინება და რვეულები.

მოკითხვა ყველას.

თქვენს შეკითხვებზე მე პასუხი უკვე წინა წერილით გაგეცით. თუ თქვენამდე არ მოვიდა, ისევ მოგწერთ ახალ მისამართს. თქვენ რომ მწერთ, ვფიქრობ არ გამოდგება. სულ ვწერ და ვწერ, ისე მივერეკები, რომ უკან დახევას უკვე ველარ შევძლებ.

აქ, ბანაკში, ქართველებმა პატარა სათბური გავაკეთეთ, ასე რომ გამომიგზავნეთ თესლები: პამიდვრის, კიტრის, ქინძისა, წიწაკის, ყველაფერი ძალიან ცოტ-ცოტა. წარწერები რუსულად გაუკეთეთ. ამის გამოგზავნა შეიძლება ამანათით. რვეულები ამანათში არ ჩადოთ, არ მომცემენ, არც წიგნები. ცალკე ბანდეროლით, როგორც ყოველთვის. ოჰ, რომ იცოდეთ, როგორ მომენატრეთ ყუველა, ჩემი სამშობლო, თბილისი. დრო მიიზლაზნება, მაგრამ მე იმედს არ ვკარგავ, უსათუოდ წალმა დატრიალდება ჩემი ბედის ბორბალი. ჩემს ცისერზე იმდენი ორომტრიალი ამოგორდა და გადაიყარა, რომ მჯერა ცისარტყელაც დამხედავს.

შორეთიდან ჩრდილოეთის ყმა.

გკოცნით ლევანი".

ჩემო კარგებო!

22. IV. 50 წ.

ცოტაოდენ მე თვითონ შემაგვიანდა მოწერა. ახლა კი ყველაფერს ერთად ვწერ.

ყველაფერი მიღებული მაქვს უკლებლივ — წერილები, ბანდეროლები, ამანათები, საკვირველად წესიერად. მივიღე აგრეთვე წიგნები და რვეულები. ბევრი ვიცინე, ასეთი ყდიანი დიდი ზომის რვეულები აქ სრულიად გამოუსადეგარია. მომავალში გაითვალისწინეთ, რომ გამომიგზავნოთ სულ უბრალო ცალხაზიანი მოწაფის რვეულები, რომ დავკეცო ხოლმე, წინდაში ჩაეტიოს დასამალავად.

ეჰ, აქ ბანაკია და ვიდრე „კარიბჭემდე" მივაღწევთ, ათი მავთული და თვალი უნდა გავიაროთ. მიუხედავად ყველაფრისა, კარგად და ნაყოფიერად ვმუშაობ. ფრაგმენტულად პირველი წიგნი ისტორიული რომანისა უკვე მზადა მაქვს, მაქვს აგრეთვე დაწერილი მეორე და მესამე წიგნის თავების ფრაგმენტები. საჭირო წიგნებისა და მასალის უქონლობა საშუალებას არ მაძლევს შევკრიბო და მთლიანად რედაქცია მივცე. მე გწერდით, რომ

აკად. ნ. ბერძენიშვილის წიგნი ჩემს წიგნებში მოგენახათ. თქვენ ყოველთვის ზოგადად იწერებით ხოლმე, თუ წაღებულია ჩემი წიგნები? ამიტომ უფრო დაწვრილებით მომწერეთ ყველაფერი.

მე კარგად, ჯანმრთელად ვარ და, თუ ასე გაგრძელდა, კიდევ ბლომად მოვასწრებ დაწერას. მე თუ წერა ვერ შევძელი, ისე არც ჯანმრთელობა მინდა და არც სიცოცხლე. უბედურება ესაა, რომ ჩემზე უკეთ არავინ იცის, რამდენად ვაკლებ ხელს რომანს უმასალობის გამო.

აქეთ ხელახლა თოვლია. სადღაც, მავთულს იქით, გაზაფხული მოცოცავს, თუ არ გაიხლართა.

ღამღამობით „ჩრდილოეთის ცისკარი" („Северное сияние") გვინათებს. ასე რომ, ჩვენც ვცოცხლობთ!

ამ წერილს დაგვიანებით ვაგზავნი. ისეთი ყინვა შემოიპარა ისევ, რომ შუშებია ისე გაძგიფილი, სინათლეს ძლივს უშვებს, სამაგიეროდ ღამის 3 საათზე უკვე სინათლეა. ერთი სიტყვით, ყველაფერი უკულმაა ამ დაწყევლილ, უკულმართ ადგილზე.

ყველას მოკითხვა და კეთილი სურვილები.

გკოცნით ლ ე ვ ა ნ ი".

ოჯახის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ლევანის წერილებში გამოხატული მისი გუნება-განწყობილება გვახარებდა, დიდ შემობრუნებას ვგრძნობდით. იმაზედაც ხომ ვფიქრობდით და ვღელავდით, ამდენმა ცხოვრების არევამ და დარბევამ, რაც მას გადახდა, საბოლოოდ არ გატეხოს და დაუკნინოს, როგორც სხვა ბევრი.

წიგნის წერის დროს ბევრმა მეხმა გადაურა თავს, მაგრამ ლევანი ჭეშმარიტი შემოქმედი იყო და, მიუხედავად უმძიმესი პირობებისა, მისი ნიჭი ყოველთვის ბობოქრობდა. და, აი, პატარა შესაძლებელობა და დიდი ნაწარმოები შეიქმნა, გამტკიცდა კალმოსნური სულისკვეთება, გაღრმავდა სულიერი საზრდო. ჩვენთვის ის იყო ყველაზე მნიშვნელოვანი, რომ ლევანის შემოქმედებითი სიცოცხლე გაგრძელდა.

ახლა ახალი ღელვა და გულისხვეთქვა დაეწყო ოჯახს — ბანაკიდან წიგნის უვნებლად და საიდუმლოდ გამოტანა და თბილისში მშვიდობით ჩამოტანა, აქ კი მისი სათანადოდ შენახვა.

გამოგზავნილ წერილებში ლექსიც აღმოჩნდა, დაწერილი სამშობლოს სიყვარულით, მისი ნახვის ნატვრით და მალე ღაბრუნებაზე ოცნებით.

დარდიან ხმაზე

(სიმღერა)

...შორს, ჩრდილოეთში გაძევებული,
ეს ჩემი გული აძგერებულა —
სამშობლოს შორვით დაღონებული,
დარდიან ხმაზე ამღერებულა!
ეუეუნა წვიმავ! სიო-ნიავო! სხივო მზისაო!
ჩემსა სოფელში მიმაბრუნე, კვალო მზისაო!

მე აქ რა მინდა — არა მინდა რა!
არც ცის ნათელი — არც მიწის ღალა...
სად არის ჩემი ტკბილი ფანდური?
ჩემი მთა-ბარის ბუნების ძალა?!

ეუეუნა წვიმავ! სიო-ნიავო! სხივო მზისაო!
ჩემსა ქალაქში მიმაბრუნე, კვალო გზისაო!

სულ იქითა ვარ მარად და მარად,
სულ იქითა მაქვს თვალი და გული,
ჩემი სიცოცხლე ნუთუ არ ქმარა,
რომ ერთხელ კიდევ ვნახო მამული?

ეუეუნა წვიმავ! სიო-ნიავო! სხივო მზისაო!
საქართველოში მიმაბრუნე, კვალო გზისაო!

13. V. 1950 წ.
ჭ. ვორკუტა.

ჩემო კარგებო!

26. V. 50 წ.

ჩემი № 4 (22/III) წერილის პასუხი ჯერ არ მიმიღია, მაგრამ მიღებული მაქვს ფული, ამანათები, როგორც წიგნები, ასევე სურსათი და თქვენი წერილები. მივიღე წიგნები — ჯავახიშვილის ისტორია და ბერძენიშვილის მასალები. ამ უკანასკნელმა განსაკუთრებით გამახარა, თორემ პირდაპირ ხელფეხშეკრული ვიყავი. ასეთ პირობებში და გარემოში ჩემს მწერლობას ხომ მადლი არა აქვს, მაგრამ სულ უწიგნოდ ყოფნა აღარაფერს ჰგავდა. ერთი სიტყვით, ახლა ჩემს ისტორიულ რომანს თავიდან და უკვე უფრო დალაგებულად მოვყვები. როგორც უკვე გწერდით, 20 ფორმამდე უკვე დაწერილი მაქვს. მართალია, ფრაგმენტულად, ნაწყვეტ-ნაწყვეტ და ალბათ ხელმიკლებითაც, მაგრამ ჩემს პირობებში ესეც სასწაულია, დიახ — სასწაული!

წინა წერილში გწერდით და თუ ნაპოვნი გაქვთ (ჩემს წიგნებს შორის იყო), გამომიგზავნეთ:

1. Белокуров, Сношение России с Кавказом.
2. Веселовский.
3. ვახუშტი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსი“.
4. Полиевктов.
5. ქიზიყური სიტყვათა ლექსიკონი.

მე კარგად ვარ, გამძლედ — მუქ შერუჯულ ხესავით. შევეგუე თანდათანობით აქაურ ბუნებას. თუმცა აშკარად რომ ვთქვათ, აქ ბუნება არც არის — აქ მხოლოდ გეოგრაფიაა! ისიც მავთულებით საბოლოოდ გაფუჭებული... გაზაფხულის შორეული ყნოსვა ჩვენამდეც აღწევს უკვე. მართალია, ხშირად თოვს ხოლმე, მაგრამ უმალვე დნება, ზამთრის თოვლის ქვეშიდან ახლა ჩამპალი ტუნდრა ამოძვრა. მდინარე ჯერ გაყინულია. საბაგიეროდ ჭაობებში ჩაგუბდა წყალი. „თეთრი ღამეები“ კარგა ხანია წამოგვეწყო.

უცნაურ დროში ვართ — ღამის ბინდიც დავკარგეთ და დღის მზეც ჯერ ვერ მოგვწევია, ხოლო ჩრდილო ქარი რომ წამოუბერავს, ისევ შუა ზამთარში გადაგვტყორცნის ხოლმე.

ცხოვრების პირობები ჩვენთან უცვლელია. ისიც მიხარია, რომ თქვენთან უმჯობესდება მაინც.

აბა, ზაფხულის გატარებას კარგად გისურვებთ.

ვინ, სად და როგორ ბპირებთ.

ლექსი თუ მიიღეთ, შემატყობინეთ.

აბა, კარგად და კარგად.

გკოცნით ლ ე ვ ა ნ ი".

„ჩ ე მ ო კ ა რ გ ე ბ ო!

14. VI. 1950 წ. — 5. VII. 1950 წ.

პირველყოვლისა, ყველა წიგნი და გაზეთი მიღებული მაქვს. ფულიცა და ამანათებიც, რის შესახებ გწერდით.

ვპასუხობ თქვენს წერილზე: მე მაინტერესებს საქართველოს, უფრო ზუსტად, კახეთის ისტორიის მასალები XVI—XVII საუკუნე. თუკი რამე ახალია ამ დარგში, ყველაფერი გამომიგზავნეთ. მანდ რომ ვიყავი, ვაგროვებდი მასალებს, მაგრამ არ დამცალდა, ახლა მეხსიერებითა და „ღარიბულად" ვმუშაობ... ესეც თუ დამცალდა! მოკლედ, ჩემი ლიტერატურული მუშაობა სულ „დაცდაზე და მოსწრებაზე" არის დამოკიდებული. ამიტომ ვჩქარობდი მუდამ. ახლაც ასეა. წიგნებზე უკვე გწერდით. ბელოკუროვის წიგნის არქონებამ მიფერხებს პირველი წიგნის დამთავრებას. ამ ზაფხულში, ყოველ შემთხვევაში, მოვითავებდი. ზაფხულს — თქვენებური საზომით ვვარაუდობ, თორემ აქ ჯერ კვირტებიც არ გვინახავს!

წავიკითხე გაზეთში, საბა-სულხანის ლექსიკონი გამოსულა. ჩემი საყვარელი წიგნია და ნუ მომაკლებთ. მოუთმენლად ველი ვახუშტის „გეოგრაფიას", აქ ყოველი ქართული წიგნი... ქართული მიწის ნაჭერია და

უფრო მეტიც — ქართული სულის ნაჭერი. მანდ რომ ვყოფილიყავი, ჩემ მიერ „აღსაწერ“ ადგილებს თავად ვეწვეოდი, „თვალითა და ხელით“ გავსინჯავდი. ახლა კი ზოგი მეხსიერებას და ზოგი ვახუშტის „აღწერას“ უნდა დავემყარო.

ვმუშაობ თხუნელასავით თვალებდახუჭულად, ტრც სუნს და არც სმენას ყურადღებას არ ვაქცევ, მე ჩემს საქმეს ვაკეთებ. თუ მოვაბი თავი, ხომ კარგი, თუ არა და, მე ჩემს ცდას არ დავაკლებ. პირველი წიგნის გამოგზავნა ცოტა ხანს კიდევ გადავდე, ისტორიული მასალის მიღების შემდგომ მრავალი შესწორების საშუალება მომეცემა. თქვენი წყალობით სურსათი და ფული მყოფნის და, თუ ფოსტამ განაგრძო ასე წესიერად მუშაობა, ჩანს, ჩემს ბედს „ძაღლი არ დაჰყეფს“.

თუ კახეთზე რამე გამოვა ახალი, კვლავ გამომიგზავნეთ. ამის შესახებ მერმე უფრო დაწვრილებით მოგწერთ. მე ვფიქრობ, კიდევ მოვესწრებით ოჯახის მთლიანობას. სულ ასე ხომ არ იქნება ყოველივე, ეს შეუძლებელია. უსათუოდ ახლო მომავალში გასკდება ყველაფერი. ახლა აქ მოთბა, ქურქი და თან სათბური გავიხადე. დიდი მადლობა თესლებისათვის. ჩვენს პატარა სათბურში ვნახოთ რას იზამს ქართული „ქინძი, პრასა, წიწმატი“, ესოდენ შორს, იქით ჩრდილოეთში!

ლიტერატურულ, ენათმეცნიერულ და სხვა დისპუტებს ყურადღებით და სიამოვნებით ვეცნობი. მართალია, დაგვიანებით და ხარვეზებით, მაგრამ მაინც...

განსაკუთრებით გამაკვირვა და მასიამოვნა „გაპოლიტიკოსებული და გაკლასობრივებული“ ნაწილის დასამარებამ და დამარილებამ! ეს ამბავი ძალიან საგულისხმოა და ნიშანდობლივი — მარი კი არა, მავრი გამოვიდა!

საბრალო მეგობრის გარდაცვალება წავიკითხე გაზეთში. საერთოდ მაგეთს ამ „ჩრდილიან გვერდში“, სავალალოდ, მრავალ წაცნობს ვხვდები ხოლმე. მოვიგლოვ მათ შორიდან — მარტოხელად, თავშეუხსენებლივ, რამეთუ აქედან საიქიოც უკეთ ჩანს და უფრო ახლოცაა.

სანამ ეს წერილი მიდგებ-მოდგება, დამჭირდება უბრალო რვეულები, „მოწაფური". გამომიგზავნეთ ძველი მისამართით. ბევრი არა, ჩამომართმევენ, ათიოდე.

ვცხოვრობ ძველებურად. ჩემს ცხოვრებაში ამ ხნის განმავლობაში არავითარი არსებითი ცვლილება არ მომხდარა და, იმედი მაქვს, ასე მყარად ვიქნები კარგა ხანს.

სულ ჩემზე ვსაუბრობ. აბა, ახლა თქვენს შესახებ ვისაუბროთ: ჯერ ერთი, მოკითხვა ყველას, ასე ჩამოუთვლელად და უსახელდებოდ. არა იმიტომ, რომ არ მახსოვან, არამედ იმიტომ, რომ კარგად მახსოვან.

დედა როგორ არის? მოუარეთ კარგად!

აბა, გისურვებთ კარგ ზაფხულს, უკეთეს შემოდგომას.

9. V. გაზეთში შევხვდი ჩვენი თამარის დასახელებას, სამამულო ომში მონაწილეობასთან დაკავშირებით, გამეხარდა, მაგრამ კიდევ ერთხელ ვინანე, რომ მან ჯერ ვერ გამოაქვეყნა იქაური ამბები.

კოცნა, მოკითხვა და კარგი სურვილები ყველას.

ლევანი"

„ჩემო კარგებო!

23. VIII. 1950 წ.

ვადასტურებ კვლავ ამანათებისა და ბანდეროლების მიღებას.

ასე რომ, ფოსტა დიდებულად მუშაობს.

წიგნების ამანათიც მიღებული მაქვს.

ერთი ასმანეთიანი უკან გამოუბრუნებიათ, ვინაიდან სახელი და მამის სახელი ყოფილა შენაცვლებული. ასე რომ, ეს გარემოება ნუ შეგაწუხებთ. იყავით დაკვირვებული. თამარ, არც ჩუსტები და არც ტუფლები არ მინდა. საგარეოდ არც ერთი გამომადგება, არც მეორე. საერთოდ ტანისამოსეული არაფერი არ მინდა. რაც პატიმარს შეეფერება, მაქვს, დანარჩენი კი აქ საჭირო არ არის. ვინ ჩაგვაცმევს. წაგვართმევენ. ჩვენ ხომ აქ,

ყველა „სიკეთესთან“ ერთად, გამასხარავებული და გაჩანჩურებული პატიმრები ვართ. ჯანმრთელობით და საერთოდ კარგად ვარ იმიტომ, რომ ბევრს და ნაყოფიერად ვმუშაობ, თქვენ მხოლოდ რვეულები მომაშველეთ, რვეულები.

რა უბედურება მჭირს, ამ პატიმრობაში რა „მასალაზე“ არ მომიხდა წერა: ფურცლებზე... ძველ გაზეთებზე... ფიცარზე, მიწაზე, ქეჩაზე, ხარის ტყავი აქ არ არის, ხოლო ჩემს ტყავზე შესაძლოა მომიხდეს, თუ კი შემრჩა ღა...! ასე რომ, რვეულები, უბრალო, ხაზიანი მომაშველეთ. XX საუკუნე, პირველ ყოვლისა, ქაღალდის საუკუნეც არის და ჩემი „ვიშ-ვიშიც“ ამ პრობლემის ირგვლივ პირდაპირ პარადოქსია.

და ოდესმე ჩემი „შავების“ მოგროვება რომ მოვახერხოთ, ერთ სასახლეს ალბათ ავაშენებდი ამ „მასალიდან“.

ყველა თარიღი შევამოწმე და გამოირკვა, რომ მარტო ფოსტას ჩემს წინაშე არავითარი დავალიანება არ აქვს. ყველა წერილი გაცემული აღმოჩნდა. ვფიქრობ, მარტო იქ არის ამჟამად კეთილშობილი ხალხი.

ტყემლის ბოთლები კი, საუბედუროდ, ყველა გაჩეხილი აღმოჩნდა. ჩანს, სიცივეს ვერ უძლებს. არც ცენზორმა დააკლო ხელი ჩრდილოეთში! ნარჩენი ნამტვრევებში მაინც ყველას ძალიან გვეგემრიელა.

მამაჩვენის გამოცემული გაზეთები მალულად უმჯობესია რომელიმე მუზეუმს გადასცეთ. მე არაფერი მაქვს საწინააღმდეგო; თუ დაიკარგა, გული დამწყდება. ნუ დაკარგავთ.

ლიტერატურულ, ენათმეცნიერულ და სხვა დისკუსიებს შეძლებისდაგვარად გაზეთებით თვალს ვადევნებ, მაგრამ კომენტარებისაგან თავს ვიკავებ.

„საჩვენებლად“ მე ვეღარაფერს ვერ დავწერ, გულუბრყვილობაა, მაგრამ არაფერზე აღარ ვფიქრობ. ამჟამად გულისყურით შემოვიფარგლე ისტორიული რომანით. პირველი ტომი დაწერილი მაქვს, სამი კიდევ დასაწერია და თუ ეს მე აქ შევძელი, ჩემი „თავისუფლებაც“ იქნება.

გაზეთს (ქართულს) ყურადღებით ვკითხულობ, ბევრს საამოსა და უამოს ვხვდები შიგ.

აბა, იყავით კარგად, ჯანმრთელად, უკლებლივ.

მოკითხვა ყველას, ყველას, ყველას.

თქვენი ლ ე ვ ა ნ ი“.

„ჩ ე მ ო კ ა რ გ ე ბ ო!

23. IX. 1950 წ.

ბოლოს მომეცა საშუალება, წერილისა და წიგნის (ხელნაწერის) გამოგზავნისა. ამის გამომტანი ახალგაზრდა ინჟინერი აქ მუშაობდა, იყო პრაქტიკაზე, ასე რომ, აქაური ცხოვრების ამბები კარგად იცის.

დანარჩენს თვითონ გიამბობთ.

ამანათები და წერილები ყველა მიღებული მაქვს. გუშინ გადმომცეს ფული — ასი მანეთი.

ბანდეროლები კარგა ხანია არ მიმიღია. ეს ალბათ ზაფხულის ბრალია — ეს არაფერია. მხოლოდ ვახუშტის „გეოგრაფიის“ გამოგზავნა მეტად შეგვიანდა. ხოლო მე მეტის გადადება აღარ შემეძლო. ასე რომ, „ხელნაწერს“ ამ მხრივაც შეუსწორებელს ვაგზავნი. ეჰ, რას იზამ მარტო ეგ რომ იყოს, კიდევ არაფერია...

ახლა უშუალოდ ისევ ხელნაწერის შესახებ.

საუბედუროდ, ხელი სულ უფრო და უფრო გამიფუჭდა, მით უფრო სიჩქარეში და საერთოდ საოცარ „ობიექტურ პირობებში“. რვეულ-ქაღალდები და კალმები მძიმედ საშოვნელი და სხვადასხვა ყაიდისა მქონდა. ამ მხრივ ჩემი ხელნაწერი „ბოშურ საბანსა“ ჰგავს. შავები რომ ნახოთ, ხომ სულ გაოცდებით, ისეთი „შავებია“, რომ ალბათ მეც ველარ გავარკვევ. ამიტომ ამ გამოგზავნილ ცალს გაუფრთხილდით, იგი თითქმის ერთადერთია.

გადაწერის არც დრო მქონდა და არც საშუალება, არც ქაღალდი, წინ კი კიდევ სამი წიგნია დასაწერი.

ჰო, ჰო! — რამდენი სამუშაოა!

ვგონებ მეტად გვიან, მეტად შორს, მეტად უცნაურ

პირობებში, მეტად გრძელი ამბავი წამოვიწყე, მაგრამ მე მხოლოდ ეს მაცოცხლებს და მასულდგმულებს! მაშ ასე, „ისტორიული რომანის“ პირველი წიგნი გათავებულია და საქართველოში მოდის. მართალია, თუ შეღირსა კიდევ მრავლად დასჭირდება შევსება. თუ არ დამცალდა, მე მაინც ვფიქრობ ამ ნაწარმოებს ამ სახითაც აქვს თავისი მნიშვნელობა და იქნებ მხატვრული ღირებულებაც.

თუ ეს ზამთარი მშვიდობით გავიტანე, იმედი მაქვს, ზამთრის ბოლოს მეორე წიგნიც მექნება. ჰოი, რამდენი თუ.., მჭირს? ახლა თქვენ გთხოვთ შემდეგს: რვეულები, რვეულები ერთხაზიანი, უამრავი მჭირდება. აქ რომ არ მეხმარებოდნენ, ალბათ ჩემს ტყავზე მომიწევდა წერა, ამჟამად ესღა გამაჩნია.

გამომიგზავნეთ წიგნები: Белокуров, „Сношение Росии с Кавказом“, აკადემიის წიგნსაცავში არის, მე იქედან მქონდა წამოღებული. გამოართვით ჩვენი ოჯახის მეგობრებს. მაგალითად, სოლიკო ხუციშვილს, ლონგო სუმბაძეს. თუ აუცილებელი იქნება, ვისარგებლებ და უკან გამოვგზავნი. ეს წიგნი უშუალოდ ჩემს თემას ეხება! ხევსურეთზე და ჯავახეთზე რომ გამომიგზავნოთ „ეთნოგრაფიული ნარკვევი“, მათ მაგალითზე ერთ პიესას მაინც დავწერდი, თუმცა მასალები დაკარგული მაქვს, მაგრამ მახსოვს. მეხსიერება ჯერჯერობით კიდევ იქნევს კუდს, თუმცა ესეც ალბათ გამეპარება ხელიდან, ერთად უსაზღვროდ ბევრი აქაური საზრუნავისა და პირობების გამო. ამიტომ ვჩქარობ. საინგილოს შესახებ, რაც იშოვოთ, აგრეთვე გამომიგზავნეთ, არის ზაქარია ედილის წიგნი.

„დასტურლამალი“ თუ გამოვიდა, ცალკე წიგნად ვ. გაბაშვილის, ისიც მჭირდება.

ხაერთოდ, რაც ეხება საქართველოს ისტორიის XVI—XVII საუკუნეს, ყველაფერი მაინტერესებს, ზეპირსიტყვაობაც. დანარჩენი თქვენ იცით, წინათაც გწერდით და გამოგზავნილით დიდად მასიამოვნეთ. ახლა თვით ამ „გმირთა ვარამის“ პირველი წიგნის შესახებ: ჯერ ერთი, საბეჭდი მანქანა თუა სახლში? და მზიას თუ

აქვს ბეჭდვის საშუალება, ტექნიკა და სურვილი? თუ ეს შესაძლებელია, სამ ცალად გაამრავლეთ, გადაბეჭდეთ მხოლოდ ცალ გვერდზე, ან სხვა კარგ და მოკლეენიან მემანქანეს თუ იშოვით, ჩინებული საქმე იქნება. ერთი სიტყვით, თუ ეს ძნელია, მაშინ დადეთ ასევე და იყოს ხელმიუკარებელი. ნურც ეტყვით ვინმეს და ნურც მისცემთ ჩემი ნებართვის გარეშე, ხოლო თუ მოახერხოთ გადაბეჭდვა, ერთი ცალი ჩემთვის გაამზადეთ და როდესაც შემოგითვლით, მაშინ მომაწოდეთ, დამჭირდება შემდგომი მუშაობისათვის.

ცუდ მემანქანეს არ მისცეთ. ცუდი ჩემი ხელიც მეყოფა!

ჯანმრთელობის მხრივ არა მიშავს რა... ვნახოთ ზამთარი რას მიზამს, ისევე „ცინგის" ნიშნები შემომეპარა. გამომიგზავნეთ გლუკოზის ამპულები, ასკორბინის სიმჟავესთან ერთად.

სხვა მხრივ არა მიშავს რა, ვმუშაობ ბევრს და მეტად ნაყოფიერად (როგორც ხედავთ), რაოდენობის მხრივ მაინც.

გამომიგზავნეთ კბილის ჯაგრისი, პასტა და ჩაი. სია ამანათში რუსულად დაწერეთ.

მოკითხვა ყველას.

ვკოცნი დედას, დევიკოს და ყველას თქვენ.

აბა, მოუთმენლად ველი პასუხს. „გმირთა ვარამის" მიღება დამიდასტურეთ.

დანარჩენს ალბათ დაწვრილებით მომტანი მეტყვის.

თქვენი ძმა ლევანი".

„ჩ ე მ ო კ ა რ გ ე ბ ო!

28. XI. 1950 წ.

ჩვენი მიმოწერა ოდნავ შეფერხდა.

თქვენგან კარგა ხანია წერილები არ მიმიღია. მიღებული მაქვს ამანათები, რომელშიაც გურული ხაპერა იყო, რამაც უფრო გაგვახარა ყველა. ასევე მიღებული

მაქვს ფული (ასი მანეთი), ტკბილისა და ხილის ამანათი და სხვა.

წიგნების ამანათმა ძალზე გამახარა.

მე კარგად ვარ, საკმარისად ჯანმრთელად. კარგად არის კოლია მღებრიშვილიც, ზურაბ მიქელაძეც, დავით კვიტაიშვილიც და სხვებიც. მხოლოდ საავადმყოფოში წევს ვალერიან ჭუმბურიძე, ვგონებ გულის ასთმა უნდა ჰქონდეს. ამ გარემოებამ ფრიად შეგვაღონა სუყველა, მაგრამ მაინც იმედი გვაქვს, კარგად იქნება, გაუძლებს აქაურობას და ჩვენთან ერთად სამშობლოში დაბრუნდება. თუ მიიღეთ ჩემი უსტარი, გამოგზავნილი 25. IX. აბა, ასე, ნუ შეგეშინდებათ, ასეთი მოვლენა ხშირად ხდება ამ ზამთრის პირობებში. მე სულ ძველებურად ვცხოვრობ, ვმუშაობ, ვადას ვღრღნი, მივეჩვიე მავთულსაც და ყინვასაც.

ახლა უცბად მომინდა, რომ მოვხვდე მანდ, გულით შევიგრძნო ქართული მზე, ხალხი, ჩემი სამშობლოს ყოველი კუნჭული, მივეგებო მას, მივეხმარო, ჩავწვდე სულში და გულში, მივესიყვარულო. ოცნებამ ისევ ფრთები გაშალა. მე სულ ვკვეცავ და ვკვეცავ ამ ოცნების ფრთებს, რომელიც ხშირად მაგიჟებს კიდეც.

უკანასკნელი გაზეთებიდან, რომელიც მე ხელში ჩამივარდა, გავიგე უშბა-ზხელდის ტრავერსის შესრულების შესახებ. მეტად მეამა, ვაშა მათ!

ხელახლა განვიცადე ალიოშას საოცარი ცხოვრების ზრახვანი და ტრაგიკული დასასრული.

რაც უფრო ვცილდები მისი დაღუპვის თარიღს, დრო აწვრილმანებს, ცხრილავს და უფრო ნათლივ აჩენს ალიოშას ჭეშმარიტად დიდბუნებოვან სახეს, ღვაწლსა და ძალას. მის სწორუპოვარ და სრულიად თავისებურ ხასიათს და საქართველოს მთამსვლელობაში ყველაზე უმაღლეს ბიოგრაფიას. მისი ცხოვრების თარიღები კავკასიონის მწვერვალებზეა გადათვლილი, გადაწერილი! და თუ პირველყოფილმა საქართველოს ამირანის დიდი ლეგენდა შექმნა, ჯერ თვალნახული თქმულება ალიოშა ჯაფარიძის შესახებ იმავ სიცოცხლით, იმავ ჯაჭვში და იმავ კავკასიონზე იგზნო და გამოიჭედა.

ამ მხრივ ახალი თქმულება ძველი ლეგენდის თავისებურ, უახლეს და ცოცხალ ვარიანტად გვევლინება! ვაშა მათ! ვინც მისი ზვავგავლილი ძვალი ისევ გაწვრთა და განაგრძო!

ყველას, ყველას მოკითხვა.

თქვენი ჩრდილოეთის ძმა ლ ე ვ ა ნ ი".

ლევანისგან ცნობის მიღების შემდეგ საკმაოდ დიდმა დრომ გაიარა, ეორკუტიდან არავინ გამოჩნდა. ოჯახში თანდათან გვემატებოდა ღელვა. ბოლოს იმ კაცისა და ხელნაწერის გამოჩენის იმედიც დავკარგეთ. საშინლად ვწუხდით. რა მოხდა? რატომ ვერ მოვიდა? გავიდა კიდევ რამდენიმე თვე და უკვე ყოველგვარი იმედი რომ გადაწურული გექონდა, ერთ საღამოს, სრულიად მოულოდნელად, გვეწვია ძალიან ახალგაზრდა, სიმპათიური კაცი. მან ლევანის ნაწერები და წერილი გადმოგვცა. ის შემკრთალი და მოკრძალებული იყო. თავიდანვე გვთხოვა ვინაობა არ გვეკითხა.

— მართალია, მე სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი შეხვედრა არავის არ ეცოდინება, — გვითხრა მან, — მაგრამ მაინც სიფრთხილეს თავი არ სტკივა. დღეს საქართველოში მძიმე ატმოსფეროა და ლევანისათვისაც და ჩემთვისაც ასე უკეთესი იქნება.

ლევანი ჯანმრთელობის მხრივ კარგად არის, ბრგე და ყოჩაღი ვაჟკაცია, თუ ასე შეიძლება ითქვას. დიდად განსწავლული და განათლებული, მეტად ობიექტური და პატიოსანი. მას ბანაკში დიდი ავტორიტეტი და ნდობა აქვს დამსახურებული. ამიტომ ყოველგვარ კონფლიქტს პატიმართ შორის ის წყვეტს, მას უჯერებენ.

ლევანმა გთხოვათ ეს ნაწერი სახლში არ შეინახოთ, ისეთი წვალებითა და სიძნელეებით არის დაწერილი და გამოტანილი, რომ ერთი ფურცლის დაკარგვაც კი დიდი საცოდაობაა. რაც მთავარია, ბანაკიდან ეს წიგნი ფურცელ-ფურცელ არის გამოტანილი და ამ საქმეში ბევრი ქართველი მონაწილეობდა. თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ, ცხრაკლიტულით ჩარაზული ბანაკის მაღალკედლიანი და მავთულხლართიანი „კარიბჭე" და სამწყებად თავიდან ფეხებამდე შეიარაღებუ-

ლი მცველები. იქ ახლოს პატიმრის მისვლა აკრძალულია, გაუფრთხილებლად შეიძლება გესროლონ და იქვე გაგაგორონ, ამისთანა შემთხვევა ბევრია. შემსვლელ-გამსვლელებს ჩხრეკენ და ამოწმებენ. ბანაკში შემოსვლის უფლება კი აქვთ ყოფილ პატიმრებს, ამჟამად ქალაქ ვორკუტის მკვიდრებს. ისინი ვადის დამთავრების შემდეგ სამშობლოში არ გაუშვეს და თავისუფალ გადასახლებაში იქ სამუდამოდ დატოვეს. მათი უმრავლესობა ამ მაღაროში მუშაობს თავისუფალ დაქირავებულ მუშად. მათთვის ესეც დიდი შეღავათია, ბანაკიდან გასვლის შემდეგ შეიძლება თავისუფლად მაინც ისუნთქონ. ზოგს ოჯახიც კი ჩამოუვიდა.

ვერც კი დაიჯერებთ, რა საოცარ მძიმე პირობებშია დაწერილი ეს წიგნი. ზღაპარი გეგონებათ. წარმოიდგინეთ მაღაროს მაღალი ძაბვის ქვესადგური, რომელიც მიწაში ღრმადაა ჩათხრილი, სადაც უჰაერობა, სიცივე, მანქანების გუგუნი და ხმაურია გამეფებული, ისეთი ყურთასმენას რომ ახშობს და რაც მთავარია შიში, რომ არავინ გაიგოს წერის ამბავი.

ერთხელ ლევანს ჰკითხეს, ამისთანა პირობებში და ხმაურში როგორ მუშაობთო? მან თავისი ჩვეული ღიმილით უპასუხა: როცა მუშაობა გამიტაცებს, ყრუ და მუნჯი ვხდები, გარემოს მთლიანად ვკარგავ და მარტო ჩემი აზროვნება და მეხსიერება მერჩისო.

ლევანს იქ ხელნაწერებიც კარგად საიდუმლოდ აქვს დაცული. მხოლოდ ნაწერების ბანაკიდან გამოტანა ძალიან ძნელია და სახიფათოც. ჩემი თბილისში წამოსვლის დღე რომ გადაწყდა, ბანაკში მყოფი ქართველები აწრიალდნენ, საიდუმლოება გამანდეს. ასეთი ნდობისათვის სიამაყის გრძნობამ ამაღელვა, ჩემი თანხმობის შემდეგ ისინი საქმეს შეუდგნენ.

აქვე მინდა გითხრათ, რომ ბანაკში ქართველებს ყველა აფასებს. სხვა პატიმრებთან შედარებით მათ მეტი წონა აქვთ. თითქოს საგანგებოდ, კარგი ხალხია შერჩეული, ნასწავლი, თავმდაბალი. ისინი ძალიან შეგობრობენ და ერთ დიდ ოჯახად არიან. ერთმანეთს საგრძნობლად ეხმარებიან. მათ შორის ლევანი ყველაზე ძლიერი პიროვნებაა. ის არაჩვეულებრივი ადამიანია. მასზე ლეგენდებიც დადის. სასწაულად გადაურჩა ამ უკუღმართ, მძიმე დროს, სიმკაცრეს და შეუგ-

ნებლობას. რამდენი სიდუხჭირე და გაჭირვება გადაიტანა და მაინც, ყველასათვის გასაკვირად, დარჩა უდიდეს მოქალაქედ და ჭეშმარიტ მამულიშვილად. ამისთანა ხალხი, ალბათ, იშვიათია. სულით მდიდარი, ოპტიმისტი და მეოცნებე. ლევანი ყველა თავის უბედურებასთან ერთად ბედნიერი კაციც არის. გარდა ქართველი მეგობრებისა, ბევრი სხვა ერის ხალხი ეხვევა და მასთან მეგობრობს, სჯერათ მისი და მისგან რჩევას ელიან.

ბანაკში კიდევ ერთ მის თვისებაზე ლაპარაკობენ: როდესაც უმრავლესობა პატიმრებისა მძიმე პირობებში აზროვნებას კარგავს, ლევანი, პირიქით, ნათელი აზროვნებით რჩება და ყველას მრჩეველი ხდება.

მართალია მე ახალგაზრდა ვარ, მაგრამ ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, მე ვფიქრობ, რომ ლევანი წააგავს დონ-კიხოტს, უფრო სწორად, უკანასკნელ „მოჰიკანს", რომელიც ზოგჯერ თავისი ფანტაზიის მსხვერპლი ხდება.

— თქვენ მთავარი ამბავი არ გითქვამთ, ბანაკიდან როგორ გამოიტანეს ლევანის წიგნი, — შეაჩერა ახალგაზრდა კაცი თინამ.

— მართალია, ეს ასე მოხდა: ამ წიგნის გამოტანას თან სდევდა ბევრი დაბრკოლება, მაგრამ ჩვენ ყველაფერი დავძლიეთ. წიგნის საიდუმლოდ გამოტანისათვის ქართველებმა სხვადასხვა გეგმა წამოაყენეს. ყველაზე უფრო საიმედოდ და არასახიფათოდ მიიჩნიეს ბანაკის ტერიტორიაზე დაყრილი მორების გამოყენება. ნამდვილად, ბანაკის ტერიტორიაზე უამრავი მორი და ბოძი ყრია მაღაროს კედლის საყრდენისათვის. ზოგჯერ ეს მორები მაღაროს უფროსის ნებართვით ქალაქში მცხოვრებ თანამშრომლებზე იყიდება, როგორც საწვავი მასალა. მორების გამოყენების აზრი წამოაყენა ვალიკო ჭუმბურიძემ. ის სწორედ ქალაქში ცხოვრობდა და შეძლო უფროსისგან მორების შესყიდვისა და გატანის ნებართვის მიღება. ამ იდეის ხორცშესხმაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს დავით კვიტაიშვილმა, ნიკო მღებრიშვილმა, ვანო შევარდნაძემ, ზურაბ მიქელაძემ, შალვა ბალარჯიშვილმა, გოგრიჭიანმა და სხვებმა. საჭირო იყო მორების შერჩევა, მათი დამუშავება, გამოფუღუროება, შიგ ნაწერების ფურცელ-ფურცელ ჩადება, შემდგომ ისევ სათანადოდ დახურვა, გა-

მაგრება, ტალახში კარგა ამოგანგვლა და ისე ბანაკგარეთ გამოტანა, ეს საიდუმლო მანიპულაცია დიდი სიფრთხილით, შეუმჩნეველად უნდა გაკეთებულიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველასათვის მძიმე ამბავი დატრიალდებოდა, იმდენად მძიმე, რომ საბოლოო სასჯელს ვერავინ ვერარ საზღვრავდა.

ბანაკში ბლომად ირევიან ეგრეთ წოდებული „სტუკაჩები". ეს ყველაზე საშიში, გაფუჭებული ხალხია. ვინ, სად და როდის გამოძვრება, არავინ იცის. უდავოა, რომ რაიმე ეჭვის აღების შემთხვევაში უსათუოდ იჯაშუშებენ.

შეირჩა მორები, მოგროვდა წინასწარ განზრახულ ადგილას, ვანო შევარდნაძის საწყობთან, დაიწყო მორების დამუშავება. ქართველები ჭუმბურიძეს ეხმარებოდნენ. ზოგი მორი ტყუილად გაიჩეხა, ზოგი კი ფურცლების ჩასადებად გამზადდა. საბედნიეროდ ამ საიდუმლოებაზე ეჭვი არავის მიუტანია. მერე კი დაიწყო მორების გაზიდვა, ლევანი შორიახლოს ამ ესტაფეტას ღელვით და გულის ძგერით თვალყურს ადევნებდა. ამ პირველმა საიდუმლო ოპერაციამ კარგად ჩაიარა. ყველა მორი ვალიკოს ეზოში შეგროვდა. ეს ოპერაცია რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ განმეორდა და, მიუხედავად ზედამხედველების შემოწმებისა, დაუბრკოლებლად ჩატარდა. ასე გამეორდა რამდენჯერმე, სანამ წიგნი არ დასრულდა. ვალიკოს არ უნდა დაეყოვნებინა და ცოტა ხანში წიგნი ჩემთვის უნდა გადმოეცა. ის ამისათვის ხელსაყრელ დროს ეძებდა. აქ კი, დახეთ ახალ დაბრკოლებას — ვალიკოს ცოლი აუხირდა, ამდენი მორები რად გვინდა, გავყიდოთო. მერე მეზობლები შეუჩნდნენ: — დაჩეხვაში მოგეხმარებითო, ნაწილი მორებისა ჩვენც მოგვყიდეთო. მოკლედ, ვალიკოს ძალიან გაუჭირდა, მაგრამ მაინც მოაბა ყველაფერს თავი. და, აი, პირველი წიგნი თქვენთან არის. შეატყობინეთ ლევანს, რომ მიიღეთ. ჩვენი პაროლია: „სახლში კარგი მოსავალია".

— ჩემს იქ ყოფნაში ლევანთან დაკავშირებით კიდევ ორ საინტერესო ამბავს შევესწარი, — განაგრძო მან! — მაღაროში საშინელი უბედურება დატრიალდა — გაზი აფეთქდა. ბევრი პატიმარი ადგილზე დაიწვა, ბევრი კი გაზით გაიგუდა. ლევანმაც მაშინ თავი ძლივს დააღწია იქიდან, ცოცხალმკვდარი ამოვიდა და რამდენიმე პატიმარიც გადაარჩინა.

ერთხელ ლევანს ბანაკში შავად დაწერილი რამდენიმე

რვეული მოპარეს. ძალიან შეწუხდა. ქართველი მეგობრები მაშინვე დატრიალდნენ და ცოტა ხანში ქურდი აღმოაჩინეს; ის უბრალო რუსი კაცი აღმოჩნდა. ქურდი ლევანს მიჰგვარეს.

— რატომ გააკეთეთ ეს, — თავაზიანად შეეკითხა ლევანი ქურდს.

— მე ვიცოდი, რომ თქვენ მწერალი ხართ და რატომღაც ვიფიქრე რუსულად წერდით, — კითხვა მომენატრა და ვიფიქრე რამეს წავიკითხავდი. ოხ, როგორ შევცდი. ეშმაკმა დასწყევლოს, იმიტომ გავბედე. ნაწერს რომ დავხედე, უკან მინდოდა მომეტანა.

ვინაიდან ეს კაცი ჯაშუში არ აღმოჩნდა და, რაც მთავარია, „კითხვა მონატრებოდა", ლევანმა მას რუსული გაზეთი აჩუქა და მადლობით გაისტუმრა. ამბობდა, კითხვისათვის ქურდობა ცოდვად არ ჩაეთვლებაო.

მე ალბათ ყველას შეფასება ერთნაირად არ შემიძლია, მაგრამ ვინც იქ შემხვდა, თითოეული თავისებურად ნათელი სულის ადამიანია. ღმერთო, ხელი მოუმართე მათ.

მალე ლევანის წერილმაც გაგვახარა:

„ჩ ე მ ო კ ა რ გ ე ბ ო!

ვსარგებლობ ამისთანა შემთხვევით და გწერთ ყველაფერს დაწვრილებით. ჯანმრთელობის მხრივ კარგად ვარ, მხნედ და ყოჩაღად. ვმუშაობ ჯერ კიდევ ახალგაზრდული შემართებით, თვითონ მიკვირს. ჩემს ბედზე ქვესადგურში სახიფათო შემთხვევა არც თუ ხშირია. ამიტომ წერის შესაძლებლობა და სურვილი გამიათკეცა. მე და მანქანა ერთ რიტმში ვმუშაობთ, ვგონებ ხელს ვუწყობთ ერთმანეთს.

ჩემი რომანის პირველი წიგნი გავათავე და, ხომ ხედავთ, გამოგიგზავნეთ კიდეც. სათაურიც შემთხვევით გამოინახა. ამხანაგებს წიგნის შინაარსი დაწვრილებით მოვუყევი, ვერ წავუკითხე, ვინაიდან ხელწერა იმდენად გამიფუჭდა, ჩემს ნაწერს ველარც ვარჩევდი. მერე ნახევარზე მეტი თაგვებმა დაძიძგნეს და გამიფუჭეს, დამჭირდა ხელმეორედ დაწერა.

— ნახეთ, რამდენი გმირი გყოლიათ კახეთში, — მივმართე „ჩრდილოეთის კახელებს“.

— კახეთში, მართალია, ბევრი გმირი გვყავდა, მაგრამ მათ ბევრი ვარამიც გადაიტანეს, — მიპასუხეს მათ.

— ეს რა თქვით, კაცო! — აღფრთოვანებით შევძახე მე, ძალიან მომეწონა მათი ნათქვამი. — ბიჭებო, თქვენ ჩემი წიგნის სათაურს მიმაგნებინეთ — „გმირთა ვარამი“. ეს ძალიან შეეფერება ჩემს წიგნს და ამიერიდან ჩემი რომანი „გმირთა ვარამად“ იქნება წოდებული. თქვენ კი ამ წიგნის ნათლიები იქნებით. ამიტომ ჩემს წიგნში მათი დიდი ღვაწლიცაა.

სადღეისოდ ჩვენი ჩაბინდული ბარაკი თავისი უფროსებითა და დასჯის სახეებით საოცარი ნადირებით სავსე ბუნაგს უფრო ჰგავს, ვიდრე XX საუკუნის პატიმრების ციხე-სამყოფელს. ჩვენ მონები ვართ, ყოველგვარ უფლებას მოკლებული.

აქ გამეფებულია არაადამიანური, პირველყოფილი ყოველგვარი წამება და წვალება, მორალური თუ ფიზიკური განადგურება. ქრონიკული უჭმელობის, სიმჭლევის და აუტანელი ყოფის შედეგად ბევრი ავადდება და იღუპება. თუ გადარჩა, ხეიბრდება, ვერ შრომობს. ეს კი აქაურ უფროსებს ხელს არ აძლევს. შემდგომში, საცოდავები, განწირულები ხდებიან — იქვე უმოწყალოდ ანადგურებენ და ოსტატურად აქრობენ ბანაკიდან. ბევრი ჩვენისთანა თავჩაქინდრული დაუღალავ, სახიფათო, მძიმე შრომას ეწევა და სიცოცხლის გადარჩენისათვის ყველაფერს იტანს, მაგრამ ამისთანა რკინის ორგანიზმი ბევრს აღარა აქვს, უმრავლესობას ჯანმრთელობა უცვდება, ნერვები ჰღალატობს, თვითმკვლელობაზე მიდის. ბევრს კი მთავრობისა და სამართლის მიმართ შურისძიების გრძნობა ასულდგმულებს, ჩვენსავით მომავალს შესცქერის. მოკლედ, ბანაკში ჩვენ არ ვითვლებით ადამიანებად. ბარბაროსების ხელში ვართ. ვერც კი წარმომიდგენია საიდან მოდის ასეთი სისასტიკე და გესლი, ეს მეც კი მიკვირს, კაცს, რომელმაც რა არ გადავიტანე.

რა საშინელება არ მინახავს ჩემს პატიმრულ ცხოვ-

რებაში, მაგრამ აქ რომ ვნახე პირამოკერილი კაცები, ამან მეც კი შემძრა. ეს საშინელი და შემზარავია. საწყლებმა პროტესტის მიზნით შიმშილობა გამოაცხადეს. ახლა თქვენ წარმოიდგინეთ, რამდენად მძიმე პირობებში იყვნენ ჩავარდნილები, რომ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გადაწყვიტეს. ცდუნებას რომ არ აჰყოლიყვნენ და საკვებს ან სითხეს არ მიჰკარებოდნენ, ხუთმაგად დაგრეხილი კოჰის ძაფით პირები ამოიკერეს, როგორც ტომარის პირს ამოკერავენ. აბა, მათ ვინ გაუწევს თანაგრძნობას... საწყლებმა სიკვდილი გადაწყვიტეს.

ჩვენ, ქართველებს, მე ვგონებ, სხვა ეროვნებებთან შედარებით უფრო დიდი შეგუების ძალა და უნარი შეგვწევს. ჩვენში მომავლის სულისკვეთების ზღურბლი უსასრულობამდე აღწევს. სიცოცხლეს მაგრად ვებღაუჭებით, იმედის უმნიშვნელო ნაპერწკალს მბჟუტავი სანთელივით უბეში მალულად ვინახავთ. ეს იმიტომ, რომ ჩვენ სამშობლო გვაქვს, ჩვენი მიწა, ჩვენი აკვანი. ეს ძლიერი გრძნობა კი ჰფარავს ყველა სიძნელეებს. ოჰ, რომ გვქონდეს მცირე შესაძლებლობა, უსამართლობის წინააღმდეგ რა დიდ ცეცხლს ავანთებდით! ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენ თავდავიწყებული აღფრთოვანების ზოგჯერ თავდიდა და წინამძღოლი ხალხი უფრო ვართ, ვიდრე თავდავიწყებული სასოწარკვეთის. ეს ხასიათი აქ ჩვენ ბოლომდე უფრო უკეთ შემოვინახეთ, ვიდრე თქვენ იქ, ჩვენს ისტორიულ მიწა-წყალზე.

გულგაუტეხელობაც ჩვენი ეროვნული ხასიათის ნიშანდობლივი თვისებაა. ამან მრავალჯერ გვისაშველა, მოგვაღწევინა მეოცე საუკუნემდე, თანამედროვე თვითშეგნების გამომწვიფებამდე, პიროვნულ და ეროვნულ ოპტიმიზმამდე. საუბედუროდ, ეკალ-მავთულის ხლართები ყოველთვის ყველაფერს აკავებდნენ.

მერე ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამ ბანაკში მკვლელები, ქურდები, თავზეხელაღებული ხალხი და ეგრეთ წოდებული პოლიტპატიმრები ერთად ვართ შეყრილები, ერთ ტაფაში ვიწვებით. კატორღელებიც აქ არიან. ვის არ შეხვდებით აქ? საუბედუროდ, ყველა

უკვე ყოფილები ვართ, დაწყებული უბრალო კაციდან, რომელმაც წერა-კითხვაც არ იცის და, რაც მთავარია, არც ის იცის, ასე სასტიკად რატომ დასაჯეს, გათავებული სწავლული ხალხით, განათლებული ინტელიგენციით, აკადემიკოსებით, ყოფილი „ნარკომებით“ და პოლიტმუშაკებით. საცოდავები არიან აგრეთვე სამამულო ომის მონაწილეები, ისინი გაიძახიან — ჩვენ ომი მოვიგეთ, თავისუფლება დავიცავით, ამისათვის სისხლი დავღვარეთ, ახლა კი არაავტორიტეტულმა ხალხმა თავისუფლება დაგვაკარგვინა. რატომ?

ჩვენ, უდანაშაულო პატიმრებს, სულ სხვა თვალი გვაქვს. ჩვენზე უარესი არაფერია. ჩვენ გაშიშვლებული, გაცრუებული და დაკნინებული შინაგანი გუმანი და გუნებ-განწყობა გვაქვს და ამის საშველი კი ჯერ არსაიდან ჩანს.

ბანაკური დღეები ტუნდრის გაუთავებელ ღამეებს ჰგავს, კიდევ ერთი დღის მშვიდობიანად გათენება იმედიანად გვენიშნება — ღმერთო, ნუ მოგვაკლებ ამას.

ბევრი სიმწარე მოგწერეთ, მე გული მოვიოხე, თქვენ კი გული აგიჩუყეთ ალბათ, მაგრამ თქვენც და მეც უნდა გავმაგრდეთ, იმედით გავითენოთ მომავალი დღე და დრო. ჩემი საშველი, არა თუ მარტო ჩემი, თქვენიც და ყველა აქ მყოფის, სანამ ეს მთავრობა ძალაშია, არაფერი არსაიდან არ მეგულება. მიუხედავად ამისა, მომავალს მაინც იმედით შევცქერი. მთავარია, მჯერა აქ ათასობით დამონებული ადამიანი, საბოლოოდ თუ კი გადავრჩით, მაინც იტყვის თავის ძლიერ სიტყვას.

იქ კი როგორა ხართ და რას ფიქრობთ, უკვე არ ვიცი.

სულ ბედნიერად იყავით. თავს მოუარეთ.

ჩემი გულითადი მოკითხვა და სიყვარული ყველას გადაეცით და ისიც უთხარით — კვლავ შეხვედრამდე, მეგობრებო.

გკოცნით ლ ე ვ ა ნ ი“.

„ჩემო კარგებო!

1. I. 1951 წ.

ისევ და ისევ შორეთიდან გილოცავთ ახალ წელიწადს. ყველას გილოცავთ — ნაცნობ-ნათესავთ, საერთოდ ყველას, დედაენიდან ბუნების კარამდე!

კაცობრიობის ისტორიაში ოცნებას უდიდესი დამსახურება მიუძღვის, ხოლო ყველაზე აღიარებული ოცნებისა და კეთილი სურვილების დღე ახალი წლის უხილავი მიჯნა გახლავთ. ამ დღეს ყველა ოცნებობს და ბედნიერია ზღაპრული ნაცარქექიიდან მიჯაჭვულ ამირანამდე, ყველა ცოცხლისა და მოაზროვნის ჩათვლით. მეოცნებე კაცი კი ყოველთვის უფრო გულკეთილი და ლმობიერია.

იქნებ ამიტომ არის, რომ ამ დღეს კაცობრიობის ისტორიაში თითქმის არც ერთი დიდი ბოროტება არ დატრიალებულა. ეს დღე ყველაზე უფრო ჰუმანურია ჩვენს კალენდარში. ამ დღეს მოგილოცავთ, სამშობლოს შვილებო. გისურვებთ ბედნიერებას და უსათუოდ თავისუფალი საქართველოს ბედნიერებას. ამაზე მეტი სურვილი მე არც ვიცი, არცა მქონია და ახლა ხომ მით უფრო — არ გამაჩნია.

უფრო მკაფიოდ, პირდაპირ შემიძლია ვთქვა: მე ბედი კი არ დამაკლდა, არამედ დამაკლდა საქართველო!

ჰოი, რამდენი ახალი წელი უცხოობაში მიდუხჭირია?!

...მაგრამ უკან არ ვიხედები.

არც ამ ჩემ ბოლო წლებს მოვხედავ ხოლმე. ისინიც დამხრჩვალი კატებივით ჰგვანან ერთმანეთს.

ისევ წინ, ამირანის ქედს იქით ვეკვრეტ გულმარაგიანი თვალით... ამით ვსულდგმულობ... თუმცა ვიცი, ბნელი თარიღები წინაც მგლებივით მიდარაჯებენ... და, მიუხედავად ყველაფრისა, მე მაინც ვფიქრობ, ჩემი ცხოვრების წლები მეყოფა, რომ ერთხელ კიდევ შემოვდგა ფეხი ვარდებისა და ვაზების ქვეყანაში!

მაშინ იქნება ჩემი ახალი წელიწადიც და ხელახალი დაბადებაც. ჯერ კი ჩემს გულში საკუთრივ ჩემი... ქარ-

თული სამყარო შემოვიფარგლე. „უბის საქართველო“ შევთხზე და გავირინდე.

ნურვინ ფიქრობს გარინდება მოჩლუნგებას ნიშნავდეს ან დაჩლუნგება-დაგლახაკებას!

საერთოდ, დინების მიყოლა ადვილი საქმეა. ეს „სიბრძნე“ უთქმელმა მეტივემ იცის. ანკარა წყაროს მიგნება და დაცვა კი დიდ მისაღწიერად მიმაჩნია. მით უფრო, როცა ირგვლივ ყველაფერი ამღვრეულია და ტყვილის სიმბოლოა გამეფებული.

აბა, თქვენი ამბები დაწვრილებით მომწერეთ,

ჩვენ მიწის შვილები ვართ და, უპირველეს ყოვლისა, აქა მშვიდობა გვასულდგმულებს და თუ ცის ქუდი „გაგვერღვა“ და „შემოგვაცვდა“, დედამიწის ქალამანი ჯერ ურუევად გვაქვს, გვინდა და დაგვრჩება კიდეც. სიმართლის სინათლეა მთავარი.

მეტად გამახარა თამარის მოკლე ბარათმა, თორემ უწერილობა მრავალმხრივ მაფიქრებდა. ჩემი უსტარ-ბარათები ყველა მიგიღიათ, ასე რომ, მარტო ფოსტა გვწყალობს.

თქვენი და თბილისის ამბები დაწვრილებით მომწერეთ. თქვენს თავს და დედას მოუარეთ, ნუ დაგლახავდებით და ყველაფერს იმედის თვალით შეხედეთ.

გკოცნით ყველას საერთოდ და დევის კერძოდ.

მისი საახალწლო სურათი გამომიგზავნეთ.

თქვენი შორეული ძმა ლ ე ვ ა ნ ი“.

„ჩ ე მ ო კ ა რ გ ე ბ ო!

30. I. 1951 წ.

ჩემი საახალწლო ბარათი ალბათ მიღებული გექნებათ. მივიღე ორი ამანათი, ორივე ჩინებულად მოვიდა და ფრიად მოგვედროულა. წიგნებმა და რვეულებმა ძლიერ გამახარა. ფული და გაზეთები ფოსტალიონის ავადმყოფობის გამო უკან გამოუგზავნიათ. აქ, ჩრდილოეთში, თითო-ოროლა სენი ყველას გვაქვს, ან სურავანდი, ან ასთმა, ან სიყვითლე, ან კუბის სნეულება

და ათასი სხვა რამ. გულის მანკი ხომ აქაური სურდოა. აქაურ პირობებში კიდევ მე კარგად ვართმევ თავს. ჩემზე ახალგაზრდები ბევრად უფრო მოიკოჭლებენ. მე კი ჯერჯერობით ძველი ჯან-ქონი მომდევს. თქვენგან მიღებულმა წამლებმა ხომ სულ ხელი მომიმართეს. ასე რომ, კვლავ ითქმის — ძველებურად ვცხოვრობო. ძალიან გამალებით ვმუშაობ, თავისუფალ ერთ წუთს უქმად არ ვფლანგავ, სულ ვწერ და ვწერ. მე მეორე წიგნზე ვმუშაობ და თუ ბეჯითობა და გამძლეობა არ ამიხირდნენ, იქნებ კიდევ ერთი ხურჯინი ავავსო. აქ არის ჩემთან ვახუშტი, ჯავახიშვილი,... ბელოკუროვის მასალები... ცაგარელი, პირდაპირ დღეობაა. მიხარია და ვნანობ, ახლა უფრო ვნანობ, რომ ეს წიგნები თავიდან ხელში არ მქონდა. მაგრამ არა უშავს რა. თუ სხვაფრივ არ შემეშალა ხელი, კიდევ ამოვავსებ ხარვეზებს. აბა, რა ამბავია მანდ, საქართველოში, ,ერძოდ თბილისში. მე ყველაფერი მაინტერესებს, დაწვრილებით მომწერეთ ხოლმე. ჩვენს თაობებს საქმიანობა და საზრუნავი ხომ არასოდეს არ დაელევათ, მაგრამ ამ საუკუნეს ერგო უდიდესი სოციალური, ეროვნული და სულიერი მძიმე ძვრები და წინაღმდეგობები. ჩვენს ახალგაზრდა თაობას სჭირდება არა მარტო მწიგნობრობა, ორატორობა და სპეციალური განათლება, არამედ საფუძვლიანი ესთეტიკური და ზნეობრივი აღზრდა-დადგენა.

ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ სწავლასა და განათლებას, თანამედროვე მეცნიერების დონეზე დგომას არასდროს არ ჰქონია ისეთი დიდი მნიშვნელობა, როგორც ამჟამად და არ ყოფილა ჩამორჩენა ასე ადვილი და ასე საბედისწერო, როგორც ახლაა.

ერთი თხოვნაც: მანდ მოიკითხეთ ახალი წამალი ბრონქიალური ასთმის საწინააღმდეგოდ, ვარდენისათვის. უსათუოდ გამოგზავნეთ, უსაშველოდ კვდება კაცი.

გულითადი მოკითხვა თბილისს, დედას და ყველას.

იყავით სულ მუდამ კარგად.

გოცნით. ლ ე ვ ა ნ ი.

თუ არის გამოცემული და იშოვება, გამომიგზავნეთ ჩემი მწერლის წიგნი, რომელმაც მიღო „მშვიდობის ჯილდო“ ვარშავის კონკურსზე — ფუჩიკის „რეპორტაჟი სახრჩობელიდან“. მეტად მაინტერესებს, რა არის ახალი ქართულ ლიტერატურაში, ნუთუ სულ „დამუნჯდნენ“. მწერლებს კი უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ ახლა გულისხმიერი, მაგრამ მომთხოვნი ! ფართო მკითხველი გვყავს. ჩვენ, ვგონებ, ჩამოვრჩით, ჩვენთვის ხომ ყოველი ახალი წიგნი ახალი წელია და თავს ვერ ვინუგეშებთ იმით, რომ მწერლობა ნელად მზარდი, მრავალწლიანი, მარადმწვანე მეცნიერებაა. იქნებ ჩვენ ყველაზე უფრო გვესაჭიროება გადახალისება“.

„ჩ ე მ ო კ ა რ გ ე ბ ო!

16. III. 1951 წ.

ახლა სულ აღარ ვიღებ თქვენს წერილებს.

ნუთუ არა მწერთ?

ამანათების გარდა არაფერი მოდის. მხოლოდ სიანუსხის ძუნწ მინაწერებს ვიღებ თქვენგან.

იქნებ ჩემი წერილებიც გზაში დაიბნენ?

ამ ახალი წლის შემდეგ გამოგზავნილი მაქვს 5 წერილი, ნუთუ აღარც ერთი არ მოვიდა?

იძულებული ვარ მოკლედ გავიმეორო და კვლავ დავადასტურო. ყველა ამანათი, ბანდეროლები — რვეულებით და გაზეთებით და ფული 200 მანეთი მიღებული მაქვს. ფულიდან მარტო 10 მან. მომცეს, დანარჩენი ვითომ ჩემს შემნახველ წიგნაკზე გადარიცხეს, რომელიც მე არა მაქვს. ამიტომ, გთხოვთ, ფული თქვენ მოიხმაროთ და მე ცოტ-ცოტა გამომიგზავნოთ, მაკლია სარეცხის საპონი, გამომიგზავნეთ.

ერთი სიტყვით, ყველაფერი მოდის, გარდა წერილებისა.

ჩვენ ძველებურად ვცხოვრობთ. ვალერიანი ძლივს გადარჩა, ძალიან გვიხარია. აქ ყოველი ქართველის ცუ-

დად ყოფნა და დაკარგვა ჩვენი თანამემამულეების დიდი გაჭირვება და ტრაგედიაა. ურთიერთს ძალიან ვეხმარებით, ამით ვცოცხლობთ და ვარსებობთ.

ასკორბინის სიმჟავე ისევ გამომიგზავნეთ, აქ თითქმის ყველას ავიტამინოზი გვჭირს და, ვერ წარმოიდგენთ, ეს რა უებარი წამალია ყველასათვის აქ.

ან კი რა გასაკვირია, ამ ზამთარში მარტო სიცივეებს რომ უძლებს ადამიანი. სინდიყის თერმომეტრიც კი იყინება.

— 50—60—72° გრადუსამდე ავიდა ყინვა-ქარის სუსხი. თოვლის ზვინები ჩვენს საცხოვრებელ ბანაკზე გაცილებით უფრო მაღლა არიან აღმართული, ზოგან მავთულხლართებსაც სჭირდება ხელახალი მოთხრა, მაგრამ არა უშავს რა, პირი გაზაფხულისაკენ გვაქვს. სხვათა შორის ქართველები შეგვემატნენ. აქ არის რომან ბლიაძე. აგრეთვე ილია ბოჭორიშვილი და მისი ცოლი — ლუბა ნესტორის ასული. ორივე ახალმოსულია.

ჩვენი ცხოვრების პირობები ბევრი არაფრით გამოიცვალა. ტანისამოსს ნუ გამომიგზავნით. პირიქით, რაც სამოსი მქონდა სამოქალაქო ტიპისა, ჩამომართვეს და ნომრიანში ჩამჭედეს — სპეცტანისამოსის სახელით. აბა, თქვენ მომწერეთ ახალი ამბები, საქართველოს, ლიტერატურას და საერთო ცხოვრებას მაზიარეთ!

სახლში რა ამბავია, როგორ ხართ. ყველა ნათესავს და მოყვარეს გადაეცით კეთილი სურვილებით დიდი მოკითხვა. დიდი სიყვარული დედას და თქვენ: ყველას, დასა და ძმას ძმისშვილითურთ.

წერილის გადაკითხვა მე თავად გამიჭირდა, სულ გამიფუჭდა ხელი. მაპატიეთ, ვგრძნობ, როგორ გაგიჭირდებათ ჩემი წერილების წაკითხვა.

თუ წერილმა დაიგვიანოს, არც ამაზე ინერვიულოთ, ძალიან შორსა ვართ, მეტად შორს.

გკოცნით თქვენი ლ ე ვ ა ნ ი“.

„ჩემო კარგებო!

13. VIII. 1951 წ.

კვლავ ამანათი მივიღე — თამარის წერილითურთ. წინა ამანათები ყველა მიღებული მაქვს, ფულიც 150 მანეთი. აგრეთვე ბანდეროლები და მზიასა და თინას წერილები.

მოკლედ ვიმეორებ: სამძიმარი გადაეცით ბიძია იაშას ოჯახს, მისი გარდაცვალება გაზეთებიდან გავიგეგული მწყდება, ნიკოლაძიანთ დიდ გვარში კიდევ ერთი მუხა დაეცა.

ახლა აქეთ: ძველებურად, ძველებურად, ძველებურად ვართ!

ქართველები ყველანი ერთად ვართ, ძველზე უკეთესად ვცხოვრობთ, საერთოდ ბანაკს მივეჩვიე... პირველი ხუთი წელი ყოფილა ძნელი, მერმე კი უფრო ადვილია. ბანაკური ცხოვრება დალაგდა და გარკვეული ფორმა მიიღო — მეტი წესიერებაა, ღამე ჩაკეტილები ვართ. თუმცა აქ ახლა ღამე აღარაა. უსაშველოდ გულდასაწყვეტი სულ სინათლეა — სულ დღეა. ტანისამოსის მხრივ ამ ბოლო ხანში კარგად გვამარაგებენ. მკერდზე, ზურგზე, მკლავებზე და მუხლებზე ტანსაცმელი ნომრით აჭრელებული გვაქვს, ისე როგორც კატორღელებს. ალბათ ეშინიათ, რომ არ დავიკარგოთ. აბა, აქიდან სად წავალთ, თუ თვითონ არ გაგვაცურეს სამუდამოდ. მე თითქმის ჯანმრთელობაც გამომიკეთდა. ჭაღარას ყურადღებას არ ვაქცევ, თუმცა აქ დიდი ხანია ყველანი „ბატიას“ და „პაპაშას“ მეძახიან.

ახლა გთხოვთ გამომიგზავნოთ შემდეგი რამ: საპარსავი ხელსაწყო, ე. ი. ლამბაქი, საქაფებელი და ფუნჯი. მანდ ბლომად არის უბრალო, პლასტმასის. დავპირდი აქაურ დალაქს. აგრეთვე გამომიგზავნეთ შემდეგი წიგნები:

1. ქართლის ცხოვრება „ანასეული“, მანდ მაქვს.

2. ოთხთავი (მანდ არის ჩემს წიგნებში, დიდი, უდარბილი წიგნია)

3. „ხატოვან თქმათა ლექსიკონი", თედო სახოკიასი (ახალი გამოცემაა), მიყიდეთ უსათუოდ.

დანარჩენ წიგნებს, წინა წერილში რომ გთხოვდით, რამდენიმეს, რომელიც ჯერ ვერ გამოგზავნეთ, აგრეთვე მოუთმენლად ველი. წიგნები ძველი ამანათის მისამართით გამომიგზავნეთ.

აბა, მოკითხვა ყველას, კარგად ყოფნას გისურვებთ და წარმატებას.

გოცნით, თქვენი ლ ე ვ ა ნ ი".

ჩ ე მ ო კ ა რ გ ე ბ ო!

14. VII. 51 წ.

მიღებული მაქვს თქვენი წერილები, ამანათები და ბანდეროლები. ჩვენ ძველებურად ბამბის ფარაჯებში დავდივართ. ქართული წიგნები არ მომცეს. ცენზორი შეიცვალა.

ცხოვრება მიდის უფერულად, დიდი გაჭირვებით, მძიმე შრომით. ზურაბი ათავებს ვადას, ახლა სხვა მხარეს წავა თავისუფალ გადასახლებაში. აქ ყველას ერთი გზა უძევს წინ — ესეც დიდი სიკეთეა. ჩვენ ვცხოვრობთ ძველ პირობებში. წესები ისევ ძველებური გახდა, ყოფა მეტად მძიმე. აქ ჩამომსვლელ მშობლებს პატიმართა ნახვის უფლებას არ აძლევენ. ეს სრულიად გარკვეულია და კატეგორიული (თუ, რა თქმა უნდა, მოსკოვიდან არ იქნება მასზე განსაკუთრებული ნებართვა), ასე რომ, თუ თქვენ ან ვინმეს მშობელი ფიქრობთ აქეთ წამოსვლას, არ ვურჩევ. მითუმეტეს თქვენ. გულდასაწყვეტი ამაო იმედების გაცრუება, ზედმეტი ღელვა და უხერხულობანი შეიქმნება. ეს მარტო ჩემი აზრი არ არის.

ერთი მცირე საყვედური: მე ჩემს წერილებს თარიღს და ნუმერს მუდამ ვაწერ. მიპასუხეთ, მომწერეთ, რომელს იღებთ და რომელს არა. თორემ ასე წერილების მიწერ-მოწერა გვიფერხდება და მე აღარ ვიცი რა გავიმეორე და რა არა!

ახლა ველი თქვენგან რაც შეიძლება მეტ ცალხა-

ზიან რვეულს (არა ნაკლებ 15—20-ისა). სხვას ველარ ვეგუები, ეს ხელი ხომ სულ გამიფუჭდა.

აბა, თქვენ იცით და თუ ოდესმე ჩამოვბრუნდი, არც ამჯერად ჩამოვალ ხელცარიელი.

ძალიან მჭირდება რუსეთის ისტორია. აქ არსად იშოვება, მაინც XV—XVI საუკუნეები. მაინტერესებს ივანე მრისხანედან ბორის გოდუნოვამდე და ამის ირგვლივ, რასაც ნახავთ ახალ გამოცემას, მონოგრაფია იქნება თუ მოკლე ისტორია ,თუნდაც რომანი, ყველაფერი გამომიგზავნეთ.

ეს ცივი მაჯლაჯუნა — აქაური ზამთარი მოვჩიხეთ, სული მოვითქვით. ყველანი კარგად ვართ.

წიგნები არ მიმიღია. ცენზურაში წაიღეს. ცოტა ხანს ქართულ წიგნებს ნუ აგზავნით, ცენზორი ქართულის მცოდნე არ არის.

თბილისი აშენდა და დამშვენდა, მახარებს.

აქ გაზეთები როცა მომდის, დიდი გაფაციცებით ვადევნებ თვალყურს. ამ ბოლო დროს ესეც შეგვიანდა რაღაც. ნუთუ ქართულ პროზაში ამ ბოლო დროს არაფერი საყურადღებო არ გამოსულა? გამომიგზავნეთ „ქართული ნუმიზმატიკა“ დ. კაპანაძისა, მჭირდება.

სახლში როგორ ხართ? ვკოცნი დეკოს და ყველა ნათესავ-მოყვარეს. ყველას ხშირ-ხშირად ვიგონებ და შორიდან ვესაუბრები!

კარგად იყავით.

მისამართი იგივეა. გკოცნით ყველას. ლევანი“.

„ჩ ე მ ო კ ა რ გ ე ბ ო!

13. VII.- 51 წ.

ვსარგებლობ საოცარი შემთხვევით და კვლავ გწერთ... უფრო თამამად და ადამიანურად.

თქვენ ვერ მოიშორეთ „ქალური“ ჩვეულება: არც რიცხვს და არც ნომერს წერილებს არ უსვამთ და აბა რა ვქნა. ჯერ წერილების შესახებ:

თქვენი წერილები ვალიკოს სახელზე ყველა მომდის, შეიძლება ცოტა დაგვიანებით, რადგან აქედან ხან ორ კვირაში, ხან თვეში ერთხელ მიდის ხოლმე ქალაქში... მით უფრო ახლა, როდესაც ავადმყოფობს. ფული მიღებული მაქვს. ლიტერატურული გაზეთები არ მიმიღია, ხოლო ამანათში გამოგზავნილ გაზეთებს აღარ გვაძლევენ, აგრეთვე ქართულ წიგნებსაც. თვეობით ცენზურაშია და უმრავლეს შემთხვევაში იქვე რჩება. წერილები რუსულად წერეთ. წიგნები ბანდეროლით მიგზავნეთ.

ფუჩიკის წიგნს კი მივაგენი ბოლოს — წავიკითხე და უკან დავუბრუნე.

წერილები ხანდისხან ბანაკის მისამართითაც გამომიგზავნეთ. არ დაეჭვდნენ, ხოლო ვალიკოს მისამართი სავსებით ძალაშია.

ასევე ფული ფოსტის გზით აღარ გამომიგზავნოთ. ეს უკვე აქ ცნობილია. საერთოდ ჩემი მოთხოვნის გარეშე ფული არ გამომიგზავნოთ. თუ რამე განსაკუთრებული არ იქნება, ამანათით ნურაფერს იღონებთ. თუ მაინც და მაინც, ისევ საპონი ჯობია. თითო-ოროლად რვეულები გამომიგზავნეთ. სადალაქო პლასტმასის ჭიქა, ფუნჯი და სხვა ნივთები კიდევ რამდენიმე ცალი გამომიგზავნეთ, სხვებიც მთხოვენ.

ახლა აქაური ამბები: მავთული და ურდულები დღითი დღე მატულობს. ღამღამობით დაკეტილები ვართ, დღე კი ჯერჯერობით გვიღებენ ბარაკის კარს. ვცხოვრობთ მეტისმეტად მჭიდროდ, ორ-ორ სართულიან ხის თაროებზე. ჩვენს ბარაკში — 200 კაცია. ასე რომ, შესანიშნავი თუ არა, აღსანიშნავი ჰაერი მაინც არის — სინესტის, ფეხის, ოფლის, „მახორკის" სუნების ნარევი. მრავალხმიანი ხვრინვის ჰარმონიას ხომ ნუ იკითხავთ, მაგრამ ეს ხომ წვრილმანებია.

ისევ სამუშაოზე მიგვეჩქარება ყველას — მაინც სხლა, როდესაც თითქოს გამოზაფხულდა. თუმცა არ გვწყალობს ბედი. დღეს 18 ივლისია... და ჯერ მზიანი დარი არც კი გვინახავს. საბჭოთა პატიმრის მუნდირი თუ საქვეყნოდ ცნობილი „ბუშლაყი" ჯერაც არ გაგვიხდია. მე

თუ აქ გამაჩერეს, შედარებით კარგ ადგილზე ვმუშაობ, ახალი ხელობა შევიძინე და ეს ახალი — ძველს შველის. ელექტროქვესადგურში ვარ მაღალ ძაბვაზე — მონტიორად და აქ სულს ვითქვამ ხოლმე. ნუ გაგიკვირდებათ აქაა ჩემი სამყარო.

ჯანმრთელობის მხრივ, წარმოიდგინეთ, მიუხედავად უველაფრისა, საკმაოდ კარგად ვარ. ფეხები მისივდება მარტო ხანდისხან, იშიასმაც თავი მომაბეზრა. მაგრამ ეს უველაფერი სულ უბრალო ამბებია, „თავის მოვლა" აქ ხუმრობად გაისმის.

მთავარია, რომ მუშაობის უნარი და სურვილი არ დამიკარგავს და ამ მხრივ ალბათ ბევრს გარეთ მყოფსაც შევედარები. მე თვითონ მოხარული ვარ, რომ წერის შესაძლებლობა და სურვილიც ძლივს მომეცა. სულ ვწერ და ვწერ სულმოუთქმელად.

მძლავრ მაღალი ძაბვის ქვესადგურში, რომელიც ბანაკებში არსებულ უველა ქვანახშირის მაღაროს ემსახურება, შემოსასვლელ კარებზე დიდი დაფაა ჩამოკიდებული ჩონჩხის გამოსახულებით და წარწერით — „სასიკვდილოა". ეს გამაფრთხილებელი აბრაა, ჩვეულებრივ უველგან რომ არის მიმაგრებული მაღალი ძაბვის ჯიხურებზე. ეს ჯადოსნური წარწერა უველას შიშსა ჰგვრის, განსაკუთრებით ზედამხედველებს, მე კი ხელს მაძლევს. ამიტომ წერის დროს ხელს არავინ მიშლის. ჩემი ნაწერებიც ფრიად საიდუმლოდ და საიმედოდ მაქვს დამალული — ღრმად მიწაში ნიშა გავთხარე, ერთ-ერთი დანადგარის კედელთან, და ზემოდან ისეთივე შესაშინებელი აბრა ჩამოვკიდე. მუშაობა კარგად მიდის. „გმირთა ვარამის" უკვე მეორე წიგნს ვამთავრებ. ახლა არ ვაგზავნი. გადათეთრების პერიოდში მინდა მთლიანად ხელში მეჭიროს.

ჩემი აზრით, ეს ნაწილი გაცილებით დიდი და ვგონებ უფრო დალაგებულიც იქნება, რადგან უკვე მასალებიც გამოჩნდა და „ფორმაშიც" შევედი. ერთი სიტყვით, ჯერ ვნახოთ.

ახლა ვაგზავნი ჩამორჩენილ „წინამძღვარს". შემინახეთ, კარგად შემინახეთ — მაგას არც გადაბეჭდვა უნ-

და და არც არაფერი. არავის — არსად! საერთოდ იფიქ-
რეთ სადმე სხვაგან შეინახოთ. ეს ხომ ჩემი კალმისა და
სულის ნაწვალები მასალებია ერთადერთი და რომ და-
იკარგოს, ხელცარიელი ვრჩები. ალბათ ველარ შევძლებ
გადატანას. თუ სანდო მბეჭდავი ვერ იპოვეთ, ისე და-
ტოვეთ. ამ წლის ბოლომდე ალბათ არ დამჭირდება და
მანამდე რამე მოხერხდება.

ახლა ერთი თხოვნა: ისევ რვეულები და რვეულები.
რვეულები მე ბლომად მჭირდება 20—30, ათეულობით
და ასეულობით და არა ერთეულებით! აქ აქეთ-იქიდან
რომ არ მეხმარებოდნენ, ალბათ, ყველა ფიცარს ქა-
ღალდად გავიხმარდი, მაგრამ ამ ვაგლახ ქვეყანაში კარ-
გი ხალხიც ჯერ კიდევ მოიპოვება. ესენი არიან ჩემსა-
ვით დაჩაგრულების სულისჩამდგმელები.

რაიმე მოიფიქრეთ თბილისის ახალ მისამართზე. ვი-
ნაიდან ისეა წაბილწული ზნეობა, რომ მე ვშიშობ. იქ-
ნებ მარო ჭყონია-კალანდაძის მისამართით გამოგზავნოთ
წერილები თითო-ოროლა? მას ჰკითხეთ და აგრეთვე
მოკითხვა გადეცით მის შვილს ლეილას და სიძეს თენ-
გიზს, რომელსაც ჯერ არ ვიცნობ, მაგრამ ვიმედოვნებ,
რომ კარგ სიძობას გაგვიწევს. საერთოდ ყველა ჭყონი-
ების შთამომავლობას დიდი მოკითხვა, ყველა მიყვარს.
ან იქნებ თქვენ სხვა მისამართი ჩართოთ? ადას მისამართი
არ ვარგა. მე რამდენიმე წერილი გამოვგზავნე და თქვენ
არ მიგიღიათ.

მინდა გაგაფრთხილოთ: ყოველთვის გახსოვდეთ, რომ
თქვენს ირგვლივ „ტრიალებს“ ხანდისხან სულ უახლო-
ესი და წარმოუდგენელი ხალხი, მაგრამ უნებლიედ სა-
შიში თანამოზიარე, რომლებიც ყოველ სიტყვას თუ
ჭორს დარაჯობენ. ეს ყველაზე თანაბრად ითქმის აკა-
დემიკოსებზე, პროფესორებზე, მწერლებზე, მთამსვლე-
ლებზე, მსახიობებზე თუ სხვა ხალხზე. ეს კი სწვდება
სრულიად დამახინჯებულად საზარელ დაწესებულებას.
ისინი ყველაფერს თავის სასარგებლოდ იყენებენ და
რეაქციაც ჩვენი პატიმრების მიმართ უფრო მკაცრდე-
ბა. მე ეს ჩემს თავზე განვიცადე. ამიტომ ფრთხილად
და ყურადღებით იყავით. ნურავის ჩემს თავს ნულარ აგო-

ნებთ, ეს ამაოცაა (როგორც გწერდით), გულუბრყვილოც და იქნებ მავნეც. ნეტავ დამივიწყონ, სრულიად დამივიწყონ, მაგრამ ვაი, ვაი, რომ ახლაც აქ ჯერ კიდევ მწვდება მათი თავხედობა. თუ გაიგეს რომ მე ჯანმრთელობით და სულით გავძლიერდი და წერაც დავიწყე, ესეც ხომ ჩემს დანაშაულში შედის, უსათუოდ მიმტროგენ. ამაში დარწმუნებული ვარ. თქვენ რომ იცოდეთ, რაც მე ვნახე და გადავიტანე, ან შევიტყვე, ჯერ მანდ და მერე აქ, მაშინ მიხვდებით, თუ რა დიდი გულუბრყვილობაა ეს ყოველივე.

ჩემი და ჩემისთანებისათვის „პატიოსნად" ყოფნა მანდ, მაგათთვის არ შეიძლება. მე კი უსინდისოდ ყოფნა არ შემიძლია... ნუთუ ასე გაფუჭდა დრო, რომ არავის სწამს შენი სიმართლე და პატიოსნება? მე მაინც მჯერა, როდისმე სიმართლე მაინც გახდება ყველას მკურნალი. სავალალო კი ის არის, რომ ამჟამად ბევრს უპატიოსნოს გზა და საპარპაშო არე გახსნილი აქვს.

წარსულიდან დიდად სანანებლად დამრჩა, ჩემს სახელთან დაუკავშირებიათ რამდენიმე კეთილ-პატიოსანი პიროვნება, ერთ საქმეში გაგვხვიეს, დაღუპეს და გააუბედურეს უდანაშაულო ხალხი და მათი ოჯახები.

სად არის ან რა იქნა ილია სარჯველაძე? ან სად არის და რას ერჩოდნენ ბოდღო ემუხვარს, ვალოდია ვაშაკიძეს, სპირიდონ ჭეონიას, კოტე ჯავრიშვილს, გრიშა გიორგობიანს და თუგინდ სხვებს კეთილ, უაღრესად პატიოსან მშრომელებს, ჩემს მეგობრებს — ლალიაშვილს, ხუციშვილს, ბულეიშვილს და სხვ. ნამდვილ ვაუკაცებს, პატრიოტებს, სამშობლოს ღრმა მოამაგეებს და საქართველოსათვის ერთგულ ხალხს? საწყალი მანდილოსნებისაგან რაღა უნდოდათ, მაგ ურჯულოებს. მარტო იმისათვის, რომ წარსულში მე შემხვდა გადასახლებაში, როგორ დატანჯეს, გაამწარეს და უმოწყალოდ დაღუპეს დიდებული ქართველი პატრიოტი ქალი მაყვალა რამიშვილი, აწვალეს ნინო ყართანგოზიშვილი? რისთვის?

ძალიან გთხოვთ სუყველას, საერთოდ ამ ხალხის შე-

სახებ თუ რაიმე ისმის, შემატყობინეთ, როგორმე მომწერეთ. ყველაზე გული შემტკივა, ვწუხვარ და განვიცდი. დღესაც ვერ წარმომიდგენია მათ რა ბრალდება წაუყენეს. როგორც გწერდით, მე მათი დაპატიმრება ძალიან გვიან გავიგე. მარტო ამდენი ხალხის ტყუილად ტანჯვისათვის მოსასპობია ეს უზნეო მთავრობა. დიდად სავალალოა, რომ მათ „კეთილ საქმიანობას" დიდი ზიანი მოაქვს საქართველოს აწმყოსა და მომავლისათვის. ნუთუ საშველი არსაიდან არ არის?

გამომიგზავნეთ რაიმე უბრალო რუკა საქართველოსი. განსაკუთრებით კახეთისა, თორემ ამ ჩემს წიგნებსა და ხელნაწერებში „უგზო-უკვლოდ" დავდივარ (ეს, რა თქმა უნდა, მეორე მისამართით. პირველი, ბანაკისა, იყოს საანგარიშოდ). ეხლა თქვენს შესახებ. როგორ არის დედა, ალბათ ძალიან მოხუცდა, აგერ მე ვეწევი მოხუცობაში. დევი-ბიჭი უკვე დიდია. სანდრო როგორ მოღვაწეობს. ყველას, ყველას გკოცნით და გესალმებით. წიგნები, რომელთა შესახებაც გწერთ, გამომიგზავნეთ. ეს დიდი ნუსხაა; მაგრამ ჩემთვის საჭირო.

ერთი დაწვრილებით მომწერეთ: „მამა-შვილის" მხრიდან მათი გზით ჩამოსული ხალხი, ალბათ ყველა აქეთ მოემართება ნელ-ნელა, ასეა? კოლია მღებრიშვილი კარგად არის, მოგიკითხათ. ზურაბ მიქელაძე მალე ვადას ამთავრებს და თავისუფალ გადასახლებაში წავა, აქვე, ქ. ვორკუტაში. აქედან საერთოდ სამშობლოში დაბრუნების გზა არ არსებობს ცოცხლებისათვის. აქ ყველა, მარტო ცუდს მიჩვეულები ვართ და ვუძლებთ. გვეშინია უარესი ნუ იქნება. თუმცა მე უსამშობლოდ სიცოცხლეც არ მინდა. წინასწარ ამაზე არ ვფიქრობ, ძალიან მიმძიმს. აქ ასე თვლიან: პირველი ათი წელი მეტად ძნელია გადასახლებაში, მეორე ათწლეულში თურმე ვადას მნიშვნელობა ეკარგება. აქაც შეიძლება ცხოვრება, ბევრია „გასართობიც" — რა ჩინ-მედლების, მოყვანილობის, ფერ-ჯანისა და ხასიათ-ენის ხალხს არ შეხვდები აქ, ამ „ორფეხათა მუზეუმში". ერთ სარეცელზე წვანან წმინდანები და ქვეწარმავლები. ერთი ჯამიდან სვლეპენ საჭმელს გუშინდელი მოსისხლე მტრები. ერ-

თად ცოდვილობენ „გულუცხო“, სამუშაოზე მიჯაჭვული ამირანები და თავისი თუ სხვისი უგნურების ნამსხვერპლი კაცუნები.

აქ ცალკე სახელმწიფოა, არა ქვეყანა! უფრო სწორად, მთელი სამყარო დამონებულთა და ფიზიკურად გასწორებულ ხალხთა. თუმცა ბევრის გულის სიღრმეში ბრძოლის ნაპერწკალი ღვივდება.

სოფელში და ბათუმში როგორ არიან? გულითადი მოკითხვა მათ. მამიდები, შვილები და შვილიშვილები ერთობლივ მომიკითხეთ. თემიკო დავითის ძე ჭყონია დავაუკაცდებოდა. ხელი როგორი დაუდგა, ვიმედოვნებ ალბათ კარგი. ხომ არ ავიწყდება, რა დიდი გორის ბიჭია.

როგორც ყოველთვის, ვჩქარობ. ეს ბარათი ერთი მოსმითაა დაწერილი, არეულ-დარეული, მერე არც დრო მექნება და არც საშუალება. მოკლედ, ყველაფერი მაინც ვერ ვთქვი, რისი თქმაც მინდოდა.

კარგად იყავით, კარგად.

ზამთრისათვის ალბათ დამჭირდება თბილი (შალის) სვიტრი, მხოლოდ დიდი ზომისა, თორემ მომკლა აქაურმა „კუდრაჭა“ სამოსმა. მოკლე-ვიწროში ჯამბაზსა ვგავარ.

გადავწყვიტე კიდევ რამდენიმე ფრაგმენტის გამოგზავნა. აქ ჯერ მაინც არ დამჭირდება და ასეთ შემთხვევას მერმე, ვინ იცის, თუ შევხვდები.

აქ „უჩვეულო იარაღის“ და „ყველას ჭირისუფლის“ შავები მაქვს, ასე რომ, როდესაც მათი რიგი მოვა, საქმე არ შემიფერხდება, ხოლო როგორც ყოველთვის სდება ხოლმე, — წინასწარ დაწერილს მერე გადამუშავება და შესწორება მაინც დასჭირდება.

სულ სამ ხელნაწერს ვაგზავნი ამ წერილთან ერთად (მეოთხე პირველ დიდ წერილთან არის).

ხელახლა ჩამოვთვლი ყველას, რომ არ აირიოს საქმე:

1. „უჩვეულო იარაღი“
2. „ყველას ჭირისუფალი“.
3. მასალები ჩემს არქივში შესანახად.

4. წინამძღვარი (გრძელ ხელნაწერთან ერთად).
ამბა თქვენ იცით, კარგად შემინახეთ.
არავის არ აჩვენოთ არავითარ შემთხვევაში.
200 მანეთი მიღებული მაქვს.
სიყვარულით დიდი მადლობა ქალ-ნ... ყველაფრისათვის. ის... მომიტევებს.

გკოცნით ყველას თქვენი ლ ე ვ ა ნ ი“.

„ჩ ე მ ო კ ა რ გ ე ბ ო!

8. IX. 51 წ.

მიღებული მაქვს ამანათი მზიას წერილით. მაშინვე გამოგიგზავნეთ ღია ბარათი — მიღების დასტური, თუ მიიღეთ. საერთოდ მოგდით ჩემი ღია ბარათები? ერთი დამიდასტურეთ მაინც.

ახლა მივიღე ამანათი წიგნებითა და რვეულებით, რამაც განსაკუთრებით გამახარა. ფრიად მასიამოვნა ახალმა წიგნებმა, ჩემმა სულიერმა საზრდომ, უამისოდ არაფრად აღარ ვარგივარ. კარგი ლექსიკონებია. აი, ასეთი წიგნები რომ მეტი გამოდიოდეს, შესანიშნავი იქნება.

მიღებული მაქვს გაზეთების ბანდეროლიც, მოკლედ, ახლა ჩემს არსებაში სიცოცხლეა.

დევიკოს სურათი კი აღარ არის — რამაც გული დამწყვიტა. თქვენ როგორ ხართ. როგორ მოიზაფხულეთ და შემოდგომას როგორი პირი უჩანს.

აქეთ ჩვენთან ყველაფერი ძველებურადაა, მეტი არაფერი არ გვეთქმის.

მეტად დამაღონა და დამამწუხრა მაყვალას ამბავმა. სანთელივით წმინდა ადამიანი სანთელივით დაიწვა. იმ ერს სამდურავი არ ეთქმის, რომელსაც ასეთი ქალის წარმოშობა შეუძლია. ოღონდ აწ თუ შეუძლია? აწ თუ?

მაყვალა რამიშვილს მანდილქვეშ მუზარადი დაჰქონდა, ხოლო მუზარადის ქვეშ საოცრად სათნო და დიდი ჭირისუფლას გული. ასეთები არა კვდებიან, თუ თვით ერი ცოცხალი რჩება. ჩემთვის პირადად მაყვა-

ლა დებში გამოურჩეველი იყო. მეტად ბევრი ჭირი გვინახავს ერთად, დაწყებული იმ საშინელი ნარიმიდან და მერეც ალბათ ერთდროულად შინაგან ციხეში თუ გადასახლებაში. ლხინი კი არც მე მინახავს, მაგრამ მაყვალას ხომ სულ არა და არა. მან ყველაფერი დაკარგა — ოჯახი, მეგობრები, სიცოცხლე. ყველაფერი საქართველოს თავისუფლებას შესწირა. როდისმე ერი ამას დააფასებს.

სხვა რა მოგწეროთ ამჯერად, გული მტკივა. სხვა არაფერი მაქვს მოსაწერი.

ისევ ზამთრის დიდ, გაუთავებელ აღმართს შევუდექით. ვმუშაობ ძველებურად ბევრს, ჩემი სიცოცხლეც ეს არის: ვწერ და ვწერ, სანამ შესაძლებლობა მაქვს.

მე ფიქრებში და ხელნაწერებში უგზო ქარავანივით დავეხეტები. იქნებ არავის არ სჭირდება, მით უფრო ძველ-ძველი ისტორიის ჯურღმულებში ჩაფლული და ჩაკარგული „გმირთა ვარამი", მაგრამ მე მაინც შევტოპე და მივილტვი იქით, ნახეთ, თუ ბოლოს კარგი საქმე არ გაკეთდეს! მეტად გვიან, მეტად შორს, მეტად უცნაურ პირობებში, მეტად გრძელი ამბავი წამოვიწყე. უსათუოდ დავასრულებ კიდეც, თუ მე აქ მანამდე არ დამასრულეს.

მე თუ წერას ვერ შევძლებ, არც ჯანმრთელობა მინდა და არც სიცოცხლე.

აბა, ყველას მოკითხვა, ერთობლივ და სახელდობრ.

გკოცნით ყველას,

თქვენი ძმა ლ ე ვ ა ნ ი".

„ჩ ე მ ო კ ა რ გ ე ბ ო!

30. X. 51 წ.

თავიდანვე ვწერ: ყველა ამანათი, ფული, ბანდეროლი მიღებული მაქვს. ასე რომ, ჩრდილოეთის ფოსტა პირნათლად არის ჩვენთან. ვცხოვრობთ ძველებურად. ჯანმრთელობის მხრივ თითქმის არა მიშავს რა, გულიც ნაკლებად „მერჩის". ვნახოთ ზამთარი, ზამთრის ბოლოს

როგორ ვიქნები. ოჰ, ეს დაუსრულებელი უმზეო ზამთარი რა რიგ გადასატანია. მე ამასაც მივეჩვიე. მივეჩვიე გარემოს, ვცხოვრობ კეთილი მომავლისათვის და მომავლით, უამრავი მაქვს სათქმელი და საწერი, აქაური თუ იქაური. იმედს არ ვკარგავ, რომ კიდევ დავწერ და არც თუ ცოტას.

ჩემი სარკმლიდან ნაზვავი თოვლი მოშლილია, ასე რომ, ურალის ქედის ბოლო ნაწილს ვხედავ. ქედი მახარებს მაინც და თითქოს მის იქით საქართველო და დიდებული კავკასიონი მეგულება.

დილაუთენია სიამოვნებით ვკითხულობ და ვათვალიერებ ქართულ გაზეთებს. მის ფურცლებზე კი რთველია გაჩაღებული. გაზეთებიდან მშენებლობაც კარგად გამოიყურება.

ყველა რაღაცას აკეთებს, ამ მწერლებს რაღა მოუვიდათ, ვატყობ ჩვენი მწერლობა ახლა იმაზე უფრო ჩალიჩობს და მუშაობს, რამ თუ არის ძველი... ნაწერები რუსულად თარგმნონ, ვიდრე ახალი ქართულად დაწერონ!

ამაზე ალბათ ილია ჭავჭავაძე იტყოდა: „დიდ ქვაბში არ ეტეოდა, პატარაში აღარ იყო!" კიდევ ერთიც: ილიას ენის შესახებ... მე ვფიქრობ — არა უკან ილიასაკენ, არამედ წინ ილიასაგან!! ხოლო პირადად მე თუ ვცოდავ ხანდახან... ეს თითქოს აუცდენელია ისე, ვით აბრეშუმის ჭიის „ახალ კანში" ამოსვლა.

ვინც გულითა და შინაგანი ლტოლვით წერს, მან თავად უნდა გაიაროს და მოიწელოს ცდებისა და ძიების შეცდომები და მიღწევები, სანამდი იპოვის თავისთვის ყველაზე ბუნებრივსა და დამახასიათებელ ხმისა და კალმის კილოს; ვიმეორებ, ვინც გულით წერს, ასე შორიდან და ვინც მხოლოდ „გრამატიკით" და კუთხეებზე აღნიშნული სამილიციო ნიშანსვეტებით... მას იქნებ არც შეცდომები მოსდიოდეს, ისინი არც სცოდავდნენ და ამ მხრივ „დაზღვეულნი" არიან! რაც შეხება „ღვიძლის ფერს", ექიმმა კი მაინც უნდა იცოდეს, რა ფერი აქვს

ღვიძლს. წარმოდგენილი მაქვს რამდენი შეცდომა მექ-
ნება?!

მაგრამ არა უშავს რა... ალბათ ამ წერილის წაკითხ-
ვაც გაგიჭირდებათ. ჩემს ხელს მე თავად ვერ ვარჩევ
ხოლმე, ახლა კი სულ საოცრად გამიფუჭდა.

ჰოი, წინ რამდენი საწერი მაქვს, თუ დამცალდა.
ჩემი ლიტერატურული მუშაობა სულ დაცდაზე და
მოსწრებაზე იყო დამოკიდებული. მაგრამ, საბედნიეროდ,
ბავშვობიდან ასე მქონდა და დღესაც დამრჩა ასე ფან-
ტაზიისა და ასოციაციის დიდი უნარი. მათი სიმრავლე
ჯერ დაუწერელ წიგნებს და მოთხრობებს მაგონებს.
შესაძლებლობისთანავე ხორცს ვასხამ და ვწერ გამალე-
ბით ჩემს ჯურღმულში ჩაკეტილი, კარებზე „სასიკვდი-
ლო“ აბრით გამაგრებული. თქვენი შენიშვნები „გმირთა
ვარამის“ პირველი წიგნის ირგვლივ მომეწონა და ჭკუ-
აში დამიჯდა. განაგრძეთ, განაგრძეთ კითხვა და შენიშვ-
ნები ჩაიწერეთ, მაგრამ ჯერ ნუ გამომიგზავნით, არა
მცალია. დაწერა ჩავათაო და მერე თავიდან ყველა თავს
დავუბრუნდები. მაშინ დამჭირდება თქვენი შენიშვნებიც.
თქვენ ჩემი პირველი ოპონენტები ხართ. აბა თქვენ
იცით, ნაწერები კარგად შეინახეთ. არავითარ შემთხვე-
ვაში არავის არ აჩვენოთ. სიყვარულით დიდი მადლობა
ქალბატონ.... ყველაფრისათვის. ის... მომიტევებს. მო-
კითხვა ყველას, ყველას.

გაოცნით ლ ე ვ ა ნ ი“.

ჩ ე მ ო კ ა რ გ ე ბ ო!

1. XII. 51 წ.

ახლა კი ნამდვილად ჩემი ბრალია წერილის დაგვი-
ანება, მაგრამ საპატიო მიზეზებიც მეტზე მეტი მქონდა.
არც თავი დამიზოგია და არც დრო. შრომის ისეთი გო-
რა გადავაგორე, რომ სხვა დროს ალბათ ხუთი წელი-
წადი მაინც დამჭირდებოდა.

ძველებურად ვცხოვრობ და ვმუშაობ. გარეთ ისევ
ქარბუქი ტრიალებს და ბოლოს და ბოლოს ბოქლომი

კარგად მოგონებული საგანი ყოფილა. მიღებული მაქვს ყველა წერილი, ამანათი და ფული. მადლიანმა საქართველოს ბუნების ნაყოფმა აქ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ქართულმა ჩურჩხელამ, ჩაიმ და ხილმა იხსნა ქართული ლიტერატურა. ბანდეროლები კი რაღაც არა ჩანს. რაც მთავარია, რვეულები დამაკლდა. რაც თქვენგან მივიღე, ეთი იმდენი აქ ვიშოვე და მაინც არ მეყო. მე ყველაფერი თავზე შემოვივლე და ცხრაუღელა გუთნეულივით გავწიე და, რადგან ქართული მიწა არ გამაჩნია, ბევრი რვეული მაინც მიმაღებინეთ. გასაკვირველად ამის ნება დამრთეს. ამიტომ ამ ცხელ გულზე ერთი ამანათი მარტო რვეულები გამომიგზავნეთ. არ გადაიფიქრონ, აქ ყველაფერი მოსალოდნელია. ერთხაზიანი, უბრალო რვეულები მჭირდება, თორემ ისეთი „ბატურფეხური" გამომდის, რაოდენობით კი ამდენ „ბატურფეხურებს" რა გაუძლებს!"

დღეიდან გადავდივარ IV წიგნზე. ვფიქრობ, ხელს ვაკლებ, მაგრამ რა ვქნა, ახლა ყველა ჩქარობს, მთელი ქვეყანა, ხოლო მე კი ვგონებ ყველაზე უფრო უნდა მეჩქარებოდეს.

აბა, ველი აგრეთვე ახალ ქართულ წიგნებს.

გამომიგზავნეთ აკ. ბელიაშვილის „ოქროს ჩარდახი", სხვა რამეც, თუ კია რამე ადამიანური პირობისა.

ზურაბი გასვეს მავთულის გარეთ, ხოლო ვორკუტის იქით არსად გაუშვეს. ახლა გარეთ ეძებს სამუშაოს და საცხოვრებელს.

ჩვენ ეს საზრუნავი, მადლობა ღმერთს, არ გაგვაჩნია. კვების მხრივ კი, ასე თუ ისე, ოლად მივდივართ ამანათების ხარჯზე, ზოგს კი ვიძენთ ფულით. ერთი სიტყვით, ყოველდღიურობით ვცხოვრობთ. ყოველი დღე მოგებული გვგონია სიცოცხლისათვის, თორემ აქ საწყალი პატიმრები მრავლად იხოცებიან, მძიმედ და გაწვალებით ტოვებენ წუთისოფელს. თქვენ ამას ვერ გაიგებთ და ვერც წარმოიდგენთ, ცხოვრების მეტად მძიმე და თავისებური ფორმა გამოგვიმუშავეს. ეს მთელი რთული სამყაროა! მაგრამ ნუთუ კი ვინმეს სჭირდება ეგი.

მე ძველი გამოცდილებისა და ჯანის ხარჯზე ვმაგრობ და ვჩალიჩობ, თორემ ისე კი ადრეულმა სიბერემ მომიკაკუნა. ეს ერთიღა, მიჯაჭვული კალამი დამრჩა და, ნაზამთრალი დათვისა არ იყოს, თათის მაგივრობას ის მიწევს, იმას ვლოკავ და ვსაზრდოობ!

იქნებ არავის არ სჭირდება, მით უფრო ძველ-ძველი ისტორიის ჟურნალებში ჩაკარგული და ჩაფერფლილი „გმირთა ვარამი", მაგრამ მე მაინც ვლოკავ და

— ნახეთ, თუ ბოლოს კარგი საქმე არ გაკეთდეს!

მომაწოდეთ გაზეთები, საქართველოს შესახებ ყველაფერი მაინტერესებს — წარსული, ახლანდელი თუ მომავალი! მომწერეთ და მომაწოდეთ მხატვრული რამე, თუ არსებობს, სამგორზე. ეს მეტად კარგი და ნამდვილად ქართული თვალით დანახული და დაწყებული მშენებლობაა! მანდ რომ ვყოფილიყავი, უსათუოდ დავწერდი რამეს.

თქვენ როგორა ხართ სახლში? დედა როგორ არის?

აბა, კარგად იყავით ყველა. მოკითხვა ქალაქად და სოფლად.

წინასწარ გილოცავთ ასალ წელს.

ეს წლები პირდაპირ აქაური ქარბუქებივით მიიზანტებიან.

თქვენი ლ ე ვ ა ნ ი".

„ჩ ე მ ო კ ა რ გ ე ბ ო!

ჰეჰეი! თქვენგან აღარაფერი ისმის!

21. I. 52 წ.

ამანათები კი მოდის და მოდის, ხოლო წერილები კი არა და არა. რა ამბავია? თუ მოუცლელობისა ან სიზარმაცის გამოა — ეს კიდევ არაფერი... გასაგები და იქნებ დასაშვებიც არის, მაგრამ მაინც მოიწერეთ!

თუ მოსაწერი არაფერი გაქვთ — ესეც ხომ მოსაწერია... ერთი სიტყვით, თქვენს წერილებს ველი... მე ამ ბოლო დროს ღია ბარათებს გიგზავნით. ახლა კი და-

ხურულს გწერთ, მაგრამ მაინც მოკლედ — „კარგად ვარ". ძველებურად ვმუშაობ. ვადა მიდის, მე ვბერდები. ერთი სიტყვით — ყველაფერი რიგზეა. არც თუ ისე ცივა, თუ მე მივეჩვიე, ნახევარ ასეულზე მეტ გრადუსიან სიცივეს აღარაფრად ვაგდებ. მაგივრად, სითბოს სრულიად გადავეჩვიე და თბილისის სიცხეებს, თუ მოვესწარი, ალბათ ვეღარ ავიტან, თუმცა ვგონებ, ამ „საშიშროებისაგან" ჯერჯერობით მტკიცედ დაცული ვარ.

ჩემი წინა წერილები თუ მიიღეთ, რითაც გთხოვდით ახალი წიგნების გამოგზავნას. ახლა წიგნებსაც მოველი, თორემ სულ მოვისხლიტე. ქართული კითხვა მომენატრა...

მადლობა ახალი წლის მოლოცვისათვის. ვაი, მე რომ არც ძველი ცოდვები მომკლდა და არც ახალი „სათნოება" შემემატა. კბილზე გასინჯული დამდეგი, 1952 წელიც კერკეტი ჩანს, მაგრამ მტკიცედ მინდა ყველა ახალგაზრდისათვის ბედნიერი იყოს.

მართლა, კალენდარი გამომიგზავნეთ... უბრალო, ტაბულა-კალენდარი, თორემ ტექსტიანს, ისიც ქართულს, არ მომცემენ, აქ ქართული კალენდარი არ გადის!

რვეულები კი ფრიად მჭირდება.

საშინლად ვარ „აკრუხებული", სულ ვჩეკ და ვჩეკ და ვგონებ „ყვინჩილეში" დავამრავლო! წერით სული მიდგას, ვგონებ, ნაყოფიერად.

თქვენი ამბები მომწერეთ, საერთოდ მაქაური ამბებიც ყველაფერი დაწვრილებით მაინტერესებს. მაგრამ ვწუხვარ, რომ ახლებურ სიოსაც ვერ ვგრძნობ. ჩვენ, ჩრდილო ქართველები, მომავალს მაინც იმედის თვალით შევცქერით. ვნახოთ...

იქნებ გამიმართლოს იმედმა, როდემდე, როდემდე შეიძლება ასე ცხოვრება!? აქ ყოველგვარ მტკიცე ნაბიჯს ბორკილებით გვიზღუდავენ. არც მანდ ხართ, ალბათ, ამ მხრივ უკეთეს დღეში.

ხმელი სუნელი გამომიგზავნეთ. იმით შენელებული აქაური საჭმელიც კი პირადსაღები ხდება.

სხვაფრივ კი „ტუნდრის წყალია".

კოლია მღებრიშვილი კარგად არის. ამანათი მიიღო.

ისიც ძველებურად ცხოვრობს. მოკითხვა მის დას — მედიკოს.

ზურაბის ამბავი გეცოდინებათ, დაამთავრა ვადა და გარეთ გაუშვეს. ალბათ მუდმივად თავისუფალ გადასახლებაშია. აქვე, მავთულს იქით დატოვეს.

ვგონებ ჩვენი მდგომარეობა უმჯობესია. აქ, ბანაკში, ჩვენი კუთხე-კუნჭული მაინც გვაქვს, მას კი ახლა ერთიც აკლია და მეორეც. მისი თავისუფლება იმ ფუჭ კაკალს გავს, რომელიც კი ჩხრიალებს, მაგრამ გული ჩუტე აქვს.

ცოტა მეზარება ამ „აბდაუბდა" წერილის გამოგზავნა, მაგრამ რა ვქნა, თქვენგან არაფერი ისმის და ორგვლივ კი ეკლები და სიცარიელეა.

ეჰ! ისევ მოკითხვა და ახალწლისეული სურვილები!

ჩვენ, აქაურ ჩრდილო ქართველებს, ახლაც გვწამს და ზოგზე მეტად გვიყვარს ადგილის დედა, გვარის პაპა, ფუძის ანგელოზი. მაგრამ ისტორიულ უკუღმართობას ჩვენისთანა სახლიკაცები, ღვიძლი ძმები, ოჯახის მამები თუ ოჯახის შვილები, არაერთგზის, სად არ გადაუტყორცნია სამშობლოდან, თუ გინდ აქ, შორეული ჩრდილოეთის ბანაკებში. და არც თუ მოკლე ვადით, ბევრი სამუდამოდაც. ახალი წელი შორს წასულთა და დაღუპულთა მოგონების დღეც არის ჩვენში. ამას, გთხოვთ, ნუ დაივიწყებთ. ჩვენს ერს ერთობლივ ყველა უნდა ახსოვდეს. ყველა ღვიძლად უნდა მივიჩნიოთ. ერის კაცი ის არის, ვინც სამშობლოს სახელს ღირსეულად ატარებს, უანგაროდ იღვწის მის საკეთილდღეოდ და მთელი არსებით გამსჭვალულია მისი წარსულით, აწმყოთი და მომავლით. საქართველოს შვილებო! ბედნიერ ახალ წელს მოგილოცავთ სამშობლოს დაშორებული, მაგრამ მომავლის იმედით გულგახსნილი თანამემამულეები.

გკოცნით ყველას. თქვენი ლევანი".

„ჩ ე მ ო კ ა რ გ ე ბ ო!

26. III. 52 წ.

კარგა ხანია წერილი აღარ მომიწერია. არც ხალისი მაქვს. სულერთია, თქვენამდე ვერ აღწევს. ამ უკანასკნელ დროს ფოსტამ ფრიად მოიკოჭლა. და ეს უსაშველო მანძილი ისევ გარდუვალად დაიდო ჩვენს შორის. არც თქვენგან მოდის წერილები. ჩემი მისამართი კი ძველია. მომწერეთ მხოლოდ რუსულად, ქართულ წერილებს არ გვაძლევენ. აქ ცენზურაში ქართული არ იციან. არც წიგნებს ჰყავს ქართველი შემმოწმებელი. ასე რომ, ჯერჯერობით ნურაფერს აგზავნით. არც ბანდეროლები და არც წიგნების ამანათები ჯერ არ არის საჭირო. ერთი სიტყვით, მხოლოდ მოკლე რუსულ-ბანაკური წერილი, მოკითხვა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. ასევე უთხარით მედიკოსაც. კოლიას მისამართიც ისეთივეა, როგორც ჩემი, და სხვა არავითარი მისამართი არ ვარგისობს. სურსათის ამანათების მიღებას ყოველთვის გიდასტურებთ რუსული ღია ბარათით. ვცხოვრობ ძველებურად. ჩვენი მდგომარეობა თითქოს უმჯობესდება. ახლა ფულის მოცემა აღგვითქვეს. ჯამაგირები (ნაწილობრივ მაინც) გვექნება. ასე რომ, აღარც ფულის გამოგზავნაა საჭირო. დღეების ჩათვლები აქ არ არის, შესაძლოა ესეც შემოიღონ. მე ჯანმრთელობის მხრივ კიდევ არა მიშავს რა, გლუკოზა კი უსათუოდ გამომიგზავნეთ. რვეულიც ჩადეთ სურსათის ამანათში, თორემ სხვაფრივ რვეულებს ვერ მომაწოდებთ. საწერი ქაღალდის გაჭირვება კი კვლავ მახლავს და მაწუხებს.

მშვენიერ, თბილ, სწორედ პატიმრულ ზამთარს მეტად მკაცრი ბოლო მოჰყვა და გვამწარებს. გრიპი თითქმის ყველამ მოვიხადეთ. ვანოს და ვარდენს ცოტა გაურთულდათ, მაგრამ, ვფიქრობ, ამ ზამთარს გავუძლებთ. იყავით კარგად და მოკლე რუსულ წერილებს მაინც ნუ მომაკლებთ. ჩემს წერილებს თუ დააგვიანდება, ნურც ამას იდარდებთ. ვნახოთ, იქნებ უფრო მეტის (ვიდრე წელიწადში ოთხის) გამოგზავნის ნება დაგვრთონ.

ჩემ შესახებ ნურავის ნურაფერს ნუ აგონებთ და ნუ აწუხებთ. ვიხდი ვადას და მორჩა, ჩემთვის არავის სცხელა.

საერთო შეღავათები თუ ჩვენც მოგვწვდა, ალბათ ჩემზეც გავრცელდება. ვადას ნამდვილად ბოლომდე გავუძლებ, მერე კი ტკივილს და წყურვილს ვეღარ ავიტანთ. არა, სიკვდილის კი არ მეშინია. ჩემს დაღლილ და დატანჯულ სხეულს მინდა ეღირსოს სამშობლოში საკუთარი აკლდამა. განსაკუთრებით დღეს მძიმე დღე გამითენდა. შეშფოთებული და გულნატკენი ვარ. ბანაკში. უშუალოდ ჩემს პირდაპირ, ნარზე თავი ჩამოიხრჩო შესანიშნავმა კაცმა, სწავლულმა, განათლებულმა პროფესორმა ბელორუსიიდან. ჩემს თვალსა და ხელს შუა მოხდა გამოუსწორებელი ამბავი. გარეგნობით თითქოს არაფრით არ განსხვავდებოდა სხვა პატიმრებისაგან, ცოტა მეტი ჩაღარულ-ჩახვეწილი, შექვავებული სახე, ცოტა მეტად ჩაყვითლებული თვალები მოწმობდა მძიმე ტანჯვა-წვალების გადატანას და ასაკთან შედარებით მოხუცად გამოიყურებოდა. ის ყოველთვის მაღაროში მძიმე ფიზიკური შრომის შემდეგ დაღლილ-დაქანცული დუმილის ღრმა ფიქრებში ჩაფლული, გულდაღმა ზედა ნარზე იწვა ხოლმე. ზოგჯერ კი გულისტკივილით თავის უმწიკვლო მეცნიერულ წარსულს მარტო მე მიზიარებდა. ჩემი სჯეროდა, ჩემთან თავისებურად მეგობრობდა, ძლიერ ნაღვლობდა ასე უმიზეზოდ აქ მოხვედრას. ჩემი არ იყოს, ამ წყობისა არაფერი სჯეროდა და მათი წინააღმდეგიც იყო. ამ უკანასკნელ პერიოდში კი ოჯახის ღალატიც დაემატა, „ეამანჭთო" კაცი გახდა. ამანათიანი კაცი ეს აქ მარტო ამანათის მიღებას როდი ნიშნავს, არამედ „ოჯახსაც", მავთულხლართებში მომწყვდეულ კაცს, რომელსაც გარე სამყაროსთან აქვს ნივთიერი კავშირი. ჩვენ შორის აქ მეტწილად მარტო კანტიკუნტწერილებიანი პატიმრები არიან, უმრავლესობა კი — სულ მოწყვეტილი სამშობლოს. საწყალი პატიმრები, თახჩა-ნარებზე მიყრილები, მძიმე, უსიხარულო მუშაობიდან დაბრუნებულები, თითქმის განუწყვეტლად „მახორკის" გარემოცვაში ვარდებიან, აბოლე-

ბენ, იშხამებიან თვითონაც და ირგვლივ ცოცხლად ყველას შხამავენ. ის საწყალი, ამ ბოლო ხანებში ოჯახის ღალატის გამო უფრო გულჩათხრობილი გახდა. ჩემს სასთუმალთან პატარა ბარათი დაუტოვებია უბედურს, მაფრთხილებდა: გარშემო სულ ჯაშუშები გახვევია, ფრთხილად იყავიო. ჩემ წინაშე ბოდიშს იხდიდა — იმედი დავკარგე და დავჩაჩანაკდიო: „თქვენისთანა ნებისყოფის კაცი ჯოჯოხეთშიც ძლიერია. მე კი დავსუსტდი, დავჩაჩანაკდი, ჩემი ცხოვრება აღარ ღირს. მე ბუნებრივ სიკვდილზედაც უკვე ადრე გათავებული კაცი ვიყავი. არც ცოცხლებში ვეწერე და არც მკვდრებში. ამიტომ გაებედე. შემინდე“.

ეჰ! აქ ამისთანა შემთხვევა ბევრია, გულდასაწყვეტი და შემზარავი, მაგრამ ამ კაცის ტრაგედიამ გული მატკინა, ყოველთვის ყველა აქ მყოფს ამ წყობის სიძულვილით უფრო მეტად გვემატება ბრძოლის სულისკვეთება. ეჰ! ასე და ასე, როდემდის!

ვათავებ წერას, თორემ შესაძლოა დავწერო ისეთი რამ...

აქ ახლა უკეთესია: დუმილი და მოთმინება.

ვფიქრობ, ჩრდილოეთმა ჩემს ჯანმრთელობას მაინც კუდი მოუქნია, სხვა რომ ვერ დამაკლო რა, ნერვიულობა და აღელვება შემომაჩვია.

ჩემი ნაწერების მიღება დამიდასტურეთ. ნაწერებს ნურავის წააკითხებთ და სახლშიც არ შეინახოთ.

აქედან! ჩამოსულებს ნურავის ნუ მოიწახულებთ, მათ შორის ჩემს ძველ ნაცნობებს, არ ვიცი, მანდ როგორ არის, აქ ძალიან აირია ყველაფერი.

რა ბედნიერებაა, ჩემი გმირები საქართველოში იქნებიან. მე თავიდანვე ასე მჭირდა: ჩემი გმირები ყოველთვის ჩემზე ბედნიერები იყვნენ. დაე იყვნენ, მე მათი არა მშურს. რა ვქნათ ახლა, მანდ დრონი მეფობენ, ჩვენი დარდი ვისა აქვს? ჩვენ კი აქ, საქართველოს ნამდვილი კეთილმოსურნენი, სიყვარულით და ზრუნვით ასე მძიმედ ვიწვებით და ვიფერფლებით.

იყავით მუდამ კარგად, ბედნიერად.

გაოცნით ყველას, ყველას მოკითხვა.

ლ ე ვ ა ნ ი“.

1952 წლის მაისში, სრულიად მოულოდნელად, ვორკუტიდან დეპეშა მოვიდა. ვალიკო ჭუმბურიძე გვატყობინებდა, რომ ლევანი მოსკოვის მიმართულებით წაიყვანესო. ოჯახში ისევ მძიმე განცდები მოგვიზვავდა. რა არ ვიფიქრეთ, თავი ვიტეხეთ, რა არ გავიაზრეთ, მაგრამ ყველა შემთხვევაში კეთილი ბათილდებოდა ცუდი ამბებით. ჩვენთვის და განსაკუთრებით ლევანისთვის კეთილი იქნებოდა პატიმრობიდან განთავისუფლება და შინ დაბრუნება, მაგრამ ამისათვის მოსკოვში რატომ წაიყვანდნენ? ალბათ სხვა ბანაკში გადაიყვანეს, რისაც ლევანს ყოველთვის ძალიან ეშინოდა. ამას თავისი გასამართლებელი მიზეზებიც ჰქონდა: ჯერ ერთი, ლევანი მიეჩვია ვორკუტას, იქ მყოფ ქართველ პატიმრებს, რომლებიც მას ძალიან ეხმარებოდნენ. მერე ისიცაა მთავარი, რომ ბოლო ხანებში ლევანმა შეძლო ლიტერატურული მუშაობის, ასე ვთქვათ, იმ პირობებში მაინც „მოწესრიგება“ და არც თუ უნაყოფოდ. ლევანი უკანასკნელ პერიოდში ამით ცოცხლობდა და ხარობდა კიდეც. გული გვწყდებოდა, რა დროს უღალატა ბედმაო. თუ ნაწერები ვორკუტაში დარჩა თავის სამალავში, ის ხომ დაკარგულია, ეს კი ლევანს ნამდვილად განცდას გაუძლიერებდა. მოკლედ, ასეთ საშინელ ღელვაში და წუხილში ერთი თვე გავიდა. სად დაიკარგა ლევანი? სად უნდა ვეძიოთ? რატომ წაიყვანეს, თუ უჭირს რამე? და ბევრი სხვა კითხვა გულს გვიხეთქავდა. ვორკუტიდან ვინც საერთოდ ლევანის შესახებ ყოველ წერილში რაღაცას იწერებოდა, ყველა დუმდა.

მოულოდნელად ვორკუტიდან ისევ დეპეშა მოვიდა. ეს უკვე ლევანის გამოგზავნილი იყო. გვატყობინებდა მოსკოვიდან უკან ვორკუტაში დავბრუნდი და კარგად, ჯანმრთელად ვარო. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

ლევანის მოსკოვში საიდუმლო გასეირნების ამბავი მოსვენებას არ გვაძლევდა, მისგან დაწვრილებით ცნობას ვუცდიდით და, აი, მოვიდა კიდეც ვორკუტიდან კაცი, რომელმაც საკმაოდ ვრცელი ხელნაწერი — „გმირთა ვარამის“ II წიგნი გადმოგვცა ლევანის ბარათიანად. ბარათის მომტანმა დიდი მოწიწებით მამონტის ძვლებიც მოგვიტანა — თურმე მაღაროს გათხრის დროს აღმოუჩენიათო.

ჩვენ სწრაფად გადავიკითხეთ მოტანილი ბარათი.

„ჩემო კარგებო!

30. VIII. 52 წ.

ამის მომტანი დაწვრილებით გიამბობთ ჩემს ამბავს, გამოგზავნილი დიდი უსტარი ალბათ მიღებული გექნებათ. ახლა ვაგზავნი აქ მოპოვებულ მამონტის ძვლებს. შემინახეთ ჩემს ძველმანებში. აგრეთვე მოკლედ მინდა გიამბოთ ჩემი მოსკოვში საიდუმლო მოგზაურობის შესახებ.

სრულიად მოულოდნელად სამუშაოდან გამომიძახეს და ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე რკინიგზის სადგურისაკენ წამიყვანეს. მოსკოვის მატარებელში კი სამხედრო - ოფიცერს ჩამაბარეს.

ეტაპი იმ წუთში დაიძრა. ასე რომ, ჩემი გამგზავრება ვერავინ გაიგო, ისე მოულოდნელად მოხდა ყველაფერი. მერე გამოირკვა, რომ ვიღაც რუსს დავუნახივარ და უცნობებია ჭუმბურიძისათვის. ვალიკომ კი, გულგახეთქილმა, ყველა ქართველს შეატყობინა და თქვენც დეპეშა გამოგიგზავნათ.

ძალიან შევწუხდი. იმედი მქონდა, რომ ჩემს მცირედ ბარგს და წიგნებს პატიმრები მოუვლიდნენ, ხელნაწერებს კი ვინ აღმოაჩენდა, ან ვინ ჩააღწევდა ღრმა სამალავში.

თურმე ჩემი გამოძახება მოსკოვის შინსახკომიდან გამომდინარეობდა. მგზავრობა ძალიან გამიჭირდა. ეტაპი მძიმე რეჟიმით მიდიოდა. ამიტომ შიმშილმა, სიცივემ, თავისებურმა წვალებამ და, რაც მთავარია, ქურდებსა და რეციდივისტებში ათქვეფამ ისეთი დღე მაყარა, სულ კუდით ქვა მასროლინა. უკანასკნელ წლებში დავიწყებულმა მძიმე, დუხჭირმა ცხოვრებამ ისევ კუდი მომიქნია. არ არის ჩემი საშველი, გავიფიქრე. ისევ ჩემი არარაობა ვიგრძენი. ის თავისუფლება, რომელიც ვორკუტაში მე წერით შევიქმენი და ცხოვრება გავიადვილე, წამში ჩაიქოლა და დაიმსხვრა.

მე ყველაზე უფრო ჩემი ნაწერების დაკარგვა მაღელვებდა, ამდენი წლის ნამუშევარი იკარგებოდა, მი-

სი აღდგენისათვის კი მე მეტი არც ღონე და არც თავი მქონდა.

მოკლედ, საწყალმა კაცმა გზაში ბევრი განვიცადე. რა არ ვიფიქრე, ვერა და ვერ ჩავწვდი ჩემი მოსკოვში წაყვანის მიზეზს, რა არ ვიფიქრე, თავში რა ეპვმა არ გამირბინა.

რის ვაივაგლახით ძლივს ჩავაღწიეთ მოსკოვში; ჩვენს მატარებელს ისევ დახურული მანქანა შეხვდა, რომელზედაც ისევ „МЯСО" ეწერა. ამ მანქანამ ისევ ძველი გადასახლება გამახსენა, ჩამაფიქრა და დამაღონა. უსულო ხორცად გამხადეს ამხელა სულიერი კაცი. მაინც რისთვის, არ ვიცი.

მოკლედ, ბუტირკის ციხეში მიმიყვანეს, რომელიც კარგად ვიცანი, ციხეში შესვლისთანავე დაიწყო ჩემი ზღაპრული ცხოვრება; იმწუთშივე ‹ბანოში შემიყვანეს, სადაც გემრიელად ვიბანავე, — იმდენი ჭუჭყი გამძვრა, მე თვითონ გამიკვირდა. რაც მთავარია, არავინ არ მაჩქარებდა. ვისვი და ვისვი ტანზე საამო სუნის ხელის საპონი, საპონს მონატრებულმა. შემდეგ დალაქმა გამპარსა და გამკრიჭა. ჩასაცმელში ჩემი საცვლები ვეღარ ვიპოვე. სამაგიეროდ ახალ-ახალი საცვლები, ზედა ტანისამოსი და გაპრიალებული ფეხსაცმელები დამხვდა. ამრიგად, ჩამაცვეს და გამომაწყვეს. ყოველივე ამან არ გამახარა, პირიქით, ავის მომასწავებლად მივიჩნიე. ჩემს თავზე რაღაც ცუდი ამბავი ხდებოდა. ზოგჯერ, სადღაც, ოცნების ფსკერზე, ისიც კი გავიფიქრე, შეიძლება მათმა სინდისმა გაიღვიძა და სიმართლე აღდგამეთქი. თურმე რა უსუსური ვყოფილვარ, ეს როგორ გავიკარე გულში. ჩეკა და სინდისი ხომ ორი სხვადასხვა ცნებაა. მოკლედ, ჩამაცვეს, დამახურეს, უფრო სწორად, გამომპრანჭეს. იქვე სარკეში რომ ჩავიხედე, ჩემი თავი ვეღარ ვიცანი. შემდეგ სასადილოში შემიყვანეს. ალბათ თანამშრომელთა სასადილო თუ იყო, თორემ ამისთანა საკვებს და ასეთ მომსახურებას პატიმარს ვინ აღირსებდა. მე ყველაფერს ეპვის თვალით ვუყურებდი, ცდუნებას მაინც ვერ გავუძელი და არც იქნებოდა მი-

ზანშეწონილი, რომ კარგა ლაზათიანად არ მესადილა. ერთი აზრი კი სულ მიტრიალებდა თავში: ჩემი ასეთი პატივისცემა უბრალოდ არ იქნება, ალბათ რაღაცა დიდად მნიშვნელოვანი საქმე სწადიათ გამაკეთებინონ და და იმიტომ მთაფლავენ ეს ყურუმსაღები. ქართული ღვინო რომ შემომთავაზეს, მაშინ კი ძალიან შევწუხდი, გავიფიქრე — ჩემი საქმე ცუდად არის-მეთქი. ჩემი ასეთი პატივისცემა და ადამიანური მოპყრობა არაფერი კარგის მომასწავებელი არ იქნება და ალბათ არაადამიანურისაც. უსათუოდ მახეს მიგებენ. ეს ზედმეტი თავაზიანობა უკვე მაჯავრებდა და მანერვიულებდა.

სასადილოდან მერე ვიღაც დიდი კაცის მდიდრულად მოწყობილ სამუშაო ოთახში შემიყვანეს. რბილ, ღრმა სავარძელში რომ ჩავჯექი, მეგონა იატაკზე ვვარდებოდი.

ოთახში შუა ხნის ჩასუქებული, სიმპათიური ქართველი კაცი შემოვიდა. დიდი მოწიწებით ცალკე პატარა მრგვალ მაგიდასთან მიმიპატიჟა. რატომღაც ამ თავაზიანობამ და უცნობი კაცის ღიმილმა არასასიამოვნოდ იმოქმედა ჩემზე და იმწუთშივე რაღაცა წინააღმდეგობის ძალა მომაწვა. ძალიან ნაცნობი სახე ჰქონდა ამ ჩეკისტს, მაგრამ ვერა და ვერ გავიხსენე მისი გვარი. მერე თუთუნი შემომთავაზა, თვითონ გააბოლა და დიდი საქმის კაცივით მითხრა:

— ახლა საქმეს შევუდგეთ.

მე სიბრაზისაგან სისხლი მომაწვა და თითქოს გულში ლახვარი მომხვდა.

— ბატონო ლევან! თქვენი ბიოგრაფია და საქმიანობა ჩვენთვის ცნობილია. ალბათ თქვენისთანა კაცს გიჭირთ პატიმრობა და ბანაკური მძიმე, დუხჭირი ცხოვრება. ალბათ სამშობლოც მოგენატრათ, სადაც თქვენ გარკვეულ პერიოდში დიდად პოპულარული იყავით, როგორც საუკეთესო მწერალი-დრამატურგი. თქვენს შესახებ ჩვენ აქ ბევრი ვიმსჯელეთ და თქვენი საქართველოში დაბრუნების გზა გამოგინახეთ. მხოლოდ გვინდა სიკეთეზე სიკეთით გვიპასუხოთ, სულ უბრალო საქმეში დაგვეხმაროთ. თქვენისთანა კაცისათვის ჩვენი თხოვნა

არ იქნება ძნელი შესასრულებელი. თქვენი თანხმობის შემთხვევაში აქედანვე სახლში წახვალთ.

მე ხმას ვერ ვიღებდი, გულს გაჰქონდა ბაგაბუგი, გულმოკლული შევცქეროდი ამ თითქოსდა „საქმის" კაცს, რომელიც თვალთმაქცობით და ზედმეტი კეკლუცობით მგლური თვალებით შესცქეროდა თავის მსხვერპლს.

ცოტა ხნის სამარისებური სიჩუმის შემდეგ განაგრძო: ჩვენ სულ უბრალო, პატრიოტულ, საშვილიშვილო საქმეზე გვჭირდება თქვენი დახმარება. გვინდა შეხვდეთ საზღვარგარეთ მყოფ ქართველ ემიგრანტებს, ისინი გადმოიბიროთ და საბჭოთა კავშირში წამოიყვანოთ.

მე სიბრაზისა და აღელვებისაგან ფეხზე წამოვხტი და ისე დავიღრიალე, რომ ჩემი ხმისაგან მე თვითონ შევკრთი.

— მე ჩეკასთან საერთო საქმე არასდროს არ მქონია და არც ახლა მინდა მქონდეს. თქვენ ვინ გენდობათ! საწყალი ემიგრანტები, იმისათვის გინდათ გადმოიბიროთ, რომ შორეულ ბანაკებში აწვალოთ და სული ამოხადოთ? ჩემი სინდისის, პატიოსნებისა და ავტორიტეტის ხარჯზე გინდათ გამოხვიდეთ? არასდროს! ბევრი რომ მაწვალეთ, გინდათ მომტეხოთ! არა, მე ჩემი ერის გამყიდველი არასდროს არ ვყოფილვარ, არც ვიქნები. ახლავე დამაბრუნეთ უკან ვორკუტაში, ჯერ იქაურ გაწამებულ ემიგრანტებს მიხედეთ!

ოფიცერი შეკრთა კიდეც, ასეთ პასუხს არ მოელოდა, რატომღაც ეგონა დამითანხმებდა.

— თქვენ არ ყოფილხართ ჭკვიანი კაცი, — დაცინვით წარმოსთქვა მან, — არც დიდი მწერალი ხართ და არც ამდენი ხნის პატიმრობას მოურჯულებიხართ. ახლა კი სამშობლოს სამუდამოდ გამოემშვიდობეთ. მას არასდროს აღარ ეღირსებით, ეს დაიმახსოვრეთ.

— ისიც შემიძლია გითხრათ, — ნიშნის მოგებით მითხრა ჩეკისტმა, — ვიღაცამ სტალინს თქვენი კარგი მწერლობის ამბავი მოახსენა, სტალინმა კი მიხეილ ჭიაურელს ჰკითხა — მწერალ ლევან გოთუას თუ იცნობო? არაო, — მოკლედ უპასუხა მან. მის სიტყვას კი მა-

შინ თქვენი ბედი შეიძლება სულ სხვანაირად გადაეწყვიტა. ეს იმიტომ გითხარით, რომ შეიგნეთ — არავის არ სწადია თქვენი დახმარება. ახლა კი ამისთანა შესაძლებლობას კარგავთ.

როგორ გამოვედი იმ ოთახიდან, არ მახსოვს. მერე სარდაფში ჩამაგდეს, იქ გამაშიშვლეს და რამდენიმე დღე მშიერ-მწყურვალი დამტოვეს. შემდეგ ძველი ტანსაცმელი მომიგდეს და სასწრაფოდ უკან ეტაპს გამომაყოლეს.

ყველაფერზე გულმოკლული, დაღლილი და ნაწყენ-შეურაცხყოფილი სიბრაზისაგან აღარაფერს ვაქცევდი ყურადღებას. ღრმა დუმილით, თვალებდახუჭული სულ იმას ვფიქრობდი, როგორ გამიბედეს ასეთი დამცირება, მათთან თანამშრომლობა, ხელის შეწყობა და ქართველი ერის ღალატი. ასე იფიქრეს, წვალებით მომტეხეს! არა, ნურას უკაცრავად. ერის ღალატს სიკვდილი მირჩევნია.

რა ცუდი კაცი აღმოჩნდა ის ჩეკისტი, ნამდვილად ჯალათი, როგორ მომიკლა გული ჭიაურელის გახსენებით.

მე ბატონ მიხეილს პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ მისი მეუღლე — ვერიკო ანჯაფარიძე ჩემს პიესებში „მეფე ერეკლეში“ და „დავით აღმაშენებელში“ მთავარ როლებს ასრულებდა. ამიტომ ჩემი ვინაობა ბატონ მიხეილს არაფრით არ შეიძლება, რომ არ სცოდნოდა. ეს უფრო მაგიუებდა მე და გული მტკიოდა; თუ კი შეეძლო კარგის თქმა და დახმარება, რატომ სიკეთე არ გააკეთა! ზოგჯერ იმასაც ვფიქრობდი — შესაძლოა იმ წუთში მისი ასეთი ნათქვამი საჭირო იყო და სჯობდა, თორემ ასე რატომ გამწირავდა ალალ-მართალ ქართველ კაცს. მოკლედ, ამ მგზავრობაში ისევ ბევრი ღელვა-წვალება და დამცირება გადავიტანე.

ვორკუტაში, როგორც სახლში, ისე ჩამოვედი, ქართველებმა შეხვედრით ძლიერ გამახარეს და მეც გავახარე.

იყავით კარგად, გკოცნით ყველას!

თქვენი ლ ე ვ ა ნ ი“.

ახალგაზრდამ ლევანთან დაკავშირებით ბევრი სხვა იქაური ამბავი მოგვიყვა:

— პატიმარი ვანო შევარდნაძე ძალიან კეთილი, საყვარელი, ენამახვილი და მშრომელი ახალგაზრდა კაცია. სასურსათო საწყობში მოეწყო სამუშაოდ და ყველა ქართველს დიდ დახმარებას უწევს, მათ შორის ლევანსაც.

საწყობს, უფრო სწორად ვანოს, ხშირად ზედამხედველები ამოწმებენ. ამიტომ ვანოს არა მარტო პატიმრებში, ასევე უფროსებშიც კარგი სახელი ჰქონდა. ერთ-ერთი ასეთი შემოწმების დროს ვანოს საწყობში ციმბირული კატა უპოვეს, რაც ბანაკის პირობებში სასტიკად აკრძალული იყო.

ვანო ყოველთვის ასწრებდა კატის გადამალვას, ამჯერად კი ვერ მოახერხა.

— ეს საიდან არისო, — შეეკითხა მკაცრად ზედამხედველი.

— თბილისიდან მივიღე ამანათით, — სრულიად სერიოზულად გაეხუმრა ვანო.

ზედამხედველებმა იმწუთში ამაზე არავითარი რეაქცია არ გამოხატეს. გზაში კატის ამბავი გაიხსენეს და საშინლად გაჯავრდნენ, ვანომ როგორ მოგვატყუა და გაგვაცურაო.

ვანოს დასჯის მიზნით უფროსს მიმართეს, სასწრაფოდ ვანოც გამოიძახეს.

— რატომ მოატყუე ზედამხედველები!

— ნამდვილი ციმბირული კატა ვერ იცნეს, ასეთი ფუმფულა და დიდი, მეც გამიკვირდა და გავეხუმრე.

— თქვენ რისი მაქნისი ხართ, ციმბირული კატა ვერ იცანით და იუმორის გრძნობა არა გაქვთო, — გაჯავრდა უფროსი და ზედამხედველები დასაჯა.

ეს ამბავი სწრაფად ანეკდოტივით მოედო ბანაკს. ლევანმაც ბევრი იცინა.

გავიდა რამდენიმე ხანი, ბიჭებმა გადაწყვიტეს ვანოსთვის კატა მოეპარათ, ვინაიდან კატას საწყობში მაინც არ დაუტოვებდნენ. მოიპარეს კიდეც და „ჩახოხბილი“ გააკეთეს. ლევანის სამფლობელოში შინაგანი ტელეფონის ზარი აწკრიალდა. ლევან, კურდღელი ვიშოვეთ და ძალიან გემრიელი „ჩახოხბილი“ გვაქვს სადილად, მოდი ყველანი ვიქნებითო. სადილი დიდ სიცილში და ოხუნჯობაში ჩატარდა. ყველამ გემ-

რიელად შეჭამა „კურდღლის ჩახოხბილი“. ერთმა ლევანისათვის მისართმევად, როგორც უფროსისათვის, თავიც კი მოითხოვა, მაგრამ უთხრეს — თავი უკვე შევჭამეთო.

მეორე დღეს ლევანთან ზარმა ისევ დაიწკრიალა და ვიღაცამ ტელეფონში კატასავით დაიკნავლა — „მიაუ-მიაუ“. ასე განმეორდა რამდენჯერმე. ლევანი მიხვდა, რომ დიდი ოინი გაუკეთეს, კურდღლის მაგივრად კატა აჭამეს, მაგრამ ხომ თვითონაც ჭამეს. ლევანი იხტიბარს არ იტეხდა და სულ იმას გაიძახოდა — კატის ხორცი კურდღელზე გემრიელი ყოფილაო.

სტუმრის ნაამბობმა და ლევანის მიერ გამოგზავნილმა ხელნაწერმა დიდად აგვაღელვა და ცრემლიანი სიხარული მოგვიტანა. ლევანის ხელნაწერს სასოებით ვფურცლავდით და სიამაყის გრძნობით მის შემოქმედებას ჩუმად ვეფერებოდით, თითქოს ეს ალერსი მასზე გადადიოდა. გული ტკივილით გვეცოდებოდა ლევანი. ისიც წარმოვიდგინეთ, სამშობლოში რომ ყოფილიყო, ის შემოქმედებითი აღმაფრენა უფრო ძლიერი და შედეგიანიც იქნებოდა. გული სიამაყით გვევსებოდა. ლევანი ისევ შემოქმედებით ძიებაშია, ეს მის სრულყოფილ სიცოცხლეს ნიშნავს. მისი ჭეშმარიტი ნიჭი უკვდავია და სანუკვარ სამშობლოს დასტრიალებს.

დიახ, იქ, შორეულ ჩრდილოეთში, ლევანი და აქ ჩვენ, მისი მახლობლები, სამშობლოს კეთილი მომავლის იმედით ვცხოვრობდით.

„ჩ ე მ ო კ ა რ გ ე ბ ო!

20. XI. 52 წ.

ბოლოს მომეცა საშუალება, წერილის მოწერისა და ისიც ქართულად დაწერილისა.

აქაურ ამბებს ალბათ გიამბობენ. ასე რომ, მე უფრო წვრილმანებს შევეხები. პირველყოვლისა, გამოგზავნილია „გმირთა ვარამის“ მე-2 ტომი, რომლის, ასე ვთქვათ, „გათეთრება“ ველარ მოვახერხე, არც დრო მეყო, არც ჯანი და არც რვეულები. თუ ოდესმე შემოვბრუნდი, ამ ხელნაწერებსაც შემოვუბრუნდები. თუ არა

და, იგი მაინც იყვეს საქართველოში, თუნდაც ხელმოკ-
ლებული სახით.

მაშასადამე მიღებული გაქვთ:

1. „გმირთა ვარამი“ — 39 რვეული (აკინძული)
2. „ცალხელის თუთუნი“ — (ცალკე რვეულად)
3. ცალკეული ფრაგმენტები, შენიშვნები და ჩანაწერები, ლექსები.

ყველაფერი შემინახეთ. შავებს არ ვიტოვებ, ასე რომ ყველაფერს თქვენ გაბარებთ. შემინახეთ ყოველ მიზეზს გარეშე, ყოველ პირობებში. ნურც ვის ნუ აჩვენებთ, ნურც გააგებინებთ. თუმცა, ვგონებ, ტყუილად გაფრთხილებთ. ამ ხელნაწერების წამკითხველი მაინც არავინ მეგულება. ვიდრე მე ცოცხალი ვარ, მელოდეთ და თუ მართლა იმედმა გამიმართლა, არც ხელს მოვაკლებ, არც სინათლეს. მესამე წიგნიც საკმაოდ ჩათავებული მაქვს, იგიც დაახლოებით ასეთივე ზომის გამომდის. ამ წლის ბოლოსათვის მესამეც, ვფიქრობ, გამოსაგზავნად გამზადებული მექნება, თუ, რა თქმა უნდა, რამემ ხელი არ შემიშალა. „ხელის შემშლელი“ კი ბევრზე მეტი მაქვს და გამაჩნია. ახლა მჭირდება რვეულები, რვეულები და რვეულები!!! ყოველ ამანათში ჩადეთ ნ ცალი, აქ კეთილის მსურველნი რომ არ მეხმარებოდნენ, დიდხანს ვერაფერს დავწერდი უქაღალდობის გამო. თქვენ ჩემი წერილები გაზვიადებული გგონიათ. ახლა იანგარიშეთ რამდენი რვეული მჭირდება და ამასა გთხოვთ, ნუ შემომაკლებთ.

ახლა დანარჩენი ამბები — ჩემი წერილების დაგვიანებას ყურადღებას ნუ მიაქცევთ.

ასე შევთანხმდეთ. სცადეთ ერთი პატარა ბანდეროლის გამოგზავნა ბანაკის მისამართით. თუ მოაღწია, მოგწერთ. აქ ხან უშვებენ, ხან არა.

გაზეთი „კომუნისტი“ გამომიწერეთ პირდაპირ რედაქციიდან ჩემს სახელზე და ბანაკის მისამართზე. ასეთ გაზეთებს თითქოს უშვებენ. ესტონეთიდან და ლიტვიდან ასე მოსდით ხოლმე, თუმცა ისინი რუსული გაზეთებია. როდესაც აქ ქართულ გაზეთებს ვკითხულობ, წარსული ზღაპარი მგონია. რაც დრო გადის, საქართველო უფრო

მშორდება, რეალურ სახეს კარგავს, ღვთაებად მექცევა.

ფულს ნუ გამომიგზავნით. ახლა ჩვენც დაგვინიშნეს ჯამაგირი. „სამეურნეო ანგარიშზე“ ვართ გადასული. ჩემს თანამდებობას ეკუთვნის 850 მან. აქედან მე მეკუთვნის მხოლოდ 170 მან. ისიც ხელზე მეძლევა 100 მან. მხოლოდ, 70 მან. კი ჩემ პირად ანგარიშზე ირიცხება და ბოლოს ალბათ ოდესმე მივიღებთ. ჩვენს ბანაკში ახლა ფული ტრიალებს, ხოლო კვების საკითხი კი სულ აირია. მაგრამ, რამდენადაც ვიცი, ეს საკითხი არც სხვაგან არის ჩინებულად. ამ მხრივ საქართველო, ჩანს, კიდევ კარგ დღეშია.

დღეების ჩათვლები აქ არ არის და საერთოდ აქედან შინ არავის უშვებენ. ასევე აქ დარჩა ილია ბოჭორიშვილი, შენი სტუდენტის მამა. ორიოდე სიტყვა ჩემი ჯანმრთელობის შესახებ — იშიასმა მომინელა, დამგრიხა და ხელში ჯოხი ამაღებინა. ასი წლის ბერიკაცივით მომხარა და მომტეხა. ტკივილებს და წვალებას ჯანი გავარდნია, მაგრამ მუშაობაზე ფრიად მიშლის ხელს და მომადუნა მეტად. გულს მაინცდამაინც არ ვუჩივი, მაგრამ ეს საოცარი დაღლა და ფეხის თრევა ვერ მომიცილებია. მაინც, მიუხედავად ამისა, მომავალს იმედით შევყურებ, დრო სწრაფად მიდის, მართალია, მიაქვს ჩემი ახალგაზრდობაც, მაგრამ გადასახლების ვადაც. აქ ხმები დაირხა, რომ ჩათვლები გვექნება (1—3 დღე ან 1—2 დღედ). თუ ამას ახლო მომავალში მოვესწარი, ჩემს ბედს ძაღლიც ვერ დაბუეფს.

ფრთხილად იყავით. კაცუნები მეფობენ. აქაც არეულია ყველაფერი, არა მგონია, რომ მანდ დალაგდეს. ამათ ხელში არაფერი გამოვა.

გაოცნით, თქვენი ლევანი“.

„ჩ ე მ ო კ ა რ გ ე ბ ო!

27. II. 53 წ.

ჯერ არ გწერდით, ვიგვიანებდი, ახლა კი ზედიზედ ვაგზავნი წერილებს, შესაძლებელია სულ ერთად მიიღოთ. ახლაც ვსარგებლობ შემთხვევით. ამ წერილის

მომტანი ერეკლე გეგეჭკორია. ის უკან გამობრუნდება და პასუხსაც წამოიღებს. თქვენც ჩემს ამბავს უფრო დაწვრილებით მოგიყვებათ.

აბა, ჯერ თქვენზე. როგორ ცხოვრობთ, რას შვრებით, სად მუშაობთ? რა პერსპექტივები გაქვთ? ჯანმრთელობით როგორა ხართ? როგორ არის დედა — ალბათ ძალიან მიიხუცდა. ჩემი დანაზოგიდან, რომელიც ჩემს პირად ანგარიშზეა, თქვენ მიერ წლების მანძილზე გამოგზავნილი და თითქოს ჯამაგირის თანხიდან 800 მანეთი, დედას გამოვუგზავნე, მიღება დამიდასტურეთ. მე მაინც ამ თანხას არ მომცემენ და ვერც გამოვიყენებ, დედას კი გაახარებს. თვითონ იყიდოს რაც უნდა, თქვენ არ დაუხარჯოთ. მე ვაპირებ თქვენთვისაც გამოგზავნას. მე უკვე გწერდით, რომ ყველა ამანათი და წიგნები, გაზეთები და რვეულები მიღებული მაქვს. ქართულმა წიგნებმა მეტად მაამა. გული მწყდება და სიბრაზისაგან ცოფებს ვყრი ხოლმე, რომ მაგონდება, როგორ ერთი ხელის მოსმით მომიშორეს თავიდან და დიდი ხნით მომწყვიტეს საქართველოს ცხოვრებას, მწერლობას და იქაურ კეთილ საქმიანობას.

რამდენადაც შეიძლება, გაზეთებიდან თვალყურს ვადევნებ ქართულ პროზას. გული შემტკივა, რატომღაც ასე მგონია, ქართულმა პროზამ მოიღატაკა. საქართველოში ბევრი გვყავს ნიჭიერი ახალგაზრდა თუ ხანდაზმული მწერალი, ნუთუ ისინიც დაადუმეს. სხვა დარგებშიაც ჩამორჩენას ვატყობ. რას მივაწერო ეს, არ ვიცი. ქართველებს ბევრ კარგ თვისებასთან ერთად ზოგჯერ დიდი უბედურებაც შეგვეყრება — „სიზარმაცე". სიზარმაცე მაცდურია, ის თუ მასიურად შემოგვეპარა და ინფექციასავით გავრცელდა, ერის დამაქცეველია. ავკაცობის ეს ზღურბლი დაწყებისთანავე უნდა გადავლახოთ, თორემ უქნარები და მოხეტიალე უსაქმურები ძლიერი ერის გამტეხიცაა.

საქართველოს, როგორც არასდროს, მომავალში თავისი გარდაქმნისათვის, გაძლიერება-განვითარებისათვის კეთილი, მშრომელი (ძლიერი სულით), ბეჯითი და განათლებული ხალხი სჭირდება. ამჯერად სხვა გზას ვერ

ვხედავ ამ პოლიტიკის გადალახვაში. საქართველოში შეიძლება ამიტომაცაა ცხოვრება წაღმა-უკუღმა რომ ტრიალებს, საუბედუროდ, წაღმას უკუღმართობა სჭარბობს. ასე როდემდე უნდა გაგრძელდეს, არ ვიცი. ჩემს არსებაში მთავრობა საშიშ, ძლიერ მოწინააღმდეგეს ხედავს. ეს ჭეშმარიტად მართალია. მე ამ წყობის სასტიკი წინააღმდეგი ვარ, მაგრამ ვერასოდეს ვერ მოვასწარი და მოვახერხე ამის აქტიური მოქმედება და გამოხატვა. ყოველთვის ჩეკამ დამასწრო, ჩემი გუმანისა და ოცნების მსხვერპლად მხდიდა. ყოველთვის ჩემ მიმართ წინდახედულობას იჩენდა.

ამიტომ, სამწუხაროდ, ჩემი ცხოვრებაც სულ უკუღმართად ტრიალებს. ბევრი ძიება და ღადუმება შემხვდა, უფრო სწორად გამოუსავალი უნებლიე დათრგუნვა და დახშობა, უსაზღვრო უსამართლობა, დროის სამკვდრო-სასიცოცხლო სასწორი.

მიუხედავად მძიმე მარყუჟებისა, ბრჭყალებისა და კაუჭებისა, მე ჯერ კიდევ მთლიანად გათავებული, სიმართლედაცხრომილი კაცი არა ვარ. გულის სიღრმეში ვგრძნობ ხასიათის სიმტკიცეს. შეიძლება ზოგჯერ ნებისყოფა მღალატობს, იმედს ვკარგავ, სულით ვეცემი, ეს ამ პირობებში ბუნებრივიც არის. ამდენი უსამართლობის შემხედვარე, მაინც მომავლის იმედით ვცხოვრობ.

როგორც ჩანს, საქართველოში გამრავლდა ჭარბი მეობით აღსავსე ხალხი ყველა დარგში, განსაკუთრებით მთავრობაში. სავალალოდ, მწერლობაშიც თითქოსდა წერით იძლებენ თავმოყვარეობის უმაძღარ ჭიას. ეს ჭეშმარიტი მწერლობა არ არის. ვინც მხატვრულ სიტყვაში რაიმე სისტემას ეძებს, ის ვერასოდეს ქართულ ჭეშმარიტ მწერლობას ვერ მიაღწევს. მწერლობის განვითარება ბრძანებითა და ლოზუნგებით სავალალო და მომაკვდინებელია. მწერალს თავისი მეობა, სახე და ხასიათი უნდა გაჩნდეს, გარდა ბუნებით მინიჭებული ნიჭისა. საქართველოში ყოველთვის იყვნენ და ახლაც არიან ჭეშმარიტი მწერლები, რომლებსაც კარგად უჭრით კალამი. მოტმასნილ, უნიჭო მწერლებს კი კალმის მაგივ-

რად კბილი და ვერაგობა უჭრით. აი, ხომ ხედავთ, გულისტკივილით მეც გავკარი კბილი მაქაურ ამბებს.

ძალიან მაინტერესებს, სად ჩაიკარგა ჩემთან ერთად დაპატიმრებული ხალხი, მათ შესახებ უსათუოდ დაწვრილებით მომწერეთ ყველაფერი.

ახლა აქაური ამბები მოკლედ. სანუგეშო არაფერია. ჯერ ძველებურად ვარ გაწვალებული, ჩაკეტილი, ჩამწყვდეული. მაგრამ უკვე დუხჭირს საგრძნობლად მიჩვეული. არც ჩათვლები და არც რამე შერბილებანი არ არის მოსალოდნელი. პირიქით, რატომღაც ისევ გამკაცრებისკენ მიდის ყველაფერი. ასე რომ, წერილების გამოგზავნის შემცირებაა მოსალოდნელი. არ შეგეშინდეთ და ნურც გაიკვირვებთ.

ახლა ჯანმრთელობის შესახებ. არა მიშავს რა, ჩემი ჯანი ჯერ კიდევ მიტანს და ფრიად კარგად მემსახურება კიდეც. ცოტათი იშიასმა შემაწუხა, ამ ბოლო დროს ხანდისხან მიმწვავდება და მაშინ ვგრძნობ ჩემს დაუძლურებას. საოცრად მშველის თქვენი გამოგზავნილი წამლები, გულზე მალამოდ მედება და ფეხის ტკივილს მიხსნის. ველი წამლებს. რა მოგწეროთ. კვებაზე აქ დიდი უწესრიგობაა და ზომიერი შიმშილია, რომელიც არ მოგკლავს და არც გაცოცხლებს.

პატიმრებში კახეკსია და სიმჭლევე ჭარბობს. ჩვენ, ქართველები, ურთიერთდახმარების წყალობით, სხვებთან შედარებით, კარგად ვართ, საქართველოს წყალობით. ეს კი აქ პატრონიან კაცს ნიშნავს. მავთულხლართებშიც შინაურების თვალმა შემოიჭყიტა, თავისუფლებისა და შინაურების სითბო შემოიტანა.

ვორკუტაში თავისუფალ გადასახლებაში მყოფი ქართველები კი მისწრებაა პირდაპირ. როგორც ერთი ოჯახის წევრები, ისე გვეხმარებიან. ესენი არიან ვალიკო ხუჭუას, რომან ბლიაძის, კოლია კალაძის, ბორის შენგელიას, ვალიკო ჭუმბურიძის და ბევრი სხვა ოჯახი.

საუკეთესო ახალგაზრდები, პატიოსანი, საქმიანი, განათლებული ხალხი, ისინი ვადის დამთავრების შემდეგ სამშობლოში აღარ გაუშვეს და მუდმივად ამ თითქოსდა ქალაქში დაასახლეს.

მე როგორც გწერდით, აქ ირგვლივ უამრავი ქვანახშირის საბადოა, ამიტომ ამ ქალაქის გაშენებას დიდი მომავალი აქვს, მით უფრო რომ ბანაკებში უამრავი პატიმარი — მუშახელია.

ჩვენს ბანაკში ხალხმრავლობაა. გარდა 6 ათასი პატიმრისა (2 ათასი ქურდ-რეციდივისტი და 4 ათასი პოლიტპატიმარი), 2 ათასი სხვადასხვა ეროვნების გასაცოდავებული, მოტყუებით წამოყვანილი სხვადასხვა ერის ემიგრანტები არიან — უნგრელები, გერმანელები, ფრანგები, პოლონელები, რუსები, ქართველები და სხვები. წარმომიდგენია, როგორ ბევრი არიან სხვა ბანაკებშიაც. ნეტავ ვიცოდე, რას ერჩოდნენ ამ საწყლებს, სამშობლოს სიყვარულით გადმოიბირეს და სამშობლოს მაგივრად მოსარჯულებლად ამ საშინელ ბანაკებში ჩაკლეს მძიმე ფიზიკურ შრომაში, მშიერ-მწყურვალი და გაუბედურებული. საუკეთესო ხალხი დაიღუპა. ბევრმა სიმწრით თავი მოიკლა.

მე ასე მგონია, პატიოსანი მოღვაწენი და სწავლული ხალხი ამ ბანაკებში უფრო მეტია, ვიდრე მანდ დარჩა.

ყველას, როგორც მე, ჩვენი კლდოვანი და ეკლიანი სავალი გაგვაჩნია, ან პირნათლად მოვალთ მანდ, პატიოსნად შევცვლით გარემოცვას, ანდა პატიოსან გზაზე დავრჩებით მოუსვლელად. ესაა და ეს.

აქ, ჩრდილოეთში, ბანაკებში ადამიანის სიკვდილი ძალიან იოლია. მიდის და მიდის განსაკუთრებით ხანდაზმული ხალხი, განათლებული, ყოველმხრივ შემკული სხვადასხვა ერის ინტელიგენცია და არცთუ მცირე რაოდენობით. ნამდვილად, ჩვენს ქვეყანაში, ვერ წარმომიდგენია, მომავალში როგორ უნდა შეივსოს და აღდგეს, ასეთი კულტურისა და განათლების დონე და დანაკლისი. ეს უსათუოდ უარყოფითად იმოქმედებს მომავალ თაობაზე.

როგორი პარადოქსებია ამ დაწყევლილ წყობაში. კომუნისტებს ხელს აძლევს გაუნათლებელი, უხერხემლო ბრბო. მე კი ვფიქრობ, სწორედ ასეთი ბრბო გამოჭრის ყელს და დაამხობს მათ.

სამშობლოს საკეთილდღეოდ აუცილებელია ახალ-

გაზრდული შემართების და განათლებული, გამოცდილი ხალხის შერწყმა. ასეთი ურთიერთობა სამშობლოს სასიკეთო წინამძღვარიც შეიძლება გახდეს მომავალში.

აქ ასეთებიც ხდება: ერთ დილას სამუშაოზე გასვლის წინ ბანაკში დიდი აურზაური ატყდა — სტალინი დადისო და პილიტპატიმრებს თვალყურს გვადევნებსო. ყველას შიშის ზარი დაეცა.

ჩვენც, ქართველებმა, ნამდვილად სტალინი დავინახეთ სახით, სიმაღლით, ტანით, ჯმუხობით. ის პატიმარი ვიქტორ ჯღარკავა აღმოჩნდა. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაჰკიოდა — „ხალხნო, მე სტალინი არა ვარ, თქვენსავით პატიმარი ვარ, ღმერთმა დასწყევლოს მისი სახელი, მისგან ვარ დაღუპული. სტალინი მრისხანე ინკვიზიტორია, ის ანადგურებს ყველას. სტალინი ერთადერთი კაცია, რომელიც ვერ გარყვნა „ჩეკამ“, მაგიორში მან თვითონ მძიმედ გარყვნა „ჩეკა“. ის გულქვა, ულმობელი კაცია, მან შემოიტანა ამ ბანაკებში წამების სასტიკი ფორმები“. პირველ ხანებში პატიმრებს ძალიან უჭირდათ ჯღარკავას ბანაკში ყოფნა. პატიმრები მას მაინც გაურბოდნენ, ერიდებოდნენ, შემდეგ კი ქართველების დახმარებით თანდათან ყველაფერი ჩადგა თავის კალაპოტში. ჯღარკავა ძალიან თბილი და კეთილი ექიმი კაცი აღმოჩნდა.

პატიმარი ვანო შევარდნაძე ხშირად ეუბნებოდა: ასეთ კეთილ და ნამუსიან კაცს ღმერთმა ასეთი გარეგნობა რატომ მოგცაო და დაგსაჯაო, სახე როგორმე შეიცვალეო. მერე ჯღარკავას მოაპარსინეს ულვაშები და შეუთხელეს წარბები.

ჩემი ვადის დამთავრებას „უმაღლესი მათემატიკა“ სჭირდება, ძნელი გასარკვევია.

მე კარგად ვარ... დავბერდი, მაგრამ, ჩანს, ჩრდილოეთს მივეჩვიე არც სიშორე მაშინებს, არც სივრცე, არც მაღარო, არც აქაური მძიმე პირობები და არც ვადის გათავება თუ გაუთავებლობა. ისე კი სულ მპირდებიან გარეთ გაგიშვებთ და კომენდატურას მიგამაგრებთო. ესე იგი ვორკუტაში ჩემს სამუდამოდ ჩარჩენას გულისხ-

მობენ ალბათ. მეც ამასვე მოველი, ჩემისთანები სულ აქ არიან, რაც არცთუ ისე სანუგეშოა.

ახლა ჩემი მუშაობის შესახებ. ჩემი წიგნი „გმირთა ვარამი" შავად თითქმის დამთავრებული მაქვს. უკანასკნელი ხუთი თავის გადათეთრებაზე მომისწრო ავადმყოფობამ და შუა გზაში გავიჩხირე, თორემ ამ წერილთან ერთად იმასაც გამოგიგზავნიდით. ზომით მეორე წიგნზე უფრო დიდი და, ვგონებ, უფრო საინტერესოც გამოვიდა — თუმცა მე უფრო ვჩქარობ და ისეთ პირობებში ვცოდვილობ, რომ, რა თქმა უნდა, მრავალ ხელსა და დახვეწას ვაკლებ. გასწორებას ვერც კი ვასწრებ. ამის შემდგომ კი დამრჩა მეოთხე და უკანასკნელი წიგნიც და თუ ერთი წელიც დამცალდა და აქვე დავრჩი, ამ არცთუ პატარა საქმეს ბოლოსაც გამოვაბამ! თქვენ ეს ხელნაწერები ოღონდ კარგად შემინახეთ, ყოველ პირობებში, და ბოლოს, რომც არ დავბრუნდე, ჩემს წიგნს პატრონიც გამოუჩნდება და პატრონსაც გამოაჩენს!

აბა, ყველაფერი დაწვრილებით მომწერეთ თქვენს გარშემო! ვინ დაბრუნდა? ვინ სად არის? გაზეთების გამოწერის საქმე თუ გაიგეთ? მე უკვე გწერდით, რომ პირდაპირ ბანაკზე შეიძლება გამოწერა. გაწუხებთ, მაგრამ მეტი ვინღა შევაწუხო?

აბა ყველას მოკითხვა, გკოცნით, ველი პასუხს.

თქვენი ლ ე ვ ა ნ ი".

„ჩ ე მ ო კ ა რ გ ე ბ ო!

10. III. 53 წ.

ამანათი მიღებული მაქვს, თუმცა გატეხილი იყო და რა აკლდა, ვერ გავიგე, სია და ბარათი არ მომცეს. რუსული და ქართული წიგნებიც მივიღე. გამიკვირდა, ყველა ქართული წიგნი და გაზეთი უცენზურად მომცეს. მადლიანი საქართველოს ბუნების ნაყოფმა აქ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, ქართულმა ჩურჩხელამ და ხილმა იხსნა ქართული ლიტერატურა.

მანდ რომ გულდაგულ გაზაფხულია გამეფებული,

რომელსაც მე ყოველთვის ვეტრფოდი, აქ ჯერ ბარე ორი ყინვა დაჰკრავს და ქარბუქი გადაგვივლის, როგორც დღეს. ისეთი დაუქროლა, წამაქცია და უბეში ჩამალული ხელნაწერები დამეფანტა, მერე სასწაული მოხდა: ქარმა ისინი ზევით ზეცისაკენ აიტაცა და რკინის მავთულხლართებს იქით გააფრინა. ჩემმა ხელნაწერმა თვითონ უშველა თავს, თვითონ მოიპოვა თავისუფლება და ბანაკის მიღმა უკიდეგანო ტუნდრაში მიმოიფანტა. მართალია, მე მეორედ დამჭირდა ყველაფრის დაწერა, მაგრამ მაინც ჩემი ნაწერის თავისუფლება შემშურდა. როდის იქნება ის დღე, როცა მეც მავთულხლართების მიღმა გავჩნდები.

აქაურობას მაინც გაზაფხულის გამოღვიძება შევატყვე. რამდენიმე დღის წინ ბანაკს ყვავების გროვამ გადაუქროლა. ეს აქაური მერცხლები თუა. თავისუფალ ტუნდრაში მავთულხლართებს მიღმა ჯუჯა და მეჩხერი არყის ბუჩქებმა თოვლ-ჭყაპიდან ამოჰყო პატარა თავი. ასე რომ, აქაც, ამ დაწყევლილ ჩრდილოეთში, ბუნებას აღორძინება შეეტყო. ეს კი სიცოცხლეა, მართალია, ულიმღამო, როგორიც აქაური პატიმრებისა მაგრამ მაინც მომავლის მოლოდინში კვლავ აღორძინების.

გაზაფხულის სურნელი ჩვენდაუნებურად ხალისს გვმატებს და გვამაგრებს.

მინდა ვიყვირო, საქართველოს გაზაფხული მენატრება-მეთქი. თავს ვიმაგრებ, ჯერ კიდევ მოთმინება მშველის.

ვშრომობთ და ვცხოვრობთ ძველებური რეჟიმით. შინ როგორა ხართ? დედა როგორ არის, ჩემი გამოგზავნილი ფული თუ მიიღო? რა ვქნა, ბულალტერიის ტყვეობა ძნელი ყოფილა. სხვას თუ არ ჩავთვლით სათვალავში, ჩვენს ახლომახლოში ამნისტიით ხალხი სამშობლოში, საკუთარ კერაში ბრუნდება. ჩვენს ბანაკში კი ჯერჯერობით ამის შესახებ ჩამიჩუმი არ ისმის. ვფიქრობ მაისში უნდა გაირკვეს ყველაფერი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ეს ამნისტია მარტო ქურდებისათვის არის, პოლიტპატიმრებზე არ ვრცელდება. ჩვენი ამნისტია ალბათ ამ წყობის დამხობაა. ისე ჩვენი ამტა-

ნობა და გაძლებაა საჭირო. ვინიცობაა ბედმა არ გაგვწირა, შეიძლება ოდესმე ჩვენც შემოვიბრუნოთ ცხოვრება.

თუ კეთილი მეზავრი ნახოთ ვინმე, წიგნები გამოატანეთ, ახალი ქართული წიგნები მომენატრა. ჩემი „გმირთა ვარამის" პირველი წიგნიც გამომიგზავნეთ ნაბეჭდი გადასაკითხავად.

აბა, კარგად იყავით. სულ კარგად. გკოცნით ბევრს.

თქვენი ლ ე ვ ა ნ ი".

„ჩ ე მ ო კ ა რ გ ე ბ ო!

27. III. 53 წ.

კიდევ მომეცა შესაძლებლობა და ისევ გწერთ. ამის მომტანი თქვენი ნაცნობი ექიმის— დავით კვიტაიშვილის ცოლისდაა. მან ქმარს, დავით იმნაძეს ჩამოაკითხა და მოინახულა. აქაურ ამბავს ზოგადად ის გეტყვით, კერძოდ კი მე გწერთ.

სტალინის სიკვდილის ცნობამ შეძრა აქაურობა და მთელ ბანაკებს ელვის სისწრაფით მოედო. ყველაფერი ყირაზე შედგა, თვალის კუთხე, გულის საზომი, გრძნობის ნაწაფი, შეჯიუტებული გონება.

ჰეი! საუკუნის სამრეკლოს ჩამოსცილდება მძიმე ტირანია... იქნებ გვეშველოს რამე?

ბანაკში უსაშველო ლოდინით, და უსამართლობით მოთენთილმა და გამწარებულმა პატიმრებმა სტალინის სიკვდილზე მრავალმხრივი არათანაბარი რეაქცია გამოხატეს. ერთმანეთს ენაცვლებოდა და ერეოდა უკიდურესად დიდი შიში: სტალინის სიკვდილის შემდეგ რა იქნება და, მეორეს მხრივ, არნახული სიხარული სიკვდილის გამო, რომ ახლა ნამდვილად რაღაც გვეშველებაო.

ბევრმა გამოავლინა მწუხარება თუ უიმედობა, შეძრწუნება თუ აღელვება, აღშფოთება თუ კრულვა და ლოცვა, მონანიება, პატიება, სასოწარკვეთილება და სხვა. მოკლედ, აირია ბანაკი. ბევრი ის ვაუკაციც იც-

რემლებოდა, ვინც სტალინის სიკვდილზე ოცნებობდა და იწყევლებოდა. ბევრ ვაუკაცს კი დაუმალავად თვალზე სიხარულისა და იმედის ცრემლი აუციმციმდა. სამშობლოს ნახვის უიმედობა ახლო მომავალში თითქოს რეალურ საქმედ გადაექცათ.

ბანაკში ყველას მძიმე ლოდად შემოგვაწვა — როდემდის უნდა მოვითმინოთ ასეთი თვითნებობა. ბევრი ცალკეული პატიმარი აბობოქრდა, აყვირდა, ნერვებზე მოიშალა, ეს კი, მით უფრო ახლა, სიკვდილს ნიშნავს. ბევრის დაშოშმინება დამჭირდა თვითონ აღშფოთებულს. გულში დიდი ცეცხლი მეკიდება, დარწმუნებული ვარ, რომ მარტო სტალინის სიკვდილი ვერ შეცვლის ამდენი ხნის მძიმე პოლიტიკურ წყობას, ბანაკურ, არაადამიანურ რეჟიმს. ნამდვილად მომავლის იმედი ჩაშეფერფლა, მაგრამ ერთი მტკიცედ ვიცი, მე და ბევრი ჩემისთანა ასეთი ჩახეული ცხოვრების გაგრძელებას ვეღარ გავუძლებთ. ისე მომბეზრდა ასეთი მონური თავიცა და გარემოცვაც, რომ — ან თავისუფლება, ან სიკვდილი!

ამ მძიმე, აუტანელი რეჟიმით და შრომით გამაიმუნებულად მივიფხოტებით. ათასჯერ ვრწმუნდები, რომ აქ ადამიანობა იკარგება, ის იმდენი წინააღმდეგობისა და სხვადასხვა გადმონაშთის შენადული ხდება, ყოველმხრივ იბზარება და ტყდება. მის შენარჩუნებას კი ძლიერი ნებისყოფა და, ალბათ უხილავი, მე-6 გრძნობის მომძლავრება სჭირდება.

ჩემი შფოთიანი ცხოვრების გზაზე ყველა ჩემი საზომი მოსხლეტილი და შებასრული აღმოჩნდა. მთელი ჩემი დანაშაულიც ესაა. და ამ სიმართლეს აღფრთოვანებით ვხვდებით, ხოლო ცუდს, სიცრუეს, ერის დამცირებას, მამულის დამონებას — დუხჭირ-აღშფოთებით. მე ახლაც ადამიანი ცოცხლად და მოქმედად მწამს და არა გუბეში მჯდარ ცივსისხლა მჭვრეტელად. და ეს მსოფლმხედველობა ყოველთვის მიმაჩნია მართებულად.

როგორც გწერდით, ქალაქ ვორკუტას დიდი მომავალი აქვს. აქ აურაცხელი ქვანახშირის საბადოა და მიმდინარეობს ქალაქის გიგანტური მშენებლობა. იბურღე-

ბა მაღაროები, შენდება ქარხნები, ბუნკერები, მიწის-ქვეშა ელექტროსადგურები და სხვა ნაგებობანი. უფასო მუშახელი ხომ მრავლად არის, პატიმრებს უმოწყალოდ ამუშავებენ. არიან ისეთებიც, რომლებსაც მისჯილი აქვთ დღე და ღამე მძიმე შრომა და მაღაროში ცხოვრება.

ამრიგად, მაღაროების გარშემო პატიმართა უდიდესი სამფლობელოა, 200 ათასზე მეტი პატიმარი ცხოვრობს ამ ბანაკებში. წარმოიდგინეთ რამდენი პატიმარია კავშირში.

ბანაკები სხვადასხვანაირია: არის შერეული ტიპის ბანაკი, როგორიც ჩვენია. აქ ხშირად ჩვენ კატორღელებთან გვაერთიანებენ, გვიკარგავენ გვარსა და სახელს და მის ნაცვლად ჩაგვხაზავენ ნომრებში. ამ ბანაკში გაერთიანებული არიან პატიმრები, რომლებსაც მისჯილი აქვთ 10—15—20 წელი. ბანაკში არეულია პოლიტიკური პატიმარი, ქურდი, კაცის მკვლელი, სამამულო ომში ტყვედ ჩავარდნილი ახალგაზრდები. ზოგს გერმანელებთან თანამშრომლობას აბრალებენ, თუ გინდა იძულებით, სიცოცხლის შენარჩუნების მიზნით? უცხოელები, ემიგრანტები. მათ შორის ბევრია უდანაშაულო ხალხიც.

აქ, სამეზობლოდ, იზოლატორებში, ბორკილებში ჩაჭედილი პატიმრებიც ჰყავთ. მართალია, მათ ჩვენ არ ვხვდებით, მაგრამ მათ შესახებ ვიცით ყველაფერი, ღამ-ღამობით ჯგუფ-ჯგუფად თანდათანობით ანადგურებენ და ხვრეტენ მათ.

წინა წლებში პოლიტიკურ პატიმრებსა და ქურდებს შორის დიდი ჩხუბი, მუშტი-კრივი იმართებოდა. მეც ბევრჯერ მომხვედრია საკმაოდ ლაზათიანად, ჩხუბს ჯერ მუშტი-კრივით ვაშოშმინებდი. მერე კი ისე მიჯერებდნენ, რომ ჩხუბის შეჩერებისათვის ჩემი შეძახილი ან საერთოდ ჩემი გამოჩენაც კი იყო საკმარისი.

ახლა თქვენ წარმოიდგენთ, როგორი ავტორიტეტით ვსარგებლობ ქურდებში.

აქ ჩემს მიმართ ხუმრობითაც ამბობენ: ბატონი ლევანი, ჩვენი ბერმუხა, აღმზრდელობით მუშაობას ატა-

რებს არა მარტო პოლიტიკურ პატიმრებში, არამედ ქურდებშიაცო. ისინი გადაიბირა და პოლიტპატიმრუ-ლი სულისკვეთება ჩაბერაო.

ჯერ ერთი, ჩემთვის ბერმუხის დარქმევა ხუმრო-ბითაც უხერხულია, მაგრამ პატიმრებს შორის თითქოს მე ყველაზე უფრო დაბრძენებული ვარ. ალბათ ეს ჩე-მი შინაგანი ბუნების, ხასიათის და განწყობის ბრალია. მე არც კი ვიცოდი, რომ სხვადასხვა კატეგორიის ქურ-დები არსებობს. ჩვეულებრივი „ქურდი" და გაფუჭებუ-ლი ქურდი — „სუკა".

ბანაკში ქურდები დიდი უპირატესობით სარგებლო-ბენ, თავისუფლად დადიან ქალაქში, პოლიტპატიმრებს ძალიან ჩაგრავენ. ვაი იმის ბრალი, ვისაც პირში ოქროს კბილი შემორჩა — თუ ნებით არა, ძალით ააძრობენ. ოქროს ვორკუტაში ანაშაში ცვლიან.

ბანაკში უცნაური შემთხვევებიც ხდება: ერთმა ქარ-თველმა პატიოსანმა შემთხვევითმა ქურდმა ქართველ პოლიტპატიმარს ანკეტა გაუცვალა. ორივე მოგებული დარჩა — ქურდმა აღიდგინა თავისი სახელი, პოლიტპა-ტიმარი ქურდის მაგივრად ადრე განთავისუფლდა.

როგორც გწერდით, ჩვენი ბანაკიდან თავის დაღწევა წარმოუდგენელია, ისეა გარშემო კარ-მიდამო მავთულ-ხლართებით გამაგრებული. ბანაკს ირგვლივ სამ წყებად უვლის ურთიერთდაშორებული სხვადასხვა სიმაღლის რაგვი.

ამ რკინის მავთულხლართებს შორის ავტომატიანი ჩეკისტები დასეირნობენ. უკანასკნელი ღობის ყოველ 100 მეტრში აღმართულია 6 მეტრი სიმაღლის საგუ-შაგო და სათვალთვალო კოშკები, სადაც ჩეკისტები ტუვიამფრქვევებით არიან შეიარაღებული. ვაი, იმის ბრალი, ვინც მავთულხლართების მიღმა მოხვდება. არის ასეთი ბრძანება, რომ მას ესვრიან და იქვე გააგორებენ.

ვერც ქვანახშირით სავსე რონოდების შუაგულში ჩაძვრომით დააღწევს თავს პატიმარი. აქ, საუბედუ-როდ, წვეტიანი რკინის შუბებით არიან ჩეკისტები შე-იარაღებული და გასვლის წინ ამოწმებენ რონოდას. ვაი, იმის ბრალი, ვინც იქ დამალულია — მას მძიმე სიკვდი-

ლი ელის. ამისთანა შემთხვევებიც ახსოვთ პატიმრებს.

მიუხედავად ამისა, ჩემი აქ ყოფნის დროს რამდენ-ჯერმე მოხდა მცდელობა ბანაკიდან თავის დაღწევისა. შედეგი სავალალო აღმოჩნდა. უკიდეგანო ტუნდრა საზარელია, მნახველია ბევრი ადამიანის უბედურებისა და ჩამომწერია ყველა ცოდვისა.

ერთ-ერთი ბანაკიდან პატიმრების ერთმა ჯგუფმა დიდი გვირაბი გათხარა და მავთულხლართების მიღმა გაჩნდა. გადაწყდა, ღამღამობით სამ-სამი პატიმარი გაქცეულიყო. პირველი სამეულის გაქცევის კეთილად დაგვირგვინების შემდეგ, სხვებიც მიბაძავდნენ და ასე ურთიერთდახმარებით წავიდოდნენ, ვინც გაბედავდა. სანამ ჩეკისტები ამ ამბავს გამოაჟკარავებდნენ, საწყალმა პატიმრებმა იოლად გადაწყვიტეს თავისუფლების მიღება. ეს კი მათ სიკვდილის ფასად დაუჯდათ.

მოხდა უკუღმართობა: მთელი ღამე თავისუფალმა პატიმრებმა იარეს, იხეტიალეს, იბორიალეს, მხარე შეეცვალათ, გზა-კვალი აებნათ და დილას გარიჟრაჟზე, როდესაც ეგონათ სამშვიდობოს ვართო, ბანაკის მეორე მხარეს აღმოჩნდნენ. ისინი იმწუთშივე აღმოაჩინეს და იქვე დახვრიტეს. მერე კი ყველას დასანახავად ცხენებს მოაბეს და მკვდრები ტუნდრაში ახოხიალეს. ეს შემაძრწუნებელი სანანავი იყო.

ვორკუტაში ქორწილებიც ხდება.

თავისუფალ გადასახლებაში მყოფ ხუჭუას საქართველოდან შესანიშნავი თავადის ქალი, საცოლე, თამარ წერეთელი ჩამოუვიდა. ყველანი ქართველები, უკლებლივ და ერთობლივ მისი ბედნიერებით ვხარობდით, სადღაც გვშურდა კიდეც. ჩვენც გვინდოდა ასეთი ბედნიერება, ახალგაზრდები ვართ, უცოლოები და ამისთანა საცოლეებს არც ერთი ჩვენგანი არ დავიწუნებთ, მაგრამ, დიახ მაგრამ!!! ამას ბანაკიდან თავისუფლად ყოფნა სჭირდება. ეს კი ჯერ შორს არის ჩვენგან. ქორწილისათვის ბიჭებმა დაიწყეს მზადება. წითელი ღვინო თბილისიდან ჩამოიტანეს — რუსები მას „კროვ-ზემლიას“ ეძახიან. მეძმარიაშვილმა კი ნ დედალი მოინადირა. მეძ-

მარიაშვილი ვანო შევარდნაძემ გამაცნო. მომეწონა, ახოვანი ახალგაზრდაა.

— მე ინჟინერი ვარ, მაღაროში ვმუშაობო, — ასე გამეცნო. შევარდნაძემ ჩუმად ჰკითხა: ბატონი ლევანი რატომ მოატყუილეო. აბა ამხელა მწერალს, ჩვენს ბერმუხას ხომ არ გავეცნობოდი — ქათმების ქურდი ვარ-მეთქი...

მოკლედ, ქართველების დახმარებითა და ერთმანეთის წყალობით ამ ჩრდილოეთის ბანაკებში ჩვენ რა დაგვკარგავს, თუ თვითონ ჩეკისტებმა არ დაგვკარგეს სამუდამოდ.

რაც შეეხება კვებას, წვენი ყოველთვის ნახშირივით შავია. აბა რა გაათეთრებს შავი ლომ-ვეშაპის ხორცს, სამაგიეროდ ნოყიერია, იმდენი ცხიმი აქვს, რომ შავ ფონზე ყვითლად ლივლივებს. ვფიქრობ, ამიტომ არიან უამრავი კუჭ-ღვიძლით და სიყვითლით დაავადებულები. ზოგი პატიმარი ოცნებობს — ერთი კარგი, ქართული გემრიელი საკვებით გამაძღოს ღმერთმა და მერე მომკლას, თუ უნდაო.

„მახორკით“ მარტო ქურდებს აჯილდოებენ ქვანახშირის ამოღების გეგმის შესრულებისთვის. პოლიტპატიმრებს კი ისე ამუშავებენ, უმოწყალოდ. მერე კი ცენტრალურ გაზეთებში აღნიშნავენ — ვორკუტაში კომკავშირელებმა ქვანახშირის ამოღების გეგმას ბევრად გადააჭარბესო. ეს კი ყველაზე დიდი დაცინვა იყო ჩვენთვის. ხმას ვერ ამოიღებდი, იქვე საშიმშილო წვალების ჰაუპტვახტი მზად იყო.

ბანაკში ჩვენს გარშემო ჯაშუშებიც ბევრია. ყოველ ჭორს, რასაც მოჰკრავენ ყურს, პატიმრების გულისწყროსას. აღშფოთებას თუ ჩხვილს — იმწუთშივე უფროსებთან ასმენენ.

მიუხედავად მძიმე პირობებისა, ქართველების მოსყიდვა ჯაშუშებად ვერ შეძლეს. ვფიქრობ, აქ მარტო ქართველებს აქვთ შემორჩენილი საკუთარი ღირსების გრძნობა და თავმოყვარეობა. აქ ქართველი კაცი ისე არ გათახსირდება, რომ ჯაშუში გახდეს, რაც მე ძლიერ მახარებს. ქართველებმა ჯაშუში ბევრჯერ გამოვიჭი-

რეთ. ამიტომ უცხო ტომის კაცს ჩვენთან არ უნდა ამ სახით ურთიერთობა. ამ უკანასკნელ პერიოდში კი ნამდვილად დაგვჭირდა ჯაშუშის გამოჭერა და ლაზათიანად გატუეპვა. ეჭვის მიტანისთანავე დავთქვით, თითქოს ერთ-ერთმა ქართველმა ჩუმად ბევრი ფული მიიღო. ერთი საათის შემდეგ ჩვენს ბანაკში დიდი ჩხრეკა ჩატარდა. რა თქმა უნდა, მარტო ქართველები გაგვჩხრიკეს, ჯაშუშიც გაირკვა. ეს დღე იყო და ეს დღე, ჯაშუშებმა თავი დაგვანებეს.

აუ! რამდენ წვრილმანს გწერთ, მაგრამ აქ ამით იქმნება ჩვენი მძიმედ გადასატანი ცხოვრება.

ამბობენ, ახლო მომავალში ამნისტია იქნებაო, მაგრამ ეს ხომ მარტო ქურდებზე და ავაზაკებზე ვრცელდება. მაინც გვიხარია — ყინული დაიძვრება. იქნებ ჩვენც გვეშველოს რამე, უფრო იმედიანად ვართ.

ახლა ჩემი მუშაობის შესახებ: „გმირთა ვარამის“ III წიგნი ჩავამთავრე, ფეხმა აქაც „კვანტი“ გამომდო, მაგრამ ჯიქური გავწიე. ჯერ არ მეხერხება გამოგზავნა — ერთხელ მეც მინდა თავით ბოლომდე ჩავიკითხო, თორემ მეხსიერება აღარ მყოფნის.

ყველა ერთობლივ მომიკითხეთ, ვისაც ვახსოვარ და ვუნდივარ. ღია ბარათებს ხშირად ვაგზავნი. აბა, დინჯად იყავით და ერთმანეთს მოუარეთ. ცხოვრება დღითი დღე რთულდება. ხოლო წინ კიდევ მრავალი განსაცდელი გველის ყველას.

მაშ შენდება თბილისი? კარგია, კარგი, მაგრამ სულიერი სიცარიელის ამოვსება აგურით ვერასდროს მოხერხებულა! და ერთი მცირე, მაგრამ კეთილი ქოხი ათ ბროლის სასახლეს მაინც სჯობია!!!

აბა, იყავით კარგად, ჯანმრთელად, გკოცნით ბევრს.

თქვენი ლ ე ვ ა ნ ი“.

„ჩემო კარგებო!

4. IV. 53 წ.

არც ერთი წერილი უპასუხოდ არ დამიტოვებია, მაგრამ ფოსტის ჯურღმულებს რა ამოავსებს!? ყველა ამანათი მივიღე. სამი წერილიც. მანდაური ამბებიც თითქმის ყველა ვიცი თითქოს დაინგრევა აქაური რეჟიმი? ათასი ამისთანა ჭორები მოსვენებას არ გვაძლევს. ჩვენთან კი სადღეისოდ ყველაფერი, თითქმის ყველაფერი, უცვლელი დარჩა. ახლომახლო და ირგვლივ ბანაკებიდან, აქაც გაუშვეს უამრავი ქურდბაცაცა. ესაა და ეს, ამით ჩათავდა საქმე. ჯერჯერობით პოლიტიკური პატიმრები დავრჩით უცვლელად. თუმცა თითქოს კიდევ არის მოსალოდნელი ლმობიერი ბრძანებები.

ვნახოთ! ვნახოთ! ჯერ კი „წყალნი“ წავიდ-წამოვიდნენ, ხოლო „ქვიშანი“ ადგილზე დარჩნენ! ჩვენი ბანაკიდან სულ ხუთი კაცი გავიდა. „ათასზე-ერთი!“ ისიც ქურდი — რეციდივისტი.

ჭორები კი აქაც ბევრია და სუყველა თავისუფლებას ეხება! მაგრამ ჭორი ეკალ-მავთულს არ უანგავს!

ასე რომ, მხოლოდ ლოდინი და სხვა არაფერი. მოთმინება ასწლიან ვადაზე უფრო ძლიერია!

ჯანმრთელობის მხრივ გაცილებით უკეთესად ვარ. ალოე საოცრად მომიხდა. ჯოხიც კი გადავაგდე. ყრუ ტკივილები კი, ჩანს, სამუდამოდ დამრჩა ფეხში, მაგრამ, ჭირვეული ცოლივით მივეჩვიე და ვითმენ. ახლაღა ვაფასებ თბილისისა და წყალტუბოს აბანოებს!!!

იქ მოხვედრაზე ვოცნებობ, თუ მეღირსა.

თქვენ როგორ ხართ ყველანი? კოლიას წერილები აკლია, ერთი გაიგეთ, რაშია საქმე. ახლო ნაცნობებიდან თუ გაათავისუფლეს ვინმე? საწყლები, როგორ ტყუილუბრალოდ აწვალეს, სად არის სამართალი. რა არის ახალი მწერლობაში თუ თეატრში?

რამდენიმე მნათობში წავიკითხე „ვაზის ყვავილობა“. არ მომეწონა. ასეთ დიდ მწერალს, შესანიშნავი ნაწარმოებების ავტორს, ეს არ გამოუვიდა. შესაძლებელია ეს

კანონზომიერიც იყოს, ყოველთვის შედევრების წერა შეუძლებელია. ქართული პროზა და პოეზია, მე ვფიქრობ, მცირედი ხარვეზებით მაინც თავის სიმაღლეზე დგას და იფურჩქნება.

მე ჯერ ძველ ადგილზე ვმუშაობ, მაგრამ, ჩანს, აქაც იქნება ცვლილებები.

აბა, იყავით კარგად, გკოცნით, თქვენი ლ ე ვ ა ნ ი".

ლევანისაგან უკანასკნელი წერილი 4 ივნისს მივიღეთ. შემდეგ შეწყდა მიწერ-მოწერა. სახლში საშინელი სევდა ჩამოწვა, ალბათ ლევანი სხვა ბანაკში გადაიყვანესო, ვფიქრობდით.

ლევანს ყოველთვის ამის ეშინოდა. ამ ღრმა მაღაროში, ქვესკნელში ფრიად კარგად ააწყო თავისი ლიტერატურული მუშაობა. სულ წერდა და წერდა. ამით ცოცხლობდა და დროსაც ალარ ითვლიდა, ახლა კი მის შესახებ არაფერი ვიცოდით. თინამ ვალიკო ჭუმბურიძეს დეპეშა გაუგზავნა, პასუხიც მალე მოვიდა. ლევანი ჯანმრთელად არის, გადაყვანილია სხვა ბანაკშიო.

ცოტა ხანში ლევანისაგან არაოფიციალური ბარათიც მოვიდა, ვ. ჭუმბურიძემ გამოგვიგზავნა:

„ჩემო კარგებო! კარგად, ჯანმრთელად ვარ. ჩემი საჯარიმო ბანაკში გადაყვანა გაფიცვებთანაა დაკავშირებული. კიდევ კარგად დავაღწიე თავი და გადავურჩი სიკვდილს. ქართველებს მძიმე დღე გაგვითენდა. უპრალო გაფიცვა სისხლისღვრაში გადაიზარდა და დიდი მსხვერპლიც გაიღო. ბევრ პატიმარს ვადა დამთავრებული ჰქონდა, ბევრს ვადის დამთავრებას ცოტაღა აკლდა. მომავალს დიდი იმედის თვალით შევცქეროდით. მართალია, სრული განთავისუფლების და სამშობლოში დაბრუნების იმედი არ გვქონდა, მაგრამ ამ საშინელი ბანაკიდან თავის დაღწევას მოუთმენლად ველოდით. შეიძლება არ ვყვიროდით, მაგრამ თავისუფლების მოლოდინს, როგორც ერთი, ყველა გულის სიღრმეში დიდი

სასოებით და მტკიცედ ვინახავდით. რა ვქნათ, ეს არის ყველა ჩვენთაგანის ხვედრიცა და ბედიც.

კარზე მომდგარმა გაფიცვამ კი ჩვენ, სიკვდილს სასწაულად გადარჩენილი პატიმრები, სასწორზე დაგვაყენა და სიკვდილს პირისპირ შეგვანვედრა. ადამიანი, ვინც არ უნდა იყვეს, ამდენი წვალების გადატანის შემდეგ სიკვდილისათვის დასანანია. ეს არის ბედის შეუვალობა, გვერდზე გვრჩებოდა ვადის დამთავრებაც და თავისუფლებაც.

გაფიცვაში, როგორც ერთმა, ყველამ მივიღეთ მონაწილეობა. სულ უბრალო, ადამიანური მოთხოვნა წარეუდგინეთ მათ.

ძნელი წარმოსადგენია, ჩემი წაბინდული ბანაკი როგორ ყალყზე იყო შემდგარი. საოცრად ჰგავდა გამძვინვარებულ, ნადირით სავსე ბუნაგს, ვიდრე გასაცოდავებული პატიმრებით სავსე სამყოფელს.

როგორც ერთი, ყველანი ბრძოლის სულისკვეთებით ვიყავით გამსჭვალული და გამარჯვებისათვის ყველა თავს დავდებდით კიდეც. ესეც პატიმართა დაუწერელი კანონია. ყველაფერს შემდგომში დაწვრილებით შეძლებისდაგვარად მოგწერთ.

გკოცნით. ლ ე ვ ა ნ ი“.

გაფიცვა და სისხლისღვრა ლევანმა ძალიან მტკივნეულად გადაიტანა. ამის გახსენებაც უჭირდა, მაგრამ ზოგჯერ მოკლედ იტყოდა: წარმოუდგენელი, საშინელი, ენით აუწერელი საქმე ჩაიდინეს ბანაკის ადმინისტრაციამ, გუშაგებმა, ჩეკისტებმა და დამცველმა ჯარმაო. „მათი საქციელი შეიძლება მარტო ბარბაროსულ ქცევას მიეკუთვნოს, ძნელი წარმოსადგენია, როგორი მძიმე ტრაგედია დაატრიალეს. ალალმართალ, გასაცოდავებულ პატიმრებს, სულ უბრალო ადამიანური უფლების კანონიერი მოთხოვნის გამო ტყვიამფრქვევები და ავტომატები დაგვიშინეს და გაგვანადგურეს. სისხლის ზღვა დააყენეს, ჩემს გარშემო თითქმის ყველა მოიცელა. მე როგორ გადავრჩი, წარმოუდგენელია. ხალხის ღრიალი, კვნესა, კვნილი, აღშფოთება, წყევლა და კრულვა ცას სწვდებოდა,

ყურთასმენას ახშობდა. ერთ წუთში განახევრდა ბანაკი. ათასობით ხალხი დაიღუპა. უსამართლობა და თვითმმართველობა იგივე დარჩა და უფრო ღრმად გაუშვა თავისი შოვინისტური ფესვები. ვაგლახ, რა გარემოცვაში ვართ ჩავარდნილი, საშველი არ არის".

„გაფიცვის დაწყებას საფუძვლად დაედო ის, რომ მეზობელ მაღაროში ბანაკის იზოლიატორში, ზედამხედველმა პატიმარი მოკლა (თავში საკნის მძიმე ბოქლომი ჩასცხო), — გვიყვება ყოფილი პატიმარი შოთა შავგულიძე, — ჩვენი საკონცენტრაციო ბანაკის პირობებში ვერ წარმომედგინა, თუ ვინმე გაიფიქრებდა მაინც საყოველთაო გაფიცვას. ახლა კი მოხდა სასწაული. ყველაფერი მოულოდნელად დაიწყო. ქართველები მოვლენათა ცენტრში მოვხვდით. მოკლული პატიმარი ბალტიისპირეთელი აღმოჩნდა. მათ მოითხოვეს მიცვალებულის რელიგიური წესით დასაფლავება. ადმინისტრაციამ მათი თხოვნა უარყო. მიცვალებული ორ ფიცარზე დადეს და მავთულხლართებს მიღმა, სადაც საერთოდ ასაფლავებდნენ პატიმრებს, იქით წაიღეს. საგუშაგოსთან შეჩერდნენ. აქ გუშაგმა ყველას თვალწინ მიცვალებულს მხეცურად სამჯერ გულ-მუცელში ხიშტი ჩასცხო — ჩახვრიტა (ნამდვილად სიკვდილის დადასტურების მიზნით აქ ასეთი ბარბაროსული წესია მიღებული). ამან პატიმრებზე საშინელი, შემზარავი შთაბეჭდილება მოახდინა. მიცვალებულზე ასეთმა ბარბაროსულმა მოქცევამ ყველა ააფეთქა, მძიმე უკმაყოფილების გრძნობა გამოამჟღავნა. შიშის გრძნობა და მოთმინება უცებ დაიკარგა. იმწუთშივე დაიწყო გაფიცვა. პატიმრებმა ზედამხედველისა და გუშაგის დასჯა მოითხოვეს. ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედო ყველას.

ესტონელებმა იმ ბანაკში სამგლოვიარო პროცესია გამართეს, ჩვენს ბანაკში დასავლეთ უკრაინელმა მღვდელმა მიცვალებულს პარაკლისი გადაუხადა, პატარა ჯგუფის ირგვლივ რკალი ელვის სისწრაფით შეიკრა და გაიზარდა. უკმაყოფილება მწვავდებოდა. ესტონელებს სოლიდარობის მიზნით თანაგრძნობა გამოუცხადეს სხვადასხვა ეროვნების პატიმრებმა, მათ ქართველებიც შეეუერთდით. რა თქმა უნდა, ამ მოძრაობაში ძალიან აქტიურად ჩაება აღშფოთებული ლევანიც.

ლევანს, როგორც პროფესიონალ პოლიტპატიმარს, დიდი

ავტორიტეტი და გავლენა ჰქონდა ჩვენს პირობებში მყოფ ყველა ეროვნების პატიმრებს შორის. ეს შეუმჩნეველი არ რჩებოდა ბანაკების მმართველ აპარატს და ლევანი მუდამ საგანგებო თვალყურისა და მეტისმეტი ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა.

გაფიცულთა ჯგუფი მნიშვნელოვნად დიდდებოდა. მას ყოველი კუთხიდან უერთდებოდნენ აღშფოთებულები. გაფიცვამ მოიცვა მთელი მაღაროები. იქვე წარმოიშვა საგაფიცვო კომიტეტი, რომელმაც წამოაყენა სრულიად კანონიერი მოთხოვნები. ვითხოვდით: 1) ბანაკში ადამიანურ მოქცევას; 2) ბანაკის ადმინისტრაციისა და თანამშრომელთაგან პატიმრების მიმართ აღვირახსნილობისა და თვითნებობის აღკვეთას; 3) ვადადამთავრებული პატიმრების სამშობლოში გაშვებას; 4) საბანაკო პირობების გაუმჯობესებას და სხვ. საგაფიცვო კომიტეტი მოუწოდებდა საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვისაკენ. ფარული შიკრიკები გაჯგზავნა სხვადასხვა მაღაროში და ბანაკებში. დავით კვიტაიშვილის საშუალებით დაზუსტდა საყოველთაო გაფიცვის დღე და საათი. როლანდ ვასკოს, მისი თანამემამულეებისა და ლევან გოთუას სიტყვიერი წერილი გადადიოდა ბანაკიდან ბანაკში. ყველა პატიმარი, როგორც ერთი, უნდა გაფიცულიყო, სამუშაოზე არ გამოსულიყო, გარდა იმ პატიმრებისა, ვინც მაღაროებიდან წყალს ქაჩავდა, რომ მაღარო წყლით არ გავსებულიყო და ელექტროენერგია არ შეწყვეტილიყო, რომ მაღაროსთვის ზიანი არ მიეყენებინათ და ისევ პატიმრების თავსატეხი არ გამხდარიყო".

გაფიცვის შესახებ სანდრო ჩიკოიძე იგონებს: „1953 წელს, სტალინის სიკვდილის შემდეგ, ბანაკში მკვეთრად შეიცვალა პატიმართა მსოფლმხედველობა, ბევრმა იფიქრა, მთავრობის პოლიტიკური სარბიელიდან ასეთი მძლავრი დიქტატორის გაქრობას ციხის რკინის კარებები უნდა უმალ დაემსხვრია, უამრავი უდანაშაულო პოლიტიკური პატიმარი გაეთავისუფლებინა, მაგრამ არც პირველ ხანებში და არც 4 თვის შემდეგ რაიმე ცვლილება არ მომხდარა. ცხადია, ვერც მოჰყვებოდა, მთელ ქვეყანას მოდებული „გულაგის არქიპელაგის" სისტემის წინააღმდეგ რაიმე გადაწყვეტილების მიღებას და მის შეცვლას დრო სჭირდებოდა.

ბანაკში გამწვავდა ერთაშორისი ურთიერთობა, თავი იჩინა რუსულმა შოვინიზმმა, მდგომარეობა დაიძაბა, ხალხი აფორიაქდა: ყველა რაღაცა მოუთმენლობამ შეიპყრო. ამიტომ საჭირო იყო პატარა ბიძგი, რომ ასე უეცრად დიდი გაფიცვა და აჯანყება დაწყებულიყო.

სწორედ ასეც მოხდა — გაფიცვამ ერთდროულად ყველა ბანაკი მოიცვა და საყოველთაო ხასიათი მიიღო. ბანაკის ადმინისტრაცია ჯერ გვლანძღავდა და გვემუქრებოდა — სამუშაოზე გადით, თორემ თქვენს მიმართ მძიმე სასჯელი გვაქვს განსაზღვრულიო. ამაზე მეტი მძიმე სასჯელი რაღა უნდა იყოსო, რასაც თქვენ სჩადიხართო, უპასუხებდნენ პატიმრები. შემდეგ ადმინისტრაცია მოლბა და მუქარა თხოვნით შეცვალა, მოდიოდნენ მთავარი ინჟინრები, შახტის უფროსები, ჩეკისტები თხოვნით, მოგვიწოდებდნენ სამუშაოზე გასვლას. არაფრის გზით ადმინისტრაციას არ უნდოდა მიეღო ჩვენი მცირედი და სამართლიანი მოთხოვნა. ჩემი უბნის სამივე მაღაროში მემაღაროელების გაფიცვას მშენებლებიც აჰყვნენ. ამ 1000-კაციან კოლონას მეც შევუერთდი. მიუხედავად იმისა, რომ ნათლად ვხედავდი, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყოლოდა ამას, განსაკუთრებით ჩემთვის, როგორც მშენებლობის უფროსი ინჟინრისათვის და თითქმის ყველასათვისაც. ჩემი პროგნოზები მთლიანად გამართლდა, მოხდა შემაძრწუნებელი ამბავი — გაფიცვა სისხლით ჩაახშეს. პატიმრების მთელი ბანაკის ზონის ირგვლივ, სულ ახლო მანძილიდან, ტყვიამფრქვევებიდან ცეცხლი დაგვაყარეს — დაგვხვრიტეს. დაიღუპა და დაიჭრა უამრავი პატიმარი. შემდეგ ცოცხლები, ასე დახვრეტის მუქარით, მავთულხლართების მიღმა გაგვიყვანეს და იქ, ძალადობით სიკვდილის ფასად, გასაცოდავებული, შეშინებული და შეძრწუნებული პატიმრები, როგორც ერთი, ტუნდრის შავ მიწას გვამთხვიეს, მოგვატყუეს, მოგვდრაკეს. რამდენ ხანს ვიყავით ასე მიწას მიკრული, არ ვიცი. შემდეგ უშველებელი ორმოები გაგვათხრევინეს და დახოცილები იქ ჩაგვამარხვინეს. ეს კიდევ უფრო მძიმე ამბავი გახლდათ. ოსინდისოებმა ამდენი ხალხის სიკვდილი, ჩვენ, პატიმრებს, დაგვაბრალეს და ლანძღვა-გინებით კიდევ ჩვენ გვიჯავრდებოდნენ და გვირტყამდნენ.

გაფიცვის ორგანიზატორები და საგაფიცვო კომიტეტის

წევრები დააპატიმრეს. მე საგამომძიებლო იზოლიატორში მოვხვდი. 4 თვის შემდეგ, მე რომ გამათავისუფლეს, ლევანი ბანაკში აღარ იყო, ის საჯარიმო იზოლატორში იჯდა".

სანდრო ჩიკოიძე შემდეგ ისევ დაპატიმრეს და 1 წლით დახურულ ციხეში გადაიყვანეს. ლევანი იზოლატორიდან გამოსვლის შემდეგ მძიმე რეჟიმის ბანაკში გადაიყვანეს.

„გაფიცვის პერიოდში ჩემი და ლევანის შეხვედრები უფრო ხანგრძლივი გახდა, — განაგრძობს სანდრო ჩიკოიძე. — ორივემ კარგად ვიცოდით, თუ რა მძიმე გარემოცვაში ვიმყოფებოდით და შეიძლება განწირულებიც ვიყავით. მაგრამ თავისუფლებისა და კანონიერი მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის უკან დახევა აღარ შეიძლებოდა. ვერც კი წარმოგვედგინა და არც გვეგონა, თუ ასე მოულოდნელად და ულმობლად ცეცხლს დაგვაყრიდნენ თავზე".

„ცხოვრებიდან წავიდა უამრავი უდანაშაულო ადამიანი, ამის გამკითხველი კი არავინ იყო, — გულისტკივილით ამბობდა ლევანი, — შეიძლება კი, რომ უიარაღო ხალხი ასე არ დაინდო? მარტო ჩვენს სახელმწიფოში ხდება ეს. გაშეშებული, უფრო დაუძლურებული პატიმრები, ზოგი ვაუკაცის შემზარავი ცრემლით, ზოგი კი გამშრალი, უცრემლოდ განიცდიდა და დასტიროდა ტრაგიკულად დაღუპულ თანაბანაკელებს. სწორედ თითქოს სავანგებოდ იყო სროლა წარმართული, რომ ცხოვრებიდან წასულიყვნენ საუკეთესო ადამიანები. ოხ! ვინ აგებს პასუხს ამ დანაშაულისათვის?"

„1953 წლის გაფიცვა, — შოთა შავგულიძის სიტყვებით, — უდიდეს პოლიტიკურ გაფიცვაში გადაიზარდა. ეს ძალზე დიდი მოძრაობა იყო. მან შეძრა არა მარტო პეჩორის აუზი, არამედ მოსკოვიც კი. კატორღულ შრომაში დაბეჩავებული პატიმრების გაფიცვა პროტესტის ნიშნად აღიმართა ხელისუფლების წინააღმდეგ. უკანასკნელ დღეს ადმინისტრაციამ გაფიცულებს მოსაფიქრებლად მოგვცა 3 საათი, შემდეგ კი მძიმე სასჯელით გვემუქრებოდნენ. გაფიცულებს იმედი ჰქონდათ, რომ, ბოლოს და ბოლოს, ჩვენს მოთხოვნას დაკმაყოფილებდნენ. მართალია, ჯალათები იყვნენ, მაგრამ მაინც ვინ წარმოიდგენდა, რომ ისინი ასეთ მასიურ ყლეტას ჩაატარებდნენ. ადმინისტრაციამ ტანკებიც კი გამოიყვანა გაფიცულების გასადევნად ვაგაშორიდან (ასე ერქვა მაღაროს სადაც ლე-

ვანი მუშაობდა). რატომღაც საშინელი სისხლიანი ჟლეტა იქიდან დაიწყეს. მერე კი გადავიდნენ სხვა ბანაკებშიც“.

„საყოველთაო გაფიცვა შემზარავი და სისხლიანი გახდა, მაგრამ მაინც შეღავათი მოგვიტანა, — იგონებენ შოთა შავგულიძე, რეზო ტყავაძე და სხვები, — გაფიცვიდან ერთი თვის შემდეგ ტანსაცმლიდან ნომრები მოგვხსნეს, ულვაშებისა და თმის ტარების უფლება მოგვცეს. ბანაკებში მედიკამენტები შემოიტანეს და, რაც მთავარია, ვადაგასული პატიმრები გათავისუფლეს და ვორკუტაში თავისუფალ გადასახლებაში გაუშვეს. ბანაკის გარშემო მართალია, შავთულხლართები დატოვეს, მაგრამ ტყვიამფრქვევები და ავტომატები მოაცილეს. შემდეგ პატიმრებს თავისუფალი სიარულის უფლებაც მოგვცეს. ჯამაგირიდან თანხის 35%-ის ხელზე მოცემას დაგვპირდნენ. ჩათვლებიც შემოიღეს: იქაურ 1 დღეს 2 დღედ ანგარიშობდნენ.

აქვე გვინდა მოვიხსენიოთ ჩვენი თანამემამულე, ერთად ერთი ქალი, ქალბატონი თამარ ჯაფარიძე, რომელიც სამ მაღაროში (მე-2, მე-12, მე-16) მუშაობდა (სწორედ მე-16 მაღაროში მუშაობდა ლევანიც), მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე. მან ბევრი საგმირო და სასიკეთო საქმე გააკეთა ჩვენთვის, მიუხედავად ადმინისტრაციის სასტიკი რეჟიმისა და პირადი დიდი რისკისა.

აჯანყების დროს თამარ ჯაფარიძემ მოითხოვა ბანაკში შესვლა, სადაც გაფიცულები იყვნენ შისი 3 მაღაროს პატიმრები. დირექციას ძალიან ეშინოდა, რომ პატიმრები თამარს, როგორც ადმინისტრაციის წარმომადგენელს, რამეს ავნებდნენ. შესაძლებელია ამ ფაცხარებულ, დაუოკებელ ბრბოს თამარი მოეკლა კიდეც. არავინ იცოდა, ვინ რას მოიმოქმედებდა. თამარი დაჟინებით მოითხოვდა ბანაკში შეშვებას — იქნებ რამით შეეძლო პატიმრების დაწყნარებაო. მას იმედი ჰქონდა ქართველებისა და განსაკუთრებით ლევანის, რომელიც აჯანყების სათავეში მოექცა“.

„ადმინისტრაციამ საბოლოოდ თამარი ბანაკში შეუშვა. გაფიცვის დროს თამარ ჯაფარიძე ერთდროულად ორ საქმეს აკეთებდა, — იგონებს ყოფილი პატიმარი შოთა შავგულიძე, — გვეხვეწებოდა ყველას სამუშაოზე გასვლას. ეშინოდა ადმინისტრაციას რაიმე საშინელი არ მოემოქმედა, გვეუბნე-

ბოდა მისი ნდობა არ შეიძლებაო, მეორე მხრივ კი გვამხნევებდა ქართველებს, საყოველთაო გაფიცვა მართლაც სისხლიანი ჟლეტით დამთავრდა, ისე როგორც ქ-ნი თამარი ვარაუდობდა, ეს იყო საშინელი ინკვიზიცია ჩეკისტების მხრივ. ასობით უდანაშაულო ადამიანი დახოცეს მარტო იმიტომ, რომ პატიმრები მოითხოვდნენ ადამიანად ცხობას და მცირეოდენი პირობების გაუმჯობესებას.

თამარ ჯაფარიძის შვილი, რუსლანი, მაშინ 24 წლის სტუდენტი, სტუმრად იყო ჩამოსული დედასთან. ის უნებლიე მოწმე გახდა იმ დიდი ტრაგედიისა, რაც ქ. დატრიალდა. ყველაფერი მის თვალწინ მოხდა, ბევრი ინერვიულა და ავად გახდა. ვერ წარმოედგინა, რომ ასე ულმობლად შეიძლებოდა ამდენი ადამიანის ჟაჟლეტა".

თამარ არჩილის ასულ ჯაფარიძის, ამ სათნო, ლამაზი, ენერგიით აღსავსე, ვაჟკაცური ქალის ესოდენ დიდი და მძიმე შრომითი ცხოვრების გზა დამშვენებულია ბევრი საგმირო საქმით და გამოხატავს ქართველი ქალის შინაგან ბუნებას, მტკიცე ნებისყოფას, ძლიერ სულისკვეთებას, განუზომელ შრომისუნარიანობას და უსაზღვრო გამბედაობას. ბავშვობა უზბეკეთში — ფერღანაში გაატარა, სადაც მამამისი — არჩილ ჯაფარიძე პროფესიით ფიზიკოს-მათემატიკოსი (ტიმირიაზევის მოწაფე), პოლიტიკური საბაბით გადასახლებული იყო ოჯახიანად.

1929 წელს თამარმა თბილისის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი დაამთავრა. 1936 წელს ლენინგრადის სამთო ინსტიტუტიც დაამთავრა. 4 წელიწადი იმუშავა სახალინზე. შემდეგ მუშაობდა რუსეთის, უკრაინის, საქართველოს მაღაროებში, უკიდურესი ჩრდილოეთის — შპიცბერგენის მიწა-წყალზე. 78-ე პარალელის მაღაროებში მუშაობაშიც მოსინჯა თავი. სადაც კი უმუშავია ქალბატონ თამარს, ყველგან კარგი სახელი და მაღაროელთა მადლიერება დაიმსახურა.

1952 წლის დასაწყისში თამარმა მუშაობა დაიწყო ქ. ვორკუტის მაღაროებში მთავარ ინჟინრად, თავისუფალ დაქირავებულად. თამარი აღნიშნავს, რომ ქ. ვორკუტის ქვანახშირის აუზი უდიდესია საბჭოთა კავშირში. აქ ჯერჯერობით გათხრილია 40 მაღარო და იძლევა დიდძალი რაოდენობის ქვანახ-

შირს, სადაც მძიმე, არაადამიანურ პირობებში ამუშავებდნენ 200.000-ზე მეტ პატიმარს. მათ შორის ბევრი იყო ქართველიც. ქალბატონი თამარ ცოცხალი მატიანე და მოწმეა ყოველივე საშინელებისა, რაც იმ დროს ვორკუტაში ტრიალებდა პატიმართა ყოფა-ცხოვრებაში.

ქალბატონ თამარს, როგორც კი ჩავიდა მაღაროში, მაღაროელებმა „Королева угольной горы" დაარქვეს და ძალიან კარგად მიიღეს.

ადმინისტრაციის წესის თანახმად, ყველა თანამდებობის პირს, ჰყავდა თავისი პირადი დაცვა 15 კაცის რაოდენობით. თამარისათვისაც მეორე დღეს დაცვა უნდა გამოეყოთ, მაგრამ წინა ღამეს, სრულიად მოულოდნელად და საიდუმლოდ, მე-2 ბანაკში, სადაც თამარი ცხოვრობდა, 6 პატიმარი თავს დაადგა და უთხრა:

— თუ გინდათ, რომ არავინ არაფერი გავნოთ, ჩეკისტ ბიცველებზე უარი თქვით და ყოველმხრივ დაგიცავთ და ჩვენს ნდობასაც დაიმსახურებთ!

თამარიც ასე მოიქცა. მეორე დღეს დაცვაზე უარი განაცხადა, რითაც გააკვირვა იქაური უფროსობა.

აი, რამდენიმე მოკლე ჩანაწერი თამარ ჯაფარიძეზე ლევანის წერილებიდან:

„ამ მკაცრ ბანაკში დღეს მშვიდობიანმა სიომ დაუბერა, ტერიტორიაზე გამოჩნდა ერთადერთი, საკმაოდ მოხდენილი და ლამაზი მანდილოსანი. ეს ამბავი მეუცხოვა, გამიკვირდა, და მეამა კიდეც. ქალბატონი ჩვენი თანამემამულე აღმოჩნდა და პასუხისმგებელ თანამდებობაზე მუშაობს მაღაროში თავისუფალ დაქირავებულად. ვნახოთ, თუ გაამართლებს ჩვენს იმედებს და ცოტაოდენად დაგვეხმარება.

მთავარი ინჟინერი ქალბატონი თამარ ჯაფარიძე, ეს სათნო და ენერგიული ქალი, ქართველებს დიდ დახმარებას გვიწევს".

„აქ, მაღაროში, მთავარ ინჟინრად მუშაობს ჩვენი თანამემამულე მანდილოსანი. ის კეთილშობილი, ენერგიული და უაღრესად მამაცი ქალია. გვეხმარება ქართველებს, განსაკუთრებით მე. მოშაწყო სამუშაოზე და მომცა საშუალება ლიტერატურული მოღვაწეობისა".

თამარმა ბევრი კარგი საქმე გააკეთა პატიმრებს სასარ-

გებლოდ. მაღარო, რომელშიაც ის მუშაობდა, ძალიან მომგებიანი იყო, ამიტომ დირექციას პირდაპირ გამოგლიჯა სპეცტანსაცმლის ყიდვის და ხმარების ნებართვა პატიმრებისათვის. პატიმრები მეტად კმაყოფილი იყვნენ, ისინი მაღაროში შესვლისას იხდიდნენ თავიანთ დანომრილ ტანსაცმელს და მუშაობის დროს იცვამდნენ შემაღაროელთა სპეცტანსაცმელს, თითქოსდა ადამიანები ხდებოდნენ, ნომრებით კი არ ეძახოდნენ, არამედ გვარებით, ამასთან, სველ ტანსაცმელს ტოვებდნენ და მშრალით ბრუნდებოდნენ ბანაკში. ეს კი ზამთრის პირობებში დიდი შეღავათი იყო.

თამარ ჯაფარიძეს ბანაკში შესვლისას არ ჩხრეკდნენ, ამიტომ მას ჰქონდა პატიმრების დახმარების შესაძლებლობა — ბანაკში შეჰქონდა და იქედან გამოჰქონდა ბარათები ან სხვა საჭირო საბუთები.

თამარი ლევანსაც ამარაგებდა რვეულებით, საწერკალამით, ფანქრებით და მელნით. მისი ადმინისტრაციისთვის დაჟინებული თხოვნით პატიმრებისათვის გაიხსნა საპარიკმახეროს.

მან მემაღაროეებიდან პატიმრები ამოარჩია, დაამთავრებინა ერთთვიანი კურსები და გაანაწილა მაღაროში სამუშაოდ, როგორც თვითონ ჩათვალა საჭიროდ. ლევანიც ამ ჯგუფში მოახვედრა, მაღაროელის სპეციალობასთან ერთად მონტიორობა შეასწავლა და მაღალი ძაბვის ელექტროსადგურში გაამწესა სამუშაოდ, რისთვისაც ლევანი ძალიან ემადლიერებოდა. ასეთივე თანამდებობაზე სხვა მაღაროში დანიშნა შოთა შავგულიძე.

„სიკვდილი ყოველ დროს მძვინვარებდა ბანაკში, — იგონებს თამარ ჯაფარიძე, — პატიმრები ილუპებოდნენ ავადმყოფობით, უპმელობით, შიმშილით, სიცივით, თვითმკვლელობით და დახვრეტით, იყო თვითნებობითი დახვრეტის ხშირი შემთხვევებიც. მაგალითად, თუ ზედამხედველს არ მოეწონებოდა რომელიმე პატიმარი, მტრისას, იმას გააქრობდნენ. მკვლელობის სხვადასხვა გზა არსებობდა. მიზეზს ეძებდნენ. მკვლელობის ერთ-ერთი ყველაზე იოლი ხერხი იყო ბანაკიდან გაქცევის მცდელობის მოწყობა. ბანაკიდან მაღაროამდე ტუნდრაში გავლით 3-კილომეტრიანი შემოსავლელი გზა გადიოდა. აქ შემოხაზული იყო წითელი ზოლი, რომლის იქით

ნახევარი ნაბიჯის გადადგმაც გაქცევის მცდელობად ითვლებოდა. ზედამხედველები განწირულ პატიმრებს უკანა რიგში ჩააყენებდნენ, მათ ვიღაცა მოულოდნელად ხელს გაჭრავდა და ამ ხაზს იქით გააგდებდა, მას იმწუთშივე ხვრეტდნენ. გვამს იქვე, წითელ ხაზს იქით ტოვებდნენ. ყველაფერი თითქოს გამართლებული იყო. სპეციალური სასიკვდილო მანქანაც არსებობდა. განწირულებს უკანა მწკრივში დააყენებდნენ, უკნიდან მანქანას დააჯახებდნენ და გაჭყლეტდნენ. ამ მანქანის გამოჩენა ყველას შიშს ჰგვრიდა. ამ უსამართლო სიკვდილს უყურებდნენ პატიმრები და შიშით სიტყვას ვერ ძრავდნენ".

თამარმა პატიმრების დახმარება განიზრახა — ბანაკებიდან მაღაროში მისასვლელ გზაზე ბევრი დრო იკარგებაო, განუცხადა მან ადმინისტრაციას და მოკლე ხის გადასასვლელი ხიდი ააშენებინა პატიმრებს — ამით მოსპო თითქოს „გაქცევის" და დახვრეტის შესაძლებლობა. ზამთარში, ყინვებში კი პატიმრებს მნიშვნელოვნად შეუმცირდათ გასასვლელი მძიმე მანძილი, მათ ალარ სჭირდებოდათ სიცივეში და ქარიშხალში ტუნდრის ყინულოვანი მძიმე გზის გავლა.

ვორკუტაში ბანაკებში არსებული საშინელი წამების მოწმეც გახდა თამარი. არსებობდა გაძლიერებული რეჟიმის წამება, სადაც თითქოსდა პატიმრებს აცმევდნენ „დასამორჩილებელ პერანგს", რაც შემდეგში მდგომარეობდა: პატარა იზოლატორს გაახურებდნენ 50—60°-მდე. „მოსარჯულებელ" პატიმარს წინასწარ აჭმევდნენ მლაშე თევზს, იქ დაამწყვდევდნენ და გარეთ წყალს მოუშვებდნენ, რომ წყლის ჩხრიალს გაეგიჟებინა მოწყურებული პატიმარი. ან პატიმარს ხელ-ფეხს წრიულად ზურგზე ისე შეუკრავდნენ. თითქოს გორგოლაჭში იყო და ბოძზე ჩამოკიდებდნენ. იყო სხვა გასაიდუმლოებული ფორმები პატიმართა საწვალებლად და მოსაკლავად. თამარმა სასტიკი ბოიკოტი გამოუცხადა ბანაკის ადმინისტრაციას ასეთი საქციელისათვის, მას აჰყვნენ სხვა ინჟინრებიც — პატიმართა ეს წამების წესები ბარბაროსობაა და მარტო ინკვიზიტორების საქმეა, რაც არ შეიძლება XX საუკუნეში გამოვიყენოთო. დაემუქრა, მე ამის შესახებ ახლავე მივწერ უფროსებს მოსკოვშიო. ადმინისტრაციას ძალიან შეეშინდა, ამ ქალმა მართლა არ მისწეროს თავის თანამემამულეს — სტალინსო. მერე გამოირკვა, რომ წამების ეს საშინელი წესები

ამ ბანაკებში თვითნებურად იყო დაწესებული. იმწუთშივე მოსპეს წამების იზოლატორი, ეგი ყველას დასანახად დაანგრიეს.

ბანაკში მძიმე ავადმყოფებსაც ხვრეტდნენ, მათი მოვლისა და ხანგრძლივი მკურნალობის თავი არავის არ აქვსო, მარტო ზარალის მომტანი არიანო, თავს იმართლებდნენ ჩეკისტები. თამარი ამის წინააღმდეგაც გამოვიდა — ჩვენ გვჭირდება უფასო მუშახელი, ავადმყოფებს კარგად უნდა ვაჭამოთ, ვუმკურნალოთ, მოვარჩინოთ და მერე მაღაროში ვამუშაოთო. მას სხვა თანამშრომლებიც დაეთანხმნენ და ასე მართლაც ბევრი პატიმარი გადაურჩა სიკვდილს. თამარის მეუღლეც მაღაროში მუშაობდა მთავარ მექანიკოსად და დიდი ავტორიტეტიც ჰქონდა.

თამარი იგონებს ხის გრძელ ნაგებობას, სადაც ხის ორსართულიან ნარებზე 150—200 პატიმარი იყო შეყრილი. ჩალის ლეიბებზე ძველ, გაცვეთილ ფლანელის საბნებს ქვეშ ზამთარში, ქარბუქის დროს, იყინებოდნენ კიდეც. მართალია, ბარაკის შუაგულში ღუმელის მაგივრად კონსერვის დიდ კოლოფში მთელი ღამე ცეცხლი ენთო (ტორფით ან ქვანახშირით), მაგრამ ქარბუქის დროს ეს არ ყოფნიდა. კარები გარედან ბოქლომით იყო ჩაკეტილი. პატიმრები სამუშაოდან სველი ტანსაცმლით ბრუნდებოდნენ, ვერ ასწრებდნენ გაშრობას და ისევ სველს იცვამდნენ. უმრავლესობას მანქანის საბურავებისაგან ჰქონდა ამოჭრილი და ამოკერილი „ფეხსაცმელები". ყველა სიკეთესთან ერთად ხშირი იყო სხეულის გაყინვა და კიდურების მოყინვა.

ბანაკში თამარმა მისვლისთანავე ქართველები მოიკითხა... ქალბატონი თამარი იგონებს:

„ერთ დღეს მაღაროში ჩასვლისთანავე ქართველი შევამჩნიე. მან ქართულად ჩამჩურჩულა, მე მწერალი ლევან გოთუა ვარო. მართალია, მე უკვე მას შესახებ ყველაფერი ვიცოდი, მისი აქ ვორკუტაში მოხვედრიდან დაწყებული დღემდე, მაგრამ არ ვიცნობდი, რადგან ის დანომრილი იყო — მხრებზე, მკერდზე, ბეჭებზე და ორივე ბარძაყზე ნომერი ეწერა. ლევანის შესახებ ქართველებმა მიამბეს, ვორკუტაში რომ აღმოჩნდა 1947 წელს, სასიკვდილოდ განწირული ყოფილა. ასე მოიხსენიებდნენ მათ, ადამიანებად არ თვლიდნენ, ვინაიდან

„განსაკუთრებით საშიშ“ პოლიტიკურ პატიმრებად ითვლებოდნენ. იზოლატორებში იყვნენ შემწყვდეულნი, იმ ეტაპიდან უმრავლესობა სურავანდით იყო დაავადებული და ბევრი დაიღუპა კიდეც პირველ ხანებში, ბევრი კი ძალით გაანადგურეს.

სურავანდი ჩრდილოეთის საშინელი დაავადებაა, რომლის მსგავსი სხვაგან არ მეგულება და არც გამიგია, — ცულისტკივილით ჰყვება ქალბატონი თამარი. — ეს ჩრდილოეთის პატიმრებში გავრცელებული სენია ავიტამინოზისა და კლიმატური პირობების შერწყმის შედეგად. ეს მარტო კბილების მორყევა და ცვენა როდია, მას ახლავს კონიუნქტივიტი მუდმივი სურდოთი, ცხვირ-ხახის ლორწოვანი გარსის ანთება დიდი გამონადენით, მაბრჩობელა ხველა, ენის შესივება და გამოვარდნა. ეს არის მთელი ორგანიზმის დაავადება — საერთო გასივება, ჭარბი გამონაყარი ბუშტუკებით და ჩირქოვანი სუნიანი გამონადენით; განსაკუთრებით კიდურებზე კანის დასკდომა, სისხლდენა, მოკლედ, ასეთი ავადმყოფი, მე ვფიქრობ, კეთროვანს უფრო ჰგავს. ლევანსაც ჰქონდა სურავანდის დაწყებითი ნიშნები — კბილების ცვენა, გასივებული ენა და დაწყლულებული ფეხები. იქაურმა ქართველმა ექიმებმა დავით კვიტაიშვილმა, ძაძამიამ, ნიკო მღებრიშვილმა და სხვა ქართველებმა დიდი დახმარება გაუწიეს და სიცოცხლე შეუნარჩუნეს.

ლევანმა ჩემზე ძალიან ძლიერი კაცის შთაბეჭდილება დატოვა. მე თავიდანვე გადავწყვიტე ლევანისათვის დახმარება გამეწია და, წარმოიდგინეთ, რომ ყველა ქართველიც, ვისაც კი მე იქ შევხვდი, ამას მთხოვდა. ასეც მოვიქეცი. გარდა იმისა, რომ ლიტერატურული შემოქმედების შესაძლებლობა მივეცი, ვამარაგებდი ფანქრებით, მელნით, საწერ-კალმებით, ბევრჯერ ვეხმარებოდი ქართველებს მისი ნაწერების გამოტანაშიც, რაც მეტად სახიფათო იყო და გამოაშკარავების შემთხვევაში დიდი სასჯელიც გველოდა.

ბანაკში ბევრი ჯაშუში და „საიდუმლო მეთვალყურეობის“ სამსახურის წარმომადგენელი დათარეშობდა. ისინი ყველაზე მძიმე და ცუდ საქმეებს სჩადიოდნენ. მე ჯერ ამ ხალხის გაცნობას შევუდექი, მერე კი უფრო თამამად დავიწყე პატიმართა დახმარება“.

„ჩემო კარგებო!

27. I. 54 წ.

მივიღე თქვენი წერილები და ამანათებიც, დიდად გმადლობთ. აი, დადგა ახალი წელი, მაგრამ აქ ცხოვრება ისევ ძველი ჭენებით მიქრის. არავითარი ცვლილებები არ იგრძნობა ადმინისტრაციის მხრივ.

სისხლის ღვრის შემდეგ ენაჩაგდებულებმა ხმა ავიმაღლეთ და დღითი დღე უფრო მძლავრად მოვითხოვთ ჩვენს უფლებებს. აქაური ამაყი ჩეკისტები ახლა კუდამოძუებული და უკვე ხმაჩაკმენდილები დადიან, ეშინიათ, რომ ყოველ საშინელებაზე, რაც ამ ბანაკებში ტრიალებს, უსამართლობაზე, ძალმომრეობაზე, შიმშილზე, წამებაზე, ადამიანის გათელვაზე როდესმე პასუხს აგებინებენ, თუ გინდ ჩატარებული სისხლიანი ულეტისათვის, რომელიც ალბათ დიდხანს გვექნება თვალწინ და მისი დავიწყება შეუძლებელია. ვფიქრობ, როდესმე მაინც დაისჯება ასეთი ცოდვილი ხალხი.

ვმუშაობ მაღაროში. ჯანმრთელობის მხრივ სარგძნობლად კარგად ვარ. მოკლედ, აქაური პირობებით ყველაფერი რიგზეა. კვების მხრივაც უკეთესობა იგრძნობა. პატიმრები კი მაინც ვღელავთ და ახალი კანონების მოლოდინში სული გვძვრება. ჩეკისტებს ძველი ადათი მაინც მაგრად აქვთ სულში გამჯდარი, ზოგიერთი პატიმარი კი ტერორზე გადადის, გუშაგებს იარაღს ართმევენ და შეიარაღებულ აჯანყებაზე ოცნებობენ, თავისუფლების დაბრუნება იარაღით ხელში უნდათ. შეიძლება ეს გზა მართებულიც იყოს, მაგრამ ახლა ეს აქ მეტად მძიმე სისხლიანი და სახიფათო გზაა. რომ გამახსენდება გაფიცვის ურიცხვი მსხვერპლი, პირდაპირ ცუდად ვხდები. მათ კი სინდისი არ დაუშლით, რომ კვლავ გაიმეორონ სისხლის ღვრა.

მე ვერ წარმომედგინა, თუ სტალინისა და ბერიას ერას მათი სიკვდილის შემდეგ რამე შეცვლიდა, რეჟიმს და რწმენას შეარყევდა, მის ძალადობას ან მის ქვის ქანდაკებებს ვინმე უბრალოდ ხელს შეახებდა. მართლაც სასწაული მოხდა. ალბათ კაცმა იმედი არასდროს

არ უნდა დაკარგოს. მით უფრო ახლა. მოთმინება, მოთმინება, რომელიც დღითი დღე იწურება.

ახლა ჩემი გამოგზავნილი ნაწერების შესახებ: თუ გადაბეჭდილი გაქვთ, გამოიგზავნეთ, მინდა ერთხელ კიდევ თვალი გადავავლო. ახლა სიყვარულით მინდა ყველა გავიხსენო — ჩემი ახლობლები, ნათესავები და მეგობრები, თუმცა იმდენი დრო გავიდა, რომ მათ ალბათ დავავიწყდი კიდეც.

მინდა, რომ ეს წელი იყოს ყველასათვის ბედნიერი და გარდამტეხი, რაც ესოდენ გვჭირდება ჩვენ ყველას.

გკოცნით. თქვენი ლ ე ვ ა ნ ი".

„ჩ ე მ ო კ ა რ გ ე ბ ო!

28. II. 54 წ.

როგორ ხართ? როგორ ცხოვრობთ?

ამანათის მიღების დამადასტურებელი ბარათი ვერ გამოგიგზავნეთ, რადგან არ მქონდა.

ჩემს შესახებ არაფერი არ შემიძლია მოგწეროთ ახლა. ვცხოვრობ ძველებურად. ვარ ჯანმრთელად, მაგრამ ვბერდები. ცოტა მოვმჯობინდი. ფეხი აღარ მტკივა.

აქ მინუს 60—70 გრადუსი ყინვაა და ქარები. ჩემზე სულ აღარ მოქმედებს ეს სიცივეები. გაზაფხულამდე ჯერ კიდევ შორსაა. ვმუშაობ ძველებურად და დრო გადის შეუმჩნევლად.

თქვენ როგორ ცხოვრობთ? დედა როგორ არის? ჩემზე ნუ წუხხართ.

გამომგზავნეთ გაზეთები და რვეულები.

პროდუქტების მხრივ საქმე კარგადაა. შაქარიც გვაქვს. მანდარინები და ბროწეული კი იყინება, ასე რომ, ნუ გზავნით.

მოკითხვა გადაეცით ყველას.

თქვენი გამოგზავნილი ნაბეჭდი მივიღე, წარმოგიდგენიათ, ჩემი ნაწერი ველარ ვიცანი, კიდევ კარგი, ასლი მქონდა და იმით ძლივს აღვადგინე პირვანდელი სახე.

მემანქანე არ ვარგა, სულ ვერ გაარჩია ჩემი ნაწერი, მეტს ნულარ დაამტვრევინებთ.

გამომიგზავნეთ საბეჭდი მანქანა, აქ ეს ნებადართულია, ვფიქრობ, არ ჩამომართმევენ. მისამართი თქვენ იცით.

გაოცნით ყველას, თქვენი ლევანი".

თინამ ბევრი ეძება სანდო და, როგორც ლევანი იწერებოდა, ენამოკლე მბეჭდავი, მაგრამ ვერ გამონახა, არავის ვენდობოდით, ყველაფერი შიშს გვგვრიდა. მერე თინამ თვითონ შეისწავლა ბეჭდვა და ნელ-ნელა ლევანის ნაწარმოები გადაბეჭდა. რაც ვერ გარჩია, შეცდომად ჩათვალა და თავისებურად გადააკეთა.

დღეებს ვითვლიდით ვადა როდის დამთავრდებოდა. როგორც ლევანი იწერებოდა, არც თვითონ და არც ჩვენ იმის იმედი არ გვქონდა, რომ მას ვადის დამთავრების შემდეგ სამშობლოში გამოუშვებდნენ, მაგრამ ხომ მოსცილდებოდა იმ საშინელ რეჟიმს, ცოტა თავისუფლად ამოისუნთქებდა და ჩვენც დაჩაგრულ ძმას ჩრდილოეთში რიგრიგობით ჩავაკითხავდით, საქართველოს სითბოს და ოჯახის იმედს ჩავუტანდით და სათანადოდ მოვუვლიდით. ყოველდღე სხვადასხვა გეგმას ვაწყობდით და ამით ვცხოვრობდით საქართველოში, ლევანზე არანაკლებ დაჩაგრულები და დატანჯულები, მისი საცოდაობით გაოგნებულები.

დედა ხომ სულ დაბერდა, დაჩაჩანაკდა, სკლეროზი შეეპარა. მაინც ყოველდღე იმედიანად უცდიდა ლევანის დაბრუნებას. რამდენჯერმე ლევანს მივწერეთ ვორკუტაში ჩვენი ჩასვლის თაობაზე. ამაზე იგი ყოველთვის უარზე იყო.

სამწერლო-დრამატურგიულ მოღვაწეობაში ლევანი ყოველთვის ეძიებდა ახალ, განსხვავებულ ფორმას. სწორედ ამით აიხსნებოდა მისი პიესების ესოდენ დიდი წარმატებები. მესხეთ-ჯავახეთში იმ საბედისწერო მოგზაურობის დროს ლევანმა უნიკალური მასალა დააგროვა და, გარდა ისტორიული რომანისა, უნდოდა ხალხური მოტივებისა და ძველი ეროვნული საზეიმო ელემენტების გამოყენებით (სატრფიალო, ყე-

ენობა, ბერიკაობა, ნიღბების გარდაქმნა და სხვ.) სრულიად განსხვავებული ფორმის პიესა შეექმნა. ამ ჩანაფიქრის განხორციელება არ დასცალდა დაპატიმრების გამო. ჩეკამ მისი მასალა გაანადგურა.

ლევანი ხშირად სინანულს გამოთქვამდა ამ მასალის დაკარგვასთან დაკავშირებით, იწერებოდა კიდეც, თუ დამცალდა, მე ამ თემას როდისმე ისევ დავუბრუნდებიო:

„რაც დრო გადის, მესხეთ-ჯავახეთში ნახული, გაგონილი, ნაგრძნობი და შესისხლხორცებული ამბები მოსვენებას არ მაძლევს. წლების გავლასთან დაკავშირებით დავიწყების მაგივრად, პირიქით, უფრო ნათლად, მრავალფეროვნად და მხატვრულად მესახებიან. ალბათ მუზა მომაწვა და ეს არის და ეს. მე მას ვუმადლი, მეტად მძიმე პირობებში სიცოცხლის ფასად პიესა რომ დამაწერინა“.

„სამსახეობა რაინდისა“ ანუ „ორომტრიალი“ ძირითადად ლექსად არის დაწერილი. უხვადაა გამოყენებული ხალხური და თვით ლევანის მიერ შეთხზული გამოცანები, შაირები, პატრიოტული საგმირო საქმეები, ბრძოლის სულისკვეთება, ურთიერთსიყვარული, შეგობრობა, ერთობა, ერთგულება, ვაჟკაცთა და ქალთა გაბერიკება, მოკლედ, ქართველი ერის დიდებუნებოვნება და კეთილკაცური თვისებები.

პიესის წერის დროს თვითონ უკვირდა ლევანს, როგორი ამაღლებული სულითა და გრძნობით იყო განწყობილი. ღრმა ფიქრებში წასული თითქოს მიაბოტებდა სამშობლოს მიწა-წყალზე. სათითაოდ ეტრფოდა მესხეთ-ჯავახეთის უნიკალურ ისტორიულ ძეგლებსა და ციხე-კოშკებს, ბევრის მთქმელთა და მნახველთ, ბოლომდე ამოუცნობთ, ჯერ კიდევ საიდუმლოებით მოცულთ. მიუხედავად იმისა, რომ ლევანი იმ ხანებში დაპატიმრეს დიდი ნიჭისა და მახსოვრობის, აგრეთვე ფანტაზიის წყალობით შესანიშნავი პიესა შექმნა.

„სამსახეობა რაინდისა“ (ორომტრიალი)

(ხალხური თეატრონი 8 მოქმედებად, 6 გაბერიკეებად)

მოქმედი პირნი

ბ ა დ რ ი ხ ე რ თ ვ ი ს ე ლ ი — ჩუმი რაინდი, იგივე ლომ-ბერიკა.
მ თ ვ ა რ ი ს ა — წუნდელი ულამაზესი ქალი ბერიკაობაში.

„მთვარის დედოფალი“.

თ ა კ ო — წუნდელი ქალი, ბერიკაობაში „პატარა დედაკაცი“.
თ ი კ ო — წუნდელი ქალი, „პრასისა და ნიახურის ქალი“.
მ ა კ ო — „კაპას-ქალი“.
ც ი კ ო — „ბიჭაჭუა ქალი“.
შ უ შ პ ა რ ა — „ქალფერხულის მოთავე“.
გ უ ლ ქ ა ნ ა — ტანსრული და მსუქანი „ჰირიმე ქალი“.
კ ა კ ო, ვაჟ-ბერიკა ტახში მჯდარი.
კ ა კ ო — ვირ-ბერიკა.
კ ი კ ო — ვაც-ბერიკა.
ნ ი კ ო — ზაქ-ბერიკა.
ს ი კ ო — ხარ-ბერიკა.
დავთარ-კალამა კაცი — მაღალი, გამხდარი.
გ ო ნ ჯ ა, ბრეცია, წუნდელი მეველე.
მ ე ა ლ მ ე.
ვ ე რ ხ ი ს ო, ვაჟფერხულის მოთავე.
ჰანგისო კილოსთავი.

ხალხი წუნდელნი,
მესაკრავენი,
მროკველნი,
გუნდისანი.

ძალიან მოკლედ გვინდა წარმოგიდგინოთ ამ ნაწარმოებიდან ზოგიერთი ამონაწერი.

ო ს ტ ა ტ ს!

თქვენც გეთქვათ „სამსახეობა“
მაღალფარდოვან ენითა,
ჩვენ კი ეს ჩვენი ხელობა,
ხალხურ ზმას მივუძღვენითა,
ვარ მთიულ-ფიდო, მაშვრალი,
გული სიშორემ დაბალთა...
რა ვქნა ველზე* ვარ დამშვრალი,
ვერ მჭვრეტი მთათა მაღალთა.

---

* უკუღმა ჩაწერილი მისი სახელი: ნაველ-ლევან.

სოფელსა ჰმართებს წარბისხსნა,
საქმე არის თუ დღეობა;
მეცნიერთ-სული მსუბუქი,
რაინდებს — სამსახეობა...
ამბავი გავაბერიკოთ,
არც თქმული, არც გაგონილი,
სალაღობოდ და სალხენად
— ღიმილში ამოწონილი.
მრავალი ჰანგი ვაქღეროთ
ლექს-ფერხულებით, ზარებით,
ოუგად ნურას ჩაგვითვლით,
— აწ ამას გემუდარებით!

მრავალში რომ ერთი ავიღოთ, ერთში რა გერჩიოთ?
ერთში გერჩიოს სიმართლე — ის თუ გიხსნის ავიდან!
ორში—მჯობნი სიკეთეა, ბოროტსა სძლევს თავიდანა!
სამში—სამშობლო იწამე, გაარჩიე შავიდანა.
ოთხში—ვარ ამოღებული ჯიქურ ვეფხვის ტყავიდანა.

რაინდებო! თქვენი სიტყვა, ჩემი კისერი!
ესეც უეჭველი რაინდთ წესია!
თქვენთვის ვიბრძოდი, თქვენთვის ვშმაგობდი,
თქვენთვის დამაქვს მარცხნივ გული, მარჯვნივ—მარჯვენა.

ლევანმა ეს ნაწარმოები თავის ჩრდილოეთელ ძმებს — მეგობრებს წაუკითხა, რომლებიც აღფრთოვანებულნი დარჩნენ. ზურაბ მიქელაძემ, დავით კვიტაიშვილმა, ნიკო მღებრიშვილმა, ვალიკო ჭუმბურიძემ, სანდრო ჩიკოიძემ ლევანს ურჩიეს ამ ხელნაწერის როგორმე თბილისში გაგზავნა. საკითხი დაისვა: როგორ და სად გაიგზავნოს. ლევანი შიშობდა, შეიძლება ცუდი დღე დადგეს არა მარტო ნაწარმოებს, არამედ მის დამწერსაც.

ლევანს ურჩიეს ამ პიესის სხვა ლამაზი ხელით გადაწერა, რაიმე ლეგენდის შექმნა და ისე საქართველოში ლიტერატურის მუზეუმში გაგზავნა, — იქ სათანადოდ შეინახავენ, უპატრონებენ და შეიძლება თეატრსაც ფადასცენ დასადგმელადო. ისიც მხედველობაშია მისაღები, რომ შომავალში შეიძლება ამ პიესის ავტორად არ მიგიჩნიონო, ამიტომ შენი სახელი საიდუმლოდ სადმე ჩართეო.

ლევანმაც პიესის დასაწყისში ლექსის ბოლოდან მეორე

სტრიქონში თავის სახელი ჩაურთო. ლევანის მეტი ნამდვილად ამას ვერავინ ვერ გაარკვევდა.

წერილიც შეთხზეს — ვინმე გავაშელაშვილის ხელმოწერით. მერე საიდუმლოება პატიმარ სერგო ლორთქიფანიძეს გაანდეს. მან დიდი სიფრთხილით და სიამოვნებით ერთ კვირაში მშვენიერი ხელით გადაწერილი ნაწარმოები მოუტანა ლევანს.

საიმედო მგზავრიც გამოინახა. ის ქალაქ ნოვოროსიისკში მიდიოდა და ხელნაწერს იქიდან გამოგზავნიდა თბილისში.

საწყალი ლევანი! ეს უაღრესად სამართლიანი, ყოველგვარი სიყალბის უარმყოფელი, სიმართლის მოყვარული, კეთილი, მშრომელი კაცი იძულებული იყო თავისი ხელნაწერების გადასარჩენად ასეთი ხერხისთვის მიემართა.

გთავაზობთ ამ წერილს.

„პატივცემულო მეცნიერო — დირექტორო!

გიგზავნით ერთ ძველ ხელთნაწერს, ჩემს მიერ გადმოწერილს ხალხურ ზღაპარს — თეატრონს „სამსახეობა რაინდისა". თუმცა მე მეცნიერებაში განსწავლული არ გახლავართ, მაგრამ მგონია ასეთი თხზულება არ უნდა იყოს დაბეჭდილი კრებულებში. თუ ვცდები და უბრალოდ გაწუხებთ, თქვენს მეცნიერულ საქმიანობაშიდ ბოდიში მომხადეთ და ჩემს უმეცრებას აპატიეთ.

მე გულიანად მომეწონა და აფსუსია, რომ ჩვენს მხიარულ დროში ასეთი სალხინობელი რამე ფუჭად დარჩეს. მოკლედ მოგახსენებთ ამ ძველი თხზულების გადმოწერის ამბავს.

ჩვენ პირადად ჩრდილო-კავკასიაში მცხოვრები ქართველი გახლავართ, რკინიგზებისა და საერთოდ სავაჭრო დარგის მუშაკი. ერთხელ ჩემი მოსკოვში წასვლის დროს, 1941 წელშიდ, მგონი მოზდოკიდან ამემგზავრა ვინმე ფედორ სუნდუკოვი, ღრმად მოხუცი, და იქნება კიდეც ყოფილი სასულიერო წოდებისა. მიემგზავრებოდა სვერდლოვსკში გათხოვილ ქალიშვილთან. მან რომ ჩემი ქართველობა გაიგო, გამომესაუბრა და მითხრა, რომ შთამომავლობით მეც ქართველებიდან ვარო. თუმცა ინჩიბინჩი ქართული არ იცოდა. უდედაენო კაცი გამოდგა. მისი მამა თუ ბაბუა პაპა ბლაღოჩინი ყოფილა, როდესაც ძველად სადღაც სესვატკაში — უკვე ვერა გავარკვიე რა. თან წამოღებული სახარება მაჩვენა. ბავშვობაში მე

სოფლის დიაკონმა ხუცური კითხვაც მასწავლა. გავშინჯე და მართლაც ქართული ხელნაწერი სახარება იყო. რამდენიმე ლოცვები რომ წავიკითხე, საოცრად გაეხარდა. ასე გასინჯეთ, ცრემლებიც კი გადმოსცვინდა, შენ ყოფილხარ ნამდვილი ქართველიო. ბევრ ქართველებს ვაჩვენე და ვერავინ ვერ წაიკითხაო. ტერტერასთან გამაგზავნესო, კარგა დიდი ყდიანი წიგნი იყო, მაგრამ შუაში რომ გადავფურცლე, რაღაცა სხვა ზომის ქაღალდი ვნახე, ოდნავ მოცისფერო. ფერის ნაწერობაც სხვა იყო, დავაკვირდი და აკი მხედრულ ქართული დამხვდა. თავი მოუნახე და ახლა ხალხურ თეატრს წავაწყდი. ჯერ, გატეხილად რომ ვთქვა, ვერაფერი ვერ გავიგე, მაგრამ თვალი შევაჩვიე, ჩავიკითხე. ამბავმა ჩამითრია, ლექსებმა სული ამიმღერა. რას არ შეთხზავენ ეს ბერიკები? მომეწონა, ბოლომდე ჩავყევი და ბევრიც ვიცინე. სუნდუკოვი ჰხარობდა და ჰკვირობდა — ასეთი მხიარული სახარება ჯერ არ მინახავსო. მას წარმოდგენაც არ ჰქონდა, რა ბერიკული სახარებაც იყო იმავ ყდაში ჩაკერებული. მე ფულიც ზედა მქონდა და მაშინვე ყიდვა მოვისურვე. კარგი თანხაც შევთავაზე, მაგრამ მიწყინა მოხუცმა. სახარება, ისიც მამაპაპურ ანდერძით გადმოცემული, აბა, ვის გაუყიდიაო. სირცხვილში ჩამაგდეო. სიტყვაც მომიჭრა და ქართველობაშიც მაჯობა.

მაშინ ერთი კარგად ვაპურმარილე და ზარხოშობაში შესულს გადმოწერის ნება ვთხოვე. ამაზე თანახმა გახდა. გაკრული ხელით ზოგი გზაშივე გადმოვიწერე, ზოგიც მოსკოვში. ერთი კვირა ჩემთან დაქირავებულ ოთახში მოვასვენე მოხუცი, სანამდისინ სვერდლოვსკის ბილეთს გაარიგებდა. მგონია არა გამოგვრჩენია რა, მეც მოვრჩი და ისიც წავიდა და სახარება თეატრონიც თან წაიღო. მალე ომიც დაიწყო. მეც შუა აზიაში გადავედი, მხოლოდ ზარალი დამრჩა ერთ რუსის ოჯახში ნოვოროსიისკში. ახლა თითქმის ცამეტი წლის შემდეგ, როდესაც მეც ისე ჩაჩანაკი მოხუცი გავხდი, როგორც მაშინ სუნდუკოვი იყო ნოვოროსიისკში, მოკლე ხანით მობრუნების დროს ჩემ ძველმანებში გადმოწერილი სამსახეობა რაინდისა მოვხელე. მე კი დაკარგული მეგონა. ახლა დინჯად გადავწერე, დროც ბევრი მოვანდომე, ზოგი რამე ვეღარ გავარჩიე და ჩემებურად განვმარტე, ზოგი მიხვედრილით, ზოგიც მიმგზავსებით. ჩემი შეცდომებიც, დაძველებუ-

ლი დაბოლოვებანიც, რაზეც ცოდნა მეყო, გავასწორე. ზედმეტი ძველი ასოებიც თავისთავად ამომიცვინდა, იქ კი იყო მახსოვს. ცდა არ დამიკლია, ხელობას კი ვერ დავიქადნი და ჩემი გაკეთებით თუ რამეს ვაფუჭებდე, ჩემს კისერზე იყოს. ახლა მახსოვს, პირველი ფურცელი ორ ადგილას იყო მოხეული, ზედ ნახევარზედ სიტყვა კუდმოჭრილად იჯდა, ალბათ დამწერის გვარს თუ ნიშნავდა. ქვემო კუთხეში თავმოხეულ..., ლაოვი ეწერა, ასევე გადმოვხატე მაშინვე, თქვენ მეცნიერებაში იქნებ ამასაც მნიშვნელობა/ აქვს. ერთიც, ხელთ ნაწერი სხვა მელნით და უფრო გაკრული ხელით ბევრგან გასწორებული იყო. უფრო ხშირად ლექსები და შაირები. წიგნის ბოლოში კიდევ ერთი სხვა ფურცელიც იყო, წარწერა ვერ გავიგე და ასო-ასო უშეცდმოდ გადმოვწერე გაშიფრული აშიკი. ფურცლის შუაწელზე წითელი ასოებით ეწერა, იმის იქით კი ყდის მეტი არა იყო რა. მეტი ამ ხელნაწერის ირგვლივ აღარაფერი ვიცი. სუნდოკოვი კი, ჩემი აზრით, ცოცხალი აღარ უნდა იყოს, თორემ მომწერდა, ისე რიგიანად დავმეგობრდით. აღარც მე მიწერია დიდი დღე და ვიდრე ჯერ შუა აზიაში, შემდეგ კი მამა-პაპებში გავემგზავრები, ფიცად დავიდე ეს შევასრულო: ეს საქონელი ჩემ ვაჭრობას სულ ერთია ვერ გამოადგება, თქვენი მეცნიერ-მწერლობის საქონელია. ამიტომ/ გიგზავნით, დე დალოცვილმა ბერიკებმაც თავისი გზა ნახონ, მე ნაღდი გულით მომიძღვნია ჩემი მცირე ღვაწლის ზედართვით, და თუ ხალხისათვის მოსახმარი გამოდგა, მშვიდობაში მოიხმარეთ. თუ კი თქვენთვისაც უმაზანდო და მოძველებული გამოდგა, ესეც ჩემი ზარალი იყოს.

15/VII—54 წ. ამასთანავე

ხ. გავაშელაშვილი

ლიტერატურულ მუზეუმში მასალა დეტალურად შეისწავლეს. კვლევის შეფასება და დასკვნები წარმოდგენილია ფ. კოტეტიშვილის ნარკვევში. ლევანი შემდგომში ყოველთვის დიდი მადლიერების გრძნობით იხსენიებდა ბატონ ფარნაოზ კოტეტიშვილს თავისი პიესის „სამსახეობა რაინდისა“ ესოდენ მაღალი დადებითი შეფასებისათვის.

ამ ნარკვევიდან მოკლედ გვინდა წარმოგიდგინოთ ზოგიერთი ამონაწერი.

ფარნაოზ კოტეტიშვილი

„სამსახეობა რაინდისა"

ამ რამდენიმე ხნის წინათ ლიტერატურულმა მუზეუმმა ნოვოროსიისკიდან მიიღო მოქალაქე ს. გავაშელაშვილის მიერ გადაწერილი პიესა „სამსახეობა რაინდისა" — ზღაპარი-თეატრონი.

პიესაში ორიგინალურად არის ჩაქსოვილი როგორც ხალხური გასართობები, ასევე საუკუნეების მანძილზე ქართველი ხალხის მიერ შექმნილი ქორეოგრაფიული ხელოვნების მრავალი ნიმუში: თოკ-ფერხულა და ზარ-დაკლურა, ზღარბა ბერდაკლურა, ქალების ცეკვის მოთავე.

მოთავე, შუშპარა-ქალფერხული, ბერთისო-ვაჟფერხული, ჰანგისო-კილოსთავი, დავთარ-კალამა, მელამე კაცი.

ქალბერიკების რაზმი უპირისპირდება ვაჟბერიკებს, იმართება მათ შორის მხიარული პოლემიკა, ანდაზები, ქარაგმული თქმულებანი, გაშაირება და სხვა.

გარჩეული პიესა თავისთავად, როგორც მხატვრული ძეგლი, მეტად მნიშვნელოვანია. ლიტერატურული მოვლენაა და მისი ავტორიც განათლებულ, მაღალგემოვნებიან პიროვნებად ჩანს. მას შეესისხლხორცებული აქვს ჩვენი ხალხის მდიდარი ფოლკლორული მასალა და შემოქმედებითი ნიჭიერებით ხორცი შეუსხამს ღრმა პატრიოტული იდეებისათვის, ოსტატურად გამოუძერწავს ქართული ზნემაღალი მამულიშვილის სანუკვარი იდეალი — ბრძოლაში უებრო მეომარი, მშვიდობიან ცხოვრებაში მდიდარი არტისტული ბუნებით შემკული ჭეშმარიტი ხელოვანი და ფაქიზი გონებით დაჯილდოებული, ღრმა მოაზროვნე-მეცნიერი და სხვა მრავალი ღირსება.

პიესის სცენურად გამართლება ბადებს ერთ საკითხსაც, ხომ არ ჰქონდა ურთიერთობა ავტორს თეატრთან. აგრეთვე გაირკვა რომ:

სოფელი წუნდა, სადაც მთელი მოქმედება მიდის, ჯავა-

ხეთშია. ტბაც, ალბათ, იქვე ახლოს მდებარეობს. „ხერთვისი“ — ეს ხერთვისის ცნობილი ციხეა ჯავახეთში.

სათაურის გასაგებად გვ. 57/II ქვევიდან VIII სტრიქონი — ეს არის ღირსეული რაინდი სამი სახით შემკული.

საჭირო გვერდი 60/II ბოლოდან III სტრიქონი ქვეყანაზე ყველა ქარაგმობა ამოხსნილია, გარდა ერთისა მუდამ ახლად ამოსახსნელისა სიყვარულის ქარაგმისა.

ბერიკობის არსის გასაგებად საინტერესოა გვ. 36-ზე და სხვ“.

მარტო დიმიტრი ბენაშვილმა გამოთქვა ვარაუდი — პიესა ლევან გოთუასი არ იყოსო! მაგრამ რატომღაც ამ განცხადებას არ დაეთანხმნენ.

მართლაც, ძნელი დასაჯერებელი იყო, ვინაიდან ლევანი სწორედ მაშინ საშინელ ბანაკში იჯდა მშიერ-მწყურვალი, მძიმე ფიზიკური შრომითა და მორალური დამცირებით დათრგუნული,

ბოლოს იმაზე შეთანხმდნენ, რომ ამ ნაწარმოების ავტორი ვინმე დიდგვაროვანი ქართველი მწერალია, მეფის კარზე აღზრდილი და ფუფუნებაში მცხოვრები, შესაძლებელია, თვით მეფის შთამომავალიც.

გამოიყო ექსპედიციაც, ტაშკენტში და სხვა ქალაქებში დაეძებდნენ სუნდუკოვს და მის ქალიშვილს. ამ მხრივადაც დიდი აურზაური ატყდა, ვინაიდან ამ გვარის კაცი სამი აღმოჩნდა, ხოლო ქალიშვილი არც ერთს არ ჰყავდა.

იმ პერიოდში ლევანი თავის წერილში გვაფრთხილებდა, არავისთან არაფერი დაგცდეთო. ჩვენ ამ პიესასთან დაკავშირებით მაინც არაფერი ვიცოდით, საერთოდ კი გვახსოვდა, როგორ ოცნებობდა ლევანი მესხეთ-ჯავახეთის თემაზე პიესის დაწერაზე.

„ჩემო კარგებო!

9. IX. 54 წ.

ამ წერილსაც ხელით ვაგზავნი.

თინას წერილი კისლოვოდსკიდან მიღებული მაქვს (10/VIII-სი). ფულს ნუ აგზავნით, მეც ვიღებ ჯამაგირს და მყოფნის. საოცარია, რომ კარაქი აქ ბლომად არის. საერთოდ ამ დაღუპულ ქვეყანას უკეთ ამარაგებენ, ასე რომ თქვენ ამანათებზე ნუ იწვალებთ.

გამომიგზავნეთ „დავით აღმაშენებლის" III ტომი, გამოსულა. აგრეთვე რვეულები, სულ მაკლია. კიდევ კარგი, რომ აქ ვიშოვე — ზურაბს გამოვართვი.

ახლა აქაური ამბები: მე უკვე მივიღე საშვი, ესე იგი მაქვს უფლება ბანაკიდან გამოსვლისა და მაღაროში მისვლისა უყარაულოდ — აქ ახლა ბევრს მისცეს ასეთი საშვები, შიგადაშიგ ვახერხებ ქალაქში წასვლასაც და სხვა მაღაროებში მისვლასაც — ასე რომ, დავით-ექიმი, ზურაბი და სხვა განთავისუფლებული მეგობრები მოვინახულე. ერთი შეღავათი მეც მერგო ამ 9 წლის განმავლობაში.

ჩათვლების შესახებ მე უკვე გწერდით: მეც მითვლიან ერთს — სამად, ასე რომ, რვა-ცხრა თვეში საერთოდ გავათავებ ვადას და იქამდე თუ რაიმე არ შეიცვალა, გავთავისუფლდები. ოღონდ ეს არის ცუდი, რომ ვისაც ვადის დამთავრებით უშვებენ, ყველას აქვე, ვორკუტაში ტოვებენ.

არის კიდევ მეორე შესაძლებლობა: ბრძანებულება, რომლის შესახებაც უკვე გწერდით, ვისაც ვადის 2/3 გათავებული აქვს, იმათზე შესაძლებელია ამ ბრძანებულების გავრცელება. ჩემზეც ვრცელდება, მაგრამ ჯერ ამ ბრძანებულების მიხედვით აქედან არავინ არ გაუშვიათ. ცოტა კიდევ უნდა მოვითმინოთ და თუ შეგვახეს ბრძანებულება, მაშინ შესაძლოა სასწაული მოხდეს და მეც შინ ჩამოვიდე. ერთი სიტყვით, ამ მოკლე ხანში ჩემი ცხოვრების პირობები, ასე თუ ისე, გამოიცვლება, ამჯერად, ალბათ გაუმჯობესებისაკენ. თქვენი ჩამოსვლის და ნახვის შესახებ აზრი არ გამომიცვლია. ახ-

ლა სულ არ არის მიზანშეწონილი. ჩათავდეს ყველა შეღავათი და მერმე ვნახოთ, როგორი სიტუაცია იქნება... აქ დღე-დღეზე მოველით ცვლილებებს. ჯანმრთელობის მხრივ კარგად ვარ. დიდი ხანია ასე კარგად არ ვყოფილვარ. ახლა ასე გამომდის: ვმაგრდები და ვმაგრდები. ჩემი ნაწერების შესახებ, როგორც გწერდით, ზუსტად ისე მოიქეცით: არავის არაფერი არ მისცეთ, არც არაფერი უთხრათ. თქვენ არაფერი არ იცით — ასე თქვით, ხოლო როდესაც იქნება ვინმე საიმედო წამომსვლელი, გადათვალეთ და აღრიცხეთ — რა და რა ხელნაწერები გაქვთ ჩემგან მიღებული, რამდენი რვეული და, საერთოდ, დალაგებით მომწერეთ, თორემ ყველაფერი ამერია და ზოგი რამ, ჩანს, დამეკარგა კიდევაც.

ახლა, როდესაც მიმოსვლის საშუალება გამიადვილდა, ისევ შევაგროვებ. ვახერხებ ახალ მუშაობასაც.

ამჯერად პიესაზე ვმუშაობ, მაგრამ არსად არავისთან არ თქვათ. თქვენ არაფერი იცით. ეს უკვე საიდუმლოდ გამოგზავნილსაც შეეხება და აწი რომ გამოვგზავნი, იმათაც. თუ მწერალთა კავშირში, თეატრში ან ლიტერატურის სხვა დაწესებულებიდან რაიმეს გაიგებთ, ამის შესახებაც მომწერეთ. შევუფარდებ ჩემს ვარაუდებს.

ქართული წერილები შეგიძლიათ მწეროთ ისევ დავით კვიტაიშვილის სახელზე.

...გამომიგზავნეთ თბილი წინდები, აქ არ იშოვება.

გულითადი მოკითხვა ყველა ნათესავ-ნაცნობ-მოკეთეს.

სააქაოსაკენ ვგონებ ვიბრუნეთ პირი და ყველას ამბის გაგება მწყურია. მომწერეთ.

გკოცნით, თქვენი ლ ე ვ ა ნი“.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ლევანის სამშობლოში ჩამოსვლის შემდეგ პიესა „სამსახეობა რაინდისა“ გამოვიდა იდუმალების ბურუსიდან, ყველაფერი გაირკვა. 1958 წელს კი, თბილისის 1500 წლისთავთან დაკავშირებით, კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში დაიდგა ეს წარმოდგენა და დიდი წარმატებაც ხვდა წილად.

კ. მარჯანიშვილის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

სპექტაკლი მიძღვნილია

თბილისის 1500 წლისთავისადმი

ლ. გოთუა

სამსახეობა რაინდისა

ხალხური თეატრონი 4 გაბერიელებად

მოქმედი პირნი:

ბადრა თბილისელი	ე. მაღალაშვილი რესპ. დამს. არტ.
მთვარისა	დ. გიგინაძე
გონჯა ბრეცია	თ. მაისურაძე
თაკო	ც. პეტრიაშვილი
თიკო	ნ. ფილიაშვილი
მაკო	ლ. შოთაძე
ციკო	ზ. ზალდასტანიშვილი
შუშპარა	თ. ხხირტლაძე
გულქანა	ან. მეხხიძე
კაკო	გ. ტატიშვილი
კიკო	ა. ყერულეიშვილი
პოკო	ლ. ანთაძე
ნიკო	ფ. სონღულაშვილი
სიკო	გ. გელოვანი
დავთარ-ყალამა	დ. ქუთათელაძე
მეალმე	გ. გოცირელი
ფერხისო	გ. დემეტრაშვილი
ჰანგისო	გ. გოგუა
ჩოჩორა	კ. ამაღლობელი
ბოჩოლა	რ. ჩიჩუა

გლეხი ქალები

გ. ბაქრაძე:	მ. ლორთქიფანიძე
ნ. იონათამიშვილი	მ. მეტრეველი
ლ. ერქომაიშვილი	ე. მურუსიძე
დ. მაცაბერიძე	ა. ქურციკიძე
ე. ახალკაციშვილი	თ. ალიბეგოვი

ბლეხი ვაუები

ბ. გოგინავა
შ. ბარამიძე
ნ. ბერიძე
გ. სავანელი
ლ. ტომარაძე
გ. ხერიკაშვილი
ვ. სარჯველაძე
ე. თოფურია
ა. ურიდია
ს. კვიტაიშვილი
შ. გობეჯიშვილი

დადგმა -- გ. ლალიძის
ხელოვნების დამს. მოღვაწე.
მხატვარი — ი. სუმბათაშვილი
ხელოვნების დამს. მოღვაწე,
სტალინური პრემიის ლაურეატი
კომპოზიტორი — არ. ჩორგოლაშვილი

ქორეოგრაფები — ლ. გვარამიძე
რესპ. სახალხო არტისტი და
გ. დარახველიძე
ხელ. დამს. მოღვაწე.
რეჟ. ასისტენტი — ირ. გრატიაშვილი,

სპექტაკლის მხატვრული ხელმძღვანელი
ვერიკო ანჯაფარიძე
სსრკ სახალხო არტისტი,
სტალინური პრემიის ლაურეატი.

სამშობლოს გუთნის ,დედაო ხოხბის ქალაქო—თბილისო!
ცეცხლი და დარი გინახავს ათას ხუთასი პირისა,
ზეიმით გიძღვნით თეატრონს, წვის და ძიების ნახელავს,
ხალხში წვეთ-წვეთად ჩაკრეფილს, ქართულ თეატრის მსახველად.
სამსახეობით მოვდივართ, გულით გაგვიღეთ კარები,
აუგად ნურას ჩაგვითვლით — აწ ამას გემუდარებით!

ოქტომბერი, 1958 წელი.

დედაქალაქის 1500 წლისთავის საზეიმო დღეები.
ეი, რას წერდა ნ. გურაბანიძე ამ სპექტაკლის შესახებ გაზეთ „კომუნისტში“

„სამსახეობა რაინდისა“.

ძველი ქართული იმპროვიზაციული თეატრი, რომელიც ბერიკების თეატრის სახელით არის ცნობილი, დიდი ხანია ჩვენი მწერლებისა და თეატრის მოღვაწეთა ყურადღებას იქცევს.

ბერიკული თამაშობის მკვეთრი თეატრალური ფორმა ეროვნულ ნიადაგზეა აღმოცენებული. მისი სანახაობითი საზეიმო მხარე, ცხოველმყოფელობა განაპირობებდა იმ ინტერესს, რომელსაც მის მიმართ იჩენდნენ ჩვენი სახელოვანი რეჟისორები კ. მარჯანიშვილი და ს. ახმეტელი.

ქართული თეატრის ეროვნული ფორმების ძიების დროს, სათანადო მასალის უქონლობა მათი მისწრაფებების განხორციელების საშუალებას არ იძლეოდა. ამიტომ გასაგებია ის ინტერესი, რომელსაც ჩვენი მაყურებელი იჩენს ლ. გოთუას პიესის „სამსახეობა რაინდისა" მიმართ. ამ პიესაში გაცოცხლებულია ნიღბების თეატრის მრავალი შესანიშნავი მხარე, მისი ცხოველმყოფელობა, მახვილგონიერება, სანახაობრივი ელემენტები. ავტორი ჩვენს თეატრალურ წარსულს უყურებს უფრო ფართოდ და პიესაში თამამად შემოაქვს ძველი მისტერიული ქმედების საფერხულო წყობის, ყეენობის ელემენტები, მიაჩნია რა, რომ ბერიკების თეატრი თავისი შეუზღუდავი შესაძლებლობებით თავისუფლად შეისისხლხორცებს მათ. ამ მიზნით ლ. გოთუა წარმართული და უძველესი ხანის სანახაობით ამბებს („ნიშხანიშხა", „ძაბრალა") ართმევს პირველანდელ აზრს და პიესის დედა აზრს უმორჩილებს.

გასაგებია ავტორის კეთილშობილური მისწრაფება, მას არ უნდოდა მოეხდინა ძველი ნიღბების თეატრის რესტავრაცია ან სანახაობითი ელემენტების უბრალო დემონსტრაცია. მან მოიწადინა ყველა ისინი ერთი ძირითადი აზრის გამოსახვისათვის დაემორჩილებინა, მაგრამ იმდენად მძლავრი აღმოჩნდა ცთუნება ბერიკული სიუჟეტების, ბერიკების თამაშის, გაპაექრების, სატრფიალო გაშაირებისა, რომ მათ გადაწონეს ავტორისეული აზრი, წაართვეს მას სიმძაფრე და მხატვრული ზემოქმედების ძალა. ავტორს მიზნად არ ჰქონია მხოლოდ ნიღბების თეატრის ბუნების ჩვენება (ამისათვის ერთი მოქმედება იკმარებდა). იგი ნამდვილ შემოქმედებით მიზანს ისახავდა — ეჩვენებინა ცოცხალი ადამიანები, მათი ბრძოლა და სიყვარული. მაგრამ, ჩვენი ფიქრით, მოხდა აღრევა — ვერც პიესისა და ვერც სპექტაკლის მიხედვით ვერ გაიგებ ბერიკები როდის თამაშობენ, როდის ეთიშებიან ნიღბებს და როდის გვიჩვენებენ თავიანთ ბუნებას.

სპექტაკლი იწყება მაღალი ტონალობით, მხიარულად ხაზ-

გასმული თეატრალობით. ეს საზეიმო განწყობილებაა ბერიკული წარმოსახვისა (თეატრში თეატრი). ცხოველი რიტმი შენარჩუნებულია მთელი პირველი მოქმედების მანძილზე, დამდგმელი რეჟისორი გ. ლალიძე".

რეცენზიაში შემდეგ ქებაა მხატვარ ი. სუმბათაშვილი, კომპოზიტორ ა. ჩორგოლაშვილისა და პიესაში მონაწილე მსახიობებისა.

შემდეგ ავტორს მოჰყავს თავისი მოსაზრებანი და განსაზღვრები.

საბოლოოდ აღნიშნავს, რომ, მიუხედავად ზემოთქმულისა, ეს სპექტაკლი ჩვენს თეატრალურ ცხოვრებაში უთუოდ დადებით მოვლენად უნდა იქნას მიჩნეული, ვინაიდან მან თვალნათლივ გვიჩვენა ჩვენი ხალხის ცხოვრების მრავალი ძვირფასი მხარე.

27. I. 1955 წელი.

ჩემო კარგებო!

გულითადად ყველას სახელდებით და დაუსახელებლად მოგილოცავთ ახალ წელს საუკეთესო სურვილებით.

ესეც მე-20 საუკუნის ორმოცდამეთხუთმეტე წელი. ამ ასაკს ჩემი ასაკი რომ მივაზმანოთ, იგი საკმარისად ხანდაზმულ ჭაღაროსნად წარმოგვიდგება. მაგრამ, ჩემგან განსხვავებით, კაცობრიობა და დრო მარადყამს ახალგაზრდაა... მე კი დავბერდი.

ჩვენი ბობოქარი საუკუნის ნახევარზე მეტი გზა განვლილია, მაგრამ, ვიმედოვნებ, რომ მას ჯერ კიდევ ვეებერთელა შინაგანი ძალა და ცეცხლოვანი საფუარი აქვს დასულდგმულებული და იქნებ მეტიც, ჯერ არ გაუმეღავნებია თავისი მთავარსათქმელი სამშობლოს მრავალი საკითხის მოგვარებაში და დაფუძნებაში

ახალი წელი, ეს ეამი ჩვეულებრივი დღე-ღამის გაყრა სრულიადაც არ არის, ასტრონომიის თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, არც უჩვეულო არაფერია. განუ-

ზომელი მსოფლიო მექანიკის კანონებს ძველებურად ემორჩილება, მზე მზეობს, დედამიწა ბრუნავს... ვინ უწყის, რამდენი წელია ასე დღევდება და ღამდება ქვეყანაზე, თუ არ ჩავთვლით ამ ჩრდილო ჯოჯოხეთს, სადაც ყველაფერი შებრუნებულია, მაგრამ წელთაღრიცხვაში მაინც იგივე შეგნებულ ცხოვრებაში ტრადიციულად ქცეულ პირობითობას საერთოდ დიდი მნიშვნელობა და ძალა აქვს — ასეთი დიდი პირობითობაა ახალი წელი.

კაცობრიობის ისტორიაში ოცნებას უდიდესი დამსახურება მიუძღვის, ხოლო ყველაზე აღიარებული ოცნება და კეთილი სურვილების დღე ახალი წელის უხილავი მიჯნა გახლავთ. ამ დღეს ყველა ოცნებობს და ბედნიერია ზღაპრული ნაცარქექიიდან მიჯაჭვულ ამირანამდე, ყველა ცოცხლისა და მოაზროვნის ჩათვლით.

მეოცნებე კაცი კი ყოველთვის უფრო გულკეთილი და ლმობიერია.

ოხ! რა ძნელია, თვალს რომ დახუჭავ და მძიმე დროის მაჯის ცემას განაბულად უსმენ, ადამიანის სევდას გაინაპირებ და ფიქრით კეთილი მომავლისაკენ გაიტყორცნები. ახალი წელი ორ წელს ერთბაშად იტევს, ორმაგად ბზინავს „შარშან" და „გაისი" და, მე ვფიქრობ, რომ ხურჯინიც ახალი წლის ღამეს არის გამოთარგული, მასაც ამიტომ აქვს ორი უბე.

მეც მინდა, რომ სამშობლოში ბოლოს და ბოლოს სავსე ხურჯინით მოვიდე მეკვლედ. ნატვრას ხომ უჩინ-მაჩინის ქუდის გარდა უხილავი ოცნების ფრთებიც ასხია.

მეც თვალებს რომ დავხუჭავ და ჩემი ცხოვრების სიღრმეში ოცნებით გადავიხედავ, ყველაფერი ისე ირევა, თავბრუ მესხმის და ისევ და ისევ მეხსიერებას და ნებისყოფას ამოვეფარები.

ამ დღეს ვულოცავ ყველას — სამშობლოს შვილებს და სხვებს, საქართველოსთვის კეთილმსურველს. ჩვენთან, სამშობლოს მიღმა გაცამტვერებულ, დაკნინებულ ხალხში გულმხურვალე, ალალ-მართალ მოლოცვებში როგორი კეთილი ნატვრა, სურვილები და ზრახვებია, რაც მთავარია, მომავლის რწმენაა ჩაქსოვილი. დე ას-

რულდეს ჩვენი ნატვრა-ოცნება, ვიხილოთ თავისუფალი სამშობლო და ჩვენც იქნებ გვეღირსოს სამშობლომოწყურებულებს სამშობლოში დაბრუნება.

მე მაინც იმედს არ ვკარგავ და მტკიცედ ვეცდები კიდეც ამ ზრახვების ასასრულებლად.

გკოცნით ბევრს.

თქვენი ლ ე ვ ა ნ ი“.

„ჩ ე მ ო კ ა რ გ ე ბ ო!

20. IV. 59 წელი.

ეს წერილი გამოვატანე ვერა ლორთქიფანიძეს. მე მეგონა თამარ კილაძე უკან წამოვიდოდა, ჯერ არ ჩანს.

ვარ კარგად. მდგომარეობა უცვლელია, ველი ვადის დამთავრებას. ვადას კი სულ მოკლე ხანში ვამთავრებ, ამასთან დაკავშირებით ვღელავ, სულ ერთი თვის ფარგლებშია.

მდგომარეობა მე პირადად ასეთი მაქვს: წარდგენილი ვარ ინვალიდობაზე, მაგრამ ჯერ არ ვარ. გაფორმებული. ჩემი ვადის დამთავრებამდე თუ გაფორმდა ეს, უფრო მეტი შესაძლებლობაა საქართველოში დაბრუნებისა, თუმცა აქ ინვალიდებიც სხედან.

ჩემს საქმეს ის აჩქარებს, რომ ვადა მიმთავრდება. ჩემი განთავისუფლების შესახებ მოსკოვიდან თუ არ მოვიდა პასუხი აქაურ შეკითხვაზე, მაშინ უსათუოდ ვორკუტაში დამტოვებენ კომენდატურასთან მიმაგრებით, ეგრეთ წოდებულ თავისუფალ გადასახლებაში. ამიტომ ვარჩევ ბანაკში დარჩენას საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტამდე.

აქედან ყველაზე გზავნიან მოსკოვში შეკითხვას. მით უფრო „ОСО“-ს მისჯილთა შესახებ. პასუხამდე მე მაინც ბანაკში დარჩენას ვარჩევ და საბოლოოდ თავისუფლების ლოდინს. ეს საქმეს უფრო დააჩქარებს, ვინაიდან ბანაკისათვის ეს „საგანგაშო მდგომარეობაა“— პატიმარი განთავისუფლებაზე უარს ამბობს და კვლავ ბანაკში

რჩება. ვფიქრობ ამით შესაძლებელია სასწაულიც მოხდეს. დიდი ამის მორწმუნე არა ვარ, მაგრამ ვვარაუდობ. ასე ვალაგებ ცხოვრებას. თქვენ კი ყველაფერი გაითვალისწინეთ. წიგნები და საერთოდ რასაც გთხოვდით, გამომიგზავნეთ. მომწვდა მანდაური ხმები „რეაბილიტაციის“ შესახებ. მე ეს როგორღაც ვერ წარმომიდგენია, რა დანაშაული მაქვს, რომ რეაბილიტაცია მჭირდება. მთავარია ცოცხალი გადავრჩი, ჩემს თავს კი ახლა მე თვითონ ვუშველი. საკმაოდ ტრაგიკომიკური მდგომარეობაა! თუ ინვალიდობით მომცეს შეღავათი, მაშინ ალბათ დამჭირდება ცნობა მეურვეობის შესახებ. თავის დროზე შემოგითვლით.

მე კვლავ ვმუშაობ მაღაროშიც და ჩემთვისაც — ვწერ. თუ მეღირსა ჩამოსვლა, „ხურჯინს“ სავსეს ჩამოვიტან.

ბბა, გულითადი მოიკითხვა ყველას, ვისაც ვახსოვარ.

როგორ არიან დაბრუნებულები? კოტეს წერილი მივიღე ინტიდან.

დანარჩენ ჩვენი ცხოვრების ავ-კარგს ალბათ ბარათის მომტანი გიამბობთ.

იყავით კარგად, გკოცნით.

თქვენი ლ ე ვ ა ნ ი“.

„ჩ ე მ ო კ ა რ გ ე ბ ო!

26. V. 55 წ.

დღეს ავიაფოსტით ბანაკიდან გამოვგზავნე რუსული [illegible] — მეურვეობის ბარათის ნიმუშით. დღეს ვწერ ამ წერილს.

ჩემი მდგომარეობა ასეთია: ვადას ვამთავრებ 12. VI. 55 წელს, უკვე ოფიციალურად გამომიცხადეს ეს საბედისწერო დღე, რადგან მოსკოვიდან ჯერ პასუხი ჩემზე არ მიუღიათ, როგორ მოიქცნენ, არ იციან. აქაური წესი კი ასეთია: მუდმივად თავისუფალ გადასახლებაში კომენდატურასთან მიმაგრებით ვორკუტაში აგზავნიან ყველას. მე უკვე ვორკუტაში წასვლაზე უარი განვაცხა-

დე იმ საბაბით, რომ ვარ ინვალიდი (ახლახან გამაფორ-მეს). მოსკოვის პასუხს მინდა აქვე, ბანაკში დაველოდო. თუ მაინცდამაინც ამიხირდნენ, ჩათვლებს უკან დავუბ-რუნებ საჭირო რაოდენობით და მეტითაც, ჯერ თითქოს-და მთანხმდებიან, გამაფრთხილეს მეურვეობის ბარათი გამოიწერეო. ამიტომ გწერთ კიდევ.

ახლა მეურვეობის შესახებ: უნდა გააფორმოთ ერთი თბილისში, მაგრამ შეიძლება დადებითი პასუხის შემ-თხვევაშიც თბილისში არ გამომიშვან, რადგან რესპუბ-ლიკის ცენტრია. ამ გარემოებამ შესაძლოა გაფორმება შეაფერხოს. ამიტომ საჭიროა სადმე რაიონის მისამარ-თითაც, მაგალითად, ლანჩხუთი, ჩიბათი, ძიმითი თუ სხვა, თბილისთან უფრო მახლობელი რაიონი. ეს აქ ფორმალური მხარეა, მაგრამ აუცილებელი. თინა, თბი-ლისში უმჯობესია შენს სახელზე გააფორმო მეურვეობა. თუ ეს რაიმე მიზეზით უხერხულია, შაშინ თამარის ან მზიას სახელზე. იქნებ რაიონში თქვენ ერთ-ერთის სა-ხელზე მოახერხოთ თუ ვერა და, მაშინ ნათესავები — ბიძაშვილები მონახეთ.

მეურვეობა სასწრაფოდ გამომიგზავნეთ, გამოგზავნა დეპეშით მაცნობეთ.

ცნობა უსათუოდ შეამოწმებინეთ სანოტარო კანტო-რას თუ რაიონიდან იქნება, — რაისაბჭოს. მთავარია, რომ ღერბიანი ბეჭედი იყოს.

მე ყოველივეს ვიღონებ. მაგრამ მაინც მეეჭვება თბილისში ჩემი ჩამოსვლა. გულითადი მოკითხვა ყველას. როგორ არიან პატარა თამრიკო და დედამისი? დევი ბიჭი? დედა? და თქვენ სუყველა? ასეთ კრიტიკულ დროს თქვენთან ყოფნა უფრო მძაფრად და სასტიკად მომინდა.

გაცნობთ ყველას.

თქვენი ლ ე ვ ა ნ ი“.

„ჩემო კარგებო!

27. VII. 55 წელი.

ყველაფერი მიღებული მაქვს — მეურვეობის ქალალდებიც ყოველმხრივ და ყველა ვარიანტი (თინა, თამარი), დაწესებულებამაც მიიღო. ახლა საქმე მოსკოვის პასუხზეა და, ჩანს, ეს არც თუ მალე იქნება. მითხრეს, 2 თვე მაინც არის საჭიროო. იქნებ მეტიც.

მაშ მდგომარეობა ასეთი შეიქნა: ვადა 12. VI გავათავე, აქვე გარეთ მიშვებენ აქაურ კომენდატურაზე მიმაგრებით. როგორც გწერდით, მე უარი განვაცხადე. გადამიყვანეს „მსუბუქი რეჟიმის“ ბანაკში, ესე იგი უყარაულოდ დავდივარ სამუშაოზე და დასვენების დღეს შეიძლება ქალაქში ან სხვაგან გასვლა.

ერთი სიტყვით, თუ რამე არ გამოიცვალა და თუ მაინცდამაინც ძალით გარეთ არ გამაგდეს, რამდენიმე ხანს აქ დავრჩები და აქვე ძველებურად ვიმუშავებ.

თქვენ მანდ ნუ ღელავთ და ნურც აღფრთოვანდებით ნაადრევად. მოთმინებით დაველოდოთ შედეგს.

მანდაური ამბები ჩემს ირგვლივ (თეატრიდანაც და მწერალთა კავშირიდანაც) მეამა, მაგრამ პრაქტიკულად შედეგის მქონედ გამოდგება თუ არა, ამასაც ვნახავთ. მაინც, ჩანს, კეთილმსურველი ხალხი არ დალეულა საქართველოში! სანუგეშოა... კეთილი, თუ დავბრუნდი,— არც მე მოვალ ხელცარიელი!

მე პირადად კი იმდენი წალმართ-უკუღმართობა ვნახე ცხოვრებაში, სრულიად არ ვღელავ. ვზივარ ჩემთვის და ვმუშაობ... ხელი მეშლება ზოგი წიგნისა და საწერი ქაღალდის მიუღებლობის გამო. ასე მივეჩვიე ყველაფერს და საქართველოში თუგინდ ერთი დღე სიცოცხლისათვის ასი წლის მოთმინება მაქვს.

ახლა თქვენი ჩემთან აქ, ვორკუტაში ჩამოსვლის შესახებ: ჯერ, რა თქმა უნდა, ჩემი საქმე უნდა გაირკვეს. მერე კი თუ, საუბედუროდ, აქ დავრჩი, უსათუოდ ჩამოდით. ეს კი არის, მგზავრობაში გამწარდებით.

დიდად მონატრებულები ვართ მზეს. დღეს 28. VI.

და დიდი თოვლჭყაპია. მზე ჯერ არ გვინახავს. ჩვენც თავისებური „მზეთუნახავები“ გახლავართ!

გავიგე შალვა ღამბაშიძის და ლევან ასათიანის სიკვდილი, მეტად მეწყინა. შალვას შესახებ — თეატრსა და მის ოჯახს ერთად მივწერე სამძიმარი, ალბათ მიღებული ექნებათ. ასეთი კაცის დაკარგვა მარტო თეატრისათვის კი არა, საქართველოსათვისაც დიდი დანაკლისია. პირადად ჩემთვის კი, ნუ იტყვით, ის მარტო ჩემი პიესების გმირი კი არ იყო, არამედ ჩემი ერთგული მეგობარი და საიმედო ქართველი.

ლ. ასათიანის მეუღლე, თინა, თუ ნახოთ, ჩემი ღრმა თანაგრძნობა გადაეცით პატიოსანთა — უპატიოსნესი, ქართველთა — უქართველესი, მწერალთა-მწერლის გარდაცვალების გამო. დიდად სამწუხაროა და დასანანი. ბინის მისამართი ვიცოდე, უსათუოდ მივწერდი. სულ მიდის და მიდის საუკეთესო ხალხი, ჩემი სათაყვანებელი და საიმედო ადამიანები, ვაშა, მათ მაინც — ვინც სამშობლოს მიმართ ვალმოხდილი მიდის! ეტყობა, მე თუ დავბრუნდი, ბევრს, ვინც მე ცოცხალი მგონია, ველარ ვნახავ? ასეთია ცხოვრება... მათ მაგივრად — ბევრს დავაუკაცებულად და ახალდაბადებულად ვიხილავ.

ყველა მომიკითხეთ ჩამოუთვლელად, მაგრამ გულითადად.

თქვენი ლ ე ვ ა ნ ი“.

9 ივლისს ლევანმა მზიას მისწერა საპასუხო წერილი მოსკოვში — უხაროდა, რომ მზია სამოგზაუროდ წავიდა. მზია ეხვეწებოდა ლევანს მოსკოვიდან ვორკუტაში ჩამოვალო, რაზედაც ლევანი არ დათანხმდა — აქ შენი ჩამოსვლა, ისიც რამდენიმე დღით და მით უფრო ახლა, სულ არ ღირსო. ასე რომ, კარგად იმოგზაურე და შინ მშვიდობით ჩადი, იქნებ იქ შევხვდეთო.

„ჩემო კარგებო!

28. VII. 55 წ.

ჩემი ვადა დამთავრდა 12.VI. დღეს კი ისევ გამოგამიცხადეს ბანაკის დატოვება და ქალაქ ვორკუტაში გადასვლა. ესეც ისევ ჩემი ბედის უკულმა ტრიალია. მე, რა თქმა უნდა, ასეთ განთავისუფლებაზე უარი განვაცხადე. ისევ დავწერე განცხადება, სანამ მოსკოვიდან ჩემს შესახებ პასუხი არ მოვა, ჩათვლები უკან წაიღეთ და მე აქ დამტოვეთ-მეთქი.

ხალხი ციხიდან წასვლაზე ოცნებობს, იბრძვის, მე კი ციხეში დარჩენაზე ვხლაფორთობ, პარადოქსია, არა? „წყალწაღებული ხავსს ეკიდებოდაო", სიმწრით ნაანგარიშევ ჩათვლილ დღეებს უკან ვაბრუნებ. ისევ ჩავედი სამუშაოდ ღრმა მაღაროში.

მე ასეთი შეკვეცილი, ფრთებჩამოჭრილი თავისუფლება აღარ მინდა.

პატიმრები, ზედამხედველები და უფროსები გაკვირვებულები და შეწუხებულები შემომცქერიან, ჩემს ჯიუტობას ჭკუაზე შეშლას აბრალებენ: ლევანი ისე მიაჩვიეს ამ ცხოვრებას, რომ თავისუფლად უკვე ველარ იცოცხლებსო, ირონიით ამბობენ ისინი. ჩემს ტრაგიკომედიას დასცინიან, ასეთი რამე ბანაკის პირობებში არ მომხდარაო. დაპატიმრების კანონი დიდი ასოებითაა დაწერილი, პატიმრის საპატიმროდან ძალით გაგდების კანონი კი არ არსებობს. პატიმარი სიხარულით, თვითშეგნებით, თვითნებურად უნდა წავიდეს განთავისუფლების შემდეგ. აქაც ასე ხდება. ახლა კი მე შევცვალე ყველაფერი. ჩრდილოელი ქართველები შეწუხებულები და აღშფოთებულები მეხვეწებოდნენ და მარწმუნებდენ, ლევან, ქალაქში მაინც სულ სხვაა, ზედამხედველების, ძაღლების, ნომრის, იძულებითი შრომის, დამცირებისა და დაცინვის გარეშე იქნები ჩვენთან ერთადო. ჩვენ დაგეხმარებით ყოველმხრივ, უფრო მეტს დაწერ და შენს მწერლობას გააღრმავებო. მე გავჯიუტდი — ეს ხომ ჩემი სამუდამოდ საქართველოს, თბილისის და თქვენს გარეშე არსებობა იქნება და არა ცხოვრება, რომელიც

ვგრძნობ თანდათან იფერფლება-მეთქი. ასეთ სიცოცხლეს და თავისუფლებას, მით უფრო ახლა, უკვე ველარ ავიტან. ინვალიდობაც ხომ იმიტომ მოვიმიზეზე. მართალია, გასივებული ფეხებიც დამეხმარა, ჩემს დამხმარე ექიმებს ხელმოსაკიდებელი ჰქონდათ, თორემ მე ჯანმრთელობის მხრივ კლდესავით მაგარი ვარ, სულით, ხორცით თუ ხასიათით — კიდევ უკეთესი!

დიახ, „მეტად მძიმე და ძნელი" წლები გადავიტანე, ცხოვრებაში ხშირად სილამაზეს და სიხარულს მწარე სიმახინჯე და ტანჯვა აქვს გადაჯვარედინებულიო. სწორედ ჩემზეა ნათქვამი. მე სილამაზეზე აბა რას ვიტყვი, აღსავსე ვიყავი სამშობლოს ბუნებით და მისი სიყვარულით. ამაზე ლამაზი არა წარმომიდგენია რა. სიხარულის მხრივ კი პირადად მე ზღვაში ერთი წვეთი მერგო. თვითონ განსაჯეთ. უსასრულობასთან, სიმახინჯესთან და ტანჯვასთან კი პირისპირ ბევრგზის დიდი და მძიმე ჭიდილი შემხვდა ჩემს ეკლიან გზაზე უხვად გადასატანი.

ბევრი მქონია უმძიმესი წუთებიც, სიცოცხლეც აღარ მინდოდა, თვითმკვლელობამდეც ვიყავი მისული, მაგრამ გადავლახე ეს საშინელი ზღურბლი. სამშობლოს სიყვარულმა, დაუღალავმა შრომამ, გულში მალულად ჩაქსოვილმა იმედის ნაპერწკალმა გადამატანინა ყოველივე.

ჩემი გრძელი ვადის პატიმრობაში რა პროფესია არ შევიძინე, დაწყებული მძიმე და ფიზიკური შრომიდან, გათავებული საპატიო თანამდებობით. გავინაწილე ტაიგაში ხე-ტყის მუშის მძიმე ხვედრი, ტუნდრაში — იძულებითი მიწის მუშის გაჭირვება, — უბრალო შავი მუშის მძიმე შრომა პატიმრის ყოფით. შემდეგ კი ჩემმა „განათლებამ" იმძლავრა — გზა გამიკაფა. გავხდი სანიტარ-დამლაგებელი, გადამწერი (საქმეთა მმართველი), ბუღალტერი, ეკონომისტი, პედაგოგი, ფარმაცევტი, მემაღაროე-გამთხრელი, მაღალი ძაბვის მონტიორი. ეს ჩემი ძირითადი პროფესიებია, შიგადაშიგ წვრილმანს ვინ მოთვლის. ვიყავი პატიმარი საკონცენტრაციო ბანაკის, კატორღელი, დანომრილი, გვარწაშლილი. ვიჯექი სხვადასხვა სახის „იზოლატორში", რამდენჯერმე „სასიკვდილო საკანში" ჩაბორკილიც, დახურულ ციხეებს ხომ

ნუ ჩამოთვლით — თბილისის, მოსკოვის, სოლოვკების, ნარიმის, ბიისკის. ეტაპებით სად არ მათრიეს, სად არ გადამაგდეს, სად არ მაწვალეს, ყველაფერს რომ ჩავუევი და გავიხსენე, თვითონ განვცვიფრდი: ნუთუ ყოველივე ეს მე შემხვდა წილად, ენით აუწერელი საკვირველებაა, წარმოდგენაც ძნელია და მე თვითონ მიკვირს, როგორ გავუძელი და გადავიტანე. ჩემს თავზე მძიმე ზღაპრად ნამდვილმა ჯოჯოხეთმა გადაიარა.

ვფიქრობ ერთი ადამიანისათვის ეს ბევრზე ბევრია გადასატანად და დაუჯერებელიც! მაგრამ ეს მწარე ფაქტია და სინამდვილე. განა მე მარტო ვარ ამისთანა? მილიონობით ხალხია გაწუვეტილ-განადგურებული, ცოცხლად დამარხული, უუფლებოდ დარჩენილი, დაკნინებულ-დაჩაჩანაკებული.

ამის შემდეგ თვითონ განსაჯეთ, ამ წყობაზე რა უნდა ითქვას!!..

მე ახლა ხანდაზმული ვარ, 50 წლისა. გადატანილი ჭირ-ვარამით მთელს ჩემს ცხოვრებაზე ბევრად უფრო ასაკოვანი და ხანდაზმული. ახლა კი ჩემს თავზე ექსპერიმენტებს ვეღარ ავიტან. მე მარტო ჩემი სამშობლო მინდა და იქ მერგოს სასუფეველი. ეს რომ ცოტათი ადრე მეთქვა, ალბათ მეც გამანადგურებდნენ, მომსპობდნენ, ახლა კი შეიცვალა მთავრობა, აქაც შერბილდა რეჟიმი, ჰოდა იქნებ მეშველოს რამე.

უკვე გავიდა რამდენიმე თვე, ბევრს, ჩემსავით უდანაშაულო პატიმარს, გაუთავდა 10-წლიანი ვადა და მე მომბაძა ბევრმა, ჩათვლილი დღეები ჩემსავით უკან დაუბრუნა ბანაკს. ჩვენ ბევრზე ბევრი აღმოვჩნდით ამისთანები და უფრო გავთამამდით. მოსკოვიდან ჩვენს შესახებ პასუხი იგვიანებს. ბანაკს კი აწყობს, მუშახელი სჭირდება. ამიტომ ყველანი ყაბულს ვართ. მერე სამუშაოზე გასვლაც შევწყვიტეთ და გაფიცვა მოვაწყვეთ.

გაფიცვა ისევ საყოველთაო გახდა. სოლიდარობის მიზნით სხვა პატიმრებიც გაიფიცნენ, შემოგვიერთდნენ. თითქმის ყველა მაღარო გაიფიცა. ისევ წარმოიშვა საგაფიცვო კომიტეტიც. გაფიცვას სათავეში ჩაუდგა ჩვენი მეგობარი იგორ დობროშტანი.

როგორც ყოველთვის, ქართველები ისევ მოწინავე ხაზზე აღმოვჩნდით. ვფიქრობ, ეს გაფიცვა უსათუოდ თავისუფლებას მოგვიტანს, თუ სადმე დარჩა სამართალი. თითქოს წინათგრძნობაც ამას მეუბნება. ეხ! რამდენი არასაჭირო ამბავი მოგწერეთ, ჩემს რწმენას გადავუხვიე, მაგრამ საბოლოოდ ჩემი გულისთქმა ვთქვი, გულის ამონაკვნესი მოგწერეთ. ეს არის და ეს.

ისე ჯანმრთელად და მხნედ ვარ. მაგრად, ბრძოლის სულისკვეთებით განწყობილი, ომავლის რწმენით გამაგრებული, პატიმრობის ვადის დამთავრებით გათამამებული.

თქვენც მხნედ და მაგრად იყავით, ჩემს მომავალს შეეგუეთ.

გისურვებთ ზაფხულის კარგად გატარებას, დასვენებას, გაჯანმრთელებას და მოლოდინს. ვნახოთ!

გაოცნით ყველას,
თქვენი ძმა ლ ე ვ ა ნ ი“.

„ამრიგად, 1955 წლის ზაფხულში ვორკუტის ბანაკებში გამოცხადდა საყოველთაო გაფიცვა. დაარსდა საგაფიცვო კომიტეტი, რომელსაც სათავეში იგორ დობროშტანი ჩაუდგა. გაფიცვის ძირითადი მიზეზი მაინც პატიმრების მიმართ არაადამიანური ცხოვრების პირობები იყო, რის გამოც მასიურად იღუპებოდნენ ადამიანები,— წერს ყოფილი პატიმარი შალვა ჩხეიძე.— საგაფიცვო კომიტეტი მოითხოვდა: უკანონოდ დასჯილ და ვადადამთავრებულ პატიმართა სამშობლოში დაბრუნებას, ბარაკებში ცხოვრებისა და შრომის მძიმე რეჟიმის შეცვლას, თავისუფალ ადგილსახლებაში, ქ. ვორკუტაში პატიმრების ნებაყოფლობით დატოვებას (ვინაიდან ბევრი იყო ისეთი, რომელიც აპირებდა მაღაროებში მუშაობას — მათ არ ჰქონდათ ოჯახი, სახლ-კარი და საერთოდ საცხოვრებელი ადგილი). რაც მთავარია, საგაფიცვო კომიტეტი მოითხოვდა მოსკოვიდან მთავრობის კომისიის ჩამოსვლას, რომელიც ყველა მწვავე საკითხს ადგილზე, პატიმრების თანდასწრებით გადაწყვეტდა“.

„პატიმრები თანდათან გათამამდნენ. ბანაკში აჯანყება გამ-

წვავდა. ადმინისტრაციას აღარავინ არ ემორჩილებოდა. ბანაკის დირექცია ისე დაიბნა, არ იცოდა, რა ზომები ეხმარა. ერთ დღეს ისეთი მძიმე მდგომარეობა შეიქმნა, კინაღამ ისევ ცეცხლი და ტყვია დაგვიშინეს, მაგრამ აქ დობროშტანმა და საგაფიცვო კომიტეტის წევრებმა, მათ შორის ლევანმაც, იმარჯვეს", — იგონებს ყოფილი პატიმარი რეზო ტყავაძე.

„ბანაკში უამრავი უცხოელი პატიმარი და ემიგრანტი იყო ტყვედ ჩავარდნილი თუ ისე გადმობირებული და მერე დაპატიმრებული: გერმანელები, ჩეხები, სამხრეთ უკრაინიდან, ბალტიისპირეთიდან, ფრანგები, ბულგარელები, ინგლისელები. მოკლედ, რა რჯულისა და ასაკის პატიმარს არ შეხვდებოდი აქ. ისინი უკვე გრძნობდნენ რეჟიმის შერბილებას და მოითხოვდნენ გასამართლებას და საშობლოში დაბრუნებას, ისინი ერთსულოვნად ჩაებნენ გაფიცვაში", — განაგრძობს რეზო ტყავაძე.

„ბანაკში აირია ყველაფერი, დაიწყო ზედამხედველებსა და პატიმრებს შორის მუშტი-კრივი, შეხლა-შემოხლა. პატიმრებმა იარაღიც ჩაიგდეს ხელში, ძალით განაიარაღეს ზედამხედველები და გუშაგები. მოსკოვიდან კომისია არ ჩანდა. დღეები მძიმედ მიდიოდა. გაფიცვა და შიმშილი დღითი დღე მწვავდებოდა. შიმშილობდნენ ქართველებიც, მათ შორის ლევანიც. დასუსტებული პატიმრები გონებას კარგავდნენ, ცუდად ხდებოდნენ და სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაჰყავდათ. ოღონდ ჯანყი არ გამწვავებულიყო და შიმშილობა შეწყვეტილიყო, ბანაკის ადმინისტრაცია ყველა მოლაპარაკებაზე მიდიოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა ძძიმე სისხლისღვრა დაწყებულიყო, — იგონებს ყოფილი პატიმარი შოთა შავგულიძე. — გაფიცულებმა მოითხოვეს მოსკოვში მთავრობასთან მოსალაპარაკებლად იგორ დობროშტანი და რამდენიმე პატიმარი გაეგზავნათ, წარმომადგენელთა ჩამოსვლამდე კი შიმშილობა არ შეწყდებოდა. ადმინისტრაცია ამაზედაც დათანხმდა, მაგრამ დობროშტანს ამჯერად არ დასჭირდა მოსკოვში გამგზავრება — მეორე დღეს კომისია ჩამოვიდა. მოსკოვიდან ჩამოსული კომისიის შემადგენლობაში იყვნენ შინსახკომიდან გენერალი ეგოროვი, სსრ კავშირის უშიშროების მინისტრის მოადგილე ხოხლოვი, უმაღლესი საბჭოს სასამართლოს თავმჯ-

დომარე რუდენკო და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე".

„რუდენკომ ძალიან ავტორიტეტულად გამოუცხადა პატიმრებს: კომისია შექმნა და აქ გამოგზავნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ნიკიტა ხრუშჩოვმა. ყველაფერს ადგილზე გავარკვევთ და იმ ნეგატიურ მოვლენებს, რომელიც სტალინის მძიმე ეპოქას მოჰყვა, მოვსპობთ. მომავალში ეს საშინელი პოლიტიკური ბანაკებიც აღარ იქნება, ახლა კი თქვენი საქმეების გარჩევას შევუდგებითო. და ყველას გასაკვირად ნამდვილად პატიმრების საქმეების გარჩევას შეუდგნენ", — იგონებს ყოფილი პატიმარი ვანო შევარდნაძე.

მოსკოვის კომისიას ბანაკის ადმინისტრაციის წარმომადგენლებიც შეუერთდნენ. აქ იყვნენ: ბანაკის უფროსი, სასტიკი ჩეკისტი შევჩენკო, გენერალი ვუხტიკოვი, შახტის მმართველი დექტევი, პოლიტგანყოფილების უფროსი, ჩეკისტი, საშიში პიროვნება პოპოვი, მე-16 მაღაროს სარემონტო ბრიგადის უფროსი (სადაც ლევანი მუშაობდა უკანასკნელ პერიოდში) ვოლკოვი, შინსახკომელი ვიქტორ ბულბენკო, განსაკუთრებული ნაწილის უფროსი დერევიანკო (ბანაკის მმართველობაში იყო აგრეთვე საშინელი, არაადამიანური ჯაშუში ზაპოროჟეცი, რომელიც პატიმრება გააქრეს — მოკლეს).

პატიმრები კომისიის განცხადებას აღფრთოვანებით შეხვდნენ, მაგრამ ორჭოფობდნენ კიდეც, ვინაიდან მთავრობის ნდობა დაკარგული ჰქონდათ და სიტყვით ამის აღდგენა ახლა არც ისე ადვილი იყო, თუ არა საქმით დამტკიცება. მაინც გადაწყვიტეს გაფიცვის გაგრძელება, შიმშილობა კი შეწყვიტეს.

საგაფიცვო კომიტეტის თავკაცმა იგორ დობროშტანმა, ამ ყოველმხრივ ვაჟკაცმა და განათლებულმა კაცმა, ყოფილმა ტიტულოვანმა კონტრმზვერავმა, რომელმაც ომის დროს ბევრი საგმირო საქმე გააკეთა საბჭოთა კავშირის გამარჯვებისათვის, მკაცრად მოსთხოვა კომისიას ყველა პატიმრის სახელით: თუ არ გაათავისუფლებენ უდანაშაულო და ვადადამთავრებულ პატიმრებს და ბანაკში საერთოდ არ შეიცვლება არაადამიანური, მძიმე რეჟიმი, ერთი ჩემი ძახილი და ყველა-

ნი ერთობლივ საშინელებას მოვიმოქმედებთ, თქვენც დაგხოცავთ და ჩვენც დავიხოცებითო.

ყოფილი პატიმრები სანდრო ჩიკოიძე, დავით კვიტაიშვილი, შოთა შავგულიძე, ვანო შევარდნაძე, რეზო ტყავაძე იგონებენ როგორი აღფრთოვანებული იყვნენ საგაფიცვო კომისიისა და განსაკუთრებით მისი უფროსის — იგორ დობროშტანის ასეთი სითამამითა და ვაჟკაცობით. საწყალ პატიმრებს მოთმინება აღარ ჰყოფნიდათ, უმრავლესობა საჩივრებს კომისიის წევრებს ხელში აჩრიდა, დანარჩენები კი შველას, სინართლის გამარჯვებას და ადამიანური უფლების აღდგენას მოითხოვდნენ. ყოფილი პატიმარი ბენო ხაკალია იგონებს: „დობროშტანმა და სხვა საგაფიცვო კომიტეტის წევრებმა მთავრობის კომისიის წევრების თხოვნა გადმოგვცეს. კომისია გვპირდებოდა, რომ ყველა საქმეს გაარჩევენ, მხოლოდ ამისათვის კი საჭირო იყო დრო და პატიმართა სიდინჯე, მუშაობაში ხელი არ უნდა შეეშალათ. ჩვენ ამდენი ხნის განმავლობაში სიკვდილის აჩრდილი ჩაგვცქეროდა თვალებში. ნამდვილი მოღალატეები და სამშობლოს გამყიდველები კი ფუფუნებაში ცხოვრობენ და თავისუფლად ატრიალებენ შავბნელ საქმეებს, მათაც მიხედეთ, — გაიძახოდნენ პატიმრები.

აქვე გაირკვა ადმინისტრაციის ავკაცობა: პატიმრების შესახებ მოსკოვში გაგზავნილი საჩივრები და შეკითხვები განთავისუფლების შესახებ თურმე იქვე, ადგილზე იხეოდა და მოსკოვამდე არ მიდიოდა. ამიტომ ქველაფერი უშედეგოდ რჩებოდა. ისიც გაირკვა, რომ ნ. ხრუშჩოვის ხელმოწერილი მთელი რიგი ახალი კანონები, რომლებიც პოლიტპატიმრების შელავათებს შეეხებოდა, გამოუყენებლად, მაგრად იყო ბანაკის სეიფებში ჩაკეტილი.

ამრიგად, კომისიამ გამოარკვია ბანაკის ადმინისტრაციის სასტიკი თვითმმართველობა. დაიწყო ბანაკის ადმინისტრაციისა და ზედამხედველობის მოხსნა-განთავისუფლება და მათი დასჯაც კი.

მოსკოვის მთავრობის კომისია ძალიან აქტიურად შეუდგა მუშაობას, შედეგიც გამოჩნდა — დაიწყო პატიმართა განთავისუფლება და სამშობლოში დაბრუნება. ბანაკებში იმდენი პატიმარი იყო თავმოყრილი, რომ ყველა საქმის გარჩევას

სჭირდებოდა გარკვეული დიდი დრო. გაფიცვა გრძელდებოდა. არც ერთი მაღაროა არ მუშაობდა, ხარალიც დიდი იყო.

მაღაროს ადმინისტრაცია ყოველგვარ შეთანხმებაზე მიდიოდა, ოღონდ პატიმრებს მუშაობა აღედგინათ.

საგაფიცვო კომიტეტმა თავისი მოთხოვნა წამოაყენა: პატიმრები იმ შემთხვევაში შეაჩერებდნენ გაფიცვას და შეუდგებოდნენ მუშაობას, თუ მოსკოვში, მთავრობაში გაიგზავნებოდა მათი წარმომადგენლები, რომელთა შემწეობით შესაძლებელია რაიმე ერთობლივი კანონი მიეღოთ. პოლიტიკური უდანაშაულო პატიმრების ადრეულად განთავისუფლებისათვის საგაფიცვო კომიტეტი და ადმინისტრაცია შეთანხმდნენ და იგორ დობროშტანი მოსკოვს გაემგზავრა.

პატიმრებმა გაფიცვა შეწყვიტეს და მაღაროში სამუშაოდ ჩავიდნენ.

მთავრობის კომისია კი ადგილზე განაგრძობდა მუშაობას.

კომისიამ პირველ რიგში ბანაკს მოაცილა სისხლისმსმელი უფროსები, მძიმე ჩეკისტები და ზედამხედველები, რასაც საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა, შემდეგ კი პატიმრების საქმეების გარჩევას შეუდგა.

„დაიწყო პატიმრების განთავისუფლება, შეიძლება სასწაული მოხდეს და მეც მერგოს მესამეჯერ, და ალბათ საბოლოოდ, სამშობლოში ჩრდილოეთიდან დაბრუნება, — იწერებოდა ლევანი... — შიშითა და მუქარით, ტანჯვითა და წამებით გატეხილმა და ხმაჩაკმენდილმა ხალხმა ახლა, სტალინისა და ბერიას სიკვდილის შემდეგ, კომისიასთან ხმა ავიმაღლეთ, გავთამამდით და ყველანი თავისუფლებას მოვითხოვდით. დღე დღეს მისდევდა, კვირა კვირას, მოთმინება თანდათან მელეოდა. ბევრმა მირჩია, კომისიისათვის თვითონ მიმეკითხა, ვინაიდან არავინ იცოდა რიგი როდის ჩომიწევდა ან კომისია როდის გამომიძახებდა. ისე კი განსაკუთრებული პატიმარი ვიყავი — ვადადამთავრებული, განთავისუფლებული და ისევ პატიმარი.

ბოლოს ვეღარ შევიკავე თავი — თავისუფლებისა და სამშობლოში დაბრუნების გრძნობამ ყველაფერს გადასძლია და, თვითონ გამიკვირდა, როგორ თვითნებურად შევვარდი.

კომისიის წინაშე აღმოვჩნდი საშინლად აღელვებული, აფორიაქებული და აღშფოთებული, ძლივს მოვთოკე ჩემი

თავი, ძლივს დავწყნარდი. რუდენკოს და ჩემმა საუბარმა 2 საათს გასტანა. აქ მარტო ჩემ თავგადასავალზე კი არ იყო ლაპარაკი. ვლაპარაკობდით საერთოდ საბჭოთა კავშირის მთავრობის არასწორ პოლიტიკაზე პოლიტპატიმრების მიმართ, კერძოდ, უდანაშაულო პოლიტპატიმრებზე, ტყვეებზე, დაპატიმრებულ ემიგრანტებზე, ბანაკებში არაადამიანური რეჟიმის არსებობაზე, სისასტიკეზე, ჩეკისტების თვითნებობაზე, უდანაშაულო მსხვერპლზე. მოკლედ, რა არ ვთქვით, მე სულ ლაპარაკად გადავიქეცი და ბოლოს ისიც დავაყოლე — ურიცხვი გამშრალი, გაშიშვლებული, კახექსიური, დაკნინებული და მეობადაკარგული ადამიანი ისეთივე მძიმე სანახავია, როგორც წალეკილი და გაოხრებული სამყარო-მეთქი. რუდენკო ძალიან ყურადღებით მისმენდა და ჩემი ყოველი სიტყვა მასზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა.

რუდენკომ ჩემი საქმეც მოიკითხა. როგორც საერთოდ უმრავლესობა პატიმრებისა, ჩემი საქმე არ აღმოჩნდა აქ. მაშინ საერთო სიაში ნახეთო, ბრძანა რუდენკომ. ბევრი ეძებეს ჩემი გვარი, მთელი სიები, დავთრები და წიგნები გადაატრიალეს, მაგრამ არსად არ ვირიცხებოდი.

— ეს ჩვენი პატიმარი არ არის, — განუცხადა რუდენკოს ბანაკის უფროსმა, — როგორც პატიმარი, ჩვენთან არსად არ ირიცხებაო.

ეს ცნობა ელდასავით მომხვდა, თავიდან ფეხებამდე დამიარა.

— როგორ? — არაადამიანური ხმით შევიცხადე მე, თვითონ გამიკვირდა ჩემი ხმისა. — ესე იგი ამდენი წლის მანძილზე მე სრული არარაობა ვიყავი და სიკვდილის შემთხვევაშიც უბრალოდ არც კი ჩამომწერდნენ. რამდენი ტანჯვა-წვალება გავიარე აქ და როგორც პატიმარი არ ვირიცხებოდი? მაშინ რაღა ვიყავი? ესეც ჩემი ბედ-იღბლის კუდის მოქნევა და დაცინვაც იყო. ამ ამბავმა ჩემზე ნაკლებად არც რუდენკოზე იმოქმედა.

მე მერე მივხვდი, რაშიც იქნებოდა საქმე. პირველ ხანებში მე ხომ დანომრილი კატორღელი ვიყავი, მერეც რამდენჯერმე დაგვნომრეს, შემდეგ, ალბათ, აღარ გადამწერეს დავთარში და ასე, მექანიკური შეცდომის გამო, დავრჩი უკვალოდ, ყოველგვარი აღრიცხვის გარეშე.

რუდენკომ იქვე დააბეჭდვინა ჩემი განთავისუფლების და სამშობლოში დაბრუნების ბრძანება, ხელი მოაწერა, ბეჭდით დაამოწმა, ხელი მტკიცედ ჩამომართვა, გამიღიმა და სამშობლოში კეთილი მგზავრობა მისურვა.

ჩემი განთავისუფლების და სამშობლოში დაბრუნების ამბავი ელვის სისწრაფით მოედო ბანაკს. არც მოველოდი, ისეთი ამბავი ატყდა. ყველა ჩემკენ გამორბოდა სიხარულით, მილოცავდნენ ბედნიერებას. უზომო სიყვარულით მეხვეოდნენ, მკოცნიდნენ. ვაჟკაცურ ცრემლებს ღვრიდნენ, აღფრთოვანებულმა ქართველებმა, ჩემი მძიმე დღეების ძმებმა, მეც გული ამიჩუყეს, თვალი თვითნებურად ამიცრემლდა. ამისთანა განშორებას არ მოველოდი და კერ წარმომედგინა.

სიხარულმა ფრთები გაშალა, ოცნებამ ყოველგვარ ზღურბლს გადააჭარბა. ჩემს ირგვლივ შეკრული რკალი თანდათან იზრდებოდა. აქ იყვნენ არა მარტო ჩემი მიწის შვილები, ძმები, ქართველები, არამედ ჩემსავით დაჩაგრული სხვა ერის შვილებიც.

ღმერთია მოწმე, ქართველებმა რა არ მიწოდეს, რა არ მითხრეს, რით არ შემამკეს: ერის კაცო, ბერმუხაო, საქართველოს დიდებულო მამულიშვილო, მე-20 საუკუნის ბუმბერაზო ადამიანო, საქართველოს ერთგულო რაინდო და ბევრი სხვა. ყოველი შეძახილი მეტად ამაღლებული, მგრძნობიარე და გულწრფელი იყო, ტკბილად ხვდებოდა ჩემი არსების სიღრმეს, სიცოცხლის სტიქიონიდან იდუმალი გრძნობა დაიძრა და აზრებსა და ფიქრებს დაეუფლა. ვიგრძენი, რომ შენ თავზე უფრო უმჯობესი ხარ, უფრო მაღალი, უფრო ზვიადი და შენ თავზე უფრო უკვდავიც თითქოს! ვე მესმოდა მათი, ისინი ჩემს სიყვარულში, ერთგულებაში, მამულიშვილობაში, მეგობრობაში, ძმობაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. მამკობდნენ და მამკობდნენ დიდებული გამოთქმებით, რომელიც მე გულზე მხვდებოდა, მახარებდა, მაგრამ არ მადიდგულებდა, პირიქით, ბევრს მავალებდა და მასულდგმულებდა. ისიც იცოდნენ, რომ სხვა დროს ამას ვერ გამიბედავდნენ, არ გამაჯავრებდნენ. ახლა კი მათი გულისთქმა იყო და ჩემი მოკრძალებული წინააღმდეგობა არაბუნებრივად ჩანდა. ყველაფერი ერთმანეთში აირია.

ვასკო როლანდი უნგრულად მლოცავდა, პაპას ვეტრო

რალაცას სახეგაბრწყინებული ლატვიურად ბურტყუნებდა, ციფალო ანდრია უკრაინულად გაჰკიოდა, ლენინგრადელი პროფესორი კონსკი ხელში თავის მოგროვილ მცირედ ფულს მაჩრიდა სამგზავროდ, მწერალი გრიგორიევი კი საკუთარ ლექსს მიკითხავდა ერთად ყოფნისა და მეგობრობის აღსანიშნავად. შარკო დემენტი უნგრულად ბუტბუტებდა... ბევრი სხვაც, ყველას ვინ მოთვლის, თავისებურად გამოხატავდა ჩემდამი მეგობრობას და ურთიერთდამოკიდებულებას, შემდეგ სულ კაპიკ-კაპიკ, უკანასკნელი ფული გაიღეს და მე სამახსოვროდ საათი მაჩუქეს, რითაც გული სულ ამიჩუყეს. ერთხანს ისიც გავიფიქრე, რომ ჩემი ადგილი სწორედ აქ არის, ნამდვილ ერის შვილებთან, ჭეშმარიტ პატრიოტებთან, სამშობლოს სიყვარულში ცხოვრების დიდი ნაწილი ჩემსავით აქ რომ ჩაეფერფლათ და არა იქ, სამშობლოში, სადაც ჯერ კიდევ მძიმე წყობა და ჩეკას რეჟიმი იყო გამეფებული. მაგრამ იმწუთშივე ისიც გავიფიქრე, მე ნახევრად თავისუფლება სამშობლოში უფრო მარგია და ერს იქ უფრო წავადგები, ვიდრე საქართველოდან ათასობით კილომეტრით დაშორებული და სრული თავისუფლება-მეთქი. მერე ვეც ყველას თავისუფლება და სამშობლოში მალე დაბრუნება ვუსურვე. ეს უდიდესი ცნება უკვე ოცნებას და ზღაპარს გამოსცდა, რეალურ და უტყუარ ფაქტად იქცა.

ბანაკში ყველგან იყო გაკრული ნ. ხრუშჩოვის ბრძანება ყველა პოლიტპატიმრის თანდათანობით განთავისუფლებისა და სამშობლოში დაბრუნების შესახებ.

ამიტომ პოლიტიკურ პატიმართა შინ დაბრუნება მხოლოდ დროის ფაქტორს წარმოადგენდა.

მეორე დღეს დიდი სითბოთი და კეთილი სურვილებით თითქმის მთელმა ბანაკმა გამომაცილა.

მატარებელმა სადგურ ინტაში 2 საათი დაჰყო. აქ კი შემხვდნენ ინტის ბანაკის ქართველი პატიმრები საგზლით და ღვინით. აქ იყვნენ ჩემი მეგობრები ვლადიმერ ვაშაკიძე მეუღლესთან მარო ბიბილურთან ერთად, კოტე ჯავრიშვილი, ამირან მორჩილაძე. ცოტა წავიქეიფეთ კიდეც. ვიღაცა გამეხუმრა, ლევან, სადგურის მაღაზიაში ვირის თავ-ფეხი იყიდება და იქნებ წაიღო საქართველოში სამუზეუმოდო. მე სწრაფად აღმოვჩნდი მაღაზიაში. ვირის თავ-ფეხის ნაცვლად

დიდი მსგავსებით ჩრდილოეთის ურქო ირმის თავ-ფეხი ვნახე. ვინ იცის, იქნებ კავკასიურ ვირის ხორცზე უფრო უგემური. ამ დღის სამახსოვროდ ერთი კბილი მაინც წამოვიღე.

ასე წამოვედი ვორკუტიდან და ინტიდან დიდად დაიმედებული, გახარებული და ახალგაზრდულ ხილვებში ჩაფლული, უკვე წელთა სიმრავლე შეუმჩნევლად შემოპარული და ხანდაზმული. ბედნიერი ვიყავი, რომ ცხოვრებისაკენ გზა გამეხსნა მძიმედ ნატანჯს და სასწაულად გადარჩენილს.

დღეს პატიმრები, ხვალ უკვე თავისუფლები იქნებიან და თავიანთ სამშობლოში, ოჯახებში, ახლობლებთან და ნათესავებთან ტკბილად აზუზუნდებიან, იდღეგრძელებენ და ჩაეფლობიან კაცობრიობის საკეთილდღეო სამსახურში. დაუჯერებელი სასწაულია თითქოს.

გრძელ მგზავრობაში ხშირად თავში მძიმე აზრიც მომაწვებოდა და მაჯავრებდა: ნუთუ ამდენი უსამართლობის და სიკვდილის ჩამდენი არ დაისჯება? პასუხს არ აგებს? განა ეს შესაძლებელია? ასეთ და სხვა მნიშვნელოვან აზრთა ჭიდილში მოსკოვში მშვიდობით ჩავედი.

ქუჩაში რომ გავედი ხალხი გაკვირვებით მიყურებდა, ამ ზაფხულის სიცხეში ზამთრის ქურქში და ქეჩის „ვალინკებში“ რომ ვიყავი გამოწყობილი. სხვა არ მქონდა და რას ვიზამდი. პირველი, რაც გადავწყვიტე, ეს იყო: უნივერმაღში შევსულიყავი და ტანსაცმელი შემეძინა, მაგრამ საღამო ხანი იყო, დრო ცოტა მქონდა და ვერაფრის ყიდვა ვერ მოვახერხე. მერე ვიფიქრე სადმე სასტუმროში მოვთავსდები, ცოტა გავსუფთავდები და ნორმალურ საწოლზე დავისვენებ-მეთქი. მაგრამ ვერც ეს შევძელი — სადაც მივედი, ყველამ უნდობლად შემომხედა. მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი ავუხსენი და საბუთიც ვაჩვენე, სასტუმროში მაინც არ შემიშვეს და ძალიან მრისხანედ იქიდან მუქარით გამომაგდეს. მართალი გითხრათ, არც კი მეწყინა. ისევ სადგურს მივაშურე. ღამე ერთ-ერთ სკამზე გაეითენე. ეს მე სრულებითაც არ გამიკვირდა.

მეორე დღეს უთენია ცენტრალური უნივერმაღისაკენ გავწიე. თბილისში ამ ჩაცმულობით არ მინდოდა. გამოჩენა. მგზავრობაში წვერ-ულვაშიც გამეზარდა და, მოკლედ, კარგი სანახავიც ვიყავი. ხალხს ალბათ ვიღაცა მოხეტიალე „მაწან-

წალა“ ვეგონე და გვერდს მიეღიდა. მე აღარაფერი მენაღვლებოდა, ძალიან კარგი გუნებ-განწყობით ცა ქუდად მიმაჩნდა და დედამიწა ქალამნად. ჯიბეში ხომ თბილისის მატარებლის ბილეთი მედო — ეს იყო ჩემთვის ყველაფერი. ვერა და ვერ ვიყიდე ვერაფერი. ძალიან გამიჭირდა საერთოდ, ყველაფერს გადაჩეული ვიყავი, მეხამუშებოდა — ამდენი სრულიად სხვაგვარი ხალხი, მაღაზია, ვაჭრობა, რაიმეს არჩევა.

უცებ ღმერთმა გადმომხედა! დახეთ ბედნიერებას! სრულიად შემთხვევით ნაცნობს ვორკუტიდან, ყოფილ პატიმარს იგორ მუსაიტოვს შემახვედრა. ჩვენ გადავეხვიეთ ერთმანეთს; ჩვენი შეხვედრა მეტად მგრძნობიარე იყო. ხალხი მოგროვდა.

ხალხნო, — უცებ დაიძახა მან აღფრთოვანებით, — ეს ხომ დიდი მწერალი და პოლიტიკური მოღვაწეა საქართველოდან, დღეს განთავისუფლებული ციხიდან და ახლა შინ მიდის.

ვერ წარმოიდგენთ, უცებ ხალხი როგორ შეიცვალა ჩემ მიმართ, მითანაგრძნო და გულით შეიცხადა. მომილოცა, ლმობიერად და კეთილად გადმომხედა გამყიდველმაც, იმწუთშივე 46 ზომის ფეხსაცმელი გააჩინა. იგორმა შემდეგ შარვალ-ხალათიც მაყიდინა.

— ლევან, თუ იცი როგორ გიცანი? მე წინდების საყიდლად შემოვირბინე და შორიდან ნაცნობ, განსხვავებულ ქეჩის „ვალინკებს“ მოვკარი თვალი. გამიკვირდა, საიდან სადაო, მეც ხომ წლების მანძილზე მეცვა ასეთები. ახლოს მოვედი და, ზემოთ რომ ავიხედე, დაგინახე, მართალი გითხრა, ძალიან გამეხარდა.

მერე იგორმა თავის სახლში წამიყვანა, სადაც გავსუფთავდი და გავლამაზდი. დიდი კოხტა მაინცდამაინც არ ვყოფილვარ, მოსკოვში კი ნამდვილი ჩანჩურა გახლდით. ძალიან გული დამწყვიტა ჩემი სამუზეუმო „ვალინკების“ იქ გადაყრამ. ამ ბევრის მთქმელ „ვალინკებს“ ენა რომ ჰქონოდა, მეც და ამ მთავრობასაც სასამართლოში გვიჩივლებდა ასეთი ხანგრძლივი ხმარებისათვის და ამ დღეში ჩაგდებისათვის, მაგრამ არც მათი პატრონი იყო უკეთეს დღეში.

ქურქს კი ასე ადვილად ვერ მოვიცილებ, ისე შემისისხლხორცდა. მან მეტად დიდი და კარგი სამსახური გამიწია. უნდა შევინახო სამუზეუმოდ — ხან ჩემი ლეიბი იყო, ხან საბანბალიში, ხან კი კოხტა ლაბადაზე უკეთესი, მეცვა და მათ-

ბობდა, ქურქი იქ მეტად საჭირო საგანი გახლდათ, განუმეორებელი (ეს ქურქი ახლაც სასოებით ინახება სახლში)".

როგორი დამთხვევა მოხდა: სწორედ იმ დღეს, როდესაც ლევანი მოსკოვში ხეტიალობდა, თინაც მოსკოვში დასეირნობდა — მოსკოვის შემოგარენში, „სერებრანკაში" ისვენებდა და იქიდან ყოველდღე ქალაქში დადიოდნენ. მზია ბალტიისპირეთში იყო, დედა, სანდრო და მე კი სახლში დავრჩით. დედა ავადმყოფობდა და მისი თბილისიდან გაყვანა ვერ მოხერხდა. აგვისტოს მოსკოვიდან ელვა დეპეშა მივიღეთ: ლევანის დავალებით თინა მოსკოვში ჩერნიშევსკის ქუჩაზე № 29-ში იგორ მუსაიტოვთან სასწრაფოდ მოვიდესო.

ჩვენც ელვა დეპეშა ვაფრინეთ თინასთან, გვეგონა, რომ ეს ლევანის ნაწერების გამოტანასთან იყო დაკავშირებული.

თინამ დეპეშის მიღებისთანავე იგორს მიაკითხა.

„კარი სრულიად ახალგაზრდა, მომღიმარმა კაცმა გამიღო. სახლში მიმიპატიჟა და მითხრა: სწორედ ახლა სადგურიდან მოვედი, თქვენი ძმა ლევანი საქართველოში გავაცილე!

მე შევკრთი, ამას არ მოველოდი, — ჰყვებოდა აღელვებული თინა, — კინაღამ გული წამივიდა, არ დავიჯერე, დავეჭვდი კიდეც. იგორმა დამამშვიდა, ლევანმა განთავისუფლების ქაღალდი მაჩვენა, რუდენკოს ხელმოწერილიაო. მერე ლევანთან შეხვედრის ამბავიც მიამბო და მისგან დატოვებული ბარათიც გადმომცა:

„თინა! ვიყავი მოსკოვში, გეძებე. მივდივარ თბილისში, მე თვითონ მიკვირს, ისე სწრაფად მოხდა ყოველივე.

შენ ნუ აჩქარდები, კარგად დაისვენე. მე ჯანმრთელად და კარგად ვარ. ლევანი. 5.VIII.55 წ."

შემდეგ ჩვენთან სახლში ატყდა დეპეშების კორიანტელი — ყოველ წუთში სადგურში რეკვა. მოსკოვიდან მომავალ ყველა მატარებელს ეხვდებოდით 2 დღის განმავლობაში, ვინაიდან, როგორც გვატყობინებდნენ, მატარებელი „85" საერთოდ თბილისში მოსკოვიდან არ ჩამოდიოდა. იგორი და თინა არც იმას გვწერდნენ, ვის უნდა დავხვედროდით.

სწორედ ეს მატარებელი დამატებითი ყოფილა და ძლივს მოვასწარით დახვედრა.

ჩვენი შეხვედრის აღწერა შეუძლებელია. ეს იყო სიხარულისა და სიყვარულის ზღვა.

დედამ ძლიერ გაიხარა. თინაც რამდენიმე საათში ჩამოფრინდა, მალე მზიაც ჩვენთან გაჩნდა. მოკლედ, ცოტა ხანში ყველანი ისევ სახლში შევგროვდით, უზომოდ გახარებულები და ბედნიერები.

მეორე დღიდანვე დაიწყო ლევანის ღელვა საყოფაცხოვრებო საკითხების მოსაგვარებლად (პასპორტი, ჩაწერა). ამჯერად ეს ყველაფერი ძალიან უმტკივნეულოდ და, ლევანის გასაკვირად, სწრაფად გაკეთდა.

ცოტა ხანში კი ლევანი შინსახკომში გამოიძახეს და სთხოვეს რეაბილიტაციის მისაღებად განცხადება დაეწერა. ლევანი გაჯავრდა და გაჯიუტდა, რად მჭირდება მე თქვენი რეაბილიტაცია, როდესაც სამშობლოს წინაშე დანაშაული არ მიმიძღვის, თუ კი ჩვენს ქვეყანაში სამშობლოს უანგარო სიყვარული და მისი კეთილდღეობისათვის ზრუნვა არ ითვლება დანაშაულადო. მე სხვა დანაშაული არ მიმიძღვის, ამ წყობის რწმენა კი არასდროს არ მექნებაო. ლევანს რეაბილიტაცია მაინც მიაღებინეს.

— ეს რა წყობაში ვცხოვრობთ, ვერ გამიგია, ბრაზმორეული ამბობდა ლევანი, — ჯერ დაგვხვრიტეს, მოგვკლეს, მოგვსპეს, დაგვაკნინეს და მერე გაგვამართლეს და რეაბილიტაციის ქაღალდს გვჩრიან. სწორედ დიდი შეღავათია! მსხვერპლს, იმდენ უდანაშაულო მსხვერპლს რაღას უზამენ, გააცოცხლებენ? განა ამათ ენდობა ვინმე?

ამრიგად, ჩვენს ოჯახს ტაბუ მოეხსნა. კალაპოტში ჩადგა, დალაგდა და დაწყნარდა.

ლევანის ჩამოსვლისთანავე გამოჩნდნენ ჩვენი ნათესავ-მეგობრები, კეთილის მსურველები.

ჩვენ უკვე ყოველ მომავალ დღეს დიდი იმედით შევცქეროდით, ახლა ვიწყებდით დაგვიანებული პირადი ცხოვრების მოგვარებას. ლევანი მიუჯდა თავის საწერ მაგიდას და ძველებურად განაგრძო წერა.

ლევანს გადატანილი მძიმე ცხოვრების გახსენება არ უყვარდა. ის გადასახლების ამბის მოყოლაშიც ძუნწი იყო. დადგება დრო და დაწვრილებით დავწერ ყველაფერს, ხშირად ამბობდა ის, ჯერ კი ამის დაწერა სრული სიმართლით არ შეიძლებაო. სამწუხაროდ, ეს მას არ დასცალდა. ესეც არის ყურადსაღები, რომ ის, რაც ლევანს გადახდა — სულიერი,

მორალური თუ ფიზიკური ტანჯვა-წვალება — წერილებიდან ამონაწერით არ განისაზღვრება, მაგრამ თუნდაც ის, რაც აქ ამოვიკითხეთ, ერთი ადამიანისათვის გადასატანად უზომოდ ბევრია და შემაძრწუნებელი.

მისი წერილებიდან ისიც ნათლად ჩანს, რომ ბედუკულმართი თავგადასავალი მარტო ლევანის თავს კი არ იყო, არამედ ჩრდილოეთის ბანაკების საშიშ, მძიმე, არაადამიანურ რეჟიმში მოხვედრილ მილიონობით პოლიტპატიმარს ერგო წილად.

აქვე გვინდა მოვიყვანოთ ლევანის ზოგიერთი ბოლოთქმაც:

„დიდი ძალა აქვს მეხსიერებას, როგორიც მე მაქვს, — ხშირად გვეტყოდა ხოლმე ლევანი ხუმრობით, — ერთი კალმის მოსმით სრული 22 წელი მხრებიდან ძველი ნაბადივით გადავიგდე. მაინც ამ მძიმე წლებს ჩემთვის არ ვთვლი დაკარგულად. ბევრმა ტანჯვამ და წვალებამ ჩემი კალამი უფრო გაამძაფრა, გაამახვილა, მით უფრო საიდუმლო და მალულად დაწერილ-შემონახულმა.

სათანადო ლიტერატურა და მასალა რომ მქონოდა ხელში, ჩემი იმდროინდელი ნაწერები უფრო დახვეწილი და სრულყოფილი იქნებოდა. მაგრამ აქაც სხვაგან ბუდობდა ამ ცუდის კარგი.

ჩემი შფოთიანი ცხოვრების მთელ გზაზე სითბოსთან და სიტკბოსთან შედარებით ბევრად ბევრჯერ უმოწყალოდ განმიცდია ცხოვრების დამსხვრევა, სევდა, გულჩათხრობილი მწუხარება, ულმობლობა, დარდი, უწყალობო, გულქვა, უსულგულო სისასტიკე და, როგორც ეე ვგრძნობ, კი არ გავფუჭდი და გავქვავდი, არამედ, პირიქით, უფრო მოწყალე, რბილი და მგრძნობიარე გავხდი ყველას მიმართ, განსაკუთრებით კი ვისაც სჭირდებოდა ცხოვრების ფასად გამხნევება, თანაგრძნობა და თანადგომა. დიახ! ამითაც ჩემი იქაური და აქაური ცხოვრებაც გამართლებულია.

მე სამშობლოში ცოცხალი რომ დავბრუნდი და იქ, იმ ჯოჯოხეთში სიცოცხლე შევინარჩუნე, შინაგანი გუმანით მოხდა. იქ მთელი ცხოვრების მანძილზე სამშობლოს სიყვარულით გამსჭვალული სავსე გული ხელში მაღლა ავიტაცე და სპეტაკად შემოვინახე. ამან კი მძლავრად დამაჭერინა კალამი ხელში. ლიტერატურამ, წერამ, მძიმე შრომამ და ჩემსა-

ვით დაჩაგრულთა უშრეტმა ძმობამ სიცოცხლე შემინარჩუ-
ნა. ამიტომ ცხოვრებასთან და შემოქმედებასთან ბარიბარში
ვარ.

ადამიანის მსოფლმხედველობა იმთავითვე თანდაყოლილ
თვისებად მესახებოდა, ეს მამხნევებდა. ჩემი ბობოქარი
ცხოვრება ციცინათელასა ჰგავდა, ხან გაბრწყინდებოდა ნა-
თელი სხივით, უფრო ხშირად კი სიბნელე, სიშავე მდევდა.
ამ პარადოქსებში ჩემში ყოველთვის ღვიოდა მომავლის კე-
თილი ნაპერწკალი, სიმართლის რწმენა.

სასწაული ცხოვრებაში ერთჯერ ხდება, მე კი ბევრზე
ბევრჯერ შემხვდა, მაგრამ უპირველესს და ძირითადს ორს
დავასახელებ: ჯერ ერთი, საქართველოში ცოცხალი რომ
დავბრუნდი და ყოველივეს გადავურჩი, მე თვითონაც მიკ-
ვირს. მეორე კი არის სასწაულად გადარჩენილი და საიდუმ-
ლოდ შემონახული ჩემი ნაწერები, 10 წლის განმავლობაში
მწერალთა კავშირის სარდაფებში უპატრონოდ რომ იდო და
დაბრუნებიდან მეორე დღესვე სახლში ისე წამოვიღე, არა-
ვინ იცოდა და არც არავის საერთოდ ამის შესახებ არაფერი
გაეგებოდა.

მე ასე ვფიქრობ, ცხოვრების სიმახინჯემ და სიყალბემ
გვერდი ამიარა. უსამართლობის ფსკერზე ჩემდაუნებურად
შევძელი ხასიათის სიმტკიცე, სულიერ და ჯანის სისპეტაკე
შეურყეველად ჩამომეტანა.

ვაჟკაცის გულმა, სამშობლოს და ერის სიყვარულით სავ-
სემ, გამარჯვების, მომავლის იმედით და მისი კეთილდღეო-
ბით მტკიცემ, ყველა სიძნელეს და სიმწარეს უნდა გაუძლოს.
ეს კი ერის სწორუპოვარი პირობაა.

ჩემი დანაშაულიც ისაა, რომ სამშობლოს სიკეთეს, მის
მაჯის ცემას, სულისა და ბრძოლისკვეთებას წარსულში, აწმ-
ყოში თუ მომავალში აღფრთოვანებით შევიგრძნობდი და შე-
ვისისხლხორცებდი, ხოლო ცუდს, ავს, გაყალბებულს, ნაძა-
ლადევს აღშფოთებით და შეუწყალებლად უარვყოფდი. არ
უნდა დავივიწყოთ, რომ ბუნებით კეთილ ქართველ ერში
ყოველთვის იბადება მაღალი ზნეობრივი მორალი, პასუხის-
მგებლობის გრძნობა და სიბრძნისა და სიკეთის თვალი.

ერი თავისი სამშობლოს კეთილდღეობისათვის აქტიური

მოქმედი და მოძრავი უნდა იყოს და არა გუბეში მჯდარი, ცივსისხლიანი და ირიბად მჭვრეტი“.

დაბოლოს, ჩვენი თქმა:

ლევანი ცხოვრებიდან ისე წავიდა, რომ მიუხედავად მისი მძიმე წარსულისა, აწმყოში დიდი შრომისმოყვარეობისა, მწერლობისა, საზოგადო მოღვაწეობისა და ყოველმხრივ სამშობლოს კეთილდღეობის სამსახურისა, არასდროს მთავრობას არ წაუხალისებია. ლევანი, თავის მხრივ, ძალიან გულგრილად უყურებდა ყოველგვარ პრემიას, წოდებას და სხვ. ჩვენ კი, ოჯახის წევრები, ხშირად ამით აღელვებულიც ვიყავით. ლევანი ყოველთვის ღიმილით იტყოდა, მე არავის წინაშე თავს არ დავიმცირებ, მე ეს სრულებითაც არ მჭირდებაო. ჩემი დამფასებელი და შემფასებელი ქართველი ხალხია. ვიცი, რომ მას ჩემი ყველაფერი ესმის და სწამს და სჯერა. სწორედ ეს არის მწერლისათვის ყველაზე დიდი ჯილდო. ახლო მომავალში დადგება დრო, როდესაც მეც და ჩემი შემოქმედებაც თავის ადგილს ვიპოვით განახლებულ საქართველოშიო.

აქვე ესეც გვინდა აღვნიშნოთ: ლევანი დღეს ცოცხალი რომ ყოფილიყო, საქართველოში ეროვნული მოძრაობით დიდად გაიხარებდა. ეს ხომ მისი ოცნება იყო — დამოუკიდებელი საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა! ამ ოცნებას შეეწირა მთელი მისი ახალგაზრდობაც.

სამშობლოს კეთილდღეობისათვის იღვწოდა ლევანი, სამშობლოს სიყვარულში და მისთვის გარჯაში ჩაიფერფლა მისი მძიმე ცხოვრება, მაგრამ მთელი სიცოცხლის მანძილზე საქართველოს ბედნიერი მომავლის ხიბლი თან სდევდა და ასულდგმულებდა მას. ამ მტკიცე რწმენით განუტევა მან მშფოთვარე სული.

ახლა გვჯერა, რომ ახლო მომავალში მისი ოცნება სინამდვილედ იქცევა. თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოში კი ლევან გოთუა სხვა მამულიშვილთა შორის მართლაც დაიმკვიდრებს ღირსეულ ადგილს.

ქართველები ვორკუტაში 1946—1955 წლებში

გვინდა გავიხსენოთ ქართველი პატიმრები, რომლებიც ლევან გოთუასთან ერთად იმყოფებოდნენ ვორკუტის ბანაკში, მასთან მეგობრობდნენ და ურთიერთდახმარებით ერთმანეთს მძიმე ყოფასა და გამწარებულ ცხოვრებას უმსუბუქებდნენ.

აქვე უნდა დავძინოთ, რომ ჩვენ მიერ წარმოდგენილი სია არ არის სრული, ვორკუტის ბანაკში გაცილებით მეტი ქართველი იყო, მაგრამ ჩვენ ყველას ვერ მივაკვლიეთ, რისთვისაც მათ და მათ ახლობლებს ბოდიშს ვუხდით. ვიმედოვნებთ, ამ ხარვეზის შესავსებად და მომავალში გასათვალისწინებლად ისინი მათ შესახებ მასალის გამოგზავნით დაგვეხმარებიან.

საესებით ნათელია, რომ ქართველთა პატარა სათვისტომომ (თუ შეიძლება იმ ჯოჯოხეთში რაიმეს ასე დაერქვას) სხვა ეროვნების ურიცხვ პატიმართან ერთად გადაიტანა ცხოვრების კი არა, უფრო სწორად, არსებობის მძიმე, სატანური წლები, მკაცრი რეჟიმის ჭირ-ვარამი, ტანჯვა-წვალება და ვაი-უბედურება, რის გამოც ბევრი პატიმრის სახელი უკვალოდ გაქრა. ეს სიმწარე განა მარტო პატიმრების ხვედრი იყო? არც მათი ახლობლები იყვნენ კარგ დღეში შიშის, მორალური თუ მატერიალური დაკნინების გამო.

ვორკუტის მსგავსი ბანაკი კი უამრავი იყო საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, მიმოფანტული ციმბირში თუ შორეულ ჩრდილოეთში. დიახ, ამ „ბედნიერ“ სახელმწიფოში მილიონობით უბედური ხალხი ცხოვრობდა და იტანჯებოდა.

წლების მანძილზე ციხეებში და გადასახლებაში მყოფნი განუყრელ ძმებად იქცნენ, სიცოცხლის ფასად დაიმკვიდრეს სულიერი, მორალური თუ მატერიალური ურთიერთგატანა.

სამშობლოს ერთგული და მოსიყვარულე, ეს საოცრად

გულღია ვაჟკაცები, განსწავლული, განათლებული, პატიოსანი, მშრომელი ხალხი ცხოვრების საუკეთესო, ახალგაზრდობის წლებში ფრთებმოჭრილი იყვნენ — ქართველები უსაქართველოდ. არადა, რამდენი სასიკეთო საქმის გაკეთება შეეძლოთ სამშობლოს მოღალატეებად გამოცხადებულ ამ საუკეთესო მამულიშვილებს. აი ისინიც:

სანდრო ჩიკოიძე — განათლებული, განსწავლული ახალგაზრდა, მშენებელი ინჟინერი. ომის ქარცეცხლში გამოვლილმა ტყვეობაც გადაიტანა. ომის დამთავრების შემდეგ კი სამშობლოში პატივით დაბრუნების ნაცვლად შორეულ ჩრდილოეთში უკრეს თავი. სად არ ატარეს ეტაპებით, რა წვალება არ გამოიარა. ბოლოს, 1951 წლის ოქტომბერში, ვორკუტის ბანაკში მოხვდა.

„ამ ბანაკს აიაჩ-იაგა ერქვა, — იგონებს სანდრო ჩიკოიძე, — იგი მდებარეობს მდინარე ვორკუტის ნაპირზე, სადაც უამრავი ქვანახშირის საბადოა. შენდება ქალაქი ვორკუტა და მის ტერიტორიაზე მრავლდება პატიმართა ბანაკები — უფამუშახელი.

ეს ბანაკები შედის ერთ დიდ გაერთიანებაში — „ვორკუტლაგში“, კონსპირაციის მიზნით მას „რეჟლაგი“ დაარქვეს, თითქოსდა „გეოგრაფიული“ დასახელება იყო, ისე კი „რეჟლაგია“ (სარეჟიმო ბანაკი). აქ ჩამოსვლისთანავე, როგორც მშენებელი ინჟინერი და ადმინისტრაციული თანამდებობის პირი, მცირედი, მაგრამ მნიშვნელოვანი პრივილეგიით ვსარგებლობდი: ბანაკის ტერიტორიაზე მისვლა-მოსვლა შეუზღუდავი მქონდა, ჩაცმულობა, თავშესაფარი და კვება — სხვებზე უკეთესი. ჩემდამი ბანაკის ადმინისტრაციის დამოკიდებულებიდან გამომდინარე, ცხადი იყო, რომ აქ, ვორკუტაში, იწყებოდა სერიოზული დიდი მშენებლობა და ჩემისთანა სპეციალისტებს აგროვებდნენ. რკინიგზა უკვე გაყვანილი იყო.

ბანაკებში, სადაც მე მანამდე მოძიხდა ყოფნა, ძალიან იშვიათად ვხვდებოდი ქართველებს, თანაც არა უმეტეს ერთი-ორისა ერთდროულად. ვორკუტაში კი ქართველების მთელი „კოლონია“ დამხვდა — ექვსი კაცის შემადგენლობით, რომლებიც მჭიდრო მეგობრობით გამოირჩეოდნენ. ესენი იყვნენ მწერალი ლევან გოთუა, თბილისის უნივერსიტეტის

თანამშრომელი, ფილოსოფოსი ზურაბ მიქელაძე, ახალგაზრდა ბიჭები: კოლია მღებრიშვილი, გრიშა აბდალაძე, ბორის შენგელია და თედო გოგრიჭიანი.

ლევან გოთუა მე-16 მაღაროში მუშაობდა.

ზურაბ მიქელაძე ჩემი იქ ჩასვლის დროს უკვე ამთავრებდა მისჯილ ვადას და მუდმივად თავისუფალ გადასახლებაში გადადიოდა ქ. ვორკუტაში, ის შემდეგაც განაგრძობდა მუშაობას ცემენტის ქარხნის ლაბორატორიაში. პირველ ხანებში რაღაცნაირად ახერხებდა ჩვენს ბანაკში შემოსვლას ლევან გოთუასთან შესახვედრად, მაგრამ ეს მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა, მისი „ვიზიტები" მალე შეწყდა.

კოლია მღებრიშვილი და გრიშა აბდალაძე ბანაკის სანიტარულ ნაწილში მუშაობდნენ ექთნებად.

ბორის შენგელია მშენებელთა ბრიგადირი იყო და ჩემი მისვლისთანავე გადმოიყვანეს ჩემთან სამუშაოდ.

ვანო შევარდნაძე ბანაკის პურის ცარიგებლის გამგედ მუშაობდა. ბანაკში ეს თანამდებობა საკმად პასუხსაგები იყო — მას პურთან ჰქონდა საქმე, ეს კი აქ ოქროს ფასად ღირდა, სიცოცხლეს ნიშნავდა.

ცხადია, მეც პირველივე დღიდან შევუერთდი ამ ქართველებს, როგორც მისი უკვე მეშვიდე წევრი და მუდამ ვღებულობდი აქტიურ მონაწილეობას მათ ცხოვრებაში.

მალე გავერკვიე ჩვენი სათვისტოპოს შინაგან სტრუქტურაში. ჩვენ ერთმანეთისაგან ძალიან განვსხვავდებოდით ასაკით, ხასიათით და კულტურული დონითაც, მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, ერთი პატარა სამშობლოს შვილები ვიყავით და ეს გარემოება საერთო ოჯახის წევრებად გვხდიდა.

დიდი დრო არ იყო საჭირო იმის დასანახავად, რომ ამ ბანაკში მყოფ ქართველებს ერთპიროვნული „პატრიარქი" და ზნეობრივი კანონმდებელი გეყავდა ლევან გოთუას სახით.

გარეგნულად იგი ძალიან კოლორიტული ფიგურა იყო: მსხვილი აღნაგობა ჰქონდა, შესაბამისი სიმაღლეც და სხეულიც. უკვე ჭაღარაშერეულს ამშვენებდა აწეწილი ხუჭუჭა თმა და დაბურული წარბები, საიდანაც იცქირებოდნენ კეთილი და ამასთან ერთად ოდნავ მოღიმარი თვალები. მის გარეგნობაში იყო რაღაც აინშტაინისეული და, ამასთან, ეანსაკუთრებით ახლობელი.

იმისდა მიუხედავად, რომ ლევანის მუშაობას არაფერი საერთო არ ჰქონდა მშენებლობასთან, ის ცხოვრობდა მშენებლების ერთ-ერთ ბარაკში, რომელშიაც თავმოყრილი იყვნენ ათისთავები, ბრიგადირები, სახელოსნოების უფროსები და სხვები. მას გამოყოფილი ჰქონდა ბარაკის ბოლო კუთხეში დაბლა ადგილი (ეს დიდი პრივილეგია იყო!). მის პირდაპირ ბორის შენგელია იწვა. ლევანის სანაირავად აქვე მოდიოდნენ ბანაკში მცხოვრები ქართველები. ასე რომ, ბარაკის ეს კუთხე ქართველების თავისებურ „კლუბად" იქცა. მეც სწორედ ამ ბარაკში ყოველ საღამოს პატიმრებთან ვანაწილებდი მომდევნო დღის სამუშაოს და ყოველთვის ეხვდებოდი ლევანსაც.

ლევანი ელექტროქვესადგურში მუშაობდა მონტიორად. ეს კი მას შესაძლებლობას აძლევდა პატიმრობაშიაც არ შეეწყვიტა შემოქმედებითი მუშაობა.

ქვესადგური იკეტებოდა, რის გამოც ზედამხედველების მოულოდნელი შემოსვლა გამორიცხული იყო, ხოლო თუ ვინმე ღააკაკუნებდა, ლევანი მაშინვე გადამალავდა ხელნაწერებს ტრანსფორმატორების სექციებში, ზედ პლაკატებს ჩამოაფარებდა, რომლებზეც გადაჯვარედინებული ძვლები და თავის ქალა იყო გამოხატული. ასე იცავდა პლაკატი „სასიკვდილოა" ხელნაწერებს არასასურველი თვალისაგან.

ლევანი ასაკით ჩვენ შორის ყველაზე უფროსი იყო, მაგრამ მის გავლენას ჩვენზე მარტო უფროსობა არ განაპირობებდა. ამ გავლენას საფუძვლად ედო მთელი მისი სულიერი ბუნება, ხაზგასმული ადამიანურობა, სირბილე და ტაქტი, მორალური სისპეტაკე, მუდმივი მზადყოფნა, რომ ყველას დახმარებოდა.

ჩვენთვის, ქართველებისათვის, იგი თავისებური მიზიდულობის ცენტრი იყო. მე ვერ ვიტყვი, რომ ჩვენ ყველა ყოველდღე ვხვდებოდით ერთმანეთს. ბანაკი დიდი იყო, მასში რამდენიმე ათასი პატიმარი ცხოვრობდა და ყველა მძიმედ იყო დატვირთული. ლევან გოთუას კი ყოველი ჩვენგანი ყოველდღე ნახულობდა. უნდა ითქვას, რომ ლევან გოთუას გავლენის „ველი" ქართველების სათვისტომოს ფარგლებს სცილდებოდა და ერცელდებოდა ყველაზე, ვინც მას იცნობდა, ეროვნების მიუხედავად.

მისი სულიერი გამომეტყველება იმდენად მკაფიოდ იყო გამოხატული, რომ ამას ყველა იგრძნობდა და ეს, ცხადია, ყველას იზიდავდა. მახსოვს, როგორ დაახასიათა ლევანი ერთმა არაქართველმა კატორღელმა: „ეს ის ადამიანია, ვისაც სინდისი ცრემლზე უფრო სუფთა აქვს". ძალიან ძნელი იყო ასეთი დახასიათების დამსახურება იმ არაადამიანურ პირობებში, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებოდით.

მახსოვს, ერთხელ ლევანმა მთხოვა ერთი კაცის სამუშაოზე მოწყობა. ეს კაცი კი საკმაოდ ცნობილი იყო მთელ ბანაკში, როგორც „დამკაკუნებელი" (ჯაშუში). ლევანმა თავისი თხოვნა ამით დამისაბუთა: ეს კაცი დამპირდა, რომ მეტს აღარ ვიზამო... ჯაშუშის დაპირება? მაგრამ რა გაეწყობოდა. რაკი ლევანმა მთხოვა, მოვაწყვე. მაროლაც, არავითარი უსიამოვნება ჩვენთვის მას აღარ მოუყენებია!

ლევანს ანგარიშს უწევდა ბანაკის ადმინისტრაციაც და მაღაროთა სამმართველოს ხელმძღვანელობაც.

იყო შემთხვევები, როცა ლევანს მიუმართავს მათთვის, მისი თვალსაზრისით დაუმსახურებლად დასჯილი (საჯარიმო იზოლიატორში ჩასმული) კატორღელის სასჯელისგან განთავისუფლების თაობაზე და მის მიმართვას, უმეტეს შემთხვევაში, ანგარიში ეწეოდა.

ამის ახსნა შეიძლება მარტო იმით, რომ ბანაკის ადმინისტრაციისათვისაც და მაღაროთა მმართველობისათვისაც ე. წ. ოპერატიული სამსახურისაგან ცნობილი იყო ლევანის დიდი ავტორიტეტი და გავლენა პატიმრებს შორის. მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ მათ იცოდნენ, ლევანი უსაფუძვლოდ არაფერს მოითხოვდა.

ლევანს ყველა ქართველთან თანაბარი ურთიერთობა ჰქონდა, მაგრამ იყო გამონაკლისიც — ზურაბ მიქელაძე!

ასაკობრივად საკმაოდ დიდი განსხვავების მიუხედავად, ისინი ძალიან ახლოს იყვნენ ერთმანეთთან, როგორც ჩანს. ბევრი „შეხების წერტილი" ჰქონდათ. ალბათ ამას ხელს უწყობდა ის, რომ ორივე ჰუმანიტარი იყო — ერთი მწერალი, ისტორიული რომანების ავტორი, მეორე კი — ფილოსოფოსი.

სამშობლოდან ესოდენ შორს გადახვეწილებს, უუფლებობის პირობებში სასოწარკვეთილებას რომ არ ავყოლოდით და

რაღაცნაირად სულიერი სიმხნევე შეგვენარჩუნებია, იუმორი გვეხმარებოდა.

მახსენდება ერთი „კანონი“, დაწესებული ლევანის მიერ, რომელიც ვრცელდებოდა ჩვენი ქართული „სათვისტომოს“ წევრებზე.

ამ „კანონის“ თანახმად, ჩვენ გვქონდა უფლება როგორც ქართულად, ასევე რუსულად (ერთმანეთშიც) ლაპარაკისა, მაგრამ ამავე დროს სასტიკად იყო აკრძალული ქართულად ლაპარაკის დროს ე. წ. „ჩაპარუსკება“ — ცალკეული რუსული სიტყვების ხმარება.

ყველაფერი ეს ვითომ ხუმრობა იყო, მაგრამ ამავე დროს საკმაოდ სერიოზულ მიზანსაც ემსახურებოდა — ეს იყო უცხო გარემოში ქართული მეტყველების სიწმინდის დაცვა, ქართული ენის უცხო სიტყვებით დანაგვიანების აღკვეთა.

„სასჯელი“ გამოიხატებოდა ჩვენი კლასიკური ლიტერატურის შედევრიდან — „ვეფხისტყაოსნიდან“ ან ერთი სტროფის, ან მისი მთელი ნაწილის ზეპირად სწავლაში, რაც, უპირველეს ყოვლისა, სუფთა ქართული მეტყველების ჩვევების განმტკიცებას ემსახურებოდა.

დასაზეპირებელი ტექსტის სირთულე და მოცულობა „დანაშაულის სიმძიმეს“ შეესატყვისებოდა.

ამასთან დაკავშირებით მინდა, გავიხსენო ერთი ასეთი ეპიზოდი: გრიშა აბდალაძემ სახლში, ქუთაისში გასაგზავნი წერილის კონვერტზე რუსულად დაწერილი რესპუბლიკის და ქალაქის დასახელების შემდეგ ქართულად მიაწერა „სტალინის ულიცა“.

წერილი ვიღაცამ დაინახა და უმალვე ლევანთან შეიტანა „განცხადება“. წერილის ავტორს იქვე გამოუტანეს სათანადო განაჩენი: „ვეფხისტყაოსნიდან“ ნებისმიერი ერთი სტროფის ზეპირად შესწავლა. ამის შემდეგ არ გასულა ბევრი დრო და ჩემთან ლაპარაკში კოლია მღებრიშვილს წამოსცდა „გოროდში ვიყავიო“. ცხადია, ისიც „გაასამართლეს“ და მასაც „მიეზღო“ სათანადო სასჯელი — „ვეფხისტყაოსნიდან“ ნებისმიერი ერთი სტროფის ზეპირად შესწავლა.

ამ სიტუაციით ისარგებლა „ულიცას“ ავტორმა და მან ლევანთან შემოიტანა განცხადება „სასჯელის“ შემცირების თხოვნით, რასაც ასე ასაბუთებდა: „რა არის ჩემი ერთი

„ულიცა“ მღებრიშვილის მთელ „გოროდთან“ შედარებით, სასჯელი კი ერთნაირი მივიღეთ!“

თითქოს წვრილმანია, მაგრამ იქ, სადაც ჩვენ ვიყავით, ამ ერთი შეხედვით წვრილმანებს ჩვენთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ასეთი „წვრილმანებით“, რომელთა უმეტესი ნაწილის ავტორი და ინიციატორი ლევან გოთუა იყო, ვცდილობდით რამდენადმე შეგვემსუბუქებინა იმიერპოლარეთის კატორღაში ყოფნის ფიზიკური და მორალური სიმძიმე და შეგვენარჩუნებინა ქართული ენის სიწმინდე.

დროგამოშვებით ყველა ჩვენგანი ღებულობდა ამანათს საქართველოდან, მათ შორის, რა თქმა უნდა, ლევანიც. მაგრამ, ყველასგან განსხვავებით, ლევანი თავის ამანათს ყველას უნაწილებდა.

ალბათ ზედმეტია იმის თქმა, რომ, თავის მხრივ, ბანაკიდან ქართული „კოლონიის“ ყოველი წევრიც ამანათის მიღებისას ლევანს არ ივიწყებდა. ამ შემთხვევაშიც ყურადღების ფაქტს მეტი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე იმ მცირედს, რითაც უმასპინძლდებოდნენ ერთმანეთს.

ასე ავად და ძალით შელამაზებულად გადიოდა ჩვენი პატიმრული დღეები.

მკვეთრად შეიცვალა ჩვენი ცხოვრება 1953 წლის გაზაფხულზე — სტალინის სიკვდილის მერე და განსაკუთრებით ბერიას დაპატიმრების და დახვრეტის შემდეგ.

ბანაკებში მდგომარეობა დაიძაბა. ხალხი აფორიაქდა. ძალიან ბევრმა იფიქრა, რომ ამ ორი ადამიანის პოლიტიკური სარბიელიდან გაქრობის შემდეგ ბანაკების კარები უმალვე გაიღებოდა. ყველა რაღაც მოუთმენლობამ შეიპყრო.

სინამდვილეში კი არც პირველ ხანებში და არც მომდევნო თითქმის 4 თვის განმავლობაში ჩვენს ცხოვრებაში არავითარი ცვლილება არ მომხდარა და, ცხადია, ვერც მოხდებოდა. მთელ ქვეყანაზე მოდებულ „გულაგის არქიპელაგის“ უზარმაზარი სისტემის შესახებ რაღაც გადაწყვეტილების მიღებას და მით უფრო ამ გადაწყვეტილების განხორციელებას დრო სჭირდებოდა. ამას კი ძალიან ბევრი ვერ ხედავდა. ჩქარა განთავისუფლების იმედის გაცრუება აღიზიანებდა უდანაშაულო პატიმრებს. ჩვენთან მოდიოდა ხმები, რომ ზოგ (განსაკუთრებით ციმბირის) ბანაკში გამწვავდა ერთაშორისი

მდგომარეობაც — თავი იჩინა რუსულმა შოვინიზმმა, განსაკუთრებით კი ქართველი ერის წარმომადგენლების სიძულვილმა. არ შეიძლება არ აღვნიშნო, რომ ჩვენს ბანაკში მყოფი ქართველების მიმართ ასეთი ტენდენციების გამოვლინება არ ყოფილა. ჯერ ერთი, ყველანი მეგობრული ურთიერთობით ვიყავით დაკავშირებული ძალიან ბევრ კატორღელთან და ყველას გარკვეული ავტორიტეტი გვქონდა.

ბანაკის საერთო მდგომარეობა კი დღითი დღე რთულდებოდა. განსაკუთრებით დაიძაბა იგი ივლისის შუა რიცხვებში, როცა ჩვენს ბანაკამდე მოაღწია ამბავმა, რომ ვორკუტის ზოგ მაღაროში დაიწყო პატიმართა გაფიცვები.

საკმარისი იყო პატარა ბიძგიც, რომ ჩვენთანაც იგივე მომხდარიყო და მოხდა კიდეც — 24 ივლისს გაფიცვა დაიწყო ჩვენს სამსავე მაღაროში. გაფიცვას ჩემი მშენებლებიც შეუერთდნენ.

იმისდა მიუხედავად, რომ ნათლად ეხედავდი ამ გაფიცვის სრულ უაზრობას და უდროობასაც, მე შეუძლებლად ჩავთვალე ამ ვითარებაში ჩემი თითქმის ათასკაციანი კოლექტივისაგან გამიჯვნა. ეს, რაღაცნაირ ღალატად მეჩვენებოდა. თუმცა იმასაც ვხედავდი, თუ რა შედეგები მოჰყვებოდა ამას პირადად ჩემთვის. ჩემი პროგნოზი ჭოლიანად გამართლდა. ივლისის ბოლოს გაფიცვა სისხლში ჩაახშვეს. სიკვდილს სასწაულად გადავურჩი, მაგრამ საგამომძიებლო იზოლიატორში ჩამსვეს გაფიცვის ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობის ბრალდებით (?!).

გაფიცვის დაწყებიდან დაპატიმრებამდე მე ვცდილობდი რაც შეიძლებოდა მეტი დრო ვყოფილიყავი ჩემი მუშა-მოსამსახურეების თვალწინ, რომ დაენახათ ჩემი მათთან თანადგომა. იქ იყვნენ ქართველებიც, მათ შორის ლევანიც, რომელიც ძლიერი აღტყინებით ხელმძღვანელობდა ამ გაფიცვას.

ლევანი და მე თავიდანვე განწირულები ვიყავით, ხოლო ის შეხვედრები, რომლებიც ჩვენ გვქონდა გაფიცვის დაწყებიდან, ბანაკში ჩვენი ბოლო შეხვედრები გამოდგა. ორი თვის შემდეგ მე გამათავისუფლეს. ლევანი რომ მოვიკითხე, საჯარიმო ბანაკში აღმოჩნდა გადაყვანილი.

20 აგვისტოს კვლავ დამაპატიმრეს. უბრალო ადმინისტ-

რაციული დადგენილებით ერთი წლიო დახურულ ციხეში გამგზავნეს.

ამის შემდეგ ვორკუტაში აღარ დავბრუნებულვარ.

მერე ლევანს უკვე თბილისში შევხვდი. ეს იყო 1955 წლის 21 ოქტომბერს, პატიმრობიდან ჩემი დაბრუნების მეორე დღესვე. ვერც კი ვიტყვი საიდან გაიგო მან ჩემი დაბრუნების ამბავი და მაშინვე მოვიდა ჩემთან. მოვიდა მარტო სანახავად კი არა — ჩემთვის მატერიალური დახმარების გასაწევადაც.

ცოტა მოგვიანებით მანვე შემიწყო ხელი პატიმრობიდან დაბრუნების შემდეგ ჩემ სამუშაოზე მოწყობის გაცილებით უფრო რთულ და მნიშვნელოვან საქმეშიც"...

ზურაბ მიქელაძე. ზურაბის ბავშვობა, ყრმობა და პიროვნული ჩამოყალიბება მძიმე ცხოვრებისეულ პირობებში მიმდინარეობდა.

ზურაბის მამამ, უაღრესად განათლებულმა და განსწავლულმა, დიდებულმა მამულიშვილმა, პატრიოტმა კაცმა საფრანგეთში, სორბონის უნივერსიტეტში მიიღო უმაღლესი იურიდიული განათლება. შემდეგ საქართველოში მოღვაწეობდა. 1924 წელს მეტეხის ციხეში დახვრიტეს, როგორც პოლიტიკური მოღვაწე და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის უშუალოდ მებრძოლი.

დედა, ოლღა ჭეიშვილი, სათნო და ამასთანავე ძლიერი, მამაცი ქალი (პეტერბურგის ბესტუჟევის კურსების დამთავრების შემდეგ სახელმწიფო გამოცდებიც კი ჩააბარა ფილოლოგია-ისტორიაში), თბილისში პედაგოგად მოღვაწეობდა.

ზურაბმა ჯერ თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი დაამთავრა, შემდეგ ასპირანტურა ფილოსოფიის განხრით, 1945 წელს სამეცნიერო ხარისხიც მოიპოვა და ცოტა ხანში დოცენტადაც აირჩიეს.

1946 წლის 7 იანვარს ზურაბი დააპატიმრეს როგორც ერთ-ერთი პოლიტიკური ჯგუფის წევრი, არსებული წყობის მოწინააღმდეგე და დამოუკიდებელი საქართველოს აღდგენის მაძიებელი.

საქართველოში და, კერძოდ, უნივერსიტეტში, იმჯერად

ბევრი დააპატიმრეს ზურაბთან ერთად, მათ შორის ბიძინა ფოჩხუა, მირიან აბულაძე, ანტონ წულუკიძე და სხვები.

ამ პერიოდში საქართველოში ბევრი პოლიტიკური ჯგუფი არსებობდა არალეგალურად და ურთიერთდამოუკიდებლად. ბევრმა მათგანმა მარტო პატიმრობაში და გადასახლებაში გაიცნო ერთმანეთი. ზურაბს შეხვდა ექიმი დავით კვიტაიშვილი.

ზურაბ მიქელაძე, რომელსაც მისჯილი ჰქონდა გრძელი ვადა, ეტაპებით ბევრი ატარეს და ჩრდილო ურალში დაამკვიდრეს, ურალის ერთ-ერთ დასახლება „სოსვასთან" ახლოს. ეს მეცნიერი კაცი რად არ ამუშავეს აქ. 1949-50 წლებში სამდინარო სანაოსნო კაპიტანიც კი გახდა — მდინარე სოსვაზე, ლოზვაზე, ტავდაზე და ლალაზე ბარჟით მიჰქონდა ტვირთი აქეთ-იქით.

მუშაობის ამ პერიოდში პატიმართა შორის მცირედი უპირატესობით სარგებლობდა — უზედამხედველო მიმოსელის უფლება ჰქონდა.

ბანაკში სჭირდებოდათ განათლებული ხალხი სხვადასხვა სამუშაოს შესასრულებლად. ამიტომ ხშირად ზურაბს ინჟინრადაც ამუშავებდნენ.

ურალის ბანაკებში კი, როგორც საერთოდ ყველგან, მძიმე ფიზიკური შრომა და არაადამიანური პირობები იყო' გამეფებული: ამ ბანაკებში თავმოყრილი იყო ათასობით სხვადასხვა ერისა და ასაკის ვაჟკაცი (20-დან 60 წლამდე), რომლებიც კი არ ცხოვრობდნენ, არამედ იბრძოდნენ არსებობისათვის.

ამ ზღვა ხალხში ქართველებიც იყვნენ: ილია ბოჭორიშვილი, რომან ბლიაძე და (1938 წლიდან) დათაშა კავსაძე. ისინი მძიმე პატიმრულ პირობებში მუშაობდნენ ხე-ტყის ჭრასა და დამუშავებაზე.

1951 წელს სრულიად მოულოდნელად ზურაბი, ილია ბოჭორიშვილი და რომან ბლიაძე ეტაპით შორეულ ჩრდილოეთში, ვორკუტის მძიმე რეჟიმის ბანაკში გადაიყვანეს. „რეჟლაგ"-2 სინამდვილეში სარეჟიმო ბანაკი იყო.

ზურაბი აქ შეხვდა ლევან გოთუას და სხვა ქართველებს.

„— ლევანს, ამ გულღია და საოცარ ადამიანს, მანამდეც ვიცნობდი, — გვითხრა ზურაბმა, — მოჰყონდა მისი ნაწერები, განსაკუთრებით დრამატურგია. მის ღანახვას იქ, ამ მძიმე

დღეში არ მოველოდი. ჩვენ მაშინვე დავმეგობრდით. საერთო ენა უცბად ვიპოვეთ. მიუხედავად ასაკობრივი დიდი სხვაობისა, ჩვენ სამუდამოდ დავმეგობრდით. ხშირად ვკამათობდით, ვბაასობდით, დიდი აღფრთოვანებით ვუზიარებდით ერთმანეთს მომავალ ზრახვებსა თუ იდეებს, მაგრამ რეალური მიზნების განსახორციელებლად ფრთები ძირში წაჭრილი გვქონდა და მარტო ჩაჭედილი ოცნება გვრჩებოდა. ჩვენ ვსაუბრობდით ლიტერატურულ საკითხებზე, საქართველოს მწერლობაზე წარსულსა თუ აწმყოში, სხვადასხვა ფილოსოფიურ, ისტორიულ და სოციალურ საკითხზე, საქართველოს ბედ-იღბალზე და მის დამოუკიდებლობაზე, არსებულ არასწორ პოლიტიკაზე და ვინ მოთვლის კიდევ რაზე"...

ვორკუტაში ზურაბთან ხშირად ჩადიოდა დედამისი, ეს უკეთილშობილესი, ვაჟკაცი ქალი, ოთარაანთ ქვრივს რომ ჰგავდა და სიკეთე და იმედი რომ ჩაჰქონდა.

მას ყველა ქართველი უაღრესად დიდ პატივს სცემდა, განსაკუთრებით კი ლევანი.

ზურაბის დედას საიდუმლოდ და დიდი სიფრთხილით ბევრჯერ საქართველოში ჩამოუტანია ლევანის ნაწერები.

ქალბატონი ოლია ჩვენი ოჯახის ხშირი სტუმარი გახდა, ყველას დაგვიმეგობრდა და ბევრი იქაური საჭირბოროტო საკითხის გადაწყვეტაში რჩევა-დარიგებით გვეხმარებოდა.

ზურაბი ცოცხალი მოწმეა იმ საშინელი ტანჯვა-წამებისა, რაც ვორკუტის ბანაკებში ტრიალებდა, თვითმხილველია უმძიმესი, არაადამიანური ცხოვრების პირობებისა, სულიერი, მორალური თუ ფიზიკური დაკნინებისა, აჯანყებისა, სისხლისღვრისა და უსაზღვროდ დიდი მსხვერპლისა. იმ წლებს ზურაბი, ისევე როგორც ლევანი, მეტად ძუნწად იხსენებს. ალბათ, ესეც თავისებური ხასიათის სიმტკიცეა.

ლევანისა და ზურაბის მეგობრობა ბანაკური ცხოვრების შემდეგ კიდევ უფრო განმტკიცდა. ლევანი რომ გაათავისუფლეს, ზურაბი ჯერ კიდევ რჩებოდა და მუშაობდა ვორკუტაში. ლევანმა მას თბილისიდან წერილი მისწერა:

„ძმაო ზურაბ! ცოტა შემაგვიანდა წერილი. აქ ხალხმა ისეთ გაწამაწიაში ჩამაგდო, რომ წუთი ჩემოვის არა მქონდა. მართალი გითხრა, ასეთ რამეს მაინც არ მოველოდი.

მოკლედ რომ ვთქვათ, ჩემს პირად საქმეს კეთილი პირი

უჩანს. პასპორტისა და ჩაწერის საქმეც უმტკივნეულოდ გვარ-
დება. ამ დღეებში მოთავდება კიდეც. ნაწერებისა და პიესე-
ბის ამბები ხომ ისე სწრაფად ვითარდება, რომ ველარ ვასწ-
რებ თავის მობმას. რა თქმა უნდა, კურიოზებიც ბლომად არის.

მაინც „სამსახეობის" ამბებმა ბევრი მაცინა. სამდვილი
„ბერიკაობა" გამოსულა. სვერდლოვსკშიც კი გაუგზავნიათ
კაცი. ვიღაც სუნდუკოვიც უპოვიათ და იგი და მისი ქალი-
შვილი კინაღამ გადაურევიათ. დეტალებს სხვა დროს მოგიყ-
ვები.

სამშობლო ისევ კეკლუცი და გარუმეორებელი დამხვდა.
სიცხე პირველ დღეებში გამიჭირდა. ახლა კი მეც მივეჩვიე
და ბუნებამაც შეღავათი მომცა. არც თუ ისე ცხელა... ქა-
ლაქში ჯერ ხეირიანად არც გავსულვარ. დასასვენებლად ხომ
ჯერ არ დავძრულვარ და არა. ცოტა ძიმოვითავებ პირველ-
ყოვლისა საქმეებს. ცხოვრების რიტმი, რაღა თქმა უნდა, ამე-
რია, ჯერ ფორმა ვერ მიპოვია! ამდენი მზე, ალერსი, ხილი და
სითბო ვის არ დაახვევს თავბრუს! ...ქვენც ყველაზ გელიან
აქეთ. ჰოო! როგორ გელიან! და უკვე იმდენად გელიან... ჩემს
შემდეგ ჩამოვიდა ვაწაძეც... და ზოგი სხვანიც.

გუშინ ვნახე დედაშენი. აქ ჩვენთან მოვიდა მოულოდნე-
ლად. მე ჯერ არ ველოდი. ალბათ თავადაც მოგწერს. მეც
გწერ მოკლედ. იყო მოსკოვის პროკურატურაში, მაგრამ არა
ხოხლოვთან. კვლავ მოკლე განცხადება დაურთო ძველს, დაჰ-
პირდნენ საქმის მალე გადაწყვეტას, ჩანს, ასეც იქნება.

გზიდან და საქართველოს მიჯნიდან ღია ბარათები გამო-
გიგზავნეთ. აქ რომ ჩამოვედი კი — ფულიც, ათასი მანეთი.

კაცო, გაგონილა ასე ყველა ჯიბის ფულით ამოვსება?
მანდ თავს იძულება მივაყენე, და ხალხსაც ვერ ვაწყენინე,
მაგრამ ფულს ხელი ვერ ვახლე დასახარჯად. ასევე ცალკე
შეკარი და ფოსტას ჩავაბარე უკან გამოსაგზავნად.

თუ ძმა ხარ, ბოდიში მომხადე მანდ. და უფრო საჭირო —
უმჯობესი გამოყენებაც მოუხერხე ამ ფულს. მე კი აქ ამ
მხრივ კარგზე კარგი პერსპექტივები მიჩანს.

მეგობრებს ყველას გულითადი მოკითხვა გადაეცი. თა-
მარის ამბავი ჯერ არ ვიცი. დედაშენმა მითხრა მალე ჩამო-
ვაო. მაშინ მოვინახულებ. ქ-ნი საშა ამცდა. მე, რომ მივე-

დი — იგი წამოსული აღმოჩნდა მანდეთ. სულ ერთ-ორ დღეში შევცილდით ერთმანეთს...

ვნახე რომანის სიძე (წერილი დავტოვე და ჩემთან მოვიდა). შესანიშნავი შთაბეჭდილება დამრჩა. ბევრიც ეისაუბრეთ. დამპირდა პროკურატურაში მისვლას, საქმის დაჩქარება-გამორკვევას ახალი პერსპექტივების გათვალისწინებით.

აკაკი მეფარიშვილს უთხარით, რომ მისი მისამართი არც ერთ ვარიანტში არ აღმოჩნდა სწორი, ახლა სამისამართო მაგიდაში გავაგზავნე კაცი. საერთოდ ხალხი ჯერ აგარაკებზეა.

წიგნების დუქნებში ჯერ არ შევსულვარ. მეშინია, იმდენი წიგნი მაქვს შესაძენი — მერმე შეგირჩევ რასმე საინტერესოს.

აქეთ ახალი და თავისებური დისკუსიის გამომწვევი მერჩულე — გახლავს. ზოგ ვინმეს (სომხებს, აფხაზებს) საშინლად არ მოეწონათ და ათასგვარი, ვგონებ ჯერჯერობით უშედეგო, ქვეშქვეშა იერიშები მოუტანეს იქაც და მოსკოვშიაც...

ვასოსა და ქ-ნ თინას გადაეცი, რომ ჯერ სანდრო აქ არ არის, ახლა კი მალე ვნახავ.

პატივც. ალექსანდრე მაღლაკელიძე როგორ არის? როგორ არის თარგმანისა და სხვა საქმეები? სალამი აგრეთვე დავით-მცირეს, გაჩავას.

ვალიკო კი ახლა მოგვიწყენს, თამარი რომ წამოვიდა. გულითადი მოკითხვა სათითაოდ ყველას — გიორგის, ცუგრის და სხვათა. საერთოდ ყველას.

ომანს — ცალკე ვწერ... ცალკე მივწერ დავით-დიდსაც (კვიტაიშვილს)...

ზურაბ! ბოდიში ასეთი დაბნეული და ოკრო-ბოკრო წერილისათვის. სხვა დროს უფრო დალაგებით მოგწერ. ახლად მიხდება არა მარტო ფეხის ადგმა, არამედ ხელის მოსმაც, ჰოდა ცოტა შელავათი მომეცით!!!

ვანუშა როგორ არის? მაშ გაათავისუფლეს?

აბა, მომწერე ხოლმე.

შენმა ნაცნობებმა მოგიკითხეს, კარგად მოგიგონეს.

დაწვრილებით შემდგომ.

27.VIII.55 წ.

ლ. გოთუა

გავიგე, რომ მესამე მაღაროში ქართველები და სხვანიც გადაუგზავნიათ. სად არიან ჩემი მეგობრები?

ლ. გოთუა“.

ნიკო მღებრიშვილი — მეჯვრისხეველი, კეთილი, ნიჭიერი, სულ ახალგაზრდა კაცი. სკოლის დამთავრების შემდეგ მოხალისედ წავიდა ჯარში სავალდებულო სამსახურის მოსახდელად (წლოვანებით პატარა იყო). ადრე სამედიცინო ინსტიტუტში აპირებდა შესვლას.

საუბედუროდ, ფინეთის საზღვარზე ომმა მოუსწრო. ბევრი ქარცეცხლი გადაიტანა. სიკვდილსაც პირისპირ შეხვდა. მდინარეში გაცურვის დროს მძიმედ დაიჭრა. გონს რომ მოვიდა, ტყვედ აღმოჩნდა. გერმანული ენის ცოდნამ შემთხვევით სიცოცხლე შეუნარჩუნა.

ბევრი წვალება და ტანჯვა გადაიტანა პოლონეთისა და მერე გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკებში. ამხანაგებთან ერთად სიცოცხლის ფასად უშველა თავს — გაქცევა მოახერხა ჯერ საფრანგეთში, მერე კი ინგლისში აღმოჩნდა. იქ შეხვდა შალვა ბალარჯიშვილს. ისინი დამეგობრდნენ დიდი ღელვით და სიხარულით შეხვდნენ ომის დამთავრებას. მოახერხეს სამშობლოში დაბრუნება. აქ კი უშალ ორივე დააპატიმრეს, როგორც ტყვეობაში ნამყოფები და 15 წლით შორეულ ჩრდილოეთში უკრეს თავი. ეტაპებით სად არ ატარეს და საბოლოოდ ვორკუტის ბანაკი არგუნეს.

ტყვეობაში ყოფნის დროს იმდენი ტანჯვა და წვალება არ შემხვედრია, რამდენიც ვორკუტაშიო, — ხშირად იწერებოდა ნიკო. — განწირულნი და ხელაღებულნი ერთად ვართ ჩაყრილი და მომავალში ვისი მსხვერპლი გავხდებით, არ ვიცით.

თავდაპირველად ნიკო ღრმა მაღაროში მუშაობდა. შემდეგ კი, ვინაიდან საექიმო საქმე აინტერესებდა, ექიმებისა და იქაური მაღაროს ადმინისტრაციის ნდობა დაიმსახურა, მათი (უპირატესად ექიმ დავით კვიტაიშვილის) დახმარებით შეისწავლა საფერშლო საქმე და შემდგომში ამ საპასუხისმგებლო მოვალეობას მთელი გადასახლების პერიოდში პირნათლად ასრულებდა.

ლევანი ვორკუტაში რომ ჩაიყვანეს, მძიმე ავადმყოფი და დაუძლურებული იყო, საავადმყოფოში მოხვდა. ნიკო მღებ-

რიშვილი მაშინ უკვე იქ მუშაობდა. რა თქმა უნდა, ლევანს ძალიან უპატრონა და დაეხმარა. აქედან დაიწყო მათი მეგობრობა, ლევანი ნიკოს თავის უმცროს ძმად თვლიდა.

ლევანი ხშირად წერილებს თბილისში ნიკოს დის — მედიკო მაისურაძის სახელზე გზავნიდა. ეს სათნო, ლამაზი, სრულიად ახალგაზრდა გოგონა აცრემლებული თვალებით მაშინვე ჩვენთან გაჩნდებოდა და ურთიერთს ვუზიარებდით ჩვენს განცდებს, ფიქრებს, ოცნებებს. ნიკოს შესანიშნავი მშობლები და დები ჩვენი ახლობლები გახდნენ.

ნიკო თავის წერილებში ყოველთვის იწერებოდა ლევანის შესახებ. იგი აღფრთოვანებული იყო ლევანთან მეგობრობით, მისი მზრუნველობით და დახმარებით, აქტიურ როლს თამაშობდა ლევანის ნაწერების გამოგზავნაშიც.

ნამდვილი ვაჟკაცი და კეთილშობილი ქართველი იყო. ის მარტო ლევანს კი არა, ყველას ეხმარებოდა, ვისაც ჯანმრთელობის მხრივ გასაჭირი ჰქონდა. გადასახლებაში მან ვაჟკაცურად გაუძლო იქ არსებულ ტირანიას და თავისი ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე დარჩა გულმართალი, პატიოსანი მშრომელი და ნამდვილი მამულიშვილი. რა გულსატკენია, რომ უგუნური შემთხვევის გამო დაიღუპა უკვე საუკეთესო ექიმის სარბიელზე.

დავით კვიტაიშვილი — ვორკუტაში დიდ დავითად ცნობილი. ეს უაღრესად კეთილშობილი, პატიოსანი და საყვარელი ექიმი კაცი პოლიტიკური ბრალდებით 1942 წელს დააპატიმრეს. 10 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. 7 წლის განმავლობაში დავითი ექიმად თბილისის კოლონიაში მუშაობდა, სადაც პატიმრებსა და ადმინისტრაციას შორის დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

პოლიტპატიმართა ახლობლები დიდი იმედებს ამყარებდნენ 1949 წელს სტალინის დაბადებიდან 70 წელთან დაკავშირებით გამოსულ ამნისტიაზე. მოელოდნენ, რომ ამნისტია შეეხებოდა არა მარტო ქურდებს, არამედ პოლიტპატიმრებსაც. ყოველ შემთხვევაში, მათი განთავისუფლება თუ არა, რაიმე შეღავათები მაინც გამოცხადდებოდა. ეს კი ჭორი აღმოჩნდა და ყველაფერი პირიქით მოხდა — რეჟიმი უფრო გამკაცრდა, ახალმა კანონმა პოლიტპატიმრები სამშობლოდან გააძევა და შორეულ ბანაკებში გადაასახლა.

დავით კვიტაიშვილი, პროფესორი გიორგი ვაწაძე და მსახიობი გრიგოლ კოსტავა ერთად მოხვდნენ გადასახლებაში. დავითი ვორკუტაში აღმოჩნდა.

საბედნიეროდ, დავითმა ბანაკში ექიმად დაიწყო მუშაობა, რითაც აცდა იქაურ მორალურ დაკნინებას თუ ფიზიკურ სატანჯველს, მაღაროში მძიმე, აუტანელ შრომას და ცხოვრების არაადამიანურ პირობებს.

ვორკუტაში დავითმა ყველა ქართველი გაიცნო, მათ შორის ლევანიც და დაუმეგობრდა და შეეთვისა მათ. ბუნებით ამ კეთილმა კაცმა მალე დაიწყო შეძლებისდაგვარად პატიმართა დახმარება, განსაკუთრებული ზრუნვა გამოიჩინა სუსტი, გასაცოდავებული პატიმრებისა და ავადმყოფების მიმართ. მან პატიმართა შორის შეარჩია გულიანი ახალგაზრდები, შეასწავლა საფერშლო საქმე (მათ შორის ნიკო მღებრიშვილიც იყო) და ამით გააძლიერა ავადმყოფთა დახმარება. ლევანისა და სხვა ქართველებისათვის დახმარება კი მის ყოველდღიურ საქმეს წარმოადგენდა.

ვადის დამთავრების შემდეგ დავით კვიტაიშვილი მუდმივ საცხოვრებლად ქალაქ ვორკუტაში თავისუფალ გადასახლებაში დატოვეს. აქ იგი დიდხანს დარჩა. როგორც ექიმს, ყველა იცნობდა და ენდობოდა, დავითი შეღავათებითაც სარგებლობდა, თავისუფალი მიმოსვლის ნება ჰქონდა ბანაკსა და ქალაქს შორის. ამიტომ პატიმრებს, განსაკუთრებით კი ლევანს დიდ დახმარებას უწევდა. დავითსა და ლევანს შორის მტკიცე მეგობრობა დამკვიდრდა.

შინ მონაწერ წერილებში დავითი ხშირად განსაკუთრებული სითბოთი იხსენებდა ლევანს, აქებდა და ადიდებდა მას, განუმეორებელ პიროვნებად სახავდა. ამიტომ მისი ცოლ-შვილი და განსაკუთრებით მისი უფროსი ვაჟიშვილი, ემზარი, შორიდანაც კარგად იცნობდნენ ლევანს და მის მიმართ დიდი სიყვარულით იყვნენ განმსჭვალული.

ვორკუტაში დავითთან ხშირად ჩადიოდა მეუღლე, მაშინ მათთან ბინაზე დგებოდა ეგრეთ წოდებული „საქართველოს დღეები“ — იკრიბებოდნენ ქართველები, იმართებოდა შეხვედრები, იწყებოდა წარსულის გახსენება, ახალი ამბების მოყოლა, ცრემლიანი სიხარული და სინანული. დავითის მე-

ულლემ რამდენჯერმე ჩუმად ლევანის ნაწერების თბილისში ჩამოტანაც გაბედა.

ლევანისა და დავით კვიტაიშვილის ურთიერთმეგობრობა და ძმობა კიდევ უფრო განმტკიცდა ორივეს სამშობლოში დაბრუნების შემდეგ. „ჩრდილოეთის ქართველები" ხშირად იკრიბებოდნენ და ლევანი ყოველთვის ამბობდა მშობელ ქვეყანას მოწყვეტილი და ყინულეთში ჩარჩენილი დაღუპული მოძმეების სადღეგრძელოს.

ლევანმა „გმირთა ვარამის" პირველი წიგნიც დავითთან მიიტანა შემდეგი წარწერით: „დავით კვიტაიშვილს, ჩემს მეგობარს, ქვეყნის მრავალ მხარეში ნაცადს და ნატანჯს, ავტორისაგან".

ემზარი მამის გადმოცემით იცნობდა ლევანს, გადასახლების ბევრი ამბავი ჰქონდა მას მონაყოლი, მაო შორის ლეგენდა და სინამდვილე ლევანის შეუპოვრობაზე, მის დაუმორჩილებლობაზე თავისუფლების აღკვეთის დროსაც. თურმე ერთხელ ჩრდილოეთისაკენ ეტაპით ჰვზავრობის დროს ლევანს სძლია თავისუფლების გრძნობამ, გაქცევა დააპირა, როგორღაც გაერიდა კიდეც მცველებს, ბრეზენტის ბუშლატაში გაეხვია და დიდი სიჩქარით მიმავალი მატარებლიდან თოვლში გადახტა. საუბედუროდ, ლევანი შეიპყრეს, მაგრად სცემეს და ბორკილები დაადეს. მერე ყველას უკვირდა ლევანის გადარჩენა, მისი გამძლეობა, ამტანობა და გამბედაობა.

თბილისში დაბრუნების შემდეგ დავით კვიტაიშვილთან მეგობრობდნენ არა მარტო ქართველები, არამედ სხვა ერის შვილებიც. „ჩვენთან ოჯახში, — იგონებს ემზარი, — ხშირად ჩამოდიოდა მამაჩემის ხარკოველი მეგობარი მედიკოს-პროფესორი პერეკრესტოვი (მისი ქალიშვილი თბილისში ქართველზე იყო გათხოვილი), რომელსაც ბატონი ლევანიც ხვდებოდა ხოლმე. ლევანი ხშირად ეხუმრებოდა: „იცით, იგორ, თქვენ ბუნებით, სიფიცხით, ხასიათით და გარეგნობით უკრაინელი კი არა, პირწავარდნილი ქართველი ხართ. ამიტომ უნდა მოგნათლოთ და გაგაქართველოთ, მაშინ პერეკრესტოვის მაგივრად ჯვარისშვილი იქნებით". იგორი იღიმებოდა და თავს უქნევდა. აბა ქართველობაზე უარის თქმა როგორ შეიძლებაო.

ლევანი დავითზე ადრე წამოვიდა საქართველოში. გზიდან წერილი მისწერა:

ძმაო დავით!

„1955 წელი, აგვისტო

შევდგი ფეხი ვაზებისა და ციტრუსების ქვეყანაში. კენჭიც ავიღე სამახსოვროდ. ირგვლივ ყველაფერი ზღაპარსა ჰგავს და შეც მივიზღაპრები ამ მზის, მთისა და ზღვის შეუდარებელ ნარევში.

მოსკოვამდე საბავშვო ვაგონში ვიჯექი და ჩემს თავს გულივერს ვადარებდი. მოსკოვს იქით კი რბილი საწოლი ვირჩიე. ტანზე რომ ჩავიცვი, ჩემი თავისადმი პატივისცემით აღვივსე და სულ „თქვენობით“ ვესაუბრებოდი. ასე მივატანე კავკასიას. მერმე კი დავთარი ამერია და ყველაფერს ტუნდრისა და მავთულის თვალით ვხედავდი. მოკლედ, დომხალი გამოვიდა! აბა, იყავით კარგად. გულითადი მოკითხვა ყველას, ყველას.

თქვენი ლ ე ვ ა ნ ი“.

ვანო შევარდნაძე—ომში იყო გაწვეული. უფროსი ლეიტენანტიც გახდა. ქალაქ ტაგანროგთან ტყვედ ჩავარდა და გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკში იმყოფებოდა. ომის დამთავრების შემდეგ პეტროზავოდსკში მოხვდა. ვერ მოასწრო თავისი საყვარელი სამშობლოსთვის თვალის შევლება, გურიაში, სოფელ ასკანაში დაბრუნდა — როგორც ტყვედ ნამყოფს, გრძელი ვადით შორეულ ჩრდილოეთში უკრეს თავი. ბევრი წვალება და წამება გამოიარა სხვადასხვა ბანაკში ყოფნით, საბოლოოდ კი ვორკუტაში აღმოჩნდა.

ეს უაღრესად კეთილი, ენამახვილი და საოცარი მეხსიერების მქონე კაცი ჯერ მაღაროში ფიზიკურ სამუშაოზე მოხვდა, შემდეგ კი პურისა და სურსათის საწყობს განაგებდა, რაც ვორკუტის იმ ჯოჯოხეთურ პირობებში ძალიან დიდი თანამდებობა იყო, რადგან საკვები სიცოცხლის შენარჩუნებას მოასწავებდა.

ბუნებით კეთილი, გულღია ადამიანი ბანაკის პატიმრებსა თუ ადმინისტრაციას შორის საკმაო ავტორიტეტით და სიყვარულით სარგებლობდა, რითაც ყველას დახმარებას ახერხებდა. უსაზღვროდ უყვარდა ლევანი. ლევანი უსამართლოდ

თვლიდა ყოფილი ტყვეებისა და მათ შორის ვანოს დასჯას. ის ხშირად იტყოდა ხოლმე: თავისუფლების აღკვეთა თავისთავად მძიმე სასჯელია, თუ გინდ დამსახურებულად. დაუმსახურებლად კი ეს ნამდვილი ჯოჯოხეთია. ამასთან ერთად გადასახლება ხომ ორმაგი დასჯაა — სულიერი და ფიზიკური. დიდი ვაჟკაცი უნდა იყო, რომ მორალურად არ დაეცე და ფსიქიკა არ შეგეცვალოს. ჩვენი ვანუშა ყველაზე ყოჩაღი კაცი გამოდგა. მას იუმორიც კი შემორჩაო.

ვინ იცის, რამდენჯერ მიუწოდებია ვანოს ლევანისათვის გადამალული პურის ნატეხი და საჭმელი. ვანოს კარგად ახსოვდა, როგორ მიიყვანეს ლევანი ვორკუტაში — მაგრად ნაცემი და გასაცოდავებული, ძლივს რომ დადიოდა და მაშინვე საავადმყოფოში მოათავსეს.

ვანო შევარდნაძის სიკეთის მადლი ყველას სწვდებოდა. იგი გაფიცვების მონაწილეც იყო, სისხლისღვრისას კი მხოლოდ შემთხვევით გადარჩა.

ვანოს მეგობრობა ლევანთან განთავისუფლების შემდეგაც გაგრძელდა. ის ლევანის ხშირი, კეთილი და საყვარელი სტუმარი იყო.

ბენო ხაუალია—ომში ყოფნის დროს ტყვეობაში მოხვდა, ტყვეობიდან განთავისუფლების შემდეგ კი დააპატიმრეს და გადაასახლეს. ამ საკვირველი ბედის კაცმა ბევრი წვალება და ვაი-უბედურება გაიარა: სამჯერ დახვრეტასთან პირისპირ იდგა, მაგრამ გადარჩა.

გერმანიაში ტყვეობაში ყოფნის დროს ებრაელად მიიჩნიეს და დასახვრეტად წარადგინეს სხვა ებრაელებთან ერთად. ბევრი უმტკიცა, ეჩხუბა, ედავა, ემუდარა დაეჯერებინათ, რომ ქართველი იყო, მაგრამ ყური არავინ დაუგდო. მერე ვილაცა ღვთისნიერიც გამოჩნდა და იხსნა ბენო დახვრეტისაგან.

ბენო გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკიდან გაიქცა და იტალიის პარტიზანებს შეუერთდა. ომი თითქმის დამთავრებული იყო, როცა პარტიზანებმა იგი ჯაშუშად შეიცნეს და ისევ მისი დახვრეტის საკითხი დადგა. აქაც იყოჩაღა ბენომ, ძლივს დაუმტკიცა, რომ ჯაშუში არასდროს ყოფილა და არც იქნება. ომის დამთავრების შემდეგ ძლივს წამოვიდა სამშობლოში. 1946 წელს დააპატიმრეს, არც გაუსამართლებიათ. „სა-

მეულმა“ მას, როგორც ტყვედ ნამყოფს და ჯაშუშს, ისევ დახვრეტა მიუსაჯა. ბევრი ვაივაგლახის შემდეგ ისევ იხსნა ღმერთმა დახვრეტისაგან. ბენო ამჯერად გრძელი ვადით ჩრდილოეთში გადაასახლეს.

თავდაპირველად კიროვის ოლქში მუშაობდა, ტყეში, ყოველმხრივი იზოლაციით, როგორც სოციალურად საშიში პიროვნება. „იქ, — იგონებს ბენო, იმ მძიმე, არაადამიანურ პირობებში ბევრი პატიმარი და მათ შორის ბევრი ქართველიც ჩაკვდა“.

1953 წელს ბენო ვორკუტის ბანაკში გაამწესეს, მეორე მაღაროს თბოელექტროსადგურში. ყველაზე მძიმე დღედ ბენო 1953 წლის გაფიცვის დღეს იგონებს. ახლაც საშინელი განცდით იხსენებს იმ სისხლიან ჟლეტას. ისიც მაშინ მათ შორის იყო და სამჯერ სიკვდილს გადარჩენილი, ფიქრობდა ამჯერად გათავდა სიცოცხლეო, უკვე ეანანებოდა თავისი თავი, მით უფრო, როდესაც ხელისუფლებაში მოსალოდნელი იყო დიდი ცვლილებები. ისევ რაღაც სასწაულად გადარჩა. როგორც იქნა, შეუსრულდა დიდი ხნის გულის ნატვრა — გაათავისუფლეს. ლევანთან ბოლომდე მტკიცე მეგობრობა აკავშირებდა, მისი სჯეროდა, უყვარდა და დიდად აფასებდა.

ვალიკო ხუჭუა — სრულიად ახალგაზრდა, საოცრად ხუმარა, სიცოცხლით სავსე კეთილი კაცი. მომადლებული მსახიობური ნიჭი და სასიამოვნო ხმა ჰქონდა. თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი იყო. ომის დროს დააპატიმრეს, როგორც ერთ-ერთი წევრი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ჯგუფისა და დახვრეტა მიუსაჯეს. შემდეგ სასჯელი შეუცვალეს და გრძელი ვადით გადაასახლეს. ომის შემდეგ ვორკუტის სარეჟიმო ბანაკში დაამკვიდრეს.

ვადის დამთავრების შემდეგ ვალიკო საქართველოში აღარ გამოუშვეს და მუდმივ საცხოვრებლად ქალაქ ვორკუტაში გაამწესეს სამუშაოდ. ვორკუტაში სასადილოს გამგედ მოეწყო. ვალიკოს დედამისმა — ოლინკამ და მეუღლემ — თამარმა ჩამოაკითხეს. პატიმრები მოიხიბლნენ ორივე ქართველი ქალის დიდბუნებოვნებით, ისინი შეიყვარეს და დაუმეგობრდნენ. მათ ოჯახში ქართველების კიდევ ერთი თავშეყრის ად-

გილი დამკვიდრდა. ბოლო პერიოდში მათთან ლევანმაც მოუხშირა სიარულს. აქ მას ბევრჯერ წაუკითხავს თავისი ნაწარმოებებიც.

ვალიკო ხუჭუა კარგი სამეგობრო კაცი იყო, ყველას ეხმარებოდა და პატივს სცემდა. ისიც ყველას უყვარდა. ლევანისა და ვალიკოს მეგობრობა სამშობლოში ჩამოსვლის შემდეგაც გაგრძელდა.

შოთა შავგულიძე—1949 წელს ჩაიყვანეს ეორკუტის ბანაკში, როგორც პოლიტიკური პატიმარი, იქ დაჰყო 1956 წლის 6 ოქტომბრამდე. მაშინ ლევანი მე-16 მაღაროში მუშაობდა, შოთა კი მე-3 მაღაროში აღმოჩნდა, მაგრამ ზოგჯერ მაინც ახერხებდნენ ერთმანეთის ნახვას.

აი, რას იგონებს იგი:

„ბატონი ლევანი ქართველებისაგან მოითხოვდა ქართულად საუბარს, რუსული სიტყვების ჩაურთავად ანდა მარტო რუსულად ლაპარაკს. როგორც კი შერეულ ლაპარაკს გაიგონებდა, შესძახებდა და შეუნაცვლებდა სიტყვებს „სტოლი“ — „მაგიდაო“, „პოლი“ არა, კაცო, „იატაკიო“. ერთხელ პატიმრები აბანოში მივდიოდით, ვალიკო გაბუნიამ წამოიძახა: უკან უნდა დაებრუნდე, „პროსტინა და პალატელნცა“ დამრჩაო. „ჩემო ვალიკო, — ჩვეული ღიმილით მიმართა ლევანმა, — ბარაკში შენ „პროსტინა“ და „პალატელნცა“ კი არ დაგრჩა, ქართული დაგრჩენიაო. აბა, შენ იცი, გაიქეცი, „პალატელნცა“ და „პროსტინა“ იქ დატოვე, ქართული წამოიღე და ზეწარი და პირსახოციც გამოაყოლე“.

ლევანი ქართველებს ზოგჯერ თავის თავგადასავალს გვიყვებოდა. ერთხელ ასეთი ამბავი გვიამბო: „თქვენ იცით, მე ბევრს ვმოგზაურობდი და ვემალებოდი ჯაშუშების დევნას. ჩემი სახლი ჩემი სამშობლოს მთა-ბარი იყო. კაკო ყაჩაღი არ ვყოფილვარ, თორემ სადაც მიღამდებოდა, იქ მითენდებოდა ხოლმე. ერთ-ერთი მწვერვალის დაპყრობის შემდეგ მთის ძირში დავბინაკდით, ცეცხლის დასანთებად ასანთი არ გამოგვადგა (დასველებული აღმოჩნდა). მე სოფლის მაღაზიას მივაშურე, გამყიდველ ქალს მივესალმე, ასანთი მომეცით-მეთქი ვთხოვე. რა გნებავთო, ბატონოო? — ასანთი მინდა-მეთქი, გავუმეორე. ვერ გაიგო, მიყურებს. ვხედავ ასანთი თაროზე

აწყვია, მივხვდი რაშიც იყო საქმე: — სპიჩკა მომეცი, ქალო, სპიჩკა-მეთქი, — ცოტა გულმოსულმა ვუთხარი. ასე მითხარით, ბატონო, მე რუსული არ ვიცი, დარცხვენით მითხრა მან.

— ძმაო, ლევან, — ეხუმრა დავით კვიტაიშვილი, კიდევ კარგი, წუმწუმა არ გითქვამს, თორემ სულ დაბურდავდი იმ საწყალ გამყიდველსო".

ბატონ ლევანთან საუბარი გვავიწყებდა ჩვენს არაადამიანურ ყოფას. ერთი ასეთი დიალოგიც მქონდა მასთან: რა განსხვავებაა, ჩემო ლევან, ჩემს ცხოვრებასა და საქართველოში ამჟამად თავისუფალ ცხოვრებას შორის? ღამით მე 6 საათი მეძინა, ასევე სძინავს იქ ყველას. 9 საათი მაღაროში ვიმუშავე, ასე მუშაობს თავისუფალი ადამიანიც, საათნახევარი საუზმე, სადილი და ვახშამი, საათნახევარი — მომავალზე ფიქრი, 3 საათი შენთან საუბარი, ასეთ შანაარსიან საუბარს ალბათ ყველა თავისუფალი ქართველი ინატრებს სულ 21 საათი, პატიმრობაში ვატარებთ მხოლოდ 3 საათს (არ გამოვაჩინე დილა-საღამოს შემოწმება, სიცივე, შიმშილი, ფიზიკური თუ მორალური ტანჯვა. პატიმრის პიროვნების აბუჩად აგდება და მრავალი სხვა).

— ბიჭო, — შემომძახა ლევანმა — ეს აზრები ჩემს გარდა სხვამ არავინ გაგიგოს, თორემ გაგიჟდაო იფიქრებენ. მართალი ხარ, ლევ ტოლსტოის მოხუცებულობის ჟამს სიკვდილის ეშინოდა და რომ მშვიდად წასულიყო ამ ქვეყნიდან, საკუთარი რელიგია შექმნა. შენ კი საკუთარი ფილოსოფიის შექმნას აპირებ ალბათ, რომ ამ ხანგრძლივ ჯოჯოხეთს უმტკივნეულოდ დააღწიო თავიო.

ლევანი ურთიერთობაში ყველასთან თანაბარი იყო. ყველა ჩვენთაგანის პიროვნების უაღრესად პატივისმცემელი. შეხვედრისას ჯერ მეგობრებს მოიკითხავდა, შემდეგ გამამხნევებელ სიტყვას გვეტყოდა. ტკბილი მოსაუბრე იყო, ყოველთვის ყურადღებით გვისმენდა, ჰყოფნიდა მოთმინება, სანამ ჩვენ სიტყვას მოვაბრუნებდით. ლევანს მომავლის პროგნოზი მუდამ ოპტიმისტური ჰქონდა. ხშირად ქართველი ბიჭები თუ შევიკრიბებოდით, ვიწყებდით სხვადასხვა საკითხზე მსჯელობას და ზოგჯერ დავასაც. ერთხელ ვკამათობდით, საზოგადოებას თუ სხვა პოლიტიკური პარტია წარუძღვება, შესაძლებელია თუ

არა მაინც კომუნისტური პარტიის გამარჯვებაო? ლევანი ამ პაექრობაში არ მონაწილეობდა, მხოლოდ გვისმენდა.

აზრი ორად გაიყო, კამათი გაცხარდა. ლევანს ვთხოვეთ ჩარეულიყო კამათში და გამოეთქვა თავისი აზრი. ლევანმა მოკლედ მოგვიჭრა: კომუნიზმი მოძღვრება არ არის, არც მეცნიერებაა და არც პოლიტიკა. ის ავადმყოფობაა და ეპიდემია. ამიტომ მასზე საუბარი არცა ღირსო. კამათიც იმწუთშივე შეწყდა.

ბანაკში ქართველების საუბრის ლაიტმოტივი ყოველთვის საქართველოს ბედ-იღბალი იყო. ლევანი ყოველთვის გვაიმედებდა და გვეუბნებოდა: ხიშტით ყოველთვის შეიძლება გაიმარჯვო, მაგრამ ხიშტით მუდამ ვერ იბატონებ. საბჭოთა კავშირი ისტორიაში დარჩება როგორც გაუმართლებელი ექსპერიმენტი. ამ წყობას დამწიფების მიჯნაზე სიდამპლე შეეპარა და ადვილად მოისპობა. შესაძლებელია არც გარედან და არც შიგნიდან სისხლისმღვრელი ძალების გამოყენება არ დაგჭირდეს, თვითონ ტოტალიტარულმა რეჟიმმა დაამხოს საკუთარი თავი. გახსოვდეთ და დაიმახსოვრეთ, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვება უფრო ადვილი საქმე იქნება, ვიდრე საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებაო. ამის მიზეზად ლევანი ასახელებდა შემდეგს: კომუნისტური რეჟიმის 40 წლის ბატონობამ ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილი დააავადა. მათ კომუნისტური წყობის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოუდგენიათ. აი, სწორედ ისინი აბუნტდებიან. საბოლოო გამარჯვება გარდაუვალია, მაგრამ დრო დასჭირდება!

საშინელი იყო, — იგონებს შოთა შავგულიძე, — ჩვენს კატორღაში შრომის კვებით ანაზღაურების საკითხი: არსებობდა თანამიმდევრობით „შვიდი ქვაბი". ის, ვინც სამუშაოს გეგმით ვერ შეასრულებდა, საკვებს I და II ქვაბიდან მიიღებდა, ეს კი იქნებოდა წყალწყალა, უცხიმო თევზის წვენი და 100 გრამი პური. III—IV ქვაბში წვენს ემატებოდა უცხიმო ბურღულის ფაფა და 150 გრამამდე იზრდებორა პურის წონა. V—VI და VII ქვაბში კი საკვებს ყველა სურსათი 50 გრამის რაოდენობით ემატებოდა. სამუშაო გეგმა ისეთი გაზრდილი იყო, რომ ვერავინ ვერ ასრულებდა. მით უფრო დაუძლურებული პატიმრები. ამის გამო იქ ქრონიკული შიმშილი მძვინვარებდა.

მე, ისევე როგორც ლევანი, მე-7 მაღაროს მაღალი ძაბვის ელექტროსადგურში ვმუშაობდი. ერთხელ ლევანმა თავისი კონსპირაციული ნაწარმოების „გმირთა ვარამის“ ერთი ნაწილი შესანახად თავისი ლიტველი მეგობრის ხელით საიდუმლოდ, დიდი შიშითა და კრძალვით გამომიგზავნა. წარმოუდგენელ მძიმე პირობებში უხდებოდა ლევანს ლიტერატურული მოღვაწეობა. ეს დიდი ამბავი იყო იმ პირობებში. ის ყოველმხრივ არალეგალური და გასაიდუმლოებული იყო. ამას ზღაპრად და ლეგენდად თუ მოიგონებს კაცი.

წიგნის არსებობა ბანაკში აკრძალული იყო და გამოვლინების შემთხვევაში დამნაშავე ისჯებოდა. ერთხელ ზედმიწევნით საიდუმლოდ დოსტოევსკის წიგნი „დანაშაული და სასჯელი“ ჩამივარდა ხელში და მე და ლევანი ერთად ვათვალიერებდით. წიგნს მონატრებულებმა, ალბათ, სათანადო სიფრთხილე ვერ გამოვიჩინეთ, საუბარში ისე გავერთეთ, რომ თავზე ზედამხედველი წამოგვადგა. წიგნი წაგვართვა, გადაათვალიერა და შეგვეკითხა ვისია ეს წიგნიო. დოსტოევსკის-მეთქი, ვუპასუხე. მან გახსნა საქაღალდე, ჯერ ჩემი გვარი ჩაიწერა, შემდეგ კი ისევ შემეკითხა — ეს წიგნი ვისიაო. დოსტოევსკისა-მეთქი, გავუმეორე. მისი სახელი და მამის სახელი მითხარიო. არ ვიცი-მეთქი (მართლა არ ვიცოდი). მაშინ ლევანი დამეხმარა. ზედამხედველმა ჩაიწერა დოსტოევსკის სახელიც და მამის სახელიც. სად ცხოვრობსო, რომელ ბანაკშიო, — შეგვეკითხა. მერე გაბრაზებულმა დაგვიყვირა: იქნებ არც ის იცით, სად ცხოვრობს დოსტოევსკიო.

— ცოცხალი მწერლები მოილიეთ და ახლა გარდაცვლილები გინდათ საფლავიდან ამოთხაროთ და ციხეში ჩასვათ? — ქართულად შეუტია ლევანმა.

— ჩტო? — ვერ გაიგო ჯალათმა.

— ჩტო და...

კიდევ უნდოდა ლევანს ეთქვა რაღაც, ალბაო გინება, რომელიც ჩვენ არასდროს არ გაგვიგონია მისგან, მაგრამ შეწყვიტა სიტყვა.

ზედამხედველი მე დამემუქრა. ლევანი კი წიგნიანად წაიყვანა. ხუთი დღე-ღამის კარცერში ჯდომად დამიჯდა დოსტოევსკი. არც ლევანს დადგომია კარგი დღე.

რამდენიმე ხნის შემდეგ დავით კვიტაიშვილის ხელით ლე-

ვანს მიეწერე: „ჩემო ლევან, გავიგე დოსტოევსკის შენთვისაც დიდი პატივი უცია, არც ეე დაძწყვიტა გული“. მერე რამდენჯერაც ვიგონებდით იმ ხისთავა ზედამხედველს, იმდენჯერ გულიანად ვიცინოდით.

გავიდა დრო. როცა თბილისში ლევანს მივაკითხე, მასთან სერგო ზაქარიაძე იყო სტუმრად. საუბრის დროს რატომღაც მე და ლევანმა ერთმანეთს გადავხედეთ და გუმანით ალბათ ორივეს ერთდროულად დოსტოევსკის ამბავი გაგვახსენდა და წაგვსკდა შეუჩერებელი სიცილი. მერე ყველაფერი მოვუყევით სერგოს და ისიც ბევრი ვაცინეთ“.

სამშობლოში ყველაზე გვიან ვორკუტიდან შოთა შავგულიძე წამოვიდა. ამას თავისი გარკვეული მიზეზი ჰქონდა.

როდესაც ბანაკში წიგნები აკრძალული იყო, ლევანმა შეძლო ერთადერთი ქართული წიგნის შემონახვა. ეს წიგნი იმით არის საყურადღებო, რომ მასზე ლევანის ხელნაწერია, დასმული აქვს მრგვალი ბეჭედი „რეკლაგ“. წარწერით „შემოწმებულია“ (რასაკვირველია, რუსულად), აქვეა ხელის მოწერა და თარიღი.

ლევანი რომ ბანაკიდან გამოვიდა, ეს სამუზეუმო წიგნი ზურაბ მიქელაძეს გადასცა. ზურაბმა განთავისუფლების შემდეგ კი შოთას დაუტოვა წარწერით: „მემკვიდრეობით ვორკუტელ ძმას შოთა შავგულიძეს“.

ლევანმა თბილისიდან ვორკუტაში შოთას გაუგზავნა „გიორგი მერჩულე“ და წააწერა: „შოთა შავგულიძეს, საქართველოს წარსულისა და მომავლის დიდ მოტრფიალეს, ნიშნად პატივისცემისა, ლევან გოთუა. 1955 წ“. ლევანისა და შოთა შავგულიძის მეგობრობა მთელი სიცოცხლე გაგრძელდა.

ვალერიან ჭუმბურიძე — ტყვედ ნამყოფი. ეს სათნო და ჭკვიანი კაცი ვადის დამთავრების შემდეგ მუდმივად დატოვეს ქალაქ ვორკუტაში, მისი ცოლიც იქ გადასახლდა. ვალერიანი სპეციალობით მშენებელი ინჟინერი იყო და მაღაროში უსაფრთხოების ტექნიკას განაგებდა. ის ქალაქის ფოსტასთანაც იყო დაკავშირებული. ვალიკო ყველგან ავტორიტეტს და ნდობას იმსახურებდა. ამიტომ საშუალება ჰქონდა ყველა ქართველ პატიმარს დახმარებოდა. ამას იგი აკეთებდა დიდი სიფრთხილით, არალეგალურად. განსაკუთრებით მეგობრობ-

და ლევანთან, ძალიან ეხმარებოდა მას. თითქმის ყოველთვის მონაწილეობდა ბანაკიდან ლევანის ნაწერების საიდუმლოდ გამოტანასა და შენახვაში. ვალიკო ჭუმბურიძესთან ჩვენც ვიყავით დაკავშირებული. ის ხშირად ლევანის შესახებ ცნობებსაც გვაცნობებდა და მის სახელზე ჩვენც რამდენჯერ გაგვიგზავნია ლევანისათვის ამანათი, ფული თუ წერილი. სპეციალობის მიხედვით მარტო მას ჰქონდა ყველგან შესვლისა და შემოწმების ნებაროვა, მარტო მან იცოდა ღრმა მაღაროში მაღალი ძაბვის რომელი ძრავის ქვეშ ინახებოდა ლევანის ნაწერები. გაფიცვის დღეებში შეძლო ამ ნაწერების გამოტანა და გადამალვა.

ვალიკო ჭუმბურიძისა და ლევანის მეგობრობა ასევე მტკიცედ დარჩა მათი განთავისუფლებისა და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ.

შალვა ბალარჯიშვილი — უაღრესად ნიჭიერი, ახალგაზრდა ხელოვანი კაცი, სამხატვრო აკადემიის სტუდენტი. 1942 წელს ფრონტზე მოხვდა, მძიმე ბრძოლების დროს ტყვედ ჩავარდა.

ამასთან დაკავშირებით კი მძიმე დღეები გამოიარა. ტყვეობას გაქცევით სასწაულად დააღწია თავი და ინგლისში აღმოჩნდა. სხვა ქართველებთან ერთად იქ ნიკო მღებრიშვილს შეხვდა და ძალიან უპატრონა. ომის დამთავრების შემდეგ გადაწყვიტეს სამშობლოში დაბრუნება, მაგრამ საქართველოში ცოლ-შვილთან ვერ მოასწრო დაბრუნება, გზაშივე დააპატიმრეს და 15 წლით შორეულ ჩრდილოეთში გადაასახლეს. ჯერ ციმბირის სხვადასხვა ბანაკი მოატარეს, ბევრი სიმწარე და წვალება არგუნეს. 1950 წლიდან კი ვორკუტაში გადაიყვანეს მაღაროში სამუშაოდ. აქ გაიცნო და დაუმეგობრდა იგი ქართველებს, მათ შორის ლევანსაც. შალვა 1952 წელს მუდმივად თავისუფალ გადასახლებაში დატოვეს ქალაქ ვორკუტაში.

ამ ხელოვანმა, მეტად ნიჭიერმა და შრომისმოყვარე კაცმა, ვორკუტაში არსებობისათვის და თავის სარჩენად სამეურნეო დარგს მიჰყო ხელი — ღორები გაიჩინა, თვითონაც გამოიკვება თავი და ქართველებსაც კარგად ეხმარებოდა. 1956 წელს რეაბილიტაციით სამშობლოში დაბრუნდა, ხარობდა ცოლ-შვილში და ნათესავ-მეგობრებში. ძალიან დასანანია, რომ ულმობელმა სიკვდილმა ადრეულად გამოასალმა წუთი-

სოფელს. შალვას სიკვდილი მარტო მის ახლობლებისთვის კი არა, მისი ჩრდილოელი ძმებისა და ლევანისთვისაც დიდი მწუხარება და დანაკლისი იყო.

შალვა ჩხეიძე—სამხედრო სავალ „ბულო სამსახურის გაელის დროს ომმა მოუსწრო. ფრონტის მძიმე, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებიც გადაიტანა. კონტუზიის გამო ჩავარდა ტყვედ. საკონცენტრაციო ბანაკებში არ დაჰკლებია შიმშილი, სიცივე, არაადამიანური ქცევა და დამცირება.

ბანაკიდან გაქცევა შეძლო, ჩვენს ჯარს შეუერთდა. ომის დამთავრებაც იზეიმა. სამშობლოში დაბრუნებითაც გაიხარა, შემდეგ შეუდგა სწავლის გაგრძელებას, პედაგოგიურ მოღვაწეობას და მუშაობდა სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

1952 წლის 15 თებერვალს სრულიად მოულოდნელად დაატიმრეს, და შორეულ ჩრდილოეთში, ქ. ვორკუტაში 15 წლით გადაასახლეს. იქ მე-3 მაღაროში მოხვდა.

„ეს მაღარო ჯოჯოხეთის წარმოადგენდა, — იგონებს შალვა. — მიუხედავად იმისა, რომ შიგ ჟანგბადს უშვებდნენ, სუნთქვა მაინც ჭირდა. მაღარო არც საათანადოდ გამაგრებული იყო, ხშირად ფენები ინგრეოდა და ადამიანები იღუპებოდნენ. საშინელ სამუშაო პირობებში ვიყავით. მშიერ-მწყურვალები, სველი ტანსაცმლით, დაუძლურებულ-დასუსტებულები ვასრულებდით უმძიმეს ფიზიკურ სამუშაოს.

ომის ქარცეცხლში გამოვლილი, ათასგვარ სიმწარენახული და დატანჯული კაცი სამუშაოდ მეორე ჰორიზონტზე ჩამიშვეს და არაადამიანურად მაწვალეს" — სიმწრით იგონებს შალვა. შემდეგ ომისდროინდელმა ტრავმამ გაუხსენა და საავადმყოფოში მოხვედა.

შალვა ჩხეიძე ვორკუტის საკონცენტრაციო ბანაკში ბევრ ქართველს შეხვდა, მათ შორის ლევანსაც. ისინი დამეგობრდნენ, ბევრჯერ ლიტერატურულ საკითხებზე საუბრობდნენ. ლევანს ერთხელ ისიც უთქვამს შალვასთვის, ჩემი დაპატიმრების ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ პასუხისმგებელ მუშაკს მივწერე: ჩვენი ძველი კულტურის ძეგლები უპატრონოდაა მიტოვებული, ინგრევა, იღუპება და როგორმე მივიღოთ ზომები მათი რესტავრაციისა და გადარჩენისათვის-მეთქი.

როგორ თუ ვუსაყვედურე და ასეთი სითამამე გავბედე, სამშობლოს მტრად გამომაცხადესო.

„ლევანი რომ ბანაკში გამოჩნდებოდა, მეც და ყველა ჩემისთანა დაჩაგრულს გვამხნევებდა და ახლო მომავალში განთავისუფლებით გვაიმედებდა. ვორკუტაში იშვიათად თუ დადიოდა ისეთი მხნე და იმედიანი კაცი, როგორც ლევანი იყო; — აღნიშნავს შალვა. — ამ წყობის შეცვლის იმედით ცოცხლობდა და ჩვენც გვამხნევებდა“.

ვორკუტაში ლევანმა შალვას რამდენიმე ქართული წიგნი აჩუქა, მათ შორის შალვა ნუცუბიძის მიერ ქართულიდან რუსულად თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“, „შოთა რუსთაველი და აღმოსავლეთის რენესანსი“, რომელზედაც დააწერა: „შალვა ჩხეიძეს — ჩრდილოეთიდან უმოკლესი გზა სამშობლოში დასაბრუნებლად“.

შალვა ჩხეიძე 1955 წელს ვორკუტაში გაფიცვის მონაწილე იყო.

ის ლევანის განთავისუფლების მოწმეც გახდა. „ჩვენ ყველანი კმაყოფილები დავრჩით, — იხსენებს ის, — რომ ერისკაცი თავისი კალმით კვლავ საქართველოს მოემსახურება და ასახელებსო. სასოებით გამოვეთხოვეთ მას. ქართველები დავტრიალდით და ლევანს სამახსოვროდ ჯიბის საათი ვუყიდეთ, სამშობლოსაკენ გზაც დავულოცეთ.

უკვე თბილისში ლევანმა თავისი წიგნი „უგზო ქარავანი“ მაჩუქა და დააწერა: „შალვა ჩხეიძეს, ჩემი წიგნების დაბადების უშუალო მონაწილეს ჩრდილოეთის სუსხიან მხარეში, სიყვარულით. ავტორი“, ხოლო „გმირთა ვარამის“ I და II წიგნს წააწერა: „კარგ ქართველს, ჩემს მეგობარს ჩრდილოეთიდან, სადაც ეს წიგნი იწერებოდა, „ქაურ დღეთა მოსაგონებლად. პატივისცემითა და სიყვარულით. ავტორი“.

გრიგოლ აბდალაძე — ქუთაისელი, წყნარი, მეტად თავაზიანი, სრულიად ახალგაზრდა კაცი. ომის დროს ტყვედ ჩავარდნის გამო ვორკუტაში გაამწესეს და მაღაროში ამუშავებდნენ. შემდეგ საექიმო პუნქტში გადაიყვანეს, მიუხედავად იმისა, რომ არავითარი სამედიცინო განათლება არ ჰქონდა.

გრიშა მეტად მგრძნობიარე, კეთილი კაცი იყო, ყველას შემცოდე და დამხმარე, მშრომელი და მუყაითი. ლევანთან

ერთად ერთ ბანაკში ცხოვრობდა, მოპირდაპირე ნარზე ეგინა და მასთან მეგობრობდა. ვორკუტაში ქართველთა სათვისტომოს ერთ-ერთი პირველი წევრიც იყო, სხვა ერისშვილებსაც ეხმარებოდა. გრიშამ ბანაკში თავისებური ნადირობით გაითქვა სახელი. ვიღაცამ მას „კუროპატალოგი" შეარქვა. ეს კი იმიტომ, რომ იმ უზარმაზარ ტუნდრის ტერიტორიაზე, ყოველ შემოდგომაზე, ფრინველთა გადაფრენის დროს, უამრავი მწყერი ბანაკის მაღაროების ელექტრომავთულებს და მავთულ ხლართებს ეჯახებოდა და უზარმაზარ ქვანახშირის გროვებში ვარდებოდა. გრიშა, როგორც კარგი მეძებარი ძაღლი, ყნოსვით აგნებდა ნახშირში არეულ მწყერს, აგროვებდა და ყოველთვის ყველას უმასპინძლდებოდა.

ერთხელ გრიშა აბდალაძემ, ქერაშვილმა, შევარდნაძემ და ორმა რუსმა პატიმარმა ვორკუტის ბანაკიდან გაქცევა გადაწყვიტეს. შეთქმულები ვიღაცამ გასცა და დაიჭირეს, დიდხანს სასიკვდილო იზოლატორში აწვალეს. ბეწვზე გადარჩნენ სიკვდილით დასჯას, რაც ვორკუტის ბანაკში კანონიერად იყო მიჩნეული.

გრიშა მშობლიურ ქუთაისში დაბრუნების შემდეგაც მეგობრობდა ლევანთან. ლევანის არქივში შემონახულია მისი რამდენიმე წერილი.

ნიკოლოზ კალაძე—1937 წელს გადაასახლეს. ბევრი წვალების შემდეგ მუდმივად, თავისუფალ გადასახლებაში, ქალაქ ვორკუტაში დაამკვიდრეს, მასთან იქ ცოლიც ჩავიდა საცხოვრებლად — თამარ ლორია. ეს ოჯახიც ქართველთა თავშეყრის ადგილს წარმოადგენდა, ყველა გაჭირვებულს ეხმარებოდა და ბევრ სასიკეთო საქმეებს აკეთებდა, ყველა ქართველს მეგობრობას უწევდა.

კოლია კალაძის ოჯახში ყველა ქართველი კარგად გრძნობდა თავს. თურმე იქ მძიმე პირობების დროსაც შეიძლებოდა ცხოვრებიდან ამოვარდნილ ადამიანებს ეგრძნოთ ოჯახური სითბო, სიკეთე და თავისუფლება, წუთიერად დაევიწყებინათ მძიმე ატმოსფერო.

რომან ბლიაძე — 1921 წელს კოჯრის ბრძოლებში მონაწილე იუნკერი. პატრიოტი, უაღრესად პატიოსანი, განათლე-

ბული და დისციპლიანიანი კაცი. საქართველოს მოსიყვარულე და მოტრფიალე. 1938 წელს დააპატიმრეს და სამშობლოს მტრად გამოაცხადეს. ბევრი აწვალეს, ბეწვზე გადაურჩა დახვრეტას. შემდეგ ურალში გადაასახლეს, ერთი ეტაპით მოხვდა ილია ბოჭორიშვილთან ერთად მძიმე რეჟიმის ბანაკის მაღაროში.

გრძელი ვადის დამთავრების შემდეგ მუდმივ საცხოვრებლად ქალაქ ვორკუტაში დატოვეს და საქართველოს სამუდამოდ გამოთხოვებით გულში დიდი ბოღმა და სინანული დაუტოვეს.

რომანს თავისმა ქალიშვილმა ლილიმ ჩააკითხა, მამას საქართველოს სითბო და სიყვარული ჩაუტანა, სხვა ქართველებიც გაახარა. ლევანისა და რომანის მეგობრობაც განსაკუთრებული იყო. ისინი ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს და საუბრობდნენ პოლიტიკაზე, სამშობლოზე. რომანს ახსოვდა ლევანის წინასწარმეტყველური სიტყვებიც: ჩვენ, ცოცხლები, აქ შემთხვევით გადარჩენილი ხალხი ვართ. მომავლის იმედი გვაცოცხლებს. აღარ გვაშინებს არც ურდულები და არც შანთი, გადატანილი მძიმე ტკივილის დაოკებას სამშობლოში ვაპირებთ. მაგრამ ასეთი მძიმე რეჟიმი სამშობლოში აღარ გვაწყობს, ჩვენ თავისუფლებისაკენ მიკისწრაფით. ჩემი ღრმა რწმენით ამ წყობას მომავალი აღარ აქვს, იგი უთუოდ დაიშლება, მაგრამ როდის? ჩვენ ვჩქარობთ, დრო აღარ ითმენს, არ გვინდა ჩვენი საფლავები ასევე ჩრდილოეთში, ტყვეობაში დარჩეს წაშლილი. ჩვენს ძვლებს შშობლიური სითბო და მიწა სჭირდება.

რომანი გაფიცვების მონაწილე იყო. სისხლიან ჟლეტასაც სასწაულად გადაურჩა და საქართველოში დაბრუნების იმედიც არ დაუკარგავს. და აი, ასრულდა მათი ოცნება — კომისიამ რომანიც გაათავისუფლა. ქუთაისში ჩამოსვლისთანავე რეაბილიტაციაც მიიღო.

რეზო ტყავაძე — 18 წლის ახალგაზრდა, თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი, მეტად კეთილი და ნიჭიერი კაცი, როგორც ანტისაბჭოური ჯგუფის წევრი, 1943 წელს დააპატიმრეს. იმ პერიოდში საერთოდ საქართველოში დიდი რეპრესიები მიმდინარეობდა. ჩეკა აპა-

ტიმრებდა და ანადგურებდა სამშობლოს საუკეთესო წარმომადგენლებს: ინტელიგენციას, სტუდენტობას, მოწინავე ახალგაზრდობას. რეზოსთან ერთად მაშინ დააპატიმრეს: ლუკა ტყემალაძე, ძმები პაველ და არჩილ ხარანაულები, ლელიკო ნანეიშვილი, მუსტაფა შელია (რომელიც მოკლეს დაპატიმრების დროს), გიორგი მაჭავარიანი, მაკა ნაკაშიძე, ნორა ფეფერი და სხვები.

ამავე პერიოდში ერთდროულად მეორე ახალგაზრდული ჯგუფიც დააპატიმრეს ისევ ანტისაბჭოური ბრალდებით: ვახტანგ ჯორჯაძე, ძმები არჩილ და გოგი წულუკიძეები, ამირან მორჩილაძე, ლევან აბდუშელიშვილი (რომელიც დახვრიტეს) და სხვები. იმ წელიწადს რეზოს მამაც დაუპატიმრეს და მასთან ერთად პროფესორი გიორგი ვაწაძე, მსახიობი გრიგოლ კოსტავა, ქართლოს ახვლედიანი, ვალერიან დვალიშვილი (და ბევრი, რომლებსაც ჩვენ ვეღარ მივაკვლიეთ). ვინ მოთვლის, რამდენი იყო ომის დროს დაპატიმრებული და ვიღაც „სამეულის“ გადაწყვეტილებით და ხელმოწერით, ყოველგვარი გასამართლებისა და დაკითხვის გარეშე, სამშობლოს მტრად გამოცხადებული. თვით რეზო ტყავაძეც ვითომ გაასამართლეს. ეს უფრო ტრიბუნალის ინსცენირება იყო, რომელიც შედგა შინაგანი ციხის კლუბის ლენინის წითელ კუთხეში(!) ყოველგვარი მოწმისა და დაკითხვის გარეშე. მოკლე ოქმიც ფანქრით დაწერეს. ვინ იცის, შიგ რა მოჩმახეს და ასე, პატიმრის ხელმოუწერლად რეზო ტყავაძე მოღალატედ გამოაცხადეს, 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს შორეულ ჩრდილოეთში გადასახლებით. ომი მძვინვარებდა. ამიტომ თბილისიდან ვერ გადაასახლეს და სხვადასხვა მშენებლობაზე ამუშავებდნენ მუშად. ყველას ეგონა, რომ რეზო სასჯელს საერთოდ თბილისში მოიხდიდა, მაგრამ 1949 წელს ვორკუტის მძიმე სარეჟიმო ბანაკში გადაასახლეს.

ვორკუტის ბანაკში რეზო ლევანს შეხვდა. რეზო მანამდეც იცნობდა ლევანს მარჯანიშვილის თეატრიდან. დიდ პატივს სცემდა მის მამულიშვილობას და დრამატურგიას.

რეზო სტუდენტობის პერიოდში გატაცებული იყო დრამწრით. სწორედ ამ პერიოდში მარჯანიშვილის თეატრში იდგმებოდა ლევანის „მეფე ერეკლე“. მასობრივი სცენებისათვის საჭირო იყო ახალგაზრდობა, ამიტომ დრამწრის ყველა წევ-

რი და მათ შორის რეზოც ამ წარმოდგენის მონაწილე გახდა.

ლევანის დაპატიმრება რეზომ თბილისში გაიგო, მაგრამ ამ მძიმე ბანაკში მის ნახვას არ მოელოდა. ლევანმა რეზო უმცროს ძმად მიიჩნია. რეზომ სასჯელი მალე დაამთავრა, მაგრამ მუდმივ საცხოვრებლად ქალაქ ვორკუტაში დატოვეს. რამდენჯერმე რეზოს დედამ და დამ (ნინო და იამზე ტყავაძეებმა) ჩააკითხეს, რითაც იქ ცხოვრება ოდნავ მაინც შეუმსუბუქეს და მარტო რეზო კი არა, ამით იქ მყოფი ქართველებიც გაახარეს.

1956 წელს რეზო რეაბილიტაციით საქართველოში დაბრუნდა, მაგრამ 1959 წლამდე თბილისში ცხოვრების უფლება არ მისცეს. თბილისში პასპორტის მიღებისა და ბინაში ჩაწერის დროს მაინც გააწვალეს. რეზომ, ამ ახალგაზრდა ვაჟკაცმა, გმირულად გადაიტანა ჩრდილოეთის ბანაკების ჯოჯოხეთური ცხოვრება. მიუხედავად ამდენი გაჭირვებისა, ბოლომდე შეინარჩუნა ნამდვილი ადამიანობა, სიკეთე, ხასიათის სიმტკიცე და ყველასათვის საყვარელ კაცად დარჩა.

ნაუმ სპექტორი — თბილისელი კაცი, ექიმი. ტყვედ ჩავარდა ომის დროს, ბევრი წვალება გადაიტანა. ომის დამთავრების შემდეგ ვორკუტაში გადაასახლეს. ღრმა სევდამ შეიპყრო პატიმარი, მაგრამ საექიმო განათლებამ უშველა — ექიმად ამუშავებდნენ. ეს კეთილი, განათლებული კაცი ყველას ეხმარებოდა, მეგობრობდა ყველა ქართველთან.

განთავისუფლების შემდეგ დაუბრუნდა საყვარელ ქალაქ თბილისს, თავის ოჯახს და სპეციალობას.

საბაშვილი — სპეციალობით ექიმი. კეთილი, განათლებული კაცი. ომის დროს ტყვედ ჩავარდნილა, ომის შემდეგ კი ვორკუტის სარეჟიმო ბანაკში მოხვდა. როგორც ყველა ექიმი, ბანაკში პრივილეგირებული, საჭირო კაცი იყო. დღე და ღამე მუშაობდა, ყველას ეხმარებოდა, განურჩევლად ასაკისა და ეროვნებისა, განსაკუთრებით ყველა ქართველის სიყვარული და შველა ჰქონდა გულში ჩანერგილი და ბევრ სასიკეთო საქმესაც აკეთებდა. ადამიანის მომავალი ბედნიერებისათვის, მიუხედავად მძიმე პირობებისა, ძალა უნდა შევინარჩუ-

ნოთო, დადგება დრო და იმედის სინათლეში შეეიპრებითო, — ქადაგებდა ის.

ვალერიან გაბუნია — ყოფილი სამხედრო, ტყვედ ნამყოფი. განათლებული, კეთილი კაცი. მისჯილი ჰქონდა 25 წლის პატიმრობა ვორკუტის ბანაკში. დახვრეტას ბევრჯერ გადაურჩა (საერთოდ გრძელვადიან პატიმრებს ბანაკის განტვირთვის მიზნით ხვრეტდნენ). ადამიანური ღირსების დამცირებით გამოწვეულ სულიერ ტკივილს მძიმედ განიცდიდა. მაინც გაუძლო გასაჭირს. საერთო წესით გაათავისუფლეს 1958 წელს. ყველა ქართველის, მათ შორის ლევანის ერთგული მეგობარი იყო.

გიორგი ფიაბრიშვილი — ველისციხელი, პედაგოგი, განათლებული კაცი. თუშეთის პოლიტიკურ ჯგუფში მონაწილეობის საბაბით დააპატიმრეს. გრძელი ვადა მიუსაჯეს და შორეულ ციმბირში გადაასახლეს, მერე ვორკუტაში გადაიყვანეს. აქ ყურადღებას იქცევდა თავისი სიკეთით. ლევანთან მეგობრობდა, ხშირად საუბრობდნენ სხვადასხვა საკითხზე, მათ შორის პოლიტიკაზეც. ხშირად ამბობდა, ჩვენს სამშობლოს თავისუფლება, სიკეთე და სათნოება სჭირდება ყველაზე უფრო, მაშინ აღარ იქნება შუღლი, ჯაშუშობა და პოლიტპატიმრებიო.

თედო გოგრეჭიანი — ონის რაიონის სოფელ ღებიდან, ტყვედ ნამყოფი, პოლიტიკაში ნაკლებად გარკვეული კაცი. ბევრი აწვალეს, აწამეს, ეტაპებით მთელი რუსეთი შემოატარეს, საბოლოოდ ვორკუტის ბანაკში დაამკვიდრეს. ლევანს დიდად აფასებდა, ძალიან უყვარდა, მეგობრობდნენ კიდეც. თედოს დინჯი გამონათქვამები ანეკდოტიეით მოედებოდა ხოლმე ქართველებს, მაგალითად, ერთხელ უთქვამს: „სიკვდილი ცუდად მოქმედებს ადამიანზეო“. ასეთი გამონათქვამები ოდნავ მაინც ამსუბუქებდა იქაურ ცხოვრებას. შემდეგ თედო მოეწყო სამუშაოდ პურის საცხობში და შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა ქართველებს, ლევანს კი, როგორც შეეძლო, ანებივრებდა. ეს ის კაცი იყო, რომელსაც ლევანის ნაწერები სისტემატურად გამოჰქონდა ბანაკიდან.

ვალოდია კილაძე—სულ ახალგაზრდა იყო ქურდობა რომ დასწამეს. და სასტიკად დასაჯეს. ვორკუტაში ბევრი ტანჯვა-

წვალება გადაიტანა, მორალური თუ ფიზიკური. ამდენ პოლიტიკურ პატიმართან მოხვედრის შემდეგ თვითონაც შეეცვალა რწმენა, მერე ერთ-ერთ პოლიტიკურ პატიმარს ანკეტის შეცვლა სთხოვა — საქმე წარმატებით ჩათავდა. ორივე გახარებული და ყაბულს იყვნენ. ვალოდია პოლიტიკური მოღვაწე გახდა, მეორე კი, ყოფილი პოლიტიკური მოღვაწე, ახალი ანკეტით ძალიან მალე განთავისუფლდა ამნისტიით და სამშობლოში დაბრუნდა ძლიერ გახარებული.

ილია ბოჭორიშვილი — ლამაზი, ახოვანი, შუა ხნის ვაჟკაცი, განათლებული და გულმხურვალე მამულიშვილი. ძალიან კეთილი კაცი.

1937 წელს პოლიტიკური ბრალდებით 10 წელი მიუსაჯეს და ურალში გადაასახლეს. 1951 წელს ზურაბ მიქელაძესთან და რომან ბლიაძესთან ერთად ვორკუტაში სარეჟიმო ბანაკში გადაიყვანეს. ბევრი მძიმე დღე გამოიარა, მუშაობდა ფიზიკურად მაღაროში. დაუმეგობრდა ყველა იქ მყოფ ქართველს. მათ შორის ლევანსაც. პოლიტბანაკების დაშლის შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში.

ვიქტორ ჯღარკავა — ექიმი, ემიგრანტი. ირანში ინგლისის ზონაში ცხოვრობდა. შაჰის კარის მკურნალი იყო. 1942 წელს ირანში საბჭოთა ჯარების შესვლის შემდეგ ქუჩაში თავში რეზინის ჯოხი ჩასცხეს, გააბრუეს და ისე დააპატიმრეს. შემდეგ ტომარაგადაცმული საბარგო მანქანით საზღვარს აქეთ გადმოიყვანეს (ირანში მცხოვრებ სხვა ქართველებსაც იგივე დაემართათ, მაგალითად, ალექსანდრე სხირტლაძეს, ვალერიან საყვარელიძეს და სხვა ემიგრანტებს).

ვიქტორ ჯღარკავა, როგორც ლევანი იწერებოდა, ძალიან ჰგავდა სტალინს და პირველ ხანებში შიშის ზარს სცემდა პატიმრებს, რატომღაც მათ ყველას გადაცმული სტალინი ელანდებოდა. ვიქტორი მეტად განსწავლული და განათლებული კაცი აღმოჩნდა. აფთიაქის გამგედ დანიშნეს. მან სამედიცინო საქმე ბევრ ახალგაზრდას შეასწავლა, ეხმარებოდა არა მარტო ქართველებს, არამედ სხვა გასაცოდავებულ პატიმრებსაც. ვიქტორს ეღირსა სამშობლოში დაბრუნება. მან სენაკში ჰპოვა თავისი საბოლოო განსასვენებელი.

სერგო ლორთქიფანიძე — ქუთაისიდან, განათლებული, ნასწავლი კაცი. პროფესიით ექიმ-ვეტერინარი. პატიმრობისას მუშაობდა ვორკუტის ბანაკთან არსებულ ღორების ფერმაში. მას იქვე ჰქონდა პატარა ოთახი, სადაც ხშირად ქართველები იკრიბებოდნენ. სერგოსთან ზოგჯერ მცირედი საკვებიც გამოჩნდებოდა ხოლმე. სერგოს კარგი ხელწერა ჰქონდა. სწორედ მან გადაწერა ლევანის ნაწარმოები „სამსახეობა რაინდისა" თბილისში გადმოსაგზავნად. სერგო ხშირად წუხდა: ამ ბანაკში ათქვეფილია ნასწავლი, განათლებული ხალხი და არარაობა, გულუბრყვილო მსხვერპლი და უსულო ჯალათი. როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე ჩვენი ცხოვრება? ის მაინც იმედს არ კარგავდა და ამასაც ამბობდა, რომ ადრე თუ გვიან დაიმსხვრევა კომუნისტების დიქტატურა და ჩვენც გვეშველებაო.

მეჭი გოგიტიძე — ეს დაჩაგრული კაცი სულ ტყუილად იყო განწირული. თბილისის მთაწმინდის რესტორანში ბუღალტრად მუშაობდა. აუხირდნენ ბევრის მნახველი და ბევრი ამბის მცოდნე ხარო და ამისათვის დააპატიმრეს — გრძელი ვადა უსასამართლოდ და ყოველგვარი დაკითხვის გარეშე მიუსაჯეს, მერე ვორკუტის ბანაკში დაამკვიდრეს. საშინლად განიცდიდა ყველაფერს. ქართველებთან იყო მიკედლებული, განსაკუთრებით უყვარდა ახალგაზრდობა, აგონდებოდა თავისი შვილები და ხშირად ამბობდა: შვილები ჩვენი საერთო სატკივარიაო. სულ იმ იმედით ცხოვრობდა, რაღაც ფანტასტიკური და ძალზე რეალური მწიფდება ჩვენს მთავრობაში და იქნებ გვეშველოს რამეო.

ბიკენტი ჯმუხაძე — კეთილი, მშრომელი კაცი. სასადილოში მუშაობდა. ყველა ქართველს ეხმარებოდა, მათ შორის ლევანსაც. ხშირად იმეორებდა: როგორი ტრაგიკული პარადოქსებია ამ დაწყევლილ ბანაკში. მთავრობაში თითქოს ჩვენკენ შემობრუნება იგრძნობა. აქ კი რეჟიმი არნახულად გამკაცრდა და ადმინისტრაცია სისხლისღვრას გვიწყობს. ბიკენტი მოესწრო სამშობლოში დაბრუნებას.

აკაკი იმნაძე — ყოფილი სპორტსმენი, ფეხბურთელი, მშენებელი ინჟინერი, დავით კვიტაიშვილის ცოლისძმა. დავით-

თან ახლო ურთიერთოის გამო დააპატიმრეს და ვორკუტაში გადაასახლეს. მაღაროში მუშაობდა.

მეძმარიაშვილი — სულ ახალგაზრდა სტუდენტი. ქართველებთან ამხანაგურ და მეგობრულ კავშირში იყო. მაღაროში მუშაობდა მუშად, უჭირდა. ლევანს მამაუფალ ეძახდა, მისი სჯეროდა, სწამდა. ყოველ მის დარიგებას მამაშვილურად იღებდა. მთავრობაზე მომაკვდინებელი დარტყმაა საჭირო, რომ შეიცვალოს ყველაფერიო, — ასე სჯეროდა. განა შეიძლება ასეთი მძიმე ბანაკების არსებობა ცივილიზებულ სახელმწიფოშიო, — ეკითხებოდა ლევანს.

ოკიმე მაღლაკელიძე — არისტოკრატი, მეტად განათლებული კაცი, 4 დიპლომის მქონე იყო. ჩრდილოეთში ექიმ-ვეტერინარად მუშაობდა მეღორეობის ფერმაში. რამდენიმე ხანს ამ მუშაობით კმაყოფილიც იყო, მაგრამ ავად გახდა ბრუცელოზით და კინაღამ გარდაიცვალა. ბანაკის ექიმების წყალობით გადარჩა. მათ სულ ეხვეწებოდა, აქ რომ დავიღუპო, როგორმე ჩემი ძვლები საქართველოს მიწას მიაბარეთო. ხშირად ამბობდა, ტანჯვა მინდა დავიიწყო, მაგრამ იმდენად გამიჯდა სულში და გულში, რა ვქნა, არ მავიწყდებაო. სულ იმას ოცნებობდა, როდის უნდა გვეღირსოს სამშობლოში დაბრუნებაო.

გრიგოლ ბაჟაძე — ღრმა მაღაროში მუშაობდა თავაუღებლად, იქნებ რაიმე შეღავათი მომცენო. ვორკუტაში რომ ჩამოვიდა, იღუპებოდა გაძვალტყავებული. შიმშილისგან გასიებული, დაავადებული და სიკვდილის პირას მისული. კეთილმა კაცმა — ვანო შევარდნაძემ გადაარჩინა, შეუწყო ხელი. იმ დროს ეს დიდი ამბავი იყო. გრიგოლი ყველასათვის საყვარელი, კეთილი ახალგაზრდა ვაჟკაცი დადგა.

ბორის შენგელია — მტკიცე ხასიათის, ამასთან ერთად ფიცხი ახალგაზრდა გახლდათ. პროფესიით მშენებელი იყო, ბრიგადირად მუშაობდა. ომის შემდეგ პოლიტიკური ბრალდებით დააპატიმრეს და ბევრი აწვალეს, მერე კი ვორკუტის მძიმე რეჟიმის ბანაკში გაამწესეს. ბანაკში ლევანს შეხვედა და დაუმეგობრდა. ლევანს ბორისი უმცროს ძმად მიაჩნდა. ბა-

რაკშიც ერთად მოხვდნენ საცხოვრებლად, ერთმანეთის მოპირდაპირე ნარებზე. ბორისი დიდ პატივს სცემდა ლევანს, მისი ყველაფერი სჯეროდა და აფასებდა. ლევანზე ყოველდღიურად ზრუნავდა. სანდრო ჩიკოიძის ვორკუტაში ჩამოსვლის შემდეგ, ლევანის თხოვნით, ბორისი მასთან გადაიყვანეს სამუშაოდ. გრძელი ვადის დამთავრების შემდეგ ბორისი ქალაქ ვორკუტაში დაასახლეს სამუდამოდ. ერთ ზაფხულს მას ძმამ და დედამ ჩამოაკითხეს. ბორისის ბინა ვორკუტაში ქართველების თავყრილობის ადგილად იქცა. აქ ბოლო ხანებში ლევანიც ხშირად მიდიოდა. ბორისი ხელს უწყობდა ლევანს შემოქმედებით მუშაობაში, ნაწერების გამოგზავნაშიაც აქტიურად ეხმარებოდა. მათი ეს მეგობრობა სამშობლოში დაბრუნების შემდეგაც გაგრძელდა.

ნიკოლოზ ბულეიშვილი — უაღრესად განათლებული, კეთილი კაცი. სპეციალობით ეკონომისტი. მას იურიდიული ფაკულტეტიც ჰქონდა დამთავრებული და თბილისში კარგი ადვოკატის სახელით იცნობდნენ. ყოფილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრს, დიდ პატრიოტს, ძალიან უყვარდა სამშობლო-საქართველო, ოცნებობდა მის კეთილდღეობაზე და თავისუფლებაზე. მის გარშემო ყოველთვის ტრიალებდნენ კეთილშობილი, განათლებული მამულიშვილები.

1946 წელს ნიკოლოზი დააპატიმრეს. მისი საქმე ლევანთან დააკავშირეს, იმ ჯგუფში მოახვედრეს. „სამეულმა" კი ყოველგვარი დაკითხვის და დაპირისპირების გარეშე 10 წელი მიუსაჯა შორეულ ჩრდილოეთში გადასახლებით. მძიმე პირობები ერგო წილად ნიკოლოზს პატიმრობაში, რის გამოც დაავადმყოფდა კიდეც.

1951 წელს ვორკუტის ბანაკში დაამკვიდრეს. ჯერ სამრეცხაოში ამუშავებდნენ, ბოლო ხანებში კი სამკითხველოში გადაიყვანეს.

1955 წელს, უკვე მძიმე ავადმყოფი, ნიკოლოზ ბულეიშვილი დაუბრუნდა თავის სამშობლოს და ოჯახს.

იოსებ (სოსო) ხუციშვილი — განათლებული ადამიანი, სამშობლოს მოყვარული და თაყვანისმცემელი, ადრე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი. მას მთელი საქართველო

ფეხით ჰქონდა მოვლილი, ლევანთან ერთად ერთ-ერთი ალპინისტური ასვლის მონაწილეც იყო (ბრუტსაბძელაზე). ახალგაზრდობაში სახალხო მასწავლებელი იყო, მსახურობდა ოძისში და სამაჩაბლოში. დიდი ენთუზიაზმით კრებდა ხალხური შემოქმედების ნიმუშებს, მოღვაწეობდა გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, სწავლობდა თავისი მშობლიური ქალაქის ისტორიას. ადრე ლექსებსაც წერდა, ჟურნალისტობდა (ი. ჯავახის ხელმოწერით აქვეყნებდა ქართულ პრესაში წერილებს), მონაწილეობდა წარმოდგენების დადგმაში, აწყობდა საჯარო ლექციებს. მისი ნაწერები იბეჭდებოდა აგრეთვე საყმაწვილო ჟურნალებში — „ჯეჯილსა" და „ნაკადულში". მწერალი ნინო ნაკაშიძე თავის „მოგონებებში" იხსენიებს ი. ხუციშვილის წერილების სერიალს — „ჩვენი სამშობლოს წყლები", რომელსაც „ნაკადული" ბეჭდავდა 1914—1918 წლებში. იოსები 1946 წლის 15 აგვისტოს დააპატიმრეს გორში და ლევანის ჯგუფს მიაკუთვნეს. შინსახკომში მას ემუქრებოდნენ ოჯახის გადასახლებით, ბავშვების დაწიოკებით, ძმების დაპატიმრებით (შენს დოცენტ ძმას გვერდზე მოგისვამთო). ამ მუქარით სუფთა ქაღალდზე ხელი ?ოაწერინეს და ვინ იცის მერე შიგ რა ჩაწერეს, რომ 10 წლით შორეულ ჩრდილოეთში გადაესახლებინათ. სად არ ატარეს ეტაპებით (ვოლოგდა, ერცევო, ინტა, ვორკუტა). საბოლოოდ ვორკუტაში დაამკვიდრეს მაღაროებში სამუშაოდ. ბოლოს, როგორც იქნა, საერთო წესით ისიც განთავისუფლდა და დაბრუნდა სამშობლოში.

გიორგი ჩიხლაძე — შუა აზიის ერთ-ერთი რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე. ძალიან განათლებული და პატიოსანი კომუნისტი იყო. 1937 წელს, როგორც სამშობლოს მოღალატე, დააპატიმრეს. ბევრი აწვალეს, მთელი რუსეთი შემოატარეს და ბოლოს თავისუფალი გადასახლებით სამუდამოდ ქალაქ ვორკუტაში გაამწესეს. იქ კი საკვების მზიდავ მუშად მუშაობდა. მოსკოვის კომისიამ გაათავისუფლა. კომუნისტურ პარტიაზე გულნატკენი ეს პატიოსანი კაცი საქართველოში წამოვიდა.

ვალერიან ტოგონიძე — სამშობლოში გადმობირებული ქართველი ემიგრანტი. საქართველოს მაგივრად ჩრდილოეთ ბანაკებში უკრეს თავი და ბევრი აწვალეს. ბოლოს კი ეს განათლებული კაცი ვორკუტაში მოხვდა. ბედნიერი იყო, რომ პურის საცხობში მუშაობდა მუშად და შიმშილით არ მოკვდებოდა. სულ იმაზე ბრაზობდა, კომუნისტებმა როგორ მომატყუეს, როგორ დაეუჯერეო, ყველაფერი ახია ჩემს თავზეო.

იოსებ (იოსკა) ქავთარაძე — განათლებული თბილისელი ახალგაზრდა კაცი, პროფესიით ინჟინერი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის სიძე. ომის დროს ტყვედ ჩავარდა. ომის შემდეგ დააპატიმრეს, 10 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. ჯერ ტაიგაში მძიმე პირობები შეუქმნეს — ხე-ტყის მჭრელად ამუშავეს. მერე ვორკუტაში გადაიყვანეს მაღაროში სამუშაოდ.

ირაკლი ლობჟანიძე — ემიგრანტი, ირანიდან ჩამოიყვანეს დაპატიმრებული. ბევრი აწვალეს და შემდეგ ვორკუტაში გადაასახლეს. ამ განათლებულ, ნასწავლ კაცს მაღაროში შავ მუშად, მძიმე პირობებში ამუშავებდნენ.

ირაკლი გეგეჭკორი — ომის მონაწილე, ტყვედ ნამყოფი, საუკეთესო ახალგაზრდა. თავისუფალი გადასახლებით ცხოვრობდა ვორკუტაში. მაღაროში მუშაობდა. ლევანთან მეგობრობდა. ერთხელ შვებულებაში წამოსვლის დროს ლევანის ნაწერებიც ჩამოგვიტანა. მეგობრობდა გოგრეჭიანთან, სადაც გროვდებოდა ლევანის ნაწარმოებები.

ალექსანდრე (საშა) ძაძამია—სამტრედიიდან იყო, პროფესიით ექიმი. ომის დროს ტყვედ ჩავარდა და საკონცენტრაციო ბანაკებში ბევრი წვალება გამოიარა. ომის დამთავრების შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა, მაგრამ დააპატიმრეს და ვორკუტის მძიმე რეჟიმის ბანაკში გააგზავნეს. ვორკუტის ბანაკებში უფრო მძიმე პირობები შემხვდა, ვიდრე გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკშიო, — ხშირად ამბობდა ის. პატიმრობის ვადის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა საქართველოში.

შამილ გუჯეჯიანი — უაღრესად კეთილი, ნიჭიერი, განათლებული, ფიზიკურად ძლიერი კაცი. 1953 წელს ვორკუტის

ბანაკში მოხვდა როგორც პოლიტპატიმარი. ბევრი მძიმე დღე გაიარა. ღრმა მაღაროში შრომაც მძიმე შეხვდა. ყველა ქართველს დიდი ძმობა და მეგობრობა გაუწია.

დიმიტრი მამულიშვილი — პოლიტიკური პატიმარი, ლამაზი, ახოვანი ვაჟკაცი. თბილისის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის მე-5 კურსის სტუდენტი, ვორკუტაში მაღაროში მუშად მუშაობდა. ლევანთან მეგობრობდა. ყოველთვის უკვირდა ლევანის შრომისმოყვარეობა და ამ მძიმე პირობებში მისი შემოქმედებითი მუშაობა. ეტყოდა ხოლმე: ამ ბანაკში, ბატონო ლევან, ყველგან ველური ყიჟინა და მუქარა ისმის, მანქანების გრიალი კი ყურთასმენას ახშობს. თქვენ კი სულ წერთ და წერთო. ლევანი იღიმებოდა, რას ეტყოდა, მისთვის ცხადი იყო, რომ მიტო ყოველდღიური მძიმე ფიზიკური შრომით ისე იღლებოდა, გონებრივ მუშაობაზე უკვე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა. გადასახლების ბოლო წლებში მიტომ შეძლო ვორკუტაში კურდღლის მოშენება და შემდეგ გემრიელი საკვებით მთელ ქართველობას უმასპინძლდებოდა.

შოთა შენგელია — კარგი მშრომელი ახალგაზრდა კაცი იყო. ვორკუტის ბანაკში ტყეობის შემდეგ მოხვდა. მისჯილი ვადის დამთავრების შემდეგ კი მუდმივად ქალაქში დატოვეს. შოთა ვორკუტის მაღაროში მუშაობდა. აქვე დაოჯახდა. შეირთო ასევე გადასახლებაში ნამყოფი გერმანელი ქალი, რომელმაც ქართული არ იცოდა, მაგრამ იმედოვნებდა, რომ ცოტა ხანში შეისწავლიდა, რადგან ქალმა სარეჟიმო ბანაკებში ყოფნის დროს რუსული საკმაოდ კარგად შეისწავლა.

ქართველებმა გადაწყვიტეს შოთასთვის დიდი ქორწილის გადახდა. ქორწილზე ყველა ქართველი მოიწვიეს, მათ შორის ლევანიც.

ბევრი გულწრფელი, სასიყვარულო სადღეგრძელო ითქვა. ლევანმა სადღეგრძელო რუსულად წარმოთქვა, ბევრი აქო და ადიდა შოთა, რომ ცოლს კარგად გაეგო, ვინ იყვნენ ქართველები და რას წარმოადგენდა მისი ქმარი. ვანო შევარდნაძემ კი ქალს სადღეგრძელო გერმანულად უთხრა, რითაც ყველას შექება დაიმსახურა. ეს ოჯახი ვორკუტაში დამკვიდრდა და ქართველებს მნიშვნელოვნად ეხმარებოდა.

დავით გაჩავა — ვორკუტის ბანაკში პატარა დავითად წოდებული (დიდ დავითს კვიტაიშვილს ეძახდნენ). მორცხვი, უსაზღვროდ კეთილი, ჭკვიანი, მშრომელი კაცი იყო. სწავლობდა თბილისის უნივერსიტეტში. სხვა სტუდენტებთან ერთად თავისუფალი საქართველოს მებრძოლ ჯგუფში მონაწილეობისათვის ვალერიან ხუჭუასთან ერთად დააპატიმრეს. ციხეში ბევრი აწვალეს. საბოლოოდ ვორკუტის ბანაკში გაამწესეს. მაღაროში ფიზიკურად შავ მუშად მუშაობდა. მძიმე, არაადამიანურ პირობებს უსიტყვოდ იტანდა. მერე ფერშლობა შეისწავლა და სამუშაოდ ექიმ დავით კვიტაიშვილის დახმარებით საავადმყოფოში მოეწყო. დიდ დახმარებას უწევდა გაჭირვებულ ხალხს, განსაკუთრებით კი ქართველებს. ლევანისა და დავით კვიტაიშვილის მეგობრობით ამაყობდა, ჩემი უფროსი ძმები არიანო. მათი ეს მტკიცე მეგობრობა საქართველოშიაც გაგრძელდა.

კორნელი ხოშტარია — ენათმეცნიერი, ნასწავლი, განათლებული კაცი, ემიგრანტი, რომელიც მთავრობამ გადმოიბირა სამშობლოში დასამკვიდრებლად. საქართველოში სიხარულით წამოვიდა. ხელზე სტალინის ხელმოწერილი დაპირების ქაღალდიც ჰქონდა. მაგრამ მოატყუეს, საქართველოს მაგივრად ვორკუტაში ამოაყოფინეს თავი. საშინელ მდგომარეობაში ჩავარდა. თუ რამე სიმდიდრე ჰქონდა, ჩამოართვეს. ყველა ახლობელი დაკარგა — მათი ვერა გაიგო რა. მერე უყვებოდა ამხანაგებს: „დავრჩი სულ მარტოდ მარტო, ყოველგვარი დახმარების გარეშე, როგორც მათხოვარი ამ საშინელ ქვეყანაში და წყობაში. ვერც წარმოვიდგენდი ამას. ყოველივე ამით პირველ ხანებში ისე ვიყავი ჩემს თავზე გაბრაზებული, სიკვდილს ვეძებდი, მაგრამ ჩემთვის სიკვდილიც აღარ გამოინახა. მერე ქართველებს დავუკავშირდი, ცოტა იმედი მომეცა. მთავრობას მაინც სულ ვაგინებდი და ვწყევლიდი.

ლევანი რომ გავიცანი, სამშობლოზე სხვანაირად დავიწყე ფიქრი. მეც პატრიოტი გავხდი. სტალინისა და ბერიას სიკვდილის შემდეგ კი სულ გავიხარე — საქართველოში მოხვედრის რეალური იმედი დამებადა. ჩემი ეს ოცნება 1956 წელს აღსრულდა“.

დავით ვოლსკი — ჟურნალისტი, განათლებული და კეთილი კაცი. რომ იტყვიან, ცოცხალი ენციკლოპედიაო, სწორედ ის იყო. თბილისში გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქტორი იყო. 1936 წელს მასობრივი რეპრესიების ტალღაში მოხვდა. ყოველგვარი გასამართლებისა და დაპირისპირების გარეშე „სამეულმა“ სამშობლოს მოღალატედ გამოაცხადა. ასე, პოლიტიკური ბრალდებით, უვადოდ, მძიმე რეჟიმის ბანაკში გადაასახლეს. მოხვდა ვორკუტაში. დახვრეტას სრულიად შემთხვევით გადაურჩა. დავითი ყველა ქართველთან მეგობრობდა. ისიც კომისიამ გაათავისუფლა სრული რეაბილიტაციით.

ალექსანდრე მაღლაკელიძე — ზუგდიდელი, რეჟისორი, დიდად განათლებული კაცი, პატრიოტი, დიდებული მამულიშვილი. ომის დროს პოლიტიკური ბრალდებით დააპატიმრეს, ბევრი აწვალეს და მძიმე რეჟიმის ვორკუტის ბანაკში გრძელი ვადით გადაასახლეს. პირველ ხანებში ძალიან გაუჭირდა, სულიერად დაეცა.

„ — გადასახლებაში როგორ ფეხაკრეფით გადიოდა წლები, სწორედ მაშინ, როდესაც ჩვენს ირგვლივ სიცოცხლის შენარჩუნებისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლები ტრიალებდა. ბევრი ვაჟკაცი ჩაიკეცა, ჩაიფერფლა, ვინ მოთვლის“, — ხშირად იმეორებდა იგი.

ალექსანდრე მეტად მგრძნობიარე კაცი იყო, მტკივნეულად განიცდიდა ყველაფერს. ასე ამბობდა, პატიმრობაში ათას წილად უმძიმესი გახდა ჩემთვის გაჭირვება, შიმშილი, ჭუჭყი, სულიერი და ფიზიკური დაუძლურება. ეს საშინელებაა, რომელიც თანდათან გსპობს, წურბელასავით სისხლს გწოვს და ფსიქიკას გირევს სიკვდილის მოლოდინში, თუმცა აქ მე სიკვდილის აღარ მეშინია, ისე მომბეზრდა ყველაფერი. მხოლოდ არ მინდოდა აქ საფლავი, ჩემი ცხედარი საქართველოს მიწას ითხოვს. ლევანს და სხვა ქართველებს სულ ამას ეხვეწებოდა, ჩემი ერთი ძვალი მაინც წაიღეთ საქართველოშიო. ლევანს დაუმეგობრდა. ბევრი ჰქონდათ საერთო: თეატრი, ლიტერატურა, ქართული კულტურა და სხვ. განთავისუფლების შემდეგ ისინი განაგრძობდნენ მეგობრობას. ლევანი მას რამდენჯერმე ზუგდიდშიაც ესტუმრა.

ვახტანგ ბუცხრიკიძე — საზანოდან (აბაშის რ-ნი) იყო, პედაგოგი, ფიზიკოსი. ომის დროს ტყვედ ჩავარდა და ბევრი გაჭირვება გადაიტანა, ომის შემდეგ დიდი იმედით ბრუნდებოდა სამშობლოში, მაგრამ ვორკუტაში ამოჰყო თავი.

ვახტანგი ძალიან მუყაითი და მშრომელი კაცი გახლდათ, მძიმე ფიზიკურ შრომას მაღაროში შეუთავსა სათბურში ვაზის ნერგების გახარება. ამიტომ ქართველებს ზოგჯერ ყურძენიც ჰქონდათ.

ალიოშა ჰედია — ქ. ვორკუტაში რესტორნის გამგე იყო, ეხმარებოდა ქართველებს. თავისუფალი გადასახლებით მუდმივად დატოვეს ამ ქალაქში.

მიხეილ ოდილავაძე — ექიმ-პედიატრი. ვორკუტაში ექიმად მუშაობდა. იმ მძიმე პირობებში ბევრ კეთილკაცურ საქმეს აკეთებდა. ყველა ქართველთან მეგობრობდა

მიხეილ რუხაძე — ქვიტირიდან იყო. ომის დროს ტყვედ ჩავარდა. ბევრი იწვალა და ბოლოს ვორკუტაში მოხვდა. მაღაროში მუშაობდა.

ნიკოლოზ მეტრეველი — ონიდან. სკოლის დამთავრების შემდეგ სამხედრო სავალდებულო სამსახურში წაიყვანეს. ომმა მოუსწრო, ტყვედ ჩავარდა და ბევრი წვალების შემდეგ ვორკუტის ბანაკში მოხვდა. მაღაროში ამუშავებდნენ. ვორკუტაში ლევანთან მეგობრობდა. მეტად სათნო, პოეტური ბუნების კაცი იყო. წერდა ლექსებს და ლევანს უგზავნიდა წასაკითხად და გასასწორებლად.

პატიმრობიდან განთავისუფლდა საერთო წესით. დაუბრუნდა თავის საყვარელ რაჭას, შემდეგ უწერაში მასწავლებლობდა. ლევანისა და კოლიას მეგობრობა სამშობლოშიც გაგრძელდა.

ლევან თევდორაძე — ბაღდადის რაიონიდან იყო, მტკიცე ნებისყოფის ახალგაზრდა. ომის დროს ტყვედ ჩავარდა და პატიმრული ცხოვრების მძიმე გზები გაიარა. საბოლოოდ მაღაროში ამუშავებდნენ. შემდგომში კი თავისუფალი გადასახლებით ვორკუტაში დაასახლეს, სადაც მას მეუღლე ჩამოუვიდა. ის ყველა გაფიცვის მონაწილე იყო. მართალია, ლევანს ხშირად ვერ ხვდებოდა, მაგრამ გულითადი მეგობრები იყვნენ.

ომან კაკაშვილი — ფიზიკურად ძლიერი პიროვნება, კეთილი, პატიოსანი ქართველი თუშეთიდან. პოლიტპატიმარი. თვითონ და მამამისიც ორივენი რკინიგზელები იყვნენ. ერთად დააპატიმრეს თითქოსდა თურქეთთან კავშირის გამო. მამა დახვრიტეს.

ვარდენ ულენტი — კეთილი, ჭკვიანი კაცი იყო, ყველა ქართველის მეგობარი და მათზე მზრუნავი. ლევანი განსაკუთრებით უყვარდა, პირდაპირ თვალებში შეჰყურებდა. როგორც იქ ამბობდნენ, ლევანის მფარველი და მომვლელი იყო, ეხმარებოდა ნაწერების გამოტანაში და ხელს უწყობდა შემოქმედებით მუშაობაში. ეს მეგობრობა სამშობლოში დაბრუნების შემდეგაც გაგრძელდა.

თემო თაზიშვილი — ახალგაზრდა სტუდენტი. ომის პერიოდში პოლიტიკური საბაბით დააპატიმრეს ახალგაზრდების დიდ ჯგუფთან ერთად. ბევრი აწვალეს სხვადასხვა მძიმე სარეჟიმო ბანაკში. ბოლოს ვორკუტაში მოხვდა. ყველა ქართველს დაუმეგობრდა, ლევანისა სჯეროდა და პატივს სცემდა. ლევანს ახალგაზრდა სტუდენტი ძალზე ეცოდებოდა, ჭკუას არიგებდა და ეხმარებოდა.

დიმიტრი ბოლქვაძე — ახალგაზრდა კეთილი კაცი. პოლიტიკური სასჯელით ვორკუტის მაღაროში მუშაობდა ფიზიკურად. შემდეგ კი სასადილოში მიმტანად მოეწყო, ამით თვითონაც გაჰქონდა თავი და სხვა პატიმრებსაც ეხმარებოდა.

ფრიდონ ტუხაშვილი — ბოდბისხევიდან იყო, მწერალი (ფსევდონიმი — კახეთელი ფირუზა). სრულიად ახალგაზრდა გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში 1939 წელს. იქ ომმა მოუსწრო. 1941 წელს მძიმე ბრძოლებში მონაწილეობის დროს მდინარე დნეპრის საწინააღმდეგო ხაზზე დაიჭრა და ტყვეთა ბანაკში მოხვდა.

1944 წელს რეპატრიაციით გაათავისუფლეს, შესამოწმებელი ფილტრიც გაიარა და სამშობლოში დაბრუნდა.

1948 წელს დააპატიმრეს და როგორც მოღალატეს დახვრეტა მიუსაჯეს. შემდეგ დახვრეტა 15 წლის პატიმრობით შეუცვალეს და შორეულ ჩრდილოეთში გადაასახლეს.

ჯერ ყარაღანდის რაიონში მუშაობდა სპილენძის საბადო-

ებზე, 1951 წელს ვორკუტაში გადაიყვანეს მაღაროში სამუშაოდ (გამჭრელად, გზების გამყვანად).

წარმოსადეგი კაცი იყო, გრძელი, შავი წვერი ჰქონდა, ამიტომ „პრომეთე“ შეარქვეს. ადმინისტრაციამ ბევრჯერ უბრძანა წვერის შეჭრა, ძალითაც დაუპირეს. მაგრამ ფრიდონი არ დანებდა. ურჩობისათვის მის ვადას კიდევ 2 წლით პატიმრობა მიუმატეს.

ფრიდონი, ეს ნიჭიერი და მოლექსე კაცი, თავის თავს აკუთვნებდა იმ ქართველთა შთამომაელობას, რომელთათვისაც ქართველობა, მამული და სარწმუნოება არის უმთავრესი. ფრიდონი იგონებდა: ვორკუტაში ისეთ ნასწავლ ხალხთან მოვხვდი, თავი აკადემიაში მეგონაო. შემდეგ ქართველებს მიეკედლა და ლევანს შეხვდა. „ლევანს რომ შეეხვდი, ისე წარმოვიდგინე, ეს ის კაცია, რომელსაც მთელი საქართველო ზურგზე ჰყავს მოკიდებული-მეთქი.

ლევანმა რომ დამინახა, შემოშძახა: „სადაური ხარ, ძმობილო“, მე ლექსად ვუპასუხე:

იქ, სადაც კაცი გულადობს,
სხივები უშუქს დილისა,
ხოხბის წყაროზე წყალი ვსვი,
ნიავი ჯვარედინისა.

ლევანს ჩემი პასუხი მოეწონა, შენ მწერალი ყოფილხარ კახეთიდანო.

ერთხელ საიდუმლოდ ლევანს ჩემი თავგადასავალი და პატიმრობის შესახებ ყველაფერი დაწვრილებით მოვუყევი. მას გაუკვირდა და მოეწონა კიდეც.

— მაშ შენ საქართველოს თავისუფლების მედროშე ყოფილხარო, ძალიან საამაყოაო. ამ სახელს აქ კარგი გაფრთხილება სჭირდებაო. მთავარია, ამ გაჭირვებაში ზნეობა შეინარჩუნოო.

ლევანმა ვორკუტაში დამასაჩუქრა: ჯერ ერთი, პირველ სახელად „მამულისშვილი“ შემარქვა, ეს სახელი ახლაც შემომრჩა. მეორეც ის, რომ ლევანმა ოავისი წიგნის „გმირთა ვარამის“ მედროშე მიწოდა. ეს კი იმისათვის, რომ ერთხელ ლევანს ვკითხე: სასჯელს რომ მოიხდით, რაზე უნდა იმუშაოთ და ქართველ ხალხს რა უნდა მიუტანოთ-მეთქი. მან მი-

პასუხა, საქართველოს ისტორიაო. მე შევეპასუხე: ეს მეფეების ისტორიაა, რატომ აღმოსავლეთ საქართველოს და პირადად ქიზიყელებზე არ ფიქრობთ-მეთქი. კახეთში მეფეებს რამდენი გმირული საქმე გაუკეთებიათ-მეთქი.

— ჰო, კაცო, აბა, რამდენი გმირი იყო, — მიპასუხა ლევანმა.

— რამდენი გმირიც იყო, იმდენი ვარამი ჰქონდათ. თქვენ გმირთა ვარამი გაგიგიათ? — შევეპასუხე მე.

— ეს რა კარგი სიტყვა თქვი, ფრიდონ! — მოეწონა ლევანს, მაშინვე ჩაიწერა. მერე თავის წიგნს ხომ „გმირთა ვარამი“ დაარქვა...

— თუ იცი რაიმე იქაური კარგი ეპიზოდი, მომიყევიო. და მეც, რაც მახსოვდა და ვიცოდი კახეთის შესახებ, გულიანად ვყვებოდი, ბევრჯერ ვკამათობდით კიდეც.

ლევანს „ლევან ბერს“ ვეძახდით. ლევანს ისეთი სახელი ჰქონდა, რომ ყველა მას ეკითხებოდა, როგორც კარგ მრჩეველსა და დამრიგებელს. საოცარი კაცი იყო.

ერთხელ ძლიერ გავუთამამდი და მასზე დაწერილი ლექსი წავუკითხე:

ლევანს

რა სულიერმა სულმა გშვა —
რა ძალა შემოგთავაზა,
რა ხელოვანმა ლხენითა,
შეგამკო, შეგალამაზა!
ნეტავი, მითხრა ვინა ხარ —
რა გული გიძევს გულადა,
ვინა გყავს მოსისხლე მტერი,
ვისთან ხარ მეგობრულადა!
ან შენი სატრფო ვინ არის,
ვინ გიხმო საარშიყოდა,
ვინ დაგილოცა მარჯვენა,
და შენზედ ღმერთი ილოცა.
ვინ დაგენაცვლა სიცოცხლით,
უსაზღვროდ გაიმამაცა,
ვინ გავაყაცა, გაკაჟა,
ვის გაუზდიხარ კაცადა.
როცა სიცოცხლე ძვირია,
ოქრო ვერ უძლებს ფასადა,

ვინა გულლაღობს, ვინი ხარ,
შთამომაელობის გვარადა.
ან ვინი მოსახელე ხარ,
სიცოცხლის სანუკვარადა,
ან ვინ გაწვინა აკვანში
თავით გიდებდა დანასა.
ვინ გაწოებდა მკერდძუძუს,
და გიმღეროდა ნანასა,
ნეტავი მითხრა, ვინა ხარ,
რაოდენ ალამ სადარი,
რა რიგად უძვირფასესი,
რა სიბრძნე ნაამაგარი,
ვინაც გაკურთხა აქვეყანად,
ნეტავ თუ ესეე უყვარდი,
თუ დაგილოცა სიცოცხლე,
სახელი მარად უკვდავი.

ვორკუტა, 1952 წ.

' განშორებისას ლევანმა წიგნი დამიტოვა „მიჯაჭვული ამირანი“ და ისიც მითხრა, თუ რამე გაგიჭირდება, ამირანს ესესხე, სახელად დაგრჩება ამირანის მიბაძეაო.

ჩვენთან ბანაკში ხმები დაირხა, ნატო ვაჩნაძე, ჩვენი სახელოვანი ვარსკვლავი, თვითმფრინავში დაიწვაო.

ჩვენ, ქართველებმა, ლევანის მეთაურობით, გლოვის დღე გამოვაცხადეთ. ყველანი, ქართველებიც და სხვა ერის პატიმრებიც, მოდიოდნენ და სამძიმარს გვეუბნებოდნენ“.

ფრიდონმა ნატო ვაჩნაძის ხსოვნას ლექსი უძღვნა, რომელიც იქვე წაიკითხა:

ნატო ვაჩნაძეს!

შენ საქართველოს ნესტანი იყავ,
ბროლის ბუქედში სახედ ნახატი,
შენ საქართველოს ლაზარი იყავ,
შემოგეტრფოდა ქართველ ხალხი.
ცაში ეტრფოდი ვარსკვლავს ხვაშიადს,
ელვა შემოგზვდა უეცარ მტრადა,
ციისარტყელაში გამოგარჩია.
დაგწვა, დაგბუგა ნაცრად და მტვრადა.
განა დაიწვის შენი მშვენება,
მზის და ეთერის შემამკობელი?

განა ჩაქრება ქვეყნად ჩვენი მზე,
შენი ეშხი და მზის სამყოფელი?
შენ მარად დარჩი ქართველს მშვენებად,
სული უწრფესი მომავლის ნატვრად,
თუ გამჩენს შენთვის ასე ეხება,
მეორე მოსვლაც გექნება, სატა!..

ვორკუტა, 1953 წ.

ფრიდონ ტუხაშვილმა 1954 წლის ივლისში ვორკუტაში ლევანს მეორე ლექსიც უძღვნა:

ლ ე ვ ა ნ ს!

დაგინახავ, გულს იმედი დამეცემა —
აღმეგზნება ცეცხლისაგან მტკიცე გული,
გავკაჟდები, ძლევის ღონე მომეცემა,
დაეიფიცავ, უკვდავია სული შენი.
შენ მიგულე დღეს ამ ყოფნის თანამგზავრად,
მსურს მოგანდო საიდუმლო ყველა ფიქრი,
წრფელი ვიყავ, არაფერი მქონდა ჯავრად,
მიტაცებდა უანგაროდ სიყვარული.
რა ვიცოდი, თუ ეს ბედად მე მეწერა,
სრულ უფლებით ყველაფერს ვარ მოკლებული,
რა ყოფილა ეს ოხერი ბედისწერა.
სატანჯველად სულ უჩინოდ ჩინებული.
ესღა დამრჩა დღეს ამქვეყნად, როგორც ფიცი,
ჩემსა მოძმეს მივცე ხელი ვუერთგულო,
ჭირში ჩნდება კაცისათვის ძმადნაფიცი,
იგულე და იმისათვის მოკვდი, გულო!

ვორკუტა, 1954 წ.

ლევანისა და ფრიდონის მეგობრობა მტკიცე იყო და გაგრძელდა სამშობლოში ორივეს დაბრუნების შემდეგაც. ფრიდონი ხშირად ჩამოდიოდა სტუმრად არმაზში ლევანთან. ლევანმაც რამდენჯერმე მოინახულა ფრიდონი ბოდბისხევში.

„მე პირადად გულგაუტეხავი კაცი ვარ, — ახლაც ამბობს ფრიდონი, — თუმცა ჩემი ერთგული და ძვირფასი ადამიანები დავკარგე, ადრე წავიდნენ ცხოვრებიდან. მათ სასახელოდ მე ისევ ის ვიქნები, არავის მივეთილისმები და, სანამ ცო-

ცხალი ვარ, არ შევარცხვენ ჩემი ჩრდილო მეგობრების სახელს“.

სოლომონ (ცუგრი) თევზაძე — ზედმეტ სახელად „ცხვირა“, სპეციალობით ფიზიკოსი, კრისტალური სიწმინდის კაცი, დიდი პოლიტიკური მოკამათე. სულ ბორგავდა და იმედით ცხოვრობდა.

კონცელიძე — უაღრესად მორცხვი, უსაზღვროდ კეთილი, სრულიად ახალგაზრდა სტუდენტი, თავაუღებლივ მუშაობდა, ბევრ გაჭირვებას ჩუმად უძლებდა.

ვასო ჯავაშვილი — კახეთიდან. მშენებლობაზე მუშაობდა, კარგი, გულიანი კაცი იყო. მეგობრობდა ყველასთან, განსაკუთრებით კი ლევანთან.

თეოფანე ჩიჩუა — ექიმი, დავით კვიტაიშვილისა და ლევანის მეგობარი, კაცური კაცი. როგორც ნამდვილი მეგობარი, ეხმარებოდა ყველა პატიმარს.

კალატოზიშვილი — ომის ქარცეცხლში დაიკარგა, ჩავარდა ტყვედ. ომის შემდეგ საზღვარგარეთ, პარიზში, მამა მონახა და მასთან დარჩა. ჩეკისტებმა იქ იპოვეს, თავს დაესხნენ და დააპატიმრეს. ვორკუტაში გადაასახლეს 15 წლით. ძალიან კეთილი, მუყაითი და მშრომელი ქართველი იყო. ყველას სიყვარული და მეგობრობა დაიმსახურა. საერთო წესით საქართველოში დაბრუნდა.

ამრიგად, ჩვენ მოკლედ წარმოვადგინეთ ის მასალა, რომელსაც შეძლებისდაგვარად მივწვდით.

სამწუხაროდ, კიდევ შემოგვრჩა ვორკუტაში ყოფილ პატიმართა გვარები და ზოგის სახელიც, რომელთა შესახებ გამოგვეხმაურებიან და მასალებსაც მოგვაწვდიან. ესენი არიან:

ჰეიშვილი	**ცარიკიძე**	**გორგაშვილი**
რობაქიძე	**ჩაკაბერია**	**კლდიაშვილი**
ბოპორიძე ვალიკო	**ჩხეიძე**	**კუხალეიშვილი გივი**
ბეროშვილი კაკო	**კობიძე**	**მეფარიშვილი აკაკი**
ბანძავა	**ქერაშვილი**	**ქარდავა (სამტრედიიდან)**
თურმანიძე	**მუავია**	
ჯულაყიძე	**წერეთელი**	**არაბიშვილი ილო.**

ლევანი სხვა ერის წარმომადგენლებთანაც მეგობრობდა. აქ გვინდა წარმოგიდგინოთ ის მოკლე სია და ზოგიერთი წერილი, რომელიც შემორჩა ლევანის არქივს: ვასკო როლანდი — უნგრეთიდან, პაპას ვეტრო — ლატვიიდან, კურტი — ესტონეთიდან, ექიმი, პროფესორი, კოხსკი — ლენინგრადიდან, გრიგორიევი, მწერალი — ლენინგრადიდან, იგორ დობროშტანი — უკრაინელი, სოლომონ გერშოვი — ლენინგრადიდან, ედუარდ ზივერტესი — ბელორუსიიდან, აკადემიკოსი ბონდარევი — მოსკოვიდან, ვინმე სამთო ინჟინერი — მოსკოვიდან, პავლე კუკინი — მაკეევკიდან, ცეება ვოლოდი — გერმანელი, ვოლკოვი — ხარკოვიდან, იგორ პერეკრესტოვი — ხარკოვიდან, ვინმე ექიმი პროფესორი — უკრაინიდან, ციფალო ანდრია — უნგრელი, შანდორ დემეტი — უნგრელი.

იგორ დობროშტანი — ეროვნებით უკრაინელი, უმაღლესი განათლებით, სპეციალობით ინჟინერი, დიდი ინტერნაციონალისტი. ომის დროს ტიტულოვანი კონტრმზვერავი იყო, მთელი ომის მსვლელობის დროს სად არ იბრძოდა, საბჭოთა კავშირის გამარჯვებისათვის რა არ გააკეთა, რა ცნობები არ მოიპოვა, რამდენჯერ იდგა სიკვდილთან პირისპირ და, აი, გამარჯვებაც. იგორს ეგონა, რომ იმდენი საპასუხისმგებლო საქმე გააკეთა, იმდენი იშრომა და გაისარჯა, შესაფერისად დააფასებდნენ, თუმცა ორდენები და მედლები არ აკლდა. მაგრამ, პირიქით მოხდა, მას უნდობლობა გამოუცხადეს და ვორკუტაში გადახვეწეს. ჩვენ არ შევჩერდებით იგორის დაწვრილებით ბიოგრაფიაზე, მისი უდიდესი დამსახურების ჩამოთვლაზე, მხოლოდ გვინდა აღვნიშნოთ, რომ იგი ვორკუტის ბანაკებშიც დიდად სასიკეთო საქმეებს ასრულებდა. გაფიცვებშიც დიდ როლს თამაშობდა, განსაკუთრებით უკანასკნელ გაფიცვაში, რომლის საგაფიცვო კომიტეტის თავმჯდომარე იყო. დობროშტანი და ლევანი ძალიან მეგობრობდნენ.

როგორც აღვნიშნეთ, ლევანი ვორკუტიდან ისე წამოვიდა, რომ დობროშტანი მოსკოვში იყო წასული და ვეღარ ნახა. ლევანის განთავისუფლების გაგებისთანავე მან თბილისში ლევანს წერილი გამოუგზავნა:

„საყვარელო ლევან პართენის ძეს!

7/X-55 წ.

ბუტირკის ციხეში ჩემი გადამოწმებისა და იქ ორთვიანი ყოფნის შემდეგ საბოლოოდ 4/X-55 წელს მე გამანთავისუფლეს. ვორკუტის პატიმრების საქმეც გაკეთდა. მე დანაშაულიც სავსებით მომიხსნეს. მივიღე 10-წლიანი პასპორტი, ერთდროულად სამხედრო წიგნაკი და რეაბილიტაცია. ახლა, 5-7 დღის შემდეგ, კიდევ ვაპირებ ვორკუტაში წასვლას, მინდა მოკითხულო მეგობრები, ავიღო ზოგიერთი ცნობა, რომელიც შეიძლება შემდგომ ცხოვრებაში დამჭირდეს და გამომადგეს.

მე ხშირად გიგონებთ თქვენ და ძალიან გამეხარდა, რომ, ბოლოს და ბოლოს, ძლივს მიიღეთ თბილისში ჩასვლის უფლება, საყვარელ სამშობლოში მეგობრებისა და ნათესავების შეხვედრა, მომწერეთ რამდენიმე სიტყვა, რაც მე ძალიან გამახარებს. თქვენ რომ იცოდეთ, როგორ გული მწყდება, რომ თქვენი მოულოდნელი გამგზავრების წინ ვერ შეგხვდით და ვერ მოგელაპარაკეთ.

დიდი მოკითხვა და თავმდაბალი სალამი თქვენს დებს.

გაოცნით იგორი.

მომწერეთ, იქნებ რამე გინდათ ვორკუტაში?"

იგორი ლევანთან განთავისუფლების შემდეგაც მეგობრობდა. ის თბილისის ხშირი სტუმარი გახლდათ ლევანის გარდაცვალების შემდეგაც. ყოველთვის ლევანის საფლავს მოინახულებდა და მის შესახებ გადასახლების ამბებს გვიამბობდა.

ედუარდ ზიგერტესი — განათლებული, სწავლული კაცი ბელორუსიიდან. ძალიან მეგობრობდა ლევანთან, სჯეროდა მისი და ყოველთვის იმედიანად იყო მის გვერდზე. ძალიან გაიხარა ლევანის განთავისუფლებით. მან ლევანს თბილისში ორი წერილი გამოუგზავნა, თავისი დარდი და სიხარული გაუზიარა:

„ბატონო ლევან!

5/IX-55 წ.

ძალიან გვიხარია, რომ სამშობლოში ხართ და კარგად გრძნობთ თავს, თავისუფლად სუნთქავთ, დადიხართ მშობლიურ მიწაზე, უნოსავთ ყვავილების არომატს და შემოდგომის ნაუოფს.

მოხარული ვარ, რომ თქვენამდე აღარ მოაღწევს ჩრდილოეთის ქარიშხლები და ძია ვასია, ყველაფერი აქაური თქვენთვის უკვე იქნება როგორც არასასიამოვნო, მძიმე სიზმარი.

მე ძველ ადგილას აღარ ვმუშაობ, მე მოვხვდი თქვენს ძველ სამყოფელში „იჩეგოში". როგორღაც მოვეწყვეახლა კი ჩემი საჩივრის პასუხს ვუცდი, სულ ვწერ, იმედს არ ვკარგავ, რომ გამიშვებენ.

პატივისცემით ედუარდ ზიეერტეხი".

„ბატონო ლევან!

20/IX-55წ.

დახე სიხარულს! კომისიამ რეაბილიტაცია მომცა და უკვე სახლში, მინსკში ვარ, ჩემს ოჯახში. განა სიხარულის დაწერა და მისი აღწერა შეიძლება? ეს მხოლოდ უშუალოდ შეიძლება შეიგრძნო და განიცადო. უმრავლესობა წამოვიდა ვორკუტიდან, იმ ჯოჯოხეთიდან. სამუშაოზე მაღაროებში ბევრი აღარ დარჩა. ალბათ, ყველა განთავისუფლებული წამოვა იქედან.

პატივისცემით ედუარდი".

ვოლკოვი — განთავისუფლდა ლევანის შემდეგ. ლევანს წერდა წერილებს:

„28.VIII.55 წელი.

ხაუვარდლო ლევან!

მე უკვე სახლში ვარ. ყველაფრისაგან თავისუფალი ვარ, ვინაიდან არავითარი მასალა იქ არ აღმოჩნდა ჩემს შესახებ, ისევე როგორც თქვენზე.

პირველ ხანებში ჩვენ ალბათ გაგვიჭირდება ნორმალური ცხოვრება, მაგრამ მალე მივეჩვევით.

ყველას ძალიან გაეხარდა ჩემი დაბრუნება. ჩემთან ჩამოვიდა დედა, რომელთანაც 14 წლის განმავლობაში არავითარი მიმოწერა არ მქონდა. ახლა წარმოიდგინე, რა ხდება ჩემთან, სახლში. თქვენი ბარათი მივიღე და ძალიან გაგვეხარდა. თქვენი განთავისუფლება მთელ ბანაკს, ხომ გახსოვთ, როგორ გაუხარდა. თქვენ ყველაფერი კარგი დაიმსახურეთ, როდესაც გზად გაივლით ამ ქალაქს, უსათუოდ შემოიარეთ ჩემთან.

მოკითხვა თქვენს ახლობლებს".

ვოლკოვის მეორე წერილი გამოგზავნილია 1955 წ. 28/X.

„საყვარელო ლევან!

ნამდვილად სასწაული მოხდა. ვმუშაობ მაღაროში მთავარ ინჟინრად. სამუშაო ადგილი სახლიდან 1000 კილომეტრის სიშორეზეა, მაგრამ ცხოვრება იწყება თავიდან.

მე სახლი არ გამაჩნია, ჩემი სახლი კერძო პირისათვის მიუყიდიათ კონფისკაციით, უკან დაბრუნების კანონი კი ჯერ არ არსებობს.

გეპატიჟებით ჩვენთან. გაგვეხარდება ძალიან, თუ ჩამოსვლას შეძლებთ.

თქვენი ვოლკოვი".

სოლომონ გერშოვი — უაღრესად განათლებული, პატიოსანი ხელოვანი კაცი, ცნობილი ლენინგრადელი მხატვარი. პოლიტიკური სასჯელით 1951 წლიდან იმყოფებოდა ვორკუტის ბანაკებში. გამწარებული და გაწვალებული იყო. ლევანთან ერთად ერთ ბარაკში ცხოვრობდა, ისინი გაჭირვების მეგობრები გახდნენ.

„— მე მაკვირვებდა ლევანის ნიჭი, ერუდიცია, მაღალკვალიფიციური მსჯელობა მხატვრობაზე, გრაფიკაზე, ფერწერაზე, მხატვრობის გარდა ჩვენ გვაერთიანებდა ხელოვნების სხვადასხვა იდეა. ორივეს გვიყვარდა მსოფლიოს მაღალი ხელოვნე-

ბა, ბეთჰოვენის და სხვების გენიალური მუსიკალური ნაწარმოებები, რომლის მონატრული ორივენი ვიყავით.

ჩვენი საუბრები ორივესთვის მეტად სასიამოვნო და მნიშვნელოვანი იყო. ლევანთან ბევრი ქართველი იკრიბებოდა, მაგრამ არც ჩვენ გვივიწყებდა. არავინ არ ფიქრობდა პირადი საქმის გასაჩივრებას, ამას აზრი არ ჰქონდა, ვინაიდან საჩივრები იქვე ცეცხლში იყრებოდა და იწვებოდა. საერთოდ კი უპატრონო ბანაკი იყო, სადაც მეფობდა ჩეკისტების მძიმე თვითმმართველობა.

ლევანისთვის და ყველა ჩვენთვის განთავისუფლების ბედნიერი დღეც დაგვიდგა. ჩემი ლევანთან მეგობრობა სამშობლოშიც გაგრძელდა, ლევანმა მე თავისი წიგნი მაჩუქა, მე კი მას ორი ჩემი სურათი ვუსახსოვრე".

* * *

ამრიგად, ჩვენ მოკლედ და შესაძლებლობის ფარგლებში წარმოვადგინეთ ლევან გოთუას თავგადასავალი. გავიხსენეთ მისი იქაური თანამემამულენი, მეგობრები და სხვა ეროვნებათა რამდენიმე წარმომადგენელი, რომლებიც ვორკუტის მძიმე რეჟიმის ბანაკებში ლევანთან ერთად იღვწოდნენ...

მათგან ბევრი უდანაშაულო, ვიღაცის მტრობით, დასმენით და ცილისწამებით პოლიტპატიმრად იყო წოდებული, ეს კი მაშინ სიკვდილთან იყო გათანაბრებული.

პატიმართა დიდი უმრავლესობა ომის დროს ტყვედ ჩავარდნილი, საკონცენტრაციო ბანაკებში ნატანჯი, შემთხვევით გადარჩენილი სამხედრო იყო. დაისაჯნენ იმიტომ, რომ შემთხვევით გადარჩნენ და რატომ გადარჩითო, რატომ თავი არ მოიკალითო, ტყვედ რატომ ჩავარდითო... გამარჯვების შემდეგ უნდობლობა გამოუცხადეს და შორეულ ჩრდილოეთში გადაასახლეს.

აქვე იყვნენ გასაცოდავებული, საზღვარგარეთიდან გადმობირებული სხვადასხვა ეროვნების ემიგრანტები, სამშობლოს სიყვარულით და რწმენით გაჟღენთილები, სამშობლოში დაბრუნების ნაცვლად ამ ბანაკებში უმწეოდ ჩაყრილნი, რომ-

ლებიც მერე სინანულით ამბობდნენ: როგორ მოგვატყუეს ან ჩვენ როგორ მოვტყუვდით, ეს რა დაგვმართა, ეს ვის ვენდეთო.

ბევრი 1937 წლის უდანაშაულო მსხვერპლი იყო, უგზოუკვლოდ დაკარგული და დაღუპული.

ბევრი კი მთავრობისა თუ პარტიის საწინააღმდეგო ფიქრის, ოდნავ გადაკრული რაღაცის თქმის, მოკრძალებული კრიტიკისა თუ უკმაყოფილების უნებლიედ გამოთქმის გამო იყო დასჯილი.

მოკლედ, დამნაშავენი იყვნენ თუ უდანაშაულონი, წესიერნი თუ უწესონი, მართალნი თუ მტყუანნი, პოლიტიკაში საერთოდ გაურკვეველნი თუ პოლიტიკური მოღვაწენი, მიუხედავად ასაკისა, ეროვნებისა, რჯულისა, განათლებისა, ჯანმრთელობისა, მორალური თუ სულიერი განწყობილებისა — ყველანი ერთად ამ ბანაკებში იყვნენ შეყრილნი. მათ ერთი მძიმე, ჯოჯოხეთური რეჟიმი აერთიანებდა, ყველა ერთ ტაფაში, სხვადასხვა გულისა და გრძნობის ცეცხლით იწვოდა და იფერფლებოდა.

და, აი, დიდი ხნის ნალოდინევი და ნაოცნებარი თავისუფლებაც ძლივს მოვიდა ყველას სასიხარულოდ, ახლა კი ბედნიერებისა და სიხარულის ცრემლი სდიოდა ხალხს — პოლიტიკურ პატიმართა ბანაკები გაუქმდა, განადგურდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრი ღირსეული მამულიშვილის სახელი უკვალოდ წაიშალა. არადა ყოველი იქ ნამყოფი და ნატანჯი ქართველი ჩვენი სამშობლოს ცოცხალი მატიანეა, ჩვენი ერის ცოცხალი ნერვი...

თითოეული მათგანის ბიოგრაფია ცალკე თემას წარმოადგენს.

ვიმედოვნებთ, რომ მომავალში მათ შესახებ უფრო დაწვრილებით და სრულყოფილად დაიწერება, რაც ნათლად გააშუქებს ჩვენი ისტორიის ამ მძიმე ფურცლებს, რადგან, როგორც ლევანს მიაჩნდა, „ისტორიის სიმართლის აღდგენა ერის გამაცოცხლებელი და გამამხნევებელია, აწმყოს წარმართვის სწორი გაგებაა და მერმისის გამომზეურებაა სიბნელისაგან“.

ბოლოს ისევ ლევანის სიტყვებით გვინდა დავამთავროთ: „ქეთილად მოვიგონოთ ჩვენი დედანი და მამანი, დები, ძმები, ახლო წინაპრები, რომლებიც ამ მიჯნამდე ვეღარ მოგვყვნენ.

გზა დავულოცოთ, ვინც გადარჩა და ჯერ კიდევ ხარობს სამშობლოს კეთილდღეობით. დაე, ბარაქიანი იყოს ხუჭუჭა მომავალი, რომელიც გამტკიცებული მუხლით გასწევს თავისი სამშობლოს მართებულ ჭაპანს.

ირმის გმირო და ვეფხვის წიგნო, ჰოიდა...
თავი დასდეთ და ერს უსაშველეთო, ჰოიდა...
სამი ხელით და უკვდავ სულითა, ჰოიდა...
უბირ მებრძოლსაც მახსენებდეთო, ჰოიდა...